ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

5 1978



ილია ჭავჭავაძე
(დაბადებიდან 140 წლისთავის გამო)

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე | № 5 | მაისი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


15866

## შინაარსი


ლ. ი. ბრეჟნევი — აღორძინება . . . . . . . . . . . . 3
ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 49
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. წიგნი მესამე. გაგრძელება . . . . 54
შალვა ამისულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 82
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 91
ნოდარ ჯალაღონია — სიყვარულის ლექსები . . . . . . . . 94
გიორგი გიგაური — ლექსები . . . . . . . . . . . . 98
ზურაბ რატიანი — მუშტი და ვიოლინო. მოთხრობა . . . . . . . 100
რევაზ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . . . 113
ილია ხოშტარია — ლექსები . . . . . . . . . . . . . 117
ვანო ურჯუმელაშვილი — ერთი ქართული ბატალიონი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . . . . . 119

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ჯიბლაძე — დიდი ილია ჭავჭავაძე . . . . . . . . . . 149
დავით გოგოჭური — ილია ჭავჭავაძე და მთის ხალხური სიტყვიერება 173
ალექსანდრე სიხუა — ილია და მისი გაზეთი „ივერია“ . . . . . . . 177
ლუიზა გოჩკოვა — ქართული პოეზიის არქივიდან . . . . . . . . 185

### წიგნების მიმოხილვა

ვლადიმერ მამავარიანი — მეცნიერის მხატვრული პროზა . . . . . . 187
ხ. ჩიტაური — მონოგრაფია დიდ მომღერალზე . . . . . . . . . 189


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, გ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 4/IV-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V-78 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08469. ტირაჟი 17.000. შეკვ. 1023.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ი. ბრეჟნევი

# ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა

## I

ბალახი უკვე ამოსულიყო რკინასა და ღორღს შორის, შორიდან გაველურებული ძაღლების ყმუილი ისმოდა, ირგვლივ კი მხოლოდ ნანგრევები ასვეტილიყო და დამწვარი ხეების ტოტებზე ყვავების ჩაშავებული ბუდეები ეკიდა. მსგავსი რამ სამოქალაქო ომის დროს მენახა, მაგრამ მაშინ შიშს მგვრიდა ქარხნების უსიცოცხლო მდუმარება, ახლა კი ისინი მიწასთან იყო გასწორებული.

1946 წლის ცხელი ზაფხული იდგა. იმჟამად პარტიამ ზაპოროჟიეში გამგზავნა. თავდაპირველად დავალებული მქონდა ოლქის ყველა დეტალს გავცნობოდი, განსაკუთრებით კი ყურადღება მიმექცია მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო მანდატი მომცა, და მეც სასწრაფოდ ოლქს მივაშურე.

დიდი სამამულო ომი დამთავრდა, დემობილიზაცია კი გვიან შემეხო. ისე რომ, ზაპოროჟიეში ჩასულს ისევ სამხედრო ფორმა მეცვა. დილაადრიან გავემგზავრე მშენებლობაზე, მაგრამ მხოლოდ კოქსქიმამდე მივაღწიე, უფრო ზუსტად, მის ნანგრევებამდე, რომლებიც მძლავრი კორპუსებისაგან დარჩენილიყო. იქით გზა აღარ იყო და ქვეითად გავუყევი. გვიანობამდე ვიხეტიალე: ირგვლივ ვხედავდი აჩხორილ ბეტონს, აგურის ნამსხვრევებს, ნაგვის გორებს, ერთმანეთს გადაჭდობილ დაღვარჭნილ კოჭებს, თვალები მტკიოდა ყოველივე ამის დანახვაზე.

მთელი ძალით წმენდნენ ჩამონაზღვლევებს, ობიექტებზე ათასობით მშენებელი გამოსულიყო, თან ყველა ობიექტზე ერთდროულად. თითქმის უმექანიზმებოდ მუშაობდნენ, ხელით — გეგონებოდათ ამ სამუშაოს ბოლო არ ექნებაო. გზადაგზა ადამიანებს მაცნობდნენ. მრავალი მოგვიანებით ახლოს გავიცანი და დავიმახსოვრე. ახლა კი მხოლოდ ახსნა-განმარტებებს ვისმენდი, ძირითადად კი ვათვალიერებდი, იმიტომ რომ მთავარი ისედაც ნათელი იყო: მეტალურგებისა და ენერგეტიკოსების შესანიშნავი ქალაქი აღგვილი იყო პირისაგან მიწისა. ომმა ყველაფერი ააფეთქა, გადაჩხრუკა, დააქცია.

ომამდელ ზაპოროჟიეს კარგად ვიცნობდი. დნეპროპეტროვსკიდან, სადაც მაშინ ვმუშაობდი, სულ საათნახევრის სავალია მანქანით. ხშირად მიხდებოდა მეზობლებთან ჩასვლა, რომლებსაც კარგა ხანია მეგობრულად ვეჯიბრებოდით. მეხსიერებაში ჩამრჩა დაჩრდილული სკვერები, შადრევნებიანი მყუდრო მოე-

დნები, კოხტა საცხოვრებელი სახლები, რომლებითაც ამაყობდნენ ზაპოროჟელები, მათი დასასვენებელი ბაზები, კუნძულ ხორტიცაზე და ფართო, მწვანეში ჩაფლული ლენინის პროსპექტი, რომელიც მთელ ქალაქზე დნეპრამდე იყო გადაჭიმული. საღამოობით, როცა ჩვეულებრივ შინ ვბრუნდებოდი, „ზაპოროჟსტალის“ ბრძმედების ზემოთ ლურჯ ცაზე მეწამული ანარეკლები ანათებდნენ, ხოლო წინ ასობით ცეცხლს წყალში შემოეხაზა სახელგანთქმული კაშხალის რკალი.

დნეპრჰესი მხოლოდ ერთი ასეულთაგანი ელექტროსადგური როდია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რომ აშენდა. დღეს უფრო მძლავრი, უფრო სრულქმნილი ელექტროსადგურები გვაქვს, მაგრამ ის, დნეპრისა, ჩვენთვის საბჭოეთის ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების სიმბოლოდ იქცა. კინოქრონიკებიდან, გაზეთებისა და ჟურნალების ფოტოსურათებით ყველა კარგად იცნობს მას. რაღაც განსაკუთრებით ლამაზია ეს კაშხალი. მე მითხრეს, რომ ამას წინათ ერთ სტუდენტ ქალიშვილს ასეთი ჩანაწერი დაუტოვებია იქ: „დნეპრჰესი ჩვენს დედამიწაზე იგივეა, რაც პუშკინი ლიტერატურაში, რაც ჩაიკოვსკი მუსიკაში. როგორი გიგანტებიც უნდა გაჩნდნენ ვოლგაზე, ანგარაზე, ენისეიზე, ისინი ვერ დაჩრდილავენ საბჭოთა ენერგეტიკის პატრიარქის სიდიადეს“. კარგად არის ნათქვამი!

იმ ომისშემდგომ წელს კი მწარე იყო იმის დანახვა, თუ რა ზიანი მიადგა ამ უნიკალურ ნაგებობას. ჰიტლერელებმა კაშხლის ტანში ჩადეს ასი ავიაბომბი, თითოეული ნახევარტონიანი, და მხოლოდ ჩვენი მესანგრეებისაა და მზვერავების გმირობამ გადაარჩინა კაშხალი სრულ განადგურებას. როცა საბჭოთა ჯარებმა დნეპრი გადალახეს, კაშხლის ერთ-ერთ საყრდენზე გადაჭრილი მავთული ნახეს, რომელიც საფეთქებელს უერთდებოდა, მის გვერდით კი — განგმირული მებრძოლი. მისი სახელის დადგენა ვერ მოხერხდა და მას შემდეგ კაშხლის კვეთთან უცნობი გმირის ძეგლია აღმართული.

თუმცა ფაშისტებმა ბოლომდე ვერ განახორციელეს თავიანთი ბარბაროსული გეგმა, მაინც ყველა ტურბინა, გენერატორი, ონკანი ააფეთქეს. ორმოცდაშვიდი წყალგადასაშვები მილიდან თოთხმეტი გადარჩა. დნეპრზე აღარ იყო წყალსაცავი. ისევ გაშიშვლდა ძველი ქარაფები. მდინარე, რომელიც მხოლოდ მშვიდი გვახსოვდა, ჭორომებთან ისევ ძველებურად აქაფებული მოედინებოდა. მშენებლობებზე მაშინ პოპულარული იყო დნეპრის ერთი მშენებლის ლექსი:

სალ კლდეებს დნეპრის ზვირთები
ეხლება დაურიდებლად,
ან ნაპირს რა დაავიწყებს
თავის დამცველთა დიდებას..

არის ერთი ფრთიანი, შინაარსით ზუსტი და ტევადი უკრაინული სიტყვა პ ე რ ე მ ო გ ა — გამარჯვება. ყველაფერს სძლიეს საბჭოთა ადამიანებმა, ყველა სიძნელე გადაიტანეს, გაძლეს და გაიმარჯვეს უმძიმეს ომში. ახლა ისინი უნდა „მორეოდნენ“ ნგრევას, გაემარჯვათ მშვიდობიან შრომაში.

და ამ გაგრძელებულ, საოცრად ცხელ დღეს, როცა საქმის მდგომარეობას ვეცნობოდი, ვფიქრობდი: რით დავიწყო? უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უსიამო შთაბეჭდილება რჩებოდა. ფაშისტებმა ქალაქში სამოცდაათივე ქარხანა ააფეთქეს. როცა „ზაპოროჟსტალში“ ფურცელ-საგლინავი დგანის აღდგენა დაიწყო, შუა რიგის ყველა სვეტზე წითელი საღებავით აღნიშნული ლათინური ასო „F“ შევამჩნიეთ (გერმანული „ფოიერ“ — „ცეცხლის“ მიხედვით). წითელი ისრები ზუსტად მიუთითებდნენ, სად უნდა ჩიჟდოთ ტოლი.

მთელი ქალაქიც ნანგრევებად იყო ქცეული. სახელმწიფო კომისიამ დაიანგარიშა: ზაპოროჟიეში დანგრეული იყო ათასზე მეტი დიდი საცხოვრებელი სახლი, ოცდაოთხი საავადმყოფო, სამოცდათოთხმეტი სკოლა, ორი ინსტიტუტი, ხუთი კინოთეატრი, ორას ოცდაცხრამეტი მაღაზია. ქალაქი დარჩა უწყლოდ, უსათბობოდ, უელექტრობოდ. კოლოსალური ზიანი მიადგა ზაპოროჟიეს გარშემო სოფლის მეურნეობას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოლქში რთულ მომენტში გამგზავნა. ჩემს იქ ჩასვლამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, 1946 წლის 27 ივლისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა კორესპონდენცია — „რატომ ბრკოლდება „ზაპოროჟსტალის“ აღდგენა“. პასუხი ასეთი იყო: „მთავარი მიზეზია არაორგანიზებულობა. არა აქვთ სამუშაოს ორგანიზაციისა და მექანიზაციის პროექტი. ფაქტიურად არც გრაფიკი გააჩნიათ. გეგმის შესრულება ფიზიკური მოცულობით კი არ აღირიცხება, არამედ მანეთობით. ამის წყალობით აყვავებულია თვალისახვევა...“ შემდეგ „პრავდამ“ ახალი წერილი დაბეჭდა სათაურით „სამი პარტიული კომიტეტი და ერთი მშენებლობა“. მასში გაკრიტიკებული იყო პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები იმისათვის, რომ გაუთავებლად ერეოდნენ მშენებელთა საქმეებში და დახმარებას კი ცოტას უწევდნენ. ზოგჯერ კი არაკვალიფიციურადაც. და, ბოლოს, გამოვიდა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აქედან გამომდინარე უკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი „უკრაინის პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების შესახებ“.

ასეთი იყო მდგომარეობა, და ამის თაობაზე გაიმართა გულახდილი და ცხარე საუბარი უკპ (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის XI პლენუმზე. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მივიღე მშენებლობებზე მდგომარეობის წინასწარ გაცნობის შემდეგ. პლენუმის წინადღით ზაპოროჟიეში დამირეკეს ცენტრალური კომიტეტიდან და მითხრეს:

— მიღებული გადაწყვეტილებით თქვენ რეკომენდებული ხართ საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. ჩაატარეთ პლენუმი.

ზაპოროჟიეში ჩამოვიდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე. მეორე საკითხად პლენუმზე იდგა ორგანიზაციული საკითხი. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩიეს. ეს მოხდა 1946 წლის 30 აგვისტოს.

სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ასე ცხადად და ხილულად პარტიისა და ხალხის წინაშე ოლქში საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა. ჩემგან მოელოდნენ არა უბრალოდ პატიოსან შრომას, არამედ საგრძნობ ძვრებს, გადამწყვეტ გარდაქმნებს, ელოდნენ მთელი საოლქო პარტიული ორგანიზაციის სტილის განახლებას, მთელი რიგი საწარმოების, უწინარეს ყოვლისა კი „ზაპოროჟსტალის“ მშენებლობის მკვეთრ დაჩქარებას. კარგად მესმოდა, რომ ეს დავალება სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სამეურნეო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

რაში იყო საქმის არსი? 1946 წლის მარტში მიღებული კანონი მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1946-1950 წწ.) ითვალისწინებდა „ზაპოროჟსტალის“ აღორძინებას: „აღდგენილ იქნეს თხელი ცივნაგლინი ფურცლის წარმოება სამხრეთში“... ერთადერთი სტრიქონია, ოღონდ გამგები ადამიანებისათვის — ფრიად წონადი. მაგრამ მხედველობაში იქნა რა მიღებული ამოცანის სირთულე, ეს ობიექტი პირველი რიგისად არ მიიჩნიეს. იყო ლაპარაკი,

თითქოს-და მხოლოდ ნაზღვლევის გაწმენდას რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. გამოითქვა ისეთი აზრებიც, რომ უფრო იოლია სხვა ადგილას წარმოების ხელახალი შექმნაო. ასე გვირჩევდნენ, მაგალითად, სპეციალისტები საერთაშორისო ორგანიზაციიდან „იუნრა“, რომელიც შეიქმნა ფაშისტების შემოსევისაგან დაზარალებული ქვეყნების დასახმარებლად. ისინი იყვნენ ზაპოროჟიეში და აღნიშნეს, რომ „ზაპოროჟსტალის“ აღდგენას საერთოდ აზრი არა აქვს და უფრო იაფი დაჯდება ახალი ქარხნის აგებაო.

მე არავითარი საფუძველი არა მაქვს იმისათვის, რომ ისინი არაკომპეტენტურ ან არაკეთილსინდისიერ ადამიანებად მივიჩნიო. მათ ყველაფერი დაწვრილებით დაათვალიერეს, ყველაფერი გაარკვიეს, ყველაფერი გაზომეს — ნგრევის ხარისხი, ტექნიკის დონე, ჩვენი მაშინდელი ენერგოაღჭურვილობა, ამწე მექანიზმების არსებობა, შრომითი რესურსები და ა. შ. მაგრამ მათ ვერ შეაფასეს „მარტოოდენ ერთი რამ“— ჩვენი ხალხის სასიცოცხლო გამძლეობა, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, პარტიის მაორგანიზებელი ნება.

არ გაითვალისწინეს ეს ოკეანის გაღმელმა პოლიტიკოსებმაც, ჩანს, მათ ძალიან სურდათ დაეჯერებინათ ფაშისტი გენერლის შტიულპნაგელის ნათქვამისათვის, რომელიც დნეპრისპირეთიდან გაძევების შემდეგ ჰიტლერს მოახსენებდა: „ოცდახუთი წელი — აი რა ვადა დასჭირდებათ რუსებს დანგრეულის აღსადგენადო“. ყველაზე ავბედითი პროგნოზებისათვის სურდათ დაეჯერებინათ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს, იმიტომ, რომ იმ დროისათვის მათ მკვეთრად შეიცვალეს საბჭოთა კავშირისადმი — ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავიანთი მოკავშირისადმი დამოკიდებულება.

გამოირკვა, რომ ამერიკელ პოლიტიკოსებთან საერთოდ ძნელია საქმის დაჭერა. გარდაიცვალა პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი და თეთრი სახლის დაკავებისთანავე ახალმა ადმინისტრაციამ დაივიწყა „მტკიცე“ დაპირებები და „მყარი“ ხელშეკრულებები. ამერიკელებმა, მაგალითად, ივალდებულეს დნეპრჰესისათვის აგრეგატების სრული კომპლექტის დამზადება, მაგრამ სამი მანქანის შემდეგ უეცრად შეგვიწყვიტეს მოწოდება. მათ ფოლადის ფურცლები სტრატეგიული მასალების სიაში შეიტანეს და ასევე ერთბაშად აღარ მოგვყიდეს. სხვათა შორის ამ ფურცლის გარეშე შეუძლებელია ავტომობილის ან ტრაქტორის წარმოება. ძველი თაობის ადამიანებს ალბათ ახსოვთ ომისშემდგომ წლებში ჩვენს გზებზე ფიცრული კაბინებითა და ფანერისფრთებიანი ჩვენი სატვირთო მანქანები.

დაიწყო „ცივი ომი“. იგი გაგრძელდა მრავალი, თითქმის ორი ათეული წელი. ეს არ ყოფილა არც პირველი და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი შემთხვევა, როცა კაპიტალისტური ქვეყნები, იმედს ამყარებდნენ რა ჩვენს სიძნელეებზე, ცდილობდნენ ეკარნახათ თავიანთი ნება-სურვილი, ჩარეულიყვნენ ჩვენს საშინაო საქმეებში. მარტივი ანგარიში იყო: სულ ერთია, საბჭოთა კავშირი გვთხოვს ამ მანქანებს და ამ ფოლადის ფურცლებს, კომუნისტები ვერაფერს გააწყობენ, გვეახლებიან და დაგვიჩოქებენო... სინამდვილეში კი რა მოხდა? დავიღუპეთ? შევდრკით? შევაჩერეთ ჩვენი წინსვლა? არა! თავიანთ პოლიტიკაში შეცდომა დაუშვეს ზღვის გაღმელმა ბრძენებმა. ამის შეხსენება დღეს საჭიროა, რადგან სასარგებლოცაა და აქტუალურიც.

მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა სოციალისტური ეკონომიკის ამოუწურავი რეზერვები, ჩვენი გეგმიანი ეკონომიკის შესაძლებლობანი, იმ ქვეყნის დიადი ძალა, რომელსაც ძალუძს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს,

გადააჯგუფოს თავისი ძალები, თავი მოუყაროს მათ მთავარი მიმართულებით.

საბოლოო ჯამში იმ მშენებლობებზე, რომლებზეც აქ გვაქვს საუბარი, არათუ არ შეჩერებულა სამუშაოები, არამედ, პირიქით, გაზრდილი ტემპით გაგრძელდა. ტურბინები და გენერატორები, რომელთა მოწოდებაზეც ამერიკელებმა უარი გვითხრეს, ლენინგრადისა და ნოვოკრამატორსკის მუშებმა და კონსტრუქტორებმა დაგვიმზადეს. და თუმცა ძალზე მკაცრი ვადები ჰქონდათ, მანქანები ამერიკულზე გაცილებით საიმედო და მძლავრი გამოუშვეს.

1947 წლის ადრე გაზაფხულზე აღორძინებულმა დნეპრჰესმა პირველი დენი მოგვცა, რაც შეეხება ფოლადის ფურცლის წარმოებას, საბჭოთა ადამიანებმა შეუძლებელი შეძლეს — ურთულესი წარმოება სულ რაღაც ერთ წელიწადში აღადგინეს. სერგო ორჯონიკიძის სახელობის „ზაპოროჟსტალის" ქარხნის პირველი რიგი (ხუთი საამქრო, რომელთაგან თითოეული, არსებითად, თვითონ იყო ქარხანა) საექსპლოატაციოდ გადაეცა იმავე 1947 წლის შემოდგომაზე.

ბედნიერი ვარ, რომ იმ დიადი საქმეების მოწმე და მონაწილე ვიყავ, რომ მე მომანდეს ომისშემდგომი აღორძინების მნიშვნელოვანი უბანი, რომ ზაპოროჟიელებთან ერთად ვმუშაობდი იმ დაუვიწყარ წელს. იმ ხანებში ბევრი რამ ახლებურად დავინახე, გავიგე, ბევრი რამ ვისწავლე. მე იქ უძნელესი სკოლა გამოვიარე.

## 2

ამ ჩანაწერებზე მუშაობისას მე ვთხოვე პარტიული და საბჭოთა არქივების მუშაკებს გამოეგზავნათ იმ წლების ზოგიერთი მასალა. ვსარგებლობ შემთხვევით და დახმარებისათვის მათ მადლობას მოვახსენებ. ზოგი დოკუმენტი სრულიად დამავიწყდა, ზოგიერთი კი პირველად ვიხილე.

ასეთია, მაგალითად, იმ ოქმის ფურცლები,რომელიც შედგენილია საოლქო კომიტეტის ბიუროს პირველ სხდომებზე (1946 წლის სექტემბერი). მახსენდება, სხდომა დიდხანს გაგვიგრძელდა: ბევრი საქმე დაგვიგროვდა, რომლებიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვდა. აი მათი არასრული სია:

პარტიის ნოვოვასილიოვკის რაიკომის ანგარიში;

დამზადების სამინისტროს დამამზადებელ პუნქტებსა და საწარმოებში პურის დაცვისა და შენახვის შესახებ;

ოლქში მოსავლის აღებისა და პურის დასამზადებლად ნავთობპროდუქტების შემოზიდვის შესახებ.

ვასილიოვკისა და ოსიპენკოს რაიონებში საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის შესახებ.

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თაობაზე „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ".

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ზაპოროჟიეს განთავისუფლების მესამე წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების შესახებ...

საქმეების ამ ზღვაში, რომელშიც ყელამდე აღმოვჩნდი ჩაფლული და რომელიც სასწრაფოდ მოითხოვდა გადაწყვეტას, იოლად დაიხრჩობოდა კაცი. როცა ამაზე ვფიქრობდი, ასეთ დასკვნამდე მივედი: მიმდინარე საკითხებისათვის უნდა მომეკიდა ხელი — ამას ვერსად გაექცევი — მაგრამ ძირითად საკითხად უნდა იქცეს ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესება.

პირველმა შთაბეჭდილებებმა იმედები არ გამიცრუა. „ზაპოროჟსტალის“ მოედანზე უამრავი ხალხი იყო (მშენებლობის „პიკის“ დროს — ორმოცდაშვიდი ათასი), კოლექტივი კი ვერ შეიკრა. დაახლოებით ორმოცი სამშენებლო სამმართველო და სუბსაიჯარო ორგანიზაცია მუშაობდა, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროს სხვადასხვა მთავარ სამმართველოს ექვემდებარებოდნენ. ერთბაშად შევეჯახე ამ კანტორების გათიშულობას, დაუსრულებელ კამათს, ურთიერთისათვის ბრალის დადებას. ისინი ყველგან იწყებდნენ მუშაობას და არსად არ ამთავრებდნენ. დისციპლინა დაბალ დონეზე იყო, ხოლო ურთიერთმოქმედება და თანამშრომლობა კი სრულიად არ არსებობდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იყო ყოველივე ის, რაც ადამიანთა მასას მჭიდრო კოლექტივად აქცევს.

ჩემი პირველი საზრუნავი გახდა ნათელი და პარტიული მომთხოვნელობის ვითარების შექმნა. დღეს უგრაფიკოდ მშენებლობას არავინ არა დაიწყებს, მაშინ კი ზოგიერთი ხელმძღვანელი სერიოზულად ამტკიცებდა, ჩვენს პირობებში გრაფიკი არ გამოდგებაო. ეს „არანორმალური“ მშენებლობაა — ვასუფთავებთ ჩამონაზღვლევებს, ვეზიდებით მილებს, კოჭებს, რელსებს, მანქანათა ვადარჩენილ დეტალებს, ასეთი შრომის ნორმირება შეუძლებელიაო.

ეს პრაქტიკად იქცა: ადამიანები უნორმოდ მუშაობდნენ, შრომის ნაყოფიერებას თვალით ზომავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გეგმას ვიწრო ადგილებს უსადაგებდნენ, მასვე უთანასწორებდნენ ზრდის ტემპს, იმას ეყრდნობოდნენ, რის გაკეთებასაც ასწრებდნენ ერთ ცვლაში, ანდა ერთ თვეში, და არა იმას, თუ რა იყო საჭირო, რისი გაკეთება იყო აუცილებელი.

უნდა დაგვეძლია ასეთი განწყობილება და საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე (მაშინდელი წესის მიხედვით მე იმავე დროს ქალაქკომის პირველი მდივანიც ვიყავი) საჭირო გახდა ამაზე საგანგებოდ გველაპარაკა. სტენოგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მშენებლები დავანამუსე: „თესვის მიმდინარეობისას სოფლის მეურნეობიდან მე ყოველ საღამოს ვიღებ ცნობებს, შეიძლია ჩავერიო, დავეხმარო, ჩამორჩენილ რაიონს მივაწოდო საწვავი, სათადარიგო ნაწილები. ნუთუ არ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ასეთივე სიცხადე გვქონდეს სამშენებლო მოედანზე? ჯერჯერობით ძნელი იქნება გრაფიკის შედგენა ამ უზარმაზარი კომპლექსისათვის, მაგრამ გასაშვებ, გადამწყვეტ ობიექტებზე იგი აუცილებელია. თუ არა გვაქვს გრაფიკი, — განვაგრძე მე, — თუ ხელთ არა გვაქვს ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება კონტროლი, მოთხოვნა, წახალისება, და თუ ეს საჭიროა — დასჯაც, საქმის არავითარ მკვეთრ წინწაწევაზე ალარც უნდა ვიფიქროთ“.

საქალაქო კომიტეტის პოზიციას აქტიურად დაუჭირეს მხარი „ზაპოროჟსტალის“ დირექტორმა ა. ნ. კუზმინმა, რომელიც აქ ჯერ კიდევ ომამდე მუშაობდა, და ზაპოროჟმშენის ტრესტის ახალმა მმართველმა ვ. ე. დიმშიცმა, რომელიც ჩემს შემდეგ სულ მალე ჩამოვიდა. ისინი განსხვავებული ადამიანები იყვნენ, მაგრამ საოცრად მარჯვედ ავსებდნენ ერთმანეთს.

ანატოლი ნიკოლოზის ძე კუზმინი შუატანის კაცი იყო, ჩასკვნილი, პენსნეს ატარებდა, რამდენადაც მახსოვს, ხმის ამაღლება არ უყვარდა. იერით ის ნამდვილი ინტელიგენტი ინჟინერი იყო, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ შევიტყვე, რომ პიტერელი პროლეტარების ოჯახიდან ყოფილა გამოსული. მას ყველაფერი ჰქონდა: ერუდიცია, ჭკუა, დიდი შრომისუნარიანობა, წარმოების საქმეში უდავო ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც

მისი სიდინჯე დამამახსოვრდა. რაღაც არ აეწყო, გეგმა გვივარდება — ანატოლი ნიკოლოზის ძე გარეგნულად აუღელვებელია. წარმატების დროც დადგა, მიტინგებია, — ისევ მშვიდადაა. აუჩქარებელი, საქმიანი კაცია.

მან ციიმე დღეები გადაიტანა ქარხანაში. 1941 წლის აგვისტოში ფაშისტურმა ჯარებმა, რომლებიც მოადგნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირს, ქალაქს ბომბები დაუშინეს. ორმოცდახუთი დღე ჩვენი არმია გმირულად ინარჩუნებდა მარცხენა ნაპირს და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ „ზაპოროჟსტალიდან“ ცხრა ათას ექვსასი ვაგონი ძვირფასი მოწყობილობა გამოზიდეს. ეს გმირობა იყო: საარტილერიო ყუმბარების ცეცხლქვეშ ადამიანებმა დაშალეს უმძიმესი დგანები, ფუთავდნენ მანქანათა კვანძებს და ტვირთავდნენ პლატფორმებზე, ნიშანს ადებდნენ, ადგენდნენ სამონტაჟო სქემებს — ყოველივე ამას კონტროლს უწევდა ა. ნ. კუზმინი. ქარხანა გემის კაპიტანივით უკანასკნელმა დატოვა, ჰიტლერელთა შემოჭრამდე ზუსტად ნახევარი საათით ადრე.

და უკვე ნახევარი წლის შემდეგ ზაპოროჟიელი მგლინავების ჯგუფი ნოვოსიბირსკში მუშაობდა თხელფურცლოვანთა დგანზე. ელექტროკაბელი, რომლის ამოღებაც მოასწრეს მიწისქვეშა გვირაბიდან (ცხრაას კილომეტრზე მეტი), ათობით თავდაცვითი ქარხნის დაკომპლექტებაში დაგვეხმარა. „ზაპოროჟსტალის“ მოწყობილობის ძირითადი ნაწილი ქვეყნის აღმოსავლეთში გაიგზავნა მაგნიტკაზე, სადაც ძალიან მალე აშენდა საშუალოფურცლოვანი საამქრო, რომელმაც ქვეყანას ზელეგირებული ფოლადისგან დამზადებული ჯავშანი მისცა.

დიმშიცს კუზმინის სრულიად საპირისპირო ხასიათი ჰქონდა: შეფასებებში ზოგჯერ კატეგორიული იყო, მაგრამ მასავით ჩინებულად ფლობდა საქმის სტრატეგიას და, შეიძლება ითქვას, ტაქტიკური ხელმძღვანელობის ოსტატი გახლდათ. უყვარდა გაბედული საინჟინრო გადაწყვეტები, შეეძლო ნოვატორისთვის მხარის დაჭერა და ყბედის ჩაჩუმება. მშენებლები საერთოდ სპეციფიკური ხალხია: მათ თათბირებზე ზოგჯერ არცთუ მთლად პარლამენტურ გამოთქმებს მოისმენდით. და, არ მინდა გამომრჩეს, რბილი ხასიათის, კეთილმოსურნე კუზმინსაც შეეძლო ასეთ მდგომარეობაში დაეცვა თავისი პოზიცია პრინციპულად და მტკიცედაც.

მშენებლებსა და ექსპლოატაციის მუშაკებს შორის, ჩვეულებრივ, თანხმობა არ არის ხოლმე, მაგრამ კუზმინი და დიმშიცი საერთო ენას მუდამ ნახულობდნენ და მათ შორის კონფლიქტი მე არ მახსოვს. პარტიის საოლქო კომიტეტი მუდამ ახდენდა გავლენას მათ ურთიერთობაზე. გრაფიკის თაობაზე ორივე მეთანხმებოდა და საბოლოო ჯამში იგი რეალობად იქცა. მკაცრი სადღეღამისო გრაფიკი ერთ მთელად კრავდა სხვადასხვა სამმართველოს მიერ შესრულებულ სამუშაოებს, ეხმარებოდა გაეკონტროლებინათ ობიექტების გაშვების მკაცრი დაცვა. ეს იყო ჩვენი საერთო გამარჯვება.

გულდასმით შედგენილ გრაფიკებს შემდეგ ამრავლებდნენ სტამბაში მომცრო წიგნაკებად. ეს წიგნაკები ჰქონდათ არა მარტო მშენებლობის ხელმძღვანელებს, არამედ ოსტატებს, სამუშაოს მწარმოებლებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკებს, სამშენებლო მოედანზე მოსულ ჟურნალისტებს. ისინი ხელს უწყობდნენ საჯაროობას, რაც ასევე აუცილებელია კოლექტივის შესაქმნელად. ერთი საქმეა, როცა ადამიანი თავის უბანზე იჩიჩქნება, არ იცის ირგვლივ რა ხდება, და სულ სხვა, როცა ის ყველა საქმის კურსშია, იცის რა ხდება მშენებლობაზე, იცის თავისი ადგილი საერთო მწყობრში.

მაგრამ გრაფიკის შემოღება, რა თქმა უნდა, საქმის ნახევარია, საჭირო იყო ყოველდღიური კონტროლის დაწესება მისი შესრულებისადმი, ფართო და თანაც საჯარო ანგარიშგება. მშენებლებმა ეს ამოცანაც შეასრულეს, შექმნეს სადისპეტჩერო სამსახურის აპარატი. მთავარი დისპეტჩერი გახდა გრიგოლ ლუბენეცი, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახლანდელი მძიმე მრეწველობის მინისტრი (საერთოდ ჩვენს ქარხნებსა და მშენებლობებზე არაერთი კარგი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი გაიზარდა). მაშინ გრიგოლ ლუბენეცი ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი იყო, ათობით ტელეფონს შორის ჩამჯდარიც კი ყველაფრის დანახვას ახერხებდა, ყველაფერს იმახსოვრებდა, ყველაფერს ასწრებდა და 17.00-ზე, როცა ყოველდღიური სადისპეტჩერო პატაკის ჯერი დგებოდა, შეეძლო ყოველ წამოჭრილ საკითხზე გაეცა პასუხი. ასე მოეღო ბოლო ფუჭ დავას, იმის მოჩაზეზებას, რომ რაღაცით არ უზრუნველყვეს, არ შემოიტანეს, — მონაცემები ყოველთვის ზუსტი იყო.

მიყვარდა დასწრება მშენებელთა თათბირებზე, რომლებსაც ისინი ნამდვილად ოპერატიულად ატარებდნენ. ხუთწუთიან შეკრებას საათობით არ აჭიანურებდნენ. ცხადია, ყოველივე ეს იოლი არ გახლდათ, საჭირო იყო ინერციის დაძლევა, ბრძოლა „საეგებიო“ ფსიქოლოგიასთან, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი მოგვარდა, მშენებლობა რიტმში შევიდა და თუ შეუთანხმებლობას მაინც ექნებოდა ადგილი, იგი ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე წყდებოდა.

მახსოვს, 1947 წლის მაისის დამდეგს საოლქო კომიტეტის მცირე დარბაზში ჩავატარეთ ზაპოროჟმშენის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დიმშიცმა. გამოვიდა კუვზმინეცი, რომელმაც ზედმიწევნით დეტალურად ჩამოთვალა მოთხოვნები მშენებლებისადმი, გამოვიდნენ მუშებიც. კრების დამთავრება წილად მხვდამე. წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გავუსვი, აუცილებელია გასაშვებ ობიექტებზე ძალების კონცენტრაცია-მეთქი. მაშინ ასეთი ობიექტები იყო თბოელექტროცენტრალი და ბრძმედი.

— იქმნება მეტად უჩვეულო ვითარება. მიუხედავად იმ უმდიდრესი გამოცდილებისა, რომელიც თქვენ გაქვთ, მაინც უნდა აღიაროთ, რომ პირველად გიხდებათ შეჯახება მშენებლობის ასეთ ტემპებთან და ასეთ მასშტაბებთან. გაშვების ვადა კი ეჭვს არ იწვევს ჩვენში. გასაშვებ ობიექტებზე ძალების თავმოყრისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამკვრელი მუშტის შექმნის გარეშე ვადებში ვერ ჩავეტევით. ზოგიერთ უბანზე, კერძოდ კი ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც ბრძმედია, ჩვენ ჯერჯერობით ვმოქმედებდით, რომ იტყვიან ,არა მუშტებით, არამედ თითებგაფარჩხული ხელებით. ეს კი ძლიერი დარტყმა როდია.

იმ წელს ყველანი ვსწავლობდით, ხოლო შემდგომში ძალების მუშტად შეკვრის ეს მეთოდი ყველამ სახელმძღვანელოდ გავიხადეთ. ეს მალე შეამჩნია და დაფასა მთელმა ქვეყანამ. „ზაპოროჟსტალისა“ და დნეპრჰესის აღდგენა საყოველთაო-სახალხო მშენებლობათა დამკვრელურ უბნებზე ძალებისა და საშუალებების კონცენტრირებული თავმოყრის კლასიკურ ნიმუშად არის აღიარებული, შემდგომში სწორედ ამ მეთოდით ხელმძღვანელობდა ჩვენი მრავალი მსხვილი მშენებლობა. ასე იქნა აგებული № 9 ზემძლავრი ბრძმედი კრივოი როგში და დგანი „3600“ ჟდანოვში, ვოლგის ავტოქარხანა და კამაზი; ამ გამოცდილებას დღესაც იყენებენ ტიუმენელი მენავთობეები და გაზის მომპოვებლები, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ხაზი გავუსვა ქვეყნის გუშინდელი

დღის, ჩვენ მიერ განვლილი გზის უმჭიდროეს კავშირს წამოჭრილ ახალ ამოცანებთან. წლითიწლობით იზრდება ჩვენი გეგმების გაქანება, პრობლემების მასშტაბურობა და სირთულე, რომელთა გადაწყვეტაც ახლებურად, ახალ დონეზე გვიხდება. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ვითვალისწინებდეთ სოციალიზმის მშენებლობის უმდიდრეს პრაქტიკას, პარტიისა და ხალხის ისტორიულ გამოცდილებას.

ამჟამად, მაგალითად, განსაკუთრებული მნიშვნელობის პროგრამაა დასავლეთ ციმბირის წიაღისეულის კომპლექსური ათვისება და საწარმოო ძალების განვითარება. ეს ჭეშმარიტად ჩვენი დროის დიდი მშენებლობაა, რომელიც თავისი გაქანებით, კაპიტალდაბანდებათა მოცულობით, ტექნიკური და სატრანსპორტო ამოცანების სირთულით ბევრად აღემატება ყოველივე იმას, რაც წინა წლებსა და ხუთწლედებში გვქონდა. აქ, ვითვალისწინებთ რა შეძენილ გამოცდილებას, მიუთუმეტეს არ უნდა დავუშვათ ძალების დაქსაქსვა. ჩვენს წინაშე სულ უფრო დაჟინებით დგება მთავარ მიმართულებებზე რესურსების თანამედროვე კონცენტრაციის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის ამოცანა, ესე იგი პრობლემების გადაწყვეტის რიგითობა სახალხო მეურნეობისათვის მათი მნიშვნელობის შესაბამისად.

იმ კონკრეტული რგოლების გამოვლინების უნარში, სადაც ძალების მინიმალური დანახარჯით შეიძლება უდიდესი და სწრაფი ეფექტის მიღება, საბოლოო შედეგების თვალსაზრისით ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტის უნარში მდგომარეობს დაგეგმვის და, საერთოდ, სამეურნეო ხელმძღვანელობის ხელოვნება.

ერთი სიტყვით, თუ ლენინის ენით ვილაპარაკებთ, იმ რგოლების გამოყოფას, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მთელი ჯაჭვის შენარჩუნება, კვლავინდებურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ყოველივე ეს პირველად, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ნამდვილად გავიგე და შევიცანი ზაპოროჟიეს მშენებლობის იმ მეტად დაძაბულსა და ბრძოლით აღსავსე წელს.

## 3

მშენებლობის პირველი დღეებიდანვე, ორგანიზატორული მუშაობის გარდა, როგორც უკვე ითქვა, დიდი ყურადღება დავუთმეთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. ეს საკითხები, ფაქტიურად , ერთდროულად წყდებოდა. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ უკვე განმტკიცებული კოლექტივებისაგან განსხვავებით, მაშინ ჩვენთან ყველაფერი მოძრაობაში იმყოფებოდა. საჭირო იყო გადაგვეწყვიტა ბინის, ყოფაცხოვრების, მომსახურების სფეროს საკითხები. ყოველდღიურად მშენებლობაზე ხომ ასობით ადამიანი მოდიოდა — დემობილიზებული მებრძოლები, მომენტაჟეები სხვა ოლქებიდან, ციმბირიდან, ურალიდან დაბრუნებული ჩვენი მეტალურგები, გერმანიაში ძალით გარეკილი ადგილობრივი მცხოვრებნი, ახალგაზრდები ახლომახლო კოლმეურნეობებიდან. ადამიანები პარტიულ აღრიცხვაზე აგვყავდა და უკვე მშენებლობის პროცესში საჭირო იყო თვალი გვედევნებინა, თუ ვინ რას წარმოადგენდა.

პარტიული რიგების შევსება ხდებოდა მშენებლობის საუკეთესო ადამიანებით. ზაპოროჟმშენზე 1947 წლის პირველ ნახევარში სკპ (ბ) რიგებში მივიღეთ ორჯერ მეტი მუშა, ვიდრე მთელი 1946 წლის მანძილზე. მათ შორის იყო, მაგალითად, მემონტაჟე ივანე რუმიანცევი, რომლის სახელიც ქუხდა იმ წლებში. ამგვარად მტკიცდებოდა მრავალათასიანი კოლექტივის მებრძოლი ბირთვი, საჭირო იყო შეგვეხსენებინა ადამიანებისათვის, რომ პარტიული კომიტე-

ტის მდივანი — ეს, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ხელმძღვანელია, ხოლო თითოეული კომუნისტი — პოლიტიკური მებრძოლი.

საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე გავაკრიტიკე უკრაინის კპ (ბ) ნოვოვასილევკის რაიკომის მდივანი. საერთოდ კარგი, ინიციატივიანი მუშაკი გახლდათ, მაგრამ მეტისმეტად იყო გატაცებული სამეურნეო საქმეებით, ყელამდე იყო ჩაფლული მათში. მაშინ მე ვთქვი, რომ რაიკომის მდივანი — ეს, პირველ რიგში, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელია დიდ ადმინისტრაციულ რაიონში. ზოგიერთი ჩვენი მდივნის გამოსვლა კი უფრო მეურნე კაცის მოხსენებას მოგვაგონებს — მათ გამოსვლებში პოლიტიკური ხაზი არ იგრძნობა-მეთქი. აი თუნდაც, ნოვოვასილევკის მდივანი კარგად ლაპარაკობდა ტრაქტორებსა და ხარებზე. მაგრამ როგორც კი საკითხი პარტიულ მუშაობას შეეხო, მყისვე ბუქსაობა დაიწყო. ასე არვარგა! პარტიულ მუშაობაში უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ვითარების პოლიტიკური ანალიზი, მაშინ ისიც გეცოდინება, თუ რა მხრივ მიუდგე სამეურნეო საქმეებს.

იმ დღეებში, როდესაც „ზაპოროჟსტალის" მშენებლები ჩამორჩებოდნენ, როდესაც დნეპრჰესი დიდ სიძნელეებს განიცდიდა, გამუდმებით მესმოდა: ცემენტი მოგვეცით და ყველაფერი კარგად წავაო. ბევრს ასე ეგონა, რომ ყოველივე ამის მიზეზი მხოლოდ მასალების ნაკლებობა იყო. ნაკლებობა, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადი გახლდათ, რომ ადამიანები გადაეჩვივნენ საკუთარი შეცდომების დანახვას, ფაციფუცის, დავისა და წუთიერი ზრუნვის მიღმა იცვლებოდა პერსპექტივა, იკარგებოდა მთავარი. როდესაც ახლა პლენუმების, კონფერენციების, აქტივების სტენოგრამებს ვფურცლავ, ვხედავ, რა ხშირად მიწევდა ამაზე ლაპარაკი.

— ცემენტი უდავოდ საჭიროა, უიმისოდ ბეტონს ვერ დაამზადებ, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანს, ვინც ბეტონს ასხამს კამხალში, ესმოდეს, რატომ არის საჭირო ამ ბეტონის ჩასხმა და დატკეპნა ოცგრადუსიან ყინვაში ორმოცი მეტრის სიმაღლეზე. ჰიტლერელებს ბევრი ტექნიკა და ყველაფერი ჰქონდათ, რაც კი ბრძოლისათვის იყო საჭირო, და მაინც გავიმარჯვეთ, ვინაიდან ჩვენც და იმ ჯარისკაცებსაც, რომლებიც საბრძოლველად მიგვყავდა, ღრმად გვქონდა შეგნებული, თუ რატომ გადავდიოდით შეტევაზე მტრის სიმაგრეთა ასაღებად, რატომ არ ვუშინდებოდით ცეცხლსა და სიკვდილს. აი რატომ არიან პარტიული ორგანიზაციები მოვალენი თავიანთი საქმიანობის ქვაკუთხედად გაიხადონ ადამიანის აღზრდის ამოცანა. მაშინ, უნდა ითქვას, ცემენტიც და სხვაც ყველაფერი უეჭველად უფრო ჩქარა გაჩნდება და საქმეც ბევრად უკეთ წავგივა.

ომს ხშირად ვიგონებდით ტრიბუნაზე გამოსვლისას. ეს ხდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ მაშინ ფრონტული ამბები განსაკუთრებით ახლობელი და გასაგები იყო, არამედ იმიტომაც, რომ მთელი ვითარება იმ წელს ბრძოლას მოგვაგონებდა — მშენებლობანი ბრძოლის ველად იყო ქცეული. კარგად მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა დნეპრჰესის მშენებლებთან. მალე მას შემდეგ, რაც მუშაობას შევუდექი, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა პარტიის დნეპრმშენის რაიკომი, რომელიც ვეებერთელა მშენებლობის კომუნისტებს აერთიანებდა. მათი პირველი კონფერენცია საქმიანად ჩატარდა, გამოვიდნენ მუშები, ინჟინრები, სამსახურის უფროსები, წამოჭრეს მწვავე ტექნიკური პრობლემები, ლაპარაკობდნენ არსებულ სიძნელეებზე, გამოთქვამდნენ

საყვედურებს ერთმანეთისადმი. პრეზიდიუმის მაგიდასთან ვიჯექი, გულდასმით ვუსმენდი, ზოგ რამეს ბლოკნოტში ვიწერდი. შემდეგ სიტყვა ვითხოვე.

შესაძლოა, ზოგიერთი მოელოდა, რომ საოლქო კომიტეტის მდივანი იქვე გაანსჯიდა, თუ ვინ იყო მათ შორის მართალი და ვინ კიდევ მტყუანი. მაგრამ მე შეგნებულად არ ჩავერიე მათ დავაში. ვიფიქრე: პირველ შეხვედრაზე ეს ნაადრევი იქნება, ჰიდრომშენებლობის ტექნიკაზე საერთოდ არ ვილაპარაკებ, რომ ამას უჩემოდაც გაარკვევენ-მეთქი. უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ იმჟამად ჩვენს ყურადღებას ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მივაპყრობდით. გადავწყვიტე თავდაპირველად გამომეყო სამი ძირითადი საკითხი: დისციპლინა მშენებლობაზე, კრიტიკა და თვითკრიტიკა, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება.

„როგორ დგას ჩვენთან შეჯიბრების საქმე? გულახდილად ვიტყვი: ძალიან ცუდად. სამამულო ომის დღეებში, განსაკუთრებით მის გადამწყვეტ ეტაპებზე, როდესაც ჯარების წინაშე ძნელი ამოცანა იდგა, მასალების, სახელოსნოების და სხვათა უქონლობის მიუხედავად, ძალზე აქტიურად ვიყენებდით თვალსაჩინო აგიტაციას. მაგალითად, როდესაც კიევის ასაღებად ვემზადებოდით, ჯარები ტყეში განლაგდნენ, მაგრამ ვერსად ვერ ნახავდით ისეთ ადგილს, რომ იქ პლაკატები და ლოზუნგები არ მოგხვედროდათ თვალში. შეგეძლოთ გენახათ ხეზე ამოკვეთილი წარწერა: „ავიღებთ კიევს!“. ფანერის პატარა ნაჭრებზე ეწერა: „მებრძოლო, ხვალ შენ კიევში იქნები!“ ტანკებზე, საზიდრებზე, ავტომანქანებზე — ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა — დაწერილი ასეთი მოკლე მოწოდებებით მივიწევდით ბერლინისაკენ, გავათავისუფლეთ პრაღა. დღეს კი გახლდით საღგურზე, კაშხალზე და არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს: არც ლოზუნგები, არც მოწოდებები, არც ერთი მოწინავის გვარი, არავითარი ციფრები — რისთვის და სად ვიბრძვით. ასეთია საქმის ვითარება შეჯიბრების თვალსაჩინოების მხრივ.

პარტიული კომიტეტი, — ვამბობდი შემდგომ, — უნდა იცნობდეს შრომის ყველა დამკვრელს. და არა მარტო უნდა იცნობდეს, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების დახმარებით მათი მიღწევები, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი მეთოდები ყველა მშენებლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს. რამდენი პროცენტით შეასრულა ამა თუ იმ ბრიგადამ გეგმა, ხვალვე უნდა გახდეს ცნობილი პრესის, რადიოსა და სააგიტაციო ფურცლების მეშვეობით. ჩვენ მოვალენი ვართ გამოვიყენოთ პარტიის მიერ მოპოვებულ საშუალებათა მთელი არსენალი. და თუ პარტიული კომიტეტი მიაღწევს შეჯიბრების ქმედითობას, გახდის მას ნამდვილად მასობრივს, მაშინ დნეპრჰესი დროზე ამუშავდება. და თუ პარტკომი მხოლოდ საგეგმო განყოფილების ცნობებით კმაყოფილდება, ეს არ არის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა...

ხ მ ა  დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ნ: ჩვენთან კი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ცნობების მიხედვით მსჯელობენ!

— მაშასადამე, საჭიროა ბოლო მოვუღოთ ამას. შეჯიბრება უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია შინაპარტიული მუშაობის დონე. თუ მშენებლობაზე იქნება მტკიცე პარტიული დისციპლინა, შევძლებთ წესრიგის დამყარებას და მთელი მუშაობა გაუმჯობესდება, ვინაიდან არ არსებობს ისეთი ბრძანება, რომელიც კომუნისტისათვის პარტიის ბრძანებაზე უფრო ძლიერი იყოს...“

როდესაც დღეს ამ გამოსვლებს ვკითხულობ, რაღაც განმეორებებს ამჩნევ,

მაგრამ მთლიანად ამ პოზიციას მე ახლაც მოვიწონებდი და დავუჭერდი მხარს. იმიტომ, რომ ხაზი, პოლიტიკური ხაზი მხოლოდ მაშინ გაიმართება, როდესაც დღითიდღე, თვიდან თვემდე აღწევ დასახულ მიზანს, ავითარებ შენს იდეას, არ ღალატობ სიტყვას, არ ივიწყებ საკუთარ გადაწყვეტილებას. აი კიდევ ერთი სტენოგრამა: ლაპარაკი უკვე სულ სხვა აუდიტორიაშია, თუმცა თემა კი იგივეა:

„...ამხანაგებო, იძულებული ვარ აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენთან თვალსაჩინო აგიტაცია ოდნავადაც არ ასახავს მშენებლობის მსვლელობასა და გაქანებას. ზოგად მოწოდებებს ვისთვის მოუტანია სარგებლობა. „ზაპოროჟსტალი“— ეს სამხრეთის მარგალიტია!“ ლამაზი პლაკატია? დიახ, ლამაზია. სწორია? დიახ, სწორია. მაგრამ რას იძლევა იგი, რაზე მიგვანიშნებს? ჩვენ გვჭირდება კონკრეტული მოწოდებანი სამოქმედოდ, გვჭირდება პლაკატები, რომლებშიც იქნება ციფრები, თარიღები. ნოვატორი ინჟინრების, სტახანოველების, წამყვანი პროფესიის მუშების სახელები. ამასთან, არა ერთი და იგივე, ასე ვთქვათ, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულთა სახელები, არამედ იმ ადამიანთა სულ ახალი და ახალი სახელები, ვინც დღეს წინ გაიჭრა შეჯიბრებაში. ჩვენ მოვალენი ვართ დავანახოთ ხალხს „ზაპოროჟმშენის“ მუშაკთა ეს შესანიშნავი კოჰორტა!“

როგორც ორგანიზატორულ, ისე პოლიტიკურ მუშაობას ერთი მიზნისაკენ მივყავდით. პარტიის საოლქო კომიტეტი აღწევდა იმას, რომ ადამიანთა მასა კოლექტივად გადაექცია, რათა კოლექტივში აღზრდილიყვნენ წინამძღოლები, ცნობილი, თვალსაჩინო ადამიანები. და მრავალი ასეთი ადამიანი აღიზარდა კიდეც. მე მათ ყურმოკვრით როდი ვიცნობდი. მშენებლობებზე ყოფნისას მათ უშუალოდ იქ ვესაუბრებოდი, სადაც ისინი მუშაობდნენ. ასეთ ვითარებაში, როგორც საბრძოლო სანგარში, ყველაზე უკეთ ეცნობი ადამიანს.

აი ერთი საოცარი ამბავი. ყოველთვის, როცა დნეპრმშენზე მიხდებოდა ყოფნა, ჯერ კიდევ შორიდან მომესმოდა ხოლმე კისკისი გოგონებისა, კაშხალის ტანში რომ ასხამდნენ ბეტონს. წარბებამდე თავწაკრულნი, ცემენტის მტვრით დაფიფქულნი, პაპანაქებასა თუ ყინვაში არასოდეს არ კარგავდნენ მხნეობას. კითხვაზე, როგორ არის-მეთქი საქმე თქვენთან, პასუხად ყოველთვის მესმოდა მათი წკრიალა ხმა: „კარგად!“ ეს გახლდათ ანია ლოშკარევას ბრიგადა, რესპუბლიკის საპატიო წიგნში რომ იყო შეტანილი. აქტივის ერთ-ერთ კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დამკვრელური, კომკავშირული, ფრონტული ბრიგადები, შესვენებისას მომიახლოვდნენ კოპწიად გამოწყობილი გოგონები და მე უეცრად ვერც კი ვიცანი ჩემი ძველი ნაცნობები.

— თქვენი ბრიგადაც ხომ ფრონტულია?

— იყო ფრონტული.

— არა, ანია, არ გეთანხმები. მოსალოდნელია წყალდიდობა, საჭიროა კარგი ბეტონი, თქვენზეა დამოკიდებული ყველა ბრიგადის მუშაობის ხარისხი. თქვენი ფრონტი ჯერ კიდევ წინაა.

გოგონები ჩინებულად მუშაობდნენ. ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავის ზეიმზე ისინი დემონსტრანტთა შორის დავინახე და მიკროფონში ჩავძახე: „სალამი ანია ლოშკარევას ბრიგადას!“ შემომხედეს, გაიღიმეს...

მალე გავიგე, რომ ანია მძიმედ დაავადდა. თავი იჩინა ომისდროინდელმა მშიერმა ბავშვობამ — ტუბერკულოზი აღმოაჩნდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიღონეთ ანიას გამოჯანმრთელებისათვის, შევთავაზეთ სხვა სამუშაო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გადაჭრით უარი თქვა: „მშენებლობისა და ჩემი გოგოების გარეშე არ შემიძლიაო“.

დნეპრჰესის აღდგენისათვის ანა ლოშკარევამ ლენინის ორდენი მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა კვლავ შეგვყარა მოლდავეთში. იგი გამოჯანმრთელდა და მეუღლესთან ერთად აშენებდა დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურს. დარწმუნებული ვარ: იგი განკურნეს არა მარტო წამლებმა და სამხრეთის სანატორიუმებმა, არამედ ანიამ თვითონ გადაირჩინა თავი იმით, რომ შეინარჩუნა მხნეობა, არ მიატოვა მუშაობა, არ ჩაიკეტა თავის თავში, ცხოვრობდა სისხლსავსე ცხოვრებით. ამას წინათ მიამბეს: ანა სტეფანეს ასულმა ოთხი ჯანსაღი ბავშვი აღზარდა და მუშათა საერთო საცხოვრებლის კომენდანტად მუშაობსო. ვფიქრობ, ეს კარგი მაგალითია ახალგაზრდობისათვის.

სხვა სამშენებლო მოედანზე გავიცანი მილმემონტაჟე ივანე რუმიანცევი. ეს გახლდათ ახალგაზრდა, ნაცრისფერთვალა ლამაზი ყმაწვილი. მეოცნებე, ჭკვიანი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი. მართლაც, მეტისმეტად ადრე გახდა მუშა: მამა ფრონტზე დაეღუპა და გადაწყვიტა დედას დახმარებოდა. რაც სკოლიდან ვერ მიიღო, ცნობისმოყვარეობით, გამოცდილებითა და ნიჭით მოიპოვა. ივანე აშენებდა მსხვილ საწარმოებს იაროსლავლში, გორკში, ჩირჩიკში, ჩვენთან კი ზაპოროჟმშენში მუშაობდა. სწორედ მან წამოაყენა მსხვილბლოკიანი მონტაჟის იმ დროისათვის ახალი მეთოდი.

— მილებს მიწაზე ავაწყობთ ხოლმე, — ამიხსნა მან,—ვასწორებთ, ვაზუსტებთ, ვამონტაჟებთ რგოლებად. ასე უფრო ადვილად, მოხერხებულად და, რასაკვირველია, უფრო სწრაფადაც ვმუშაობთ. ამწეთი ან ჯალამბრით უკვე მზა კვანძები მაღლა აგვაქვს და ისღა გვრჩება, რომ ერთ მთლიანად შევაერთოთ. არაჩვეულებრივი ამაში არაფერია!

— სარისკო ან სახიფათო ხომ არ არის ადამიანებისათვის?

მან გაიღიმა:

— თვალისთვის საშიშია, ხელი კი მუშაობს. ამაზე ნუ ინაღვლებთ, ლეონიდის ძევ, ყველაფერი წინასწარ მოვზომეთ, ინჟინრებმაც შეამოწმეს.

მეტალურგიაში ბევრია მილგაყვანილობა. ისინი აკავშირებენ ყველა საამქროს, ერთმანეთში იხლართებიან ყველა მიმართულებით. ეს სამუშაოთა მეტად დაძაბული უბანი გახლდათ. ვურჩიე სამონტაჟო სამმართველოს პარტბიუროს წევრებს ეთხოვათ რუმიანცევისათვის გამოსულიყო ღია პარტიულ კრებაზე. კრების ანგარიში დაბეჭდა ჩვენმა გაზეთმა „სტროიტელმა“, შემდეგ „პრავდამ“ გამოაქვეყნა მოზრდილი სტატია „ივანე რუმიანცევის გამოცდილება — ყველა მშენებლობას“, და მეთოდიც სწრაფად გავრცელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

შემდგომში ივანე ალექსანდრეს ძე მუშაობდა ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობაზე, ეხმარებოდა ინდოელებს ბჰილაის მეტალურგიული კომბინატის დამონტაჟებაში....

ასეთი შეხვედრები ბევრი იყო და ყველას ვერ ჩამოთვლი. ნუ მიწყენენ ის ამხანაგები, რომელთა დასახელებაც აქ ვერ შევძელი. მე ისინი არ დამვიწყებია.

## 4

საერთოდ, შევნიშნავ, რომ ხსოვნა ადამიანებისა, განსაკუთრებით კარგი ადამიანებისა, პარტიული მუშაკისათვის ადამიანური ვალი და პროფესიული მოვალეობაა. მათთან ურთიერთობა მუდამ აუცილებელია. იგი ამდიდრებს პარტიულ მუშაკს, განამტკიცებს მის კავშირს ცხოვრებასთან, ეხმარება, ასე

ვთქვათ, პირველწყაროდან გაიგო ადამიანთა ფიქრები, ინტერესები, საჭიროებანი. და, ბოლოს, უბრალოდ სასიამოვნოა გაიცნო კარგი ადამიანი — მუშა, კოლმეურნე, მშენებელი, აგრონომი, მხატვარი, ჟურნალისტი, მეცნიერი. პირადად მე არასოდეს ვიშურებდი დროს საამისოდ, და თვით პარტიული და პოლიტიკური მუშაობის ხასიათიც, საბედნიეროდ, ხელს უწყობს ამას.

ზაპოროჟიეში ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენ გავანაწილეთ მოვალეობანი საოლქო კომიტეტის მდივნებს შორის. დავასახელებ იმ მოვალეობებს, რომლებიც მე მხვდა წილად: ოლქის საერთო ხელმძღვანელობა, ბიუროსათვის საკითხების მომზადება, სოფლის მეურნეობა, პროპაგანდა და აგიტაცია, ოლქის საგეგმო განყოფილების, კომკავშირის საოლქო კომიტეტის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართველოების მუშაობის ხელმძღვანელობა, პროკურატურა, საკადრო საკითხები. და მთელ ამ მუშაობაში მთავარი იყვნენ ადამიანები, მთავარი იყო მათი გაგება და ისიც, რომ მათაც გაეგოთ შენთვის.

პირველი მდივნის მუშაობაში არ არსებობს მეორეხარისხოვანი საქმეები. ავიღოთ თუნდაც მოსახლეობის მიღება — განა შეიძლება არ მივიჩნიოთ იგი მნიშვნელოვან საქმედ? არცთუ დიდი ხნის წინათ ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა „ზაპოროჟსტალის" ძველი მეექსკავატორე და ილაპარაკა ასეთ ეპიზოდზე. მისმა ცოლმა დაკარგა ყველა სასურსათო ბარათი. ოთხი ადამიანი თითქმის მთელი თვის განმავლობაში უპუროდ დარჩა. და აი, გვიამბობს მუშა, იგი წავიდა მიღებაზე საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან, რომელმაც მას დახმარების ხელი გაუწოდა. პირადად მე დიდი ხანია დამავიწყდა ეს შემთხვევა, მაგრამ ამ ადამიანს ახსოვს, მისთვის ამას მაშინ საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა.

პურის ბარათების ამბავი სიმბოლური ეპიზოდია. მის მიღმა დგას ჩვენ მიერ გადატანილი უდიდესი სიძნელენი. ომით გამოწვეული ნგრევის შემდეგ წარმოუდგენელი შრომის ფასად ვმკიდით და ვაბინავებდით პურს, ლამის ხელახლა გვიხდებოდა მეცხოველეობის განვითარება გაჩანაგებულ, გადამწვარ ფერმებში. უდიდეს ძალ-ღონეს მოითხოვდა მუშათა სასადილოებში კვების მოგვარება, საბავშვო დაწესებულებებისა და საავადმყოფოების სურსათით უზრუნველყოფა, ამასთან გვიხდებოდა მათი ხელახლა აშენება. წარმოუდგენლად ძნელი გახლდათ ათიათასობით ადამიანის უზრუნველყოფა ბინით. „ქარხანას ვერ ჩავაბარებთ, თუ ბინები არ გვექნებაო", — თითქმის ყველა კრებაზე იმეორებდა ამას კუზმინი და, რა თქმა უნდა, მართალი იყო. წინასწარ ვიტყვი, რომ ქალაქის აღდგენის პერიოდში სწორედ ზაპოროჟმშენმა დანერგა ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდი, რომელმაც ერთისამად შეამცირა სახლების აგების ჩვეულებრივი ვადები. სახლები ხომ მაშინ ტიპობრივი არ იყო, როგორც ახლაა, გვიხდებოდა სხვადასხვაგვარი და სხვადასხვანაირად დანგრეული ქოხმახების აღდგენა. 1947 წელს ჩავაბარეთ ორმოცდათხუთმეტი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ეს იმ დროისათვის უდიდესი მიღწევა იყო...

აქამდე ძირითადად დნეპრჰესსა და „ზაპოროჟსტალზე" ვლაპარაკობდით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქსა და ოლქში არ იყო სხვა ობიექტები, რომლებიც შეუნელებელ ყურადღებას საჭიროებდა. აღადგენდნენ, მაგალითად, კომბაინის ქარხანა „კომუნარს". თავდაპირველად ჯერ კიდევ ნახევრად დანგრეულ საამქროებში ქარხანა უშვებდა სამკაულ-საბულულებლებს, ეხმარებოდა კოლმეურნეობებს გადარჩენილი კომბაინების შეკეთებაში,

აკეთებდა მათთვის ჰედერებს, და ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. 1946 წლის შემოდგომაზე საოლქო კომიტეტის ბიურომ მოითხოვა ახალი, თანაც უფრო სრულყოფილი, მანქანების გამოშვების დაჩქარება. 1947 წლის გაზაფხულზე ბიურომ იმსჯელა „ს-6“ კომბაინების სერიულ გამოშვებაზე, ხოლო საოლქო კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე უკვე აღინიშნა, რომ მათი გამოშვება მესამე კვარტალში მეორე კვარტალთან შედარებით 3,3-ჯერ გაიზარდა.

როდესაც თვალს ვავლებთ და ვიგონებთ უკვე მიღწეულს, ჩვენ ამ გამოცდილებიდან ვიღებთ იმას, რაც ღირებულია დღეს და სასარგებლოა მომავლისათვის. ძნელ, დაძაბულ ჟამს საკუთარი პრაქტიკით დავრწმუნდი, რომ სწორია მეთოდი, რომელიც ჩვენში ტრადიციული გახდა. საოლქო კომიტეტის ბიურო დღენიადაგ, დაჟინებით და მომთხოვნელობით უბრუნდებოდა რთულ პრობლემებს. რაკი ამოცანა დასმულია, იგი ბოლომდე უნდა შესრულდეს! წლების მანძილზე განმტკიცდა ასეთი პოზიცია: ორგანიზებულობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლება განუყოფელია გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისაგან. ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები რომ მთლიანად ასრულებდნენ მათ მიერვე მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, მაშინ დიდი ხანია აღარ იქნებოდა ლაპარაკი მრავალ ნაკლოვანებაზე.

ერთ დროს ზაპოროჟიეში ძალიან მწვავედ იდგა ადგილობრივ საშენ მასალათა პრობლემა, რომლებზეც დამოკიდებული იყო დნეპრმშენიც, ზაპოროჟმშენიც, და იგივე „კომუნარი“, მთელი ოლქის საბინაო მშენებლობაც. როგორც მიღებულია, იმოწმებდნენ ობიექტურ სიძნელეებს მიმართავდნენ ყოველნაირ ფორმალობას და ნახულობდნენ საბაბს, გეგონებოდათ, მართლაც არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ 1947 წლის მარტში გამართულ ბიუროზე მოვისმინეთ ეს საკითხი, მაისში კვლავ დავუბრუნდით მას, არც ყოველდღიურ კონტროლს ვივიწყებდით, და უკვე წლის მეორე ნახევრიდან სიტყვა „აგური“ გაქრა ჩვენი ოქმებიდან. პრობლემა გადაწყდა.

მუშაობა გვიხდებოდა ისეთ საკითხებზეც, რომლებიც, მართალია, არ უკავშირდებოდა მეურნეობას, საყოფაცხოვრებო პრობლემებს, მაგრამ ასევე საჭირო იყო, ვინაიდან ადამიანის ბედს შეეხებოდა. უშიშროების ორგანოები მუშაობდნენ, რათა მოეძებნათ და ემხილებინათ მოღალატეები, ფაშისტებს რომ ეხმარებოდნენ, პოლიციელები, დამსჯელები, რომლებიც სად არ გინდა რომ იმალებოდნენ. ისინი ვერ უნდა გაქცეოდნენ შურისგებას. მაგრამ ეს მუშაობა უაღრესად დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვდა, რათა ეჭვის მიტანით შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა პატიოსანი ადამიანებისათვის. ასეთ საქმეში პარტიული მონაწილეობა სავალდებულო იყო. საგანგებოდ ვუსვამდი ხაზს, რომ არ შეიძლება მოღალატედ მივიჩნიოთ ყველა, ვინც თავისდა უნებურად ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ ომისშემდგომი დრო განსაკუთრებულ სიფხიზლეს მოითხოვდა. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ მომხდარიყო, თანაც კიდევ დაძრწოდნენ შეიარაღებული ბანდები. ღამღამობით სროლის ხმაც ისმოდა. თვითონ მივუჯდებოდი საჭეს და მარტო დავდიოდი გზებზე, ხშირად ღამითაც კი. რა დასანანი იქნებოდა, რომ ომის ქარცეცხლში გამოვლილს, ბრმა ტყვია წამომწეოდა. მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, პირადი უშიშროებისათვის ვის ეცალა, სხვა რამ მაღელვებდა — საჭირო იყო მთელი მოსახლეობის უშიშროებისა და მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ.

1947 წლის თებერვალში საოლქო კომიტეტის ბიუროს მოუხდა საგანგებო დადგენილების მიღება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. მახსოვს, მასში ნათქვამი იყო, რომ მოვალენი ვიყავით გადაგვესროლა ამ ფრონტზე კომუნისტები და კომკავშირელები, გაგვეძლიერებინა წესრიგის დაცვის ორგანოები, გაგვეწმინდა მერყევი ადამიანებისაგან: „რაკი ამორალური საქციელი ჩაიდინა — შევცვალოთ ეს კაცი! დაე, ცარიელი ადგილი იყოს, უმჯობესია, მაშინ ხომ ყველა დაინახავს, რომ ადგილი ცარიელია, რომ იქ უნდა გაიგზავნოს ძლიერი მუშაკი, ანდა სერიოზულად მოჰკიდეთ ხელი ყველამ კოლექტიურად მის ხელახლა აღზრდას“.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო მილიციის მუშაობა. რა ჯურის ხალხს არ ნახავდით ზაპოროჟიეში ჩამოსულს, ქალაქი კი ჩაბნელებული იყო, უფანრებო, უტრანსპორტო, და მახსოვს მომენტი, როცა ძარცვა და ხულიგნობის შემთხვევები სერიოზულად გვიშლიდა ხელს მოგვეგვარებინა მუშაობა მესამე ცვლაში. საჭირო იყო მილიციის ავტორიტეტის ამაღლება, მისი განმტკიცება, იგი კი (ასეთი დეტალიც მაგონდება) უბრალოდ ცუდად ჩაცმული იყო. ერთ-ერთ სხდომაზე ვთქვი: „უპირველეს ყოვლისა მილიციელებს უნდა ჩავაცვათ იმისათვის, რომ შორიდანვე დაინახონ — აგერ, მოდის კანონიერებისა და წესრიგის დამცველი“.

შეიძლება დავასახელოთ ბევრი სხვა, გიგანტური მშენებლობების საქმეებთან შედარებით თითქოსდა არც თუ ისე დიდ პრობლემა. მაგრამ ყოველივე ეს ცხოვრებაა და ყველაფრისათვის საჭირო იყო დროისა და შეუმცდარი გადაწყვეტილებების გამონახვა. რა თქმა უნდა, მე ვერასდროს ვერ შევძლებდი, როგორც იტყვიან, ამ ტვირთის აწევას, რომ იგი განაწილებული არ ყოფილიყო საოლქო კომიტეტის სხვა მდივნებს შორის, რომ მუშაობაში ჩაბმული არ ყოფილიყო პარტიის საოლქო კომიტეტის ყველა განყოფილება და აპარატი, და ბოლოს, ამ საკითხების უმეტესი ნაწილი პრაქტიკულად რომ არ გადაეწყვიტათ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. და აქ მინდა ხაზი გავუსვა პარტიული ხელმძღვანელის ერთ მნიშვნელოვან თვისებას: მას უნარი უნდა შესწევდეს კი არ შეცვალოს სხვა მუშაკები, არამედ გამონახოს თანამხანაგები, ენდობოდეს მათ, გაიზიაროს მათთან ერთად საზრუნავი და შრომა, მიიღოს პასუხსაგები გადაწყვეტილებანი კოლექტიურად.

ზაპოროჟიეში ძირითადად ძლიერმა, მცოდნე, საქმიანმა ხალხმა მოიყარა თავი. მინდა ვთქვა, რომ საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო ანდრია პავლეს ძე კირილენკო. საოლქო კომიტეტის მდივნები იყვნენ გ. ვ. ენიუტინი, ჰ. ს. რეზნიკი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა ნ. პ. მოისეენკო. ამრიგად, მყავდა ხალხი, რომელსაც შემეძლო დავყრდნობოდი...

1947 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული თითქმის დღეგამოშვებით მივდიოდი ზაპოროჟმშენში, ხოლო ზაფხულში ჩემი სამუშაო კაბინეტიც კი იქ გადავიტანე. მშენებარე თბოელექტროცენტრალსა და № 3 ბრძმედს შორის იყო ქვესადგური, რომლის ნახევარი გადაურჩა აფეთქებას. გამომინახეს ოთახი, დამიდგეს საწერი მაგიდა, ტელეფონი, ორი სკამი და საწოლი იმ შემთხვევისათვის, თუ ღამის ცვლაში დავრჩებოდი. ასეთი შემთხვევები კი ხშირი იყო.

პრაქტიკულად მშენებლობის ყველა საკითხზე მიხდებოდა მუშაობა. მძიმე დრო იყო, და ყოველი დღე ჩვენ წინაშე ახალ პრობლემას აყენებდა. მახსოვს, მივიღეთ გადაწყვეტილება ორცვლიან მუშაობაზე გადავსულიყავით. ეს საშუალებას გვაძლევდა დაგვეჩქარებინა მშენებლობა, შეგვესრულებინა გეგმა. მაგრამ, გასაგებია, საღამოთი უსინათლოდ მუშაობა შეუძლებელია.

ელექტრონათურები კი ოლქში არ იშოვებოდა. და აი, გადავწყვიტე წერილი გამეგზავნა სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხ. ჟდანოვისათვის. ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე დაგვხმარებოდა, რომ სამი ათასი ნათურა გამოეგზავნათ. სამიოდე დღე გავიდა, და არათუ დადებითი პასუხი, ნათურებიც მივიღეთ. შესაძლებელი გახდა მეორე ცვლის მოწყობა, მრავალი ადამიანის შრომის შემსუბუქება. ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ცენტრალური კომიტეტი ყოველ უმნიშვნელო თხოვნასაც კი, რომელიც ინდუსტრიული გიგანტის აღდგენას ეხებოდა.

ზოგჯერ მაინც მიხდებოდა მშენებლობის გარდა სხვა საქმეებითაც დავინტერესებულიყავი. მახსოვს, თესვის დროს ბერდიანსკიდან ვბრუნდებოდი ეჩქარობდი, ღამე მინდორში, წინა წლის თივის ზვინში გავათიე, დილის შვიდ საათზე კი პოლოგოვსკის რაიონში შევიარე. რაიკომის მდივანს შერსტიუკს საუბარში ვკითხე, როგორ მიდის-მეთქი თესვა, როგორ არის ტექნიკის საქმე, ის კი, ვხედავ, საგონებელშია ჩავარდნილი.

— შენ რა, ალექსანდრე საბას ძევ? პირდაპირ თქვი, რა დაგემართა?

— ყველაფერი წესრიგში მაქვს... ამ დილით რადიოს მოუსმინეთ?

— არა, რა იყო?

— „პრავდის“ მოწინავეში ტყავი გაგვაძრეს, გესმით, „ზაპოროჟსტალის“ აღდგენის ნელი ტემპის გამო. ფორმულირებები ძალზე მკაცრია.

გავჩუმდით.

— მაშ ასე... — ვთქვი მე — მაშასადამე, სტალინი დარეკავს, წასვლაა საჭირო.

ღამით ი. ბ. სტალინმა მართლაც დამირეკა. სერიოზული საუბარი გვქონდა. ის, რისი მიღწევაც მოვასწარით, რაც ცოტა ხნის წინათ წარმატებად ითვლებოდა, უცებ ლამის მარცხად შეტრიალდა. შეიცვალა გარემოებანი ოლქში კი არა, ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში, მთელი კომპლექსის ამოქმედების ვადები, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ფოლადის ფურცელი, უახლოესი შემოდგომისათვის დაგვიდგინეს, გვებრძანა მშენებლობის ტემპის დაჩქარება. მე უკვე ვთქვი, რომ ეს დაკავშირებული იყო „ცივ ომთან“.

1947 წლის 16 მარტს გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი ვადების შესახებ, მას მოჰყვა კიდევ ერთი — მოწყობილობათა დამონტაჟების დაჩქარების შესახებ, ხოლო 8 აპრილს სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მშენებლობის პარტკომის მუშაობის შესახებ, ანუ მისი პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფის შესახებ. ქვეყნის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები ერთი თვის მანძილზე სამჯერ დაუბრუნდნენ ჩვენს საქმეებს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მკაცრად აკრიტიკებდა ზაპოროჟმშენის პარტიულ კომიტეტს იმისათვის, რომ რთულ პირობებში იგი მოთხოვნილების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა, და თუმცა ნამდვილ მუშაობას მხოლოდ წლის ბოლოს შევუდექი, თუმცა შემეძლო მეთქვა, რომ ამაში ბრალი არ მიმიძღოდა, პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მაინც მე უნდა მეტვირთა. ეს საოლქო კომიტეტის პირველ მდივნის მუშაობის კიდევ ერთი თვისებაა: როგორც ხელმძღვანელს, როგორც კომუნისტს, მას არ შეუძლია თავი იმართლოს იმით, თითქოს რომელიღაც შემთხვევას არ დასწრებია, რაღაც არ იცოდა, რაღაც-რაღაცებისათვის კი სხვა ამხანაგები აგებენ პასუხს. იმ წუთიდან, როცა კი ოლქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩაიბარა, პირველი მდივანი ყველაფერზე აგებს პასუხს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოსვლიდან მესამე დღეს ჩა-

ტარდა ზაპოროჟმშენის პარტიული კრება. გაიმართა გულახდილი, პრინციპული, მკაცრი საუბარი. კრიტიკულად გავაანალიზე მშენებლობაზე შექმნილი საქმის ვითარება და ჩემს გამოსვლაში დაწვრილებით ვილაპარაკე აგრეთვე უკრაინის კპ (ბ) საქალაქო და საოლქო კომიტეტების მუშაობის ნაკლოვანებებზე.

28 აპრილს საკითხი სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ გავიტანეთ პარტიის ზაპოროჟიეს საქალაქო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე. მშენებლები და ექსპლოატაციის დარგის მუშაკები მოვიდნენ უკვე ახალი გეგმების მონახაზებით, გრაფიკებით, და გაიმართა კონკრეტული საუბარი. კუზმინმა, მაგალითად, მოიტანა ასეთი გაანგარიშება: თუ ჩვენს მიერ მარტში მიღწეული დონით ვივლით, მაშინ საბრძმედე ღუმელების ამოქმედებისათვის დაგვჭირდება ოთხი თვე, სლაბინგის ამოქმედებისათვის — კიდევ ოთხი თვე, ხოლო ცივი გლინვის საამქროსათვის — რვაზე მეტი.

— მარტის გეგმა რომ შესრულებულია, ამან არ უნდა დაგვამშვიდოს, — თქვა ქარხნის დირექტორმა. — აპრილთან შედარებითაც კი ტემპი ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს.

აუცილებელი იყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად ამაღლება.

— მშენებლობებზე, — ითქვა მაშინ საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, — დღეს ოცდაათი ათასი მუშა შრომობს. უბნები კი ადამიანების ნაკლებობას მაინც განიცდიან. შრომის ნაყოფიერების ამაღლებას ოცი პროცენტით რომ შევძლებდეთ, ეს გაუტოლდებოდა იმ ექვსი ათას კაცს, რომლებიც მშენებლობას არ ყოფნის.

დადგა ისეთი დრო, როცა ანგარიში დავიწყეთ არა წლობით, არამედ თვეებით და დღეებითაც კი. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ვალდებული ვართ ვგეგმავდეთ არა იმის მიხედვით, თუ „რა შეიძლება“, არამედ — თუ „რა არის საჭირო“. როდესაც გამოცხადდა, რომ ყოველ დღე-ღამეში მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება მოგვიხდებოდა, დარბაზი აგუგუნდა, ბევრს კიდევ ეჭვი ეპარებოდა თავის ძალებში (სხვათა შორის, ამ ზღურბლს უკვე მაისის ბოლოს მივაღწიეთ, ხოლო შემოდგომაზე, როცა მწყობრში შედიოდა საგლინავი საამქროები, დღე-ღამეში შესრულებული სამუშაოების ღირებულება ორ მილიონამდე აღწევდა).

მე სხდომის ბოლოს გამოვედი. უმთავრესად ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო მშენებლობაზე საბრძოლო მობილურობის, საერთო ამაღლებული განწყობილების, ყაირათიანობისა და თვითდისციპლინის ვითარების შექმნა. სწორედ ეს გახდა ახლა მთავარი, ძირითადი, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. იმ დროისათვის ბევრი დაკვირვება დამიგროვდა, რათა თვალნათლივ მეჩვენებინა ჩვენი დაუდევრობანი და შესაძლებლობანი.

გავიხსენე შემთხვევა, როცა დიდ საამქროში ყველა ფანჯარა და სახურავის ფარანი შემინეს, მეზობლად კი მალე აფეთქება მოახდინეს. ფანჯრები თითქოს არც კი ყოფილა. გამოდის, რომ მუშებს აგიტაციას ვუწევთ ეკონომიაზე, ჩვენ კი მინებს ვამსხვრევთ. ასე მუშაობა არ ვარგა! ზაპოროჟმშენის პარტკომმა უყაირათობისათვის განურჩევლად უნდა დასაჯოს ხელმძღვანელი კომუნისტები. ამას მკვეთრად ჰქონდა ხაზი გასმული. მაგრამ იქვე საჭიროდ ჩავთვალე დამემატებინა:

— როცა ჩვენ უმოქმედობას ვიჩენთ, ვაპატიებთ ხოლმე უპასუხისმგებლობას, ეს ძალზე საშიშია, მაგრამ მე არ მინდა მოვუწოდო პარტიულ კომიტეტს გარიცხოს ვინმე პარტიიდან, ანდა, როგორც იტყვიან, ჩამოარიგოს საყვედურები. არც ეს არის მეთოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო იყო გაგვეფრთხილებინა ამხანაგები სხვა უკიდურესობაში არ გადავარდნილიყვნენ...

## 5

პირველი დღეებიდანვე ვცდილობდით მიგვეღწია კადრებთან მზრუნველობითი დამოკიდებულებისათვის, ვუფრთხილდებოდით პარტიული კეთილსასურველობის ვითარებას, რომელიც უკვე დამყარდა ჩვენს ორგანიზაციაში. მე საერთოდ არასოდეს არ ვყოფილვარ უხეში, მყვირალა, ანდა როგორც კიდევ ამბობენ ხოლმე, ხელმძღვანელობის „თვითნებური" მეთოდის მომხრე, თუ კაცი დაშინებულია, იგი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს.ჩვენ კი არ უნდა შეგვებოჭა, არამედ, პირიქით, მხარი დაგვეჭირა ყველაზე ფართო ინიციატივისათვის. იმ დაძაბულ პირობებში, ნოვატორობის, აქტიური ძიების გარეშე ვერაფერს ვერ მივაღწევდით. თუმცა საერთოდ ხმაურს, მშვიდ პირობებშიაც კი, არაფერი შედეგი არ მოაქვს.

მოვიყვან ასეთ მაგალითს. ჩვენთან მონტაჟზე მუშაობდა იმ დროისათვის ძლიერი კოშკურა ამწე ბკ-151. საქმის დაჩქარების სურვილით იგი გადატვირთეს, და ამწე წაიქცა, მწყობრიდან გამოვიდა. როდესაც ავარიის შესახებ შემატყობინეს, მოედნისაკენ გავეშურე, იქ კი ყვიროდნენ, ხმაურობდნენ, მეამწე გაფითრებული იდგა, საქვაბე ზედამხედველობიდან და საგამოძიებო ორგანოებიდანაც მოესწროთ მოსვლა. სიმშვიდე თითქოს მარტო კუზმინს შეენარჩუნებინა.

— მსხვერპლი ხომ არ არის? — ვკითხე მას.

— არა, — მიპასუხა. — მოხერხებულად წაიქცა. სპეციალური გაანგარიშება რომ გაეკეთებინათ, ჩვენს სივიწროვეში ამაზე უკეთესად ვერ მოთავსდებოდა.

გარჩევას შევუდექით. მართლაც, ამწე თავისუფალ ნაკვეთზე წაიქცა, არავინ არ მოუკლავს, არაფერი არ დაუნგრევია. მაგრამ უკვე მესმის ისტერიკა: „მავნებლობაა! მემანქანე გავასამართლოთ! სამუშაოთა მწარმოებელი გავასამართლოთ!" მინდა, რომ სწორად გაიგოთ: მე იმის მომხრე ვარ, რომ ნამდვილი არამზადები და დამნაშავეები, რომელთა დანაშაულიც მთლიანად დადასტურებულია, მკაცრად და, რაც მთავარია, უდავოდ დაისაჯონ. მაგრამ, რაკი დავრწმუნდი, რომ აქ რაიმე ბოროტგანზრახვას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ გაუფრთხილებლობას, მოვითხოვე, ტონი შეეცვალათ, რატომ შევქმნათ ნერვული და შიშის ატმოსფერო? პირიქით, ამ უბედურებით გამოწვეული მწარე გრძნობის გაბათილებით უნდა შეგულიანებულიყვნენ ადამიანები, მდგომარეობიდან სწრაფი, ყველაზე მეტად გონივრული გამოსავალის საძებნელად.

და გამოსავალი მოვნახეთ. მშენებლებმა გამოიყენეს ვანტიანი დერიკის სისტემა, დამონტაჟება გაგრძელდა და გრაფიკიც კი არ დარღვეულა. რას მისცემდა სასტიკად დასჯა ადამიანებს, მშენებლობას, იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით? დიდი-დიდი დაეშინებინა ამ მაგალითს სხვა მემანქანეები, სხვა სამუშაოთა მწარმოებლები. მაგრამ აბა დაეწყოთ ჩვენს დამკვრელებსა და ინჟინერ-ნოვატორებს „აქედან აქამდე" მუშაობა, გაჰყოლოდნენ ისინი ინსტრუქციის ყველა პარაგრაფს, მაშინ მშენებლობის უმკაცრესი ვადების შესრულებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

დანგრეულის აღდგენის მეცნიერება არ არსებობდა, არ იყო სახელმძღვანელოები, რომლებიც გვასწავლიდნენ, თუ როგორ აღგვედგინა ფერფლიდან გადამწვარი, დანგრეული, აფეთქებული ნაგებობანი, ყველაფერს პირველად, ყველაფერს ხელახლა ვაკეთებდით. თვით ამოცანა იყო გაბედული, და ნოვატორობის სულისკვეთება კი არ უნდა ჩაგვეკლა, არამედ მუშების, ინჟინრების, პარ-

ტიული მუშაკების — ყველას გამბედაობა წაგვეხალისებინა. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გაგებულ იმ მცხუნვარე ზაფხულში, დამკვრელური მშენებლობის ყველა უბანზე ადამიანები ამსხვრევდნენ ჩვეულ ნორმებს და, მაშასადამე, მიდიოდნენ რისკზე. მაგრამ ეს იყო ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ზუსტ გაანგარიშებაზე დაყრდნობილი გამართლებული და მოფიქრებული რისკი.

საჭირო გახდა, მაგალითად, რკინიგზის ბაქნიდან მოგვეხსნა საგლინავი დაზგის სადგარი, რომელიც ოთხმოცდაორ ტონას იწონიდა. ფურცელსაგლინავში კი მარტო ოცდაათტონიანი ამწე ჰქონდათ. ყველა ინსტრუქციის მიხედვით საჭირო იყო უფრო მძლავრი ტექნიკა. და ბრიგადისათვის იმაზე უფრო ადვილი არაფერი იყო, რომ მუშაობაზე **უარი ეთქვა: მოძებნეთ საჭირო ამწე,** მოიყვანეთ ადგილზე, ჩვენ კი მოგიცდითო. მაგრამ ადამიანები სხვაგვარად მოიქცნენ.

ტაკელაჟური სამუშაოების ძველმა ოსტატმა, ჩუმმა, გარეგნულად თითქოს პირქუშმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩეპიგამ ბაქანს ირგვლივ შემოუარა, დაათვალიერა უმძიმესი სადგარი, შემდეგ — მისთვის დამზადებული საძირკველი. თავისთვის რაღაც იანგარიშა, მერე ბრიგადის წევრებს მიუჯდა, ინჟინრებთან გაანგარიშება შეამოწმა, და ყოველივე ამის შემდგომ შესრულდა ნომერი, რომელსაც ჩვენთან „საცირკო“ უწოდეს. ბაქანსა და საძირკველს შორის შპალების ფიცარნაგი გადეს. შემდეგ სადგურის ზედა ნაწილი გამოაბეს და ჩეპიგას ბრძანებაზე ამწემ (სწორედ იმ ოცდაათტონიანმა) ეს ნაწილი ფიცარნაგზე გადაიტანა. შემდეგ მეორე მხარე გამოუბეს და საძირკველთან მიიტანეს. ასე თანდათანობით დააყენეს სადგარი საჭირო მდგომარეობაში. ხერხიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ სიმძიმის ძირითადი ნაწილი მაგარ საყრდენზე მოდიოდა. და ეს საზრიანობაზე, ზუსტ გაანგარიშებაზე დამყარებული ნიჭი, მუშა კაცის მიერ განხორციელებული, მართლაც ნამდვილი ჯადოსნობა იყო.

ზუსტად ასევე შემოაბრუნა მან შემდეგ უკვე ასოცდაათტონიანი საგლინავი დაზგის მაკრატლის სადგარი. ამასთან დროის ნორმა შემცირებულ იქნა ოთხმოცდაათჯერ! მსგავს ეპიზოდს ჰქონდა ადგილი თბოელექტროცენტრალის აღდგენისას, როცა ქვაბის მძიმე დოლურა დიდ სიმაღლეზე აჰქონდათ. საპასუხისმგებლო საქმე იყო, საჭირო ამწეები არც იქ გააჩნდათ, მაგრამ ერთ-ერთმა ინჟინერმა წამოაყენა წინადადება მოეწყოთ კომბინირებული ამწე ნაკლები სიმძლავრის ისრისა და თვით შენობის წამწეების დახმარებით. საკავშირო სამრეწველო სამუშაოების სპეციალისტებმა განგაში ატეხეს, მაგრამ როცა ისინი საქვაბე დარბაზში მოვიდნენ, დოლურა უკვე დაყენებული იყო. რამდენიმე დღის მაგივრად ამაზე ოცდაათი წუთი დაიხარჯა.

ერთხელ როგორღაც სტალინგრადიდან ჩამოსულ მემონტაჟეთა ჯგუფთან მივედი: „გამარჯობათ. ამხანაგო გვარდიელებო!“ ასე მარტო იმიტომ კი არ მივმართე მათ, რომ ბევრს ჯერ კიდევ არ გაეხადა ჯარისკაცული გიმნასტიურა, აგრეთვე იმიტომაც, რომ მემონტაჟეები ჩვენს შემდეგ მოდიოდნენ, მათზე იყო დამოკიდებული საბოლოო ვადა, და როგორც იტყვიან. მათ უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ. ჩვეულებისამებრ ვკითხე რა სიახლე იყო უბანში. ისინი კი ხარხარებდნენ. როდესაც მიამბეს, რაც მათ გადახდათ, მეც გამეცინა.

ეს იყო სასაცილო შემთხვევა, მათთან მოხვდა ნახაზი კატეგორიული რეზოლუციით „ავარიულია. გაკეთდეს დღესვე. ლივშიცი“. მემონტაჟეებს დაუყოვნებლივ თანავე თავზარი დაეცათ, ყველაზე მკაცრი სამუშაო ნორმების მიხედვით აქ სამი დღის საქმე. იყო. შეიკურთხეს კიდეც, მაგრამ სხვა გზა არ იყო, გონივრულად შეუტიეს და ყველაფერი იმავე დღეს დაამონტაჟეს. ამ დროს მათთან საკონს-

ტრესტორიო ბიუროდან ქალიშვილმა მიირბინა და იკითხა: „ნახაზი სად არის?“. თურმე მეტალურგიული ქარხნების საპროექტო ინსტიტუტის ენერგოსექტორის უფროსის ამხანაგ ლივშიცის რეზოლუცია მემონტაჟეებს სულაც არ ეხებოდა. იგი მხოლოდ ნახაზის ასლის გადაღებას ითხოვდა.

ყოველ უბანზე ადამიანები თავდადებით, ნიჭიერად, გაბედულად მუშაობდნენ. იყო შემთხვევები, როცა შინ არ მიდიოდნენ, სანამ დავალებას არ შეასრულებდნენ, რამდენიმე დღეს რჩებოდნენ მშენებლობაზე — წაიძინებდნენ ხოლმე სადმე ჩრდილში სამ-ოთხ საათს და ისევ მუშაობას იწყებდნენ. ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომლის მისაღწევადაც თავიდანვე იბრძოდა საოლქო კომიტეტი: საერთო აღმავლობის, უდიდესი მიზანსწრაფვის, საკუთარი ძალების დაუშრეტელი რწმენის ატმოსფერო. ვიგრძენი მშენებლობაზე გადამწყვეტი გარდატეხა ხდებოდა, ახლა ჩვენ ვივლიდით წინ და წინ. გაიზარდა მშრომელთა გვარდია, რომელსაც შესწევდა ყველაზე დიდი გეგმების, ყველაზე მოკლე ვადების დაძლევის ძალა. საჭირო იყო ტემპი არ დაკარგულიყო, ისევე როგორც ფრონტზე ერთიმეორის მიყოლებით სიმაგრეების აღება...

ზაპოროჟიელთა შრომითი შედეგები საერთო შრომის ფრონტზე შესამჩნევი გახდა. „ისევე როგორც პირველი ხუთწლედების დროს, — წერდა „პრავდა“, — მთელი ქვეყანა აშენებდა „მაგნიტომშენსა“ და „კუზბასმშენს“, ისე ახლაც სიტყვა „ზაპოროჟმშენი“ უნდა იყოს არა მარტო მშენებლობის საბრძოლო მუშაობის პაროლი, არამედ ყველასი, ვიზედაც არის დამოკიდებული ზაპოროჟიეს მეტალურგიული ქარხნის სწრაფად აღდგენა“.

ადამიანების აღმაფრთოვანებელ მრავალ საშუალებათა შორის იმ ზაფხულს დიდი როლი შეასრულა პრესამ, ნათელმა ბოლშევიკურმა სიტყვამ. ჩავედი თუ არა ზაპოროჟიეში სამუშაოდ, მაშინვე მოვითხოვე საოლქო გაზეთების ტირაჟების გადიდება. და თუმცა ქვეყანას ქაღალდი არ ყოფნიდა, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მაინც დაგვეხმარა. მივაღწიეთ აგრეთვე მუშათა დასახლებების რადიოფიცირებას. შემდეგში აპარატის მუშაკები გაკვირვებული იყვნენ იმით, რომ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მათ პრაქტიკაში პირველად გაიტანა ბიუროზე ზაპოროჟმშენის მრავალტირაჟიანი გაზეთის „სტროიტელის“ რედაქციის ანგარიში. ბიუროს გადაწყვეტილებაში ჩაიწერა: „პარტკომი სათანადოდ არ აფასებს გაზეთის უდიდეს ორგანიზატორულ როლს მასებთან იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაში, არ იყენებს მას როგორც ტრიბუნას...“

ყველაზე ცხარე დროს სამშენებლო მოედანზე მუშაობდნენ გაზეთების „პრავდის“, „რადიანსკა უკრაინის“, „ბოლშევიკ ზაპოროჟიას“ გამსვლელი რედაქციები. ჩვენი საოლქო გაზეთის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს ანდრია კლიუჩენკოს ფრონტიდან ვიცნობდი, ერთად განვვლეთ გზა კავკასიიდან პრაღამდე. იგი იყო პოლკის გაბედული კომისარი და გაბედული ჟურნალისტიც გახდა — საგაზეთო საქმეში, რა თქმა უნდა, ესეც აუცილებელია. მახსოვს აგრეთვე „ბოლშევიკ ზაპოროჟიას“ გამსვლელი რედაქციის რედაქტორი ვლადიმერ რეპინი. გამხდარი, მაღალი, სათვალიანი. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ცოდნით, შეეძლო პირველს შეეტყო მშენებლობის სიახლენი, და უმალვე გაზეთის ფურცლების საშუალებით ისინი ყველასათვის ცნობილი ხდებოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი მიძღვნილი ფურცლების გამოშვება რეგულარულად დავიწყეთ. კომკავშირელები მათ ყრიდნენ ქალაქში სატვირთო მანქანებიდან, ხოლო ზოგჯერ პატარა თვითმფრინავ „პო-2“-დან. აი ჩვენთვის ძალზე ძვირფასი გამარჯვებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ფურცლის ტექსტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელვა. სამშობლოვ, მიიღე ჩვენი პატაკი:
არის
ზაპოროჟიეს
თუჯი!

მებრძმედეებმა დღეს აწარმოეს ომისშემდგომი თუჯის პირველი გამოშვება. ზაპოროჟიეს მშენებელო! შენ ხედავ შენი თავდადებული შრომის ნაყოფს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ.

მთელი საბჭოთა ხალხი მიესალმება ზემძლავრი ბრძმედისა და „ზაპოროჟსტალის“ თბოელექტროცენტრალის აღორძინებას როგორც მკვდრეთით აღდგომას, იმიტომ, რომ იცის, მიწასთან რაოდენ გაასწორეს ისინი ფაშისტმა მტარვალებმა.

მთელი ჩვენი ქვეყანა მადლობით წარმოთქვამს დღეს შენს სახელს — ზაპოროჟიეს მშენებელო!

წინ, ახალი წარმატებებისაკენ!“

მაგრამ წინ წავედი: ამ ზეიმამდე, როგორც იტყვიან, მიღწევა იყო საჭირო. გამოდიოდა მკვეთრად კრიტიკული ფურცლებიც იმათი გვარების აღნიშვნით, ვინც მშენებლობას აფერხებდა. მოვიყვან თითქოსდა უმნიშვნელო ასეთ მაგალითს: ვიღაცას გზაში სლაბი დარჩენოდა. იგი ხელს უშლიდათ მუშაობაში. და აი, მეორე დილით ამ სლაბზე გაჩნდა წარწერა: „მალის ოსტატო, მოაშორეთ სლაბი — იგი ხელს გვიშლის მუშაობაში. ვადა — 5 საათი“. იქვე იყო ხელმოწერა. და თქვენ როგორ ფიქრობთ — მოაშორეს, გზა გაწმინდეს! უნდა ითქვას, რომ ეს ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა.

კარგად „მუშაობდა“ აგრეთვე ყოველგვარი სახის თვალსაჩინო აგიტაცია. მიდიხარ მოედანზე და ყველგან ციფრებს, თარიღებს ხედავ: გავუშვათ სლაბინგი ამა და ამ რიცხვისათვის, ცივი გლინვა — ამა და ამისათვის,დარჩენილია 30 დღე, შემდეგ 15... 10... 5 დღე. მშენებლობის საქმეების შესახებ მთელმა ქალაქმა იცოდა, მიტინგებზე ვიწვევდით ყველა მცხოვრებს, მშენებლები მოდიოდნენ ოჯახებით.

— ეს რა არის, შეეძლო ეთქვა ახალგაზრდა ცოლს ქმრისათვის — სხვებს აქებენ, შენს შესახებ კი კრინტიც არ დაუძრავთ?

ანდა გაიგონებდით ბავშვურ შეკითხვას:

— მამა, ძია პეტრეს რატომ უკრავენ ტაშს და შენ კი არა?

ეს არის ნამდვილი ცოცხალი მასობრივი მუშაობა, და მისი ეფექტიანობა ძალზე დიდია. დიდი შეცდომაა იფიქრო, თითქოს ადამიანს მარტო მატერიალური სტიმულები სჭირდებოდეს :არა, საბჭოთა ადამიანს ძალზე ბევრი რამ სჭირდება — დიდ საქმეში თავისი მონაწილეობის შეგნება, შრომაში თავის გამოჩენისადმი მისწრაფება, თავისი ოსტატობით გამოწვეული სიამაყე, ამხანაგების პატივისცემა და პატივი.

მაგრამ ყველა ამ ზნეობრივ მოთხოვნილებებს, რა თქმა უნდა, ჩანერგვა სჭირდება და ამაში გაზეთის ყველგანმყოფი მუშაკები ძალზე კარგად გვეხმარებოდნენ. მოწინავე გამოცდილება, ადამიანის ნათელი ბედი, ვიღაცის რეკორდი, საბრძოლო საქმეები რომელიღაც უბანზე — ყველაფერი ეს ოპერატიულად შუქდებოდა გაზეთებში. ჟურნალისტი მშენებლობის სრულუფლებიანი მონაწილე იყო.

მახსოვს, გამსვლელი რედაქციების თანამშრომლებს ვურჩევდი აუცილებლივ მიეღოთ მონაწილეობა გასაშვები ობიექტების შემოვლაში, რასაც ქარხნისა და მშენებლობის ხელმძღვანელებთან ერთად ყოველდღიურად ვატარებდი. იქ ყოველთვის წამოიჭრებოდა ხოლმე საინტერესო საკითხები. იმართებოდა

სასარგებლო საუბრები, ცნობილი ხდებოდნენ მშენებლობის ახალი გმირები. პრესისაგან ველოდით არა მარტო ქებას, არამედ მკაცრ კრიტიკასაც.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავ, რომ ვცდილობდით აგრეთვე მშენებლები, მემონტაჟეები, ექსპლოატაციის დარგის მუშაკები ზედმეტად არ გამოეძახებინათ სხვადასხვა ინსტანციაში. „მთელი მუშაობა გადაიტანეთ ობიექტებზე — ვეუბნებოდი ხოლმე ხშირად ჩემს ამხანაგებს. — თუ საქმე გაქვთ, თქვენ თვითონ მოდით მოედანზე“. და რაკი ისინი ხედავდნენ, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თავადაც სწორედ ასე იქცევაო, მალე ეს ჩვევად გადაექცა პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ყველა მდივანს, განყოფილებათა გამგეებს, ინსტრუქტორებს. და ეს თვითონ მათთვისაც ძალზე სასარგებლო იყო.

## 6

სამუშაოები მჭარდი ტემპით მიმდინარეობდა. მშენებლობა მოითხოვდა ყველა შესაძლებლობის, შრომის ნოვატორული მეთოდების მობილიზებას, პროგრესულ-ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, გაბედულებასა და საზრიანობას. შევნიშნე: ჩვენი ყოველგვარი სიძნელეები და ნაკლოვანებანი ხშირად წარმოშობდა ხოლმე ახალ და ორიგინალურ იდეებს. აი მრავალთაგან ორი მაგალითი, რომლებიც დამამახსოვრდა.

№ 3 ბრძმედი, რომლის აღდგენაც პირველ რიგში წარმოებდა, ერთადერთი იყო, რომელიც აფეთქების შემდეგ გადარჩა, მაგრამ იგი დაჯდა, გვერდზე გადაიხარა პიზას კოშკივით და საბოლოო წაქცევისაგან მას მხოლოდ შიგ დატანებული კაზმი აკავებდა. გამოსავალი თითქოს ერთი რამ იყო: გიგანტური ღუმელის დემონტირება, ხოლო შემდეგ ხელახლა დადგმა, მაგრამ ფოლადკონსტრუქციის სამმართველოს მუშაკებმა, რომლებსაც სათავეში დიდად გამოცდილი მემონტაჟე მ. ნ. ჩუდანი ედგა, სხვა გზა აირჩიეს. გადაწყდა გაესწორებინათ ღუმელი, რაც მანამდე არავის, არასოდეს არ გაეკეთებინა. სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ა. ვ. შეგალმა, რომელმაც შეიმუშავა ეს პროექტი, ასე მითხრა:

— მდგომარეობა გვაიძულებს სამშენებლო ხელოვნების ცნობილი ხერხები „სამკურნალო ქირურგიის“ ელემენტებით შევავსოთ.

ერთ მშვენიერ დილით მემონტაჟეებმა მოაცილეს ხარიხა (გაცივებული თუჯი) ბრძმედს, შეუყენეს ასიდან ორას ტონამდე სიმძლავრის ცხრა ჰიდრავლიკური დომკრატი, შემდეგ გაჭრეს ღუმელის გარსაცმი და აწევას შეუდგნენ. გარს შემოხვეული ასობით მშენებელი გაირინდა. ცვლის დამთავრების შემდეგ ბევრი დარჩა. დაღლილები, გამოუძინებელი იყვნენ, მაგრამ ყველა დაძაბული ელოდა, რით დამთავრდებოდა ეს. მეც დავრჩი. იმ დღეს სხვა საქმეებიც მქონდა, მაგრამ როგორც დანარჩენებმა, წასვლა ვერც მე შევძელი. გიგანტური ღუმელი ოდნავ შესამჩნევად შეტოკდა და ნელ-ნელა ვერტიკალურ ხაზთან მიახლოება დაიწყო. აწევა ხუთსაათნახევარს მიმდინარეობდა, მოედანი კი არავის მიუტოვებია. მეც ბოლომდე ვიდექი, სანამ წარმოშობილი ნაპრალი ორივე მხრიდან ფოლადის შუასადებებით არ შეადუღეს. საქმე გაკეთდა. ორი თვის მაგივრად — ხუთსაათნახევარს მოუნდნენ! სახელმწიფოს ამან მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგა. გაბედული გადაწყვეტილებისათვის მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩუდანსა და აიზიკ ვოლფის ძე შაგალს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა აგრეთვე ფოლადმონტაჟის სამმართველოს უფროსი მარკ ივანეს ძე ნედუჟკო, კაცი დიდად ნიჭიერი და გაბედული. იგი ჩემი დნეპროპეტროვსკელი თანამემამულე იყო. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, ქარხანაში ზეინკლად, შემდუღებლად მუშაობდა. შემდეგ მემონტაჟე გახდა. ხუთწლედის პერიოდში უკვე სამონტაჟო სამუშაოებს ხელმძ-

ღვანელობდა ურალისა და ციმბირის მშენებლობებზე, ომის დროს ბენზინსადენი გაჰყავდა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში. მილებს ლადოგის ტბის ყინულზე ამონტაჟებდნენ, შემდეგ კი ფსკერზე უშვებდნენ და ამრიგად უზრუნველყოფდნენ ლენინგრადის ფრონტს საწვავით. სროლისას მარკ ივანეს ძე ლადოგის ყინულიან წყალში ჩავარდა და მას შემდეგ მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. მაგრამ იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

მის სამმართველოს დავალებული ჰქონდა აღედგინა ზაპოროჟიეში საგლინავი საამქროები — სწორედ ისინი, რომლებიც დაანგრიეს ფაშისტებმა განსაკუთრებული ურჯუკული გულმოდგინებით (მე უკვე მოგახსენეთ კოლონებზე „F“ წითელი ლიტერების შესახებ). და აი, გაერკვა თუ არა ამ ფოლადის ჯართში, მარკ ივანეს ძემ წამოაყენა მალის მთლიანად აწევის წინადადება. ეს აზრი გაოცებას იწვევდა თავისი გაბედულებითა და სიახლით. მან ასაღორძინებელი საამქრო ვეებერთელა ბლოკებად დაყო: თითოეული აერთიანებდა ოცამდე კოლონას და სულ ცოტა ათას ტონას იწონიდა. შემდეგ ავტოგენით მათი გაჭრის შედეგად განაცალკევა ერთი ბლოკი მეორისაგან და ამის შემდეგ ამოქმედდა ტელესკოპიური დგარები — ამწევი მოწყობილობანი, რომელთა კონსტრუქცია ნედუჟკომ თავისი სამმართველოს მთავარ ინჟინერთან გრიგოლ ვასილის ძე პეტრენკოსთან ერთად შექმნა. იმისათვის, რომ საამქრო როგორმე სახურავის ქვეშ მოექციათ, ისინი მაღლა ეწეოდნენ მალების მთელ უბნებს და დამახინჯებული კოლონები თანდათანობით სწორდებოდა, ნივნივები და კოჭები თავთავის ადგილებს იკავებდა. ბევრი დეტალის აღდგენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. ასეთებს ყრიდნენ, ხოლო ზოგიერთ კონსტრუქციას კვანძებსა და საკერებლებს ადებდნენ —ეს იყო ისევ ის „სამკურნალო ქირურგია“.

საბოლოოდ შევძელით სამუშაოები ურთულეს უბანზე სულ ცოტა ერთი წლით დაგვეჩქარებინა. გადარჩენილ იქნა მრავალი ძვირფასი კონსტრუქცია, რომლებიც ჯართად უნდა ჩაგვებარებინა. ასე იქმნებოდა მიწასთან გასწორებული ქარხნების აღორძინების მეცნიერება, რომელიც ძალზე გვჭირდებოდა მაშინ, თუმცაღა უკეთესი იქნება, არასოდეს და არსად აღარ ისარგებლონ ამ მეცნიერებით.

ჩვენ აღვადგენდით „ზაპოროჟსტალის“ პირველი რიგის ტექნოლოგიურ ჯაჭვს, რომელშიც მხოლოდ ის რგოლები შედიოდა, რომლებიც საჭირო იყო ფოლადის ფურცლის გამოსაშვებად. თბოელექტროცენტრალის ჰაერსაბერ აგრეგატებს უნდა შეებერათ საბრძმედე ღუმელისათვის, ხოლო თუჯის გამომშვები ბრძმედი მოგვცემდა ცხელ გაზსაც, რომელიც აუცილებელი იყო საგლინავი საამქროებისათვის. მაგრამ მარტო ამით შემოფარგვლა არ შეგვეძლო და ამიტომ ერთდროულად მიმდინარეობდა სამუშაოები მთელი საწარმოს — რკინიგზის ქსელის, წყალმომარაგების, ენერგომომარაგების, დამხმარე წარმოებების და სხვათა ასაღორძინებლად. დამკვრელური მშენებლობის მიერ დაგროვილი გამოცდილება ძალზე ძვირფასი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგულიყო და ყოველმხრივ გამოგვეყენებინა სხვა ობიექტებზე. უკრაინის კპ (ბ) ზაპოროჟიეს საქალაქო კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „ზაპოროჟმშენის ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლისა და გავრცელების შესახებ“. საბრძმედე ღუმელის პირველ ამუშავებამდე ცოტა ხნით ადრე ჩავატარეთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც, ბუნებრივია, ყველაზე მეტი ყურადღება დავუთმე ამოქმედებისწინა საჭირბოროტო ამოცანებს, ვილაპარაკე პერსპექტივაზეც:

— ჩვენ შევძელით თქვენთან ერთად უმოკლეს დროში სამეურნეო ხელმ-

ძღვანელებისა და კომუნისტების ყურადღება შემოგვებრუნებინა სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმისაკენ. მაგრამ საჭიროა უფრო შორს გავიხედოთ. მე მინდა, რომ ზაპოროჟშენის გაკვეთილი, რომელიც საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თვალსაზრისით ყველაზე უფრო დამახასიათებელია, მაგალითი გახდეს მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციისათვის, ყველა სამრეწველო საწარმოსათვის.

იმხანად მთელი ქვეყანა გვეხმარებოდა ჩვენი ქარხნის აღდგენაში. სამშენებლო მოედნის გვერდით იდგა კარვები წარწერებით: „გორკი“, „რიგა“, „ტაშკენტი“, „ბაქო“, „შორეული აღმოსავლეთი“—აქ ცხოვრობდნენ სამშენებლო ბრიგადები. ჩვენს შეკვეთებს ასრულებდა სამოცდაათი ქალაქის ორასზე მეტი ქარხანა. გორკიდან მოდიოდა სატვირთო მანქანები. არხანგელსკი გვიგზავნიდა შპალებს, იაროსლავლი — ელექტრომოტორებს, ბაქო და გროზნო — ბიტუმსა და სხვა ნავთობპროდუქტებს, დაზგებს ვღებულობდით მოსკოვიდან, რელსებს — კუზნეცკიდან, ხე-ტყეს — ბელორუსიიდან, ლითონკონსტრუქციებს — დნეპროპეტროვსკის ოლქის ქარხნებიდან, მათ შორის ჩემი მშობლიური ძერჟინკიდან. საამქროების აღდგენის პროექტებიც კი ჩვენთვის კიევში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში. დონის როსტოვში, ლენინგრადში, მოსკოვში მზადდებოდა. თუმცა ზაპოროჟიეში უკვე გაჩნდა მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ფილიალი.

და მე მინდა აქ კეთილი სიტყვით მოვიხსენიო ერთი მოკრძალებული ქალი — „ზაპოროჟსტალის“ ინჟინერი ე. ს. შერემეტი. ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს? დიახაც რომ შეუძლია, თუკი საქმის ერთგულია და ახსოვს თავისი მოვალეობა. უკანდახევის შავბნელ დღეებში, როცა ჰიტლერელები ქალაქს ცეცხლს უშენდნენ. მან შეაგროვა, გაიტანა, შემდეგ შეინახა და ბოლოს ქარხანას დაუბრუნა ყველა კალკი და ნახაზი, მრავალი ათასი ფურცელი. მერედა, როგორ გამოგვადგა! მოწყობილობანი მოვიდა — ზოგი ევაკუაციიდან დაბრუნებული და ზოგიც ჩვენთვის ახლად გამოშვებული. ძველი ნახაზები დაეხმარა დამპროექტებლებსა და მემონტაჟეებს დაეზოგათ ძვირფასი დრო. დამახასიათებელია, რომ კონსტრუქტორები და მუშები ახერხებდნენ ძველი მანქანების მოდერნიზებას, გაუმჯობესებას. მაგალითად, სლაბინგი, რომელიც ჩვენთან კრამატორელებმა დაამონტაჟეს, იგივე დარჩა, რაც ომამდე იყო, მაგრამ ამ მოსაჭიმი დგანის სიმძლავრე წელიწადში 1.200.000 ტონა სხმულიდან 2.000.000 ტონამდე გაიზარდა.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება იმ წელს დაიწყო ზაპოროჟშენის კოლექტივის ინიციატივით. ძალზე პოპულარული იყო მაშინ ფრთიანი ფრაზა იმის შესახებ,რომ დამკვრელურ წელიწადში დამკვრელურ მშენებლობაზე 365 დღე კი არ არის, არამედ 365 დღე-ღამეა. მახსოვს, როგორ გაგვახარა ლენინგრადელთა ცნობამ: მათ არა მარტო თავად გამოგვიგზავნეს ვადაზე ადრე ძალზე საჭირო აპარატურა, არამედ მოუწოდეს მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა ელექტროტექნიკურ საწარმოს ვადამდე შეესრულებინათ ზაპოროჟიეს შეკვეთები. მაშინვე გავუგზავნეთ საპასუხო დეპეშა:

„ლენინგრადი, პარტიის საოლქო კომიტეტი ამხ. პოპკოვს, ქარხანა „ელექტროაპარატი“ ამხ. კამენსკის, შავი ლითონების მომარაგება ამხ. სპექტოროვს.

მივიღეთ თქვენი შეტყობინება დიდძალვიანი აპარატურის ვადაზე ადრე გამოგზავნის შესახებ. ელექტრომონტაჟის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. ეს საშუალებას იძლევა მთელი რიგი გასაშვები ობიექტების საელექტრომონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაჟო სამუშაოები ვადებში შევასრულოთ. მადლობას ვუხდით ქარხნის კოლექტივს ვადაზე ადრე გამოგზავნისათვის.

უკრაინის კპ (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მდივანი

ლ. ბრეჟნევი;

„ზაპოროჟსტალის“ ქარხნის დირექტორი

ა. კუზმინი“.

უკანასკნელ, გაშვებისწინა აქტივის კრებაზე, რომლის შესახებაც უკვე ვთქვი, წამოიშვა საკითხი „წვრილმანი სამუშაოების“ შესახებ. ბევრი უბნის ხელმძღვანელები ამაყად მოგვახსენებდნენ თავიანთი მოცულობით ყველაზე მსხვილი სამუშაოების დამთავრების შესახებ, ხოლო დარჩენილთ, თითქოსდა უმნიშვნელოებს, ანგარიშში არ აგდებდნენ. მაგრამ ამ „უმნიშვნელო“ სამუშაოების დამთავრებამდე საწარმოს ამოქმედებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. საჭირო გახდა მშენებლობაზე ჭეშმარიტი წესრიგის, ნამდვილი საგეგმო დისციპლინის უზრუნველყოფა, და აი, რა ითქვა ამის გამო.

„ამ ხ. კ უ ზ მ ი ნ ი.: წვრილმანი სამუშაოების ჯამი ზოგჯერ დიდი მოცულობისაზე უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენ კი ყველა სამუშაოს ვადები გვითავცდება.

ამ ხ. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი: კარგია, რომ თქვენ წამოჭერით ეს საკითხი. საჭიროა უფრო მკაცრად ითქვას: მშენებლებს მართებთ კიდევ სამი კვირა დაუთმონ ქარხანას მექანიზმების გამოსაცდელად. 10 მაისს მივფრინავ, პოლიტბიუროს უნდა მოვახსენო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ ,და თქვენი განცხადება ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია...“.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ არც მშენებლებს, არც საოლქო კომიტეტს, არც პირადად მე აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ჩვენ შეგვეძლო დანიშნული ვადების ჩაშლა, გვეთხოვა საწარმოს ამოქმედების გადავადება და საგეგმო დავალებების „კორექტირება“. გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი იარაღია. მისი განხილვა შეიძლება და საჭიროცაა შემუშავების სტადიაში. მაგრამ როცა გეგმა უკვე დამტკიცებულია და ჩვენი სახელმწიფოს კანონის ძალა აქვს მიღებული, მაშინ ერთი მოვალეობაღაა დარჩენილი — იგი უნდა შესრულდეს, ამასთან შესრულდეს დროულად, ნაკლები დანახარჯებით და საუკეთესო მაჩვენებლებით.

რა თქმა უნდა, ასეთი მასშტაბის მშენებლობას თავს ვერ გავართმევდით საკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყველაზე აქტიური და ქმედითი დახმარების გარეშე. მკაცრად გვთხოვდნენ პასუხს, მაგრამ ამასთანავე გვეხმარებოდნენ, თუ საჭირო იყო, ოპერატიულადაც კი. საკმარისია ითქვას, რომ იყო დღეები, როცა სამშენებლო მოედანზე მოსკოვიდან ჩამოსული ხუთი მინისტრი იყრიდა თავს ერთდროულად. „ზაპოროჟსტალს“ უნდა დახმარებოდნენ და ეხმარებოდნენ კიდევაც საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის სამინისტროები, შეიარაღების, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ქვანახშირის მრეწველობის,. ნავთობის სამინისტროები.

ყველაზე ხშირად ჩამოდიოდნენ სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი პ. ა. იუდინი და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ი. თ. თევოსიანი. ივანე თევდორეს ძე ფრონტზე გავიცანი, სამხრეთის სამრეწველო ცენტრების განთავისუფლების დღეებში. იგი ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკობდა ბრძმედების, მარტენების, საგლინავი საამქროების აღორძინების შესახებ. ახლა, ჩვენთან ჩამოსვლისას, ივანე თევდორეს ძე ყოველთვის მონაწილეობდა დილის შემოვლებში და ადგილზევე წყვეტდა წამოჭრილ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლემებს. იგი იყო თვალსაჩინო, ავტორიტეტული, საქმის მცოდნე, ხელმძღვანელი.

დღეები სწრაფად მისდევდნენ ერთმანეთს, დრო სულ უფრო დაძაბული ხდებოდა, ადამიანები მუშაობდნენ დღისით და ღამით, მე კი ეს დრო მახსენდება როგორც ნათელი და სასიხარულო. მოვიდა ზაპოროჟიეში კრივოი როგის მადნით დატვირთული პირველი მარშრუტი — ეს იყო ზეიმი. დავაყენეთ პირველი გასაშრობად — ამან გამოიწვია სიხარული. დაიწყო თბოელექტროცენტრალის ჰაერსაბერი აგრეგატების გამოცდა, გაცოცხდნენ დახრილ ხიდზე პირველი კაზმიანი სკიპები — ესეც კვლავ მშენებლობის თითოეული წევრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობით აღსავსე მოვლენა იყო.

მოსკოვიდან ჩამოვიდა სახელმწიფო კომისია ცნობილი მეტალურგის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ივანე პავლეს ძე ბარდინის მეთაურობით, რომელსაც დნეპროძერჟინსკიდან ვიცნობდი. ჩვეულებისამებრ ფორმულირებაში თავშეკავებულმა, „ზაპოროჟსტალის“ ქარხნის პირველი რიგის მიღების აქტში ჩაწერა: „მშენებლებმა და მემონტაჟეებმა აქ ისეთი დიდი სამუშაოები შეასრულეს. რომლებსაც არც მოცულობითა და არც ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტით ტოლი არ მოეძებნებათ“.

ბოლოს, დიდი ხნის ნაოცნებარი, მნიშვნელოვანი დღეც დადგა. უკანასკნელად შეამოწმეს, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. და გაისმა ბრძანება: „ამუშავდეს ღუმელი“. მეაირემ მოაბრუნა ცხელი ბერვის შიბერი, ობეროსტატი ანთებული ჩირაღდნით გაიქცა თუჯის კრიჭისაკენ, ღუმელი აგუგუნდა, და სწორედ ამ დროს თბოელექტროცენტრალის მთავარ კორპუსზე „ზაპოროჟსტალის“ მეორედ დაბადების მაუწყებლად მთელი ძალით აღმიანდა საყვირი. მის გაგონებაზე ქალაქში ხალხი ქუჩებში გამოცვივდა. უცნობი ადამიანები სიხარულით ერთმანეთს ეხვეოდნენ. ტიროდნენ. ხოლო მეორე დღეს, 1947 წლის 30 ივნისს გამოჩნდა ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ ძვირფასი ზაპოროჟიული თუჯი.

ეს დღე მთელი თავისი წვრილმანებით მახსოვს. ღუმელი თანაბრად გუგუნებდა, ლაპარაკი ძალდატანებით გვიხდებოდა. მაგრამ ეს იყო ყველა მეტალურგისათვის ნაცნობი გუგუნი, მეც რომ მახარებდა, რადგან გულის სიღრმეში თავს ჯერ ისევ მეტალურგად ვთვლიდი. ჟანგბადის საჭრელმა ამოწვა კრიჭა და გამოჩნდა გავარვარებული თუჯის ვიწრო ნაკადული. იგი გზადაგზა ვარსკვლავებს აფრქვევდა და ძალას იკრებდა. ბოლოს თუჯის მდინარედ გადაიქცა. ეს მდინარე ჭავლს მოაქანებდა, ჩვენ კი მას ფეხდაფეხ მივდევდით, ვუყურებდით როგორ ივსებოდა პირველად ციცხვი. მახსოვს, მე და ბარდინი დიდხანს ვართმევდით ერთმანეთს ხელს, გადავკოცნეთ ყველა მექურე.

იქვე ეზოში შედგა მიტინგი, რომელზედაც თექვსმეტ ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა, მშენებლებს, მემონტაჟეებს, მეტალურგებს მივულოცე თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვება და მოვუწოდე არ შეენელებინათ ტემპი — დაემთავრებინათ წლიური გეგმა და საგლინავი საამქროები საექსპლოატაციოდ ჩაებარებინათ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი იუბილესათვის, დიდი ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავისათვის.

დიახ, ეს იყო ოცდაათ წელზე უფრო დიდი ხნის წინათ... ივლისის ბოლოს ბლუმინგზე გავგლინეთ პირველი ზოდები, 30 აგვისტოს მთავრობის კომისიამ მიიღო ცხელი გლინვის საამქრო, ხოლო 28 სექტემბერს ჩვენთან ცივფურცელგამომყვან საამქროში შედგა მთავარი, — „გაშვებითი“ მიტინგი. ტრიბუნის პირდაპირ იდგა ყვავილებით მორთული ორთქლმავალი, მის უკან კი მოსკოვის

საავტომობილო ქარხანაში გასაგზავნი მზა პროდუქციით დატვირთული ბაქნები. ერთ-ერთ ბაქანზე დამაგრებული იყო პლაკატი: „მიიღე, სამშობლოვ, ზაპოროჟიეს ფოლადის ფურცელი!“

ზაპოროჟიელებმა სიტყვა შეასრულეს და სამშობლომაც დამსახურებისამებრ დააფასა მათი გმირობა. მშენებლობის ოცი ათასმა მონაწილემ მიიღო მედალი „შავი მეტალურგიის საწარმოთა აღდგენისათვის“. გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მოწინავე კოლექტივების დაჯილდოების შესახებ. ტრესტ ზაპოროჟმშენსა და ქარხანა „ზაპოროჟსტალს“ მიეკუთვნათ სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენები. ლენინის ორდენი მიიღო მრავალმა მუშამ, ინჟინერმა, წარმოების მეთაურმა, პარტიულმა მუშაკმა. მათ შორის იყვნენ ისინიც, რომლებიც დასახელებული არიან ამ ჩანაწერებში — ი. ა. რუმიანცევი, მ. ნ. ჩუდანი, ა. ვ. შეგალი, მ. ი. ნედუჟკო, ვ. ე. დიმშიცი, ა. ნ. კუზმინი. სიაში იყო ჩემი გვარიც. ეს იყო ძალზე ძვირფასი ჯილდო — ჩემი პირველი ლენინის ორდენი.

1947 წლის ნოემბერში ზაპოროჟიეში მუშაობა დაიწყო ნანგრევებიდან აღდგენილმა კოქსის ქიმიურმა ქარხანამ — მებრძმედეებს ახლა უკვე საიმედო ზურგი ჰქონდათ. მაგრამ ამ ზეიმზე დასწრება უკვე აღარ მომიხდა. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დნეპროპეტროვსკის ოლქში გამგზავნეს.

ზაპოროჟიედან თან მიმყვებოდა შესრულებული მოვალეობის გრძნობა. აი რეპლიკების როგორი გაცვლა-გამოცვლა მოხდა უკრაინის კპ (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის XIX პლენუმზე — ეს იყო უკანასკნელი პლენუმი, რომელშიც მივიღე იქ მონაწილეობა. თავიდან ყოველგვარ კეთილ სიტყვებს ამბობდნენ ჩემი მუშაობის შესახებ, რომლებსაც აქ არ მოვიყვან, შემდეგ კი წამოდგა საოლქო კომიტეტის მდივანი პეტრე სავლეს ძე რეზნიკი, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებდა. მას თვალები ეშმაკურად ჰქონდა მოჭუტული. მოვიყვან ყველაფერს ისე, როგორც სტენოგრამაში იყო ჩაწერილი:

„ამხ. რეზნიკი: რას იზამ, ახლა ამხ. ბრეჟნევს შევეჯიბრებით. ჩვენი ოლქი, სხვათა შორის, აღმავლობის გზაზე დგას, მისთვის ცუდი საძირკველი არ ჩაგვიყრია. ჯერ ერთი, ამ წელს 500 ათასის ნაცვლად დავთესეთ 600 ათასი ჰექტარი. საშემოდგომო ნათესებს კარგი პირი უჩანს. შემდეგ მზრალი მოვხანით, სახელმწიფო გეგმა შევასრულეთ, ახლა დამატებითს ვასრულებთ. ამხ. ბრეჟნევს ისეთივე დაძაბული მუშაობა მოუწევს, როგორიც ზაპოროჟიეში და მერწმუნეთ, ძალიან გაუჭირდება“ (სიცილი დარბაზში).

ამხ. ბრეჟნევი: უნდა გავითვალისწინოთ, რომ დნეპროპეტროვსკია ოლქში ძლიერი ბოლშევიკები არიან.

ამხ: რეზნიკი: მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ საქმე ახლა ძალზე მიშვებულია! (სიცილი).

ამხ: ბრეჟნევი: გმადლობთ, ამხანაგებო! რაც შეეხება შეჯიბრებას, იგი ჯანსაღი, ბოლშევიკური ხასიათისა იქნება...“

## 7

ამრიგად, ახალ სამუშაო ადგილზე ვარ...

რა თქმა უნდა, მთელი ამ წლების განმავლობაში არ გამიწყვეტია კავშირი იმ მხარესთან, სადაც დავიბადე, და გავიზარდე. ზაპოროჟიეში მუშაობისას, ყოველთვის, როცა კი შემთხვევა მომეცემოდა, მოვინახულებდი ხოლმე დედას,

ნათესავებს, ჩემს ქარხანას, ჩავდიოდი მეზობელ საოლქო ცენტრში საქმეებზე, სადაც, ბუნებრივია, შევივლიდი ხოლმე საოლქო კომიტეტში, ვხვდებოდი ამხანაგებს, რომლებთანაც წინათ ვმუშაობდი. და აი, ახლა კვლავ შინ ვარ და უკვე დიდი ხნით. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩიეს. და წინანდელ ჩემს ამხანაგებთანაც კი უკვე წარსულ დროს აღარ ვიგონებ, ვლაპარაკობთ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ ხვალ.

დნეპროპეტროვსკის ოლქი ომამდე განთქმული იყო თავისი მეტალურგიით, ათობით რკინა-მადნეულისა და მანგანუმის მაღაროთი, ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავლით, მეცხოველეობის დიდი პროდუქტიულობით. ეს იყო ერთ-ერთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ოლქი უკრაინაში .და თუმცა ომამდელ წლებში მე იგი ცუდად არ შემისწავლია, ახლა საჭირო იყო ხელახლა და ამასთან სწრაფად შევსულიყავი საქმის კურსში, გავრკვეულიყავი სიძნელეებში, გამეგო უახლოესი ამოცანები, დამესახა პერსპექტივები.

აქაურობაც საშინლად იყო გაპარტახებული. დნეპროპეტროვსკში ჰიტლერელებმა ააფეთქეს და დაწვეს ასსამოცდაათი ქარხანა, ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი დიდი საცხოვრებელი სახლი, ოცდარვა საავადმყოფო, აყარეს და გერმანიაში გაზიდეს სამოცდარვა კილომეტრი ტრამვაის ლიანდაგი და ას კილომეტრზე მეტი სპილენძის საკონტაქტო სადენი. დაანგრიეს ოპერისა და ბალეტის თეატრი, სამხატვრო მუზეუმი, უნივერსიტეტი. თითქმის ყველა სკოლა და ყველა ინსტიტუტი, ვაგზლები და რკინიგზის ხიდები. მეტალურგების შესანიშნავი სასახლე ფაშისტებმა საჯინიბოდ გადააქციეს: ნათელი დარბაზები ბაგებად დატიხრეს, საუკეთესო პარკეტი ცხენის ნაკელით იყო მოფენილი.

ფაშისტები ცდილობდნენ ამ მხარეში ლითონის წარმოება მოეგვარებინათ. ჩამოფრინდნენ „შტალვერკე-ბრაუნშვაიგის“, „ფოშის“, „ფერაინიგტე-ალუმინიუმვერკეს“, „იუნკერსის“ ფირმების წარმომადგენლები. მათ უნდოდათ აღედგინათ ზაპოროჟიეს ალუმინის ქარხანა, „დნეპროსპეცსტალი“, „ზაპოროჟსტალი“, მაგრამ იატაკქვეშელთა დივერსიებმა და ჩვენი მუშების წინააღმდეგობამ ყველა მათი განზრახვა ჩაშალა. თუმცა დნეპროპეტროვსკში ოკუპანტებმა ერთი წარმოება მაინც მოაგვარეს: მარტენებისა და ბრძმედების ამოქმედების ჭრავალგზის უშედეგო ცდის შემდეგ, მათ პეტროვსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში მარმელადის ფაბრიკა გახსნეს...

დღევანდელივით მახსოვს დნეპროპეტროვსკისა და დნეპროძერჟინსკის — ჩემთვის მშობლიური ადგილების განთავისუფლების სასიხარულო დღე. ჩვენი შტაბი ტამანის ნახევარკუნძულზე იყო. დაბანაკებული ვიყავით ყოფილი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. საბჭოთა მეურნეობის საჭეურნეო ნაგებობანი თავისებური კარვები გახდა ჩვენთვის. 1943 წლის 25 ოქტომბერს ღამით მოირბინა ჩემთან გენერალმა ზარელუამ და გამაღვიძა:

— რა სასიხარულოა — დნეპროპეტროვსკი გაათავისუფლეს! ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს დნეპროპეტროვსკიცა და დნეპროძერჟინსკიც. მოსკოვი სალუტს აძლევს!

იმ დროისათვის უკვე შეჩვეული ვიყავით გამარჯვების სალუტებს, მაგრამ ეს ჩემთვის განსაკუთრებული იყო.

ფრონტზე ყოფნისას, ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ მიდიოდა საქმეები დნეპროპეტროვსკის ოლქში. ოკუპანტების განდევნის შემდეგ უკვე მესამე დღეს, 1943 წლის 28 ოქტომბერს, პეტროვსკელმა მუშებმა მწყობრში ჩააყენეს თბოელექტროცენტრალის ერთ-ერთი ტურბინა და ქალაქს ელექტრო-

ბა მისცეს, ხოლო 1944 წლის ზაფხულში საექსპლუატაციოდ გადასცეს მარტენის პირველი ღუმელი. მშობლიურ დნეპროძერჟინსკში გული ამიჩუყა სკვერის გასასვლელში დადგმულმა ძეგლმა. კვარცხლბეკზე იდო ფოლადის ზოდი. ეს იყო და ეს. წარწერა გვამცნობდა:

„პირველი ზოდი, ჩამოსხმული 1943 წლის 21 ნოემბერს № 5 მარტენის ღუმელში გერმანელი ოკუპანტების ქ. დნეპროძერჟინსკიდან განდევნის შემდეგ 26-ე დღეს. ნადნობი № 5-1, მეფოლადეები ფ. ი. მაკლესი და გ. ა. პანკრატენკო“.

მე მიამბეს, რომ ფრანც იოსების ძე მაკლესმა და გორდეი ანტიპის ძე პანკრატენკომ არა მარტო გამოადნეს ეს პირველი ფოლადი, არამედ მათ თვითონ დაშალეს დანგრეული ღუმელის კედლები და თაღი, გამოიღეს შემცხვარი ხარიხა და თვითონ აღადგინეს მარტენი. ორივე უკვე მოხუცი იყო, ორივე მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, ორივე არტილერისტი იყო ჯავშნოსან მატარებელზე, რომელიც ჩვენს ქარხანაში დამოქლონდა შორეულ 1919 წელს. და ორივე განასახიერებდა მშრომელ კაცს, რომელთა შესახებაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა იმავე 1919 წელს თქვა:

„მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი. თუ იგი გადარჩა, ჩვენ ყველაფერს ვიხსნით და აღვადგენთ“.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ეს აზრი ნათლად დადასტურდა. და ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი მოსაზრება გამოვთქვა. მსოფლიოში ერთმანეთს ებრძვის ორი სოციალური სისტემა. იგი დაიწყო ლენინის სიცოცხლეში, იგი გრძელდება დღესაც, და გარდაუვალია შედარება — ვინ რამდენი ფოლადი გამოადნო, რამდენი ნავთობი მოიპოვა, რამდენი ელექტრობა, პური, ბამბა აწარმოვა, ამ გაანგარიშებას მივმართავთ ჩვენ, მას აწარმოებენ ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენიც. იძულებული არიან რა აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირი მრავალმხრივ დაეწია, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ბევრად გაუსწრო კიდეც, ისინი ყოველთვის წინ სწევენ ეკონომიკის იმ მაჩვენებლებს, რომლებშიც უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოს ჯერ არ დაუთმია პირველობა.

თანაც ისინი გულმოდგინედ ჩქმალავენ, ცდილობენ დაუმალონ თავიანთ მკითხველებს და მსმენელებს ის ისტორიული პირობები, რომლებშიც ვიყავით ჩვენ, და რომლებშიც იყვნენ ისინი. ამ, მათი სიტყვით „პატიოსან“ შეჯიბრებაში კი ერთი მხარე, რომელსაც ოკეანე იცავდა მტრის შემოსევებისაგან, ყოველ ომში მდიდრდებოდა, ხოლო მეორე განუწყვეტელ პროვოკაციებს განიცდიდა. იტანდა ომისა და ნგრევის უმძიმეს ტვირთს, იძულებული იყო მრავალ დარგში ყველაფერი თითქმის თავიდან დაეწყო ხოლმე. ასე იყო ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ოლქებშიც — ეს საკუთარი თვალით ვნახე. ასევე იყო მთელ ჩვენს ქვეყანაში: მეორე მსოფლიო ომმა ჩვენი ეროვნული დოვლათის მესამედი გაანადგურა.

უნებლიეთ ფიქრობ. რას მივაღწევდით, რამდენად წინ წავიდოდით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხრივ, ჩვენთვის ხელი რომ არ შეეშალათ და დაბრკოლებები არ შეექმნათ. რომ არ მოვეწყვიტეთ მშვიდობიან შრომას, გამალებული შეიარაღების გამო იძულებული რომ არ გავეხადეთ. ქვეყნის თავდაცვისათვის გვეხარჯა უდიდესი ძალები და სახსრები. და რა ძალა აქვს საბჭოთა წყობილებას, ჩვენს ხალხს, თუკი ასეთი დაბრკოლებებისა და სი-

ძნელეების მიუხედავად, მივაღწიეთ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის უმაღლეს დონეს, რითაც ჩვენ შევხვდით ოქტომბრის მესამოცე წლისთავს!

სულ ერთი წელი და სამი თვე ვიმუშავე ზაპოროჟიეში, მაგრამ დნეპროპეტროვსკში ჩასვლისათვის გარკვეული გამოცდილება მქონდა დაგროვილი. აქაც იმით დავიწყე, რომ დავდიოდი ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. ხშირად ვიყავი ხოლმე მშენებლობებზე, ჩავდიოდი მაღაროებში, ვცდილობდი, რაც შეიძლება ხშირად ვყოფილიყავი ადამიანებთან. პარტიული მუშაობის ხასიათი ბევრმა იცის, ამიტომ ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკებ, თვით ასეთი მუშაობის სტილზე. ამ დროისათვის შრომითმა გამოცდილებამ, ომმა, ადამიანებთან ურთიერთობამ, კითხვამ და ფიქრმა უკვე განმისაზღვრა მუშაობისა და ცხოვრების სტილი. პრინციპულად რომ ვთქვათ, ყველა ჩვენს ხელმძღვანელს ერთი სტილი უნდა ჰქონდეს — ლენინური, პარტიული, და საერთოდ ასეც არის, მაგრამ ამასთან თითოეულს, შესაძლოა, ჰქონდეს პირადი თავისებურებანიც. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს ერთნაირი ამოცანები ,მოვალეობები და პასუხისმგებლობა აკისრიათ, ამ სამუშაოზე უსათუოდ მჟღავნდება ადამიანის ხასიათის თვისებები.

დნეპროპეტროვსკში შევცვალე კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ომამდე ვიცნობდი: პ. ა. ნაიდენოვი მაშინ საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე იყო. ფრონტელი, აქტიური, მტკიცე ხელმძღვანელი, ძალზე პატიოსანი და ჩემი კარგი ამხანაგი — ბევრი რამ კარგი მახსოვს მასზე. მაგრამ მუშაობაში ნაკლოვანებანიც ჰქონდა. ოლქის საქმეები არცთუ ბრწყინვალედ მიდიოდა, და ყოველივე ეს დამთავრდა იმით, რომ სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დააყენა ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხი.

ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება აქაც გამომადგა, დნეპროპეტროვსკში. მახსოვს უდიდესი ქარხნების დირექტორების პირველი გაცნობა. ალოობა იყო. მე ვეკითხები ფ. ე. განზინს, საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს: როგორა გვაქვს ტრანსპორტის საქმე? პასუხი ისეთი გამცა, როგორსაც მოველოდი: ცუდად. საქალაქო მანქანები? მან მიპასუხა, განაწესები ქარხნებს, ვინ რამდენი სატვირთო მანქანა უნდა გაგზავნოს, მიცემული აქვთ, მაგრამ დირექტორები გვიჭიანურებენ საქმეს, გვატყუებენ და თუ გვაძლევენ მანქანებს, ყველაზე უარესს.

ამ საქმეში მანკიერი სისტემა იყო: ზემოდან — მოგონილი ციფრები, ქვემოდან — ადამიანების ხრიკები. რომელთაც საქარხნო გეგმა უნდა შეესრულებინათ. ამასთან მომთხოვნმაც და პასუხისმგებელმაც კარგად იცოდნენ, რომ რაც ეწერა, მაგალითად, ორმოცი მანქანა, ელოდნენ სულ ბევრი ოც მანქანას, — ასე მეორდებოდა ყოველ წელს. მივუჯექი ტელეფონს და ვთხოვე დამეკავშირებინე ნიკოპოლის მილების ქარხნის დირექტორთან ნ. ა. ტიხონოვთან. მივესალმე, გავეცანი, მერე ვუთხარი:

— აუცილებლად ჩამოვალ თქვენთან, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით. ახლა კი გთხოვთ, დაგვეხმაროთ — მშვენიერი პური შემოვიდა. ვიცი, რომ ძალიან კარგი დირექტორი ხართ, რომ თქვენი ქარხანაც კარგია, თუ შეგიძლიათ, მოსავლის აღებაში დაგვეხმარეთ, ძალზე მადლიერი ვიქნებით. ოღონდ გთხოვთ, საუკეთესო მძღოლები და გამართული მანქანები გამომიგზავნოთ.

— თხუთმეტის გამოყოფა შემიძლია, — თქვა მან დაფიქრების შემდეგ.

— მოიფიქრეთ, მოითათბირეთ, საცოდაობა იქნება, პური რომ დაგვეღუპოს...

დაახლოებით ასე ველაპარაკე სხვა დირექტორებსაც. დათქმული რაოდენობის სატვირთო მანქანები ალოობაზე მათ არ გამოგზავნეს, მაგრამ მართლაც კარგი მანქანები მივიღეთ და თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წლებში. და ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდი ადამიანური საუბრის შედეგად.

ამ დროისათვის საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მაშინაც კი, როცა ვინმეს პრინციპულ საკითხში არ ეთანხმები, ადამიანურად უნდა ცდილობდე მუშაკის ღირსება არ შებღალო, არ დაჯაბნო, არ დაამცირო. შეიძლება კაცს უთხრა: „რას ჩმახავ!“ — და შეიძლება, თუ კაცი გულწრფელად ლაპარაკობს, უთხრა: „გმადლობთ რჩევისათვის, მოვიფიქრებთ. მაგრამ ასე რომ ვცადოთ?...“. მე მესმოდა, რომ ემოციები უნდა დაიოკო, რომ იმ პოსტზე, რომელზეც პარტიამ დამნიშნა, დაუფიქრებელი სიტყვის თქმის უფლება არა მაქვს. როცა ადამიანებს თათბირზე ვიწვევდი, მართლაც ვეთათბირებოდი მათ, ყოველ მათგანს საშუალებას ვაძლევდი თავისი აზრი გამოეთქვა და არ ვჩქარობდი ჩემი შეხედულების გამოთქმას. თორემ ასეთი ამხანაგებიც ხომ არიან — მიხვდებიან „უფროსების“ აზრს, და მორჩა, სხვა აზრს ველარ გაიგონებ.

ხელმძღვანელს ყოველთვის ბევრი თვალი უყურებს და ამიტომ არა აქვს დაბნეულობის, სისუსტის გამოვლენის უფლება. რაც უნდა აწუხებდეს, ვალდებულია მომართულად, მხნედ იყოს და ნერვებს მოუაროს, რათა ადამიანებიც რწმენით დაიმუხტონ. ზოგჯერ ჯეროვნად არ ვაფასებთ იუმორის როლს, ხშირად კი ხუმრობითაც შეიძლება საქმეს გამოადგე.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიდმნიშვნელოვან ბერკეტად მაშინ კოლმეურნეობებისადმი ქარხნების შეფობა მიგვაჩნდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დახურულ კალოებს. შეიძლებოდა ისევ დაგვეწყო განწესებით, ბრძანებებით და დასჯით, მაგრამ მე სხვაგვარად მოვიქეცი. ერთხელ საოლქო კომიტეტში შეიკრიბნენ დირექტორები: ფ. ნ. ბალაკინი, ნ. რ. პოპოვი, ი. ი. კორობოვი, პ. ვ. სავკინი და სხვები. საუბარი შეეხებოდა ქარხნის საქმეებს. მე კი უცებ ვთქვი:

— მე გადმომცეს, რომ პეტრე ვასილის ძემ სურვილი გამოთქვა მოაწყოს ოცი დახურული კალო.

სავკინს, ლენინის სახელობის ქარხნის დირექტორს, შემდეგში სოციალისტური შრომის გმირს, თითქოს გული გადაუქანდა:

— ვერა, ლეონიდ ილიას ძევ, ოცს ვერა და, ჯანი გავარდეს, ცხრას მოვახერხებ.

— რა გაეწყობა, შევთანხმდით! მაგრამ აი ილია ივანეს ძე რაღას იტყვის?

მერე ბევრი ვიცინეთ, მაგრამ საქმე ადგილიდან დაიძრა. ანდა მეორე შემთხვევა. ზაფხულის პაპანაქებაში მოვიწვიე საოლქო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და საოლქო კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე. ვისაუბრეთ მორიგ საქმეებზე, და თითქოს სხვათა შორის, ვკითხე:

— პურის ბურახს დალევდა კაცი, ა?

— კარგი იქნებოდა! — ორივემ თავის დაქნევით დამიდასტურა.

— ოლქში პურახს ამზადებენ?

— ჯერჯერობით... არა.

შეთანხმებისამებრ ღილაკს თითი დავაჭირე და კაბინეტში ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ შინიდან მოტანილი ბურახით სავსე კათხა შემოიტანეს:

— მიირთვით...

საოლქო საგეგმო კომისიას მაშინ განაგებდა გ. მ. დრიუჩენკო, ჩემი ძველი

ნაცნობი, რომელთან ერთადაც ჯერ კიდევ ბაიკალგაღმა მხარეში ერთ სატანკო ასეულში ვმსახურობდი. იგი მაშინვე მიხვდა, საით ვუმიზნებდი.

— რას იტყვი, გრიგოლ, — ვეკითხები, — კარგი ბურახია?

— მივხედავთ მაგ საქმეს, — მიპასუხა, — დღესვე შევკრებ ხალხს.

— როგორ არა გრცხვენიათ, — ვეუბნები. — თუ აქ ასე ცხელა, აბა წარმოიდგინეთ, რა ხდება მარტენებთან, ბრძმედებთან? რით მოიკლას მუშამ წყურვილი? ვის უნდა ეფიქრა ამაზე. თუ არა ოლქის საგეგმო კომისიას? თუ არა ადგილობრივ მრეწველობას? როდის შეასრულებთ. ვადები!

შეიგნეს: ბურახი იმ ზაფხულსვე გაჩნდა ქალაქში.

ადამიანები განსხვავებული ხასიათისანი არიან. მათ სხვადასხვა ენაზე უნდა ელაპარაკო, ზოგჯერ კი დუმილიც მრავლის მთქმელია. პეტროვსკის ქარხანაში გაჭირდა რელსკოჭის საამქროს ამოქმედება. დრო მეტად მცირე იყო, თანაც დაუმთავრებლობა, კამათი დამპროექტებლებს, მშენებლებსა და სუბმოიჯარეებს შორის. საჭირო გახდა მათი შეკრება პარტიის საოლქო კომიტეტში. შინაური შუღლი აქაც გრძელდებოდა — ყველა თავს ესხმოდა ქარხანას: აქაოდა, მიღებას აჭიანურებსო. მაშინ რელსკოჭის საამქროს უფროსი ადგა და თითებზე ჩამოთვალა: იქ ჭანჭიკებია მოსაჭერი, იქ რომელიღაც დეტალი არ არის თავის ადგილას. იქ ელექტრომოწყობილობაა გაუმართავი — აქტს ხელს ვერ მოვაწერ, ამ დგანზე ხომ მე უნდა ვიმუშაო.

ყველამ თავისი აზრი გამოთქვა. და როგორც ხდება ხოლმე. ახლა პირველი მდივნის შემაჯამებელ სიტყვას და, იქნებ დატუქსვასაც ელოდნენ. მაგრამ მე მხოლოდ ვიკითხე:

— ამხანაგებო, გასაგებია, რაც უნდა გააკეთოთ?

— გასაგებია, — მიპასუხეს მათ.

— მაშინ წადით და ყველამ თქვენი საქმე აკეთეთ.

ეს იყო ჩემი საბოლოო სიტყვა. ვხედავდი, რომ ადამიანები, რომლებიც ჯერ ისევ ემზადებოდნენ თათბირისათვის, გაერკვნენ თავიანთ შეუთანხმებელ საკითხებში, შეიგნეს პასუხისმგებლობა. მთავარი იყო მათ ეგრძნოთ, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი თვალს ადევნებს ამ მნიშვნელოვან ობიექტს და სჯერა, რომ ისინი დავალებას შეასრულებენ. ასეც მოხდა.

## 8

დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. ეს საკითხი მაშინ განსაკუთრებით მწვავედ იდგა: ათასობით პარტიული და საბჭოთა მუშაკი დაიღუპა ფრონტებზე, პარტიზანულ რაზმებში, იატაკქვეშეთში. იმათ, ვინც ისინი შეცვალა, ჯერ არ ჰყოფნიდათ გამოცდილება და ცოდნა. „ხელმძღვანელობის საკითხი კადრების საკითხია“ — აი პრინციპი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, როცა მუშაობას ვიწყებდით. საოლქო კომიტეტის ბიურო ხშირად იხილავდა იმ კომუნისტების პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, რომელთაც ხელმძღვანელ პოსტებზე ვაწინაურებდით, მოითხოვდა უფრო გაბედულად დაეწინაურებინათ ენერგიული, ნიჭიერი ადამიანები, და როგორც დრომ გვიჩვენა, საერთო ანგარიშით, არ შევმცდარვართ.

რა თქმა უნდა, იყვნენ არაკეთილსინდისიერი მუშაკებიც, ხელმძღვანელები, რომლებიც „დამყაყდნენ“, „უსულგულო ადამიანები“ (მაშინდელ სტენოგრამებში ჩანაწერი სიტყვებია) — ასეთებს ჩვენ არ ვინდობდით. 1947 წლის დეკემბერში ჩვენს ქვეყანაში ფულის რეფორმა ჩატარდა და აღმოჩნდნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებმაც წინასწარ იცოდნენ გაცვლის პირობები, გამო-

ყენეს თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა და დაიწყეს ფულის შეტანა შემნახველ სალაროებში, რათა ამით ესარგებლათ. მე დაჟინებით მოვითხოვე მათი პარტიიდან გარიცხვა. ზუსტად ასევე მოვითხოვდი იმ ხალხის მოხსნას თანამდებობიდან (სხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოუწყობლად), ვინც საქმეს შლიდა უგერგილობის, შეზღუდულობის გამო. კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი გვეცოდებოდა კიდეც, მაგრამ არ შეიძლება იყო კეთილი სახელმწიფოს ხარჯზე.

ხოლო მათ, ვინც გამოიჩინა მუშაობის უნარი, ვისიც საოლქო კომიტეტს სჯეროდა, უნდა ეგრძნოთ ეს ნდობა. საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილებას ჩვენთან ე. ნ. მალიარევსკი განაგებდა. მას ჯერ კიდევ ომამდე ვიცნობდი და ფრონტზეც შევხვედრივარ. „თუ რამე დაგჭირდეს, შეგიძლია მოხვიდე ჩემთან, როცა გინდოდეს“, — ვუთხარი მას, როცა დნეპროპეტროვსკში ჩავედი. და მართლაც, მას ყოველთვის ვეთათბირებოდი, მხარს ვუჭერდი, თუ საჭირო იყო ვეხმარებოდი, რჩევასაც ვაძლევდი. ვხედავდი, რომ საქმე ესმის. მაშასადამე, საჭიროა მისცე ინიციატივის გამოვლენის საშუალება იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებიც მის წინაშე დგას.

ბევრ მუშაკს ვაგრძნობინე, რომ მათ ვენდობოდი, ჩავაბარე კიდეც მიმდინარე საკითხთა დიდი ნაწილის გადაწყვეტა, მე კი დამრჩა დრო მდგომარეობის ანალიზისათვის, პერსპექტიული პრობლემების მოფიქრებისა და პრინციპული ამოცანების დაყენებისათვის. ამ ამოცანებიდან უპირველესი ჯერ კიდევ ზაპოროჟიეში მტკიცედ მქონდა შემუშავებული — როგორც ორგანიზატორული, ისე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა. 1948 წლის თებერვალში საოლქო პარტიულ კონფერენციაზე ამის გამო ითქვა:

— ამოცანა ის არის, რომ პარტიული მუშაობა სწორად შევუხამოთ სამეურნეო ხელმძღვანელობას. ეს ხელოვნებაა. და ამ ხელოვნებას პარტიულ მუშაობაში უნდა ვსწავლობდეთ...

უნდა აღვნიშნო, რომ მე თვითონ გამუდმებით ვსწავლობდი. და ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელია ყველასათვის — მდგომარეობა ყოველთვის იცვლება, წარმოიშობა ახალი პრობლემები. პარტიული ხელმძღვანელი, თუ არ უნდა, რომ ჩამორჩეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეს.

დნეპროპეტროვსკში მე აღდგენის შემდგომ ეტაპს მივუსწარი: ქარხნები უკვე პროდუქციას იძლეოდნენ და თუმცა ამ ქარხანათა მრავალი საამქრო ჯერ კიდევ დანგრეული იყო, შახტები კი დატბორილი, მრეწველობა უკვე ფეხზე დგებოდა. ახლა საჭირო იყო საბინაო მშენებლობის, კულტურის, საყოფაცხოვრებო საკითხების წამოწევა. იმისათვის, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო საკითხის სიმწვავე, მოვიყვან დნეპროძერჟინსკის X საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლის ნაწყვეტს:

„დარბაზში ვხედავ ბევრ ჩემს ამხანაგს, ყოფილ თანამოწაფეებს, რომლებიც ახლა საამქროების, ცვლების უფროსებად მუშაობენ — ლევინოვს, ოლეინიკს, გრეჩკინსა და სხვებს. მათ და ყველას თქვენ, მინდა პირდაპირ გითხრათ, რომ საბინაო მშენებლობის საკითხს საოლქო და საქალაქო კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სადამდე არის საქმე მისული. თუკი იძულებული ვართ კონფერენციას მოვახსენოთ, რომ საბინაო მშენებლობის გეგმა მხოლოდ 11 პროცენტით შესრულდა.

ხ მ ა  დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ნ:  7 პროცენტით!

— ხედავთ, თურმე 7 პროცენტით. ეს ხომ სამარცხვინოა! ვამბობთ, რომ

საჭიროა მუშების შენარჩუნება, ასეთ მდგომარეობას კი ვითმენთ. საქალაქო და საოლქო კომიტეტების ახალმა შემადგენლობამ ბოლო უნდა მოუღოს ყოველივე ამას. ხალხმა საკმაოდ ბევრი რამ გადაიტანა. მრავალ გაჭირვებას გაუძლო ომის წლებში ჩვენი გამარჯვებისათვის. ახლა კი მათ უფლება აქვთ მოითხოვონ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ჩვენ, ბოლშევიკებმა ხალხს მივეცით გარკვეული თამასუქი, რომ ვიზრუნებთ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად; ჩვენ ვალდებული ვართ ავანაზღაუროთ ის გაცემული თამასუქი!"

მდგომარეობის სირთულე იმით გამოიხატებოდა, რომ ადგილობრივ საბჭოებს ფული ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ჰქონდათ. ძირითადი სახსრები ქარხანათა დირექტორების ხელში იყო, ისინი კი ქალაქების მშენებლობაზე უარს ამბობდნენ. დნეპროპეტროვსკში, არსებითად, არ იყო ცენტრი. კარლ მარქსის პროსპექტი კვლავაც ნანგრევებით იყო სავსე, გარეუბნებში კი პრიმიტიულ მუშათა დაბებს აშენებდნენ, თავისებური თეორიაც კი გამოიგონეს, საბრძმედე, ფოლადსადნობი, საგლინავი საამქროების უფროსები ვალდებულნი არიან, იქვე, ქარხნებთან იცხოვრონო. მაშინ ხომ ჯერ კიდევ არც ტელეფონი იყო, არც ტრამვაი და არც მანქანები, უკეთეს შემთხვევაში ცხენშებმულ საზიდარს ვიყენებდით. (მახსოვს, ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა კითხვაზე — რატომ დააგვიანე თათბირზეო, ხმამაღლა განაცხადა! „მანქანა არა მყავს, ცხენი კი პროფილაქტიკაში გავუშვიო").

ამიტომ აუცილებელი იყო, რომ ქარხნებს დროებითი შენობები კი არა, კეთილმოწყობილი ბინები აეშენებინათ, თანაც არა გარეუბნებში, არამედ ცენტრში. დირექტორებთან მეგობრულ საუბარში მე ვამტკიცებდი; მათი საუწყებო სამშენებლო პოლიტიკა მხოლოდ სახსრების ეკონომიის ილუზიას იძლევა, ადრე თუ გვიან იგი ზარალს მოგვცემს. საოლქო კომიტეტის ბიუროზე უკვე ოფიციალური საუბარი გაიმართა იმაზე, რომ ჩვენ ვალდებული ვართ გავაშენოთ ქალაქის მთავარი მაგისტრალები, ავაგოთ იქ ლამაზი სახლები და შევასახლოთ ამ სახლებში წარმოების საუკეთესო მუშაკები, სამამულო ომის ინვალიდები, ომში დაღუპულთა ოჯახები, რომ მათ ნამდვილად იგრძნონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე, მაგრამ საქმე ნელა მიდიოდა.

1948 წლის მაისის ბოლოს მე კვლავ მოვიარე მთელი ოლქი, ვიყავი ნიკოპოლში, პავლოგრადში, კრივოი როგში, ნოვო-მოსკოვსკში, მარგანეცში, მრავალი რამ ვნახე და, ჩემს ჩანაფიქრში დარწმუნებულმა, მოვიწვიე დიდი ქარხნების დირექტორები და პირდაპირ ვუთხარი, რომ საოლქო კომიტეტი კუსტარულობას ველარ მოითმენს, ქალაქი ქალაქი უნდა იყოს— დადგა ამის დრო. დირექტორები ფრთხილობდნენ, ამბობდნენ, სიამოვნებითო, მაგრამ სახსრები არა გვაქვს, არც კარგი პროექტები, სამშენებლო ბაზა სუსტიაო და სხვა და სხვა, რაც მსგავს შემთხვევაში ითქმის ხოლმე.

— წინადადება მაქვს, — ვთქვი ბოლოს, — მოდით, ყველამ ერთად დავათვალიეროთ კარგად ორგანიზებული ჩქაროსნული მშენებლობა. გადავწყვიტოთ, რისი გადმოღება შეიძლება. შორს არ მოგვიხდება წასვლა. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, — მიპასუხეს.

— მაშ, ნუღარ გადავდებთ. ხვალ საოლქო კომიტეტის შენობასთან შვიდ საათზე შევიკრიბოთ.

და აი, დილის 7 საათზე მწკრივად გავწიეთ რამდენიმე მანქანით — დირექტორები. სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელები, ქალაქკომისა და სა-

ქალაქო აღმასკომის მუშაკები. მახსოვს, ღრუბლიანი დღე იყო, უკან ჩამოვიტოვეთ — მანდრიკოვკა — ერთ-ერთი დაბა ფერდობზე მიკრული პატარა სახლებით, — და ··აი დანგრეული გზით სამხრეთისაკენ გავემართეთ. თითქმის მთელი გზა უკაცრიელი იყო, მგზავრებს იშვიათად ვხედავდით, არც მანქანა შეგვხვედრია. აქეთ-იქით ჩამწკრივებული ხეები გადამწვარი იყო, მინდვრები სანგრებით გადათხრილი, მხოლოდ ზოგან მუშაობდნენ ტრაქტორები ან ნადავლი საწევრები. ასე ვიმგზავრეთ ორიოდე საათს, შემდეგ ბორცვზე ავედით და ქვემოთ დნეპრჰესის პანორამა გადაგვეშალა. მის უკან, ტაფობში დიდი, ქათქათა ქალაქი იყო. სწორედ ამ დროს მზემაც გამოიხედა, ფანჯრებში სხივი აციაგდა, სახლები მაღალნი და ნათელნი ჩანდნენ... გული გამითბა: ზაპოროჟიეში მივდიოდი როგორც მეზობელი ქალაქის წარმომადგენელი, მაგრამ ამავე დროს მე აქ შინაური კაცი ვიყავი.

ტყუილად როდი ამბობენ, ერთხელ ნანახი სჯობს ასჯერ გაგონილსაო. ჩემმა ექსკურსანტებმა დაინახეს ასფალტბეტონი, რომლის შესახებაც მე არაერთხელ მილაპარაკია მათთან. ისინი დაინტერესდნენ კაბელ-ამწეებით, რომლებსაც ზაპოროჟიელები უკვე იყენებდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ გაჰყავდათ „დაჭირხნის მეთოდით“ წყალსადენი. ჰიდრავლიკური დომკრატები 800 მილიმეტრიან მილებს გრუნტში ჭირხნიდნენ და ამგვარად ჩვენ თვალწინ თითქმის მთელი კვარტალი გაიარეს. რა თქმა უნდა, მრავალი კითხვა დაგვებადა — ვადებზე, ღირებულებაზე, შრომის ნაყოფიერებაზე, საშენ მასალებზე. შემდეგ მუშათა სასადილოში ვისადილეთ და გვიან ღამით დავბრუნდით შინ. დაბრუნებისას გაირკვა, რომ ბაბუშკინის სახელობის ქარხნისა და ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის დირექტორებმა უკვე შეათვალიერეს შესაფერისი მრავალსართულიანი სახლები და პროექტების ხელმეორედ გამოყენებაზეც მოილაპარაკეს... ნახევარი წლის შემდეგ კი მთავარ პროსპექტზე წამოიმართა ეს მშვენიერი სახლები, რამაც ბიძგი მისცა ცენტრის განაშენიანებას. საფუძველი ჩაყრილი იყო!

ყველაზე საინტერესოდ, ალბათ, მაინც სანაპიროს ბედი წარიმართა. ახლა ეს ქალაქის ულამაზესი ადგილია, მაშინ კი ფაშისტებმა ნანგრევებად აქციეს. მე ამ სანაპიროს გაშენებულს წარმოვიდგენდი ხოლმე. მაგრამ სამეურნეო მუშაკები, სწვდებოდნენ რა ამ წარმტაც პერსპექტივებს, მხოლოდ თავს იქნევდნენ: „ვინ მოესწრება ამ სილამაზის ხილვას?!“ თითქმის ყველანი მოვესწარით, ხალხი მალე მიხვდა, რომ სანაპიროზე დასახლება სულაც არ არის ცუდი — დნეპრი დნეპრია, — და დაიწყეს ნაკვეთების მოთხოვნა, მაგრამ გვიანღა იყო: საქალაქო საბჭოს აღმასკომს უკვე გაცემული ჰქონდა ნაკვეთები.

რა თქმა უნდა, ომისშემდგომ მძიმე წლებში ქვეყანამ ძირითადი ძალები და სახსრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად გადაისროლა — ეს სწორი და კანონზომიერი იყო. მაგრამ ზოგჯერ ამ მართებული ლოზუნგის მიღმა იმალებოდა უგერგილობა, უყაირათობა, მუშაობის უუნარობა. ამასობაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, ტრანსპორტზე, საყოფაცხოვრებო დარგში, კულტურაში ჩამორჩენა უეჭველად ახდენდა გავლენას შრომის ნაყოფიერებაზე, მაშასადამე, წარმოების ზრდაზეც.

საოლქო კომიტეტი ინიციატივას მოითხოვდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან. ერთხელ როგორღაც ვუთხარი უკრაინის კპ (ბ) დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტის მდივნებს კ. კ. ტარასოვს, პ. ფ. ხრიპუნოვსა და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ნ. ე. გავრილენკოს:

— აიღეთ დიდი ჩანთა და მოსკოვში გაემგზავრეთ. უთუოდ მიდით მიღებაზე მინისტრებთან. უამბეთ ნგრევის შესახებ, უჩვენეთ ფოტოსურათები, მოგ-

ცენ ხახსრები წილობრივი მონაწილეობით — წყალსადაწნეო კოშკებისათვის, ტრამვაისათვის, საბავშვო ბაღებისათვის, საცხოვრებელი სახლებისათვის. [illegible] ხარით, რომ ეს საჭიროა მათივე მუშებისათვის. გაბედულად შედით, მტკიცედ მოითხოვეთ, თქვენ კომუნისტები ხართ, კომუნისტი კი გულადი უნდა იყოს.

ასე გვიხდებოდა მუშაობა, და ეს კარგ შედეგებსაც იძლეოდა. ქარხნები თუჯის გისოსებს ასხამდნენ სკვერებისათვის, დგამდნენ ფარნებს, საყრდენებს ტრამვაის ხაზებისათვის. ათასობით მუშა და მოსამსახურე გამოდიოდა კვირაობებზე — წმენდნენ ნაზღვლევებს, რგავდნენ ყვავილებსა და ხეებს. მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩკალოვისა და შევჩენკოს პარკებს — ქალაქის ულამაზეს პარკებს. ყმაწვილებს დიდი სიხარული მოუტანა საბავშვო რკინიგზის გახსნამ. შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოში გამოგვიყვეს ფული ეკატერინესდროინდელი სასახლის აღდგენისათვის. გადაწყდა, რომ ეს საქმე სტუდენტებისათვის მიგვენდო და თითოეულმა მათგანმა მშენებლობაზე ორმოცდაათი საათი იმუშავა. ასე გაჩნდა ჩვენთან სტუდენტთა კულტურის სასახლე — არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი და ყველაზე უფრო პოპულარული ახალგაზრდული კლუბი დნეპროპეტროვსკში.

მაგრამ აი, რა არის აქ დასამატებელი. როდესაც ხალხისაგან ინიციატივას მოვითხოვთ, პარტიული ხელმძღვანელი რთულ მომენტში უნდა იცავდეს მათ. დარტყმას საკუთარ თავზე უნდა იღებდეს. ასე მოიქცა, მაგალითად, ნიკოპოლის მილების ქარხნის დირექტორი ნ. ა. ტიხონოვი. მუშათა საყოფაცხოვრებო საკითხებს ის გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე სხვები. ქარხანაშიც საქმე კარგად მიდიოდა (ეს, სხვათა შორის, კანონზომიერია: თუ ადამიანზე არ ზრუნავ, ნურც კარგ მუშაობას მოელი). ტიხონოვი ადგა პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახულ გზას და გახსნა სტაციონარი ავადმყოფი მუშებისათვის, ჩამოაყალიბა მუშათა მომარაგების განყოფილების კარგი სასადილო, დაიწყო ფაშისტებისაგან დანგრეული გზის აღდგენა, მანვე, ამ ოლქში პირველმა აღადგინა საქარხნო კლუბი. რემონტისათვის, როგორც მახსოვს, მას შვიდასი ათასი მანეთი გამოუყვეს. მაგრამ თითქმის სამჯერ მეტის დახარჯვა მოუხდა. სწორედ იმ ხანებში ჩვენთან თევოსიანი ჩამოვიდა. მანქანაში სამნი ვიყავით. ივანე თევდორეს ძე დირექტორს კიცხავდა.

— შენ რა, როკფელერი ხარ? ამისათვის მოგცეს ფული?

ამ დროს მანქანა გაჩერდა, ჩვენ გადმოვედით — ჩვენ წინაშე იდგა ვრცელი, სუფთა და ლამაზი კლუბის შენობა.

— ჰოო, — ვთქვი მე, თითქოსდა მინისტრის მხარდასაჭერად, — ასეთი „აგარაკი“ თავისათვის აუშენებია!

თევოსიანს „ჰმ!“ — აღმოხდა, გზა განვაგრძეთ, ახალი გზისკენ გადავუხვიეთ და უცებ თევოსიანი ისევ აღშფოთდა.

— რა გიყოთ? — მიუბრუნდა ის დირექტორს, — მე უკვე დამირეკეს ფინანსთა სამინისტროდან, იციან ამ გზის ამბავი.

— საოლქო კომიტეტმაც იცის, — ვუთხარი მე, — უიმისოდ ღამის ცვლა არ იქნებოდა, ივანე თევდორეს ძევ, საკუთარი თავისათვის ხომ არ იღვწის, საკუთარ ჯიბეში ხომ არ მიაქვს. გნებავთ, ამ გზის მშენებლობას ჩვენ დავამთავრებთ როგორც სახალხო მშენებლობას?

მერე ასეც მოვიქეცით, კარგ დირექტორს კი რისხვა ავაშორეთ. ეს ამბავი ცნობილი გახდა მთელ ოლქში. ასეთი რამ მალე ვრცელდება და, რა თქმა უნდა, სარგებლობაც მოაქვს! — სხვა ადგილებშიც ეხმაურებიან.

## 9

საქმე სასინჯი ქვაა, რომლითაც ადამიანის ჭეშმარიტ ფასს შევიცნობთ ხოლმე. და ვინც არ იცის საქმე, ვინც თავის ადგილზე არ ზის, ის ადრე თუ გვიან შეეცდება ნაკლის შევსებას წამატებებითა და სხვა რამეებით. როგორ ამბობს იგავთამწერალი კრილოვი?.. „მაგრამ მლიქვნელი გულის კუნჭულში პოულობს თავის ადგილს“.

— თქვენ საქმე მითხარით, — ჩვეულებრივ ასე ვეუბნებოდი ამ ადამიანებს. — დითირამბები და ფეხქვეშ გაგება არ გვჭირდება. ამისათვის როდი მოგიწვიეთ საოლქო კომიტეტში.

და, ბოლოს, თუ მუშაობის სტილზე, ადამიანებთან ურთიერთობაზეა ლაპარაკი, მივხვდი, რომ არ უნდა ეცადო შენს ყაიდაზე გარდაქმნა ისინი. აქედან კარგი რამ არ გამოვა. პარტიულმა ხელმძღვანელმა თანამშრომლები ისე უნდა მიიღოს, როგორებიც ისინი არიან. მათი სუსტი მხარეების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ უნდა შეგეძლოს დაინახო და საქმის სასარგებლოდ წარმართო მათი ძლიერი მხარეები. მაგონდება ასეთი ამბავი:

დნეპროპეტროვსკში ერთბაშად ვერ მოგვარდა ჩემი ურთიერთობა ილია ივანეს ძე კორობოვთან — ოლქში ყველაზე დიდი ქარხნის, პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორთან. ის იყო ცნობილი მუშათა დინასტიის წარმომადგენელი. მამამისი ობეროსტატად მუშაობდა მაკეევკაში, ძმებიც მებრძმედეები იყვნენ და, მგონი, შვილებიც, ამჟამად კი შვილიშვილებიც აგრძელებენ ტრადიციას. კორობოვების ოჯახს იცნობდა სტალინი, ეს ოჯახი საქვეყნოდ იყო ცნობილი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, კორობოვი ზოგჯერ კარგავდა რეალობის გრძნობას, დიდგულობდა.

რა გაეწყობოდა, მე ჩემს ხაზს ვატარებდი, კორობოვთან ყოველთვის მშვიდად მეჭირა თავი, ხშირად დავდიოდი ქარხანაში, ვხვდებოდი კოლექტივს, ვესაუბრებოდი მუშებს, მხარს ვუჭერდი ამ საწარმოს მეფოლადეების — ხევჩასის, სოცკოს, მექურე ტროფიმოვისა და სხვათა თაოსნობას. ვიცოდი კორობოვის ძლიერი მხარეც: ნამდვილად პირველხარისხოვანი მებრძმედე გახლდათ. და თუმცა, როგორც ადამიანს, არ დავმალავ, რამდენადმე მაღიზიანებდა მისი ჭირვეულობა, მაგრამ საჭირო იყო ამის დაძლევა, ვინაიდან კარგი მუშაკი იყო და ეს განსაზღვრავდა ყველაფერს.

1949 წლის დამლევს უკრაინაში დაძაბული ვითარება შეიქმნა სათბობისა და ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო. პეტროვსკის ქარხანა, როგორც ბევრი სხვა, უმცირეს ულუფას ღებულობდა, გეგმას საფრთხე შეექმნა. და აი, ვიდრე დირექტორები ახერხებდნენ თავიანთი არხებით დახმარების მიღებას, ჩვენ, საოლქო კომიტეტში, გავაანალიზეთ ვითარება და დავადგინეთ, რომ ბევრი სათბობი იკარგებოდა ატმოსფეროში საკერძის აირის სახით. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ გაგვაოცა შეჯამებულმა ციფრმა: დანაკარგები ნახევარ მილიონ ტონა ქვანახშირს უდრიდა! შევკრიბე დირექტორები: აი გამოსავალი! უნდა გავაერთიანოთ ძალ-ღონე, გამოვნახოთ და გავგლინოთ ლითონი მილებისათვის (ნარჩენებიდან, არაკონდიციური მასალიდან, ზეგეგმითი პროდუქციიდან) და გავიყვანოთ გაზსადენი. უნდა ვაღიაროთ, რომ კორობოვმა ერთ-ერთმა პირველმა გაიზიარა ეს იდეა, ბევრიც გააკეთა და ჩვენ საკმაოდ სწრაფად განვახორციელეთ იგი.

შემდეგ კი თავი იჩინა კორობოვის მკაცრმა ხასიათმა. ქარხნიდან საჩივარი საჩივარზე მიდიოდა სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. დაისვა საკითხი დირექტორის პოსტიდან მისი განთავისუფლების შესახებ. აქ კი მე გადაჭრით გავი-

ლაშქრე ამის წინააღმდეგ, თუმცა, ვიმეორებ, ჩვენი პირადი ურთიერთობა კვლავ არასახარბიელო იყო.

— მიმაჩნია, რომ კორობოვი არ არის ხელიდან წასული ხელმძღვანელი, ვთქვი მე საოლქო კომიტეტის ბიუროზე. — დიახ, იყო შეცდომები, იყო გამოტოვებიც და მას სწორად მიუთითეს ამაზე, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანისათვის კიდევ ღირს ბრძოლა.

საქმე საყვედურით დამთავრდა. ამან სარგებლობა მოიტანა. ილია ივანეს ძე კიდევ რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა ქარხანას, მან ბევრი რამ გააკეთა მთელ ქვეყანაში საბრძმედე წარმოების განვითარებისათვის, გახდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი. მაშასადამე, არ შევმცდარვარ, როდესაც მას გამოვესარჩლე.

მსგავსი შემთხვევა იყო ზაპოროჟიეშიც. დნეპრმშენს მეთაურობდა ცნობილი ჰიდრომშენებელი თევდორე გიორგის ძე ლოგინოვი. იგი, შეიძლება ითქვას, ხალასი ვინმე იყო. თერთმეტი წლისამ დაიწყო მუშაობა. იბრძოდა კოლჩაკელებისა და დენიკინელების წინააღმდეგ და, ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი, პოლკის მეთაურის თანაშემწე გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ათიათავად პირველ დნეპრმშენზე, სამუშაოთა მწარმოებლად ბოქსანსა და შუა ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებზე, მშენებლობის უფროსად ჩირჩიკში. კოლორიტული ადამიანი იყო — ბრგე, გაბედული, თავნება. ყველაფერს თავის თავზე იღებდა, ვერავის შენიშვნებს ვერ იტანდა.

ერთმმართველობის პრინციპი სასარგებლოა, ასეთი მასშტაბის მშენებლობაზე კი აუცილებელიც, მაგრამ ცუდია, როდესაც „ერთმმართველი“ კრიტიკას ვერ ურიგდება. ლოგინოვი უხეში, თავშეუკავებელი, ფიცხი იყო ადამიანებთან ურთიერთობაში. იცოდა რა ეს თავისი სუსტი მხარე, კრიალოსანიც კი შეიძინა. „სათითაოდ ვმარცვლავ, — ამიხსნა მან, — შევხედავ და ვმშვიდდები“. ხშირად სერიოზულად შევჯახებივართ ერთმანეთს და მე, იმხანად საოლქო კომიტეტის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მდივანს, მიჭირდა ამ კაცთან ურთიერთობა.

დნეპრჰესის პირველი აგრეგატები მუშაობდნენ, მაგრამ დანარჩენების ამოქმედება გაჭიანურდა და საქმე იმით დამთავრდა, რომ უკრაინის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მშენებლობაზე არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. ლოგინოვმა, რომელიც მიჩვეული იყო ზეპირ და პრესაში გამოთქმულ ხოტბას, ცენტრალურ კომიტეტში დეპეშა გაგზავნა იმის შესახებ, რომ იგი გადაჭრით არ ეთანხმებოდა ამ დადგენილებას. 1947 წლის 1 ნოემბერს გაიმართა „დნეპრმშენის“ კოლექტივის პარტიული კრება, რომელზეც მოხსენების გაკეთება მე დამავალეს.

დეტალურად ვილაპარაკე ნაკლოვანებებზე და კვლავ დავარწმუნე ადამიანები, რომ ეს შეცდომები გამოგონილი კი არ არის, არამედ ნამდვილად დაშვებულია-მეთქი. როგორც იტყვიან, ყელში კი არ ვწვდომივარ, პირიქით, შევეცადე მეჩვენებინა მისთვის, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი აფასებს ლოგინოვს როგორც მუშაკს და საჭიროდ თვლის, რომ სწორედ იგი მეთაურობდეს ამ უზარმაზარ მშენებლობას. გამოვთქვი რწმენა, რომ თევდორე გიორგის ძე საჭირო დასკვნებს გამოიტანდა კრიტიკიდან და უზრუნველყოფდა სადგურის მთელი სიმძლავრით უსწრაფესად ამოქმედებას. მე ნამდვილად ვხედავდი და ვაფასებდი ამ ადამიანის ძლიერ მხარეებს — დიდ ცოდნას, უზარმაზარ გამოცდილებას, ნებისყოფას და საქმის ერთგულებას.

— მიუხედავად ლოგინოვის თანამდებობისადმი, პარტიულობისადმი, ასაკისადმი პატივისცემისა, —ვთქვი დასასრულს, — მიუხედავად იმ აუცილებლო

პისა, რომ მხარი დავუჭიროთ მისი, როგორც ხელმძღვანელის, ავტორიტეტს. მიუხედავად მზადყოფნისა დავეხმაროთ მას, მიმაჩნია, რომ ჩვენ მოვალენი ვართ მთელი სიმკაცრით ბოლომდე გავაკრიტიკოთ მისი ნაკლოვანებანი ისე, რომ არაფერი დავუთმოთ არც ლოგინოვს — მშენებლობის უფროსს და არც ლოგინოვს — კომუნისტს. თუ საკითხს ასე დავსვამთ, მშენებლობასაც დავეხმარებით და ლოგინოვსაც. საკითხის სხვაგვარად დაყენება ჩვენ არ შეგვფერის და მოვალენი ვართ გადაჭრით უკუვაგდოთ იგი!

თუ ადამიანმა იცის საქმე, საქმის ერთგულია, იღვწის საერთო სიკეთისათვის, მაშინ მხარი უნდა დავუჭიროთ მას. აქ მიზანი ერთია: წელში კი არ გავტეხოთ მუშაკი, არამედ გამოვასწოროთ, აღვზარდოთ იგი. მთავარია გამოვავლინოთ და საქმისათვის გამოვიყენოთ მისი კარგი მხარეები.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ საჭიროდ მიმაჩნია სპეციალურად შევჩერდე მასზე. ჩვენი ახალი კონსტიტუციის 49-ე მუხლში შემთხვევით არ წერია, რომ სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ხაზგასმულია, რომ კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია.

ძირითადი კანონის ამ მუხლს, ჩემი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ დღეს ჩვენ ვაღწევთ მაღალ, მე ვიტყოდი, უმაღლეს ორგანიზებულობას, თუ გვინდა განვამტკიცოთ დისციპლინა ყველა დონეზე — შრომის დისციპლინა, ტექნოლოგიური დისციპლინა, საგეგმო დისციპლინა — მაშინ დაინტერესებულად, გულმოდგინედ, კრიტიკულად უნდა შევხედოთ საქმის ვითარებას. იგი დაგვეხმარება უზრუნველვყოთ საამისოდ აუცილებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატი, რომელიც წარმოშობს მისწრაფებას ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, უფრო ნაყოფიერად, უკეთ, კლიმატი, რომელიც შექმნის შეურიგებლობის ატმოსფეროს გამცდენებისა და მცონარების, გულგრილობისა და უყაირათობის, თვალისახვევისა და წამატებების ყოველი ფაქტისადმი.

კრიტიკისაგან ხელმძღვანელის დაცვა მის დაღუპვას ნიშნავს. ის, ვინც კრიტიკას ველარ ურიგდება, საქმისათვის დაკარგულია, რომ აიღოთ ახლა იმ წლების პლენუმების, კონფერენციების, აქტივების სტენოგრამები, რომლებზეც აქ გესაუბრებით, ვერსად ვერ ნახავთ ისეთს, სადაც კრიტიკა არ იყოს. ჩვენი კრიტიკა საქმიანიც იყო, დამაჯერებელიც და კონსტრუქციულიც. ლიტონი სიტყვა რომ არ გამომივიდეს, რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

აი მოკლე დიალოგი, რომელიც გაიმართა 1947 წელს უკრაინის სკპ (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის XVI პლენუმზე. კამათში გამოვიდა კიროვის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. მ. ქალილო და თავის თავს ისეთი პასაჟის უფლება მისცა, რომ იძულებული შევიქენი ჩავრეულიყავი.

„ამხ. ქალილო: ...სამწუხაროდ, არიან ჩვენს ქარხანაში სხვა ამხანაგებიც, რომლებიც მეტისმეტად ბევრს აკრიტიკებენ. აი მაგალითად, მექანიკური განყოფილების უფროსი ამხ. ზაიცევი...

ამხ. ბრეჟნევი: თქვენ რა, კრიტიკას ახშობთ?

ამხ. ქალილო: არა. მაგრამ საჭიროა ისინიც თვითკრიტიკული იყვნენ.

ამხ. ბრეჟნევი: მაშასადამე, გინდათ, რომ მხოლოდ თავიანთ თავს აკრიტიკებდნენ. ხოლო თუ თქვენ შეგეხებიან, არ შეიძლება. (ხმაური დარბაზში.)

ამხ. ქალილო: კრიტიკა და თვითკრიტიკა, უთუოდ, კარგი საქმეა,

მაგრამ არ შეიძლება გაკრიტიკება ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვის მიზნით.

ამხ. ბრეჟნევი: მაინც რაღაც გაურკვეველია, ბუნდოვანია...

ამხ. ქალილო: მე ვამბობ, რომ ზოგიერთ ამხანაგს საკმარისად არ ესმის პარტიული დისციპლინა და პარტიული ეთიკა. კინკლაობა კი არ უნდა გამართონ, არამედ უნდა იმუშაონ.

ამხ. ბრეჟნევი: ვთქვათ, მოკინკლავე ადამიანები გვყავნან, ღირს კი პლენუმზე ამის შესახებ ლაპარაკი? შარიანები ყველგან არიან. ხოლო თქვენს ქარხანაში მით უფრო ისინი აუცილებლად იქნებიან (სიცილი დარბაზში).

ამხ. ქალილო: დიახ, ეს არის ყველაზე მტკივნეული ადგილი ჩვენს ქარხანაში.

ამხ. ბრეჟნევი: რამდენადაც გავიგე, ყველაზე მტკივნეული ადგილი თქვენს ქარხანაში კრიტიკაა. იგი საშიში როდია, ვინაიდან ადამიანისადმი პატივისცემასაც გულისხმობს!".

კრიტიკის ჩამხშობთა მიმართ საოლქო კომიტეტის დამოკიდებულება სავსებით გარკვეული იყო და იგი ამას მოურიდებლად გამოხატავდა კიდეც პირობების მიუხედავად. მეორე მხრივ, ამ სტენოგრამათა გადაკითხვისას დავინახე: საკმაოდ ხშირად, როდესაც ტრიბუნიდან ვინმეს ვაკრიტიკებდი, აქვე ხაზს ვუსვამდი და დავძენდი, რომ როგორც მუშაკს ვაფასებდი მას. ამის ხაზგასმა ზოგჯერ აუცილებელია.

დნეპროპეტროვსკში ყველაზე დიდი სამრეწველო რაიონი იყო ლენინის რაიონი, ხოლო ამ რაიონში რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ გიორგი პეტრეს ძე კუცოვი — ინჟინერ-მეტალურგი პეტროვკიდან, მუშაობდა ენერგიულად, საქმიანად, მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა, საკმაოდ მკაცრად გავაკრიტიკე.

— მინდა შევჩერდე ამხანაგ კუცოვის მოხსენებაზე. არ მინდოდა თქვენი წყენინება, ამხანაგო კუცოვ, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი აზრი საქალაქო კომიტეტის პლენუმზე. მიმაჩნია, რომ მოხსენება უწყინარი გახლდათ. იგი აბსოლუტურად არავის არ შეხებია, არ გამოუვლინებია ნაკლოვანებანი პარტიის რაიკომის მუშაობაში, არც ერთი ქარხნის დირექტორი ან პარტორგანიზაციის მდივანი არ დაგისახელებიათ, მთელი ყურადღება მხოლოდ წითელ კუთხეებზე გაამახვილეთ. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა ასე გამოსვლა, თუ, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მეძახიან — სულ ერთია საკითხი შეეხება მრეწველობას, სოფლის მეურნეობას თუ პარტიულ-მასობრივ მუშაობას — რამდენიმე დღე მაინც მჭირდება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ღრმად გავიაზრო საქმის ვითარება ქალაქსა და ოლქში. ცენტრალურ კომიტეტს აინტერესებს, როგორ აფასებს საოლქო კომიტეტი საქმის ვითარებას ადგილზე. ჩვენთან კი ისეთი ნაცადი და საქმიანი მუშაკიც კი, როგორიც უმსხვილესი საქარხნო რაიონის რაიკომის მდივანი ამხანაგი კუცოვია, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ისე მოდის, რომ საჭიროდაცა კი არ მიიჩნევს სათანადოდ მომზადებას.

როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, შესვენების დროს მოღუშული კუცოვი განცალკევებით იდგა. როდესაც ეს შევნიშნე, მასთან მივედი.

— ხომ მაგრად მოგცხე?

— საკმაოდ... არავის ვუსურვებდი.

— მაგრამ მხარიც ხომ დაგიჭირე!

არ მახსოვს კიდევ რაზე ვისაუბრე მასთან, მაგრამ აქ მთავარი იყო ადა-

წარწერისათვის გამეგებინებინა, რომ ჩვენი ურთიერთობა არ შეცვლილა: დიახ, იყო საკმაოდ მძაფრი კრიტიკა, მაგრამ დახეთ, მაინც ერთად ვართ, მეგობრულად ვსაუბრობთ — კვლავ ამხანაგებად დავრჩით.

## 10

როდესაც იმ წლებში ჩემს მუშაობას ვიხსენებ და გონების თვალს ვავლებ ადამიანებთან შეხვედრებს, ვხედავ რომ მათში უწინარეს ყოვლისა ვაფასებდი შეუპოვრობას, დამოუკიდებელ აზროვნებას, კომპეტენტურობას, სიახლის მახვილ გრძნობას, უნარს დროულად შეამჩნიოს და დაუჭიროს მხარი მასების ინიციატივასა და შემოქმედებას. უნდა შევნიშნო, რომ დღესაც ეს თვისებები, თუ გნებავთ, საქმიანობის ასეთი სტილი ყველაზე მეტად გვჭირდება. საჭიროა ძირფესვიანად ამოვძირკვოთ სამეურნეო ხელმძღვანელობის პრაქტიკიდან თავის დაზღვევა, საქმის გაჭიანურება, ზემდგომი ინსტანციებისადმი უსარგებლო მიმართვა უმნიშვნელო საკითხებზე, პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მისწრაფება, მისი სხვისთვის დაკისრება. სამწუხაროდ, დღესაც გვხვდება ხოლმე ასეთი რამ.

ჩემს პრაქტიკაში ვცდილობდი მხარი დამეჭირა მოაზროვნე, გაბედული, მოწინავე ადამიანებისათვის. ვიცოდი, რომ ეს ყოველთვის ერთიასად იქნებოდა ანაზღაურებული. ერთ დროს, მაგალითად, ჩვენთან მთელ დნეპრისპირეთში მტკივნეული ადგილი იყო ბრძმედების ამოგება. როცა შევიტყვე, რომ ი. თ. კარპაჩოვის ბრიგადის მეცეცხლგამძლეები დღენიადაგ გადაჭარბებით ასრულებდნენ ნორმებს, მათ მივაშურე. მუშები ბრძმედის ქურის ძირზე იყვნენ, დავსხედით, გავაბოლეთ, ვისაუბრეთ.

— სხვადასხვა ღუმელების ამოგება გვიხდება, — საფუძვლიანად დაიწყო კარპაჩოვმა, — იქნება ეს მარტენის, გასახურებელი, საწრთობი თუ გამოსაწვავი. ასეთი ღუმელები მრავლად არის მრეწველობაში და თითქმის ყველას ამოგებაა საჭირო. მაგრამ სირთულე ამაში როდია.

— საკუთრივ რამდენი ბრძმედი გაქვს ამოგებული, ივანე თევდორეს ძევ?

დაიწყო თითებზე ჩამოთვლა, თუ რამდენი ასეთი ბრძმედი იყო კუშვაში, ნიჟნი ტაგილში, კუზნეცკში, ზაპოროჟიეში... სიტყვამ მოიტანა, და შევნიშნე, რომ ასეთი საუბრები უნდა წარმოებდეს დინჯად, აუჩქარებლად. მათი შეკვეცა არ შეიძლება. აქაოდა, არ მცალია, აბა ჩქარა საქმეზე ილაპარაკეო! და თუ ჩვეულებრივ ვახერხებდი გამომენახა საერთო ენა მუშებთან ან კოლმეურნეებთან, ეს, ეტყობა, იმიტომ, რომ ხედავდნენ — ჩემი დაინტერესება მათი საქმეებით არ იყო მოჩვენებითი, მე ნამდვილად დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ასეთი შეხვედრები.

ასევე დაწვრილებით მიამბო კარპაჩოვმა შრომის ორგანიზაციაზე, მათთან არსებულ პროგრესულ-პრემიალურ სისტემაზე, ბრიგადების გამომუშავებაზე (თანხაც, რა თქმა უნდა, ფასების ძველი მასშტაბით დაასახელა).

— აი, გუშინ, — თქვა მან, — ცვლაში ასორმოცდათოთხმეტი მანეთი გამოვიმუშავე, ნორმაა სამოცდაცხრა აგური, მე კი ორას ოთხი ამოვაგე.

— სამჯერ გადაამეტეთ!

— თითქმის, — კვერი დამიკრა ბრიგადირმა, — მაგრამ მეტიც შეიძლება. [illegible] ჩვენთან ნორმა სამას ორმოცდაათი პროცენტით შესრულდა.

— ხარისხი როგორიღაა? — ვკითხე მე. — თქვენ ხომ ლეშადინს აგებთ. აქ კი მოთხოვნა ძალზე მკაცრია.

მუშებმა ერთმანეთს გადახედეს, მიხვდნენ, რომ უმეცართან არ ჰქონდათ

საქმე. ლორფინის ამოგება ყოველთვის ითვლებოდა არა მარტო ძნელ, არამედ მეტად ნატიფ საქმედაც. აგურებს შორის ნაკერი ნახევარ მილიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს. თითოეული მეცეცხლგამძლის ნამუშევარს თვალს ადევნებს კონტროლიორი და საგანგებო საცეცით ამოწმებს ნაკერებს. აკი გამდნარი ლითონი სწორედ აქ გროვდება.

— დუღაბის დოზირება ზუსტია, — თქვა კარპაჩოვმა, — აი მთავარი საიდუმლო. ჩვენთან გამოიყენება თხევადი დუღაბი, მას ვერ ჩადებ. თითოეული აგური სამივე მხრივ უნდა იყოს მოსხურებული. ბევრი მას სამჯერ ავლებს ხსნარში. ჩვენ კი ვისწავლეთ ამის გაკეთება ერთი მოძრაობით.

ბუნებრივია, როდესაც გაიგებ ხელმარჯვე ოსტატთა მიღწევების არსს, ცდილობ ყველაფერი გააკეთო იმისათვის, რომ მათი „საიდუმლო" საიდუმლოდ არ დარჩეს. მალე ჩემი დაჟინებული მოთხოვნით საკავშირო თბომშენის ინჟინრები დაეხმარნენ ი. თ. კარპაჩოვს აეწერა თავისი მუშაობის მეთოდები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ისინი ხელმისაწვდომი გახდა ყველა ბრიგადისათვის როგორც ზაპოროჟიეს, ისე დნეპროპეტროვსკის ოლქში.

მრავალი ასეთი შეხვედრა მქონია. თუ დროს მოვიხელთებდი და ქარხანაში ან მშენებლობაზე წავიდოდი, იქ დიდხანს ვრჩებოდი და, როგორც ამბობენ, გულს ვიჯერებდი ხოლმე ადამიანებთან საუბრით. მახსოვს, მაღარო „გიგანტში" სპეცტანსაცმლით მოსილი შტრეკებს დავუყევი, გავერთე და მეშახტეებთან ხუთი თუ ექვსი საათი გავატარე. ამის შემდეგ ადვილია გაიგო ადამიანების განწყობილება, საჭიროებანი, გეგმები.

განსაკუთრებით ხშირად მიხდებოდა ყოფნა ოლქში ყველაზე დიდ, პეტროვსკის სახელობის ქარხანაში, განთქმულ პეტროვკაში. ისეც ხდებოდა, რომ ქარხნის სამმართველოში საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ელოდნენ, ემზადებოდნენ შესახვედრად, მე კი მივდიოდი არა იქ, სადაც მიწვეული გაბლდით, სადაც შეხედავ და ყველაფერს კრიალი გაუდის, არამედ გადავუხვევდი, ვთქვათ, ღუმელის იქით, სადაც წესრიგი ნაკლებად იყო. მეხმარებოდა მეტალურგის გამოცდილება: ყმაწვილობაში თვითონვე გავიარე ყველა საფეხური, ასეთსავე ქარხანაში —ცეცხლფარეშიდან ინჟინრამდე.

ეს მუშებთან ურთიერთობასაც მიადვილებდა. ვსაუბრობ ხან ერთ, ხან მეორე ბრიგადაში, ვხვდები მექურეებს, მეფოლადეებს, მგლინავებს, მათთან ერთად ვსადილობ მუშათა სასადილოში. რასაც ოფიციალურ ვითარებაში არ იტყოდნენ, იმას აქ მთელი გულახდილობით ამბობდნენ, შემდეგ ნახევარი ან ერთი საათით ჩავიკეტებოდი რომელიმე კაბინეტში, სახელდახელოდ ვადგენდი თეზისებს და საღამოს პარტაქტივზე უკვე მზად ვიყავი არა მარტო წამომეყენებინა საერთო ამოცანები, არამედ დამეკავშირებინა ისინი მოცემული საწარმოს კონკრეტული ვითარებისათვის:

— მოდით, ამხანაგებო, ვილაპარაკოთ გულახდილად, მე ყველაფერი გითხარით, რასაც ვფიქრობ. ახლა კი, მოდით, თქვენ ილაპარაკეთ მუშურად, პირდაპირ. როგორ გავაუმჯობესოთ საქმე? რა გვიშლის ხელს? სად არის ჩვენი რეზერვები?

კრიტიკა ასეთ შემთხვევებში იყო არა უსაფუძვლო, არამედ საგნობრივი, მაშასადამე, კონსტრუქციულიც.

მკითხველმა შეიძლება სრულიად სამართლიანად იკითხოს: სხვისი აღზრდა ადვილია, მაგრამ თვითონ ავტორი როგორღა ღებულობდა კრიტიკას? გულწრფელად გეტყვით: მძიმედ, ძალიან მტკივნეულად, სხვანაირად ალბათ შეუძლებელიცაა. კრიტიკა შოკოლადი როდია, რომ გიყვარდეს. მარტო ქარაფშუტა ფუყე ადამიანს შეუძლია მოისმინოს საყვედურები, გაიცინოს და

მყისვე დაივიწყოს ყველაფერი. ერთხელ მომიხდა სპეციალურად შევხებოდი ამ თემას დნეპროპეტროვსკში კომკავშირის საოლქო კონფერენციაზე (1948 წლის თებერვალი). ვიცი, ამბობდნენ მაშინ, რომ ჩვენს შორის არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც იტყოდა: არ შემიძლია ვისაუზმო, თუ ვინმემ არ გამაკრიტიკაო. მაგრამ კრიტიკა ნამდვილ ბოლშევიკებში იწვევს შეუპოვრობას, თავისის გატანის წყურვილს. უკმაყოფილებიდან იბადება შემართება, უკეთ მუშაობის წადილი. ჩემი ცხოვრების მანძილზე სულ სხვადასხვა ხასიათის არა ერთი და ორი შენიშვნა მომისმენია, მაგრამ ზოგჯერ რაოდენ ძნელიც უნდა ყოფილიყო ეს, ვცდილობდი ამეღო მათგან რაციონალური მარცვალი, გამომქონდა სერიოზული დასკვნები, რაც საბოლოო ანგარიშით ყოველთვის სასარგებლო აღმოჩნდებოდა ხოლმე როგორც ჩემთვის, ისე საქმისათვის. მაგრამ კრიტიკას ზემოდან, საერთოდ, ასე თუ ისე ყველა ღებულობს, უფრო რთულია ქვემოდან კრიტიკა. ხდება ხოლმე, უსმენ განრისხებულ ორატორს და შენში ისადამი არაკეთილგანწყობილებასაც კი ამჩნევ. „რა ავყია ვინმეა. შეხეთ როგორ გამკრა კბილი!“. მაგრამ გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი მისამართით ასეთი გამოსვლის შემდეგ შემეცვალა დამოკიდებულება ადამიანისადმი. ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

დნეპროპეტროვსკში განსაკუთრებით დამამახსოვრდა ნიკოლოზ რომანის ძე მირონოვის — პარტიის ოქტომბრის რაიკომის მდივნის კრიტიკული სიტყვები. ორიგინალური ადამიანი იყო, გაბედული, უნივერსიტეტის მეხუთე კურსიდან მოხალისედ წავიდა ფრონტზე. შესანიშნავად იბრძოდა, მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც ხალისიან ჭაბუკად, კარგ სპორტსმენად დარჩა. ჩვენთან მუშაობდა დიდ უმაღლესი სასწავლებლის რაიონში. ვიტყვი იმასაც, რომ სტუდენტთა სასახლის აღდგენა მისი წამოწყება გახლდათ. ჰოდა, მირონოვის გამოსვლები ჩვენს კონფერენციებზე, ასევე გამოირჩეოდა გაბედულებით, პრობლემების დასმის სიმახვილით. და თუ იგი პარტიის საქალაქო კომიტეტის ან საოლქო კომიტეტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე ლაპარაკობდა, კი არ დიპლომატობდა და მიკიბულ-მოკიბულ გამოთქმებს კი არ დაეძებდა, არამედ პირდაპირ ასახელებდა კონკრეტულ მუშაკებს, მათ შორის მეც.

რა უნდა თქვა? ვუსმენდი ასეთ გამოსვლებს და ვფიქრობდი, რომ ისინი ყველაფერში მართალი არ იყვნენ, მეც ხომ. პირველი დღიდანვე აღვძარი ეს საკითხები. მეც იმისათვის ვილვწოდი, რასაც ეს ორატორები მოითხოვენ, მაგრამ რაკი ისინი ამაზე ლაპარაკობენ, ეტყობა, ჯერ ვერ მიმიღწევია მიზნისათვის, შორიდან უფრო კარგად ჩანს. თანაც ჩემთვის ცხადი იყო, რომ მირონოვს საქმის გამოსწორება სურს, გული შესტკივა საქმისათვის, მისი კრიტიკა მხოლოდ ამით იყო გამოწვეული, და ამიტომ მისდამი ჩემი დამოკიდებულება არა მარტო კარგი, მე ვიტყოდი, მეგობრულიც კი იყო — დნეპროპეტროვსკშიც, შემდეგ მოსკოვშიც, როცა ნიკოლოზ რომანის ძე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადავიდა სამუშაოდ, ვიდრე ის ტრაგიკულად არ დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს.

ახლა გიჩვენებთ (სტენოგრამის მიხედვით), რა ითქვა კრიტიკის პასუხად. მაგალითად, 1948 წელს საოლქო პარტიულ კონფერენციაზე.

„ა მ ხ. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი: მე ყურადღებით მოვისმინე ყველა გამოსვლა და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კრიტიკამ გარკვეული უსიამოვნება მოუტანა ჩვენი საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამა თუ იმ მუშაკს, ამა თუ იმ მოღვაწეს. უნდა ვთქვა, რომ ბევრ შემთხვევაში ეს კრიტიკა ჩემი მისამართით აღვიქვი და ასევე განვიცადე, მაგრამ ამ კრიტიკიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ყოველმა ჩვენგანმა. ჩვენში, ბოლშევიკებში, ამ უკმაყოფილებამ, ამ ში-

ნაგანმა წუხილმა თავის მხრივ, უნდა გამოიწვიოს ინიციატივა და ენერგია მუშაობაში, მისწრაფება, რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, რომლებიც გააკრიტიკეს. პირადად მე აქედან მხოლოდ ასეთი დასკვნა გამომაქვს ჩემთვის“.

არ უნდა გვეგონოს, თითქოს კრიტიკული შენიშვნების სიუხვე საქმის ცუდ ვითარებას მოასწავებდეს. სწორედ პირიქით არის: რაც უფრო მეტია აშკარა, საჯარო კრიტიკა, მით უკეთ მიდის საქმე. დნეპროპეტროვსკის ოლქის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი ოლქის ნათესმა ფართობებმა ომამდელს გადააჭარბა. პეტროვკამ, ძერჟინკამ და ბევრმა სხვა ქარხანამ ასევე გადააჭარბეს წარმოების ომამდელ დონეს. აღდგენილ იქნა კრივოი როგისა და ნიკოპოლის შახტები. ისინი მადნით უზრუნველყოფდნენ ქვეყნის სამხრეთისა და ცენტრის მეტალურგიას. დნეპრისპირეთმა მოიშუშა უძნელესი ომით მიყენებული ჭრილობები.

სახალხო მეურნეობის აღდგენის ეტაპი, შეიძლება ითქვას, ჩვენ 1950 წლისათვის დავამთავრეთ. საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის საქმეთა ნუსხას, რაც ოდნავადაც არ შემცირებულა ამით, ახალი საინტერესო საქმეები დაემატა. მახსოვს, ღამის ორ საათამდე ისხდნენ ჩემთან შევჩენკოს სახელობის თეატრის მსახიობები. მიხსნიდნენ, რატომ არ იყო კლასიკა მათ რეპერტუარში, ჩიოდნენ, რომ აკლიათ დეკორაციები, კოსტიუმები. საჭირო იყო ყველაფერში ჩაწვდომა, მათთვის დახმარების გაწევა. 1949 წელს ჩვენთან ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება წყალჯომარდობაში, ბევრი საზრუნავი გაგვიჩნდა, მაგრამ ასეთი რამ, მე ვიტყოდი, კი არ გვღლიდა, პირიქით, გვახარებდა. მაშასადამე, დადგა ამის დროც და ხალხი კულტურას, ხელოვნებას, სპორტს ეტანება — ესეც ალორძინებაზე მეტყველებდა. თუ მომიხერხდებოდა თავისუფალი საათების გამოძებნა, პირადადაც დავდიოდი ხოლმე სტადიონზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძველი მეტოქეების ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ფეხბურთის გუნდების — „მეტალურგისა“ და „სტალის“ მატჩები. მართალი გითხრათ, ორივე გუნდს თანაბრად ვგულშემატკივრობდი.

ჩემთან კაბინეტში სულ უფრო ხშირად შემოდიოდნენ არქიტექტორები თავიანთი პროექტებით, მხატვრები გაფორმების ესკიზებით, მხატვრული თვითმოქმედების რეჟისორები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, სპორტის ოსტატები, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები. აქვე დავძენ, რომ იმხანად მე შევხვდი ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტების გამოჩენილ ხელმძღვანელს კლემენტ გოტვალდს, რამდენიმე საათი ამხანაგურ საუბარში გავატარეთ. გამიზიარა სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის განვითარების გეგმები. ველაპარაკე ჩვენი ხალხების მეგობრობის გაღრმავებაზე, გავიხსენე, როგორ ვმონაწილეობდი პრაღის განთავისუფლებაში.

დღეს ასეთი შეხვედრები მეგობრებთან სოციალისტური ქვეყნებიდან, სტუმრებთან განვითარებადი ქვეყნებიდან, კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებთან — სულ უფრო ფართოდ ინერგება საოლქო პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელების პრაქტიკაში, ისინიც, თავის მხრივ, სულ უფრო ხშირად მიემგზავრებიან უცხოეთში, რაც მათს მუშაობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის პარტიისა და ქვეყნისათვის. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, თუ რაოდენ ბევრი რამ არის დამოკიდებული საოლქო კომიტეტის პირველ მდივანზე, თუ რა რთული, ძნელი, და მე ვიტყოდი, პასუხსაგები პოსტია ჩვენს პარტიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როდესაც თვალს ვავლებ განვლილ გზას, ვიგონებ იმ წლებს, დნეპრისპირეთში რომ გავატარე, შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ მეორედ შევეთვისტომე მძლავრი საწარმოებისა და აყვავებული ყანების მშვენიერ მხარეს. მოხარული ვარ, რომ მეც ამ ბარაქიანი მხარის მუშებთან, კოლმეურნეებთან, მშენებლებთან, ინჟინრებთან, აგრონომებთან, მეცნიერებთან ერთად მიშრომია.

„სადაც დაიბადებიო, ხალხს იქ გამოადგებიო“— ამბობს რუსული ანდაზა. დღეს ეს ანდაზა, შესაძლოა, მოძველდა, ასიათასობით და მილიონობით საბჭოთა პატრიოტი პარტიის მოწოდებით ტოვებს მშობლიურ კერას, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის გარდაქმნაში, კომუნიზმის მშენებლობაში. და ორგზის მშობლიური, განსაკუთრებით მახლობელი ხდება მათთვის ის მხარე, რომელთან ერთადაც გაიზიარეს სიძნელეები და დიდი გამარჯვებანი, სადაც მუშაობდნენ, სადაც, როგორც იტყვიან, იჯაფეს და იღვაწეს.

და მეც, როდესაც მშობლიურ ადგილებში ჩავდივარ ხოლმე, უბრალოდ კი არ ვტკბები დნეპრის ნაპირების მშვენებით, არამედ ვიგონებ: ეს გზა ჯერ კიდევ ჩემსობას გაიყვანეს, კულტურის ეს სასახლეც, ეს ქარხნებიც, ელექტროსადგურებიც, შახტებიც, ქალაქის ეს ქუჩებიც, საკოლმეურნეო სოფლებიც ჩემსობას აშენდა, მათში ჩემი შრომის, ჩემი ნააზრევის, ჩემი მღელვარების, უძილო ღამეების ნაწილიც არის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

# წიგნიდან — „წეროების სამკუთხედი"

* * *

წუხელ თოვლი მოვიდა,
ნეილონის თოვლი,
არც ანტენა ირხეოდა,
არც ხე,
არც ფოთოლი.
როგორც ლიფტში უცნობი,
ისე შემხვდა დილით
ორი კვირის უნახავი
საკუთარი ჩრდილი.
ახლა უფრო ცხადად ვხედავ
ნეილონის თოვლზე
ჩრდილის სახლებს,
ჩრდილის ხეებს,
ჩრდილის ანგელოზებს.
ნეილონის თოვლი
უფრო ანამდვილებს
მაღალ-მაღალ ბიჭებივით
მაღალ-მაღალ ჩრდილებს.
მინდა სიტყვა,
სიმართლე,
და სიმაღლე მინდა,
ნეილონის თოვლივით
აშკარა და წმინდა.
მინდა თოვლი წავიდეს,
მაგრამ დარჩეს ასე
თოვლის ნეილონი და
თოვლის სილამაზე.
წავალ,
არც კი შევხედავ
მზის და ოქროს ზვინებს,
ნეილონის თოვლის
ჩრდილში დავიძინებ.

* * *

დიახ!
ეს ტილო,
რომლიდანაც
ახლა ჯოკონდა
გვიმზერს,
გვიღიმის,
გვამშვიდებს და
გვაფორიაქებს, —
ოდესღაც სუფთა ტილო იყო,
სხვა არაფერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ზოგი მღერის,
ზოგიერთი ცეკვავს თავდავიწყებით,
ბუბუნებენ,
გუგუნებენ ჯადოსნური რიცხვები.
ბევრი ძველი საუკუნე დაობს ხანაძლეოზე,
მე კი ყველას მირჩევნია მეოცნებე მეოცე.
როცა დაჰქრის სტადიონზე ცეცხლი მომეტეორე
და შუქურა პირველს ეძებს,
ცრემლებს მალავს მეორე.
და ზღაპარში,
როცა ძმების შესანდობარს შესვამენ,
ოქროს ტახტზე დაბრძანდება იღბლიანი მესამე.
ჩვენი მეფე-სეხნიები მეხს თრგუნავდნენ მეხითვე,
მაინც სხვებზე მეტად ბრწყინავს მეოთხე და მეხუთე.
ბრწყინავს მთვარის ნაკადულიც,
უნდა გამოეთხოვოს
მეთოთხმეტე,
მეთოთხმეტე,
მეთოთხმეტე ბეთჰოვენს.
მეცამეტეც გაიელვებს,
ემალება მთვარესა,
ცაში იყო:
მეშვიდე და მეცხრეც მოითარეშა...
მზე ამოდის,
და იმარჯვებს მაცდურ ალქიმიაზე
ნიუტონის მესამე და ხოკუსაის მეასე.
და დრო,
დაწილადებული,
კვლავ ამღერებს კამათლებს,
ორაზროვან
კორექტორულ შეცდომასაც ამართლებს:
პირველთან და მეორესთან —
ზღვას აქებენ ხმელეთზე —
მესამე და
მეოთხე და
მეხუთე და... მელექსე.

* * *

სად ხარ?
მიწას ყვავილები ხატავენ,
ემზადება ზეცა უზარმაზარი,
ქარიბჭესთან გელოდება სამთავე
ეკერმანი,
პლუტარქე და
ვაზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ზღვა ღელავდა,
ყირას გადადიოდა,
მიდიოდა ხეებთან და ტყეებთან,
ირწეოდა ვეება და დიიდი
და დილამდე ყეეფდა და ყეეფდა.

* * *

წვიმს.
მუზეუმში მანეთად
შევდივარ —
ფიროსმანებთან.

* * *

იმძლავრა გაზის თონემ,
გლეხი დამდგარა გიდად,
თაფლი მითხარით,
თორემ
ცოტნე? —
რამდენიც გინდათ!

* * *

იცნობს მთელი საფრანგეთი
მოხუცს მხრებში მოდრეკილს,
იცის მთელმა საფრანგეთმა
მისი მილიარდები:
სამი მონე,
სამი დეგა,
სამი ტულუზ-ლოტრეკი,
ორი მოდილიანი და
ერთადერთი შარდენი.

* * *

რა საჭიროა ესპერანტო? —
არითმეტიკა —
ულამაზესი ენა გახლავთ
საკაცობრიო,
გამრავლების ცხრილი —
მისი შედევრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პოეტო,
თუკი გეწერება,
　　წერე და წერე!
არ გააციო შთაგონება,
　　წერე და წერე!..
მერე მოდექი,
დაუნდობლად,
　　მკაცრად წაშალე
ყველა ზედმეტი სტრიქონი და
　　ზედმეტი სიტყვა
და რაც დაგრჩება
(თუ დაგრჩება),
　　აღარ დამალო!

* * *

გავყევარე ფიქრებს თითო-თითოს,
ხელმწიფურად დავიბადე თითქოს.
განძრევაც კი არ მჭირდება ტიტის,
ყველა თვალში შემომყურებს თითქმის.
ვარსკვლავს ხელი წავატანე ლამის,
ვარსკვლავებმა თმები დამილამეს.
მომაგებეს მთვარის სავარცხელი,
მზეს კინაღამ გადავხვიე ხელი.
დავაბიჯებ,
როგორც კეისარი,
ღვთის ზარივით რეკავს ჩემი ზარი.
უფალივით მეკრძალება სევდა —
ცათა შინა,
ქვეყანასა ზედა...
სატანა კი ახალ ჭორებს თითხნის:
ვითომც...
　　როგორც...
　　　ლამის...
　　　　თითქოს...
　　　　　თითქმის...

* * *

— გაიხარა!
ყველაფერი მოსდიოდა ჰაიჰარად,
ღიღინებდა:
— გენაცვალეთ,
ნაბადო და ბოხოხო!..
მაგრამ მერე
ყველაფერზე უცებ გული აიყარა...
— ასე იცის,
ჩემო კარგო,
მეტისმეტმა ოჰო-ჰომ!

* * *

გაიღვიძა ორშაბათს მამლის გალობამდე,
გაასწორა,
დაკეცა,
მოამზადა ბადე.
ჩაალაგა გოდორში:
　　მჟავე პამიდორი,
ორნახადი არაყი,
　　ნიორი და ლორი.
ორლობეში ორთვალა ფრთხილად გააგორა,
გაიარა მინდორი,
　　ორხევი და გორა.
იორს თავზე წაადგა,
იგრძნო სიხალვათე,
ჩამოიღო გოდორი
　　და გაშალა ბადე.
ორაგული ჩაუთქვა,
ან ციმორი თუნდაც,
ორჯერ ჩაახველა და
　　სამაზროვნად სდუმდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ზღვას მიუსაჯეს დუმილი,
მთვარეს —
დრუბლების კატორღა,
ნაპირთან დარჩა კატარღა
და ერთადერთი კატაღა...

* * *

ადგა კაცი იგი,
უთხრა ქალსა მას:
— დღეის
ამას
იქით
არ შეხედო სხვას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი ოთხ წიგნად

### წიგნი მესამე

### თავი XVI

მეფესთან სადარბაზოდ მოსული გურიელი გიორგი წულუკიძეს წინა ოთახში არ დაუხვდა. მესტუმრეებს ის მეზობელ ოთახში გაეყვანათ და იქ აცდევინებდნენ.

ეს ფართო, მაღალჭერიანი, ამჯერად უკვე დედოფალ მარიამის გემოვნებით გაწყობილი ოთახი, მძიმე კრეტსაბმელებით ჩამოფარებული ოთხი კამაროვანი სარკმლით გალავნის ქონგურებიან კედელს და კვირტებდახეთქილ ტყეს რომ გადაჰყურებდა, უშუალოდ ესაზღვრებოდა საზოგადო თავყრილობების გასამართავ მეჯლისების დარბაზს. ვიდრე დედოფალ მარიამის მიერ ქუთაისიდან და ზუგდიდიდან დაბარებულმა მოხელეებმა კედლებისა და ჭერის შემჭვარტლული ბათქაში და დაბზარული ლავგარდანები მთლიანად არ ჩამოჰყარეს, ხელახლა გაჯითა და თაბაშირით არ შელესეს და ყოველივეს იერი არ უცვალეს, ძველი, ადამისყამინდელი იატაკის დროთა განმავლობაში დამკილული ფიცრები არ აჰყარეს და ამათ მაგიერ ახალი არ დააგეს, ბოლოს კი სათოფურებივით ვიწრო სარკმელებიც არ გააფართოეს და შიგ მზის სინათლე არ შემოუშვეს, სოლომონს დიდხანს უჭირდა ამ ბნელ და პირქუშ ოთახში ფეხის შედგმა. მამამ, მეფე ალექსანდრემ, სული ხომ აქ დალია, აქ უკანასკნელად მოინატრა შვილები, უპირველეს ყოვლისა თვით ის, ტახტის მემკვიდრე სოლომონი, რათა საქაოდან წასვლის წინ გულში ჩახვეული ჯავრი გაემხილა, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა, ხელში ისევ სულთამხუთავი, ძალაუფლებას, ერთპიროვნულ განმგებლობას დახარბებული თანამეცხედრე შერჩა. ოთახში თითქოს კვლავ ბუდობდა მამის წამლების სუნი, ბუდობდა რაღაც მამისეული, რაღაც მოუხელთებელი და თვალით დაუნახავი, რაც სოლომონის გულს აუხსნელი ნაღველითა და შფოთით ავსებდა. გადაკეთებისა და შიგ ახალთ-ახალი ავეჯის დადგმის შემდეგ, რაიც დედოფალ მარიამის პირადი მეთვალყურეობით

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

ხორციელდებოდა, ოთახმა სულ სხვა პეწი და ელფერი შეიძინა, მზით, სიცოცხლით და ჰაერით აივსო, თუმცა სოლომონს მაინც არ ეხალისებოდა აქ შემოსვლა და ერჩია ოთახი სხვა დანიშნულებისათვის გამოეყენებინა, ვიდრე მისი წინამორბედები იყენებდნენ.

წულუკიძე რომ დაინახა, რბილ ვენეციურ სავარძელში ღრმად ჩამჯდარი მამია გურიელი თავისსავე მუხლებს ნიდაყვებით დაეყრდნო და წამოდგა. დაძმარებულ სახეზე და თვალების ნაღვლიან გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ მეფის ამდენი ლოდინით ნაწყენი და გულგაწყალებული იყო. გიორგი წულუკიძეს მაინც მხნედ და მხიარულად მოეგება და ორივე ხელი მაგრად ჩამოართვა. ერთმანეთი გრძლად და გაჭიანურებულად მოიკითხეს. გურიელი მოტეხილი ჩანდა. უკანასკნელ წლებს, განსაკუთრებით კი მეფისაგან შერისხვას, რასაც მთავრის დამდაბლება და სამშობლოდან განდევნა მოჰყვა, მის სახესა და თვალების გამომეტყველებაზე წარუშლელი კვალი დაემჩნია. ცვლილება წულუკიძესაც დასტყობოდა — ჭაღარა მომატებოდა, თმა გასთხელებოდა და კეფას მოტიტვლება დაეწყო.

ხოტევის ციხის პატრონს, მეფის აღმზრდელს და დღესდღეობით მის უპირველეს მრჩეველს, სასახლეში თავი ისე ეჭირა, როგორც მასპინძელს და ეს მთავარს შესამჩნევად აღიზიანებდა. დროება, მართალია, გადაბრუნდა და ის, ვინც მუდამ კუდში მოჩანჩალებდა და შენთან სუფრაზე დაჯდომასაც ვერ გაბედავდა, დღეს წინ მოხვდა, მაგრამ ბევრად უმჯობესი იქნებოდა, საქმის წაღმა წაყვანისთვისაც ასე აჯობებდა, თუ ამას ყოველ წუთს და ყოველგვარ ვითარებაში არ გაახსენებდნენ!

გიორგი წულუკიძემ ჩვეული სიდარბაისლითა და ყურადღებით, რაშიაც ვერავინ შეედრებოდა, მოიკითხა მთავრის სახლეული, მოიკითხა ისე, რომ მამიას ეგრძნო, ამას მხოლოდ თავაზიანობის გულისათვის ჩავდივარო და თავის მხრივ გურიელსაც შეეძლო ისე ეპასუხა, როგორც ზრდილობის დაუწერელი წესი და ადათი მოითხოვდა.

მამია მოელოდა, სავალდებულო მიეთმოეთის ჩათავების შემდეგ გიორგი წულუკიძე მეფესთან მიმიწვევსო. გურიის ბატონს ამჯერად ალღომ უმტყუნა: ეს ასე არ მოხდა. ნუთუ მისი უმაღლესობა მეფე სოლომონი კიდევ უწყრებოდა და, როგორც მაშინ, ბეგლარბეგ ჰაჯი-აჰმადისა და ქართლ-კახეთის მეფეთა ჩარევის წყალობით ხელახლა გურიელად რომ გაამწესა, პირისპირ შეყრას და ბჭობას ახლაც თავს არიდებდა? მერე როდემდე? ხომ არ შეიძლებოდა, მეფისა და მისი ქვეშევრდომი მთავრის მომდურავობა დაუსრულებლივ გაგრძელებულიყო?

გიორგი წულუკიძემ სიტყვა ამინდზე ჩამოაგდო და უმალ წლის მოსავალზე გადაიტანა. იმედი გამოთქვა, დიდი და ხანგრძლივი ზამთარი, წლეულს რომ იყო და ღვთის მადლით მშვიდობიანად გავისტუმრეთ, თუ პირშავმა მტერმა გვადროვა და ყანა-ვენახის გულიანი დამუშავება მოვასწარით, უხვი მოსავლის საწინდარიაო. გურიელს დაღლილ სახეზე ღიმილი ეხატა და დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას ურთავდა, თუმცა აზრით სულ სხვაგან იყო და ნებისყოფის დაძაბვით ცდილობდა, სიტყვიერ კენწლაობაში ანკესს არ წამოჰგებოდა, წულუკიძესთან უსისხლო ბრძოლა არ წაეგო, არც ზრახვები გაემჟღავნებინა და არც გულში შემოპარული შიში და ფარული მღელვარება გაეცა.

რა ჰქონდა ნეტავ სამცხეში მაჰმადის რჯულის უპირველეს მგმობელად აღიარებულ მეფე სოლომონს ამდენი საჩურჩულო და სათათბირო ფაშა ჰაჯი-აჰმადის კაცებთან, უფრო კი გადაგვარებულ მესხ თავადიშვილ გაიოზ დიასამიძესთან, იგივე ჰასან ისკანდერთან, რომელსაც, ახალგაზრდობისდა მიუხედავად, თანამემამულეებში წრესგადასული სიძულვილის დათესვა მოესწ-

რო, ბევრი მოსისხლე მტერი გაეჩინა და ადრე თუ გვიან თავისივე მოძმის მსხვერპლად გახდომა ემუქრებოდა?

ჰასან-ბეგ ისკანდერი ძველ მესხეთში ფრიად პატივდებული, ყმა-მამულით მდიდარი და ათაბაგის კარზე სხვებზე მეტად დაწინაურებული ოჯახის შვილი იყო. ისკანდერის პაპის პაპა, აგრეთვე გაიოზ დიასამიძე, მხარში უდგა მესხეთის უკანასკნელ ქრისტიან ათაბაგს, მანუჩარს, ვინაც კავკასიის ხალხთა რისხვა მუსტაფა ლალა-ფაშასა და მის შემცვლელთ სისხლი გაუშრო და გამძვინვარებულ სულთან მურად III მესხეთში ცეცხლითა და მახვილით დამკვიდრება ძვირად დაუსვა. თავადი ათაბაგს განდევნილობაშიაც თან ახლდა და ღალატით დამხობილი ბატონის უსიხარულო ხვედრი ბოლომდე გაიზიარა. ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრისა და ქართველობის უსაზღვროდ ერთგული დიასამიძეთა გვარეულობა დიდხანს თავგანწირულად უმკლავდებოდა ოსმალობას. მაშინაც კი, როდესაც ოსმალებმა მესხეთის უკლებლივ ყველა ციხე დაიჭირეს და ქვეყანას კალიასავით მოედვნენ, დიასამიძეები ქრისტეს რჯულზე მტკიცედ იდგნენ, იავარქმნილ ეკლესია-მონასტრებს და დევნილ ბერმონაზონთ მფარველობდნენ, ხატებს, მამაპაპეულ ქართულ წიგნებსა და სიგელ-გუჯრებს საიმედო სამალავებში ინახავდნენ. დიასამიძეები ბრძოლაში მარტო არ იყვნენ. მათ რამდენიმე ძირძველი აზნაური და წვრილი ყმა-გლეხობაც უბამდა მხარს, მაგრამ უხეშმა ძალამ მაინც თავისი ჰქნა და გაკერპებული მამულიშვილებიც დაცხრნენ. ზოგი აგარიანს დანებდა იმით დაიმედებული, რომ ღვთისმშობელი დედა ასე არ გასწირავდა თავის წილხვედრ ქვეყანას, თუ მათ არა, მათს შვილსა და შვილიშვილს მაინც დაუდგებოდა სანატრელი ჟამი პირსისხლიან მტერზე შურისძიებისა, ზოგი კი დედაბუდიანად აიყარა და თავი მშობელი ქვეყნის სხვა კუთხეებს შეაფარა. ასე გაჩნდნენ მესხური გვარები გურიასა და სამეგრელოში, ქართლსა, კახეთსა თუ იმერეთში.

ჰასან-ბეგ ისკანდერი სახიერებით, თვალ-ტანადობითა და მხედრული შემართებით ალიკვალი მამა და პაპა იყო, მაგრამ დიდებულ წინაპრებს სხვა მხრივ არაფრით ჰგავდა. მთელ ჩილდირის საფაშოში, ღადოს მთის სამხრეთ კალთებიდან ვიდრე ანატოლიის თვალუწვდენელ ველებამდე, ძნელად თუ იპოვებოდა კაცი, ვინც ასე მხურვალედ ერთგულობდა ოსმალთ, როგორც ჰასან-ბეგ ისკანდერი; ძნელად თუ ვინმე იპოვნიდა თათრის რჯულზე შემდგარ ისეთ ქართველს, ვისაც ამდაგვარი გაათრებით სძულდა თავისი ფესვი და ძირი, ვინც ასე დაჟინებით ცდილობდა, ყველგან და ყველაფერში ოსმალ ბატონებს დამსგავსებოდა. თუ შემდგომშიაც ამ გზით ივლიდა და გურჯი ბეგის გაუგონარი გულმოდგინების ამბავი კონსტანტინოპოლის ყურამდე მიაღწევდა, ეჭვი არ იყო, ჰასან-ბეგ ისკანდერი სულთნის კარზე აღზევებულ ბევრ მოხელეს უკან ჩამოიტოვებდა და, მეშურნე თანამემამულეების თვალების დასავსებად, ვინ იცის, იქნებ სანუკვარ ვეზირობისთვისაც მიეღწია. ახალციხეში უკვე ფხიზლობდნენ. თვით ფაშა ჰაჯიაჰმადი ამ თავის პატარა მოხელეს თვალს არ აშორებდა და კონსტანტინეპოლთან დამაკავშირებელ ყველა გზას გამოცდილი კარისკაცის მეცადინეობითა და მზაკვრული მოხერხებით უხერგავდა. ამაზე არანაკლებ სიფხიზლეს იჩენდა ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმიც. ახალგაზრდა ბეგს ყადი შორიდან ზვერავდა და მისი ყოველი ნაბიჯი ზეპირად იცოდა.

ყოველივე ეს ჩინებულად მოეხსენებოდა საფაშოს ინტრიგებში საკმაოდ გათვითცნობიერებულ მამია გურიელს, მოეხსენებოდა ისიც, თუ რა ბევრი ხანჯალი ილესებოდა ჰასან-ბეგ ისკანდერის ბინძურ გულ-ღვიძლში დასატრიალებლად და უკვირდა, რამ გადარია ეს ეშ-

მაკის არჩივი, ასე მცირერიცხოვანი ლაშქრით — იანიჩრებისაგან შემდგარი მცველი რაზმი ას-ასოც კაცს არ აღემატებოდა! — იმერეთში მოსვლა და ბეგლარბეგის რაყამის მოტანა რამ გააბედვინაო.

მამია გურიელი სწორედ ამ ფიქრებსა და ვარაუდებში იყო გართული, როდესაც აცნობეს, ბატონი მეფე ახლა მარტო ბრძანდება და თქვენ გელოდებათო. მადლობა უფალს, რაკი სულ არ დაივიწყეს და მისი აქ ყოფნა ახლა მაინც გაახსენდათ! მთავარი მდგომარეობისათვის შეუფერებელი სიფიცხით წამოდგა, გიორგი წულუკიძეს ასევე ნაჩქარევად გამოემშვიდობა, რითაც საკმაოდ გასაგებად აგრძნობინა, მეფესთან განცალკევებული შეხვედრა მწადია და ამ შეხვედრაზე თქვენი დასწრება ჩემთვის სასურველი არ იქნებაო და უძიროებში გამოწკეპილ ახალგაზრდა მესტუმრეს დილეგიდან ამოყვანილი ტუსაღივით მორჩილად გაჰყვა. მეფე დაფიქრებული და მჭმუნვარე დაუხვდა. სხვაგვარ დახვედრას გურიელი არც მოელოდა, მაგრამ არც ის ეგონა, თუ მის ხელში გაზრდილ-დავაჟკაცებული სოლომონი ასე შეცვლილი და როგორღაც გაუცხოვებული იქნებოდა. მეფეს, ჯერაც ასე ახალგაზრდა კაცს, უწლოვანს, ჭაღარა უბრწყინავდა საფეთქლებში. აბლაბუდასავით დაბლანდული ჭაღარა მრგვლად დაყენებულ წვერშიაც გამორეოდა და მჭმუნვარე ფიქრით აღბეჭდილ სახეს მეტ შეუვალობასა და სიმკაცრეს აძლევდა.

— ეს არის, ბეგლარბეგის კაცები გავისტუმრე, — თქვა მეფემ და თვალით კედელთან მიდგმულ, მწვანე ხავერდგადაკრულ რბილ სკამზე ანიშნა. — ვწუხვარ, რომ გალოდინეთ. ხომ მშვიდობით, კარგად ბრძანდებით? რასა იქს საყვარელი ჩემი მამიდა როდამი, მამიდაშვილები ხომ კარგად მყავანან?

— ღვთის შეწევნით და შენი უმაღლესობის წყალობით ყველა კარგად გახლავს და მდაბალ მოკითხვას გითვლის, ბატონო მეფევ. აქეთ როგორ გიკითხოთ? ვხედავ, ჯანმრთელობას არ უჩივით.

— ჩვენი ჯანიც და გუნება-განწყობილებაც ქვეყნის ბედ-იღბალზე ჰკიდია, ბატონო ბიძაჩემო. დაბრძანდი! მეც აგერ, თქვენს ახლოს მოვეწყობი, ასე უფრო საგულდაგულოდ მოვისაუბრებთ, — სოლომონი ტახტიდან ჩამობრძანდა, მწვანე ხავერდგადაკრული სკამი გამოსწია და სარკმლისაკენ ზურგშექცევით დაჯდა. — რა ამბებია გურიაში? სახლიკაცის მოჩენილი აბრაგები ხომ არ გვაწუხებენ?

— ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ, რომ ამ მხრივ ჯერ სიწყნარეა, თქვენო უმაღლესობავ, გიორგისაგან არაფერი ისმის. ისე კი, რაც მართალია, მართალია, დიდ სირცხვილში ჩამაგდო. სირცხვილიც არ მაკმარა. ზურგში დანა მაშინ ჩამცა, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდი. ქართლში უჩემოდ ილაშქრეთ. ჩვენი იქ არყოფნა ლიხთიმერეთის ძლევამოსილი ლაშქრის წარმატებებს არ დასტყობია, მაგრამ მე მაინც გულნაკლული გახლავარ!..

— არა უშავს, ბატონო მამია, — სოლომონმა ახლობლური, ნათესაური კილო უკუაგდო და ოდნავ უფრო მკაცრად განაგრძო: — გული გვქონდეს მრთელი და ხმლის ერთად მოქნევა აწიც ბევრჯერ დაგვჭირდება. ისე, უნდა ვაღიარო, სალაპარაკოდ არ ვამბობ: ჩვენ დანაშაული მიგვიძღვის თქვენი ძმის, გურიელისშვილ გიორგის წინაშე.

— მესმის, ბატონო... — გურიელმა თავი ჩაღუნა, სახეზე მიწისფერი დაედო, სოლომონს თვალი აარიდა.

— გურიელობა ჩვენ ვუბოძეთ და ჩვენვე უმიზეზოდ ჩამოვართვით. ვვეგონა, მიხვდებოდა, ვგონებ კიდევაც მიხვდა, რომ ეს ჩვენი სურვილის წინააღმდეგ აღსრულდა და ვიმედოვნებდით, ურჩობას არ დაიწყებდა, მაგრამ რა გაეწყობა, თუ კაცნი ვართ და გზას ყოველთვის სალი გონების ჩირაღდანი არ გვინათებს!

— მე დიდად ვწუხვარ, მეფეო, — გურიელმა თავი ასწია და ორივე მომუშტული ხელი გულზე მიიდო. — შევცდი! არ მეგონა, თუ ბატონ ლევანს და ბატონ დედათქვენს, დედოფალ თამარს, ანგარებამ თვალი აუბა. მე უბედური ბრმად მივენდე და შენი რისხვაც დავიმსახურე. მერე მივხვდი, რომ თავი დავიღუპე. მაგრამ უკვე რაღა დროს!..

— ვერ დაგიმალავ, ბიძაჩემო, არც მე მეგონა, თუ გადამიდგებოდი და ღალატის გზას დაადგებოდი. რაც იყო, იყო, რახან შევრიგებულვართ, წარსულს ნუღარ გავიხსენებთ. ჯობს, თვალი მომავალს მივაპყროთ და, როგორც ჭკუადამჯდარ ხალხს შეჰფერის, მომავალზე ვიზრუნოთ!

— შენი ჭირიმე, მეფეო, — შესძახა პასუხად გურიელმა, წამოდგა და ორივე მუხლი მოიყარა. — მეც მარტო მაგისი მთხოვნელი და მახვეწარი ვარ! მომიტევე, არა მარტო როგორც მეფემ, როგორც კაცმა! მივცეთ დავიწყებას, რაც ჩემდა უნებლიეთ, ეშმაკის ჩაგონებით მოხდა და, თუ ღმერთი გამიწყრება და ეშმაკი კიდევ მაცთუნებს, აგერ ხმალი და აგერ კისერი!

— აბრძანდი, ბიძაჩემო, — სოლომონმა ცვილივით დარბილებული გურიელი წამოაყენა და ისევ გვერდით მოისვა. — მე საბუთი არა მაქვს, არ გერწმუნო და შენი სიტყვების სიწრფელეში ეჭვი შევიტანო. ჯობდა, რასაკვირველია, არ მომხდარიყო, რაც მოხდა, მაგრამ რაკი მოხდა და ძმათა სისხლი სულ ტყუილად დავღვარეთ, აწი მაინც გავფრთხილდეთ, ცთუნებას ნუ ავყვებით და ერთმანეთის მტერი საკუთარ მტრად მივიჩნიოთ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მეფე გამოკითხვას შეუდგა. ფრიად საყურადღებო ამბავი, საფაშოში არეულობაა, აგარიანები დიდსა და ძლიერ მტერთან საომრად ემზადებიანო, რაც ახლა ყოველ გზაჯვარედინზე ისმოდა, მამიამაც დაადასტურა. მომავალი ომის გარდუვალობაზე სადღაც შორეულ ევროპაში ჰაჯი-აჰმადი თვით იწერებოდა და აჩიკ-ბაშთა დიდებულ მეფე სოლომონს, ბედნიერი სულთნის თანამდგომსა და ყმას, თავისი საქები რაზმებით საომრად მომზადებას ავალებდა. ბეგლარბეგის ბეჭედდასმული რაყამი, მეფეს ჰასან-ბეგ ისკანდერმა და მაჰმუდ ასისთავმა რომ მოუტანეს, ამჯერად ძალზე ლმობიერი იყო, რისხვისა და მუქარის ნატამალსაც არ შეიცავდა და კეთილი მეზობლის მოყვრულ წიგნს უფრო მიაგავდა, ვიდრე სულთნის უფლებამოსილი მოხელის ყველასათვის სავალდებულო განკარგულებას. რაყამში ჰაჯი-აჰმადი რამდენჯერმე უბრუნდებოდა ახალციხესთან და მის მომიჯნავე საბეგლარბეგოებთან აჩიკ-ბაშების ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებას, ტყვე გოგო-ბიჭების ახალი გუნდების გაგზავნაზე კი მრავალმნიშვნელოვნად სდუმდა და არაფერს ამბობდა. არც ქართლ-კახეთის ლაშქრობა იყო ნახსენები. ჩანდა, თეირანში საკუთარი ციებ-ცხელება ჰყოფნიდათ, ტახტის მოცილეები კვლავაც ყვავ-ყორნებივით ძიძგნიდნენ ნადირშაჰის სიკვდილის შემდეგ დაკნინებულ მტაცებელ ქვეყანას და ქართლ-კახეთისათვის, რომელიც ამასობაში იმდენად მოღონიერდა, რომ ძველ ბატონს მომაკვდინებელ საფრთხეს თვით უქმნიდა, არავის ეცალა. ფაშას, რასაკვირველია, დანა და ყელი ერთად ჰქონდა. კონსტანტინოპოლიდან უთუოდ ატყობინებდნენ, მანდ, იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე, თვალი ფხიზლად დაიჭირე, ვიდრე ხელს არ მოვიწყობთ და ბალკანეთში საქმეს არ მოვრჩებით, ვაგლახად ჭიანჭველესაც ნუ აიმხედრებო და ისიც ერთგული მოხელის ჩვეული სიფრთხილითა და გულმოდგინებით ასრულებდა სულთნის კარის ამ უზენაეს ნებას.

— ომში წასვლას ბევრი თავს არიდებს, თქვენო უმაღლესობავ, — თქვა მამია გურიელმა, ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს აქაც, მეფის სატახტო დარბაზშიაც კი ეშინია ყურს არავინ გვიგდებდესო და ცოტა უფრო ხმადა-

ბლა, მოგუდული ხმით განაგრძო: — მეტადრე ყმაგლეხობა და წვრილ-წვრილი აზნაურები. ტყეები ყაჩაღებით აივსო. ღამ-ღამობით სოფლებს ესხმიან და, რავარც აქ, პირუტყვს, ხალხსა და ქონებას იტაცებენ. ბეგლარბეგი საგონებელში ჩავარდა, მეც კი შემომჩივლა, ასეა ჩვენი საქმე და აღარ ვიცი, საიდან შემოვუაროო. ხანდახან თავად ისხამს იარაღს და ყაჩაღების სადევნელად მიდის. ორჯერ სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მესამედ კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს. რაბათი ფეხზე დადგა. აღარავის ეგონა, თუ რკალიდან გამოაღწევდა და ცოცხალი მობრუნდებოდა. თუ ხვალაც და ზეგაც ასე იქნება, კითხვა არ უნდა, სამსახურიდან გადააყენებენ, ღირსებას აჰყრიან და შეიძლება კაფიჯი-ბაშიც გამოუგზავნონ.

— ეგ რაღას ნიშნავს? — დაინტერესდა სოლომონი.

— რომელ ფაშასაც კაფიჯი-ბაში — სერალის მეკარეების უფროსი მიუვა და სულთნის წიგნს მიუტანს, მტრისა და ავისას, პირი ქვისკენ მიქნია, იმისი აღსასრული დამდგარია, ბატონო მეფე. ან იქავე აუგებენ წესს, ან შეიპყრობენ, სულთანს მიჰგვრიან და სიცოცხლეს იმპერიის სატახტო ქალაქში გამოასალმებენ. თუ საქმე უკულმა წაუვიდა და სერალში ჰაჯი-აჰმადის მტრებმა იძალეს, რაღა გადაარჩენს მაგ უბედურს! ერთხელ, გეხსომებათ, ხმა კიდევაც დაუყარეს. მაგისთანა ორთუღიანი ფაშა სულთანს ბევრი ჰყავს. ეს ჰაჯი-აჰმადმაც მშვენივრად იცის და თავს არ იზოგავს. სამი დამსჯელი რაზმი შეკრიბეს და სათავეში ალაი-ბეგები დაუყენეს. ერთი, ყველაზე დიდი და სხვებზე უკეთ შეიარაღებული, აწყურსა და თვით ახალციხეს შუა მოქმედებს, მეორე — ფოცხოვსა და ჩილდირში, მესამე — ფანაკსა და არტაანში. ვეჭვობ, ბატონო მეფე, აქედან ლაშქრის გაყვანა მოახერხონ. ტყეში გასულებს ფაშა მიწას და სახლ-კარს ართმევს და თავის ერთ გულებს ურიგებს. ოსმალების წესი ათაღამ-ბაბადამ ასეთი ყოფილა, კანუნ-ნამეშიც ასე უწერიათ. თუ მიწა გინდა, იმათებურად თიმარი, სულთნის სამსახურში უნდა გამოხვიდე. არ გამოხვალ და თითივით ტიტველი დარჩები. მე რომ აქეთ მოვდიოდი, ხმა დაჰყარეს, შუა ანატოლიის სანჯაყებიდან მართლმორწმუნე მუსულმანებს აჰყრიან და მესხეთის დაცარიელებულ სოფლებში ჩამოასახლებენო. ბევრი ოჯახი, ჩვენდა ჭირად, უკვე ჩამოსახლდა. პირველ სამ წელიწადს გამოსაღებს არ თხოვენ, პირიქით, კიდევაც ეწევიან, არც ომში გაჰყავთ. ჩამოსახლების მოწადინე ბევრი გამოჩნდა...

სოლომონი მდუმარედ უსმენდა, თავი ჩაეკიდა და გურიელის ყოველ სიტყვას გონების თვალით აკვირდებოდა. საფაშოდან მოტანილი ცნობები ღადარში გაჩეული იმედის ნაპერწკალს აღვივებდა. ხომ არ მოასწავებდა ეს ყველაფერი ოსმალთა საყოველთაო დასუსტებას? ხომ არ ახლოვდებოდა გამოხსნის ჟამი? ვინ უწყის, იქნებ სწორედ სოლომონს არგუნა მაღალმა ღმერთმა ურჯულო მტრის მიერ დასაკუთრებული მესხეთის გათავისუფლება და, მას შემდეგ, რაც იმერეთის შიგა ციხეებში აგარიანის სინსილა გაწყდებოდა, იქ ქრისტიანობის მძლეთა-მძლე დროშის აფრიალება?

სოლომონი წამიერ ოცნებას აჰყვა. აი, გადავლო ზეკარი, როგორც ერთ დროს იმერთა ნეტარხსენებულმა მეფემ, ბაგრატმა ჰქმნა, იჭაური მესხი ქართველობა გვერდში ამოიყენა, შელეწა ოსმალთა ყველა ციხე და გალავანი, სამშობლოს მოწყვეტილი ეს დიდებული მხარე კიდით კიდემდე ხელთ იგდო და იქ თავისი მოხელე — მესხეთის მოურავი დასვა.

მეფეს გულმა ღრღნა დაუწყო. ვაი, რომ არ ეწერა ახდომა მის ამ ძველთაძველ ოცნებას, საიდუმლოდ რომ ინახავდა და ყველაზე უფრო დაახლოებულ პირთ — გენათელ მიტროპოლიტ იოსებს, წულუკიძეებსა და დედოფალ მარიამსაც არ უმხელდა. მამულის ხატზე მლოცველი მესხი ქართველობა დღისდღეობით ცხელ წყალში ჩაგდებულ ყი-

ნულის კვნიტივით ილეოდა. ის ან თავისი ნებით სტოვებდა მამა-პაპის საცხოვრისს და უშიშარ თავშესაფარს ჩვაგან ეძიებდა, ანდა, მშობლიური ზო-ყურიდან იარაღის ძალით აყრილი და გასათათრებლად განწირული, იმპერიის შიგა ვილაიეთებში სახლდებოდა. ხოლო ქართველობის ის ნაწილი, უპირატესად თავადები და აზნაურები, ვინც ქრისტეს ჯვარი დაჰგმო და ისლამი აღიარა, ყოველსავე ქართულსა და ქრისტიანულს ბევრად უფრო მძვინვარედ მტრობდა, ვიდრე თვით ოსმალნი.

„ომში ისინი ჩემს წინააღმდეგ გამოვლენ, — გაიფიქრა სოლომონმა და ტუჩის კუთხე მწარე ღიმილმა შეუტეხა. — თავისი მოსისხლე მტრის მხარდამხარ იბრძოდნენ და საკუთარ მონობას, სამადლოდ მოგდებული ლუკმის ფასად რომ მოიპოვეს, კბილით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ! რა გინდა გახდე, როგორ გინდა, თავგზადაკარგული საამქვეყნოდ მოაქციო?“

— ბაბუაჩვენ ლევანისას რას გვეტყვი, ბატონო მამია? — გულის გამგმირავ ფიქრებს ზურგი უჩვენა და კვლავ სადღეისო საზრუნავს დაუბრუნდა მეფე. — თქვენსობას ისევე ახალციხეში იყო, თუ...

— ბატონ ლევანს მე სამჯერ შევხვდი, მეფეო. ნუ მიწყენ და ნუ გამირისხდები — სხვანაირად არ ეგებოდა. კაცები გამომიგზავნა და მიმიწვია. მეოთხედ თავად არ ინდომა ჩემი ნახვა. მეც, რაღა დასამალია, არ მივძალებივარ...

— ეგ როგორ გავიგოთ? — ჩაეძია სოლომონი.

— ჩემგან გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო და ამან უნდობლობა ჩაუნერგა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ვფრთხილობდი, მკვლელები არ მოეგზავნა და არაფერი მოეწია.

— რას გერჩოდა? ვითომ ასეთი დიდი უთანხმოება ჩამოვარდა თქვენს შორის?

— ბატონი ლევანის ხასიათი ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მეფევ, — გურიელს წყენა დაეტყო, კისერი წამოუხურდა და გაუწითლდა. — თუ იმისი ხარ, იმისი უნდა იყო, თუ არა და...

„მერე შენ ვისი ხარ, შე ქვემძრომო, წყალს ვის წისქვილზე ასხამ?“ — სოლომონმა ენა მოიკვნიტა, პირზე მომდგარი ეს გესლიანი სიტყვები კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა, მაგრამ თავს დროზე მოერია და საქმის კეთილდღეობისათვის ესოდენ საჭირო გარეგნული სიმშვიდე კვლავ შეინარჩუნა.

— ახლა სად გეგულება, ახალციხეშია თუ...

— მე ასე ვიცი, მეფეო: დიდვეზირთან ელჩი გაგზავნა, ქრთამი აახლა და დარბაზობა ითხოვა...

სოლომონი წამოენთო, კოპები დაებერა და მარჯვენა თვალის ქუთუთო ავად აუთამაშდა, თუმცა ეს ამბავი ისხაკა თეთრუაშვილის ხელით მოტანილი ნატრია საჭურისის წიგნით წინასწარ იცოდა და ახლა მეორედ ესმოდა.

— მერე?

— ორი კვირის თავზე ბეგლარბეგს მოუვიდა პასუხი ლევანისათვის გადასაცემად. ფაშამ თვით შეუდგინა ამალა და მცველი რაზმი. ალეპოში გაისტუმრა...

სოლომონისათვის არც ეს იყო ახალი. მაინც გაიოცა და შუბლი შეიჭმუხნა.

— ალეპოში? ალეპოში რა უნდა?

— დიდი ვეზირი იქ დგას ბანაკად. ეგვიპტის სულთანი ურჩობს, ხარკის გადახდაზე უარს აცხადებსო. სულთანმა ჯარი ეგვიპტის დასაშინებლად გაგზავნა ალეპოში, ისე კი საზღვარზე გადასვლას არ აპირებს. როგორც ამბობენ, დიდვეზირს სულთნის საიდუმლო ფირმანი უდევს ჯიბეში. თუ ეგვიპტესთან საქმე მშვიდობიანად მოგვარდა, არზრუმში უნდა დაბრუნდეს, მომავალი წლის ზამთარი იქ გაატაროს და სულთნის კარის ახალ განკარგულებასაც არზრუმშივე მოუცადოს.

— ჯარი დიდია?

— ოცი ათას ცხენოსანს, ორ ამდენ ქვეითსა და სამოც ზარბაზანს ამბობენ, ბატონო.

სოლომონი დაფიქრდა. ოსმალეთის

საშინაო, საგარეო და სამხედრო საქმეებში აგრერიგად გათვითცნობიერებულ მამია გურილისათვის მეტი აღარაფერი აკითხავს.

მოწადინებული გურიის მთავარი, მეფისათვის რაიმე სასარგებლო ეთქვა და ამ გზით მისი გული ერთხელ და სამუდამოდ მოენადირებინა, თითქოს განზრახ არ ახსენებდა ტახტის მოცილე თეიმურაზ ბატონიშვილს, რომლის სახელი ბოლო დროს ყველამ მიივიწყა, არც ლევანისა და თეიმურაზის საიდუმლო შეთანხმების თაობაზე სცდებოდა სიტყვა. ნუთუ არაფერი იცოდა, ანდა, როგორც ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და გიორგი წულუკიძე სხვადასხვა გზით მოპოვებული ცნობების საფუძველზე ამტკიცებდნენ, ამგვარი შეთანხმება მართლაც არ არსებობდა? მამია გურიელს არც ბატონიშვილი არჩილი და ლევან აბაშიძის ვერაგული განზრახვა უხსენებია. იქნებ ეს ხმაც ვიღაცამ მოჩმახა და მოყვარულ ძმებს შორის უნდობლობის ლოდი ჩამოაგდო? ვინ იცის!.. მაგრამ, ასე იქნებოდა თუ ისე, ლევან აბაშიძეს, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილი სოლომონზე ნაკლებ როდი სძულდა, თუნდაც იმიტომ, რომ თეიმურაზი მისი შვილიშვილი, სისხლი და ხორცი, არ იყო, ადრე თუ გვიან, არჩევანი არჩილზე უნდა შეეჩერებინა!

მიუხედავად უპასუხოდ დარჩენილი ყველა ამ კითხვისა, გურიელის ცნობებსა და ვარაუდებს ფასი არ დაედებოდა.

არგვეთის ნაბატონარმა ლევან აბაშიძემ, როგორც ირკვევოდა, ხელსაყრელი დრო შეარჩია და ქვეშევრდომული სამსახურის შესათავაზებლად ოსმალეთს მხოლოდ მაშინ მიაშურა, როდესაც ამ უკანასკნელს ეს ყველაზე უფრო სჭირდებოდა.

გაქოცდილი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარმა თვალმა და ალღომ ზედმიწევნითი სიზუსტით შეაფასა იმპერიის განაპირა კუთხეში — ახალციხის საფაშოში შექმნილი ძალთა თანაფარდობა. აბაშიძე მიხვდა, რომ ჩილდირის ბეგლარბეგი ამჟამად უძლური იყო, იმერეთში მარბიელ ჯარის გამოგზავნა და იქ ოსმალთათვის სასურველი წესრიგის აღდგენა მის დღევანდელ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ლევანს უთუოდ იმის ცნობებიც ჭარბად ექნებოდა მოგროვილი, რომ უკეთესი მდგომარეობა დღეს არც ბოსფორის გაღმა-გამოღმა სუფევდა: დასავლეთის საქმეებში ყურებამდე ჩაფლულ სულთნის კარს აჩიკ-ბაშთა ურჩი ქვეყნის დასასჯელად არამც და არამც არ ეცალა. ამიტომ თავის შესავრდომებლად აბაშიძემ თვით ძლევამოსილი სულთანი კი არა, მხედრობით ალეპოში მდგომი და ეგვიპტის დასალაშქრავად წკიპზე შემართული დიდი ვეზირი რეჯებ-ფაშა აირჩია.

სოლომონს რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდეს მიერ იმერეთში მოვლინებული პატრები — კლაუდიო დე რეჯიელი, დონ იერონიმო ნორჩელი, ჯულიო ბონოვენთურა კრიპტოელი და მათი მოთხრობილი ამბავი გაახსენდა.

ინგლისიდან კონსტანტინოპოლს მიმავალი იარაღ-საჭურვლით დატვირთული ხომალდის ალექსანდრიაში დაკავებას, რასაც პატრები პირადად დაესწრნენ და ყოველივე საკუთარი თვალით იხილეს, და შემდეგ საქმეში პრუსიის დიდი მეფის, ფრიდრიხის კაცების ჩარევას ხომალდის მეპატრონეთა სასარგებლოდ, განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩრდილოეთის უძლიერესი მონარქი ფრიდრიხი არ მალავდა თავის მიდრეკილებას: მისი საქციელი აშკარა და გამომწვევი იყო. სხვები, მოწინააღმდეეგთა ბანაკში მდგომნი, როგორც ჩანდა, სიფრთხილეს ამჯობინებდნენ და საბოლოო განზრახვას უკანასკნელ წუთამდე არ ამჟღავნებდნენ. ეს განზრახვა, შესაძლოა, სულ უკანასკნელ წუთსაც შეცვლილიყო და, იმისდამიხედვით, თუ ვინ ვისგან მეტ სარგებლობას მიიღებდა, გუშინდელი

მტერი დღეს უპირველეს მოყვარედ და კეთილისმყოფლად მიეჩნიათ.

ბოლოსდაბოლოს, რა გზას დაადგებოდა ყალყზე შემდგარი ეგვიპტე? ძველებურად ქედს მოიდრეკდა, თუ ასჯერ შერცხვენას ერთხელ სიკვდილს ამჯობინებდა? ერთი რამ დღესავით ნათელი ჩანდა: უკეთუ ვითარება სულთნის კარის სასარგებლოდ წარიმართებოდა და ოსმალები ძალის გამოუყენებლივ მოახერხებდნენ გაურჩებული ყმის ორთავე მუხლზე დაჩოქებას, ლევან აბაშიძე შვებით ამოისუნთქებდა – და იქნებოდაც შესძლებდა მხედრობითურთ არზრუმში მობრუნებული დიდი ვეზირის დაყოლიებას. არზრუმიდან სამცხის შუაგულამდე სამი-ოთხი დღის სავალი გზაც არ არის, რჩეული ჯარი კი, მეტადრე მაშინ, თუ წინ გემრიელი ლუკმა ელოდება, ამ გზას კიდევ უფრო მოკლე დროში გამოივლის!

## თავი XVII

ვნების კვირის სამშაბათს, 9 აპრილს, დიამბეგთა სასამართლოს განაჩენის თანახმად, რომელიც მეფე სოლომონმა ხელრთვითა და ბეჭდით დაამტკიცა, ჩხარში, ქალაქის მოედანზე, ქუთაისიდან საგანგებოდ დაბარებულმა მესაფლავემ, ეროვნებით ბერძენმა, შიგადაშიგ, თუკი დიდი ბატონები უბრძანებდნენ და თეთრსაც გულუხვად გადაუხდიდნენ, ჯალათობასაც რომ კისრულობდა, ერის თვალწინ ცულით თავი გააგდებინა ტყვისმყიდველობისათვის მსჯავრდადებულ გვანიში ქაჯაიას. ქაჯაიას შვილსა და მოდგმას, უკუნითი უკუნისამდე, ადრე ტახტის ერთგული სამსახურისათვის ნაბოძები აზნაურობა და ყმები ჩამოერთვა, მოძრავ ქონებასა და მამულს კი ყადაღა დაედო და დაინიშნა მისი საჯაროდ გაყიდვის დღე. შემოსავალი, თავნიც და სარგებელიც, მთლიანად და უდანაკარგოდ, სჯულის კანონის შესაბამისი მუხლის ძალით, მეფის ხაზინაში შევიდოდა. წულუკიძის ასულ გულქანის, ამიერიდან ქაჯაიას ქვრივის, გარეშემო ვანაჩენში არაფერი იყო ნათქვამი. მეფის უპირველეს კარისკაცებს, ბერის და გიორგის, მოსამართლენი, ეტყობა, მოერიდნენ და სამარცხვინო განაჩენში მათი გვარი არ მოიხსენიეს. ამას გარდა, ისიც უკვე ყველამ იცოდა, რომ, რაკიღა ცდისა და მოწადინებისაგან არაფერი გამოვიდა, ქმრის სახლსა და ეზო-გარემოს გულქანი უკვე მოშორებული იყო და მცირეწლოვანი შვილითურთ ხოტევში, მამისეულ ოჯახში, შემომწყრალი ძმების ჭერქვეშ ცხოვრობდა.

სხვა დამნაშავეებს, ვინც საბრალდებულო სკამზე ქაჯაიას გვერდით აღმოჩნდა, სხვადასხვა ზომის სასჯელი შეეფარდათ. სამ მათგანს იმავე ჯალათმა მხარში მოჰკვეთა მარჯვენა ხელი, რითაც არა ერთი მრუდე საქმე ჩაედინათ, სამს ორივე თვალი შანთით დასწვეს, ორი გაიშიშვლეს, შუა მოედანზე აღმართულ სამარცხვინო ბოძზე აქეთიქიდან მიაკრეს და გამვლელ-გამომვლელის საფურთხებლად აქციეს, ოთხი კი, ვის მიმართაც ბრალდება არ დადასტურდა, ვინაიდან მოწმეებმა სარწმუნო ჩვენებები ვერ წარმოადგინეს, სასამართლოზევე გაათავისუფლეს და შინ გაუშვეს.

ვიდრე დამნაშავეები მართლმსაჯულების ხელთ იყვნენ და ჯერ კიდევ არავინ უწყოდა, ვის რა ბედი ეწეოდა, ხალხი დრტვინავდა, უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა, ტყვიისმყიდველების სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, აკი მეფის განაწესში ასე ეწერა, და

მზად იყო, თუ მოსამართლენი სხვადასხვა მოსაზრებათა გამო სიკვდილის განაჩენს არ გამოიტანდნენ, განაჩენის გამოტანაც თვით ეკისრა და იგი კიდევაც აღესრულებინა, ღვთის მგმობელი ძველი ქართული ადათისამებრ ჩაექოლა, მაგრამ როდესაც საქმის განხილვას ბოლო მოეღო, სასამართლოს გადაწყვეტილებაც წაიკითხეს და მეორე დღეს ქუთაისიდან მოწვეულმა ჯალათმა მოედანი დამნაშავეთა სისხლით მორწყა, ბევრი ვინმე დაფრთხა და სანახაობით სულით ხორცამდე შეძრწუნებულმა თვალებზე ხელები მიიფარა. ღმერთო, ეს რა ვნახეთო, მოთქვამდნენ გულდამდუღრულნი, ცოცხალი კაციშვილის ასე ჰედილასავით წამოქცევას და დაკვლას მამა-ზეციერი არ გვაპატიებსო, ასწილ გადაგვხდებაო. გულჩვილებს სხვებმა შემოუტიეს და მსჯავრდადებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გაახსენეს, რომელიც სასჯელს ბევრად სჭარბობდა და მალე უთავბოლო ვაივიშიც შეწყდა. გვამები და დასახიჩრებულნი საღამომდე ეყარნენ მოედანზე და მთელ ქალაქს შიშის ზარს სცემდნენ. სხვა დროს აქაურობა ძაღლებით აივსებოდა, ახლა კი ერთსაც არსად გაუჭაჭანია, თუმცა გააეებული ყმუილი წამდაუწუმ ისმოდა და გამგონს ძარღვებში სისხლს უყინავდა. ჩანდა, ყველა ძაღლი დაბმული ან დამწყვდეული იყო, რათა მოედანს არ მოსდებოდნენ, ფილაქანზე დაღვრილი სისხლი არ აელოკათ, ანდა უპატრონო, ღვთის ანაბარაა დაყრილი მკვდრები არ გაეფუჭებინათ.

არც სასამართლოსა და არც დამნაშავეთა დასჯას სოლომონი პირადად არ დასწრებია. განაჩენი გასაცნობად და დასამტკიცებლად გელათის მონასტერში აახლეს და მეფემ ის მყისვე, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაამტკიცა. აქ, გელათში, იგი ძმის, მიტროპოლიტ იოსების, მოსანახულებლად, უფრო კი სალოცავად და სინდისის დასამშვიდებლად ამოვიდა და ერთობ კმაყოფილი დარჩა, რომ მიტროპოლიტი იოსები მონასტერში მარტო დაუხვდა. მის უწმიდესობა კათალიკოს ბესარიონს გადაუდებელი საქმე გამოსჩენოდა და წინა დილას ხონს გამგზავრებულიყო, საიდანაც, შესაძლოა, იქაური ეკლესია-მონასტრების დასახედავად, გზა ოდიშისკენაც განეგრძო.

— რას მივაწერო, სოლომონ, ასე მარტოდმარტო შენი ამოსვლა, ამალა რატომ არ იახლე? — ჰკითხა იოსებმა გვირგვინოსან ძმას, თუმცა მეფეს სამასი დარჩეული მხედრისაგან შემდგარი მცველი რაზმი ახლდა, და თავის ბერულ სადგომში შეუძღვა. სოლომონს მოეჩვენა, რომ აქ ბნელოდა. გრძელ სატრაპეზო მაგიდას შავკუნკულიანი და გახუნებულ შავ ანაფორებში გახვეული ბერები უსხდნენ, წინ გადაშლილი დედნის ნუსხებს ეტრატზე იწერდნენ და მეფისა და მიტროპოლიტის შემობრძანება არც კი გაუგიათ. როდესაც ისინი ქორისაგან დამფრთხალ ფრთოსანთა გუნდივით ფრთხიალით წამოიშალნენ, მეფეს მდაბალი თაყვანი სცეს, ჯვარი გადასახეს და ერთიმეორის მიყოლებით ამწვანებულ ეზოში გაიკრიბნენ, სოლომონი ერთ გადაშლილ წიგნთან შეჩერდა, ფურცელს ხელი შეავლო, ახალ, ჯერაც მელანშეუმშრალ ნაწერს მცოდნე კაცის თვალით გაჰხედ-გამოჰხედა და პირში შემოჩერებულ ძმას მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— მაინც ვის ისურვებდი კიდევ, რომ წამომეყვანა?

— აგიაშვილი, წერეთლები, წულუკიძეები, ავალიანები, თუნდაც ერისთვიშვილები აქეთ მგზავრობისას შენ ყოველთვის გახლდა.

გატანჯულ, თითქოს ქვისაგან გამოქანდაკებულ სახეზე მეფეს ღიმილმა გადაუარა.

— რა ეჭვიანი კაცი ხარ, იესე, შენ რომ გულში არ გაივლებ, იმისთანა ხომ არაფერია. წულუკიძეებს არ ცალიათ. ბერი, მოგეხსენება, ბოქაულთუხუცესია და ჩხარშია დღეს. გიორგი და ბერი ლორთქიფანიძე ქუთაისს გავგზავნე კიკიან-ფაშასთან. იქით მინდა შევედავო.

თუ განაზრახს არ მიმიხვდა. წერეთლებს იამანიძეები დავახმარე და საქარავნო ციხეს ამაგრებენ გორაძირში. სხვა ვინღა დარჩა? ჰო, ერისთვიშვილები... ერისთვიშვილებთან თავად მივდივარ სტუმრად!

— ერისთვიშვილებთან სტუმრად მიდიხარ? — მიტროპოლიტი გაოცდა, ძმის გამოხედვაში ცუღლუტური ღიმილი დაიჭირა, რაც კეთილის მაუწყებელი არ უნდა ყოფილიყო, და მუგუზლებივით ანთებული თვალები შუბლზე აუვიდა.

— ჰა, რა გაგიკვირდა? — ახლა კბილებიც გამოაჩინა და გულლიად, სწორედ ისე გაიღიმა მეფემ, როგორც პატარა ბიჭობაში სჩვეოდა. — განსაცვიფრებელი რა გითხარი, შე დალოცვილო, დიდი ამბავია, ხელმწიფემ თავისი საბატონო ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში წაბრძანება ინებოს?

— ეგ ჯარიც თან მიგყავს, სოლომონ? — მღვდელმთავარმა კიდევ უფრო ეჭვიანად იკითხა.

— წელან შენ თავად მესაყვედურებოდი, მარტო რამ ამოგიყვანაო.

— თუ გულში მტრობა გიდევს, ეგ ჯარი ცოტაა, თუ სამოყვროდ მიდიხარ — ბევრი!

— მესამედს ვიახლებ. ორასი კაცი აქ დარჩება.

— ერისთავმა იცის?

— მივალ და გაიგებს!

— აგრე არ ივარგებს, სოლომონ, დამიჯერე, სხვაგვარად იფიქრებს და... შიშს, ხომ იცი, დიდი თვალები აქვს!

— ვითომ გაბედავს რამეს?

— შეიძლება, არც გაბედოს, მაგრამ... — მიტროპოლიტი შეყოყმანდა, შესაფერის სიტყვებს დაუწყო ძებნა.— ხიდიკარში ყარაულები უყენია. კბილებამდე შეიარაღებული ოცდაოთხი კაცი. იქავე ორი ციხეც უდგას — გაღმაგამოღმა. თუ ერისთავის ბრძანება არ იქნა, ხიდზე არავის გადაატარებენ. თვით მეფესაც კი. შენ, გვირგვინოსანი, გაჩერდები და მოუცდი, სანამ კაცი ხიდიკრიდან წესში ჩასკდება და იქიდან როსტომის პასუხს მოიტანს? არ გამოვა ლამაზი, სოლომონ, ქვეყანა გაგვცინებს, ერისთავის კარზეც სალაპარაკო გამოუჩნდებათ.

— იყოს ნება შენი, ძმაო იესე, აქედანვე გავგზავნი მალემსრბოლებს, ამაღამ ნაფიჩვაძეებისას გავათევ ღამეს, საწირეში, ძიძას ვნახავ, დათუნას ახალ ფუძეს დავულოცავ და დილას, თუ უგზოობამ არ დაგვაბრკოლა, ვახსენებ ღმერთს... გზის რა ისმის? მისვლა-მოსვლა თუა? ნაქერალაზე ჯერ თოვლი არ იქნება აღებული.

— ჰაიდა-ჰა! ცხენდაცხენ ვგონებ არ უნდა გაგიჭირდეთ, ხარ-ურმისათვის კი ჯერ ადრეა, ხარითვალზე საფლობი ტალახი იქნება.

— შენ ხომ არ დამდებდი პატივს და მხარს არ დამიმშვენებდი?

— რატომაც არა, სოლომონ, — იოსებს გულწრფელად გაეხარდა და ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეფე რაჭაში როსტომის სამტროდ არ მიდიოდა. — თუკი ხელს არაფერში შეგიშლი...

— უბრძანე, აბა, მოგამზადონ, საწირემდე გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

— ცოტას მაინც არ დაიცდი? დაგესვენა, პური გაგვეტეხა.

— აგერ თუ გაგვიშლიან სახელდახელო სუფრას, უარს არ ვიტყოდი, ოღონდ ჩვენ ორის მეტი ნურავინ იქნება, არა მაქვს დავიდარაბის თავი!

იოსებმა მაუდის შავი ანაფორის განიერი სახელოები გადაიკალთავა, თითქოს თავად აპირებდა სუფრის თადარიგის დაჭერას, პარმაღში გავიდა, მალე ისევ შემობრუნდა, სატრაპეზო მაგიდის ბოლოში, გამჭვარტლული ბუხრის პირას, მორჩილს წიგნები მიალაგ-მოალაგებინა და ძმას სკამი დაუდგა.

— შენ როგორ ფიქრობ, იესე, — თქვა მეფემ, როდესაც ხელმწიფის უბრალო მიღებით დაფეთებული მორჩილი ფეხების უნებლიე ბრაგა-ბრუგით გარეთ გავიდა, დაჯდა და სკამის მაღალ საზურგეს მიეყრდნო. — რა საქმე უნდა გამოსჩენოდა მის უწმიდესობას

ხონში? მე ისე მეჩვენება, რომ ხონი მიზეზად მოიდო, ისე კი აქედანვე იმ ანგარიშით წავიდა, ოდიში მოევლო.

— მთავარეპისკოპოსი იოსები, ჩემი სეხნია, უქეიფოდ ბრძანდება, — მიუგო მღვდელმთავარმა, რომელსაც არც ახლა გამოჰპარვია აგდებული კილო, რითაც მეფე ეკლესიის საჭეთმპყრობელს იხსენიებდა. — რაც გამოზაფხულდა, ლოგინად არის ჩავარდნილი. დღედღეზე სიკვდილს ელიან. რა ხანია, მის უწმიდესობას იბარებს. კათალიკოსმა აქამდე ხელი ვერ მოიწყო.

— აღარ მინდა, გული გატკინო, იესე, და შემოგეკამათო. იყოს ისე, როგორც შენ გწამს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მომაკვდავი მთავარეპისკოპოსის შემონათვალი მისმა უწმიდესობამ მარჯვედ გამოიყენა, რომ თვალსა და ხელს შუა გაგვსხლტომოდა და დადიანის კარზე უჩვენოდ წასულიყო. ვითომ იქ ტახტის სასარგებლო საქმეს გააკეთებს?

იოსებმა წარბი შეიკრა, გვირგვინოსან ძმას თავშეკავებულად, ოღონდ მტკიცედ, შეფარული წყრომით უპასუხა:

— ცოდვას ნუ ვიქმთ, სოლომონ, კათალიკოსს იმ სიტყვებით ნუ მოვიხსენიებთ, რაც მის მაღალ საეკლესიო წოდებას არ ეკადრება და არც ჩვენ დაგვამშვენებს. ამას ჭკუის დარიგებად ნუ ჩამითვლი და ნუ შემომწყრები. საკუთრივ იმერეთის, გურია-სამეგრელოს და აფხაზეთის ეკლესია დღესდღეობით ქუთაისის საკათალიკოსო კათედრას ექვემდებარება. მადლობა უფალს, ისიც სამეფო-სამთავროებად არ დაქსაქსულა და კათალიკოსს, სანამ ხელთ მღვდელმთავრის კვერთხი უპყრია, წინ ვერავინ აღუდგება, მრევლს მიხედოს, დღეს აქ იყოს და ხვალ სხვაგან.

თითქოსდა კარსუკან დადარაჯებულმა სამმა შაოსანმა მორჩილმა ამ დროს სენაკში თიხისა და ხის ჯამებით კირკაჟი ლობიო, ზეთში მოშუშული ბრინჯი, კიტრის, კომბოსტოსა და ჭარხლის მწნილი, კეციდან სწორედ იმ წუთას აყრილი პიწკინა მჭადები, ლორთქო მწვანილი და დოქით ღვინო შემოიტანა.

ძმებმა მაგიდასთან გადაინაცვლეს. ხმას არც ერთი აღარ იღებდა.

— უკეთესი იქნებოდა, არჩილისათვის კაცი გაგვეგზავნა საზანოში და დაგვებარებინა, — მშვიდობიანად თქვა შემდეგ იოსებმა, როცა დარწმუნდა, მეფე არ მირისხდებაო და ოხრახუშმოყრილი კირკაჟი ლობიო მიაწოდა. — არჩილს რაჭაში იცნობენ. ერისთავის კარზე სიყვარული აქვს დათესილი და საქმეში გამოგვადგებოდა.

— არ სცალია არჩილს, იესე, — მეფემ ლობიო გლეხკაცური ხის კოვზით გადაიღო, ღვინო დაისხა, ორიოდე ყლუპი მოსვა, თითქოს გემოს უსინჯავსო და ფერდებშეზნექილი მომცრო ჭიქა ისევ თავის ადგილზე დადგა მაგიდაზე.

— როგორ თუ არ სცალია, კიდევ მოხდა რამე თუ?

— არჩილი რძალს, დედოფალ მარიამს ახლავს ოდიშში. როგორ, აქამდე არ მითქვამს?

— დიდება შენდა, ღმერთო! — მიტროპოლიტმა პირჯვარი სანახევროდ გადაიწერა და მოშიებულ ძმას, სამარხვო ტრაპეზს ხელი მადიანად რომ გაუსვა, გამომცდელი მზერა მიაპყრო. — როდის წავიდნენ?

— გუშინ დილას. ახლა, თუ ჩქარა იარეს და გზაში დაბრკოლება არაფერი შეხვდათ, მისულიც იქნებიან.

— სიმამრი შენც მიგელოდა, რაგარც მე ვიცი. ლამაზია, დედოფალი მაზლის ანაბარა რომ გაუშვი?

— აგრე ვამჯობინეთ. თავად მირჩია და მეც წინააღმდეგი აღარ წავუდექი. არჩილის გაყოლაც მარიამმა მოიწადინა. სასწრაფოდ დავიბარეთ და ვარციხეში ჩამოვიყვანეთ. ოტია უარესად ყოფილა. ათუ მთავარეპისკოპოსი იოსები და ათუ ის! ზეზე ველარ დგებაო. თუ ბედმა გვიმუხთლა და მოკლე დროში სული ღმერთს მიაბარა, ყელი გამოგვეჭრება და ის არის. ვინ იცის, ჩემი ცოლისძმა კაცია რა ჭკუაზე დადგება. შე-

იძლება, კეხი სულაც შეაბრუნოს და, თათრის გულის გასახარად და მოსამადლიერებლად, მოყვრობის გაწევის მაგიერ მტრობა გამოგვიწყოს. სხვის გაჭირვებაზე ხელის მოთბობა ადვილია!

— ღმერთმა დაგვიფაროს, სოლომონ, რა საბუთი მოგეძებნება, რომ ცოლისძმას თითქმის ღალატს სწამებ?

— ეჰ, ჩემო იესე, შენგან არ მიკვირს? საბუთს როცა ხელში ჩავიგდებ, მაშინ, იცოდე, ველარაფერს მოვეწევით, ბამბა ყურებიდან თუ ახლავე არ გამოვიღეთ. მარიამმა დაიმედებული დამტოვა. რაც არ უნდა მოხდეს, ბატონ მამას ომში შემწეობაზე დავითანხმებო, საქმეს ისე წავიყვან, მის სიტყვას ვერც ჩემი ძმა კაცია და და ვერც აფხაზეთის მთავარი გადავლენო. სვანები მითუმეტეს. სვანეთს დადიანი თავის განუყოფელ სამფლობელოდ თვლის. ბეჭედზედაც ხომ ასე უწერია: „მიჭირავს სვანი და ზღვანი შავნი, ოდიშ-აფხაზ მფლობელ ვარ!“

— რაღაი მარიამს უთქვამს, შეძლებს კიდევაც. მაგარი ქალია დედოფალი, მამაზედაც და ძმაზედაც დიდი გავლენა აქვს!

— მეც აგრე მგონია, იესე, თუ არაფერში ვტყუვდები. დრო არ იცდის. თათარი შეიძლება მოულოდნელად დაგვატყდეს და თუ ჯარები წინასწარ არ შევიგულეთ და ტყვია-წამალიც ბლომად არ მოვიმარაგეთ, მერე უკვე გვიანი იქნება. ამან დამაყენა სწორედ გზაზე და პირი რაჭისკენ მაქნევინა. ვითომ როსტომი საბოლოოდ შემოგვირიგდა და გულში ფარსაგი არ უდევს? ჰა ბურთი და ჰა მოედანი! ახლა უნდა გვიჩვენოს ძალა და თავისი ჯარის სიმრავლე! ხუთ-ექვს ათას კაცს თავისუფლად მოაგროვებს და კიდევაც შეაიარაღებსო, ასე ამბობენ საქმეში ჩახედულებო და მეც ასე ვვარაუდობ. მარტო რაჭამ რომ ამოდენა ჯარი მოგვცეს, ეხუმრები შენ? გურიელი აღარ მაეჭვებს, სულ თითივით მარტო რომ დავრჩეთ, ის მაინც არ მიგვატოვებს!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, სოლომონ, ღვთისმშობელი დედა მწედ გექმნეს. თათბირს ვერ დაგიწუნებ. ღვთის ჩაგონებით ყველაფერი ზუსტად მოგიფიქრებია და საქმესაც დროით შესდგომიხარ. რას შვრები, ლუკმა გადაყლაპე, ეგ არის, უარს არ ვიტყვიო? ღვინო არ მოგეწონა?

— რა უჭირს, შემთბარა ცოტა.

— დილანდელი ამოღებულია. ჩავაცივებდი, მაგრამ როდისღა იქნება, — მიტროპოლიტმა ნაკლული ჭიქა პირამდე შეუვსო, თავადაც დაისხა, ჭიქა აიღო და სინათლეზე გაჰხედა. — მონასტრის ვენახის გახლავს, ბერების ნახელავია. დავლიოთ თითო ჭიქა. შენ იცოცხლე, შენს საქმეს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ყრუდ გაიმეორა გარინდებულმა სოლომონმა და ჭიქა გამოსცალა.

ძმები ჯერ ისევ სუფრას უსხდნენ, როდესაც ჩხარიდან მალემსრბოლები მოვიდნენ და დიამბეგთა სასამართლოს განაჩენი მოიტანეს. მონასტრის სამრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა და მალე მას სხვა ზარებმაც ხმა მისცეს. სანთლებით გაჩირაღდნებულ ღვთისმშობლის საყდარში წირვა იწყებოდა.

## თავი XVIII

რაჭა კიდით კიდემდე შესძრა სასიხარულო ახალმა ამბავმა. ქვრივ-ობლისა და უქონელი კაცის განმკითხაავი მეფე სოლომონის მობრძანებას ერი და ბერი ნანატრ ბედნიერებად თვლიდა და თვალი ყველას გზაზე ეჭირა. აქ უკვე იცოდნენ, რაც ჩხარში მომხდარიყო. მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი გლეხკაცობა და წვრილი აზნაურობა, რომელიც არც ქონებითა და არც ცხოვრების წესით გლეხობისაგან არაფრით განსხვავდებოდა, მეფეს

სამართალს უქებდა და ერთმანეთს ულოცავდა, მგონი ღმერთმა ჩვენც გადმოგვხედა, დადგა ურჯულო აგარიანისა და იმაზე უფრო ურჯულო ტყვისმყიდველების აღსასრულის დღეო. მეფისა და მისი მხლებელი ჯარის გზაზე, ხარითვალიდან ვიდრე ხიმშამდე, გვირგვინოსანი სტუმრის დასახვედრად რამდენიმე ადგილას მოემზადნენ და გრძელი სუფრები გაშალეს. მამასახლისები, იასაულები და გზირები მათრახებს ატრიალებდნენ და სოფლებს გარეშემო მეათასედ უვლიდნენ. ნაბრძანებია, გზაში გამოსვლა და მეფისათვის საჩვრის მირთმევა არავინ გაბედოს, თუ არა, თქვე უბედურებო, შავი დღე დაგადგებათო. იცოდეთ, მეფე მაინც წამსვლელია, ჩვენ აქ ვრჩებით და, ვისაც თავი არ მოსძულებია, ისევე ჩვენ მოგვეფეროსო.

არავინ იცოდა, სად ინებებდა ხელმწიფე შეჩერებას და ბანაკად სად დადგებოდა, დანამდვილებით არც ის იყო ცნობილი, რამდენი კაცი ახლდა და ან როდემდე აპირებდა აქ, რაჭაში დარჩენას.

მდაბიო ხალხის წრესგადასულ სიხარულს მხოლოდ ბარაკონზე — ერისთავის წესის სასახლეში არ იზიარებდნენ. თვით როსტომი საგონებელში იყო ჩავარდნილი, თავის ტკივილებს უჩიოდა, საცვლებისამარა საძინებელ ოთახში იჯდა და გარეთ აღარ გამოდიოდა. უსაყვარლეს საქმეზე — ხეხილის დანამყენებაზედაც კი ხელი აიღო, თუმცა მრავალი მწარე საძირე, წინა წლებში რომ ტყიდან გადმორგო და გაახარა, უკვე იფოთლებოდა და თუ მარჯვე მყნობელის ფხიანი დანა კანს ახლავე არ გაუსერავდა შიგ ჯიშიანი კვირტის ჩასადგმელად, საქმე საგაისოდ გადაიწევდა. ვეღარც შემცბარი ერისთვიშვილები ბედავდნენ უჩვეულოდ ნირწამხდარი მამის შეწუხებას. რა ექნათ? რა გზას დასდგომოდნენ? დაუძინებელი მტერი შინ ჯიქურ მოუდიოდათ, ვინ იცის, გულში აქაურობის აკლებაც ედო, ისინი კი, სანამ მამა, ოჯახის თავი და განმგებელი, რასმე არ ბრძანებდა, გულხელდაკრეფილი უნდა მსხდარიყვნენ და მწარე ხვედრს ასე დალოდებოდნენ.

მოგვიანებით, კარგად რომ დაღამდა, როსტომმა ვახშამი მოითხოვა. ერისთვიშვილები სასახლის განიერ პარმაღზე შეიკრიბნენ და განგებისად ახმაურდნენ, იქნებ მამამ ჩვენი ხმა გაიგონოს, გავახსენდეთ და დაგვიძახოსო. როსტომს თავის საფიცარ შვილებს აბა რა დაავიწყებდა! მისი დუმილი და სრული უმოქმედობა მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ ჯერ ხეირიანად ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ვთქვათ, შვილები კიდევაც შეეყარა — რა უნდა ეთქვა?

ნავახშმევს ალი ენგიჩარს უხმეს. ალი, ჩვეულებისამებრ, ღამეს მინდა-ციხეში ათევდა და გვარიანმა დრომ გასტანა, ვიდრე ის ციხის ციცაბო გვერდოს ჩამოივლიდა და სასახლეს მოაღწევდა. ერისთვიშვილები ეკლებზე ისხდნენ. უქმად დაკარგული ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდათ. ალი ენგიჩარი ბატონთან თითქმის მთელ საათს დარჩა და როდესაც გარეთ გამოვიდა, ირგვლივ ერისთვიშვილები შემოეხვივნენ და შეკითხვები დააყარეს.

როსტომს მეციხოვნე ჯარის გაორკეცებული სიფხიზლე ებრძანებინა. რაჭის თავქვეებზე დაშვებულ სოლომონს ყველა ციხემ თვალი უნდა ადევნოს და, თუ ვინიცობაა, საეჭვო რამეს შენიშნავენ, განგაში უნდა ასტეხონო. რაკი სამოყვროდ მოსული მეფის მოყვრულად მიღება გარდაუვალი ჩანდა, როგორც კი ის ხიდიკრის კოშკებს გამოსცდებოდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ჯერ ნინიას ციხესა და შემდეგ მინდა-ციხის ქონგურეზე ზარბაზნები უნდა დაეცალათ.

მომდევნო დილა და მთელი დღე გიორგი სარდალმა, ნაბერალმა მეთოდემ და ყაბარდოს ბატონის სიძე იაგორამ ხიდიკარში გაატარეს. მამამ სამივე მეფესთან შესახვედრად გამოგზავნა. დანარჩენი ოთხი ერისთვიშვილი სოლო-

მონს ნინიას ციხესთან შეეგებებოდა და ზარბაზნების საზეიმო გრიალში სასახლისაკენ წამოუძღვებოდა.

გაზაფხულის მცხუნვარე მზე მწვავედ აცხუნებდა და მზისგულზეც და ჩრდილშიაც თითქმის ერთნაირად ცხელოდა. ერისთვიშვილები და სხვა რაჭველი წარჩინებულნი, რომლებიც აქ თავიანთ ხაპატიო მოვალეობას იხდიდნენ, ღილკილოებით ნიკაპამდე შეზნეულ საზეიმო კაბებში ამოიხრჩვნენ. ტანზე გახდა და ყინვარებიდან მონადენ რიონში პირაღმა გადაშვება ახლა ერთ სიცოცხლედ ღირდა.

დაღამდა. ამბროლაურის მხრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. გაწბილებულმა, ამაო ლოდინით ცოტათი შეურაცხყოფილმა ძმებმა, გიორგიმ, მეთოდემ და იაგორამ, ცხენები შეაკაზმინეს და შინ გაბრუნებას აპირებდნენ, როდესაც ფართო სავრმე გზაზე, რიონს ამბროლაურამდე რომ გასდევდა და შემდეგ მარცხნივ, სამხრეთისაკენ, ხოტევის აღმართებისაკენ უხვევდა, დინჯად, აკრეფილი ნაბიჯით მომავალი ცხენოსანი ჯარი დაინახეს. ჯარი უჩუმრად, თითქმის მთლად უხმაუროდ ახლოვდებოდა და კლდეკარის ყველა კუთხე-კუნჭულს ავსებდა.

— ვინ მოდის?

— იმერეთის მეფე, მისი უმაღლესობა სოლომონი!

— კეთილი იყოს დიდებული მეფის მობრძანება! ფარავდეს ვლიეთის წმინდა გიორგი! უკაცრავად ვართ, ერთი მოგვითმინეთ, მაშხალებს მოვუკიდებთ!

— ჩვენ უმაშხალებოდაც კარგად ვაგნებთ გზას. აქ ვინა დგას? ერისთავის ჯარია?

— მეციხოვნეები გახლავართ, ბატონო, ხიდუკას ყვარაულობთ და დილას აქეთ ჩვენს დიდებულ მეფეს ველით. რაღაი კი მამა-ზეციერი მოგვეხმარა და მშვიდობით მოაწიეთ!.. აგერ გიორგი სარდალიც ბრძანდება, მეთოდე და იაგორაც აგერ ბრძანდებიან.

ამასობაში ჯარს ჯარი მოემატა. მოსული და დამხვდური ერთმანეთში აირია. მოსულთაგან ზოგი უკვე ჩამომხდარიყო, დამხვდურთ ამბავ-ხამბავს ეკითხებოდა და თავადაც პასუხობდა, ზოგი ისევ ცხენზე იჯდა და ქვეითებში ხიდზე გზას მიიკვლევდა. მეციხოვნეებმა საგანგებოდ მომარაგებული კვარი და ჟინჟილები აანთეს და კლდის ნაპრალებში ჩაამაგრეს. კვარი ტკაცუნით იწვოდა და ირგვლივ საკმევლის სუნს აყენებდა. იქაურობა დღესავით განათდა. ნინიას ციხეზე რომ ზარბაზანმა დაიქუხა და ყრუ ხევებმა ეს ხმა რამდენჯერმე გრძლად გაიმეორეს, წესში ყველა დიდი და მცირე სახლის კარი ერთბაშად გაიღო და ხალხი საქარავნო გზას მოაწყდა, რომელიც წესს შუაზე ჰკვეთდა, ბარაკონს ზემოთ, სწორედ მინდა-ციხის ძირას, მაღალბურჯებიან ხიდზე გადადიოდა და ხევ-ხევ ზემო რაჭისაკენ მიიკლაკნებოდა.

გულითადი დახვედრით გახალისებული მხედრები დაღლილობას არ იმჩნევდნენ, დარახტულ ცხენებს გუნდ-გუნდად მოაგელვებდნენ, ჰაერში წამდაუწუმ დამბაჩებს აქუხებდნენ და ღამის სიჩუმეში ჩაფლულ მიძინებულ გარემოს აღვიძებდნენ. იმათგან, ვინც ქიზიკრებთან, ღობეებზე და შუკებში იყო გამოფენილი, არავინ იცოდა, მეფე რომელი იყო, რომელ გუნდში ერია, ამიტომ ლამობდნენ მრავალთა შორის მის გამოცნობას. დაუსრულებელი მოლოდინით გასავათებული ხალხი ამას არ დაგიდევდა, მაინც ხარობდა, მეტადრე ლოგინიდან წამომხტარი ნახევრად შიშველი ბალღები, ლიტანიობდა და ხელმწიფის სადიდებელ სიტყვებს გაიძახოდა.

— ე, ეგერ მობრძანდება, ეგერ, ვერა ხედამთ-ყე?—გაისმა წამოჩიტული ბიჭის წკრიალა ხმა ქვის გვერდიან სასოფლო ქასთან, როდესაც მხედართა კიდევ ერთმა გუნდმა აღმართი ამოვლო, ღელეზე გადებული ახალ-ახალი ბოგირი გადმოიარა და სოფელში შემოვიდა. — გიორგის და მეთოდეს შუა, თავშიშველი!..

ხალხმა იხუვლა და ორივე მხრიდან მიაწყდა ცხენოსანთა გუნდს. მხედრები იძულებული გახდნენ, ნაბიჯი შეენელებინათ, ბოლოს სულ გაჩერდნენ.

— ღალატუნა! — გაისმა ამ დროს გიორგი სარდლის მკაცრი შეძახილი. — სადა ხარ, სად? ეს ხალხი მოგვაშორე!

თითქოსდა ამის პასუხად მინდა-ციხეზე ზარბაზანმა დაიგრიალა და სტუმრებიცა და მასპინძლებიც ერთ ადგილზე გააშეშა. ალი ენგიჩარის თოფჩები, ეტყობოდა, მამასისხლად ნაყიდ ყუმბარებს არ ზოგავდნენ და სტუმრად მობრძანებულ ევირგვინოსან ბატონს ერისთავის სანუკვარ არტილერიას ახარბებდნენ.

სოლომონი გზას ერთობ გაელახა და ცხენზე ძლივს იჯდა. გულით ეწადა: გიორგი სარდლის წყრომის სანაცვლოდ შეჩერებულიყო, ერისათვის ყური მიეპყრო და თავის მხრივაც რაიმე სასიამოვნო გასაგონი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ამდენი ღონე აღარ შესწევდა, მხოლოდ უსაგნოდ იღიმებოდა და ხალხის მორევში, რომელიც თვალს უჭრელებდა და ერთ მთლიან მდინარედ ეჩვენებოდა, ცხენის ალღოს მინდობილი გზას მიიკვლევდა. მერე ყველაფერი წყვდიადმა დაჰფარა. თვალი რომ გამოახილა, ლოგინში იწვა და თავთით, ლურჯის ფეხებიან მრგვალ მაგიდაზე, ქონის სანთელი ბჟუტავდა. დაფეთებულმა, ემერთო, ეს რა მემართება, ბუმბულის მსუბუქი საბანი გადაიხადა, ფეხები საწოლიდან გადმოყარა და წამოჯდა. ვერა და ვერ მოეგონებინა, აქ საიდან და როგორ მოხვდა, სად და ვის ლოგინში იწვა, ტანზე ვინ გაჰხადა და ყოველივე ეს რას ნიშნავდა.

— სოლომონ, — მოესმა იმავ წუთს და ჯერ ისევ ძილის ბურანში მყოფმა მეფემ ძმის, გენათელ მიტროპოლიტ იოსების ხმა იცნო. — ჯერ ადრეა, ასე ადრე ადგომას აპირებ?

— იესე ხარ? — იკითხა ძმის ხმის გაგონებით ოდნავ დამშვიდებულმა სოლომონმა.

— ჰო, აბა, ვინ ვიქნები, კაცო?

—აქ სად ვათევთ ღამეს? ვის სახლში ვეძინავს?

— სად უნდა გვეძინოს, სოლომონ, ერისთავის სასახლეში ვართ, ბარაკონზე, ორი საათიც არ იქნება, რაც მოგასვენეს.

— მერე რატომ მე აღარაფერი მახსოვს?

— ძალიან დაღალული იყავი, ვახშამზე უარი თქვი და ერისთავიშვილებმა პირდაპირ აქ შემოგიყვანეს. მეც ახლა დავწექი, ჯერ კი არ ჩავმთბარვარ.

—ფუ, რა ვუთხარი ჩემს სიგლახეს! ასე რამ წამახდინა!

— რა ვუყოთ მერე, გამოდმებულმა ღამისთევამ და ცხენზე ჯდომამ აგრე იცის. ერთხელაც ხომ გითხარი და შემოგეხვეწე, თავს მიხედე-თქვა.

— გარეთ ყარაული დგას?

— ყველგან ჩვენებია. რავა?

— რას იტყვის ეს ხალხი! როსტომმა ასე ძილად მიგდებული მნახა?

— არ გამოჩენილა ჯერ როსტომი, სოლომონ, ბიჭებმა ასე თქვეს, შეუძლოდ ბრძანდებაო.

— როსტომი არ გამოჩენილა? — თავისდა უნებლიეთ ხმა აიმაღლა სოლომონმა და გულზე ბოღმა მოაწვა. — როგორ თუ არ გამოჩენილა, კაცო, მეფე სტუმრად ეწვია და ის ლოგინში კოტრიალობს?

— ჩუმად, თუ ჩემი ოდნავი ხათრი გაქვს, ხომ იცი, კედლებსაც ყურები ასხია. აქ აყალმაყალის ასატეხად მოხვედი?

— ვაი ჩემი გაჩენის დღეს, იესე, რომ ჯანმა უდროო დროს მიღალატა! ეგ ხომ იმის მომასწავებელია, რომ მასპინძელს არ ვეპიტნავებით და მით უფრო უკეთესს ვიზამთ, რაც უფრო ადრე ავიკრავთ გუდა-ნაბადს და წავალთ აქედან! გულში რომ ეს უდევს, ვის გამოეპარება, მაგრამ თავზე ხელი როგორ აიღო და გამჟღავნება როგორ გაბიბედა!

— სოლომონ, ჩვენს ძმობას გაფიცებ, ერისთავის ეს უზრდელობა მე

მაპატიე, — ვიდრე მეფე დრტვინავდა და გალიაში ჩამწყვდეული ნადირივით ბობოქრობდა, იოსებმა ტანზე გადაცმა მოასწრო. ფოსტლებში ფეხი წაჰყო და წინ დაუდგა. — რაც იყო, იყო, ვითომ არც გაგიგია და არც შეგიმჩნევია. საქმისათვის ასე აჯობებს. ზოგი ჩვენ უნდა დავთმოთ, ზოგიც იმან. მტერს ნუ გაახარებ. ახლა ეგ გინდა კიდევ?

— მომაკვდავი რომ ყოფილიყო, მომაკვდავი, შვილებისათვის უნდა ებრძანებინა, საკაცეზე დამაწვინეთ, გარეთ გამიყვანეთ და მეფეს ისე შემახვედრეთო. ეგ ზეზე აბრძანებასაც არ კადრულობს?

— მამის სულს გაფიცებ, დაწყნარდი, ამაღამ მაინც დაიძინე, რომ ხვალ კაცად ივარგო. გათენებამდე ორი-სამი საათია. გესმის? მამლები ყივიან. აბა, აქ რისთვის წამომიყვანე, თუ არაფერს დამიჯერებ! ღმერთს ვმადლობ, რომ დღეს შენს გვერდით ვარ და ცოტა რამ სამსახურის გაწევა შემიძლია.

— რა გაეწყობა, ეს ყოფილა ჩემი ყისმათი! — მწარედ ამოიხვნეშა სოლომონმა და რაკი ძმა აღარ ეშვებოდა და ლოგინში თითქმის ძალისძალად აწვენდა, დამორჩილდა. — უბედურ ვარსკვლავზე გავჩნდი!..

იოსებს არაფერი უპასუხნია, თავის ქვეშაგებელს მიუბრუნდა, გაიხადა, პირჯვარი გადაიწერა და უკვე გაცივებულ საბანში გაეხვია, აღარც სოლომონს უთქვამს რამე. თავი ბალიშზე დასდო და ისე ინათლა, თვალზე რული არ მიჰკარებია.

დილას, პირი რომ დაიბანა, გამოეწყო და აივანზე გამოვიდა, ქვეყანა განახლებული და ღვთიური მადლით აღვსილი ეჩვენა. რიყის ქვით ნაგები მოგრძო სასახლის წინ მოლი ამწვანებული იყო, ხეხილი ყვაოდა, რიონგაღმა ფერდობებიც მწვანედ ხასხასებდა და უზადო ლურჯ ცას ცოცხალ კედლად შესდგომოდა. მთის წყაროსებრ გამჭირვალე ჰაერში ფუტკრები დაბზუოდნენ. თაფლის მოპოების ჟამი იდგა. მარცხნივ, ამომავალი მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ელვარებდა თეთრ პერანგში ჩასმული მაღალგუმბათიანი ეკლესია, რომელსაც სოლომონი პირველად ხედავდა და აღტაცებული თვალს ვეღარ აშორებდა.

როსტომი არც დილის წირვაზე და პარაკლისზე გამოჩენილა. სოლომონი ამას უკვე შეჩვეული იყო. ეკლესიიდან მობრუნებულმა ერისთავის ჯანმრთელობის ამბავი მაინც იკითხა. როსტომს ისევ ბოდიში შემოეთვალა. მაგრამ როდემდე აპირებდა მეფესთან შეყრის გადადებას?

სოლომონს ძმა, გენათელი მიტროპოლიტი იოსები წამოეშველა და მოიარებით, ისე, რომ გაფაციცებულ მასპინძლებს მისი სიტყვები სხვანაირად არ აეხსნათ და არა სწყენოდათ, რაჭის ბატონის მონახულების სურვილი გამოთქვა. ერისთვიშვილები ჩიხში მოემწყვდნენ. ამ სურვილის აღსრულებაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო. ერისთავის ვაჟების თანხმობით მყისვე ისარგებლა სოლომონმა და ყველას მაგიერ ნაზერალ მეთოდეს მიმართა:

— ბატონ როსტომის მონახულება დიაღაც გვმართებს. რომ არ უჭირდეს, ჩვენი უნახავი აქამდე როგორ დადგებოდა!

ერისთვიშვილებს ჩოჩქოლი შეექნათ, თუმცა იმის თავშეკავება ყველას შესწევდა, ეს გარეგნულად არ შეემჩნია. გულში არც ერთი არ იწონებდა მეფის მოძულე მამის სრულიად უადგილო გაჯიქებას და ახლა, როდესაც ხელმწიფემ თვით დაიმდაბლა თავი და ითხოვა, ავადმყოფთან მიმიყვანეთო, ისღა დარჩათ, მშობლის სახელით ერთხელ კიდევ ბოდიში მოეხადათ და კაცები ეფრინათ სარეცელზე მიჯაჭვული ერისთავის მოსამზადებლად.

სოლომონი გრძნობდა, რომ იოსების ბრძნული დახმარებით ბრძოლა უკვე მოგებული ჰქონდა, როსტომს ფანდი არ გაუვიდა, ამავე დროს ახლგაზრდა, თავმოყვარე შვილების

თვალშიაც არასახარბიელო მხრით გამოჩნდა და გულში ზეიმობდა.

მეფე და მიტროპოლიტი გულწრფელად გააკვირვა სისადავემ და უბრალოებამ, სიმდიდრისა და ფუფუნების მოყვარული როსტომის საძინებელ ოთახში რომ სუფევდა. თავმოხარტებული ურთხელის საწოლის, რამდენიმე სკამის და საკარცხულის, ურთხელისავე მრგვალი მაგიდის, რომელზედაც ტყავის ყდაში ჩასმული დავითნი და ორი კიდევ სხვა წიგნი იდო, და იატაკზე დაფენილი პატარა სპარსული ნოხის მეტი ოთახში არაფერი იყო. როსტომი მაღალ სასთუმალს ზურგით მინდობოდა, მზეში შეხანხლული ვეება მძიმე ხელები საბანზე ზემოდან დაეწყო და რამდენიმე დღის გაუპარსავი ჭაღარაშერეული წვერით დაფარულ სახეზე გაუქარვებელი ჭმუნვის ბეჭედი აჯდა. პირქუში სახის ნაღვლიანი გამომეტყველება ერისთავს მაშინაც არ შესცვლია, როდესაც კარი გაიღო და ამალის თანხლებით ოთახში მეფე სოლომონი შემოვიდა.

სოლომონს ესეც თვალში მოხვდა. როსტომი აშკარად უკმაყოფილო იყო მისი სტუმრობით და ამას არც მალავდა. „რისთვის მოხვედი? — უსიტყვოდ ეუბნებოდა ერისთავის სახე და დახრილი თვალები. — გინდა, დამიმტკიცო, რომ აქაურობაც შენია და ჩვენ ყველამ შენი გვირგვინის წინაშე ქედი უნდა მოვიდრიკოთ? ამას ვერ მოესწრები! შენი მამა და პაპაც მაგ ჯავრმა მოინელა. რით ვერ გაიგეთ და თავში ვერ შეუშვით, რომ რაჭა მე ღმერთმა მიბოძა და არა კაცმა, ღმერთის მოცემულს კი კაცი ვერ წამართმევს და შენ სულ ტყუილად გარჯილხარ, სულ ტყუილად გგონია, ფეხქვეშ ფიანდაზად გაგეგები და შენს უზენაესობას ვიწამებ ჩემს მამულში. უზენაესი აქ ღმერთია, კაცთაგან მე ვარ— როსტომ რაჭის ერისთავი!“

„მაგასაც ვნახავთ!“ — გაიფიქრა სოლომონმა, რისხვა დაიოკა, პირზე ღიმილის ნიღაბი აიფარა და იმის ნაცვლად, თავისი ქეშიკები მოჰხმო — და ურჩი ქვეშევრდომის დაუყოვნებელი შეპყრობა ებრძანებინა, ავადმყოფს ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა. ახლაც ლა შენიშნა: გარეგნული შეუვალობის მიუხედავად, ერისთავი ღელავდა — საბანზე შემოდებული მარჯვენა ხელი ძლივს შესამჩნევად უტოკავდა და სოლომონს ამან საკუთარი ძალების რწმენა და თავდაჯერება გაუათკეცა. ერისთავს ფარული მღელვარება მაშინაც შეეტყო, როდესაც ერთმანეთზე მიწებებული ტუჩები გახსნა და აქ მობრძანებისა და ლოგინად ჩავარდნილი სნეული ბერიკაცის მონახულებისათვის, უჩვეულო მიმქრალი ხმით, მეფეს მადლობა მოახსენა, ხოლო მღვდელმთავარ ბატონიშვილს კურთხევა სთხოვა.

იოსებმა ჯვარი გადასახა, რაღაც წაიბუტბუტა და ანუგეშა.

მეფემ მზრუნველობა გამოიჩინა, ერისთვიშვილებს მოუტრიალდა და ვითომდა როსტომისაგან ნამალევად ჰკითხა, ავადმყოფს ვინ მკურნალობსო. ისევ და ისევ კარის მკურნალი ხოსია გოგობერიშვილი! სოლომონი შემოთავაზებულ საკარცხულში ჩაეშვა და როსტომს თავისი მკურნალები — პაპუჩა აბულაძე და პატრი ლეონე შესთავაზა.

— ნუ შეიწუხებ თავს, ბატონო მეფევ, — ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ისევ შენიშნა ერისთავმა. — ჩვენს ყოფნას და არაყოფნას ზენაარი განაგებს. თუ ღმერთმა მოგიძულა, ათასი მკურნალიც რომ დაგეხვიოს, მტრისას და ავისას, მაინც ვერაფერს გიშველის!

როსტომის მიერ ხუმრობის კილოზე ნათქვამ ამ სიტყვებს ოთახში მყოფნი, შინაურნიც და გარეულნიც, გამამხნევებელი სიცილით შეხვდნენ, მეფესაც გაეღიმა და აუხსნელი შებოჭილობაც, ყველა ერთად რომ გრძნობდა, როგორღაც თავისთავად გაქრა.

ნასადილევს მეფე დ ერისთავი განმარტოვდნენ. მიკიბვ-მოკიბვის დრო

აღარ იყო, ყოველი წუთი ძვირად ფასობდა და სოლომონმაც პირდაპირ და დაუფარავად გაამჟღავნა, წესს ამოსვლა და ერისთავის მონახულება რა მიზნითაც გადაწყვიტა.

რაჭის მფლობელთა ძველი მტერმოყვარის, ყმა-მამულჩამორთმეული ლევან აბაშიძის ალეპოში ყოფნა დიდი ვეზირისაგან იმერეთის მოსარბევრი ჯარის გამოსათხოვრად ახალი არც მასპინძლისათვის აღმოჩნდა. როსტომმა ეს ამბავი ზამთარშივე იცოდა და გულში ჩახვეული მღელვარებით თვალყურს შორიდან ადევნებდა. მეფემ სწორედ ამით დაიწყო. როსტომი ერთბაშად გამოცოცხლდა, ავადმყოფობაც კი მიავიწყდა და მეფის ყოველ სიტყვას გონების თვალი მიაპყრო.

სოლომონი ამჯერად გულწრფელი იყო. ერისთავს თითქმის არაფერს უმალავდა. სამაგიეროდ, როსტომი ფრთხილობდა, სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამდა, რათა ზედმეტი არაფერი ეთქვა და თავისი ფარული ზრახვები უცაბედად არ გაეცა.

ერთსა და იმავე მოვლენას მეფე და ერისთავი სხვადასხვა მხრიდან უყურებდნენ და სხვადასხვანაირად აფასებდნენ.

ურუმის მრავალრიცხოვანი ჯარით ლევან აბაშიძის იმერეთს მოსვლა რაჭის ბატონს იმედს ულვიძებდა, რომ გაზულუქებული სოლომონის შეუზღუდველ პარპაშს საზღვარი დაედებოდა, მაგრამ ომში ლევან აბაშიძის გამარჯვებაც არ უქადდა რაიმე უკეთესს, ვინაიდან სიძედ მოკიდებული თეიმურაზ ბატონიშვილი კვლავ ჩრდილში რჩებოდა და ტახტისაკენ გზა სულ სხვა ვინმეს ეხსნებოდა. მაგრამ ვის? ვინ სურდა მეფედ ღვიძლ შვილიშვილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შემომწყრალ ლევან აბაშიძეს?

სოლომონის შვება, ერისთავის აზრით, ლევანისა და თეიმურაზის შეუთანხმებლობაში იყო. მათ რომ ერთი პირი ჰქონოდათ და ლევანს იმერეთში თათრის ჯარი თეიმურაზის გასამეფებლად მოეყვანა, ნახევარ საქმეს თვით როსტომი იტვირთებდა: ბარაკონზე თავისი ფეხით მოსულ სოლომონს ბორკილს გაუყრიდა და ფაშა ჰაჯის-აჰმადს მიჰგვრიდა. მაგრამ დღეს ამის მოქმედება სწორედ უგუნურება იქნებოდა,რადგან სოლომონის ღალატით დატყვევება დანარჩენ სამეფოს მის წინააღმდეგ აამხედრებდა და გამარჯვებას ერთობ სათუოს გახდიდა.

როსტომს ეს გონივრული აზრი მაშინ უფრო განუმტკიცდა, როდესაც მეფემ კიდევ ერთი საიდუმლო — დედოფალთ-დედოფალ მარიამის ელჩად ოდიშს წარგზავნა და აგარიანებთან ომში გამოსასვლელად აფხაზ-ოდიშართა შესაძლო დაყოლიებაც გაანდო.

სოლომონს საქმე გადაწყვეტილად მიაჩნდა და სიტყვა „შესაძლოც" ამის დასადასტურებლად იხმარა.

ოტია დადიანის ხელახალი გამოსვლა იმერთა მეფის მხარეზე, ახლა უკვე გარეშე მტრის წინააღმდეგ, უკეთუ ამას მიაღწევდნენ, მეფის ჯარს გააორკეცებდა და მრისხანე ძალად აქცევდა. ყოველ საქმეში ფრთხილ და წინდახედულ როსტომს მაშინ ერთი გზაღა დარჩებოდა: ხელში მახვილი უნდა აეღო და სოლომონს მხარში ამოსდგომოდა. ეს ნაბიჯი, ამავე დროს, საბოლოო არჩევანის მოხდენაც იქნებოდა. თუ ოსმალების წინააღმდეგ ომში სოლომონის მხარეს დაიჭერდა და სულთანს მტრად მოეკიდებოდა, ახალციხესთანაც და თავის სიძე თეიმურაზ ბატონიშვილთანაც კავშირი სამუდამოდ უნდა გაეწყვიტა. განდგომას და სოლომონის ბანაკში გადასვლას არც ერთი არ აპატიებდა...

ასე უკავშირდებოდა ერთი მოვლენა მეორეს, როგორც საგორავზე შეყენებული ძელის ერთი ბოლო მეორე ბოლოს, რომელთაგან ერთის დაწევა მეორის აწევას თავისთავად მოასწავებს, და სწორედ წინასწარმეტყველი უნდა ყოფილიყავი, რომ ყოველივე

განგეჭვრიტა და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიგეღო.

დიდი ყოყმანის შემდეგ როსტომმა ხელი ჩაიქნია და დათანხმებას ბევრი არაფერი აკლდა. ის კიდევაც დათანხმდებოდა, ბატონ მეფეს სადროშოს მთელი მხედრობით გამოსვლას აღუთქვამდა, როგორმე წინასწარ რომ სცოდნოდა მარიამ დედოფლის ელჩობის შედეგი.

როსტომის გაგებით, სოლომონმა საქმე ისე მოაწყო, რომ დადიანსა და ერისთავს წინასწარი შეთანხმების საშუალება მოუსპო, ორივე სათითაოდ დაიმარტოხელა და სინდისზე შეაგდო.

— მწუხრის წირვამდე მაინც მაცალე, მეფეო, ბიჭებს მოვიხმობ და მოველაპარაკები, — ითხოვა როსტომმა.

— მოვხუცდი, ძველებურად კი აღარა ვარ, მათ დაუკითხავად ნაბიჯსაც ვეღარ ვადგამ. არ ვიცი, რამდენი კაცი მოიყრის თავს. უმარჯვო დროა, ხალხი გარე სამუშაოზეა გასული. საკენკს დაუყრი და წვრილფეხივით შენს ჭკუაზე მოაგროვებ?

„ისემც წალმა დაიბანე ცხვირ-პირი! — გაიფიქრა სოლომონმა, — გინდა, როგორმე ხელიდან გამიძვრე და სხვას ამოეფარო. ვერ მოგართვეს!“

ნაწირვებს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკების დროს ახლაც არავინ დაუსწრიათ. ხვალ დილაადრიან გაბრუნება და საწერეთლოში გადასვლა სოლომონს გადაწყვეტილი ჰქონდა და ამ საღამოს ერისთავის გადაჭრილ პასუხს ელოდა. დანამდვილებით უნდა შეეტყო, რამდენ ცხენოსანსა და ქვეითს ჰპირდებოდნენ და შეყრის დრო და ადგილიც უნდა დაეთქვა.

როსტომს ქილებდაძრობილი შავი კაბა წამოეხურა და საცვლებისამარა იჯდა საწოლზე. სოლომონს სისხლი ყელში აწვებოდა. მასპინძელი უსინდისოდ ამცირებდა, აბუჩად იგდებდა, ისე ექცეოდა, როგორც მის კარზე მოტუზულ ღარიბ ნათესავს, რომელსაც მის იქით გზა არა აქვს და იძულებულია, ყოველგვარი გაცუცურაკება წარბშეუხრელად აიტანოს. მეფეს სული შეუგუბდა. შიში მოეძალა, გული არ შემიღონდეს და აქვე მოცელილივით არ დავეცეო. როსტომი მალულად თვალს ადევნებდა, უტყუარი ალღოთი გრძნობდა ახალგაზრდა, თავმომწონე მეფის სულიერ მდგომარეობას და თავისი აუჩქარებლობით დამწვარზე მდუღარეს ასხამდა. საბოლოო პასუხის გასაცემად კიდევ ერთი დღე ითხოვა. მაშასადამე, რაჭიდან მეფის გამგზავრება, თუ მეტით არა, ერთი დღით მაინც უნდა გადადებულიყო. სოლომონს თვალებში შეურიგებელი სიძულვილი და ზიზღი ჩაუდგა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა, ენა მოიკვნიტა და დათანხმდა.

ლოგინად ჩავარდნილმა როსტომმა მოულოდნელად მოიკეთა. ფარეშებმა ტახტზე ჩასცვეს და პირველი სართულის იმ უზარმაზარ დარბაზში შეუძღვნენ, სადაც ხალხმრავალი ნადიმები იმართებოდა ხოლმე და ახლაც სანადიმო სუფრა იყო გაშლილი. მოპატიჟებული თავად-აზნაურნი და სამღვდელონი პატარ-პატარა ჯგუფებად იდგნენ, ჩურჩულით საუბრობდნენ და ბრწყინვალე ბატონების შემობრძანებას ელოდნენ. ლოგინიდან წამომდგარი მასპინძლის დანახვამ, ურომლისოდაც სასახლეში ვერც საქვეყნოდ ნაქები სიმღერა ითქმოდა და ვერც ზმა-შაირი იხეირებდა, ყველა გულწრფელად გაახარა და გაახალისა. მეფე იგვიანებდა. როსტომმა თვალი მოწკურა და დარბაზის შორეულ, ნახევრდ ბნელ კუთხეში შეკრებილ სამღვდელო პირთ გაჰხედა. არც გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები ჩანდა. მაშასადამე, ძმები ისევ განცალკევებით იყვნენ ჩაკეტილი და ბჭობდნენ!..

აქ მყოფთაგან უკვე ყველამ იცოდა, რომ მეფეს ვარციხიდან მალემსრბოლები მოუვიდნენ და რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი წიგნი აახლეს. რა ეწერა წიგნში ან ვის გამოეგზავნა, ჯერ ვერავის გაეგო,

მაგრამ საჭვო აღარ იყო, რომ მეფის თავს წისქვილის დოლაბი ტრიალებდა და ამაღამინდელ პურობასაც, შესაძლოა, უღიმღამოდ ჩაევლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი XIX

1756 წლის ზაფხულში პრუსიის ძლევამოსილმა ხელმწიფემ ფრიდრიხმა საქსონიის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს დიდძალი ჯარი მიაყარა, საზღვარზე ცეცხლითა და მახვილით გადავიდა და დედაქალაქ დრეზდენს დაემუქრა. კურფიურსტმა ავგუსტმა, საქსონიის მეფემ, ხელი გამოიღო და ფრიდრიხს სასტიკი ომი გაუმართა. შეშფოთდა ერთის მხრივ ვენისა და მეორეს მხრივ სანკტ-პეტერბურგის სამეფო კარი. საქსონიასთან მათ საუკუნო ზავი და სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული. მარია-ტერეზამ, ავსტრიის იმპერატორმა, კანცლერს ჯარების შეყრა უბრძანა. იგივე მოიმოქმედა თავისი სამოკავშირეო ვალდებულებების ერთგულმა ელისაბედ პეტრეს ასულმა. ცხადზე უცხადესი იყო, მგლის მადააღძრული ფრიდრიხი, რომელსაც ჩუმ-ჩუმად ინგლისის მეფე გიორგიც აქეზებდა და ეხმარებოდა, პატარა და სუსტი საქსონიის დაპყრობით არ დაკმაყოფილდებოდა და ომის ცეცხლს სილეზიაში, ვენის სამეფო კარის კუთვნილ მიწა-წყალზე, გადაიტანდა. აქედან კი პოლონეთამდე და რუსეთამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ამოძრავდა ვერსალიც. ლუი მეთხუტმეტემ ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და საგრაფოებს ჯარების შეკრებისა და პროვიანტის შეგროვების ფიცხელი ბრძანება დაუგზავნა.

ომის დაწყებიდან ორი კვირის თავზე გამარჯვებული ფრიდრიხი დრეზდენში შევიდა და კურფიურსტ ავგუსტის ყველა საბრძოლო დროშა მის ფერხთა ქვეშ განრთხმული აღმოჩნდა. ჰადიმებსა, ქალებსა და სიძვის დიაცებსათვის ბრწყინვალე სრა-სასახლეების აშენებას და მორთვა-მოკაზმვას გადაყოლილი ავგუსტი, ვიზედაც ხალხში ამბობდნენ, ყოველი მესამე საქსონიელი მისი ნაშიერიაო, შეიპყრეს და მხარგაკრული და დამდაბლებული ფრიდრიხს წარუდგინეს. დამარცხებული მეფე ფრიდრიხმა მოწყალედ მიიღო, ოღონდ ხელახლა აასედრება და ავსტრიის ასალაგმავად წასვლა მოსთხოვა. ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედება პრუსიას უკვე დაწყებული ჰქონდა და, თუ საქსონიასაც თავის მხარეზე გადაიყვანდა. რასაც ფრიდრიხმა მალე მიაღწია, ვენის სამეფო კარი, რომელსაც სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ოსმალეთის საზღვაო ფლოტი და ბალკანეთში დაჯგუფებული აგარიანთა ორი არმია ემუქრებოდა, ეს ამბავი სახარბიელოს არას უქადდა.

აპრილის მეორე ნახევარში აქეთ დაიძრა ალეპოში მდგომი კიდევ ერთი არმია თვით დიდი ვეზირის, რეჯებ-ფაშას სარდლობით. სამშობლოდან შორს გადახვეწილი და დახმარების მაძიებელი ლევან აბაშიძე სწორედ რეჯებ-ფაშას ბანაკში იმყოფებოდა და სოლომონის მიერ მიჩენილი მსტოვრებიც შორიდან ადევნებდნენ თვალს მის ყოველ ნაბიჯს და რეჯებ-ფაშას ჯარების გადაჯგუფებას.

აპრილის ოცდაექვსს არმიამ არზრუმს მოაღწია. აქედან დიდი ვეზირი მოულოდნელად კონსტანტინოპოლს გაიწვიეს, ხოლო ადრე ეგვიპტის დასაჩოქებლად განკუთვნილ მხედრობას სათავეში სერასკირი ბაშალა ჩაუყენეს. არმია ახალი ჯარებით შეავსეს, იარაღ-საჭურვლით მოამარაგეს და

ბოსფორის გაღმა გაგზავნის მაგიერ იქვე, არზრუმშივე დასტოვეს.

ფაშა ჰაჯი-აჰმადის კარზე მოხერხებულად მოკალათებული ნატრია საჭურისი, რომლის საიდუმლო წიგნი და ზეპირი დანაბარები ვარციხის სასახლეში ვაჭარმა ისხაკა თეთრუაშვილმა მოიტანა და შორეულ გზებზე გაგონილი საგულისხმო ამბებიც ზედ დაურთო, თავის სათაყვანებელ იმერთა მეფეს, „ქრისტიანობის ბურჯსა და ქომაგ“სოლომონს ძვირფას და ამავე დროს უაღრესად შემაშფოთებელ ცნობებს აწვდიდა.

ვილაიეთში იმისთანა მეორეთმოსვლა ტრიალებს, დედა შვილს არ აიყვანსო, იტყობინებოდა ნატრია საჭურისი, ტყეებში ყაჩაღები მომრავლდნენ, დღე ისე არ გაივლის, რომელიმე სოფელს არ დაეცნენ, არ გადასწვან, ქონება, პირუტყვი და ტყვეები არ გაიტაცონო. ციხის კედლებს გარეთ ღამ-ღამობით აქაც საშიშია გამოსვლა. პირახვეული მეკობრეები ხან აქ ჩნდებიან, ხან იქ და მშვიდობიან მოსახლეობას უღმერთოდ აწიოკებენო. ფაშა წვერს იგლეჯს, ტანზედაც ველარ გაუხდია, ვინ იცის, მეკობრეები იმდენად გათამამდნენ, რაბათზე თავდასხმაც კი გაბედონო.

მთელ ამ ამბავში ყველაზე მოულოდნელი და საშინელი ის ჩანდა, რომ მოუხელთებელი მძარცველები „ქედგაღალმელ გიაურებად“ იყვნენ მონათლული და ჩადენილი ავკაცობა მთლიანად „წყეულ აჩიკ-ბაშებს“, „დიდი ჩრდილოელი ვეშაპის“, ანუ რუსეთის „ყურმოჭრილ ყულებს“ ბრალდებოდა. კარიდან კარზე მოხეტიალე ღარიბ-ღატაკი დერვიშები სოფელ-კუთხეში მართლმადიდებელ ქრისტიანთა საწინააღმდეგო ათასნაირ ხმებს ავრცელებდნენ. მათ არც იმამები, ხოჯები და შეიხები უდებდნენ ტოლს. დილის ნამაზის წინ, მართლმორწმუნე მუსულმანებს სალოცავად მეჩეთისაკენ რომ მოუწოდებდა, მინარეთის მოაჯირზე გადმომდგარი მუეძინი ხალხს გულდათუთქული ურჩევდა, იარაღი იგულეთ, აჩიკ-ბაშ მეკობრეთა ყაჩაღურ თავდასხმას მთლად მოუმზადებელი ნუ დავხვდებითო. შეიხების ჩაგონებით ამხედრებულმა ფანატიკოსებმა კუმურდოსა და ხიზაბავრაში ქრისტიანული სამლოცველოები აიკლეს, ხატები შეურაცხყვეს, მლოცველები სოფლის მოედანზე შეყარეს და პირი ყველას ღორის ქონით ამოულესეს. ვილაიეთის უზენაესმა ყადმა აელიმმა რაბათის მეჩეთში იქადაგა და ჭეშმარიტ მაჰმადიანთ თვალი აუხილა, თუ ვინ იყვნენ მათი ნამდვილი მტრები: ურჯულო აჩიკ-ბაშები, გიაური მეფე სოლომონი და მისი ხროვა...

ამას რომ ამბობდა, იმ სულამყრალებულისა და ჯოჯოხეთის მაშხალისაგან შორს კი არ ვიდექი, შემეძლო, აგური შემომეტანა და უხსენებლის თავში მეთხლიშა, მაგრამ ასკერები იქავე ამკუწავდნენ, საქმე წახდებოდა და ამიტომ შემინდეთ, თუ სელიმი დღესაც ცოცხალიაო, იწერებოდა ნატრია საჭურისი და სოლომონს იქვე ამცნობდა, რომ საფაშოში ახლა დამატებით ჯარს აგროვებდნენ და თავშეყრის ადგილად ორი მდინარის შესართავში აღმართული ხერთვისის მიუვალი ციხე ჰქონდათ დათქმული. ნატრიას თქმით, ჯარში ბევრი ვინმე, ბეგიცა და უბრალო თიმარიც, ხალისით ეწერებოდა, ვინაიდან თავიანთი მარწმუნებლების მიერ გაბრიყვებულებს სჯეროდათ, რომ სახლ-კარს მართლაც აჩიკ-ბაშები უძარცვავდნენ და მზად იყვნენ, მტრისათვის სისხლის წილ სისხლი ეზღვევინებინათ. აქ ზოგი იმას ტატყანებს, იმერეთის მოსაოხრებლად და მეფე სოლომონის ტახტიდან ჩამოსაგდებად, — ღმერთმა ნუ მოასწროთ ის დღე! — კაკასხიდთან სირცხვილნაჭამი და შურისძიების ბოღმით ავსებული ოლთისის სანჯაყ-ბეგი რუსტამი იკაზმება, ზოგი კი სარდლად სისხლით გაუმაძღარ და ბინძურ გოლა-ფაშას ასახელებსო, განაგრძობდა ნატრია საჭურისი, ამჟამად, მადლობა

ღმერთს, გოლა-ფაშა აქ არ არის, მისი აღმატებულება ბულღარს ბრძანდება ბედნიერი სულთნის ნების აღსასრულებლად, მაგრამ თუ მამაზეციერი გაგვირისხდა და მოიპატიჟეს, ჩემზე უკეთ მანდ მოგეხსენებათ, ყველა საშურ საქმეს მიატოვებს და ზღვით ან ხმელეთით რაბათში გაჩნდებაო.

ბოლოს ნატრია საჭურისი თავის უმწეო მდგომარეობას შესჩიოდა მეფეს: ხარაზმა შეგირდად ამიყვანა, რასაც ჩემს მფარველ და კეთილისმყოფელ სომხის ტერტერას უნდა ვუმადლოდეო, ერთი წუთი მოცლა არა მაქვსო, ქალის ჩუსტებს ვკერავო, ტერტერასი არ იყოს, გასამრჯელოდ ბევრს არაფერს იმეტებს, მაგრამ მაგას ვინ ჩივის, ხარაზი თვით რაბათში ცხოვრობს, ჰარამხანის უკან, ხანდახან სასახლის შეკვეთებსაც ვიღებთ და ღამეს იქავე, სახელოსნოში ვათევო.

— მე ხომ ვბრძანე, იმ ბიჭს მიმიხედეთ, ლუკმას ნუ გაუწყვეტავთ-თქვა, — უსაყვედურა სოლომონმა ბერი წულუკიძეს, რომელიც ტახტთან დაახლოებულ სხვა დიდებულებთან ერთად სკანდის ციხეში ჰყავდა დაბარებული და რაჭიდან ვადაზე ადრე მობრუნებულ ბატონს ისინიც უკლებლივ აქ დახვდნენ.

— ორჯერ მივაშველე თეთრი, მეფეო, ორჯერავე უკან მომივიდა. თუ ჩემთვის რაიმე გემეტებათ, მანდ შემინახეთ, როცა გადმოვალ, ორიოდე გროში დამხვდება, აქ კი უმაგისოდაც იოლას გავალო, — მიუგო წულუკიძემ და თითქოს მათგან დასტურს ელისო, სარდლებს: აგიაშვილს, ლორთქიფანიძესა და წერეთელს გადაჰხედა.

მეფე დაღვრემილი იჯდა ტყაპუჭგადაფარებულ ქვის სკამლოგინზე, ნატრია საჭურისის ოკრობოკრო პწკარებით აჭრელებული, აქა-იქ დალაქავებული მოყვითალო ქაღალდის ფურცელი კვლავ ხელში ეჭირა და ისე იყო თავის ფიქრს აყოლილი, ვეღარც კი ამჩნევდა, ასაკით უფროსი დიდებულები რომ ფეხზე იდგნენ და ბრძანების მიღების გარეშე შუბლს ჩახრასაც არ აპირებდნენ. შემდეგ ისევ ბოქაულთ-უხუცესს მოჰხედა და მსტოვრის წიგნის მომტანი ვაჭარი მოიკითხა. ბერი ახლაღა მიხვდა თავის შეცდომას, რომ ისაკა თეთრუაშვილი სასახლიდან თან არ წამოიყვანა და შუბლში ხელი შემოიკრა. ისაკა ვარციხეში უცდიდა მეფეს. თავს იკლავდა, რჯულის მადლმა, ეს რა ცეცხლში ჩავვარდი, აქ არავინ მიცნოს, ყელი არ გამომჭრას და ფაშასთან არ დამაბეზღოსო. საშიშროება მართლაც დიდი იყო. „გიაურ სოლომონთან" ფარული კავშირის შეკვრას საბრალო ვაჭარს არავინ აპატიებდა და გასანთლული თოკი, ჯირკზე თავის დადება, ანდა უწყალოდ დასახიჩრება არ ასცდებოდა.

წულუკიძემ ხმა დაირბილა და მეფეს მეტი თავაზით მიმართა, თუ მიბრძანებ, კაცებს გავგზავნი და თეთრუაშვილს ახლავე აქ გაახლებო. სოლომონმა ხელი ჩაიქნია და პირი გვერდზე მიიბრუნა. ეჩვენებოდა, რომ ცამ და ქვეყანამ მის სამტროდ მოიცალა და არ უნდოდა, თავს აჰყოლოდა, ჯავრი ვინმეზე ეყარა, თუმცა ზოგ-ზოგი, მათ შორის ყრმობიდანვე თანშეზრდილი ბერი წულუკიძე, საკვირველი მიუხვედრელობის წყალობით, ამჯერად ამას იმსახურებდა.

სარდლები თვალს არ აშორებდნენ საგონებელში ჩავარდნილ ახალგაზრდა ბატონს. ჯერჯერობით არც ერთმა არ იცოდა, რით დაგვირგვინდა მისი სტუმრობა ერისთავის კარზე, მოხერხდა საერთო ენის გამონახვა, თუ როსტომმა ტახტის უღელი ისევ გადაიგდო და მეფე და ერისთავი დანასისხლად დასცილდნენ ერთმანეთს. სისწორის შეტყობის წყურვილს სხვებზე მეტად ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი შეეპყრო. წერეთლები, პაპუნაცა და ქაიხოსროც, მიუხედავად იმისა, რომ რაჭის ბატონი თითქოსდა შემოირიგეს, დარწმუნებული იყვნენ, მომავალი ერთობის საზღაურად ერისთავი

მეფეს ჩვენს დამდაბლებას და ტახტისაგან ჩამოშორებას მოსთხოვსო. სოლომონისათვის, მართლია, ადვილი არ იქნებოდა როსტომის თავხედური მოთხოვნის შესრულება, მაგრამ ბოლოს სასწორი მაინც იქით გადასძლევდა, საითაც მეტი ძალა იყო და მეფე ერისთავის დასაკმაყოფილებელ საწღაურს გაიღებდა. მოდინახეში, წერეთლების საგვარეულო ციხეში, უკვე გასწიეს თადარიგი და ქაურობა შინაური მტრის დასახვედრად მოამზადეს. სახლეული ღამეს უკვე ციხეში ათევდა. სოლომონისაგან რომ მალემსრბოლი მოვიდა და მეფის სახელით ქაიხოსრო სკანდის ციხეში მიიწვია, ოჯახმა შეიცხადა და აზიაქებული სარდალს გარს შემოეხვია, არ წახვიდე, არ დაგვღუპო, მეფე გიღალატებს, რაიმე მიზეზს მოგიდებს და როსტომ რაჭის ერისთავის საამებლდ თვალებს დაგთხრისო. გულის გულში ქაიხოსროც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ შინაურების ხვეწნა-მუდარა ყურად მაინც არ იღო, მოემზადა და რჩეულ მხედართა კარგა მოზრდილი რაზმის თანხლებით სკანდის ციხისაკენ გამოსწია.

მეფის ახლანდელი გუნება-განწყობილება კაცს შეიძლება სხვადსხვანაირად აეხსნა: ის ან იმით იყო გამოწვეული, რომ ერისთავთან მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა, ანდა იმით, რომ შეთანხმება ერთობ ძვირი დაჯდა და სასიხარულო ბევრი არაფერი რჩებოდა.

— ოდიშიდან რა ისმის? დედოფალი არაფერს იტყობინება? — კისერი ოდნავ მოიღრიჯა და კვლავ ბერი წულუკიძეს ჰკითხა მეფემ.

ბერის უმძიმდა უარყოფითი პასუხის გაცემა, სხვა გზა არა ჰქონდა და ყრუდ უპასუხა:

— ჯერ არფერია, ბატონო, ასე ადრე...

— ადრე! მერამდენე დღეა უკვე!

— თუ მშვიდობა არის, ღმერთმა მშვიდობა ქნას, ხვალ-ზეგ უნდა გამოჩნდნენ, — საუბარში ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე ჩაერია. — დედოფალი მარიამი, თქვენო უმაღლესობავ, დროს უქმად არ დაჰკარგავს. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდე.

თანამეცხედრის კეთილი სიტყვით მოხსენიება სოლომონს გულზე სალბუნივით დაედო, რადგან ამ ბოლო დროს იმდენი არავისა სჯეროდა, რამდენიც მარიამ დედოფლისა და ჭალარა სარდალს მადლიერებით აღვსილი მზერა შეავლო.

— რატომ არ დაბრძანდებით? თუ უკვე გვიან არ არის და ღმერთს გაწირული არა ვყავართ, დავსხდეთ და მოვიფიქროთ, შემოევლება თუ არა ჩვენს საქმეს, — თქვა მან, როდესაც დიდებულები მოპირდაპირე კედლის გასწვრივ დადგმულ გრძელ სკამლოგინზე ჩამოლაგდნენ. — ვერ მოგატყუებთ, მე კიდევაც რომ მოგატყუოთ და დაგაიმედოთ, თქვენ თქვენი მოსაზრება გაქვთ და იცით: ჭირი კარზე მოგვადგა, ღვთის განგებამ დიდზე დიდი განსაცდელი მოგვივლინა. ურუმის ურიცხვი ლაშქარი მოდის, ჩვენ კი მარტო ვართ, არც ხალხი გვყავს საკმაო, მტერს რომ მტრულად დავხვდეთ, არც იარაღ-საჭურველი, არც დახმარებას არავისაგან მოველით!

— ნუ გამიწყრები და გული სულ ტყუილად გაგტეხია, მეფეო, — აქამდე მოითმინა და ბოლოს კი წამოდგა ქაიხოსრო აგიაშვილი. — იმედი შენს მტერსა და დამაწყევარს გაუწყვიტოს მაღალმა ღმერთმა. არც ისე ცოტანი ვართ, მეფეო, როგორც ბრძანებ, არც იარაღ-საჭურველი გვაკლია და, თუ ღმერთმაც ხელი მოგვიმართა, არც დამხმარე და ზურგის გამმაგრებელი მოგვაკლდება. ლაშხეთიდან, ღვთის მადლით, იმდენი ტყვია-წამალი კი ჩამოვზიდეთ, რომ ერთ დიდი ომს თამამად გადაგვახდევინებს. ბოდიშს ვიხდი, მე მგონი, სიტყვა ჩამოგართვი, ბატონო მეფევ, მომიტევე, გულმა არ გამიძლო...

— თქვით! ბრძანე! — გაამხნევა სოლომონმა.

— მაშინ ნება მიბოძე, ზოგი რამ მოგახსენო. ვითომ ისე წავხდებით, პირველი დაძახებისთანავე ოთხივე სადროშოდან ოცდაათი ათასი კაცი, ქვეითი და ცხენოსანი არ გამოვიყვანოთ? ცოტა რომ გავიჭირვოთ, მეტის გამოყვანა და თოფქვეშ დაყენებაც შეიძლება. ოტია დადიანი ისე პირს არ შეირცხვენს, თხუთმეტი ათასი კაცით მაინც არ შეგვეწიოს. ესეც შენი ორმოცდახუთი ათასი! თუ ბატონიშვილ არჩილს სიმამრთან გავგზავნით და დახმარებას ვათხოვნინებთ, არა მგონია, მეფე თეიმურაზმა და კახთბატონმა ერეკლემ სიძე გააწბილონ და ხელცარიელი გამოუშვან!..

ქაიხოსრო აგიაშვილის იმედიანმა სიტყვამ სასწაულებრივი გავლენა იქონია და მეფესთან ერთად სხვებსაც იმედი და რწმენა ჩაუნერგა. საქმე მართლაც არ ჩანდა ისე სავალალო, როგორც ერთი შეხედვით გამოიყურებოდა. რაც მთავარია, ციხისთავის თათბირს არც საბუთიანობა და შინაგანი სიმტკიცე აკლდა და, ამავე დროს, არსებული მდგომარეობის ფხიზელი შეფასებით იყო ნაკარნახევი. აგიაშვილი შემდეგ მოსახლეობის შესახიზნ ციხეებს, მათ გამაგრებასა და შიგ გამოცდილი მეციხოვნე ჯარის ჩაყენებას გადასწვდა. სარდლის აზრით, ამ მხრივ ბევრი რამე უკვე გაკეთებული იყო. ახლა ციხეებში ნუზლისა და ტყვიაწამლის ხელშეუხებელი მარაგი უნდა შეექმნათ და, სადაც კი მოხერხდებოდა, სასმელი წყალი გამოეყვანათ...

— როდისთვის ვაპირებთ ლაშქრად წვევის წიგნების დაგზავნას? — იკითხა მეფემ.

ქაიხოსრო აგიაშვილი ალგზნებული იყო, სიტყვის დედააზრს მისდევდა და მეფის მოულოდნელმა შეკითხვამ უნებლიეთ შეაბორძიკა.

სოლომონმა შეკითხვა გაუმეორა.

— თუნდაც ხვალ! — უპასუხა ციხისთავმა. — ბრძანება და ლაშქრის შეყრა ერთი იქნება!

— როგორ მიგაჩნია, მტრის მოლოდინი საიდან უნდა ვიქონიოთ?

— აგარიანს სამი გზა აქვს იმერეთში მოსასვლელი, მეფევ ბატონო: კაკასხიდით, ფოთით და აჭარა-გურიის მხრიდან. სამივე ამ გზის საიმედო ჩაკეტვა და სოფლების გახიზვნა გვმართებს მტერმა კბილით გასაკვნეტი ვერაფერი უნდა იშოვნოს. ამას რაც უფრო მალე ვიზამთ, მით უკეთესი იქნება!

— მეც მაგ აზრისა გახლავართ, ბატონებო, — მეფე დანარჩენ სარდლებს მიუბრუნდა. — ზურაბ მიქელაძე მენაპირეა და თავს უნდა იდოს ფოთიდან აქეთ მომავალი გზის შეკვრა. ბატონო ბერი! — სოლომონმა ლორთქიფანიძეს მიმართა. — დღესავე აუწყეთ მიქელაძეს: გამოაწყოს ყველა თავად-აზნაური და გლეხი, საჩინოს მთის მცხოვრები, ვიდრე გურიის საზღვრამდე. ვაკიდან: ორპირი, კულაში ჯაგანი, გეზათი, მოედანი, ორივე ჯიხაიში, გუბი და ეწერი, კომლ გლეხზე — თითო კაცი, აზნაურები — ყველა, რამდენიც არიან, არავინ დარჩეს. თავად ეკალ-მუხურში გამაგრდეს. არც იქით და არც აქეთ ოსმალომ არ უნდა გაიაროს!..

— მესმის, მეფეო, — შეაგება ბერი ლორთქიფანიძემ. — პირადად მე რას მიბრძანებდი?

— ფიცის კაცებით ალყა უნდა შემოარტყა ქუთაისის ციხეს. კიკიან-ფაშას ვერც მაშველი ძალა უნდა მოუვიდეს და ვერც იქით უნდა შესძლოს ვისიმე მიშველება. ნეტარხსენებულმა შენმა პაპამ, ბექანმა, გადენა ქუთაისის ციხეში ჩამჯდარი აგარიანი ასი წლის წინათ და ამისათვის სატახტო ქალაქის მოურავობა ებოძა. შემდეგ სულწაწყმედილმა პაპუნა ჩხეიძემ დალუპა ქვეყანა და ურჯულო ისევ შეიყვანა ციხეში. ახლა შენმა ჯერმა მოაწია, ბატონო ბერი, ვაჟკაცობით და მემკვიდრეობითაც ქუთაისის მოურავს სახელო შენ გეკუთვნის!

— მადლობას მოგახსენებ, მეფეო, — ლორთქიფანიძეს ხმა აუთრთოლდა, წამოდგა და, მღელვარება რომ დაეფარა,

თავი მდაბლად დაჰხარა. — ღმერთი იყოს თავდები, ცდას არ დავაკლებ!..

— ბატონ ბიძაჩემებს, გურიელ მამიას და ქობულეთის მფლობელ მამუკა თავდგირიძეს, ზღვის სანაპირო ციხეების გამაგრებას ვაკისრებ. თუ ვინიცობაა, მტერი იქიდან შემოვიდა, ერთ ორ დღეს მაინც უნდა შეაკავონ და შეიყოლიონ, რომ ჩვენ აქ ჯარების თავმოყრა, გადაჯგუფება და დროით მიშველება შევიძლოთ. ცუცხვათის ციხის ალყას ქაიხოსრო აგიაშვილს ვანდობ, ხოლო ხრესილის ციხისას კი როსტომ რაჭის ერისთავსა და მის ვაჟებს. ხრესილი ნაქერალადან არცთუ შორია და მისასვლელებიც მოხერხებული აქვს. წერეთლებს ვთხოვ და ვუბრძანებ შორაპნის ციხეს შემოეწყონ. თხმელისციხის ალყას, ბაღდათის დაკავებას და ხანისწყლის ხეობაში კაკასხიდის გზის ჩაკეტვას თვით მე ვკისრულობ!..

მეფე გაფიცხდა, გახალისდა, გული ისე ღრმად და ძალუმად უძგერდა, თითქოს ესაა, ბედაურ ცხენს უნდა მოახტეს, ხმალი იშიშვლოს, ლაშქარს წინ წაუძღვეს და მტერს საომარი ყიჟინა დასცესო. ბატონის შინაგანმა სიმშვიდემ და მგზნებარებამ, რაც წუთ-წუთობით უფრო და უფრო მძაფრდებოდა, სარდლებიც აანთო, ააბრიალა და მოხედური მტრის უწყალო კაფვისა და ჩეხვის გუნებაზე დააყენა. მეტადრე ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ხარობდა და, რომ იტყვიან, საკუთარ ტყავში ველარ დატეულიყო. ის უკვე ხედავდა გარს შემოხვეულ ცოლსა და შვილებს, რომელთაც შინ უვნებელი მიუვიდოდა და, კვლავ ტახტის ერთ-ერთი უპირველესი დიდებული და მეფის მისანდო კაცი, შორაპნის, ძველთაძველი და უმტკიცესი ციხის ალყაში მოსაქცევად ფიცხელ სამზადისს შეუდგებოდა.

იმით, რომ ხრესილის ციხეში გამომწყვდეული ოსმალო გარნიზონის სიკვდილ-სიცოცხლე, ბატონი მეფის ნებით, როსტომ რაჭის ერისთავსა და მის ვაჟებს უნდა განეგოთ, სოლომონმა ყველაფერი თქვა და ქვეშევრდომებს ბარაკონზე მისი ყოფნის საბოლოო შედეგი ამცნო. მართლა ასე იყო საქმე, თუ ომის წინ მეფე სარდლებს ამხნევებდა? ეს კითხვა უკლებლივ ყველას უტრიალებდა ენაზე, მაგრამ ერთმანეთს უცდიდნენ და ხმამაღლა წარმოთქმა ვერავის გაებედა. რაკი მეფემ ბრძანა, მაშასადამე, საქმე ასე იყო და, როგორც ნამდვილ მხედარს შეჰფერის, ზედმეტი კითხვა-პასუხებისაგან თავი უნდა შეეკავებინათ!

## თავი XX

საფლავთ კურთხევის დღეს, ოქონობას, არჩილ ბატონიშვილსა და საერო და საეკლესიო პირთაგან შემდგარ მის ბრწყინვალე ამალას კარის ეკლესიაში პარაკლისი გადაუხადეს, გზა დაულოცეს და ჩხერის უმოკლესი გზით ლიხს გადალმა, ქართლის მეფე თეიმურაზთან და კახბატონ ერეკლესთან მოსალაპარაკებლად გაისტუმრეს.

არჩილ ბატონიშვილს გვირგვინოსანი ძმის დალუქული წიგნი მიჰქონდა, რომლის შინაარსი წინასწარ გაიცნეს, და ამდენი ნდობითა და დაფასებით ფრთებშესხმული თავს, ბოლოსდაბოლოს, ვაჟკაცად და სამშობლოს სრულუფლებიან შვილად თვლიდა. მეფემ პატივი დასდო, ცალკე მიიღო და ეთათბირა. ახალშეძენილი თანამეცხედრითურთ არჩილი დედოფალთ-დედოფალ მარიამს ახლდა ოდიშში, საიდანაც ნაალდგომევს დაბრუნდნენ და სიმამრის მამობრივ ლოცვა-კურთხევასთან ერთად სოლომონს ძალზე სასიხარულო ამბავი მოუტანეს: დადიანი უყოყმანოდ იღებდა საყვარელი სიძის კეთილმეზობლურ წინადადებას და ურჯულო ოსმალოსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომში ჯარით დახმარებას ჰპირდებოდა. გარდა ამისა, ოტია თავად კისრულობდა აფხაზეთის მთავართან მოლაპარაკებას და წინდაწინვე ვარაუდობდა, აფხაზები საძმო ომში მონაწილეობის მიღებისაგან უკან არ დაიხევენ და ღვთისაგან კურთხეულ იმერთა ბატონს, მეფე სოლომონს, როგორც ყოველთვის, ახლაც გვერდში ამოუდგებიანო.

უფრო ზუსტი ცნობები ჯერ არ ჩანდა. შეუძლებელია, ჰკვიანსა და ყოველ საქმეში აუჩქარებელ დედოფალს დავიწყებოდა, მამისა და ძმისთვის ეკითხა, თუ რამდენი ათასი მხედრისაგან შემდგარი ჯარით აპირებდნენ იმერეთში ლაშქრობას. დადიანის კარზე ეს, ეტყობა, გადაწყვეტილი არ ჰქონდათ და აწი უნდა გადაეწყვიტათ.

„კაცმა რომ თქვას, არა ღირს ნაადრევ სიხარულს მივეცეთ და თავი ქუდში დავიგულოთ, — ფიქრობდა სოლომონი და შემოჩენილ მტანჯველ ეჭვს გულში ფარულად ინახავდა, არავის უმხელდა. — თუ ჯარი იმდენი არ იქნა, რამდენიც დაგვჭირდება, ოტიას ალერსიანი შემონათვალი გინდა ყოფილა და გინდა არა!“.

დიდხანს იწვალა, სანამ გამბედაობას მოიკრებდა და უმცროს ძმას დედის ამბავს წვრილად გამოჰკითხავდა. არჩილი შეკრთა, როცა სოლომონმა დედა ახსენა. დარწმუნებული იყო, მეფეს მშობელი გულიდან ამორეცხილი ჰყავდა. დადიანის კარზე ყოფნისას ბატონიშვილს დიდი დედოფალი თამარი მხოლოდ ორჯერ ენახა და დედა-შვილის შეხვედრას ორჯერვე ოტიასაგან მეთვალყურედ მიჩენილი კაცო ჩიჩუა დასწრებოდა.

— ამას ისე ურცხვად სჩადიან, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს, სოლომონ. რას იზამ, ხომ ვერ დაითხოვ, სტუმარი ხარ და უნდა მოითმინო. დედა უკვე დაბერებულია. შეიძლება, ვეღარც კი იცნო. თმა სულ გასთეთრებია. ხელები უკანკალებს. გულისფრიალსა და ხშირ თავბრუსხვევას უჩივის.

— მე მიკითხა?

— კი... გიკითხა...

— რა უთხარი?

— ვუთხარი... როგორც ხარ!..

— დადიანისაგან ყურადღება ხომ არ აკლია?

— რაც ხვაშაქი აღარა ჰყავს, ახლოაღარავის იკარებს და ღამეებს თეთრად ათენებს...

— ხვაშაქი აღარა ჰყავს? — მეფემ კოპები შეიკრა.

— მკვდარი უნახავთ საწყალი ქვეშაგებში. სამი კვირა არც კი იქნება, რაც მიწას მიაბარეს. ბოლო დროს ძვლად და ტყავად ქცეულა. ლაპარაკში ცოტას ურევდა, სულცხონებულ ბებია ჩვენს, კოჭიბროლას, და თინათინს ახსენებდაო.

— ღმერთო, გაანათლე მისი სული! უთქმელი და ჩვენი ერთგული ქალი იყო საბრალო. არც შვილი დარჩა, არც ძირი. მისთვის ყველაფერი ჩვენ ვიყავით. ვინ მოსთვლის, რამდენი საიდუმლო, თავსაც რომ არ უმხელდა, საფლავში ჩაიყოლა!

ნაშუადღევს, არჩილ ბატონიშვილი და მისი თანამეცხედრე, მეფე ერეკლეს ასული ელენე, ჯერ თავიანთ საზანოშიაც არ იქნებოდნენ გადასული, სადაც ელენე დარჩებოდა, არჩილი კი გზას განაგრძობდა ტფილისისაკენ, რომ ვარციხეში მალემსრბოლები მოვიდნენ და მეფეს რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლვოვის წიგნი აახლეს. წიგნი ტფილისიდან იყო გამოგზავნილი. ლვოვს ბინა იქ ედო და მხოლოდ ხანდახან ადიოდა ხოლმე თელავს კახბატონ ერეკლეს მოსანახულებლად.

თავდაბლური მოკითხვისა და სალამქალამის შემდეგ საქმეთა რწმუნებული თითქმის იმასვე იტყობინებოდა, რაც ადრე ნატრია საჭურისმა მოიწერა: დასავლეთში ომი დაიწყო, პრუსია და ავსტრია ერთმანეთს დაეტაკნენ, სისხლის მდინარე დის, საქსონია უკვე გასრესილია, ახლა პოლონეთის რიგი დგება და რუსეთის არმიებმაც ქვეყნის დასავლეთ საზღვრებისაკენ წაიწიესო. მე სანკტ-პეტერბურგიდან უაღრესად

საიდუმლო ცირკულარი მომივიდაო, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამეფო კარი და საგარეო საქმეთა კოლეგია, **პირადად გრაფი პანინი,** ფრიად მოხარული იქნებიან, თუ ჩვენი მეგობარი ერთმორწმუნე ქართველი მეფეები ოსმალეთის საზღვრებს კავკასიიდან საფრთხეს შეუქმნიან და ურჯულო აგარიანთა მნიშვნელოვან ძალებს დააბანდებენო.

ეს, კაპიტან ლვოვის თქმით, ხელს შეუწყობდა ავსტრიას, მძვინვარე ფრიდრიხის წინააღმდეგ უფრო გაბედულად ემოქმედა და სამხრეთიდან ინგლისის მიერ შეგულიანებული ოსმალების შიში არ ჰქონოდა.

— მაგრამ მე რა დამიჯდება იმ „მნიშვნელოვანი ძალების დაბანდება", ამას აღარ მეკითხებიან? — ღვარძლიანად თქვა სოლომონმა და ნატიფი ქართულით შედგენილი წიგნი თამაზა მესხს მიაწოდა შესანახავად. — ერთი ბატალიონი ჯარი და ათიოდე ზარბაზანი მაინც რომ გამოეგზავნათ, თუნდაც ორად ორი ასეული, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. სულ უსაქმოდ მსხდარიყვნენ, ბატონო, კაი ესვათ და კაი ეჭამათ, ცივ ნიავს არ მივაკარებდი, ოღონდ ურჯულოს შეეტყო, რომ მარტო არა ვარ, თვალუწვდენელი რუსეთი ჩემთან არის, ჩემი ტკივილი სტკივა და სიხარულსაც ჩემსას იზიარებს. პეტერბურგში ფრიდრიხის ჯავრი სჭირთ, ავსტრიის საკეთილდღეოდ ზრუნავენ, იმას კი არავინ ფიქრობს, რომ ჩვენც პირჯვარს ვიწერთ და ორცეცხლშუა მოქცეულები წვეთ-წვეთობით ვილევით!

მაგრამ ასე იქნებოდა თუ ისე, ლვოვის საქმიანი წიგნის უპასუხოდ დატოვება მაინც არ ივარგებდა. პასუხი მეფის ბრძანებით თამაზა მესხმა შეადგინა, ხელრთვა და ბეჭედიც მან დაურთო და ტფილისში იმავე მალემსრბოლების ხელით გაგზავნა. საქმეთა რწმუნებულს მესხი მეფის სახელით პირდებოდა, რომ ლიხთიმერეთი ყველა ღონეს იხმარდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამეფო კარის, საგარეო საქმეთა კოლეგიის, პირადად გრაფი პანინის სურვილის აღსასრულებლად, ოღონდ ერთხელ კიდევ მოაგონებდა, ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, რათა იმერეთში, თუ მეტი არა, ორიოდე ასეული რუსის „რეგულის ჯარი" და ზარბაზნები გამოეგზავნათ.

მამედ-ალი კიკიანმა-ფაშამ რამდენჯერმე შემოთვალა თავისი კაცების პირით, რას მივაწეროთ ახალგაზრდა მოლაშქრეთა გამუდმებული სამხედრო ვარჯიშობები, ციხეების კედლებზე პოწიალი, ჯირითი და ნიშანში სროლა, აჩიკ-ბაშების მთელ ქვეყანაში კიდითკიდემდე რომ შეინიშნებაო. მაჰმადის წვერსა ვფიცავ, გულში რაღაც უწესოება გიდევთ და სანამ სისხლი უბრალოდ არ დაღვრილა, გიჯობთ, ყოველგვარ სიავეზე ხელი აიღოთ და თქვენს ყანასა და ვენახს მიხედოთო.

დარბაზის ერმა, მეფის ჩაგონებითა და დაჟინებით, საჭიროდ მიიჩნია ქუთაისის ციხეში ელჩები შეეგზავნა. ფაშა რიგიანად შეენჯღრია და მთელი მეციხოვნე ჯარისათვის საფიქრალი და საღავიდარაბო გაეჩინა.

ელჩებად წარგზავნილ გიორგი წულუკიძეს, საგარეო საქმეთა განმგებელ თამაზა მესხსა და მელვინეთუხუცეს სულთამ ავალიანს ფაშა, ჩვეულებისამებრ, ალერსითა და მოწიწებით შეხვდა. ციხისთავის პირმოთნეობასა და ფუსფუსს საზღვარი არ ჰქონდა. კედელში დატანებული განჯინა გახსნა და სხვადასხვა ფერის ტკბილი სასმელებით სავსე ბროლის სურები გამოიღო. სოლომონის ელჩებს თქმა აღარაფრისა დააცალა, მარტო თავად ლაპარაკობდა. აქებდა მართლაც საქებ სასმელებს, ყვებოდა, რა როგორ იყო შეზავებული და საჭაშნიკოდ ბროლისავე ჭიქებში ასხამდა.

ელჩები კვლავ გულხელდაკრეფილი იდგნენ, მდუმარედ უსმენდნენ და ვიდრე ქადაგად დავარდნილ ციხისთავს მეფის სიტყვიერ დანაბარებსა და სამახსოვრო მემორანდუმს არ გადასცემდნენ, შემოთავაზებულ სასმელებზე პი-

რის დაკარებასაც არ აპირებდნენ. ბოლოს გიორგი წულუკიძემ შესაფერი წუთი შეარჩია და კიკიანს თავშეკავებული ყვედრებით მიმართა:

— თქვენო აღმატებულებავ, ციხისთავო, ჩვენ, — გიორგიმ მხლებლებს — ციყვივით საკუთარ მხრებში ჩამძვრალ თამაზა მესხსა და კალმით ნახატ ახალგაზრდა აზნაურს, სულთამ ავალიანს გადახედა. — მოგვეპოვება უტყუარი ცნობები, რომ თქვენმა კაცებმა, იანიჩრებმა და ასკერებმა, იანიჩარ-აღას ბრძანებით, ამას წინათ ბალახვანში უკანონოდ დააკავეს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები, რომლებიც ამ დროსაც და მანამდეც იმერთა მეფის საბრძანებლოში იმყოფებოდნენ. პატივი გვაქვს მოგახსენოთ, რომ ამასთან დაკავშირებით ლიხთიმერეთის მეფე სოლომონი უკმაყოფილებას გიცხადებთ, მწუხარებას გამოთქვამს, რომ თქვენ პატივს არა სცემთ თქვენსავე ხელმოწერილ საბუთებს და მოითხოვს, მსგავსი თვითნებობა და განუკითხავობა სხვა დროს აღარ განმეორდეს!

ინით შეღებილი მეჩხერი წვერი კიკიანმა ხელით მოისრისა და კატისებური ჭრელი თვალები სივრცეს გაუშტერა. ასეთი რამ არც ენახა, არც გაეგონა. ბედნიერი სულთანის მოხელეებს მხოლოდ ეგვიპტელი მამელუკები თუ გაუბედავდნენ მაღალფარდოვან და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს! ის იყო აქ ქვეყნის განმგებელი, თუ ეს უბადრუკი მონები, რომელთა სიკვდილ-სიცოცხლე ყოველთვის ხელში ეჭირა? რა ხდებოდა? რის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო ეს უცნაური ამბავი? როგორ ბედავდნენ ამგვარ კილოზე ლაპარაკს და კიდევ მეტსაც — ბრიყვული მოთხოვნების წამოყენებას!

— დიდებულო ბატონებო,—ღმობიერად დაიწყო ციხისთავმა და გიორგის შეხედა, შემდეგ თამაზას, მერე კი მზერა ისევ წულუკიძეზე გადაიტანა. — ორი და სამი წელიწადი არ არის, რაც მე ქუთაისის ციტადელში ვმსახურობ. ჩემამდეც და ჩემს დროსაც მისი უდიდებულესობა ბედნიერი სულთნის მეციხოვნე ჯარს და აქაურ[illegible] მშვიდობითა და თანხმობით უცხოვრია. ვგონებ ასეა... მე არ მაგონდება რაიმე უბრალო შემთხვევა, რომ ჩვენს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს, ვინმეს პირობის რომელიმე მუხლი დაერღვიოს...

გიორგი წულუკიძემ თქმა აცალა, მაგრამ ბოლოს მაინც შეაწყვეტინა:

— პირობის მუხლი დღეს თქვენმა მხარემ დაარღვია და მსგავსი რამ სხვა დროსაც რომ არ განმეორდეს და ოდითგანვე დამკვიდრებული მეგობრული ურთიერთობა ერთხელ და სამუდამოდ არ გაგვიფუჭდეს, როგორც უკვე მოგახსენებდით, ჩვენი მხარე კანონიერების აღდგენას მოითხოვს!

ფაშა გაფითრდა, ტუჩები აუთრთოლდა, ცოტაც და ტაშს შემოჰკრავდა, კარს უკან დადარაჯებულ ქეშიკებს მოუხმობდა და ბრძანებდა, აჩიკ-ბაშთა ურჩი მეფის ელჩები ახლავე გაეთოკათ..

— ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, რომ სიტყვა ავსტრიის იმპერატორის მსტოვრებს შეეხება, — თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ. — ისინი დაუბრკოლებლივ დაეხეტებიან იმპერიის ფარგლებში და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან. ამის უფლებას ჩვენ ვერავის მივცემთ, აქ იმისთვის ვდგავართ!

— საქმეც ეგ გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, ციხისთავო, რომ ლიხთიმერეთი, თქვენებურად აჩიკ-ბაშების ქვეყანა, ბრწყინვალე პორტას ყმადნაფიცი სახელმწიფოა, მაგრამ იმპერიის ფარგლებში არ იმყოფება! — ამ სიტყვებით გიორგი წულუკიძემ ფაშას ხამ ადგილას დალუქული გრაგნილი გადასცა, თავი მოწიწებით დაუკრა და უკუდგა.

კიკიანი-ფაშა მთლად გაშტერდა. სოლომონის ელჩების ამპარტავნობა და მაღალფარდოვნება უკვე ზღვარს აღწევდა. კიკიანი თვალნათლივ ხედავდა, რომ აჩიკბაშებმა რაღაც ისეთი იცოდნენ, რასაც ჯერ მის ყურამდე არ მოეღწია და თავშეკავებისა და სიფრთხი-

ლის ყველა ღონეს მიმართა. სხვა დროს და სხვა ვითარება რომ ყოფილიყო, სოლომონის ხელრთვითა და ბეჭედით დამოწმებულ ქაღალდს იატაკზე დააგდებდა და მის ქვეშევრდომებზე მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად ზედ ფეხით შესდგებოდა, მაგრამ ახლა ეს არ ჰქნა, გრაგნილი ორივე ხელით დაიკავა, თავი ოდნავ დახარა და ელჩებს განუცხადა:

— ჩვენი მხარე გულდასმით გაეცნობა დიდებული მეფის წიგნს და პასუხსაც დაუყოვნებლივ გაცნობებთ!..

ესა თქვა და გატრიალდა, გიორგი წულუკიძე, თამაზა მესხი და სულთამ ავალიანი ძვირფასად მოფარდაგებულ ხაკნისმაგვარ ოთახში დასტოვა. იმერთა მეფის ელჩებს ცოტა ხნის შემდეგ იანიჩრების ათისთავმა და თოფებით შეიარაღებულმა სამმა იანიჩარმა მოაკითხა, ისინი ციხის კარიბჭემდე მიაცილა და აქ თავიანთ მხლებლებს შეახვედრა, რომლებმაც დიდებულებს ცხენები მოართვეს და მათთან ერთად ქალაქში გამოვიდნენ.

სამ დღეს კიკიან-ფაშასაგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მეოთხე დილას ვარციხეში იგივე ათისთავი და იანიჩრები მოვიდნენ, ვინც წულუკიძე, მესხი და ავალიანი ციხის კარიბჭემდე მოაცილა და მამედ-ალი კიკიანის პასუხი მოიტანეს.

ციხისთავი შეუფარავ უკმაყოფილობას გამოთქვამდა მეფის ელჩების გაუგონარი უკმეხობის გამო, რაიც მათ ციტადელში ყოფნის დროს შეიკადრეს. ამას მეტადრე ისეთი დარბაისელი კაცებისაგან არ მოველოდი, როგორც ჩვენი ძველი ნაცნობები და ყონაღები გიორგი წულუკიძე და თამაზა მესხი ბრძანდებიანო. რაც შეეხება შეპყრობილ მაწანწალებს, თქვენ რომ უცხო ხელმწიფის ქვეშევრდომებს უწოდებთ, როგორც მაშინაც განვაცხადე, ჩვენ მათ ბორკილები გავუყარეთ და უკვე დიდი ხანია, კონსტანტინოპოლის გზას გავუყენეთ იქ ტყუილისა და მართლის გასარჩევადო. ისე რომ, შენ, სოლომონ, შეგიძლია კვლავინდებურად მშვიდად მართო შენი საბატონო ქვეყანა, შენი ქვეყნის უშიშროებას არაფერი ემუქრება, ვინაიდან მას ბედნიერი სულთნის კეთილი ნება და დედამიწის ზურგზე უძლეველი მხედრობა იცავსო.

სულ ბოლოს, ვითომდა გაკვრით, ციხისთავი კიკიანი-ფაშა აზნაურ ქაჯაიას ახსენებდა და გაკვირვებას გამოთქვამდა მეფის კაცების მიერ მისი შეპყრობისა და უკანონო დასჯის გამო. კიკიანი მეფეს მოაგონებდა, რომ ქაჯაიას შეპყრობა და საქვეყნოდ სიკვდილით დასჯა იმპერიის კანონების უხეშ ხელყოფას წარმოადგენდა, ვინაიდან ტყვის ყიდვა-გაყიდვა ოსმალეთის იმპერიაში არავის ეკრძალებოდა, მათ შორის, რასაკვირველია, არც გურჯებსა და აჩიკ-ბაშებს, პირიქით, იმპერიაში მოქმედი კანონმდებლობა ყოველნაირად უწყობდა ხელს ალებ-მიცემობის ამ უძველეს სახეს და, თუ არ სურდა ვაჭრობის თავისუფლება შეეზღუდა და ქვეყანა გაეღარიბებინა, არც სოლომონს მართებდა მის წინააღმდეგ გალაშქრება.

დარბაზის ერის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ზოგი მისი წევრი, მათ შორის ტახტის „გარეშე მოხელედ“ მიჩნეული როსტომ რაჭის ერისთავი, არ ესწრებოდა, სამაგიეროდ, მამია გურიელი თავის საპატიო ადგილზე იჯდა, არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძის ადგილი კი ჯერ ისევ ცარიელი იყო, მამედ-ალი კიკიანის წიგნის წაკითხვის შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და იგი დიდხანს არავის დაურღვევია. სოლომონს არ უნდოდა, პირველი სიტყვა თვით ეთქვა და გულში ამოჭრილი ზრახვა დარბაზის ერისათვის თავზე მოეხვია. ათწილ უმჯობესი იქნებოდა, თუ ვინმე სხვა ადგებოდა და წინასწარი შეგონების გარეშე იმასვე იტყოდა, რაც მეფეს გულში ედო. ნავსი, როგორც იქნა, გატყდა, სიტყვა ზემომხრის სარდალმა ქაიხოსრო წერეთელმა მოითხოვა.

სარდალმა მორიდებულად დაიწყო, ბოდიშიც მოიხადა, შესაძლოა, ჯერ

ჩემზე ხნოვანებს სურდათ რისამე თქმაო, შემდეგ, როდესაც შემოუძახეს და გაამხნევეს, შენ შენი თქვი, სხვები თავისას იტყვიანო, ქაიხოსროს სიტყვას თანდათან გაბედულება და რიხი მოემატა.

— ქვეყნისა და რჯულის მოღალატე ლატაკი აზნაური კიკიანი თვალებში ნაცარს გვაყრის და ბრალს აქეთ გვდებს, მე ვფიქრობ, ბატონო მეფევ, სახვალიოდ და სადღეისწოროდ გადადება აღარ ეგების, უკვე დროა, ციხეს ალყა შემოვარტყათ და კიკიანს ციხის გასაღები მოვთხოვოთ!

სარდლის ამ სიტყვებს თითქმის მთელი დარბაზის ერი მოწონებით შეხვდა და კვერიც დაუკრა. პირდაპირი იერიში, სარდლის აზრით, რასაც თვით მეფე და სხვებიც იზიარებდნენ, სასარგებლოს ვერაფერს მოიტანდა: მეციხოვნეებს აუნაზღაურებელი ზარალის მოყენება შეეძლოთ, ციხე კი ისევ მათ ხელში დარჩებოდა.

— მე არა მგონია, ამჯერად ჩვენ ქუთაისის ციხის აღება და სრული დაპატრონება შევძლოთ, — შენიშნა სოლომონმა. — ამიტომ უბრალო მსხვერპლსაც უნდა მოვერიდოთ და თუკი რამ ძალა გაგვაჩნია, სახვალიოდ შემოვინახოთ!

დარბაზის ზოგმა წევრმა გაკვირვება გამოთქვა: თუ აგრეა, თავს რაღასთვის ვიწუხებთ, ან ხარჯს რაღასთვის ვეწევით და ან ოჯახებს რისთვისღა ვწყდებითო.

— ალყაშემორტყმული, შიმშილისა და წყურვილისაგან ილაჯგაწყვეტილი ქუთაისის ციხე საფაშოდან ჩვენს ასაკლებად შემოზვავებულ ოსმალოს იმ სამსახურს ველარ გაუწევს, რასაც მანამდე გაუწევდა, — ბრძანა ამის პასუხად მეფემ. — მტრის მეციხოვნე ჯარი ისე უნდა მივასუსტოთ, რომ მამედ-ალი კიკიანმა, თუ დანებების ნიშნად თეთრი ბაირაღი არ გამოჰკიდა, შუაკაცები მაინც უნდა გამოგზავნოს და შინ მშვიდობით გაშვება ითხოვოს. ქუთაისის ციხის დაცემა ყველა სხვა ციხის ბედს გადაწყვეტს. ეს ყველაფერი იმაზე ჰკიდია, ბატონებო, როგორ მოვახერხებთ ციხეში შემავალი ყველა ხვრელის ამოგმანვას. ახლავე ვაწესებ წამებით სიკვდილს იმათთვის, ვისაც სული წასძლევს და, როგორც წინათ ხდებოდა ხოლმე, თეთრის შოვნის იმედით მეციხოვნეებს ნუზლს მიაწვდის და ხელს გაუმართავს!

— თქვენო უმაღლესობავ, მეფევ ბატონო, — წუთიერი სიჩუმე, რომელიც სოლომონის მიერ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ჩამოვარდა, დედოფალთ-დედოფალ მარიამთან და ბატონიშვილ არჩილთან ერთად ოდიშიდან მშვიდობით მობრუნებულმა უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა დაარღვია. — მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი და ღვთისადმი აღვლენილი მხურვალე ლოცვა-კურთხევა წინ გაუძღვება შენს მხედრობას ურჯულო აგარიანთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. დგება სანატრელი ჟამი ურჩხულის კლანჭებიდან საქრისტიანოს გამოხსნისა. კურთხეულ იყოს შენი მარჯვენა, მეფეო, კურთხეულ იყოს ქრისტეს მოსახელე შენი ლაშქარი! შენ ის უნდა ქმნა, რაც ვერა ქმნეს პაპამ და მამამ შენმან. გისმინოს მამა-ზეციერმა, ძალი მოგცეს და გამარჯვება. ურჯულო მტრის გულში, ვითარცა ლატაკთა და უპოვართა ქომაგ წმინდა გიორგის, მახვილი გაგეტარებინოს!

სოლომონი მიხვდა, რომ კათალიკოსს კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი, რაღაც საჭოჭმანოს თქმა განეზრახა და ასე ხელგაშლილ ლოცვა-კურთხევასაც ამას უმძლავრებდა. ვარაუდი უმალ დადასტურდა, როგორც კი ბესარიონმა „სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირმშო“, ოსმალთაგან არა ერთჯერ დანგრეული, აკლებული და შეგინებული ბაგრატის საკათედრო ტაძარი ახსენა.

ყველა სხვა მავნე ჩვეულებასთან ერთად ქუთაისის ციხეში უხსოვარ დროს ჩამდგარ ოსმალო მეციხოვნეებს კიდევ ერთი წყეული ჩვეულებაც სჭირდათ. როგორც კი საძულველი აჩიკ-ბაშები

ციხეს გარს შემოერტყმოდნენ, ანდა ციხის კედლების შიგნით მყოფთ გარედან რაიმე საფრთხეს შეუქმნიდნენ, იმის მაგიერ, ყუმბარებით მოალყეთა ხანდაკები დაენგრიათ, ოსმალო თოფჩები თავიანთ ზარბაზნებს ბაგრატის ტაძრისაკენ შეაბრუნებდნენ და ტაძარს ანგრევდნენ. ეს ნაცადი და ყველაზე ადვილი საშუალება იყო გარსშემორტყმული მტრის მოსაგერიებლად. თავზარდაცემული ქრისტიანები ერთხანს ყოყმანობდნენ, მოეხსნათ ალყა თუ არა და, როდესაც დაინახავდნენ, თათარი არ ხუმრობს და, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი წმიდათა-წმიდა სალოცავისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო, ალყას მოხსნიდნენ და, პირში ჩალაგამოვლებულნი და გაწბილებული უკან დაიხევდნენ.

სმენად გადაქცეულ მეფესა და დარბაზის ერს კათალიკოსმა კრძალვით შეახსენა თურქ მეციხოვნეთა ეს საძაგელი ჩვეულება და ასევე კრძალვით იკითხა, როგორ მოვიქცეთ, თავი რა წყალს მივცეთ, თუ ახლაც იგივე განმეორდა, რაც უკანასკნელი ასიოდე წლის განმავლობაში არა ერთჯერ განმეორებულაო.

მეფისაგან ნება ითხოვა და ამ მართლაც საჭოჭმანო შეკითხვას ბერი ლორთქიფანიძემ უპასუხა:

— მრავალი ათეული წლის მანძილზე, როგორც თავადაც ბრძანებთ, თქვენო უწმიდესობავ, ურჯულო მტერი მარჯვედ სარგებლობდა ჩვენი სიყრუით. მკრეხელობად და ღვთის გმობად ნუ ჩამომართმევთ და, განა ასწილ არ ჯობდა, მტერს სანახევროდ უკვე დანგრეული ტაძარი ბოლომდე დაენგრია, ოღონდ კი ციხე ხელთ გვეგდო და სამეფოს დედაქალაქში, ქვეყნის გულში, მტრის ბუდე მოგვეშალა? ტაძარს აქამდე სამჯერ აღვადგენდით, ბატონო, ან ახალს ავაშენებდით, მაღალმა ღმერთმა მაინც ასე დაგვიწესა, ციხე კი ჩვენი იქნებოდა და ყოველ ახალ თაობას აღარ დასჭირდებოდა მტრისაგან მის გამოხსნაზე ფიქრი.

— ბატონი ბერი მართალს ბრძანებს, — დაეთანხმა ლორთქიფანიძეს ქაიხოსრო აგიაშვილი, რომელსაც სხვა ერისკაცებმაც მხარი აუბეს. — აწი კუკუმალობის თამაშს თავი უნდა დავანებოთ და მტერს მტრულად მოვეკიდოთ. ამას თვით ღმერთიც მოგვიწონებს და კაციც!

— თქვენ რაღას გვიბრძანებდით, ბატონო გიორგი? — იმით ნასიამოვნები მეფე, რომ გაჭინჭყლებულ კათალიკოსს სარდლები მაგრად დახვდნენ, ახლა სახელმწიფო ბეჭდის მცველ წულუკიძეს მიუბრუნდა.

— ბატონი ბერი და ბატონი ქაიხოსრო, ჩემი ღრმა რწმენით, სწორს ბრძანებენ, მეფეო. თუ ციხის აღება გადაგვიწყვეტია, მტრის ხერხებიც უნდა გავითვალისწინოთ და ტყვიას ტყვიითვე ვუპასუხოთ!

— ღმერთს ნუ გავარისხებთ, დარბაისელნო, ბატონო მეფევ, ისე ნუ ვიზამთ, ერთი საქმე გავაკეთოთ, მეორე კი სამარადჟამოდ გავაფუჭოთ! — კათალიკოსმა მაინც არ დასთმო. ეგონა, მის მიერვე ხელდასხმული ეკლესიის მამები: ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები და ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი წამოეშველებოდნენ და სიტყვას დააწევდნენ, მაგრამ, მისდა გასაოცრად, თითქოს პირი წინასწარ შეეკრავთო, ყველა გაჩუმებული იყო და ერის უპირველესი სალოცავის გადასარჩენად კრინტსაც არ სძრავდა.

სოლომონს ალმური მოსდებოდა სახეზე. ეძალებოდა აზრი, რომ კათალიკოსი სატახტო ქალაქში ფეხმოკიდებული მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას არ იწონებდა, რაც ისევ დიდ დედოფალ თამართან შეხვედრისათვის უნდა მიგეწერა, მაგრამ ძვალ-რბილში გამჯდარი სიმხდალის თუ რაღაც სხვა მოსაზრების გამო ამის აშკარად გამჟღავნებას ვერ ბედავდა და უკვე აწყობილ საქმეს ძირს სულ სხვა მხრიდან უთხრიდა.

— მაშ, რას გვირჩევთ, თქვენო უწმიდესობავ, რა გზას დავადგეთ? — შეკავებული რისხვით მიმართა მან — მტრის მეციხოვნეთ ხელი არ ვახ-

ლოთ და ყურმოჭრილი ყმის უღელი ქედზე ჩვენი დღე და მოსწრება გვედგას? აქ არ გახლავთ მესამე გზა! ვინც ერთის მომხრეა, ის მეორის წინააღმდეგი უნდა იყოს! ნურას უკაცრავად და, თუ შეიძლებოდეს, გარკვეულად გვითხარით, თქვენ რომელ გზას ადგიხართ?

მეფის ეს კითხვა, რომელმაც თითქოსდა დანაშაულის ადგილას შეპყრობილი კათალიკოსი წუთით დაამუნჯა, მეორე და მესამე დღეს პირიდან პირზე გადადიოდა. ნამდვილს შეთხზულიც დაუმატეს და მეფეცა და კათალიკოსიც იმ სახით წარმოადგინეს, როგორც უბრალო ხალხის სულსა და გულს გაეხარდებოდა.

— მე მსურდა მხოლოდ თქვენთვის სიფხიზლე ჩამენერგა, მეფეო, — ჰკვიანმა ბესარიონმა ალღო აიღო, რომ საქმე მის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა და მსწრაფლ უკან დაიხია. — ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახლავართ და ნურავის გაუკვირდება, თუ ჩვენი ეკლესია-მონასტრების ბედის მიმართ როგორც ზოგიერთი მალემრწმენი ერისკაცი, გულგრილი ვერ ვიქნები.

სოლომონმა არ დააყოვნა:

— საჭეს თქვენც და მეც ერი გვაძლევს, თქვენო უწმინდესობავ. ვისაც მოცემა ძალუძს, იმას ჩამორთმევაც ხელეწიფება!

— ღვთივ მირონცხებული მეფე მაჯას არ უნდა ბრძანებდე! — უჩვეულოდ აღელვებული კათალიკოსი, ღმერთო დიდებულო, ეს რა მესმის, — შავი კაბის შარიშურით წამოდგა და გველისთავიანი სამღვდელმთავრო კვერთხი, მჯდომარესაც რომ ხელთ ეპყრა, იატაკს დაჰკრა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო: უწმიდესი კათალიკოსი შეტევაზე გადმოდიოდა და ქვეყნის უზენაეს ბატონს და წინამძღოლს, მეფეს, თითქოს ორთაბრძოლაში იწვევდა.

სოლომონმა თვალისდახამხამებაში შეაფასა მდგომარეობა. თუ გულს აჰყვებოდა და უჩვეულოდ გაფიცხებულ კათალიკოს ბესარიონს, წონასწორობიდან გამოყვანილი აქამდე რომ არავის ენახა, საკადრისს მიაგებდა, როგორც მეფეს, ადამიანსა და ღვთის მორწმუნეა, შეიძლება ბევრი რამ დაეკარგა. ამიტომ სახეზე გვირგვინოსნისათვის ესოდენ შესაფერი სიმშვიდის გაუმჭვირვალე ნიღაბი აიფარა და აცალა, კიდევ რას იზამდა მოთმინებადაკარგული მღვდელმთავარი, რა სისულელეს ჩაიდენდა, როგორ მოჭრიდა იმ ტოტს, რომელზეც იჯდა...

ამასობაში ბესარიონიც გამოერკვა, თვალებიდან ლიბრი გადაეცალა, მიხვდა, რომ შორს შესტოპა. სოლომონთან პირისპირ შეტაკება, რაც ადრე თუ გვიან მაინც არ ასცდებოდა, ჯერ ნაადრევი იყო და სულსწრაფობას მის იმედად მყოფი ძმა როსტომიც არ მოუწონებდა...

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# რკალიდან — „მარად ძველი და მარად ახალი“

## დრო თქვენი არის...

მე თუმცა სამოცს გადავაბიჯე,
მაინც თქვენთან ვარ, ახალგაზრდებო!
უთქვენოდ დღეც ნუ გამთენებია,
ქართული სიტყვის დამღით დადაღულს·
თქვენ ორნახადი სული გალაღებთ
და მხურვალებაც თქვენი ხვედრია;
ხართ სიყვარულით შეჯავშნულები,
როგორც ბურჯები ბახტრიონისა...
მე მიყვარს თქვენი თამამი სიტყვა,
მე მიყვარს თქვენი მდიდარი ლექსი;

ო, ალბათ მისთვის არ მიცივდება
სტრიქონი მტრედის ნისკარტივითა...
დრო თქვენი არის, სამშობლოც თქვენი,
თქვენია, ჩვენი დიდი წარსულიც;
დაგიმტევანდეთ ყოველი ლექსი,
მეც დავმტკბარიყავ მისი შარბათით...
ქოთანში დაზრდილ ყვავილებივით
განა ფესვები დაგმოკლებიათ,
რომ ჩიტბატონა ჩანგის პატრონებს
წალკოტად დარჩეთ მიწა ქართული!..

## პავილიონთა ქალაქში

შარშან, შორეულ ტაშირებზე ყამირებს ტეხდა,
ქარაშოტებთან უხდებოდა შებმა და შეხლა.
უდაბნოშიაც ივაჟკაცა ქართველმა კაცმა,
მისი სახელი საქსაულის სამშობლოს გასცდა...
ახლა მოსკოვში ჩამოსულა ჯანდალოცვილი,
მკაცრ ბუნებაზე უჯიათი და გამოცდილი...
წამით შესავლის
ტრიუმფალურ
თაღთან შედგება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავს, ქართლიდან აქ მოსულა მისი მშვენებაც!
ორთავეს თითო ხელეური უჭირავთ ხელში, —
და დამწიფებულ თავთავების ჩურჩული ესმით.
თავად ერთმანეთს ერთი სიტყვა ვერც კი აღირსეს,
მოულოდნელი სიხარულით ისე აღივსნენ.
მოედნისაკენ შეტრიალდნენ დაუყონებლივ, —
კოლონადების ფართო კიბეს დაჰყვნენ ტოლები...
ძირს მზის ოდენა
ძნა დაედგათ
ბარაქის ნიშნად,
სხივები მისი — მისწვდომოდა ქალაქის ჭიშკარს.
ირგვლივ თექვსმეტი ქალიშვილი ფერხულს უვლიდა, —
და თექვსმეტივე ქცეულიყო ერთ დიდ სურვილად...
მებაღეს ორგან შადრევანი აეშვა ცაში,
ფერად ფილაქანს აცოცხლებდა შხეფების ტაში.
მოედნის მიღმა ჩრდილოეთის ნაძვები ჩანდნენ,
ესალმებოდნენ — სამხრეთიდან მომავალ ჭადრებს.
თითქოს ბუნებაც
ერთდება ო
სხვადასხვა მხრისა! —
თქვეს ქართველებმა, და ღიღინით განაგრძეს წინსვლა.
რამდენი რამ, ინახულეს, ვინ არის მთქმელი,
მოსკოვის ცისქვეშ გაშლილიყო ალაზნის ველიც,
ფინურ ფიჭვისგან გამოთლილი ქანდაკიც ნახეს,
საკრავს უკრავდა, უღიმოდა კეთილი სახე.
მშობლიურ მიწის ღრმა წიაღში ედგა ფესვები,
იყო გლეხკაცი, მომღერალი, სიბრძნის მთესველი.
რაც მთელ ბუნებას
ჰქონდა სადმე
მადლი და სიტკბო,
სულ იმ კაცისთვის დაელოცა, დაეთმო თითქოს...
ხეებს შრიალი შეეწყვიტათ, ჩიტებს — გალობა,
მარტო მომღერალს შერჩენოდა დაუმცხრალობა.
ისმოდა ქება შრომისა და სიყვარულისა,
სიმთა ჟღერაში ირხეოდა გმირთა გულისხმა...
უსმენდნენ... სმენად ქცეულიყო ორი ქართველიც, —
და მათ დუმილში ღაღადებდა მათი სათქმელი...

### ქუჩების წილხვედრი

შორეულ წარსულში შობილო ქუჩებო,
ბევრი რამ გინახავთ ამ ცისქვეშ უჩვენოდ.
ახალი თბილისის ხილვაც რომ გწყურიათ,
კეთილი სურვილით მოსულხართ სრულიად...
სულ ასე იდექით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ თქვენი მშვენება
გამკობდათ, გამკობთ და შეგამკობთ შემდეგაც.
სულ ასე იდექით, სულ ასე იყავით,
თქვენს ჭადრებს აროდეს ენახოთ ჭილყვავი.
რიყის ქვებისაგან დაგებულ ფილაქნებს
ნუ დაემდურებით,
ასფალტს ნუ ინატრებთ...
თქვენ თქვენი სიბერით გული არ გაგიტყდეთ,
თავზე ნუ გადიმტვრევთ ხავსიან კრამიტებს.
ჩვენ თქვენი ჭიშკრების ჟანგიან ბოქლომებს
წამითაც არ გავცვლით ბაჯაღლო ოქროზე...
შორეულ წარსულში
შობილო ქუჩებო,
ბევრი რამ გინახავთ ამ ცისქვეშ უჩვენოდ.
დღეიდან სულ ერთად, სულ ერთად ვიქნებით,
ჩვენ ჩვენი ფიქრებით, თქვენ თქვენი ფიქრებით.
ერთადვე დავტკბებით ახალი თბილისით,
ივნისი იქნება,
მარტი თუ ივლისი...
ერთადვე ვიხილავთ ყოველგვარ სახილველს, —
და ალბათ აროდეს ვისურვებთ სხვა წილხვედრს...
იცოცხლეთ, იცოცხლეთ! თქვენ თქვენი მშვენება
გამკობდათ, გამკობთ და შეგამკობთ შემდეგაც...

## გულს ნუ გაიტეხ აგრე უბრალოდ...

ალაზნის წყალო ტიალო,
თავით ბოლომდე მტრიანო...

ხალხური

შენზე ამბობენ მოდუდუნე მდინარეაო,
ამბობენ, თითქოს მე კი არ მეთქვას,
მაგრამ საქმე ხომ
მარტოოდენ თქმაში არ არი,
გულს ნუ გაიტეხ აგრე უბრალოდ!...
აბა, პანკისის ხეობაში შეგასწრონ თვალი
შენი ტალღების მაყრიონითა,
თუ არ აღმოხდეთ
უცაბედად მნახველებს შენსას:
ეს რა თერგივით მოგრიალებსო!...
ჩვენში ჩიტების საბანაო ნაკადულებიც
თერგს ედრებიან ყოველ გაზაფხულს,
ალაზანი რომ
ზაფხულშიაც თერგივით ქუხდეს,
ეს არც სიცრუე, არც ტრაბახია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ კახეთის უბერებელ, მზიან ველებზე
გაბრუებული მიირწევი და მიდუდუნებ,
მშვენიერება
უფლებათა უფალია და
შენც დღენიადაგ მის უფლებას ემორჩილები...

## უთხოვარი ანუ რკინის ხე

პანკისის ხეობაში ხე იზრდებაო,
,,რკინის ხე“ შეარქვა, შეიძლებაო.
ისე ,,უთხოვარი“ რქმევია სახელად,
ასე მონათლაო იგი კახელმა...
რკინის ხეა თუ უთხოვარი,
მართლაც რომ რკინაა უტყუარი;
აკი სასაფლაოს ჯვრებსა და დოგებს
სულ მისგან
ჩარხავდნენ, სჭიროდათ ოდეს...
დოგებს არ სტოვებდნენ უეპიტაფიოდ,
ზოგიერთს კიდევაც ატყვია მკაფიოდ.
მაგრამ დავიწყების ხასხასა ხავსი კი
ტვიფრებში უტიფრობს
  სიამით აღვსილი.
იცის, რომ
იმ ორში შეუტევს რომელსაც,
მარადისობაში აჯობებს ოდესღაც...
პანკისის ხეობაში ხე იზრდებაო,
,,რკინის ხე“ შეარქვა, შეიძლებაო.
ისე „უთხოვარი“ რქმევია სახელად,
ასე მონათლაო იგი კახელმა...
და მართლაც
რა ჰქონდა, რა ჰქონდა სათხოვარი,
იდგა რაინდულად ბექთარნათქორალი.
ის ახლაც რაინდულად დგას გაუღუნარი,
მტერს მტრულად
დაუხვდეს, — კვლავ შესწევს უნარი..
რტოზე რომ
კვირტები ეშლება ფიქრებად,
ვინ იცის, იმაზე ოცნებობს იქნება,
რომ აღარ იჯავროს ჯვრებზე და დოგებზე
და გემის ანძებად დაიძრას ოდესმე..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

## ლენინის მოქანდაკენი

თითქო საჭრეთელს პირს უსინჯავს უმძლავრეს ხელით;
მიქელანჯელო, ფიდიასი, აგერ როდენი,
ღმერთთა მაგიერ სასწაულის კართა გამხსნელი, —
შექმნან ლენინი — ადამიანის პირველი მოდელი.
რატომ პირველი?
ჩაგრულის ბედი
უმტკივნეულეს თრთოლვად აქცია,
ის ჩააწვინა გულის აკვანში,
გაზარდა, მძლავრი ხელით არწია.
და ამის მერე ნიაბიჯებს ამაყ კილოთი, —
მაღალ გრანიტით, ბრინჯაოთი, მარმარილოთი..

## შეგონება

არ ვიკადრებდი სტრიქონთან ჭიდილს,
არ მწამდეს ეს ცა სულით და გულით,
არ მქონდეს ეს დრო სულში ჩაღვრილი,
სულის ფსკერამდე ღრმად ჩაძირული.

რა მოხდა მერე, თუ დღესაც არი
შეცოდებანი დიდი თუ მცირე.
ვინც არის ქვეყნად ნათელს ამცდარი,
მის განკაცებას თავი შესწირე.

ბევრი რამ არის, რაც ჯერ გვაღელვებს,
ბევრის არა ვართ გულში დამტევი.
უნახავთ თოშში მაგარ მთა-მსვლელებს
კავკასიონზეც ხოხავს მატლები.

არ ვისურვებდი სტრიქონთან ჭიდილს,
არ მწამდეს ეს ცა სულით და გულით,
არ მქონდეს ეს დრო სულში ჩაღვრილი,
სულის ფსკერამდე ღრმად ჩაძირული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწამს ჩემი ლანდი ფერწმინდად დადის,
წინ ნეზიდება ბუნება ბიძგით,
არ მიწერია სახელისათვის,
არ მიწერია ლუკმა-პურისთვის.

## გახედვა კასპიისაკენ

თვალი გამექცა კასპიის ზღვისკენ,
ღამეში დგანან შეჯაჭვულები —
განწირულები და მაინც მტკიცედ
ძმობის ფიც-ვერცხლით შეჯავშნულები:
ის ფილატოვი,
ის ჯაფარიძე,
აზიზბეკოვი,
შაუმიანი,
ვერვინ დავტოვებთ მათ ხსოვნის გარე,
თავისუფლების პირველ არწივებს,
შეხედეთ ერთი, სიკვდილიც მწარე
ტკბილ ლუკმასავით გაინაწილეს.

* * *

ფერთა ცეცხლი ფერფლავს შავეთს,
ათამაშებს ცას ხვითო,
სადმე ხეზე მიმაჯაჭვეთ,
მაგრად, არ ავიწყვიტო.
იებს ვპარავ მთათა ფერდებს,
ანთებულს შორიდანვე,
სიცხადეში ვერ გავბედე,
სიზმარში მოგიტანე.

## მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ, ძლივს შევიცანი
ესე ქვეყანა ქუდბედნიერი,
თვალებს აღარ მჭრის ფერით ცთცარი,
თვალებს მისწორებს
ბედი ძლიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული თანხმობა; პირისპირ იდგეს,
ჩემი კისერი, შენი ფარ-ხმალი,
ჩემს წინააღმდეგ სიკვდილიც კიდევ
რამდენიც გინდა გზად მოიმხარი.

დღეს აღარ ვშიშობ, ჩამოვიხსენი
აფარებული სათვალე ვარდის,
ქუჩებს შრიალით იკლებენ ხენი,
როს ჩემი ლანდი ამაყად დადის.

ნოდარ ჯალაღონია

# სიყვარულის ლექსები

მეგრული სატრფიალო ლექსების მოტივებზე

### შემოვევლე სიყვარულს

ჩემი გულიც, ჩემი ლექსიც
შემოევლოს იმის სახელს,
სიყვარულზე უკეთესი
ქვეყნად ვერაფერი ვნახე.

დარდი თითქოს არც გქონია,
ეს ამბავი რად ღირს მარტო,
თავი მეფე რომ გგონია
გახვრეტილი გროშის პატრონს.

რისი დარი, ან ავდარი,
რისი ფული, რისი ჭკუა,
ხარ ბრძენი და ხარ მდიდარიც,
სიყვარული შენთან თუა.

უკვდავების წყაროს გასმევს,
ოცნებების პურით გარჩენს.
ვენაცვალე
დღეში
ასჯერ
სიყვარულის ღმერთს და გამჩენს.
არაფერი მინდა,
ოღონდ
სიყვარულით ვიყო მთვრალი,
სხვა რა მაქვს და იმის მომგონს,
შემოევლოს ჩემი თავი.

### ბიჭის ნათქვამი

ხმალამართული მტერი ფიცხობდეს,
მე ვიდგე ხელ-ფეხ დამძიმებული,
ამისთვის ნურვინ ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ეშმაკი ათას ხაფანგს მიწყობდეს,
ქვეყანა იყოს გაკვირვებული,
თქვენ ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

თუნდ ადიდებულ ენგურს მივქონდე,
მტერი მიმზერდეს გაცინებული,
ო, ამისთვისაც ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ტყეში ვიყო და გზა არ ვიცოდე,
ვიყო ნადირთა ლუკმად ქცეული,
თქვენი ჭირიმე, ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ალმოდებული ცეცხლში ვიწვოდე,
მქონდეს იმედი დაძვირებული,
ნურც ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

სიკვდილს ველოდე, საფლავს ვიწყობდე,
მე ყველასაგან დავიწყებული.
თქვენ ამის გამოც ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული!

მაგრამ, ვაი თუ, მოხდეს იმგვარად
მე დღე და ღამე მასზე ვფიქრობდე,
მან კი უღმერთომ, არ გამიკაროს,
მე ვეძახდე და ის გამირბოდეს.

იმან, იმ გოგომ, მართლაც უხანომ
ცოცხალს გულს მიწა თუ დამაყარა,
თუკი გამომჭრა ყელი უდანოდ,
მე გამწირა და სხვა შეიყვარა.

ძირს კაცმა,
მაღლა ღმერთმა იცოდეს
ცოდვა მექნება გადიდებული.
მაშინ, ო, მაშინ, კი შემიცოდეთ
მაშინ ვიქნები გაჭირვებული.

* * *

ხარ გაუვლელი ბილიკი,
მზე ალიონზე ჩასული...
ფიქრი სიკვდილთან ქილიკობს
და ამღვრეული ჩანს სული.

უშენოდ მე ვარ ტკივილი
და მწუხარებით მდიდარი,
გული წაიღო ტივივით
ჩემი ცრემლების მდინარემ.

მიმწუხრის გზაზე მივდივარ,
სევდა ვერ გადავითოვლე,
თუ დამივიწყა სიკვდილმა
თავს შევახსენებ თვითონვე.

## მწარეა

ხომ მწარეა,
მთელი ღამე
თვალმა ძილი თუ ვერ ჰპოვა?!
მაგრამ არის უფრო მწარე,
რომ ელი და აღარ მოვა.
და ამაზე უფრო მწარე
მას არა
და
შენ რომ გიყვარს;
სულ მთლად თავის მოსაკლავი
შენი სატრფო თუ სხვას მიჰყავს.

## სიყვარულის ძალა

ძირს ბალახი, მაღლა ნისლი,
მზე, მთვარე და შვილნი მისნი,
ყველაფერი არის მისი,
ყველაფერი არის მისით.

სიყვარული როცა ტირის,
სიყვარული როცა ყვირის,
არ იშლება ვარდის პირი,
აღარ გალობს ტყეში სირი.

ცის ფერი თუ მიწის ფერი,
ხმა ბულბულის, ხმა ჩანჩქერის,
ყველაფერი არის მტვერი,
სიყვარულზე თუ არ მღერის,
სიყვარულით თუ არ მღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გულს რომ შენზე დარდი მივსებს
და იმედი არ მაქვს ხვალის;
შენ რას გერჩი, რაც მჭირს ისევ
არის ჩემი თავის ბრალი.

შენი უღლით დაღლილ კისერს,
რომ მჭრი გულგრილობის ხმალით.
შენ რას გერჩი, რაც მჭირს ისევ
არის ჩემი თავის ბრალი.

შენგან თავი რომ ვერ ვიხსენ
რომ ვარ ასე შესაბრალი.
შენ რას გერჩი, ალბათ ისევ
არის სიყვარულის ბრალი.

## ბიჭო, თუ მოვინდომე!

ბიჭო, თუკი ვისურვე, ბიჭო, თუ მოვინდომე,
მე ვიქნები ირემი, შენ გაშლილი მინდორი.

დღე არ მოგასვენებ და ღამე არ დაგაძინებ,
მინდა აგატირებ და მინდა კიდეც გაცინებ,

ზედ ძაღლივით დაგაბამ ჩემი სახლის კიბესთან,
კიდეც აგაყეფებ და გაწკმუტუნებ კიდეცა.

თუ ვისურვე, იცოდე, შენი საქმე გათავდა,
მინდა — ყინვით გაგშოლტავ, მინდა—სიცხით გაგთანგავ.

მინდა ვარდი იქნები, მინდა — ხმელი ხალინჯი,
ისე დაგწვავ, დაგადნობ, როგორც სანთელს ხატის წინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

# სვანეთის ქრონიკები

## გვიხმობს სვანეთი

სვანეთის ზეცა ჩვენ გველოდება,
ჩვენ გველოდება სვანეთის მთები,
ფალიანების ციხის ლოდებთან
ჩანგის,
ჭუნირის
ჩაღვრილი ხმები.

ვუმღერებთ კლდიდან აფრენილ მართვეს,
(ვინ დაიოკოს ლექსის წყურვილი),
და ჯიხვის რქაზე ანთებულ სანთელს,
აბრიალებულს სიყვარულივით...

გვიცდის სვანეთი,
რა მშვიდად ზიხარ,
გვიხმობს არწივის ძლიერი ფრთები,
შხარას მწვერვალი —
მზიანი ჯიდა —
ენგურს რომ კვებავს თოვლიან მხრებით.

## ცელთა ელვაში

ცელს ცელი უხმობს,
მთიბავი — მთიბავს,
ნამხრეულები ჰგვანან სტრიქონებს,
მთამ ყვავილები გააბა შიბად
და მზეს ქათქათა მკერდზე იგორებს.

ლორთქო ბალახში ბრწყინავს ფოლადი,
ნამად აყრია სხივთა მძივები,
ქედიდან ქედებს —
შორით შორამდის —
გაჰკიდებია ხმა არწივების.

სვანნი უტევენ ლასთილის კალთებს,
სიყვითლე უტევს ბალახს მოცელილს,
ლექსო, ჩვენც ვცელოთ,
მჭრელი ფხა გვმართებს,
ამ ლამაზ მიწის ჩვენც ვართ მლოცველი.

მუხლებთან წვება შუპყა და შამბი,
დააქალიწეს ქუჩი შრიალა,
მოწნე რამდენი ლამაზი ამბის,
გაკიდებული კლდეს და იალაღს...

ცელთა ელვაში დაუმშვიდებელს
ვემშვიდობები მთათა ხვეულებს
და მთიბავების ვწერ სადიდებელს
და სტრიქონები ჰგავს ნამხრეულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუაში

მთათა ალყაში ვინ მოგაქცია,
ვინ მიგაჯაჭვა ნისლის თასმებით,
ტანზე გეხვევა წვიმის არშია
და გამშვენებენ ელვის მასრები.

დააბოტებენ სვანი ბიჭები,
აფრენილები შენი უბიდან,
ჯიხვებს ქარაფში ხელით იჭერენ,
მზე მიაჭედეს ზეცას შუბითა.

არც ყვავილების სუნთქვა გაკლია,
არც ამღერება ასულთ გულების,
შენი მიდამო ოქროს ტახტია,
ანგელოზები შენი მდგმურები.

როცა ზამთარი ამ განძს წაგართმევს,
კალთას ვარდებით ვეღარ აივსებ,
მე ვესტუმრები მაშინ მაღალ მთებს
და ჩამოგიტან ედელვაისებს.

ჯერ კი ზაფხულით იდარბაისლე,
როგორც დაგლოცე,
როგორც გიხილე,
გულს ჩამიფინე თბილი აისი
და ჩანჩქერივით ამაჭიხვინე!..

## მახვშის სკამი

კეთილმა მახვშმა
სავარძელი შემომთავაზა
და გლეხის შვილი
თავის სკამზე დამსვა თავადად.

თავადი რაა,
სიტყვა ესე რითმას ამოჰყვა,
არც ერთს არ გვყავდა
არც თავადი,
არც მებატონე,
დაგვბედებია მომხდურებზე
ჯავრის ამოყრა,
დამორჩილება არ გვჩვევია
ციხის პატრონებს.

ასეთნი იყვნენ
მზემაღალნი მამა-პაპანი,
შვილთა ძარღვებში
მათი სისხლი დინჯად გადადის...
სინამდვილეა,
სინამდვილე,
განა ზღაპარი —
სტუმრისთვის მახვშის სკამს იმეტებს
მთების ადათი.

კოშკში გულღაღობ,
სვანურ კოშკში
ხევსური კაცი,
მე მმასპინძლობენ
მერლანები,
მარგიანები,
ვიწრო სარკმლიდან ვეფერები
გამოვლილ გზაწვრილს,
ო, მაპატიეთ,
თუ მოვედი დაგვიანებით.

## იფარის ქედზე

იფარის ქედზე შემოგხვდი,
ღიმილი ფარად იფარე,
როგორც არსებას სამოთხის,
მე შეგხაროდი იფარელს.
წიფლებისა თუ იფნების
მიგაცილებდნენ აფრები,
ბროლის საკინძეს იბნევდი
მკერდზე შუქივით გაფრენილს.

ყვავილებიან ბორცვებთან
იღვენთებოდი თაფლადა,
გბუგავდა ცხელი ოცნება,
თბილი ღიმილი გდაფნავდა...

ნაბიჯს უმატე და უფრო
გამკრთალდა ხეთა საფარი,

გხვდებოდა შენი საუფლო —
ნაკადულების ჩქაფანით.

წიფლებისა თუ იფნების
მიგაცილებდნენ აფრები,
ბროლის საკინძეს გიბნევდი
მერცხალს ღრუბლებში გაფრენილს.

## ისევ გზები

1

და ჩაიარეს გზათა მრავალთა,
რაც იყო იყო,
აღარ მივტირი,
მიჯაჭვული ვარ მე ჩემს სავალთან,
როგორც იმ ღამეს,
როგორც იმ დილით.

არსთა გამრიგეს არ ვენუკები,
რა სჯობს ბილიკზე ღამის გათევას;
აგერ ვიღაცის დასკდნენ ბუკები
ჩაბერილები ნაძალადევად...

2

შენ არ მოაკლო გზებს სიყვარული,
არ დაიჩემო სხვისი სავალი,
იყავ მხედარი მამაცთ მარულის,
აუღებელი კლდეთა წვავარნის.

თუ არ გხვდა წილად, რასაც ესწრაფვი, —
დარჩენილიდან სცან უკეთესი
და აუმღვრეველ წყალს დაეწაფე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ რატიანი

# მუშტი და ვიოლინო

მოთხრობა

გელა რომ დაუსტვენდა, მთელი ეზოს ოინბაზები უმალ ცაცხვის ძირას გაჩნდებოდნენ. დარში ფეხბურთით იწყებდნენ, იქანცებოდნენ და მერე გრილოში ყვებოდნენ ათას ტყუილსა და მართალს. თუ ავდარი იყო, მაშინ ეზოს ბოლოში, მიტოვებულ, ცარიელ გარაჟში აფარებდნენ თავს. ეგ კია, ავდარში გელას სტვენაზე იმდენი ბიჭი აღარ მორბოდა, მაგრამ ათიოდე მაინც ყოველთვის იკრიბებოდა.

ავდარი ხომ იშვიათია თბილისში და გელას ეგონა, სწორედ ამიტომ მიყვარს წვიმიანი დღეო. სინამდვილეში წვიმა არაფერ შუაში იყო. მართალია, ეზოში თამაშის დროსაც გელას სიტყვას ვერავინ გადაახტებოდა, მაგრამ ეზოში უნებურად ისეთი რამეები ხდებოდა, გელა უკან იხევდა. ერთხელ კი, როცა რეზომ გელა გაახელა, ამხელა ბიჭი ხარ და კაპიტანი ნემო არც კი გაგიგონიაო, გელამ რეზოს ხელი სტაცა, ასწია და ის იყო ძირს უნდა დაენარცხებინა, რომ ბოხი ხმა გაიგონა:

— აბა, აბა, ხელი გაუშვი, თორემ დაგამქავე ჯონჯოლივით!

გელამ თავზე წამომდგარ ახმახს ახედა დაბოღმილმა, ცივად უშვა ხელი რეზოს.

— თუ ღონე გერჩის, მოდი მეჭიდავე, — გაუღიმა ბოხხმიანმა.

უცებ გელა იმხელა ვაჟკაცს ფეხებში შეუვარდა და დაეჯაჯგურა.

ახმახი ამას აშკარად არ ელოდა, შეტორტმანდა, მაგრამ არ წაქცეულა. მალე მოეგო გონს, დაიხარა და ღიმილით სწვდა გელას:

— ბიჭოს, შენ მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ!

გელა გულმოსული იწმაწნებოდა, ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, იმან კი თვითონ დასვა ძირს:

— ჰა, კარგი, წადი, ოღონდ ჭკვიანად იყავი!

სირცხვილნაჭამი გელა შურდულივით გავარდა ეზოდან.

არც მანამდე და არც მას შემდეგ ის ახმახი ეზოში არ გამოჩენილა. არც სხვაგან შეხვედრია ეზოს ბიჭებს. ვინ იცის, საიდან მოვიდა და სად მიდიოდა. ეგ კია, ამის შემდეგ გელა რეზოს აღარ დამუქრებია, აღარც რეზო აგიჟებდა — სპეროზა, თორთუმი, ტიტიკაკა, ნიაგარა და მისთანები არც კი გაგიგონიაო.

ფეხბურთის თამაშის დროსაც ხშირად ხდებოდა, რომ გელას სიტყვა ქარს მიჰქონდა. რამდენიც უნდა ეყვირა, მიხა დაიჭითო, ვერაფრის დიდებით ვერ

აკავებდნენ ამ ხვლიკივით ბიჭს. გელა გულზე სკდებოდა, მაგრამ აბა რას გააწყობდა, რადგან მიხა ბრწყინვალედ თამაშობდა, ამის გულისათვის ხომ არ სცემდა ბიჭს.

ეჰ, ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ისეთი რამ ხდებოდა დარში, რაც გელას უსუსურობას ამჟღავნებდა. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ გელა მაინც გელად რჩებოდა და მისი ხათრიცა და შიშიც სახეზე ეწერათ ეზოს ბიჭებს.

სულ სხვა იყო ავდარში. მიტოვებულ გარაჟში რომ შეიკრიბებოდნენ, გელა შაჰინ-შაჰივით გაიყინჩებოდა ხოლმე. პირველად იმას იკითხავდა, ფული ვის რამდენი აქვსო, ამოიფხეკავდა ათ-თორმეტი ბიჭი ჯიბეებს და ხან ათი შაური, ხან ოთხი აბაზი და ზოგჯერ მანეთნახევარიც გროვდებოდა. გელა ექვს შაურს ცალკე გადადებდა. დანარჩენ ფულს მერე დათვლიდა. ერთ ღერ ასანთს თავს წაატეხავდა და იმდენ ღერს გადათვლიდა, რამდენი ბიჭიც იყო გარაჟში. მერე ამ ასანთის ღერებს მარცხენა ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ისე გაიჩრიდა რომ ღერებს თავები არ გამოჩენოდათ, ხელის მტევანს მომუშტავდა და დაიძახებდა, აბა დავიწყოთო.

ბიჭები სათითაოდ აძრობდნენ ასანთის ღერებს და ვისაც თავმოტეხილი შეხვდებოდა, იმას მაღაზიაში აგზავნიდა გელა. მაღაზია შორს არ იყო, მაგრამ წასვლა არავის ეხალისებოდა. იმიტომ კი არა, წვიმა ეზარებოდათ, დამარცხებულად მიაჩნდათ თავი და ეგ ეჩოთირებოდათ.

ხან ვის ხვდებოდა თავწატეხილი ასანთის ღერი და ხან ვის, მაგრამ გელას არც ერთხელ არ შეხვედრია, არც შეხვდებოდა, რადგან, როცა გელას ასანთის ღერები ხელში ეჭირა, ცუღლუტობდა. მთელი მისი ეშმაკობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის ნაცვლად, ყოველთვის ორი თავწატეხილი ასანთი ეჭირა ხელში. ამას კი სულ იოლად ახერხებდა, როცა ყველას დასანახად ასანთის ერთ ღერს თავს წაატეხდა და მერე კოლოფიდან თავწაუტეხავ ღერებს ამოალაგებდა, აი სწორედ ამ ღერებს შორის ერთი, შეუმჩნევლად, ყოველთვის წინასწარ თავწატეხილი ამოჰქონდა.

ასე წვიმასა და ქარში, თოვლსა და ყინვაში, ხან ერთი ბიჭი მიდიოდა მაღაზიაში და ხან მეორე. ჯერ ცალკე გადადებული ექვსი შაურით „მზიურს" ყიდულობდნენ, თუ მზიური არ იყო, — „ლუქსს", დანარჩენი ფულით — ნუგას. ზოგჯერ სულ ოთხი-ხუთი ცალი ნუგა მოუწევდათ ხოლმე. მაშინ გელა ჯიბიდან ჯაყვა-დანას ამოიღებდა და ნუგებს იმდენ ნაჭრად დაჭრიდა, რომ ბიჭების ნახევარს თითო შეხვედროდა. მერე ამ ნუგებს და ამდენივე სიგარეტს გარაჟის კუთხეში მიგდებულ, გადმობრუნებულ ვედროზე დააწყობდა. ამის შემდეგ იწყებოდა ჰიდაობა. გამარჯვებულს სიგარეტით აჯილდოვებდა გელა, დამარცხებულს — ნუგათი. ბიჭები ცხრაპირ ტყავს იძრობდნენ, ოღონდ სიგარეტის მოწევა ღირსებოდათ. გახვითქული, სუნთქვააჩქარებული ღლაპები ისე ექაჩებოდნენ სიგარეტს, თითქოს უკვდავების წყაროს ეწაფებიანო. უტყდებოდათ ხველა, თვალებში ცრემლები აწვებოდათ, მაინც ეწეოდნენ. ტკბილ, გემრიელ ნუგას კი ისეთი ზიზღით ღეჭავდნენ, თითქოს თევზის ქონს ყლაპავენო.

ერთი რამ ვერაფრით გაეგოთ ბიჭებს, ვისთანაც არ უნდა ეჭიდავა ნუგზარს, ყველასთან მარცხდებოდა. ყველამ იცოდა, რა ბიჭიც იყო ნუგზარი. სირბილში იმას მხოლოდ მიხა ასწრებდა. ღონით კიდევ, ნაღდად თვითონ გელაზეც ნაკლები არ იქნებოდა. ახლა გულადობას აღარ იკითხავთ! შარშან იმან საქმე ჰქნა, ბარე ორი ვაჟკაცი ვერ იკისრებდა. რუსიშვილების მატრაბაზი გოგო უშველებელ გერმანულ ნაგაზს დაასეირნებდა ეზოში. ბიჭები ამ დროს ფეხბურთს თამაშობდნენ. ბურთი შემთხვევით გოგოს მოხვდა თავში. ნაგაზი გადაირია! ავად აღრენილი, ხახადაფჩენილი გაექანა მობურთავეებისაკენ, ბიჭებმა განძრევაც ვერ მოასწრეს, ისე მივარდა ძაღლი ნუგზარს.

ბევრმა თვალებზე ხელები აიფარა. ნუგზარმა კი ნაგაზს დაასწრო და ისე ამოსცხო წიხლი ყბაში, რომ ეს ამხელა მხეცი ფინიასავით აწკმუტუნდა, როგორღაც დაპატარავდა, დაბურბუსალდა და უსუსურად გაიშოტა ასფალტზე. რუსიშვილების მატრაბაზ გოგოს ეგონა, ძაღლი მომიკლესო და ახლა ის გადაირია. ამასობაში ბიჭები გონს მოვიდნენ და ეზოდან გაუჩინარდნენ. ძაღლი არ მომკვდარა, მაგრამ ამის შემდეგ, რამდენჯერაც ნუგზარს დაინახავდა, საცოდავად აწკმუტუნდებოდა და პატრონს ეკვროდა.

ჰოდა, ასეთი ბიჭი რომ ზედიზედ მარცხდებოდა ჭიდაობაში, აბა, ვის არ გაუკვირდებოდა. ყველა, ყველა და გაჩხინკულ, მაკარონისფეხება და ვერმიშელისხელება ჭუკასთან წაგება იქნებოდა?! როცა ჭუკამ პირველად წააქცია ნუგზარი, ყველას სიცილი აუტყდა. გელამაც გაიცინა და სთქვა, ეგ არ ითვლება, ხელახლა იჭიდავეთო. საბრალო ჭუკას თვალებში ცრემლები მოაწვა. ბიჭმა ძლივს ერთხელ გაიმარჯვა და აბა რა მოუვიდოდა. მაგრამ გელას სიტყვა კანონი იყო, ისევ იჭიდავეს. ისევ ნუგზარმა წააგო. გელამ უხმოდ მისცა ჭუკას სიგარეტი. საწყალი ჭუკა კინაღამ დაიხრჩო, მოწევისას ისეთი ხველა აუტყდა. ნუგზარი კი გემრიელად სუსნიდა ტკბილ ნუგას და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდა.

მორიგი თავშეყრის დროს გელამ განაცხადა, პრიზები ძველებური წესით განაწილდება, ოღონდ ნუგზარისათვის დღეიდან პირიქით იქნება, წაგებაზე — სიგარეტი, მოგებაზე — ნუგაო.

ამის გაგონება იყო და ნუგზარის წამქცევი გარაჟში აღარავინ შესულა. მალე ბიჭებმა ჩურჩულიც კი დაიწყეს, აგერ ნახეთ, დღეს თუ არა, ხვალ უეჭველად ნუგზარი თვითონ გელას დაეჭიდება და კიდეც წააქცევსო. თუ ასე მოხდებოდა, მაშინ ხომ ნუგზარის სიტყვა გახდებოდა კანონი.

ერთ წვიმიან დღესაც ჩვეულებრივად შეიკრიბნენ ბიჭები მიტოვებულ გარაჟში. ვიდრე გელა ასანთის ღერებით თავის ფოკუსს აკეთებდა, ისეთი თქეში დაუშვა, წარღვნას აღარაფერი უკლდა. ასეთ თავსხმაში სიგარეტსა და ნუგაზე კი არა, პურზეც არ წავა მოშიებული კაცი მაღაზიაში. ოთხი თავწაუტეხავი ასანთი უკვე ამოიღეს ბიჭებმა. ის იყო რეზომ ხელი გაიწვდინა მეხუთე ღერისაკენ, რომ გარაჟში ერთიანად გალუმპული ბიჭი შემოვარდა. სახეზე ისეთი გაკვირვება გამოესახა, აშკარა იყო, არ ელოდა, თუ გარაჟში ვინმე დახვდებოდა, მიტომაც ძალიან ხმამაღლა წამოიძახა:

— უუჰ, წალეკა ქვეყანა!!

რაც გარაჟს ბიჭები დაეპატრონენ, მათ გარდა არასოდეს არავინ შესულა შიგ და ახლა უცხოს შემოჭრამ ისე გააოცა ყველანი, აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ერთხანს უხმოდ შესცქეროდნენ მოსულს. კარგა მაღალი, შანტალა ბიჭი იყო. ბოლოს ყველას ჭუკამ დაასწრო და ყინჩად ჩაუწრიპინა:

— შენც რა, თავი განწირული გაქვს?!

ბიჭმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ დამცინავად გადახედა და უფრო მაგრად მოხვია ხელები პირწმინდად სველი ლაბადის უბეში ამოდებულ რაღაც მოზრდილ, გრძელ საგანს.

— რა, არ გესმის, რო გეუბნებიან?! — ახლა ლადომ დაუბრიალა თვალები.

— მომეშვი, თუ ძმა ხარ, მე ჩემიც მეყოფა, — ყველას გასაგონად სთქვა ბიჭმა.

— რაო, ბიჭი, პასუხის ღირსადაც აღარ ჩაგვაგდე?! — დაბოლოს გელამ შეუღრინა.

— რა შარზე ხართ, რა გინდათ ჩემგან?! — აღელდა ბიჭი.

— ვაა, კიდევ ჩვენა ვართ შარზე?! ხელები გაშალა გელამ, — თვითონ მხეცივით სახლში შემოგვეჭერი, არც გვკითხე ,შეიძლება თუ არაო, გამარჯობაც არ გვითხარი და ისევ ჩვენა ვართ შარზე?!

— ჰმ, სახლში არა... — მწარედ გაიქნია თავი ბიჭმა.

— ჰოო, სახლში, მაშ! — მკაცრად მოუჭრა გელამ და მერე დამცინავად ჰკითხა, — ემანდ უბეში რას გვიმალავ, ვაჟკაც, აბა ერთი გვიჩვენე?

— აქ სათქმელი არაფერია! — გამოსცრა ბიჭმა.

— რაო, დედიკომ პურზე გაგგზავნა? თუ ბაზარში ქორფა კიტრები და პამიდორი უყიდე დედიკოს, ჰა, მაისის კიტრი და პამიდორი გემრიელია, ჩემმა მზემ, აი! — მთლად აბუჩად აიგდო ბიჭი გელამ.

ბიჭმა არაფერი უპასუხა და უხმოდ გასასვლელისაკენ გადადგა ნაბიჯი. მაშინვე სამი დამხვდური წინ აეტუზა.

— ამ თავსხმაში როგორ გაგიშვებთ!

— გრიპი შეგეყრება!

— ანგინაც ზედა გაქ!

— ფილტვების ანთება ნაღდია!

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბიჭები ავყიაობაში.

მოსულმა ერთი კი გაიფიქრა, თავს ვკრავ გასასვლელში გაჩხერილ შუათანა ბიჭს და გავვარდებიო, მაგრამ ასეთი რამ ლაჩრობად ჩათვალა და არ ჩაიდინა.

ისევ გელამ ამოიღო ხმა:

— ჭუკა, აბა მიდი ერთი ნახე, რა ძღვენი მოგვართვა ჩვენმა სტუმარმა!

— ხელი არ მახლო, თორემ გაგარტყამ! — მტკიცედ უყვირა ბიჭმა ჭუკას.

ჭუკამ დაასწრო, თვითონ მოუქნია ხელი, მაგრამ ბიჭმა აიცდინა და მაშინვე ისეთი ამოსცხო ჭუკას ნიკაპში, რომ საბრალო ჭუკა წაბარბაცდა და თავით ლადოს დაეჯახა ცხვირში. ჭუკას ტუჩკბილიდან წასკდა სისხლი, ლადოს — ცხვირიდან.

ამას არავინ მოელოდა. ყველა დაიბნა.

ბიჭმა ისარგებლა პაუზით, ლაბადის უბიდან ვიოლინოს ბუდე ამოაძვრინა, მაღლა ასწია და იყვირა:

— ამას რო ერთი ნაკაწრიც დააჩნდეს, ყველას დაგხოცავთ!

მერე ვიოლინოს ბუდე კუთხეში სწრაფად მიაყუდა, ლაბადა გაიძრო, მუშტები მოკრივესავით მოიმარჯვა და იდრიალა:

— აჰა, მოდით, თქვე მხეცებო!!!

გონს მოსული ბიჭები ის იყო ზვავად უნდა დასცემოდნენ მოსულს, რომ გელამ იჭექა:

— ხელი არავინ გაანძრიოს!!!

ყველას სახეზე გაოცება გამოისახა, მოსულის სახეზეც.

პირველად ჭუკამ ამოისუნთქა შვებით. აჰა, თვითონ გელა იყრის ჩემს გულის ჯავრსო.

გელა არ ჩქარობდა, უკვე კარგად მოეფიქრებინა, რაც უნდოდა და განგებ ისე წელავდა სიტყვებს, თითქოს მოშლილი გარმონიაო:

— აბა, ბიჭი, გვაჩვენე მაგ ყუთში რა საუნჯეს ინახავ! — გულში კი ფიქრობდა, სად წაგვივა, ჯერ დაუკრას, მერე ვაზიარებთო.

ბიჭმა სული მოითქვა და შემრიგებლურად ჩაილაპარაკა.

— რა საუნჯე, ვიოლინოა შიგ.

— ჰოო?! — ვითომ გაუკვირდა გელას, — შე ვირიშვილო, როიალი რომ არაა ჩვენც ვხედავთ! ამოიღე და დაუკარი!!! — ისე ბრაზიანად იღრიალა გელამ, ყველა დაიყურსა.

— რას იგინები!.. — ბოღმით წამოიწყო ბიჭმა, მაგრამ ვეღარ დაამთავრა.

მერე ჭუკამ ამოიწრიპინა:

— რას შვრები, გელა?! მიდი რა, ხოშით აზიარე!

პასუხად გელამ ჭუკას ისე გადახედა, რომ ჭუკა დამუნჯდა.

— ჰა, დაუკარი, თორემ იცოდე, მეტს ვერასოდეს დაუკრავ! — ახლა ხმადაბლა, მაგრამ გაცილებით გესლიანად ჩაუსისინა გელამ.

ბიჭს გააჟრჟოლა. მაშინვე გადამტვრეული ხელის თითები წარმოესახა ისე ცხადად, რომ თითების ტკივილიც კი იგრძნო. უნებურად მარჯვენა ხელის მტევანს დახედა, გაშრა ბიჭი! მტევანი მართლა სისხლში ჰქონდა მოსვრილი. უმალ მიხვდა რის გამოც, მაგრამ ამან სულაც ვერ დაამშვიდა, მაინც სცადა ბედი:

— როგორ დავუკრა, ვერ ხედავ?! — და სისხლიანი მარჯვენა დაანახვა გელას.

— როგორც გინდა, ისე დაუკარი! — გელამ იგრძნო, რომ ბიჭი გატყდა, ეშა და „იანგლა“, — ჩვენ როგორმე დაკრულსაც ვიკმარებთ, უბრალო ხალხი ვართ, ჰა, აბა გისმენთ!

ბიჭმა თავი დახარა, ერთი საშინლად ამოიღმუვლა, ვაჰმეო და საკრავისაკენ შებრუნდა. ჯერ პაწია, შავი ბალიში აიღო, ბალიშს გამობმული გრძელი ზონარები კისერზე შემოიხვია და უკან შეიკრა. მერე ფრთხილად ამოიღო ვიოლინო და ხემი ბუდიდან, შემობრუნდა და თავაუღებლივ, ყრუდ იკითხა:

— რა დავუკრა?

— რაც გინდა, ის დაუკარი, ჩვენთვის სულერთია! — ამაყად უპასუხა გელამ.

—რაც მინდა?! —ისე იკითხა ბიჭმა, თითქოს თავისუფლება იგრძნო: თვალებში ნაპერწკალმა გაუელვა.

— ჰო, რა, ჩვენ კეთილი ხალხი ვართ! — მასხრობდა გელა.

მაგრამ ბიჭი ახლა გელას ყურადღებას აღარ აქცევდა, არც დანარჩენებს ამჩნევდა.

ვიოლინო მოიმარჯვა და ხემი რამდენჯერმე სიმებს აუსვ-დაუსვა.

— ხე, ხე,ხე, ეგრე ხომ ბებიაჩემიც უკრავს! — გაიღიმიჰა ნოდარი.

მევიოლინემ ვითომ ვერ გაიგონა, ერთხანს სუნთქვა შეიკრა. ამ დროს როგორღაც სახე შეეცვალა ბიჭს. ვინ იცის, რა გრძნობა დაეუფლა, ეს კია, მისმა სახემ არაჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო. ამან ისე იმოქმედა ბიჭებზე, რომ უნებურად დაჩუმდნენ. ახლა გარაჟში ნაღდად სრული სიჩუმე იქნებოდა, გარეთ რომ თავდასხმა არ ყოფილიყო. კოკისპირული წვიმის ხმაური ყოველი მხრიდან აწყდებოდა გარაჟს, გეგონებოდა, მარტო ზემოდან და აქეთ-იქიდან კი არა, მიწის ქვეშიდანაც თქეშის შუილი ისმისო. და აი, ამ წარღვნისებური, ყოვლისმომცველი ხმაურის უსასრულობაში ოდნავ გასაგონად, გაუბედავად დაირხა ვიოლინოს სუსტი, სასომიხდილი კვნესა. ისე ნაზად, ხმადაბლა დაიწყო ბიჭმა დაკვრა, რომ მსმენელნი ვერც კი მიხვდნენ, პირველად როდის მოესმათ ჰანგი. ნელა, თანდათან, აუჩქარებლად ვიოლინოს ხმა სიმხნევეს იძენდა, მატულობდა, ძლიერდებოდა. მალე მთელი გარაჟი აავსო საოცარმა ჰანგმა. რაღაც ჯადო ჰქონდა ამ ვიოლინოს. მისი ენით გამოუთქმელი კვნესა პირდაპირ გულს ესობოდა. გეგონებოდა ყურით კი არა, გულით ისმენს ადამიანიო. გულსაც რაღაც სასწაულს უვლენდა ეს მომცრო საკრავი, ხან შეკუმშავდა, ლამის აჩერებდა, ხანაც ისე ააჩქროლებდა, იტყოდი აგერ-აგერ ბუდიდან ამოაგდებსო. სიმებზე ხემის ყოველი შეხებისას ბიჭებს ეჩვენებოდათ, თითქოს ხემი მათ გულებს ეხება და ეს საოცარი ჰანგი სწორედ ცოცხალი, მფეთქავი გულებიდან ამოდის და არა გამხმარი ხის ვიოლინოდანო.

აღარც თქეშის შუილი ისმოდა გარაჟში და არაფერი, ისმოდა მხოლოდ ვიოლინოს ყოვლისმომცველი ჰანგი.

მევიოლინეს თავი მარცხნივ გადაეხარა, თვალები მოეჭუტა და ისევ უკრავდა. იგი ვერ ამჩნევდა ვერც მის წინ მდგომ ათიოდე პირდაფჩენილ ბიჭს და ვერც ვერაფერს. მევიოლინე ახლა მხოლოდ ამ სასწაულებრივ ჰანგს გრძნობდა. მას ისიც კი არ ახსოვდა, სად უკრავდა. მაგრამ, თუ მევიოლინესათვის ასეთი თავდავიწყება იშვიათი არ იყო, ეზოს ბიჭებს კი ამგვარი რამ პირველად დაემართათ. ახლა რომ ვინმეს გარაჟში შეეხედა, უთუოდ შეცბებოდა, ისე არაბუნებრივად ჩანდა ასეთი ბუნებრივი სურათი.

მევიოლინემ უკანასკნელად შეახო ხემი სიმს და ვიოლინომ უკანასკნელად დაიხმიანა. ოღონდ ჰანგი ამით არ დასრულებულა. იმდენად აევსო სივრცე მუსიკას, ვერავინ მიხვდა, კიდევ რამდენ ხანს ჟღერდა იგი. ნელა, ისევ აუჩქარებლად, როგორც გაძლიერება იწყო, ჰანგი სუსტდებოდა და ილეოდა. როცა გარაჟში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ბიჭები,

რომ მევიოლინე აღარ უკრავდა. მაშინვე გაისმა თავსხმის ყურთასმენის წამღები შუილი. პირველი მევიოლინე გაიძრა. ბიჭმა პაწია, შავი ბალიშის ზონარები შეიხსნა, ვიოლინო და ხემი ბუდეში მოათავსა, ლაბადა ჩაიცვა, მტკიცედ სთქვა, წავედიო და გარაჟიდან აუჩქარებლად გავიდა.

თქეში ისე გაცოფებული სცემდა, ნამდვილად ქვეყნის წალეკვას აპირებდა.

გალუმპული მევიოლინე ამაყად მიაბიჯებდა დელგმაში.

მევიოლინე გავიდა თუ არა, გარაჟში რაღაცა აუტანელი შემოძვრა. ისეთი სახეებით შეყურებდნენ ბიჭები ერთმანეთს, თითქოს ჯიგრები ამოუღეს და ძველის ნაცვლად სულ სხვა, ახალი ჩაუდგესო. აღარც ფული, აღარც ასანთის ღერები, არც სიგარეტი და ნუგა და არც ჭიდაობა აღარავის გახსენებია.

როგორც იქნა ისევ გელამ ამოიდგა ენა, გულმოსულად, გაბრაზებული ხმით იყვირა:

— აბა, ყველანი სახლებში!

იყვირა თუ არა, დაჰკრა ფეხი და პირველი თვითონ გავარდა, თითქოს ეშინოდა, არ დამიჭირონ და გარაჟში არ ჩამკეტონო.

მთელი საღამო ფიქრობდა გელა, ეს რა სასწაული გადახდა თავს და რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო უკვირდა. ვერაფრით აეხსნა რა ძალამ დაატყვევა, ასე რამ მოაჯადოვა. გაოგნებული გელა ვერაფრით მიმხვდარიყო, მაინც რა თილისმა ჰქონდა მევიოლინეს, რომ ამდენი გაცოფებული ბიჭი უსიტყვოდ დააშოშმინა და მოათვინიერა.

მევიოლინე მეორე დღესვე შემოხვდათ ეზოს ბიჭებს. გელამ, ნუგზარმა და რეზომ ქუჩაში ნაყინი იყიდეს, კიდეც შესუსნეს და ამ დროს ოციოდე ნაბიჯში, მევიოლინეს მოჰკრა თვალი რეზომ. მზიანი დღე იდგა. მევიოლინეს ქათქათა ცისფერი პერანგი, კარგად დაუთოებული ნაცრისფერი შარვალი და გაკრიალებული შავი ფეხსაცმელი ეცვა. მოკლედ შეკრეჭილი თმა კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი. მარჯვენა ხელში კაი შებრაწული თონის პური ეჭირა და თავდაწეული მოაბიჯებდა.

— ე, გელა, ნუგზარ! ნახეთ ვინ მოდის! — შესძახა რეზომ.

— ვინ არის?! — უცებ ვერ იცნო ნუგზარმა.

— ვერა ხედავ, ის არის! — იწყინასავით რეზომ.

— ჰო, მართლა ისაა, — დაუდასტურა გელამ.

ამასობაში მევიოლინემაც მოატანა.

— პაგანინის გაუმარჯოს! — კეთილად გაუღიმა რეზომ.

მევიოლინემ გამომცდელად შეხედა სამივეს, — ხომ არ დამცინიანო და მხოლოდ მერე გაუღიმა.

— გაგიმარჯოთ, ეეჰ, პაგანინი არა, ხეიფეცი!

გელამ არ იცოდა, ვინ იყო ხეიფეცი, მაგრამ არ შეიმჩნია და ჰკითხა:

—არა, მართლა რა გქვია?

— გიორგი.

— გია?

— არა, გიორგი! — იუარა ბიჭმა.

—გიორგი დიდი რო გაიზრდები, მერე გახდები, — დედა რას გეძახის: — ახლა „დედა“ ძალიან თბილად თქვა გელამ.

— დედა გოგის მეძახის, მამაც და უმცროსი ძმაც ასე მეძახიან.

— ჩვენც გოგის დაგიძახებთ, კარგი?

ბიჭმა ღიმილით დაუქნია თავი:

— კარგი, თქვენ რა გქვიათ?

—მე გელა, ამას ნუგზარი, იმას რეზო, ახლა სად მიდიხარ?

— სახლში, აი თონეში ვიყავი, — ბიჭმა მკერდამდე ასწია პური, — ძალიან მიყვარს თონის პური.

—მაინც, ბიჭო, გუდის ყველთან რა არი! — თვალები გაუბრწყინდა ნუგზარს.

—შენ არც ხმელას დამიწუნებ, — ჩაუცინა რეზომ.

— აჰა, მოტეხეთ, — სამივეს მიმართა გოგიმ.

—არა, კაცო, რას ამბობ! — იუარა გელამ.

—რა მოხდა, პურია, მოტეხეთ, თორემ მეწყინება.

— კარგი, რომ არ გეწყინოს, მოვტეხავთ, — და გელამ ციცქნა ლუკმა ჩამოტეხა თბილი თონის პურის ხრაშუნა ყუას.

ნუგზარმა და რეზომ გელას მიბაძეს. გოგის გაეღიმა:

— ჩიტები ხომ არ ხართ.

—არა, გვეყოფა, გოგი, იცი, რაა..

— აქ გელამ ბიჭებს გაუბედავად გადახედა, აშკარა იყო, სათქმელი ეჩოთირებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თბილად სთქვა:

— მოდი კიდევ დაუკარი ჩვენთან.

— რას ამბობ, იმ დახუთულ გარაჟში მაშინაც როგორ დავუკარი ახლაც არ ვიცი.

— უუჰ, მაშინ ძაან მაგარი იყო, — ჩაილაპარაკა ნუგზარმა.

— მოდი რაა, კიდე დაუკარი, — ახლა რეზომ თხოვა.

— ერთი უბნელები ვართ — მეზობლები, ჩვენში წყენა არ უნდა მოდიოდეს, — გაფრთხილებასავით გაისმა გელას ხმა, — ჰო, მართლა, გოგი, ისე აქ სადა ცხოვრობ, აქამდე რომ ერთხელაც არ შეგვხვედრიხარ?

— ეჰ, რას შეგხვდებოდით! ეს მუსიკაო, ის ინგლისურიო, აქეთ ცურვა, ახლა გაკვეთილები!.. ისე ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ ,მე მეათე სადარბაზოში ვარ, ორი თვეა, რაც აქ გადმოვედით.

— ვაა?! — გაიოცეს ბიჭებმა.

—კი მაგრამ, რომელ სკოლაში სწავლობ? — ჰკითხა ნუგზარმა.

—მუსიკალურში.

— ჰოო, აბა მართლა სად შეგხვდებოდით?! არა და მეზობლები კი ვყოფილვართ, — ჰოდა, მოდი რა, ეხლა მოდი, ჩვენთან დაუკარი, — ისევ თხოვა გელამ.

—როდის მოვიდე? — ჩაეღიმა ბიჭს.

— დღეს საღამოს.

— არა, დღეს არ შემიძლია.

— ხვალ?

— კარგი ხვალ, შვიდზე?

— იყოს შვიდზე.

— სიტყვა — სიტყვაა? — ჩაეკითხა გელა.

— აბა რა, ხვალამდე, — და გოგი თავისი გზით წავიდა.

მეორე დღეს მევიოლინე გარაჟში არ მისულა.

ათი-თხუთმეტი წუთი მოთმინებით ელოდნენ ბიჭები, მერე კი მოაღეს პირი.

— ეგეც თქვენი პაგანინი, — პირველად ლადომ ჩაიბუზღუნა.

— რო გეუბნებოდი, გაარტყი-მეთქი, რაზე არ დამიჯერე! — წიწმატობდა ჰუკა.

— სად წაგვივა! — მოკლედ მოჭრა ნუგზარმა.

— არა, მაინც რა დაბეჯითებით შეგვპირდა?! იქნებ რაიმე შეემთხვა? — იკითხა რეზომ.

— რა უნდა მოსვლოდა, გვაჭამა და ეგაა! — ჯავრობდა მიხა.

—ახლა მაგას ერთი კაი ქოთი მოუხდება! — დაასკვნა სანდრომ.

გელა ჩუმად იყო. ვერ დაეჯერებინა, რომ გოგის შეეძლო მათი მოტყუება. არა და სად არის აბა?! იქნებ მართლა რაიმე შემთხვევა? იქნებ შეეშინდა? არა, მშიშრობის იმას არაფერი ეტყობა! აბა გვაჭამა? ისე გაგვაბითურა? აკი გვითხრა, მაშინაც როგორ დავუკარი, აზრზე არა ვარო. ჰო, ამ დახუთულ გარაჟშიო, ესე იგი დარბაზი დაგვიწუნა. ჰო, დარბაზიც და მსმენელებიც! ხალხად არ ჩაგვთვალა! უ, შენი, მაცალე, ისე დაგზილო, ვიოლინო კი არა, დოლიც ვეღარ დაუკრა!

— ჰა, რა ექნათ ახლა, გელა? — ზედიზედ ჰკითხეს ბიჭებმა.

გელამ ბიჭებს თვალი მოავლო, ჯიბიდან „პრიმის“ კოლოფი ამოიღო, გახსნა და ნაძალადევი სიდინჯით თქვა:

— ჯერ ეს სიგარეტი მოვწიოთ.

ყველას ძალიან გაუკვირდა და ეამა რომ გელამ ყოველგვარი ფულის შეგროვებისა და, რაც მთავარია, ჰიდაობის გარეშე საკუთარი სიგარეტი შეთავაზათ, იფ, თანაც უფლირტო, — „პრი-

მა", ამაზე დიდი დაფასება რაღა უნდა ყოფილიყო?!

კაცს ნამდვილად გაეცინებოდა, რომ დაენახა, როგორი „დაბრძენებული" სახეებით იღებდნენ სიგარეტებს ბიჭები, როგორი იდუმალი გამომეტყველებით უკიდებდნენ და აბოლებდნენ. მალე გარაჟის სახურავს ისეთი ბოლი აუვიდა, გეგონებოდა, ხანძარი გასჩენიაო. ეს სიგრეტი გელამ საგანგებოდ, გოგის მოლოდინში იყიდა. ფიქრობდა გოგი მოვა, ვაჟკაცურად „პრიმით" გავუმასპინძლდები, თავს მოვაწონებო. ახლა კი ზოლმით ექაჩებოდა მყრალ სიგარეტს.

უხმოდ წევდნენ ბიჭები. უფრო სწორად, უსიტყვოდ წევდნენ, თორემ ხმა გამუდმებით ისმოდა გარაჟში, — ხან ერთს უტყდებოდა ხველა, ხან მეორეს. თუმცა კაი ბებრუხანებივით ახველებდნენ, ეს მაინც უნებლიე ხმები იყო, ნებიერად კი ხმას არც ერთი იღებდა, თითქოს ეშინოდათ, ხმა რომ ამოვიღოთ სიგარეტები არ ჩაგვიქრესო. თითქმის ყველამ ერთდროულად დაამთავრა მოწევა.

გელამ გადააპურჭყა, ნამწვი ფეხით გასრისა, ჩაახველა და სთქვა:

— მოკლედ ასე. ვისაც შეგხვდებათ, ხელი არავინ ახლოთ, მარტო ეს უთხარით, გელას შენთან საქმე აქვს და ახლავე ნახე-თქო. მერე მე მომძებნეთ. დანარჩენი მე ვიცი.

ერთი სული ჰქონდათ ბიჭებს, მევიოლინეს სადმე გადაყროდნენ, მაგრამ ვერც მეორე, და ვერც მესამე, და ვერც მეათე დღეს მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს, სახლში მიკითხვას კი ვერა და ვერ ბედავდნენ.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდნენ ბიჭები. ამდენ ძებნა-ლოდინში ისე დაიძაბნენ, ისე დაიბოღმნენ, რომ ვილას ახსოვდა გელას სიტყვები, ხელი არ ახლოთო, ამ ცხელ გულზე რომ შეხვედროდათ, ნაღდად იქვე ატყდებოდა ლაწალუწი. ამას არც მალავდნენ, თუმცა გელა სასტიკად აფრთხილებდათ, თითი არ გაანძრიოთო. სხვებს რომ თავი დავანებოთ, გაფშეკილი ჭუკაც კი ისე იმუქრებოდა, კაცს შეაფიქრიანებდა. მაგრამ ჭუკას მუქარაზე ბიჭებს მხოლოდ ეღიმებოდათ.

— ნუ ტრაბახობ, ჭუკა, თორემ რაც მაშინ დაგაკლო, თუ შეგხვდა, ახლა შეგისრულებს, — ხან ერთი ეტყოდა, ხან მეორე.

— რა მაშინ, რა მაშინ! — ჭყიპინებდა ჭუკა, — მაშინ გელამ არ გამიშვა თორემ!... აბა ერთი ახლა შემხვდეს, უ, მაგის, სუ კბილებს ჩამოვუღებ!!

— ჰო, კარგი, კარგი, ვიცით რა ძველი ბიჭიც ხარ!!

დრო გადიოდა. ბიჭები გულზე სკდებოდნენ, მევიოლინე კი მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამ, ვერავინ გაიგო.

ორი კვირის თავზე, თვითონ გელას შეხვდა მევიოლინე. ხელში ვიოლინოს ბუდე ეჭირა და სწრაფად მიდიოდა. გელა წინ გადაუდგა.

— გამარჯობა! — მკაცრად მიესალმა.

— ოჰ, გელა, გაგიმარჯოს!

— ეგ არის შენი სიტყვა?

— რა სიტყვა?! — უცებ ვერ მიხვდა გოგი.

— ჰა, ტყემალზეც გინდა შემსვა, შე ვირიშვილო?

— რას იგინები, ვირიშვილიცა ხარ და უარესიც, ჯერ გაიგე, რაშია საქმე!

წაკინკლავებულმა ბიჭებმა გამვლელების ყურადღება მიიპყრეს. ერთმა ქალმა კიდეც უყვირათ:

— უყურე, ამ ხულიგნებს! რა უნდა მუსიკაზე ამისთანა უზრდელებს!

გელა იმ ქალს მიუბრუნდა:

— ბოდიში, დეიდა, ეს ისე, ვიხუმრეთ.

—კარგი ხუმრობაა დიახ! ჰმ, უზრდელები! — მკვახედ სთქვა ქალმა და გზა განაგრძო.

გოგი შეურაცხყოფისაგან გაფითრდა.

— რა ფერი-ფური წაგივიდა, ჭუკას რო ხიე, მაშინ მაგარი ბიჭი იყავი!

— ახლა მომეშვი, გაკვეთილზე მაგვიანდება, რო მოვბრუნდები, მერე ვილაპარაკოთ, — რაც შეძლო წყნარად უთხრა გოგიმ.

— გაკვეთილზე არა, ტოროლა! წამოდი ახლავე და გარაჟში დაუკარი!

— მომეშვი, რო გეუბნები, — და გოგიმ ნაბიჯი გადადგა.

გელა წინ აეტუზა:

— წამოდი ახლა, თორემ ინანებ, იცოდე, მწარედ ინანებ!

გოგიმ გელა თვალით გაზომა, გარტყმა დააპირა, მაგრამ უმალ ეზოს ბიჭები გაახსენდა.

— რა გინდა, გაკვეთილის მერე მოვალ, — შემრიგებლურად თქვა.

— ახლავე წამოდი, თუ არა და შენ თავს დააბრალე, რაც მოგივა— ჯორზე შეჯდა გელა.

გოგის მაშინდელი ნათქვამიც გაახსენდა, — დაუკარი, თორემ იცოდე, მეტს ვეღარასოდეს დაუკრავ! და ახლაც მაშინდელივით გააჟრჟოლა. მერე ისიც გაახსენდა, იმ თავსხმაში როგორ დაუკრა და მტკიცედ თქვა:

— კარგი, წავიდეთ!

ისე მხნედ მიაბიჯებდა გოგი, რომ კაციშვილი ვერ იტყოდა, გელამ ძალით წაიყოლიაო. მის მტკიცე ნაბიჯსა და ამაყ გამოხედვაში ურყევი რწმენა იგრძნობოდა. ეს არ იყო ბრმა ძალის მოწოლით გამოწვეული ალტყინება, არა! მევიოლინეს ჰქვიან თვალებში გონიერი ადამიანის ნათელი შუქი ელავდა. ბიჭის არსება დიდ სულიერ მღელვარებას მოეცვა, და ეს მღელვარება შიშით კი არა, რაღაც დიდი გადაწყვეტილების მიღებით იყო გამოწვეული. გოგის უდრეკად სწამდა, რომ თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა და სწორედ ამიტომ ღელავდა. მევიოლინის მღელვარება თითქოს გელასაც გადაედო, ერთხანს ისიც უსიტყვოდ მიაბიჯებდა.

ბოლოს ასე უმძრახად სიარული გელამ ვეღარ აიტანა:

— მაშინ რატომ არ მოხვედი?

— ავად ვიყავი.

— რა გტკიოდა.

— გრიპი მქონდა.

— არ იტყუები?

— არა!

— კარგი ეგრე, იყოს.

— იყოს კი არა, ასეა!

ეზოში შევიდნენ. გელამ ერთი მაგრად დაუსტვინა და გარაჟისაკენ განაგრძო გზა. გოგიც მიჰყვა.

გარაჟში რომ შევიდნენ, ოთხი ბიჭი უკვე იქ დახვდათ. კიდევ სამიც სულ მალე მოვარდა. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის მოლოდინში შვიდივე უხმოდ შესცქეროდა გელას. გელა კი გოგის ელოდებოდა. წუთიერი დუმილის შემდეგ გოგიმ გამომწვევად იკითხა:

— ჰა, დავიწყო?

— დაიწყე! — გულმოსულად სთქვა გელამ.

ამჯერად რაღაც ბრაზიანად დაიწყო დაკვრა გოგიმ, ისე ჩამოკრა ხემი სიმს, იფიქრებდი, მისი გაწყვეტა უნდაო, სიმმა თითქოს განსაცდელი იგრძნო, კივილივით ხმა გამოსცა. თვალისდახამხამებაში მეორე სიმს დააცხრა გაცოფებული ხემი, ახლა ის აკივლა და მაშინვე მესამე სიმს ეტაკა. ერთხანს ისე გულსაკლავად კიოდნენ სიმები, როგორც განწირულს უკივლია. მერე როგორღაც, თითქოს იმედი მოეცათ, სული მოითქვეს, და მისუსტებული, მაგრამ აშკარად იმედიანი ჰანგი წამოიწყეს. თანდათან იმედმა ძალა შემატათ, ძალამ იმედი გაუორკეცათ და მალე ისე აბობოქრდნენ ეს წვრილი სიმები, რომ მათ ხმებში გარკვევით გაისმა მუქარა. მუქარა სულ უფრო და უფრო მკაფიო, ულმობელი და მძლავრი ხდებოდა. იმატა და იმატა მისმა სიმძლავრემ და სწორედ მაშინ, როცა ამ საშინელმა მუქარამ ყველა და ყველაფერი მოიცვა, და როცა უკვე სრულიად აშკარა იყო, რომ ამ მუქარას ვერავინ და ვერაფერი წინ ვერ აღუდგებოდა, აი, სწორედ მაშინ შეწყვიტა დაკვრა მევიოლინემ.

გარაჟის კედლები ზანზარებდა, ჰერი ახდას ლამობდა. ბიჭები კუშტი სახეებით შეჰყურებდნენ ხან გელას და ხან მევიოლინეს.

გელა გაოგნებულ იდგა.

მევიოლინემ, როგორც პირველად, ახლაც სწრაფად ჩააწყო ბუდეში ვიო-

ლინო და ხემი და ცივად სთქვა, წავედით.

— ნოიცა! — ხელის აწევით შეაჩერა გელამ.

— რა მოიცა, უკვე ისედაც დამაგვიანდა გაკვეთილზე!

— სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, საღამოს შვიდ საათზე მოდი ხოლმე და ჩვენთან დაუკარი გარაჟში, გასაგებია!? დაემუქრა გელა.

მევიოლინემ გელას თვალი თვალში გაუყარა, მკვახედ სთქვა:

— ჰმ, გასაგებია, — და გარაჟიდან გავიდა.

ერთხანს იყაყანეს ბიჭებმა, არკვიეს, რა სჯობდა, ეცემათ, თუ კვირაში სამჯერ ასე ძალით დაეკვრევინებინათ. ზოგმა ის სთქვა, ზოგმა ეს, მაგრამ გელას სიტყვა ხომ კანონი იყო და ბოლოს ყველამ მოიწონა.

მეორე დღე — ხუთშაბათი მზიანი, ცხელი დღე დადგა. ათი-თორმეტი ბიჭი უკვე შვიდის ნახევრიდან დახუთულ გარაჟში ელოდა მევიოლინეს. შვიდს რომ ხუთი წუთი დააკლდა, ჭუკა გარეთ გამოვიდა, იმ გზას დაუწყო თვალთვალი, საიდანაც გოგის მოელოდა, მოჰკრა თუ არა თვალი გარაჟისაკენ მიმავალ ნუსიკოსს, სწრაფად შემობრუნდა უკან და გულამომჯდარმა იყვირა:

— მოდის!

გელას გაეღიმა:

— რაო, ჭუკა, ხომ არ შეგეშინდა?

— შემეშინდა არაა! — გაიფხორა ჭუკა.

— რა ვი, ფერი-ფური კი წაგივიდა და, — უთხრა ნუგზარმა.

— მორჩი ერთი! — გაწითლდა ჭუკა.

ამასობაში გოგიმაც მოატანა. ცივად, უხმოდ დაუკრა თავი ბიჭებს, სწრაფად მოიმარჯვა ვიოლინო და იწყო დაკვრა.

ამჯერად გელამ მევიოლინე აინუნშიაც არ ჩააგდო.

— აბა, ფული! — დაიძახა და ხელით ანიშნა ბიჭებს, ჯიბეები მოიქექეთო.

ბიჭებმა სწრაფად გადმოიბრუნეს ჯიბეები.

გელამ მთელი ხურდა მარჯვენა პეშვში მოიქცია, მარცხენა გადააფარა და ასე შეერთებული ხელები შეარხია. გარაჟში ხურდა ფულის ჩხრიალი გაისმა. ისევ შეარხია ხელები გელამ და ისევ მკაფიოდ გაისმა ლითონის ჩხრიალი. გელამ მევიოლინეს შეხედა. ახლა კი მიხვდა, რატომ ისმოდა ასე მკაფიოდ ხურდის ჩხრიალი, — მევიოლინე უძრავად იდგა.

— ჰა, რატომ არ უკრავ? — ვერ მიხვდა გელა.

— რა საჭიროა! — მოუჭრა გოგიმ.

— როგორ თუ რა საჭიროა, რაა — დაგავიწყდა?! — გელამ თვალები დაქაჩა.

— ასე მე ერთ წუთსაც არ დავუკრავ! — უფრო კუშტად სთქვა მევიოლინემ.

— ვაა?!

— იიფ!

— აუჰ!

გაისმა ბიჭების გაოცებული ხმები.

— სუუ! — გელამ ბიჭები დააშოშმინა, — მაინც რატომ არ დაუკრავ, არ გვეტყვი?

— იმიტომ, რომ ეს მუსიკაა! — იყვირა გოგიმ.

— მერე რა?! — კიდევ ვერ მიხვდა გელა.

— მერე ის, რომ, თუ მოსმენა არ გინდათ, დაკვრაც ზედმეტია!

— აჰაა, — ახლაღა ჩახვდა გელა, — ეგ ეგრეა, მაგრამ შენ რა იცი, რომ ჩვენ არ გისმენთ, იქნებ ჩვენ შენც გისმენთ და ჩვენ საქმესაც ვაკეთებთ.

— მე ის ვიცი, რომ, როგორც კი შენ ხურდის შეგროვება დაიწყე, მე მაშინვე შევწყვიტე დაკვრა და ვერც ერთმა ეს ვერ შეამჩნიეთ, მანამ, სანამ შენ ხურდის ჩხაკუნი არ ატეხე!

— ვაა?! — ველარ დაფარა გაკვირვება გელამ, — კარგი, — კარგი, დაუკარი, ახლა გისმენთ.

გოგიმ დაკვრა განაგრძო. ბიჭები ხელებში შეყურებდნენ და ისე უსმენდნენ. გარაჟის ჩახუთულ ჰაერში ისე კვნესოდა ვიოლინო, თითქოს ითხოვდა, გარეთ გამიშვითო.

როდესაც მევიოლინემ დაკვრა დაამთავრა, გელამ უთხრა, მოდი, ახლა ჩვენთან ითამაშეო. გოგიმ მოუცლელობა მოიმიზეზა და სწრაფად დატოვა გარაჟი.

შაბათს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. გოგი დროზე გამოცხადდა გარაჟში, დაუკრა და წავიდა. ოღონდ ეგ იყო, მისი წასვლის შემდეგ როგორღაც ხალისდაკარგული დარჩნენ ბიჭები. თუმცა ესეც პირველად როდი დაემართათ, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო მეტად შემოაწვათ უხალისობა. გელამ ძველებურად ხურდაც შეაგროვა, თავისი ფოკუსიც გააკეთა, ბიჭებმა კიდეც იჭიდავეს, პრიზებიც გაინაწილეს, მაგრამ ყველაფერი ეს ისე უგულოდ გააკეთეს, იფიქრებდი, ვიღაც უხილავი მიძალებიათ და იმას აკეთებინებს, რაც აშკარად არ მოსწონთ, არ მოსწონთ კი არა, დაუფარავად სძულთ.

სამშაბათ საღამოს, შვიდი საათი რო შესრულდა, ბიჭები უკვე ათიოდე წუთის შეკრებილნი იყვნენ გარაჟში. რვის ხუთი წუთი გახდა, ნევიოლინე მაინც არ ჩანდა. აქამდე არასოდეს დაუგვიანია და გაკვირვებული ბიჭები უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. არც რვის ათ წუთზე გამოჩენილა გოგი. მომლოდინეებს ეჭვი ღრღნიდა. ხმას არც ერთი იღებდა, ახლა თვალსაც არიდებდნენ ერთმანეთს. რვის თხუთმეტ წუთზე ნოდარის აღელვებულმა ხმამ განმუხტა აუტანელი სიჩუმე:

— რა ვქნათ ახლა?!

— რა უნდა ვქნათ?!—სწრაფად, გაბზარული ხმით ჩაეკითხა გელა და მისი ნათქვამი ისე გაისმა, ხომ ხედავთ, უძლურები ვართ, ყველანი უძლურები ვართ და რა უნდა ვქნათო.

— ვითომ?! — წამოიწყო ისევ ნოდარმა და ვეღარ გაბედა დამთავრება.

— რა ვითომ? — მოუთმენლად ჩაეკითხა სანდრო.

ნოდარმა მოღუშულ გელას შეხედა და შემკრთალმა სწრაფად ჩაილაპარაკა:

— ა, არა, არაფერი, არაფერი.

— შენ გინდოდა გეთქვა, ხომ არ გვეჭამაო, არა? — უთხრა ნუგზარმა.

— მე არაფერიც არ მინდოდა, — ისევ შეშინებულმა თქვა ნოდარმა.

— იქნებ ისევ გრიპი შეხვდა? — იკითხა ლადომ.

— გრიპი არა, მგელი! — ჩაიწრიპინა ჭუკამ.

— ვაჰ, დაგვაგიჟა ხალხი, რა! — ხელები გაშალა მიხამ.

ამ დროს ჩვენი მევიოლინე კი გარაჟის უკან მიმალულიყო და ეშმაკური ღიმილით უსმენდა გულგასიებულ ბიჭებს. თავიდან, ვიდრე ბიჭები ჩუმად იყვნენ, გოგიმ იფიქრა, ალბათ გარაჟის კედლებში ხმა არ ატანსო, მიეკრა კედელს, მაგრამ ვერც ასე გაიგონა რაიმე, გაუკვირდა და ისე მაგრად მიაჭირა ყური კედელს, რომ ტკივილი იგრძნო. გარაჟიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. ძალიან დაწყდა გული გოგის, ეჰ, წასულაო, ის იყო სამალავიდან გამოსვლა დააპირა, რომ ნოდარის ხმაც გაიგონა, ისევ ეშმაკურად ჩაეღიმა და ყურები ცქვიტა. კედელში გარკვევით ატანდა ხმა. გოგის ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რით დამთავრდებოდა დაბოღმილი ბიჭების ეს გადალაპარაკება.

— ჰა, გელა, თქვი ეხლა რამე! — ეს რეზო იყო.

და უცებ გელამ იფეთქა:

— რა უნდა ვთქვა, რა გინდათ ჩემგან! რაც თქვენ იცით, მეც ის ვიცი! თქვენ მე გიორგი სააკაძე ხომ არ გგონივართ! რას ჩამაცივდით, ტვინი არა გაქვთ თავში?! ერთხელ თქვენც თქვით, სულ გელა, გელა, გელა რო გაკერიათ პირზე! იქნებ ავად გახდა! იქნებ საცინლად აგვიგდო! ვცემოთ? თითები გადავუმტვრიოთ? მოვკლათ: ჰმ, თორმეტი მუტრუკი ერთ ბიჭს როგორ ვერ მოვერევით!

სწორედ ამ დროს გარაჟში გაღიმებული მევიოლინე შემოვიდა. ვითომც არაფერი გაუგონიაო, მიამიტი სახით მიესალმა დამხვდურთ:

— გამარჯობათ, ბიჭებო!

იმდენად მოულოდნელი იყო გოგის მოსვლა, რომ ბიჭებმა გაოცებული სახებით და ტუჩების ცმაცუნით დაუკრეს თავი.

— გაა.. გამ.. გამარჯობათ!

ზუსტად ასე უპასუხა უკლებლივ ყველამ — გამარჯობათო! თითქოს მათ წინ ის ბიჭი კი არ იდგა, რომლის შესახებ წუთის წინ გულგასიებულნი ბჭობდნენ, არამედ სრულიად სხვა, მათზე გაცილებით დიდი, მათთვის მიუწვდომელი პიროვნება და, თუ არა ასე — გამარჯობათო, სხვაგვარად როგორ შეკადრებდნენ მოწიწებულ სალამს.

მევიოლინემ გარკვევით გაიგონა ეს გამარჯობათო, მშვენივრად იგრძნო მისი მნიშვნელობა და უდიდესი სიამოვნებით დაიწყო დაკვრა.

როცა, დაამთავრა, იმავე ეშმაკური ღიმილით მოიბოდიშა, მეჩქარებაო და წავიდა. ბიჭები გაქვავებულები იდგნენ. მისი წასვლის შემდეგ ისედაც მთელი დღის მზით ნახურებ გარაჟში ისე ჩამოცხა, სუნთქვა გაჭირდა. გელა თავს ძალას ატანდა, უნდოდა ჩვეულებრივად დაეყვირა, აბა, ბიჭებო, ფულით, მაგრამ სული ეხუთებოდა. ბიჭები უსიამოდ ელოდნენ, სადაცაა იყვირებს გელაო, მაგრამ გელა ხმას არ იღებდა. ასე სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, ესეც ძალიან დიდ დროდ მოეჩვენა ყველას. ამ აუტანელ სიჩუმეში ზარივით გაიწკრიალა მიხას ძახილმა:

— ჰეი, ბიჭებო, მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთ!

თითქოს ტყვეობიდან დაიხსნესო, ისეთი ყრიამული ატეხეს ბიჭებმა. იმ საღამოს, ეზოში, ვიდრე კარგად არ ჩამობნელდა, ისე თავგამოდებით სცემდნენ ბურთს ბიჭები, თითქოს ვილაცის ჯავრს მასზე იყრიანო.

როცა კვლავ მოატანა გოგისთან შეხვედრის დღემ და მანაც ჩვეულებრივ დაუკრა, გელამ უთხრა, მოდი, ჩვენთან ერთად ფეხბურთი ითამაშეო, გოგი დაეთანხმა და ისე გაიხვითქა ბურთის თამაშით, რომ თქვენგან მოწონებული.

ამის შემდეგ სულ ასე იქცეოდნენ, მოუსმენდნენ გოგის და მერე ჰაიდა, ფეხბურთის სათამაშოდ.

მაგრამ ერთ საღამოს გოგი როგორღაც არეული მივიდა ბიჭებთან. ბიჭებმა შეატყვეს და ჰკითხეს, რა მოგივიდაო, არაფერიო და გოგიმ დაიწყო დაკვრა. თავიდან ბიჭებმა იფიქრეს, იქნებ გვეჩვენებაო, მაგრამ მერე და მერე დარწმუნდნენ, რომ გოგი დღეს აშკარად ვერ უკრავდა. გელამ დაკვრა შეაწყვეტინა და ჰკითხა:

— გოგი, რამ მოგივიდა?!

— არაფერი.

— რაღა არაფერი, ეგრე ცუდად შენ არასოდეს დაგიკრავს, — წყენით უთხრა რეზომ.

— არ იტყვი, რა გჭირს? — მერე ნუგზარი ჩაეკითხა.

გოგი ჩუმად იყო.

— თქვი, ბიჭო, და იქნებ ჩვენ შეგვიძლია დაგეხმაროთ! — ეს ჰუკა იყო, ის ჰუკა, რომელსაც პირველი შეხვედრისას გოგიმ კარგად მოსდო.

ჰუკას სიტყვებზე ყველას გაეღიმა, გოგისაც.

— ბიჭებო ,— წამოიწყო მევიოლინემ დარცხვენილად, — ხვალ პირველი კონცერტი მაქვს და აჰა, ძალიან ვდელავ, არა, ნაღდად ვერ დავუკრავ კონცერტზე, რა მეგონა, თუ ასე ვიღელვებდი.

— ჰოო, — სახეები დაუგრძელდათ ბიჭებს.

— კონცერტი?! — თითქოს ჩინური სიტყვა გაიგონაო, ისე გააგრძელა გელამ.

— ჰო, პირველი კონცერტი, — ჩუმად, ძრთოლვით გაიმეორა გოგიმ.

გარაჟში წამით სიჩუმე ჩამოწვა, მერე გელას სახე გაუნათდა:

— ჰა, კონცერტი! გაქვს და გქონდეს! მაგას რა სჯობია, ბიჭო! შენ რისი უნდა გეშინოდეს, გოგი! შენ რო დაკვრა შეგიძლია, თავს მოვიჭრი, თუ ეგრე შენი ტოლი კიდე ვინმე დაუკრავს მთელ თბილისში! არა, ჩვენ აქ არა ვართ, ბი-

ჰო! ჩვენ აბა რისი მაქნისები ვართ, თუ შენ მხარში არ ამოგიდექით!! ეგრე არაა, ბიჭებო!

— ეგრეა!!

— მა რა!!

— აბა, რა!!!

— აჰა, გოგი, ხომ ხედავ, სუყველა შენთანა ვართ! შენ ის გვითხარი, სად და რომელ საათზე ნოვიდეთ და დედას ვუტირებთ, აბა ერთი ვინმემ შენზე ხმა ამოიღოს!!

ამის გამგონე გოგის გული აუჩუყდა, ცრემლებიც კი მოადგა თვალზე, მაინც გაეღიმა:

— ბიჭო, იქ კი არავინ მეჩხუბება!

— ეგლა გვაკლია, იქ ვინმემ ჩხუბი დაგიწყოს, — დინჯად ჩაილაპარაკა ნუგზარმა.

— გოგი, ერთი ეს გვითხარი, იქ რა უნდა დაუკრა? — ჰკითხა ლადომ.

— აი, ეს, რასაც ეხლა ეგრე ცუდად ვუკრავდი, — ისევ გულმოკლულად თქვა გოგიმ.

— მოდი, გოგი, იცი რა, ერთხელ კიდევ დაუკარი! — უთხრა მიხამ.

— აცალე ბიჭო, ჯერ სული მოითქვას, — ჩაურთო რეზომ.

— ჰო, გოგი, ცოტა შეისვენე და მერე მიდი, ერთი შენებურად, ››, მაგის ღმერთიც არ იყოს, მიდი, ერთი შეუბერე! — გაამხნევა გელამ და მხარზე ხელი თბილად ნოუთათუნა.

— ბიჭო, იქნებ სიგარეტი მოსწიო, ა? ნერვებს აწყნარებს, იცი! — გამოიდო თავი ჩუკამ.

მაგრამ გელამ ჩუკას ერთი შეუღრინა და თავშიც წასდო:

— დაიკარგე იქით, შე ლაწირაკო, გამომივიდა ეხლა ესეც მეცნიერი!

ამაზე ყველას გაეღიმა. გოგი მართლა დამშვიდდა.

— ჰა, მშვიდად, გოგი, გენაცვა, მშვიდად!

— მიდი, ერთი შენებურად!

— მიდი, გოგი, მიდი!

ამხნევებდნენ ბიჭები. გოგიმ ვიოლინო მოიმარჯვა. ბიჭები გაინაბნენ. გარეშემო დაირხა ვიოლინოს ჯადოსნური ჰანგი. ეს სწორედ ის ჰანგი იყო გოგიმ რომ პირველად იმ დღეებში ახმიანა. თავიდან თითქოს მაინც დააკლდა გამბედაობამ, მაგრამ მერე და მერე ისეთი ეშხით ააჟღერა ბიჭმა ვიოლინო, დაატყვევა მსმენელნი. უკრავდა გოგი და კვლავ ივსებოდა სივრცე საოცარი ხმებით. ვიოლინოს მჟღერი, დაუოკებელი ხმა დახუთული გარაჟის ყრუ კედლებში ვერ ეტეოდა, თავისუფლად ატანდა გარეთ და უსასრულო სივრცეს ეფინებოდა.

საოცარი, უძლეველი ძალა ჰქონდა ამ ვიოლინოს.

* * *

მეორე დილით მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო სავსე. მსმენელთა შორის აშკარად გამოირჩეოდა თორმეტი გამოწკეპილი ბიჭი. მათი მიხვრა-მოხვრა, გადაჩურჩულება და დაძაბული, გულწრფელი ბავშვური სახეები აშკარად მოწმობდა, რომ ისინი პირველად იყვნენ ასეთი ადგილას. ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ გოგის გამოჩენას.

გოგიმ გამოსვლისთანავე შეამჩნია მეგობრები, გაუღიმა მათ და უცებ ისეთი რწმენა, ძალა და დაკვრის ჟინი იგრძნო, რომ თავი ბუმბერაზად წარმოესახა.

გოგიმ ბრწყინვალედ დაუკრა!

ვიდრე ოვაციები ჰქუხდა, გოგისთან მიიჭრა ჩუკა და ბიჭების სახელით ვარდების დიდი თაიგული გადასცა. მართალია, ეს ვარდები ბიჭებმა მეზობელ მებაღეს აუწაპნეს, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ამაზე უკეთესი საქმისათვის მებაღე ამ ყვავილებს ნაღდად ვერ მოიხმარდაო.

კონცერტის შემდეგ გოგის მასწავლებელი შეშფოთებული შეჰყურებდა, მისთვის უცნობო, გახარებული ბიჭები როგორ ისროდნენ ჰაერში მის საუკეთესო მოწაფეს და დაბნეული გაიძახოდა:

— ფრთხილად, ხელი არ ატკინოთ, ნელა, თითები არ მოტეხოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ დანელია

## მიწაო, მზეო...

მიწაო, მზეო,
ჩემო დედაო,
უბეში შენი მუგუზალი ისევ მიღვივის
და თუ ოდესმე, ე, ვინ უწყის, სისხლი შედედდეს,
ისევ და ისევ შენ უშველე, შენ მიიღე,
ჩემო დედაო,
და სამუდამოდ გამოხვიე შენს თბილ ნაბადში
და ყვავილები სანთელივით ისე აუნთე,
რომ შენატროდეს ამ დაბადებას!

ლამაზმანების ჩუმი გალობა ასმენინე, ჩემო დედაო!...

მიწავ, ქართულო,
ჩემო დედაო,
უბეში შენი მუგუზალი ისევ მიღვივის
და თუ ოდესმე ჩემს სხეულში სისხლი შედედდეს,
აი, მაშინაც შენ უშველე,
შენ მიიღე,
ჩემო დედაო!

* * *

ტყიდან ტყეში
გადაფრინდა თაფლისფერი ცეცხლი ჩიტივით.

ოჯალეშის მტევნებს გააქვთ კამკამი,
გააქვთ კამკამი,
ხოლო ტყის ბაგეებიდან
აფრენილი ლამაზი ცეცხლი
ისევ და ისევ ცეკვავს დედამიწის
ქათქათა მკერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . . .

ა, უკვე,
უკვე შემოიტანა
ტყის ნათელი
ჩალისფერმა პირუტყვმა
ჩემს ეზოში და ჩემს ჯარგვალში.

* * *

მიაფრიალებდა შავ ღრუბელს ქარი,
გამოქცეული ქარი საკნიდან.

ბზის ბუჩქების მწვანე სინათლე
ჩაფრენილიყო ნაცრისფერი ბეღურების
წყლიან თვალებში
და... ქანაობდნენ ბეღურები მიმწუხრის ფრთებზე.

წამიც და თოვლი თავის სხეულს აამღერებდა
და, სახწაულად,
გოგოს ხელში ცეცხლისფერი ყვავილი ენთო.

**1941**

გზას გაუყენეს ნაცრისფერი ჯაგლაგა ცხენიც.

...ხალხი დიოდა წისქვილიდან წისქვილისაკენ,
რათა ეცქირათ დოლაბისათვის,
რომელიც ისევ გალობდა და თოვლს ახვავებდა.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ...

სოფლის შუაგულში კი კვამლისფერი
კაბების ღრუბელს
საოცარი ჰქონდათ ფერხული.

* * *

შემოდგომის მზე შემოდის სოფლად,
შემოდის ჩემი სოფლის ბილიკით,
პატარა ღელე ისევ ქილიკობს,
ხოლო ცხენისწყალს,
ჩემს ცხენისწყალს
მღვრიე თვალები უჭრელდება

და ნაპირს აწყდება,
ძალობს მინდვრისკენ.

შემოდგომის მზე შემოდის სოფლად.

მწიფე ყანაში დგას თეთრი ძროხა,
თოვლივით თეთრი
და ყნოსავს მსუქან და რძისფერ ნისლებს..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ბუხრისპირიდან კარგა ხანია გადაინაცვლეს
კაცებმა,
ე. ი. დაიძინეს,
სიზმრის ტყეს მისცეს თავი,
სიზმრის ტყეს —
შუაღამის თაფლს.

სიზმარში ნახეს,
სოფელს ქარგავდა ქათქათა თოვლი,
რატომღაც უცებ ყველას ერთად
გამოეღვიძათ,
გამოეღვიძათ,
გაიხედეს უმალ ფანჯრებში,
ნათელ ფანჯრებში,
მამალმაც ამ დროს იყივლა
და შეარხია პირველი ფიფქი.
რა ნახეს ეს კაცებმა
ბავშვებივით გაიხარეს
და იყვირეს:
თოვლს გაუმარჯოს!..

* * *

მთიბავები თიბავდნენ ზღვისპირს,
მზე გორაობდა ტალღისფერი ნათიბის ზღვაში.

...ქარი კივილით
მიაფრიალებდა ყვავისფერ ღრუბელს
მთებიდან მთისკენ,
მთიბავები თიბავდნენ ზღვისპირს...

და ცეცხლი ენთო ტალახისფერ ტალღის ნათიბში.

* * *

მე მინდა იყო ჩემი ღიმილი
ამოსული ჩემივ ყანიდან,
მე მინდა იყო ჩემი სიმღერა,
ჩემი სიმღერა —
ლორთქო ბალახი...
ჯანდაბას მქონდეს უცეცხლო ლექსი!
სტრიქონი უნდა გულს მიგახატო,
ვით მზისმიერი და მზისფერი
ჩემი სიმღერა.
გალობს მაისი.
მოდის სიმღერა —
სულ პატარა მეზობლის გოგო
და მე მომიხმობს მარტვილისაკენ,
რათა ისევე დამიბრუნოს ნამგალა მთვარე.

მე მინდა იყო ჩემი ღიმილი,
ჩემი ცრემლი
და ჩემი გალობა
ამოსული ჩემივ ყანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონება

ჩემს კახას

პატარა ბიჭი წითელლაწვება
ვიღას უმალავს უბეში ატამს!..
ო, ღმერთო,
ღმერთო, ერთჯერ მაჩვენა
ის ბიჭი,
ის — მე

და მერმე რა წამს
ინებებ რასმე
შენ დაგანაცვლებ,
ოღონდ ის ბიჭი წითელლაწვება,
ერთჯერ ისევე,
ოღონდ მაჩვენე,
ო, ღმერთო ჩემო!..

## ვედრება

ეს ქუჩა, ვიცი, ცისკენ მიდის...

მაისი ისევ ამღერდება,
ჩემი ქვიშისფერი ჩიტი
ისევ დამიბრუნეთ, ღმერთებო,
მუხლზე დამაგდეთ და მალოცვინეთ,
ჩემი საქართველო მალოცვინეთ,
ერთი წამითაც არ მომცილდეთ,
მარტვილზე ასვლამდე არ მომცილდეთ,
დიდი სიყვარულით ამამღერეთ,
ქვიშისფერ ჩიტებივით ამამღერეთ,
თქვენ, თქვენ გევედრებით
მამულის ღმერთებო!

ეს ქუჩა ჩემი შენსკენ მიდის.
მაისი ისევ ამღერდება, —
ჩემი ქვიშისფერი ჩიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ხოშტარია

## ახლა ჰყვავიან

აქ მზის ამოსვლას ვინ არ შეჰხარის,
ისეთი კარგი თენდება დილა,
კვლავ საამურად ნელი სიო ქრის,
არსად ჩანს ღრუბლის აქ შავი ფთილა.

გულახდილი და სიწრფელით სავსე,
ასე ვფიქრობდი: ნუთუ არა ჰგავს?!
მერცხლის ჟღურტული მე მივამსგავსე
ენაადგმული ბავშვის ლაპარაკს.

ხეზე ფოთოლი შეირხეოდა
გამხარებელი იყო გუნების,
სადაც მივედი, ყველგან მხვდებოდა
მშვენიერება ჩვენი ბუნების.

უკვდავებასთან თითქოს წილდებულს,
საუკუნეებს გასწვდება, დაძლევს...
ნათლის სვეტებად მუდამ ანთებულს,
მე ვენაცვალე ლიკანის ნაძვებს.

ქართველმა კაცმა მტერთან ბრძოლაში,
ოი, რამდენი სისხლი აქცია,
მაინც ეს მხარე ქართა ქროლვაში
ნეტარ წალკოტად გადააქცია.

წყევლა გარდასულს, ბნელ დროს,
გვალვიანს,
დაივსოს თვალი — ავად შემხედი,
ახლა შეხედეთ როგორ ჰყვავიან —
ჩვენი ქართლი და ჩვენი მესხეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალ თაობას

აქ ბორჯომის ხეობაში
ზანტად წვება ნისლი,
თბილი მიწა სიცოცხლის წყალს
მაღლა შხეფად ისვრის.

სად მოვედი, ვინ იცოდა,
ფასი ლამაზ მხარის,
შფოთიანი აქ გუგუნი
დამხვდა მთა და ბარის.

ეხ, ვარდებო, მომიტევეთ
ვერ გივლიდით კარგებს,
ოცნებაში ხეტიალით
ნუთუ დამეკარგეთ!

ია-ვარდით მოფენილი,
არ მქონია გზები,
იყო რწმენა ჰპეტაკი და
მიტომ ვწერდი გზნებით.

მოწოდების ხმა მესმოდა,
და ზარივით რეკდა,
პატარების გულებშიაც
ჩემი ლექსიც ჟღერდა.

ეს ახალი თაობაა,
რომ არ გვაკლებს შველას,
მოდის მედგრად მოიჩქარის
ძლევს სიძნელეს ყველას.

გზას გადუჭრის, შეაჩერებს
რისხვას თვით სამუმის,
გამარჯვებით ევლოს მუდამ
პირმშოს საუკუნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# ერთი ქართული ბატალიონი

## I

იმავე ღამეს, როცა შეთქმულნი საიდუმლოდ თათბირობდნენ, წინა ვაგონში კაპიტანი ფონ ეიხბერგი და ზონდერფიურერი ზალუპი მაგიდას უსხდნენ. ორივეს გამარჯვებული კაცის იერი აღბეჭდვოდა სახეზე. მხიარულად, არხეინად ლაპარაკობდნენ, თითქოს ძნელად მოსაგვარებელი, ფრიად საგულისხმო ამოცანა შეესრულებინოთ და თვითკმაყოფილებას მისცემოდნენ.

— შენ უნდა გიმადლოდე, თორემ უთუოდ სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი! — თქვა კაპიტანმა და რომით სავსე ჭიქა აიღო, — გაგიმარჯოს, ზონდერფიურერო ზალუპ! — და სასმისი გადაჰკრა.

ზონდერფიურერმა ჭიქას ხელი წაატანა და ამაყად წარმოთქვა:

— თქვენც გაგიმარჯოთ! — და სასმისი ნელნელა დალია, ტუჩები ხელის გულებით მოიწმინდა, — ბატონო კაპიტანო, ალბათ გაგებული გექნებათ, რომ პირველმა ქართულმა ბატალიონმა პოზიცია დაიკავა თუ არა, ოცამდე ლეგიონერმა რუსებთან გადაირბინა. არც ესენი არიან სანდონი! ჯერ ფრონტზე არ მისულან და უკვე საიდუმლო ქსელს აბამენ, თათბირობენ! ვინ იცის, გულში რა უდევთ, რა აქვთ განზრახული?!

კაპიტანმა ეიხბერგმა ბრაზით წამოიძახა:

— შეთქმულთ იარაღი ავყაროთ! მოთავეები მწყობრის წინ დავხვრიტოთ, თუ ჭიჭინაძეც იმათ თანაუგრძნობს, არც იმას დავინდობთ!

— დილაზე ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება. ორივე ვაგონში აგენტი შევგზავნე.

— აი სწორედ მაგ აგენტების იმედი არ მაქვს. ის, ვინც თავისიანები გაყიდა, არც ჩვენ გვიერთგულებს.

— ბატონო კაპიტანო, ვინც ყველას და ყველაფერს გაჰყიდის, სწორედ ასეთები არიან სხვებზე უფრო საიმედონი. ამათ გარდა, ბატალიონში ძალლივით ერთგული კაცი მყავს. — განაცხადა გულდაჯერებულმა ზონდერფიურერმა.

კაპიტან ეიხბერგმა პაპიროსს მოუკიდა, კვამლი ბოლქვებად გაუშვა:

— რა იცი, გულში რა სითვე, სიმხროტე უტრიალებთ! ერთმანეთისათვის თავს სდებენ, სიცოცხლეს სწირავენ! ნამდვილი ფანტაკოსები არიან!

ზალუპმა თავი შემართა და ქედმაღლურად თქვა:

— ბატონო კაპიტანო, ამაზე გულდამშვიდებული ბრძანდებოდეთ! ყველაფერი, რაც ჩემზეა დამოკიდებული, წარჩინებით დაგვირგვინდება.

ჭიჭინაძემ პაპიროსს მოუკიდა, ვაგონის კარი ოდნავ გააღო და ხარიხაზე გადაეყუდა.

ეშელონი სიბნელეში მიჰქროდა, მიგრიალებდა.

იგი დაღლილობას გრძნობდა, არა უძილობითა და ხანგრძლივი მგზავრობით, არამედ იმ არასასიამოვნო განცდების გამო, რაც მასში შეკრებაზე მომხდარმა ინციდენტმა აღძრა.

ვაითუ, ეშელონი, უკან გააბრუნონ, ან ბატალიონს იარაღი აჰყარონ. ორივე შემთხვევაში გამოსავალი ერთია: არდამორჩილება, შებრძოლება!

რაკი შუაღამე გადასული იყო, საწოლზე ტანსაცმელგაუხდელი მიწვა. ეგონა დაღლილ-და-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

ქანცულს მიეძინებოდა, მაგრამ მის თვალებს რული არ მიეკარა..

დილით ზონდერფიურერ ზალუპს უხასიათოდ გაეღვიძა. მოთენთილი იყო, მოდუნებული. კაეშანს მოეცვა მისი სული. საგნებს ბუნდოვნად, მქრალად ხედავდა.

ეშელონი ბაქანზე იდგა.

ზონდერფიურერმა ჭიქა რომი გადაჰკრა და ჰოლანდიური შოკოლადის ფილა დააყოლა. ორდინარეცის მიტანილი წვნიანი კი გვერდზე გადადგა.

კარი დააკაკუნეს.

— შემოდი! — გასძახა ზონდერფიურერმა.

კუპეში ტანმაღალი, ქერა თარჯიმანი შემოვიდა:

— დილა მშვიდობისა, ბატონო ზონდერფიურერო, აგენტების გადმოცემული ინფორმაცია მოგართვი!

— წამიკითხე!

ჯარისკაცმა წერილების კითხვა დაიწყო.

პირველი ასეულის აგენტი სწერდა, ვაგონში უცხო არავინ ამოსულა, წითელი არმიის მხარეზე გადასვლის შესახებ კრინტი არავის დაუძრავს, შეღამდა თუ არა, ლეგიონერებმა დაიძინესო.

მეორე და მეოთხე ასეულის აგენტებიც სიტყვა-სიტყვით ამასვე იტყობინებოდნენ.

— მესამე ასეულიდან რაღას იწერება? — იკითხა ზონდერფიურერმა.

— ის ამ დილით არ გამოჩენილა! ყველა ვაგონში ვნახე, მაგრამ ვერ ვიპოვე.

— ოცეულის მეთაურს ჰკითხე?

— ვკითხე, წუხელ თვალი არ მომიკრავს, არ ვიცი, რა იქნა, სად დაიკარგაო.

ზონდერფიურერმა თარჯიმანს რისხვით გაუშტერა თვალი, თითქოს ის იყო დამნაშავე და აღრენით უბრძანა:

— წადი. კარგად მოძებნე, აქ იქნება, აბა სად წავიდოდა!

— გისმენთ, ბატონო ზონდერფიურერო! — და თარჯიმანი მორჩილად კუპედან გავიდა.

ზონდერფიურერმა ვაგონში გაიარა და რომელიღაც ფაშისტური მარში წაიმღერა. მერე სკამსაწოლზე დაჯდა, ჯიბიდან ბარათი ამოიღო, წუხელ ხარკაძემ რომ გადასცა და გულდასმით წაიკითხა. თითქოს თავსატეხ ამოცანას სწყვეტსო, შუბლი მუხლისთავებზე დაყრდნობილ ხელებში ჩარგო და თვალები დახუჭა.

გულმოსასვლელი არაფერია! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, თვითონვე უბრძანა ხარკაძეს, ლეგიონერები აიძულე მძინარაშვილი ვაგონიდან გადააგდონო. რაც უფრო ნაკლებს ეცოდინება ეს ამბავი, მით უკეთესია, ამიტომაც დაუმალა თარჯიმანს. ვნახოთ, რას გაიგებს, რას დაადგენს. თუ ეს ამბავი ვერ გახსნა, მაშასადამე, ლეგიონერებს პირი შეუკრავთ, ორგანიზებულად მოქმედებენ!

ჭიჭინაძის საქციელი აოცებს. ნუთუ თათბირი იმისათვის მოიწვია, რომ ამხანაგები დაერწმუნებინა, ჩვენთვისაც და ქართველი ხალხისათვისაც უმჯობესია გერმანელებს ვუერთგულოთო.

ეტყობა, ჭიჭინაძე ცბიერია, მათი გაცრუება სწადია; კარგი და ასე ვილას გასაგონად ლაპარაკობდა, მოღალატეს ხომ ბოლო მოუღეს! იქნებ ჭიჭინაძე და მისი თანამზრახველნი ეშმაკობას მიუხვდნენ? არა, ეს დაუჯერებელია! შეიძლება ჭიჭინაძე მართლაც მივიდა ამ დასკვნამდე? გერმანიის გამარჯვება ხომ ეჭვს არ იწვევს, ადამიანი კი ბუნებით ასეთია: ყოველთვის ძლიერის, გამარჯვებულის მხარეზეა. თანაც ლეგიონერებს სჯერათ, გერმანია საქართველოში ბაგრატიონთა სამეფოს აღადგენსო.

თუ ქართველთა ბატალიონი ფრონტზე თავდადებით იბრძოლებს, ეს, უწინარეს ყოვლისა, მისი დამსახურება იქნება. შეფს უნდა შეატყობინოს. კაპიტანი ეიხბერგი ლმობიერებას იჩენს, რის გამოც ბატალიონში დისციპლინა მოიკოჭლებს.

მერე რა გამოვა? ამ შინაარსის წერილი ხომ ადრეც გაგზავნა! ეიხბერგს შტაბში ვიღაც მფარველობს, თორემ თუ ბატალიონის მეთაურობიდან არ გადააყენებდნენ, საყვედურს მაინც გამოუცხადებდნენ. შეფს მაინც მისწერს,.. თუ რაიმე გაუგებრობა მოხდება, თავს ხომ იმართლებს, მეტი რა მეღონა, გწერდით, გატყობინებდითო. ცდა ბედის მონახევრეა. იქნებ ეიხბერგს ახლა მაინც აუწიონ ყური. შეიძლება ბატალიონის მეთაურად ზონდერფიურერი ზალუპი დანიშნონ. აი, ეს მესმის! მერე ისიც განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონისა! მალე თბილისის თავზე გერმანული დროშა აფრიალდება. საქართველოს მოსახლეობა აღფრთოვანებული შეხვდება თანამოძმეებს. ბატალიონის პირად შემადგენლობიდან შეარჩევენ კომენდატურისა და პოლიციის თანამშრომლებს! ზონდერფიურერი ზალუპი იქნებ თბილისის კომენდანტად, ან პოლიციის უფროსად დანიშნონ. რამხელა ასპარეზი გადაეშლება! თურმე უმდიდრესი ქვეყანაა საქართველო. მუზეუმები, ტაძრები, სავსეა საგანძურით. ადვილი შესაძლებელია თამარ მეფის ნაქონი ბეჭდები, სამაჯურები, ძვირფასეულობა ჩაუვარდეს ხელში! როგორ გაუხარდება ჰენრიეტას, სულ იმას რომ იწერება, მეზობლებს, ახლობლებს რუსეთიდან ამანათი ამანათზე მოსდით, ქონებით ივსებიან, შენ რა ღმერთი გიწყრება, ღია ბარათებისა და ფოტოსურათების მეტს რომ არაფერს მიგზავნიო...

მოღრუბლული დილა გათენდა. არემარეს თეთრი, გამჭვირვალე ნისლი აწვა, ეშელონი სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურ ბუნიაკ-მეორის დასაცლელ ბაქანზე გააჩერეს.

სამხრეთიდან არტილერიის შორეული გუგუნი ისმოდა, ცაში თვითმფრინავები ღმუოდნენ.

ირგვლივ მოჩანდა გატრუსული ბორცვები, გასხეპილი, მხრჩოლავი ტყეები, გადამწვარი, იავარქმნილი სოფლები.

სამხრეთით მიემართებოდნენ ტანკები, საბრძოლო მასალით დატვირთული მანქანები. გზაზე ავარდნილი მტვრის კორიანტელი მთაგორებს ეფინებოდა.

ბაქნიდან ორასიოდე ნაბიჯზე, ფიჭვნარში, საველე ლაზარეთის კარვებ გაეჭმიათ, აქვე დაჭრილებით სავსე მანქანები იდგა. ფიჭვნარის შორიახლო, მდელოებზე უთვალავი არყის ხის ჯვრების მწკრივები რომ მოჩანდა, გერმანელი ჯარისკაცები საფლავებს თხრიდნენ.

კაპიტანმა ეიხბერგმა ასეულის მეთაურებს უბრძანა, სასწრაფოდ გადმოიტვირთეთ, ეშელონით დაჭრილები უნდა გაგზავნონ ზურგშიო.

ლეგიონერებს ვაგონებიდან ჩამოჰქონდათ საჭურველი, საბრძოლო მასალით სავსე ყუთები, სურსათი.

გადმოტვირთვისთანავე ქვედანაყოფებში ამოკითხვა ჩატარდა.

ჭიჭინაძემ ეიხბერგს აუწყა:

— ბატონო კაპიტანო, ასეულში ერთი ლეგიონერი აკლია!

—რა იქნა?

— ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მგონი ეშელონს ჩამორჩა!

— გვარი?

— რიგითი მძინარაშვილი!

ზონდერფიურერმა ზალუპმა, კაპიტან ეიხბერგს გვერდში რომ უდგა, ჭიჭინაძეს ჯარისკაცის გვარი გაამეორებინა ჩანთიდან ამოღებულ უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

კაპიტანმა ეიხბერგმა სიტყვით მიმართა ბატალიონს. მის ყოველ წინადადებას თარჯიმანი რუსულად იმეორებდა:

— ჩვენ უკვე ფრონტზე ვართ. ამაღამ ტუაფსეს მისადგომებთან საბრძოლო პოზიციას დავიკავებთ, მალე დაიწყება დიდი შეტევა და ჩვენ საქართველოში შევალთ. ქართველი ხალხი ზარ-ზეიმით შეეგებება თავის განმათავისუფლებლებს, თითოეული თქვენგანისათვის დიდი ღირსებაა ბატალიონის რიგებში ყოფნა. გერმანიის არმიის სარდლობას იმედი აქვს პირნათლად შეასრულებთ საბრძოლო ამოცანას: მამაცურად, თავდადებულად იომებთ კომუნისტების გასანადგურებლად. ვინც თავს აარიდებს ბრძოლას, სიმხდალეს გამოიჩენს, ან ღალატს შეეცდება, უსიტყვოდ დაიხვრიტება.

ეიხბერგმა ჭიჭინაძეს უბრძანა, მისი სიტყვა უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, ქართულად ეთარგმნა.

ვიქტორმა ზუსტად გაიმეორა ეიხბერგის ნათქვამი და ბოლოს დაუმატა:

— ძმანო, ქართველნო, ჩვენი დედა, ჩვენი აღმზრდელი საქართველო განსაცდელშია! ჩვენ მოვედით სამშობლოს გადასარჩენად! მისი ინტერესების დასაცავად, გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას! ვაშა!

— ვაშაა! — შესძახეს ლეგიონერებმა.

— კაპიტანო, რას ყვირიან! — იკითხა ეიხბერგმა.

— უხარიათ, საქართველოს გასანთავისუფლებლად რომ მიდიან! — მიუგო ჭიჭინაძემ.

მწყობრი რომ დაიშალა, ბატალიონის მეთაურის შიკრიკმა სურამელს აცნობა, ზონდერფიურერი ზალუპი გიბარებსო.

სურამელმა ფარაჯა და საველე ჩანთა ვარდიაშვილს დაუტოვა და გზისპირას მდგარ მოჩარდახულ მანქანისაკენ გასწია.

ვარდიაშვილმა თვალი გააყოლა სურამელს და გუნებაში წაილაპარაკა, ეს ისეთი ვაჟკაცია, ათეულის, ან შეიძლება ოცეულის მეთაურად დანიშნონო.

სურამელი კი გულში ფიქრობდა: „ვერ არის საქმე კარგად! ალბათ ზონდერფიურერმა ჩემი ვინაობა დაადგინა! მერე ასე უცებ შესძლებდნენ ამას? ასეა თუ ისე, გული ეუბნება, რომ სს-ელი ოფიცერი სასიკეთოდ არ იბარებს!“

სურამელი ფიქრიდან ზონდერფიურერის ჩარდახგადაფარებულ მანქანასთან გაჩერებულმა გუშაგმა გამოიყვანა, ხელით რომ ანიშნებდა, უფროსი გელოდება, შედიო.

ზონდერფიურერი ძარის კუთხეში მიდგმულ მაგიდას უჯდა. ამოყვითლებული თვალებით სურამელს დააშტერდა და წვრილი, ქალური ხმით უთხრა:

— ჰო, ჩვენ უკვე ვიცით, ვინცა ხარ! შენი წარსულით ჩამოხრჩობას, ან უკეთეს შემთხვევაში, დახვრეტას იმსახურებ!

სურამელის ელდა ეცა. გაოგნებული პატარა ფანჯარას მისჩერებოდა, რადგან გრძნობდა, რომ ზონდერფიურერი მისი თვალების დაჭერას ლამობდა. უამისოდაც ზალუპის გამჭოლი გამოხედვა ერუანტელს ჰგვრიდა.

საოცარია! როგორ, რა გზით შეძლეს ამის გაგება! ნუთუ არაფერი ეშველება, დასჯიან? ძნელია თავის გამართლება, მაგრამ ყირამალაც რომ დაკიდონ, დანაშაულს არ აღიარებს, არ გატყდება!

სული უცებ გაუცხოველდა, სითამამე და გაბედაობა შეემატა:

— ბატონო ზონდერფიურერო...

ზალუპმა ხელის აწევით შეაჩერა... მერე, მაგიდაზე უდარდელად თითები აათამაშა:

— თავის მართლება არ გაგივა, აღიარე დანაშაული!

— რა დანაშაული?! — უნდოდა მტკიცედ, თამამად ეთქვა, მაგრამ მის ხმაში ბზარი გაჩნდა.

ზონდერფიურერმა კი, იმით კმაყოფილმა, რომ სურამელი შეკრთა, შეშინდა, ხმას აუწია:

— სიცოცხლე გინდა, თუ სიკვდილი? — და რაკიღა იცოდა, თუ რომელი ერჩია ჭარისკაცს, ეს მისგან დასტურს არ საჭიროებდა, დაუმატა, — სიკვდილი წყვდიადია, გაქრობაა. გაცილებით უმჯობესია იცხოვრო, დატკბე ამქვეყნიური სიამით.

სურამელი ცდილობდა გულგრილი გამომეტყველება მიეღო. თავი სძულდა იმ გაუგებრობისა და შიშისათვის, რასაც სულ უფრო მწვავედ განიცდიდა.

ზალუპმა ისე არხეინად განაცხადა, თითქოს უჩვეულოს არაფერს ამბობდა:

— ღმერთი ცოდვილს აპატიებს, თუ წრფელი გულით მოინანიებს. გწადია დანაშაულის გამოსყიდვა, შეგიწყალებთ, სიცოცხლეს გაჩუქებთ. გაჯიუტდები? ერთი ტყვია და შენი ჯანი! არჩევანი შენზეა, ან გახდი ჩვენი აგენტი, ან სული ღმერთს მიაბარე.

სურამელს სისხლი აუვარდა თავში, ასეთ რამეს იმიტომ მიბედავს, ეტყობა ლაჩრულად, მხდლურად მიჭირავს თავიო, და ხმის აწევით მიუგო:

— რას მაშინებთ?... დამხვრიტეთ! ჩამომახრჩეთ!

ზონდერფიურერმა გულდამშვიდებით მიუგო:

— დაფიქრდი, მერე, გვიან იქნება! კომუნისტებმა შენნაირ გულუბრყვილოთა მოსატყუებლად შექმნეს ცრუ-გმირები, რომლებიც ვითომ იხოცებიან და კომუნისტურ იდეალებს კი არ ღალატობენ! იდეალებს, თუ გამარჯვება უწერიათ, დარდი ნუ გაქვს, გამოჩნდებიან განხორციელებლები! შენ კი მიწაში იქნები, ჭიაღუა დაგეხვევა. — ზონდერფიურერმა ენა დაიმაქრა, — ვიცი, უცებ ვერ დამთანხმდები; სხვებსაც უჭირთ ხოლმე. ამიტომ ორ საათს დროს გაძლევ! წადი, მოიფიქრე!

სურამელის გასვლისთანავე ზალუპი ფიქრებს მიეცა.

„ღმერთს რომ სიკვდილი არ მოეგონა, აი, მაშინ იქნებოდა უბედურება! მართლაც რა გვეშველებოდა?! ალბათ ამ მამაც ქართველებს ვერაფრით დავაშინებდით, კისერს ვერ მოვუგრეხდით. სურამელიც იუარებს, იჯიუტებს, მაგრამ ბოლოს მაინც ფეხებში ჩამივარდება, ყურმოჭრილი ყმა გახდება, რა კარგია, ადამიანი ბუნებით რომ მგრძნობიარეა! ყასიდად ვუთხარი, დიდი ცოდვები გაწევს მეთქი. ის კი დაიბნა, გაფითრდა, თვალი ველარ გაუსწორა. ჩანს, მართლაც ცოდვილია, ჩვენს თანამოძმეთა სისხლშია გასვრილი. მეტი არაფერი მინდა, უარი თქვას! სპორტული სანახაობა იქნება მისი ხეზე ჩამოკონწიალება!

სურამელი ბორძიკით მიაბიჯებდა, მუხლი ეკეცებოდა.

მზეს ბურუსის ზეწარი გაეფხრიწა, არემარე თეთრად ქათქათებდა. ის კი საგნებს ბუნდოვნად, ნისლით შებურულს ჰვრეტდა. ყველაფერი: ცა, მიწა, ტყე, ბორცვები, მანქანები, ადამიანები მორევივით ტრიალებდა, ბრუნავდა, და თითქოს იმასაც უფსკრული ითრევდა, ჭურღმული მიაქანებდა.

ბუჩქებში წამოწოლილ ამხანაგებს თვალს საბრალოდ ავლებდა. დამხმარეს, მანუგეშებელს ეძებდა, მაგრამ ყველას თავის ფიქრი აწუხებდა, მისთვის არავის ეცალა. უკვირდა, ამოდენა ხალხში, ნუთუ ერთი კაცი მაინც ვერა გრძნობს რა დღეში ვარ, გულში რა ცეცხლი მიტრიალებსო...

განცალკევებულ ბუჩქის ძირას პირქვე დაემხო. ფრჩხილებით მიწას ფხოჭნიდა, რატომ იტანჯა, ეს ამოდენა უბედურება რისთვის გამოიარა! ნუთუ ყველაფერმა ფუჭად, უნაყოფოდ, ამაოდ ჩაიარა?! როგორ გახდეს ჯაშუში, მოღალატე, ამხანაგების გამყიდველი?! ნეტავი გააგებინა, მის ადგილას სხვა როგორ მოიქცეოდა?! ფუ ეშმაკსა! საიდან დაებადა ეს სამარცხვინო აზრი? ამის გაგების წადილი ხომ თავისთავად სიმხდალე, სილაჩრეა!

იქნებ სჯობდეს ავტომატის ცეცხლით მოცელოს გერმანელი ოფიცრები და გაიჭრეს მთებისაკენ, ბუნდოვნად რომ ჩანან ცის კიდეზე.

და ეს სურვილი ერთბაშად მომწიფდა, მომძლავრდა, გაბატონდა მის სულში. მალიმალ ელდანაცემივით თავს მაღლა სწევდა, თვალებს მრისხანედ აბრიალებდა.

ევრც კი შენიშნა, როგორ მიუახლოვდა ვარდიაშვილი, ხელში წვნიანით სავსე კარდალი და პურის ნაჭერი რომ ეჭირა.

ვარდიაშვილს ეგონა სურამელს თვალგახელილი სძინავსო, ამიტომ შეანჯღრია, გაიღვიძე, საუზმე მოგიტანეო.

— არა, არ მძინავს! — ძლივს წაიდუდუნა სურამელმა და, თვითონვე გაოცდა, ხმა როგორ შემცვლიაო.

— რამ გაგაფითრა, ან ხელები რატომ გიკანკალებს, ხომ არაფერი გტკივა?

— როგორ გითხრა... რაღაც უხალისოდა ვარ!

— ჭამე, ჯანზე მოხვალ, გახალისდები!

— ლუკმა პირში გამეჩხირება!

— რატომ, ბიჭო, რა დაგემართა?

ეჰ, როგორ უნდოდა ეთქვა, წასულია ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე, ცოტაღა დამრჩა სიცოცხლეო, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ ხმა ამითრთოლდეს, ცრემლი ვერ შევიკავოო.

ვარდიაშვილი კი არ ეშვებოდა:

— სთქვი, რა დაგემართა, თვალი აგცრემლებია, ტირი, თუ რაშია საქმე?

სურამელმა ხელის გულებით თვალები შეიმშრალა და ახლაღა მიხვდა, რომ იცრემლებოდა.

დათვლილია ჩემი წუთები... სიკვდილი არ ამცდება, ერთმა კაცმა მაინც იცოდეს ჩემს თავს დატეხილი უბედურებაო, თანაც, ამასთან რა მაქვს დასამალი? სანდო კაცია, ათას ჭირვარამ გამოვლილი! იქნებ გონივრული რჩევა მომცესო, და გულის ვარამი გაანდო.

ვარდიაშვილი მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, და წასჩურჩულა:

— ამაზე კრინტი არ დასძრა! როცა ასეთი რამ შემოგთავაზეს, აყვანილი ხარ, თვალს გადევნებენ, გითვალთვალებენ! მამას მოვახსენებ, იქნებ გირჩიოს, როგორ მოიქცე-

ვარდიაშვილის წასვლისთანავე სურამელი ისევ პირქვე დაემხო, გულში იმედის ნაპერწკალი აუკიაფდა, შვება იგრძნო, სიმხნევე შეემატა.

იქნებ კაპიტანი ჭიჭინაძე გაქცევაში დაეხმაროს, დრო ჯერ აქვს, კიდევ შეიძლება თავის გადარჩენა! ეჰ, ასე ახლო მაინც არ იყოს საქართველოს მთები! ის კი უძლურია, დამონებული, სახიკვდილოდ გამეტებული...

და უცებ მისი გონება მოგონებათა ტალღებმა გაიტაცა, გაიხსენა დედა, მამა, ძმები, თვალწინ წარმოუდგა ნატო სწორედ ისეთი, როგორც ჩარჩა მეხსიერებაში გაცილების ჟამს: დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი.

ხედავდა საძოვრებს... ღრუბელივით შეფენილ ცხვარს, ბომბორა ნაგაზებს... ესმოდა სალამურის ტკბილი ღუღუნი. სხვა დროს ასეთი ზმანება უსაზღვრო ნეტარებას ჰგვრიდა, ახლა კი უფრო აალელვა, ალაჯზნო. ო, ეს მწველი, გულის დამთუთქავი ცრემლები! ახლა მილიონობით ადამიანი მოთქვამს, ქვითინებს! ნეტავი ამ საშინელებას როდის მოეღება ბოლო? ადრე თუ გვიან ხომ ქარბუქი გადაიქროლებს, მოიწმინდება ცა და ცხოვრება ძველებურად გაგრძელდება!? ის კი აღარ იქნება! რა ემართება? ასე რატო აუჩქროლდა გული, ნუთუ შიშმა აიტანა?!

ფეხის ხმა გაიგონა. მძიმედ ასწია თავი.

ვარდიაშვილი იყო.

— შენ რა, არ ისაუზმე? — და მყისვე დასძინა, — მამას ველაპარაკე!

— რა გითხრა?

— დათანხმდესო.

— ნეტავი ეს არ გეთქვა. ასეთი რამ როგორ შემომბედა?!

— ის არ შეცდება. მაშასადამე, ასეა საჭირო! ოღონდ უცებ არ დაუყვესო ზონდერფიურერის ნებას. რაც უფრო მეტ წამებას აიტანს, მტრის მეტ ნდობას მოიპოვებს, ჩვენ საერთო საქმეს უფრო დიდ სარგებლობას მოუტანსო. დროს ვიხელთებ თუ არა, მოველაპარაკები, მითითებას მივცემ, როგორ იმოქმედოსო. ახლა კი წავედი, ეჭვი არ აიღონ!

ორი საათიც არ იყო გასული, რომ სურამელი ბატალიონის შტაბში გამოიძახეს, ავტომატი აართვეს და ბადრაგის თანხლებით გზის მეორე მხარეს, ტყეში წაიყვანეს.

ტყის სიღრმეში, მაღალი ხეებით შემორტყმულ მდელოზე, ზონდერფიურერი მიმოდიოდა.

გერმანელი ჯარისკაცი ხეებს შორის გადებულ ხარიხაზე ყულფს კვანძავდა.

ზონდერფიურერმა მრისხანედ შეავლო სურამელს თვალი და ხელი სახრჩობელისაკენ გაიშვირა:

— ხედავ? არც ამისი გეშინია?

— სიკვდილზე უფრო სირცხვილისა მეშინია!

— მაშ, საიქიოს გაგისტუმრებ, მკვდრებმა რიდი აღარ იციან — და დამცინავად ჩაიღიმა, — ალბათ, გგონიათ, გმირად გამოგაცხადებენ, შენს სურათს სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანენ!

ბოლო სიტყვები ისე გამომწვევად, გამაღიზიანებლად თქვა, სურამელი აენთო, სიამაყის გრძნობამ გაიღვიძა მასში. კინაღამ არ შესძახა როგორც არ უნდა მაწამოთ, მოღალატე არ გავხდებიო, მაგრამ კაპიტან ჭიჭინაძის შემონათვალი გაახსენდა, ეტყობა საერთო საქმისთვის კიდევ ვარ საჭიროო და ენას კბილი დააჭირა, ბოღმა გულში ჩაიკლა.

ზონდერფიურერს ყველაზე უფრო სურამელის დუმილი უშლიდა ნერვებს. მგონი, ტყუილუბრალოდ კარგავს დროს: დაშინებით, მუქარით ვერაფერს გახდება! ალბათ შეუძლებელია ასეთი ადამიანების დამარცხება, ისინი უნდა მოსპო, გაანადგურო!

და ზონდერფიურერმა, თითქოს უჩინარ მტერს მათრახს ურტყამსო, ხელი გაიქნია, რაც მისმა ხელქვეითებმა ასე გაიგეს, დროა, საქმეს შეუდგეთო.

იმ გერმანელმა, ყულფს რომ კვანძავდა, ბუჩქიდან ტაბურეტი გამოიღო და სახრჩობელასთან დადგა.

თვალებდაჭყეტილი ზალუპა სურამელს მიუახლოვდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად მუშტი წასცხო კისერში და ხელის კვრითა და წიხლების ცემით შეეცადა წინ გაეგდო.

სურამელი უნებლიედ გაცეცხლდა, ალარაფრისა ეშინოდა. ზონდერფიურერისკენ გაიწია, ალბათ ყელშიც სწვდებოდა, მაგრამ მეავტომატე ჯარისკაცი გადაეღობა.

სურამელმა კბილებილა დაალრჭიალა, მწარედ ამოიოხრა.

— დასცხეთ! — შესძახა განრისხებულმა ზალუპმა.

გერმანელები სურამელს ეძგერნენ. მუშტი და წიხლი დაუშინეს. სურამელი მალიმალ უკან ტრიალდებოდა, ხელის კვრით გამხეცებულ გერმანელებს იგერიებდა. ერთს ცხვირში მუშტი მოსცხო, ამათი დედაც, ჩამომახრჩონ, ერთხელ სჯობია სიკვდილი, ნიადაგ შელონებასაო! — და თამამად ავიდა სკამზე.

ჯარისკაცმა სურამელს თავი ყულფში გაუყოფინა.

ზონდერფიურერმა ტაბურეტს ფეხი ჰკრა. სურამელს მარყუემა ყელში წაუჭირა და მისი ვეება სხეული თოკზე აფართხალდა. ტანით და იჭიმა, თითქოს ცდილობდა ფეხის წვერებით მიწას მისწვდენოდა. მერე თოკს წაატანა ხელი, მაღლა აიწია, მაგრამ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის უტყუარი ინსტინქტით მიხვდა, ყულფს თავს ვერ დააღწევდა და მყისვე ხელი უშვა, მოდუნდა.

ზონდერფიურერმა დაბალ ჯარისკაცს წაულაპარაკა, დროა. ამ უკანასკნელმა სურამელს ფეხებში ხელი სტაცა და ზედ ჩამოეკონწიალა. უცებ რალაცამ ჭახანი გაიღო.

თვალებგადატრიალებულმა სურამელმა ტომარასავით ზღართანი გაიღო და ხარიხა თავზე ჩამოემტვრა.

იგი თვალდახუჭული იწვა უძრავად.

დაბალმა ჯარისკაცმა ნიშადურის სპირტი ასუნებინა.

სურამელი შეინძრა, თვალი გაახილა, გონს მოეგო.

— ღმერთს შენი სიკვდილი არ სდომებია! მაშ ტყუილუბრალოდ დღეებს რატომ იმოკლებ? ერთხელ კიდევ გეკითხები, თანახმა ხარ თუ არა? — თითქოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მიზანს მიაღწია, შერბილებული კილოთი თქვა ზალუპმა.

სურამელმა თვალი დახუჭა. არ სურდა დაენახა ის აღფრთოვანება, რასაც მისი სიტყვები ზონდერფიურერს განაცდევინებდა და ძლივს ამოღერღა:

— თანახმა ვარ!

პირველ ნოემბერს, ვახშმის წინ, კაპიტანმა ჭიჭინაძემ ასეულის მეთაურებს შეუთვალა, ჩემმა ორდინარეცმა შაქარი ღვინოში გაცვალა, გეპატიჟებით, მინდა მამაპაპური პური ვჭამოთო.

ჭიჭინაძემ კაპიტან ეიხბერგსაც სთხოვა სწვეოდა, იმხანად შტაბის უფროსი ლეიტენანტი შტაინგეიმიც მიიპატიჟა, არც ზონდერფიურერი ზალუპი დავიწყებია, მაგრამ სამივემ შემოუთვალეს, საღამოს შვიდ საათზე დივიზიის მეთაურთან, გენერალ ლანცთან ვართ გამოძახებული, დროს ვერ გამოვნახავთო.

კაპიტანი ჭიჭინაძის ორდინარეცი მურად თხილაიშვილი ქობულეთელი იყო. ომამდე სატვირთო გემზე მზარეულად მუშაობდა და გემრიელი კერძების გაკეთება იცოდა.

მურადმა საველე სამზარეულოში ოფიცრების კუთვნილი ცხვრის ხორცი გამოართვა.

— თქვენ რა, ბიჭო პურის ჭამა ხომ არ განგიზრახავთ?! — შეეკითხა მურადს ხარკაძე, როცა მზარეულმა მოახსენა, თხილაიშვილი ოფიცრების კუთვნილ სურსათს ხელზე თხოულობსო.

— საღამოზე ოფიცრები იკრიბებიან.. თითო ბოთლ ღვინოს...

— გამაგიჟებს ეს ხალხი, — ისე შესძახა ხარკაძემ, თითქოს რალაც უსაზღვრო გაშმაგებამ მოიცვა, თან ხმა ოდნავ აუთრთოლდა — ღვინის დასალევად აქვთ საქმე? სადაცაა საბრძოლო პოზიციებს დავიკავებთ, თანამოძმეთა პირისპირ დავდგებით. მაშ, ეს საქმეა! ფუ!

„ნუთუ არ იცის, რაშიცაა საქმე?!“ — გაიფიქრა მურადმა და მშვიდად მიუგო:

— ამხანაგო ზემდეგო, ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება!

— ისე ვატყობ, არაფერიც არ იქნება. ყელში ამოგვივიდა ცარიელი დაპირებები, კაპიტან ჭიჭინაძის საქციელიც მაოცებს. სანამ ზურგში ვიყავით, დიდი გული ჰქონდა, ყოყლოჩინობდა, ჩვენებთან გადაყვანას გვპირდებოდა, ახლა კი სულ სხვა ჰანგზე მღერის!

ეს კი ვეღარ მოითმინა მურადმა და ცეცხლივით აენთო:

— ამხანაგო ზემდეგო, კაპიტან ჭიჭინაძეს განა ეს ეკადრება?!

— სიმართლე თუ გინდა, უფრო მეტსაც იმსახურებს! ამ ბოლო დროს რალაც სხვანაირად იქცევა, იქნებ კიდეც გვატყუებს!

— არა, ასე არ არის საქმე, სიმართლე თუ გინდა, ოფიცრები დღეს სწორედ იმიტომ იკრიბებიან, რომ მოქმედების გეგმები დასახონ!

— მურადმა ეს ზუსტად არ იცოდა, მაგრამ ხვდებოდა, თან გულით უნდოდა ჭიჭინაძეს გამოსარჩლებოდა, რას ამბობდა და რას არა, ანგარიშს აღარ უწევდა.

ხარკაძემ თავის ქნევით ჩაიცინა, ვითომ სხვას კიდევ ჰო, მაგრამ ჩემთან ტყუილი არ გაგივათ. მერე გულმოსული კაცივით თვალი თვალში გაუყარა და თქვა:

— თვალებში გეტყობა, რომ ცბიერობ! როგორ? ეს რომ ასე იყოს, განა მე არ დამიძახებდნენ?

— ეს კი არ ვიცი.

— მარტო ეს კი არა, ჩემო ძმაო, სხვაც ბევრი რამ არ იცი!

მურადმა ასეულის მეთაურის კარვის შორიახლო ცეცხლი გააჩაღა და იფნის ჯოხზე აგებული მწვადი ააშიშხინა. იქვე, ცეცხლის პირას გაზეთი გაშალა, სამლიტრიანი ქილით ღვინო დადგა, ირგვლივ ოთხი ჭიქა შემოუწყო, პური დაჭრა, მწვადები კი ცეცხლის პირას დაალაგა, რომ არ გაციებულიყო.

ამასობაში ოფიცრებიც გამოჩნდნენ: უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე, ლეიტენანტი ქორიძე და მეოთხე ასეულის მეთაური კაპიტანი ჭალიძე.

ჭიჭინაძემ სტუმრები სუფრაზე მიიწვია.

მურადმა ოფიცრებს თითო მწვადი დაუდო წინ, ჭიქებზე ღვინო დაუსხა. ორჯერ თუ სამჯერ თქვა, წავედიო, მაგრამ მაინც სუფრას გარშემო ტრიალებდა, ღვინით სავსე ჭიქებს გაბრწყინებული თვალით უმზერდა.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ ორდინარეცს ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა, დალიე, თორემ შენი ცოდვით ვიწვი, ღვინო ყელში არ ჩამივაო.

მურადმა სუფრის წევრებს დღეგრძელობა უსურვა, მერე თქვა, ჩვენ საერთო საქმეს გაუმარჯოსო ,და ჭიქა გამოსცალა.

კაპიტანმა მურადს ჭიქა კვლავ შეუვსო, ისე გემრიელად გადახუხე შენთვის მადლია, ერთი ჭიქაც რომ გადაჰკრაო. — გმადლობთ, საკმარისიაო, ასე კი თქვა, მაგრამ ჭიქას უმალ ხელი წაატანა, საქართველოს ქედუხრელ მთებს გაუმარჯოსო, და იისფერ ბინდში გახვეულ მაღალ მწვერვალებისათვის თვალი არ მოუცილებია, ჭიქას ძირი ისე გამოუჩინა.

— ახლა კი, მურად, წადი და საქმეს მიხედე! არავინ გამოატარო, ოფიცრები ვახშმობენთქო. — უთხრა ჭიჭინაძემ.

ორდინარეცი წავიდა თუ არა, ჭიჭინაძემ ჭიქა ღვინით შეივსო და ღიმილით თქვა:

— მოდი, მეგობრებო, მურადის ნათქვამ სადღეგრძელოს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! ბევრიც რომ მოვინდომოთ, უკეთესად ვერ ვიტყვით — თანამეინახეებმა ჭიქები ერთმანეთს მიუჯახუნეს, ღვინო დალიეს და ცვრიანი მწვადი დააყოლეს.

ცოტა რომ დანაყრდნენ, კაპიტან ჭიჭინაძემ მშვიდად დაიწყო:

— ამხანაგებო, ბატალიონის ხელმძღვანელობა დივიზიის მეთაურმა გამოიძახა, ალბათ საბრძოლო დავალებას მისცემს. დღეს-ხვალ, საბრძოლო პოზიციებს დავიკავებთ, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევიმუშაოთ სამოქმედო გეგმა.

— ამხანაგო კაპიტანო, — თქვა უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ, — მოწინავეზე ბატალიონი ორ-სამ კილომეტრზე გაიშლება. ამასთან მოსალოდნელია, გერმანელებმა ჩვენს უკან მოაწყონ საცეცხლე წერტები, რათა გადარბენისას ზურგში ტყვია დაგვშინონ, იქნებ სჯობდეს, პოზიციების დაკავებამდე ჩავატაროთ ოპერაცია?

— ჩემი აზრით, ბატალიონმა აუცილებლივ უნდა დაიკავოს საბრძოლო პოზიცია, რადგან ზურგიდან გადასვლა შეუძლებელია!

— მეც ასე ვფიქრობ! — თქვა კაპიტანმა ჭალიძემ — ათ-თერთმეტ კილომეტრს ფარულად ვერ გავივლით, გერმანელები მაშინვე მიხვდებიან განზრახვას!

— ამხანაგებო, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს ასეულში კაპიტან ვაჩნაძის დანიშვის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა! — განაცხადა ლეიტენანტმა ქორიძემ, — ვაჩნაძე ლეგიონერებს არწმუნებს, ჩვენი მიზანი საქართველოს სამეფოს აღდგენააო. თავგზას უბნევს, ჩვენი ასეულის ბევრი მებრძოლი უკვე მერყეობს. თითქოს ჩვენს მხარეზე არიან და არც არიან! ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის კი აუცილებელია ვიცოდეთ, ვინ გამოგვყვება და ვინ არა!

— მართალს ბრძანებ, — კვერი დაუკრა ჭიჭინაძემ, — აუცილებლად წინასწარ უნდა გაირკვეს თვითეული ოფიცრის, თუ ჯარისკაცის პოზიცია. ქვედანაყოფებში აგიტატორების მეშვეობით უნდა ვიმოქმედოთ, საფუძვლიანად შევისწავლოთ ლეგიონერების სულისკვეთება.

— მე სრული იმედი მაქვს ჩემი ასეულისა! — თქვა უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ.

— ამას რა სჯობია, მაგრამ ლეგიონერთა შორის საჭიროა მუშაობა, — კაპიტანი ჭიჭინაძე შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და ხმამაღლა განაგრძო, — არც გერმანელები არიან გულხელდაკრეფილნი. ზონდერფიურერი ზალუპი ლგეიონერ სურამელს დაემუქრა, თუ ჩვენს სამსახურში არ შემოხვალ, სიცოცხლესკ გამოგასალმებთო. სურამელი, ჩემი რჩევით, დათანხმდა. ამას ჩვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ეს ეს არის, მისი წყალობით შევიტყვეთ, რომ ზემდეგი ბუხარელი გერმანელების მსახურია. ზონდერფიურერს სურამელი გაუფრთხილებია, ყოველდღიურად ინფორმაცია ზემდეგ ბუხარელს მიაწოდე, ან წერილობით, ან სიტყვიერადო.

— ეს რა მესმის? — შესძახა ბარამიძემ. — ნუთუ ბუხარელი მოღალატეა?

— სიზმარი მგონია, ბუხარელზე ამას როგორ ვიფიქრებდი! — თქვა, თავის მხრივ, ლეიტენანტმა ქორიძემ და მცირე ფიქრის შემდეგ წაილაპარაკა, — კიდეც არა, მიკვირდა, ეს რანაირი გვარი აქვს, იქნებ ქართველი არც არის-მეთქი. გვარი ნამდვილად შეცვლილი აქვს...

ოფიცრებმა მურადის ხმა გაიგონეს, იგი რომელიღაც ლეგიონერს ეუბნებოდა, დღეს კაპი-

ტანი ქიქინაძე შენთვის ვერ მოიცლის, დილაზე მოდი და მოახსენე.

დუმილი ჩამოვარდა. ცეცხლს ტკაცატკუცი გაუდიოდა... კვლავ გაისმა მურადის ხმა, გითხარი ,არ შეიძლება, მორჩა და გათავდა.

ბოლოს ქიქინაძემ, თითქოს ფიქრებს დასკვნას უკეთებსო, ხმადაბლა თქვა:

— მაშასადამე, ზურგიდან გადასვლა შეუძლებელია, საბრძოლო პოზიციას დავიკავებთ თუ არა, წითელი არმიის ნაწილებთან კავშირს დავამყარებთ... გადასვლის დროსა და ადგილს მაშინ დავადგენთ!

დივიზიის მეთაურის გენერალ ლანცის სტუმრები ფართო მიწურში მაგიდას უსხდნენ.

მასპინძელი ოფიცრებს თითო ჭიქა ღვინით გაუმასპინძლდა.

გენერალი ლანცი შუახნის მაღალი, გამხდარი კაცი იყო, ყველაფერზე ისე მშვიდად, დაბეჯითებით ლაპარაკობდა, თითქოს ეს საქმე უკვე დიდიხნის ნაგულისხმევი, გადაწყვეტილი ამბავი იყო.

კაპიტან ეიხბერგსაც ისე განუცხადა ბატალიონის მეთაურობიდან მისი განთავისუფლების ამბავი, ვითომ ახალს არაფერს ამბობდა, არც ეიხბერგს გამოუხატავს რაიმე ემოცია. ლეიტენანტს შტაინგეიმსა და ზონდერფიურერ ზალუპს ეგონათ, ალბათ კაპიტანმა ეიხბერგმა ადრევე იცოდა, რომ ანთავისუფლებდნენ, მაგრამ არ გვიმხელდათ.

ხინამდვილეში კი კაპიტან ეიხბერგისათვის გენერალის ნათქვამი თავზე მეხის დაცემას უდრიდა. ან კი როგორ არ ეწყინებოდა — ბატალიონი მან შექმნა, ლეგიონერები შეარჩია, სანდო ოფიცრებით დააკომპლექტა, ქვედანაყოფები საბრძოლველად გაწვრთნა. დაიმედებული იყო, სარდლობის მადლობას დაიმსახურებდა, მაიორის წოდებას მისცემდნენ. ის კი ბატალიონის მეთაურობიდან გაანთავისუფლეს. და იმასაც არ ეუბნებიან, რატომ, რა მიზეზით მოეპყრნენ ასე!

გენერალი ლანცი მშვიდად განაგრძობდა:

— კაპიტანო, სამსახურს განაგრძობთ დივიზიის შტაბის უფროსის მოადგილედ. ქართულ ბატალიონის მეთაურად კი დანიშნულია... — ლანცი შეჩერდა, ფეხზე ადგა და იმ კუთხეში გაიხედა, მისი ადიუტანტი კაპიტანი ვაგნერი და ზონდერფიურერი ზალუპი რომ ისხდნენ, პირველს გული შეუტოკდა, გენერალს რომ ვეფერებოდი, ტყუილად არ დავმშვრალვარ, ასრულდა ჩემი ოცნებაო. ხოლო მეორემ მორიდებით თავი დახარა, რითაც ალბათ თავის კეთილმოსურნე უფროსს მადლობა გადაუხადა. ორივე ფეხზე წამოდგომასაც აპირებდა, მაგრამ გენერალმა, ვითომ ისეთს არაფერს ამბობდა, მშვიდად დაუმატა, დიახ, ქართული ბატალიონის მეთაურად დანიშნულია კაპიტანი ვაგნერი!

და ლანცმა ხელის ჩამორთმევით მიულოცა ვაგნერს ახალი დანიშვნა, ასევე მოიქცნენ ეიხბერგი და შტაინგეიმი.

ზალუპი კი გაოგნებული იდგა, მილოცვას აგვიანებდა. ბოლოს იმანაც წაიბურტყუნა, მომილოცავსო, მაგრამ ვაგნერმაც და სხვებმაც ეს უფრო ტუჩების მოძრაობით გაიგეს, ვიდრე გაიგონეს.

გენერალი პენსნეს ზემოდან დააცქერდა ზონდერფიურერს და თითქოს იმის საყურადღებოდ ამბობსო, თქვა:

— საჭიროა ბატალიონში მკაცრი დისციპლინის დამყარება!

ზალუპს ფერმა გადაჰკრა, სულგანაბული შესცქეროდა გენერალს, მეც კაპიტან ეიხბერგს არ მიმაყოლონო.

გენერალი კი დაბეჯითებით განაგრძობდა:

—გახსოვდეთ, რომ ქართველები აზიელები უფრო არიან, ვიდრე ევროპიელები, ამასთან მეომარი, დაუმორჩილებელი ხალხია. ნურც ფიურერის სიტყვებს დაივიწყებთ, ქართველებს, ისევე, როგორც სომხებს, არ ვენდობიო. კაპიტანო ეიხბერგ, თქვენ უფრო უკეთ იცნობთ ბატალიონს, რომელი ასეულის გადასროლას გვირჩევთ წინა ხაზზე?!

— ბატონო გენერალო, მესამე ასეული უფრო საიმედოა! ლეგიონერები ბრძოლისათვის კარგად არიან მომზადებული. ასეულს მეთაურობს ვიქტორ ქიქინაძე, სამხედრო საქმის მცოდნე, მომთხოვნი, ჩვენი ერთგული ოფიცერი, — მიუგო კაპიტანმა ეიხბერგმა.

გენერალი ლანცი ზონდერფიურერ ზალუპს მიუბრუნდა:

— ზონდერფიურერო, თქვენ რაღას იტყვით?

— ბატონო გენერალო, კაპიტანი ქიქინაძე განათლებული, ბრძოლებში გამოწრთობილი ოფიცერია, მაგრამ მისი ერთგულება მაეჭვებს! სხაპასხუპით თქვა ზალუპმა, თითქოს წინასწარ გაეზეპირებინოს ეს სიტყვები.

— ადამიანი ყველაზე უფრო ბრძოლაში მოწმდება. ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ... გადაწყდა, წინა ხაზზე მესამე ასეულს გადავიყვანთ!

რვა ნოემბერს ქართული ბატალიონის მესამე ასეულმა ერთ პატარა სოფლის აღმოსავლეთით დაიკავა საბრძოლო პოზიცია. მეორე ასეული მის ზურგში, რვაასი მეტრის დაშორებით განლაგდა. პირველი ასეული მეორე ეშელონის თხრილებში ჩასანგრდა. ხოლო მეოთხე ასეული ბატალიონის შტაბთან დატოვეს, წინა ხაზიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით.

ამ გარემოებამ შეთქმულნი საგონებელში ჩააგდო.

ეჰ, ნუთუ წმიდათაწმიდა მიზანს განხორციელება არ უწერია? ამაზე უკეთეს დროს ალბათ ველარც გამონახავენ, ფრონტზე სიწყნარეა, გერმანელები შეთხელებული ნაწილების გადაჯგუფებას ახდენენ, საბჭოთა ჯარები კი, ეტყობა, შეტევისათვის ემზადებიან.

ალბათ განზრახვას მიუხვდნენ, ბატალიონი რომ ასე გაწელეს, დააქუცმაცეს. მესამე ასეულის ოცეულებს გერმანელთა ნაწილებს შორის მიუჩინეს პოზიციები, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ფრონტის ორგანიზებული გადალახვა.

ქიქინაძე, რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, სულიერად არ ეცემოდა, გული არ უტყდებოდა, ეს კი მუდამ შველოდა.

ახლაც მხნეობას, რწმენას არ კარგავდა, ამხანაგებსაც აიმედებდა, მიზანს რომ მივაღწიოთ, უშიშრად, მტკიცედ უნდა ვიაროთ დასახული გზითო. მთავარი მარტო ის კი არ არის, ბატალიონი ვიხსნათ, ასობით ადამიანს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ, არა ნაკლებ არსებითი, მნიშვნელოვანია, არ მოხდეს ლეგიონერების წითელ არმიის ნაწილებთან შეტაკება, არ დაიღვაროს ძმათა სისხლიო. ყველაფერს ეშველება. ყველაფერს მოევლება, ამას კი არა. სისხლი ისეთი რამ არის, ვერ წაიშლება, ვერაფრით ანაზღაურდებაო! რა თქმა უნდა, ამ ვითარებაში მარტო მესამე ასეული ვერ გადალახავს ფრონტს, სხვა ქვედანაყოფის ლეგიონერებს ბედის ამარად ვერ მივატოვებთ. ისინი ხომ წუთებს ითვლიან, სასოებით მოელიან თავისუფლებასო.

საღამოთი შიკრიკმა ქიქინაძეს ვაგნერის ბრძანება გადასცა, სასწრაფოდ შტაბში გამოცხადდიო.

ათიოდე წუთში კაპიტანი ქიქინაძე და თხილაიაშვილი ცხენებს ბატალიონის შტაბისაკენ მიაქენებდნენ.

ტყიდან რომ გავიდნენ, გზა ჭურვებითა და ბომბებით იყო გადათხრილი, ამიტომ ცხენები ნაბიჯზე გადაიყვანეს.

თავისუფალ დროს ქიქინაძეს ჯარისკაცებთან გასაუბრება უყვარდა. ამათზე უკეთ არავინ იცის ქვედანაყოფის, ნაწილის, ფრონტისა და იქნებ მთელი ქვეყნის ცხოვრებაო. ძნელია თქმა, საიდან, როგორ გებულობდნენ ისინი ამდენ ამბებს, მაგრამ ეს რომ ნამდვილად ასე იყო, არა ერთხელ დარწმუნებულა.

ორდინარეცმა იცოდა მეთაურის ხასიათი. ეტყოდა თუ არა, მურად, ახალი რა არის, ქვეყნისა რა ისმისო, მოხსნიდა გუდას,და ქორსა თუ მართალს უკაკლავდა.

ახლაც, გამოელაპარაკა თუ არა ქიქინაძე, მურადი ენად გაიკრიფა, ჯერ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, ზოგიერთ ლეგიონერს გული გაუტყდა, ეტყობა, ჩვენივე რიგებიდან ვილაცამ გაგვთქვა, თორემ გერმანელები ასე არ დაგვაქუცმაცებდნენ, ჩვენს ასეულს კი ორ კილომეტრზე არ ჩაასანგრებდნენო. ამდენს ამაოდ ვწვალობთ, ვიტანჯებით, გერმანელების ფორმაც ტყუილად ჩავიცვით, საშველი არ დაგვადგებაო.

— რას იზამ, ძმაო, — თქვა ქიქინაძემ. — ტანჯვა-წვალებას განვიცდით, დიდ რისკსაც ვწევთ, მაგრამ ეს სასურველ ნაყოფს მოგვიტანს!

— ზოგი ეჭვსაც გამოთქვამს.

— რის გამო?

— ამხანაგო კაპიტანო, ვიცი სიმართლის თქმისათვის არ გამკიცხავთ. თქვენზე ეჭვობენ, ხომ არ მოგვატყუაო.

— ერიჰაა, სადამდე მისულა საქმე! — თავი ჩაიქნია ქიქინაძემ.

— ლეგიონერებს ვინ ჩივის, გულგატეხილობა ზოგიერთ მეთაურსაც დაეტყო. ზემდეგმა ხარკაძემ, სულ ცოფები ყარა სამზარეულოდან სამწვადე ხორცი რომ წამოვიღე, სადაცაა საბრძოლო პოზიციას დავიკავებთ და ღვინის დასალევად სცხელათო?

ქიქინაძემ გულში გაიფიქრა, ხარკაძეს რაღა ღმერთი უწყრება, თუ მაინცდამაინც რამეშია დაეჭვებული, მურადს რას ელაპარაკება, მე ველარ მითხრაო, და იკითხა:

— სხვა ხომ არაფერი უთქვამს?

მურადმა პასუხი შეაყოვნა, უმძიმდა ხარკაძის ნათქვამის გამეორება.

ქიქინაძე თითქოს მიხვდა მისი ყოყმანის მიზეზს და მტკიცედ უთხრა:

— თქვი, რატომ დუმხარ?

— რა ვიცი, აბა, როგორ გითხრათ?! თქვენზე ამბობს, ამხანაგო კაპიტანო, ზურგში დიდი გული ჰქონდა, ჩვენებთან გადაყვანას გვპირდებოდა, ახლა კი სულ სხვა ჰანგზე მღერისო.

— ისემც თავი გაუხმება. ისემც... — ქიქინაძის უნდოდა შეეკურთხა, მაგრამ თავი შეიკავა და თითქოს თავის თავს ებაასებაო, ხმადაბლა წაილაპარაკა, ნეტავი ხარკაძეს რაღა უნდა, ენას რათ ატარტარებსო.

წინა ხაზი უკან მოიტოვეს, ტრიალი მინდორი გადაიშალა, გზას მარჯვნივ ბუჩქნარი ეკვროდა, მარცხნივ რკინიგზის ლიანდაგი გასდევდა.

ცხენები ნელა მიდიოდნენ. თითქოს გრძნობდნენ, მხედრები ფიქრს გაეტაცა და ერიდებოდნენ მათი სიმშვიდის დარღვევას.

ქიქინაძეს შუბლი შეჭმუხნოდა, მოჭუტული თვალი დათოვლილი მთის მწვერვალებისათვის გაეშტერებია, წარამარა შუბლს ისრესდა, თითქოს რაღაც მძიმე ფიქრი სტანჯავსო.

მურადი მეთაურს მორიდებით თვალს ადევნებდა, წუხდა, იმდენი ვილაყბე, კაპიტანს გუნება წავუხდინე, იქნებ არც იყო ამის თქმა საჭიროო, და ცდილობდა რამე სახუმარო ეთქვა, მაგრამ ქიქინაძე ყურს აღარ უგდებდა.

ხელმარჯვნივ, ასიოდე მეტრზე, ზედიზედ კვამლის სამი ბოლქვი აღიმართა. აფეთქებათა გრიალმა ყურთასმენა წაიღო. მერე წინა ხაზის იქითა მხრიდან ქვემეხებმაც დაიგრუხუნეს.

— ამხანაგო კაპიტანო, ტყეს შევაფაროთ თავი! — შესძახა მურადმა და ცხენი დაასადავა.

მათ შორიახლო ჭურვები აფეთქდა.

ცხენები ადგილზე შეტორტმანდნენ, მარჯვნივ შებრუნდნენ და ტყეში შეიჭრნენ.

ბატალიონის მეთაურმა საკმაოდ თავაზიანად მიიღო ჭიჭინაძე.

მიწურში შეიპატიჟა. ნება დართო სკამზე დამჯდარიყო.

ვაგნერმა მეკავშირე ჯარისკაცი, ტელეფონთან რომ მორიგეობდა, გარეთ გაისტუმრა, ჰაერზე გაისეირნეო.

მარტო რომ დარჩნენ, ვაგნერმა უთხრა:

— ჭიჭინაძე, სამწუხარო ამბავია, გენერალ ლანცის ბრძანებით, თქვენ ასეულის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენებული ხართ!

ჭიჭინაძეს თავზარი დაეცა, ენა პირში ვერ მოიბრუნა. მერე კი განრისხებით, თითქოს ამაში ბრალი ვაგნერს მიუძღოდა, ხმამაღლა თქვა:

— ბატონო კაპიტანო, განა ეს დავიმსახურე? თუმცა არც გამტყუნებთ, თქვენთვის მე უკვე საჭირო აღარა ვარ!

ვაგნერმა ჭიჭინაძის განრისხება ბრძოლაწაგებული კაცის ფანდად ჩასთვალა, თხელ, წვრილ ულვაშში ირონიულად ჩაიღიმა და მშვიდად მიუგო:

— სამხრეთის ფიცხი მზე, ეტყობა, ფიცხ ხასიათს უნერგავს ადამიანებს!

კაპიტან ჭიჭინაძეს ცოტა უჭირდა გერმანულ ენაზე ლაპარაკი, ახლა კი მის გონებაში სიტყვები მოზღვავდა, აზრს ზუსტად გამოხთქვამდა: თანაც მკაფიოდ, დახვეწილად ლაპარაკობდა:

— სად არის სამართალი? ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას არ ვიშურებდი ,რომ ასეული გამეწვრთნა, მომემზადებინა! ჩემი ლეგიონერები ბრძოლაში ტოლს არავის დაუდებენ... ერთი რამ მამოძრავებდა, ერთი რამ მსურდა: ასეულს წინ გავძღოლოდი, გერმანიის სარდლობისათვის ჩემი ერთგულება დამემტკიცებინა, და უცებ... — ხმა ჩაუწყდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— კაპიტანო, დამშვიდდი, რატომ ღელავ! რიგით ჯარისკაცად არ გაქვეითებთ. ოცეულის მეთაურის მოადგილედ გნიშნავთ, თავს აქაც გამოიჩენთ.

— ეჰ, გული იმაზე მიკვდება, ჯაშუშებისა უფრო გჯერათ, ვიდრე ჩემი!

ვაგნერმა თვალები დააცეცა, თითქოს უკვირდა, დახე, ამას, ესეც რომ სცოდნიაო.

ჭიჭინაძემ კი ენაზე იკბინა, მიხვდა ზედმეტი მოუვიდა, ამიტომ სიტყვა შეაბრუნა:

— კადრის ოფიცერი ვარ! როგორც ყველა სამხედრო მოსამსახურეს, მეც გამაჩნია პატივმოყვარეობის გრძნობა. მირჩევნია სხვა ქვედანაყოფში გადამიყვანოთ, თუნდაც რიგით ლეგიონერად, ვიდრე ჩემს ასეულში დამტოვოთ ოცეულის მეთაურის მოადგილედ! — და ჭიჭინაძე ფიცხლავ წამოდგა, ასეულის მეთაურის სამხრეები მოიგლიჯა და ბატალიონის მეთაურის მაგიდაზე გაბრაზებით ისროლა.

ვაგნერი ჭიჭინაძეს გამომცდელად დააშტერდა.

კაპიტანი ან გულწრფელად ლაპარაკობს, ან დიდი გაიძვერაა. ნუთუ გაუგებრობას აქვს ადგილი? ეიხბერგმა თათბირზე ხომ განაცხადა, ჭიჭინაძე ქართველ მეთაურთა შორის ყველაზე სანდო, საიმედოაო. იქნება არა სწორი ცნობები მიაწოდეს ზონდერფიურერს? ან იქნებ სს-ელი ოფიცერი, ყოველგვარ მოულოდნელობისაგან თავი რომ დაიზღვიოს, გადაჭარბებულ სიფრთხილეს იჩენს?

დაუჯერებელია, რომ კაცი რუსებთან გაქცევას აპირებდეს და ასე მძიმედ განიცდიდეს თანამდებობიდან გადაყენებას! ეს ხომ პირიქით, შემდგომში მისთვის უკეთესი იქნება, გერმანელები არ მენდობოდნენ, დამაქვეითესო. და ვაგნერმა ლმობიერად, ერთგვარი თანაგრძნობით თქვა:

— ჭიჭინაძე, როგორც ოფიცერი ოფიცერს, სიტყვას გაძლევ, თუ ბრძოლაში ჩვენს ერთგულებას დაამტკიცებ, პირადად მე გაგიწევ შუამდგომლობას, აღგადგინონ ასეულის მეთაურად! ჩემი სიტყვა საპნის ბუშტი როდია. ოღონდ ერთსა გთხოვ, მომეცი საფუძველი შუამდგომლობის აღძვრისა!

— ბატონო კაპიტანო, კომუნისტების სიძულვილმა მაიძულა ჩამეცვა გერმანიის არმიის ფორმა! სიძულვილი კი, მოგეხსენებათ, არ ნელდება, არ ქრება!

— მართალს ბრძანებ, სიძულვილი არ ქრება, მაგრამ საეჭვო ხდება. გესმით, საეჭვო ხდება მისი არსებობა!

კაპიტანო, მეც და ჩემი ლეგიონერებიც დავიხოცებით, ფიცს კი არ გავტეხთ!

ვაგნერი ყურადღებით, გამჭრიახად უმზერდა ჭიჭინაძეს თვალებში.

ერთი რამ ცხადია, ეს კაცი საოცრად მხნე და გულადია. ვინ იცის, იქნებ ერთგულიცაა და ტყუილად ვიჩენთ მისდამი უნდობლობას!

ოფიცერი მწყობრთან რომ მკაცრი, ულმობელია, ხელქვეითებს სძულთ. თუმცა პირიქითაც ამბობენ, ჯარისკაცს მომთხოვნი ოფიცერი უფრო უყვარსო. ეს არ უნდა იყოს სწორი! შეიძლება ხელქვეითნი მომთხოვნ მეთაურის ბრძანებას უყოყმანოდ, უსიტყვოდ ასრულებ-

დნენ, ამასთან თავს მოსიყვარულედ აჩვენებდნენ, მაგრამ უთუოდ გული მისდამი ბოღმითა და სიძულვილით ექნებათ სავსე. და თუ შესაძლებლობა მიეცემათ. ასეთ ოფიცერს აუცილებლივ სამაგიეროს გადაუხდიან. იქნებ ესაა მიზეზი, რომ გადაბირებული ლეგიონერები ქიქინაძეს ცილს სწამებენ, ზონდერფიურერს აფრთხილებენ, ნუ ენდობით, გერმანელები სძულს და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა გიღალატებთო. ან იქნებ ქიქინაძის თავიდან მოცილება და მისი თანამდებობის დაკავება სწადიათ?

— ქიქინაძე, საშველი არაა, ჩამოქვეითებას უნდა შეეგუო, — და ვაგნერმა მაგიდის უჯრა გამოსწია. სამხრეები ამოიღო და გაუწოდა, — ოცეულის მეთაურის მოადგილისაა, დაიბნიე, ჩინი რა ბედენაა! ვინც კარგად ემსახურება გერმანიის უძლეველ არმიას, უმაღლჩინოსთაც დაფასდება.

ქიქინაძე მიწურიდან დაღონებული გამოვიდა. მურადს ხელი დაუქნია, გამომყევიო, და თავჩაღუნული ბუჩქებში გამავალ ბილიკს გაჰყვა. ორმა ლეგიონერმა გვერდით ჩაუარა, მიესალმნენ, მაგრამ კაპიტანს ყურადღება არ მიუქცევია, ვითომ, ვერ შეამჩნია.

გრძნობდა, რომ მიწურის ფანჯრიდან ვაგნერი უთვალთვალებდა, ამიტომ წარამარა იმ კაცით, უსიამოვნო ამბავი რომ შეემთხვა, გაბრაზებით აფურთხებდა.

მურადის მიგვრილ ცხენზე ზოზინით შეჯდა. პირუტყვს ყურები დაეცქვიტა. ცალი თვალით უკან იხედებოდა, ალბათ მხედრის შექახილს ელოდა.

ქიქინაძეს კი აღვირი მიეშვა, ცხენს დეზს არ ჰკრავდა.

მურადი მიხვდა, რომ კაპიტანს რაღაც საწყენი ამბავი უთხრა ბატალიონის მეთაურმა. არც ის გამოჰპარვია, ქიქინაძეს ასეულის მეთაურის სამხრეების ნაცვლად ოცეულის მეთაურის მოადგილის სამხრეები რომ ეკეთა.

— მურად, აქ სადღაც ტყის სიღრმეში პირველი ასეული დგას. შევიაროთ, კაპიტან ვაჩნაძეს ვნახავ.

— ამხანაგო კაპიტანო, ვიცი, სადაც არიან დაბანაკებული, გუშინ მე და ზემდეგი ვიყავით პირველ ასეულში! — მიუგო სხაპასხუპით ორდინარეცმა.

— რა საქმეზე?

— ხარკაძემ ვილაც ნახა!

— ვინ?

— ვერ გავიგე, მე ცხენებთან დამტოვა!

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, მერე კაპიტანმა თქვა:

— მურად, ვიცი, ჩემი სამხრეების ამბავი გაინტერესებს! ოცეულის მეთაურის მოადგილედ ჩამომაქვეითეს!

— რატომ?

— ეტყობა არ მენდობიან. ჯანაბას, შეველევი მაგათ სამხრეებს! — მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე კი განრისხებით წაილაპარაკა:

— მაგათი დედაც, მაგათი სამხრეებისაც! ჩვენ მაინც გავწიოთ წინ! — და ცხენი ერთბაშად მოსწყვიტა ადგილს.

გზაზე პირველი ასეულის პატრულები შეხვდნენ.

ქიქინაძემ ცხენი მურადს დაუტოვა, თვითონ კი კაპიტან ვაჩნაძის მიწურისაკენ გაემართა, ტყის სიღრმეში, მაღალი არყის ხეების ქვეშ რომ აეგოთ.

პირველი ასეულის მეთაური თეიმურაზ ვაჩნაძე თბილისში დაიბადა, აქვე გაატარა ბავშვობა.

მამამისი ფრიდონ ვაჩნაძე ადრე სათავადაზნაურო ბანკში მსახურობდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ კი მენშევიკური დროებითი მთავრობის ფინანსთა სამინისტროს მოხელე იყო.

ვაჩნაძეებს სამსართულიანი საგვარეულო სახლი მამა-დავითის მთის ფერდობიდან მთელ თბილისს გადმოჰყურებდა.

დედისერთა თეიმურაზს მშობლები ანებივრებდნენ, მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდათ. ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ უცხო ენებს, მუსიკას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ფრიდონი ოჯახით მენშევიკურ მთავრობას საფრანგეთში გაჰყვა. ისინი პარიზში დასახლდნენ.

მამა ორმოცდაათ წელს იყო მიღწეული და სამსახური აღარ დაუწყია, ძვირფას საოჯახო ნივთებს, ოქროულს ჰყიდდნენ და იმით ირჩენდნენ თავს. მცირე დახმარებას ემიგრანტთა კომიტეტიც უწევდა.

ფუფუნებაში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ არც შიმშილობდნენ, საქართველოში დაბრუნების იმედი ასულდგმულებდათ, ურვასა და დარდს უქარვებდათ. ფრიდონ ვაჩნაძე პურმარილის მოყვარული კაცი იყო. ყოველ შაბათ საღამოს მის ოჯახში თავს იყრიდნენ ქართველი ემიგრანტები, სვამდნენ საქართველოს სადღეგრძელოს, კეთილი სიტყვით იხსენებდნენ სამშობლოს თავდადებულ გმირებს, სახელოვან მეფეებს. ოცნებობდნენ ივერიის სამეფოს აღდგენაზე. ზოგი აუგად იხსენიებდა ერეკლე მეორეს, ა. ბეჩავ, პატარა კახო, დაგვღუპე, გზაკვალი აგვირიე, გაგვამათხოვრეო. ჟორდანიასაც კიცხავდნენ, უპრინციპობა, სიმხდლე გამოიჩინაო... მსჯელობდნენ, დავობდნენ, წარსულს მისტიროდნენ, საქართველო ენატრებოდათ. და რაც უფრო მეტს სვამდნენ, მხნეობა ემატებო-

დათ და, დარწმუნებით ამბობდნენ, მალე ჩვენთვისაც გათენდებაო.

პატარა თეიმურაზს მათი სიტყვები გულს უჩქროლებდა.

შექეიფიანებული სტუმრები თეიმურაზის სახით ქართველ ახალგაზრდობას ადღეგრძელებდნენ. ჩვენ დავბერდით, მაგრამ თქვენ უნდა აღსდგეთ, დაჰკრათ ნაღარა, იხსნათ, დაეპატრონოთ კურთხეულ მხარესო.

თეიმურაზმა, სკოლა რომ დაამთავრა, მამას განუცხადა, სამხედრო სასწავლებელში შევალ, ოფიცერი მინდა გავხდეო.

— მერე ვის უნდა ემსახურო, ვისთვის უნდა იბრძოლო! ფრანგებისათვის?

— არა, მე მინდა ჩემს ერს ვემსახურო, საქართველოსათვის ვიბრძოლო!

თეიმურაზ ვაჩნაძემ ოფიცერთა სატანკო სასწავლებელი 1937 წელს დაამთავრა. იგი სატანკო ნაწილში ოცეულის მეთაურად დანიშნეს. გამგონე, წესრიგისმოყვარე, თავის თავისა და ხელქვეითებისადმი მომთხოვნი ოფიცერი იყო. ასეულის მეთაურად დააწინაურეს და კაპიტნის წოდება მიანიჭეს.

ჰიტლერი საფრანგეთში რომ შეიჭრა, გერმანელებმა მათი დივიზია ალყაში მოაქციეს. საბრძოლო მასალისა და სურსათის უქონლობას გამო ტანკისტებმა იარაღი დაჰყარეს, ტყვედ ჩაბარდნენ.

თეიმურაზ ვაჩნაძე მთელი წელი ოფიცერთა ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა. გერმანელები აჭმევდნენ, ასმევდნენ, იშვიათად თუ ამუშავებდნენ, მაგრამ მაინც პატიმრები იყვნენ, ოცდაოთხი საათი მავთულშემოვლებულ ბანაკებში გამომწყვდეული.

გერმანია საბჭოთა კავშირს თავს რომ დაესხა, ტყვეთა პირობები გაუარესდა. ყოველ ცისმარე დღეს, დილა-საღამოს, მუხუდოს წყალწყალა წვნიანსა და ას გრამ ორცხობილას აძლევდნენ. ხან ალმა უკრავდნენ თავს, ხან დალმა ვაგონებს ატვირთვინებდნენ, ფრანგ პატრიოტთა მიერ დანგრეული რკინიგზის ლიანდაგის აღდგენაზე ამუშავებდნენ. ურჩებს რეზინის ჯოხებს ურტყამდნენ, რამდენიმე ტყვე ოფიცერი დახვრიტეს კიდეც.

თეიმურაზმა, როგორც იყო, მოახერხა მამისათვის სიტყვა მიეწვდინა. მალე პასუხიც მიიღო. მამა სწერდა, რა ვქნა, შვილო, ვერაფერი გავაწყე, თხოვნით ვის არ მივმართე, მაგრამ გერმანელები უარს ამბობენ შენს განთავისუფლებაზეო. ბოლოს თეთრგვარდიელი ქართველი გენერალი ალექსანდრე ერისთავი ვნახე. იგი გერმანელების სამსახურშია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო. ღმერთმა ააშენოს, შემპირდა, როგორც კი დროს ვიხელთებ, შენს ვაჟს გავეცნობი, გავიგებ, რა სურს, რითი სულდგმულობს, რა ამოძრავებსო.

გენერალმა ერისთავმა დიდხანს არ ალოდინა სასომიხდილი კაპიტანი ვაჩნაძე.

დაინახა თუ არა მანქანიდან გადმოსული, გერმანულ ფორმაში გამოწყობილი გენერალი, კაპიტანი ვაჩნაძე მაშინვე მიხვდა, რომ ეს წარმოსადეგი, შავგვრემანი, გაწკეპილულვაშებიანი ვაჟკაცი, თავადი ერისთავი იყო.

გენერალს მხედრულად გაჭიმულმა, ახალგაზრდა, ტანადმა ოფიცერმა სხაპასხუპით მოახსენა, კაპიტანი ვაჩნაძე გახლავარო; გენერალმა ხელი გაუწოდა და აღტაცებით მიმართა.

— საქართველოს ორი მილიონი შენისთანა მხედარი რომ ჰყავდეს, აი მაშინ კი ნამდვილად გვეშველებოდა! — და თანაგრძნობითა და სიბრალულით დასძინა: — ეს რა ულმობელი ბედი გქონია, აქ სად მოხვედრილხარ?

— ბატონო გენერალო, ბავშვობიდანვე იმას ვნატრობდი, გავმხდარიყავი ოფიცერი, მხედართმთავარი, რათა იარაღით ხელში მებრძოლა საქართველოსათვის! — სხაპასხუპით მიუგო ვაჩნაძემ.

—ყოჩაღ, კაპიტანო! შენ მომეწონე და შენი სიტყვაც! — აღტაცებით შესძახა გენერალმა ერისთავმა, — არასოდეს ჩვენს ხალხს ისეთი კარგი შესაძლებლობა არ მისცემია დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, როგორც ახლა. უნდა ალვსდგეთ, მხარში ამოვუდგეთ გერმანიის არმიას და შევებრძოლოთ ბოლშევიკურ რუსეთს.

კაპიტან ვაჩნაძეს, ჭიჭინაძეს გარეთ რომ გამოეგება, თვალი სტუმრის სამხრეებისაკენ გაექცა, სახეზე გაოცება აღებეჭდა, ეს რას ნიშნავსო.

ჭიჭინაძემ უთხრა თავისი ჩამოქვეითების ამბავი.

— რას ამბობ, საწყენია! ახლა ჩვენ ყველაზე უფრო ავტორიტეტი, ნდობა გვესაჭიროება!

— რისთვის? — კუშტად იკითხა ჭიჭინაძემ და თანამოსაუბრეს ალმაცერად შეხედა.

— ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის!

ისინი ფოთოლგაცვენილ ბუჩქებს შეერივნენ.

ჭიჭინაძემ მიმოიხედა, ხომ არავინ გვითვალთვალებსო, და ვაჩნაძეს მიმართა :

— ვერ გამიგია, რა გამოძრავებს, ვის ემსახურები?

— რა მამოძრავებს? — ირონიულად ჩაიცინა ვაჩნაძემ, — სამშობლოს სიყვარული! ვის ვემსახურები? საქართველოს მეეფს! რატომ მეკითხები ამას? ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ მე, ვაჩნაძეს, საქართველოს სხვაზე ნაკლებ მეყვარება?

ჭიჭინაძე თითქოს ქვეშეცნეულად. ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ვაჩნაძეს ბევრი რამ დაეკარგა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული შერჩენოდა. სწორედ ეს აიმედებდა, რომ გერმანელებთან არ გასცემდა, არ დაასმენდა, არ და-

დრებდა ამას. ამიტომაც გადაწყვიტა დაუფარავად, მოურიდებლად ეთქვა სათქმელი:

— იცი რა, მოდი და, ასეთ ზოგად ცნებებზე ნურც ვილაპარაკებთ! ოღონდ, ეს გამაგებინე, სად, ქვეყნის რომელ კონტინენტზე არსებობს საქართველოს ახალი მთავრობა? ან ვინ აკურთხა ივერთა მეფე?

— ბაგრატიონ-მუხრანელი იქნება საქართველოს მეფე! ჩვენი ხალხის თავდადებულმა შვილებმა, ქართველმა ემიგრანტებმა შეარჩიეს იგი.

ვაჩნაძე მოკრძალებული, თავაზიანი ჭაბუკი იყო, ან შეიძლება უნდოდა ასეთი გამოჩენილიყო, მაგრამ მის ხმაში, ქცევაში იგრძნობოდა ფარული ქედმაღლობა, ამპარტავნობა, მალული ირონია!

„ვერც გაამტყუნებ, — ფიქრობდა ჭიჭინაძე, — დიდგვაროვანია, წარჩინებული! სხვა მის ადგილას თავს უფრო დაიფასებდა, ცხვირს აიბზეკდა, გაიფხორებოდა. რა ქნას, არც ისე ადვილად თავისუფლდებიან ადამიანები მემკვიდრეობით მიღებულ ჩვევებსა და თვისებებისაგან.

— მთავრობას, ხელისუფლებას ერი ჰქმნის და არა სამშობლოდან გაქცეული ემიგრანტები!

— მაგრამ, როცა ერს ამის ძალა არ შესწევს- მიდით და გაანგრიეთ შუბლით პიტალო კლდე, სხვა პატარა ხალხებმა ძლიერი ერების დახმარებით, მხარდაჭერით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ჩვენც იმათ უნდა მივბაძოთ, ამ გზით ვიაროთ.

— ბატონო კაპიტანო, ტყუილუბრალოდ რატომ ვკარგავთ დროს, ვერასოდეს საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, რადგან სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებები გვქვს მოვლენებზე, ჩვენ ჩვენებურად გვიყვარს სამშობლო, თქვენ თქვენებურად!

— იცი, რა არის ამის მიზეზი? — და თითქოს იმისი ეშინია, პასუხი არ დაასწროსო, სხაპასხუპით დააყარა, — მიზეზი ის გახლავს, რომ შენ კომუნისტებს აღმერთებ, იმათ ქადაგებას, მოძღვრებას ეთაყვანები, მე კი გერმანელებს ვამჯობინებ, იმათი უფრო მჯერა. შენ შენი თავი მიგაჩნია მართლად, მე ჩემი... გერმანია... თქვენც მშვენივრად იცით, რაც არის გერმანია!.. მიპასუხე, საქართველოს ვინ უფრო მოუტანს სიკეთეს, ვინ უფრო წაიყვანს წინ, პროგრესისა და კულტურის გზაზე!

— როგორ გეკადრებათ, თავადო ვაჩნაძე! გერმანელები ჩვენი გულისათვის თითსაც არ გაიკაწრავენ! და თუ სისხლს დაღვრიან, მის ხაფასურს ასკეცად, ათასკეცად აინაზღაურებენ. განა თვითონ ჰიტლერმა არ აღიარა, გერმანელი ჯარისკაცი სადაც ჩექმის ქუსლს დაადგამს, იქიდან ფეხს აღარ მოიცვლისო?

ვაჩნაძემ სიცილით თავი ჩაიქნია:

— ორივე ამაოდ ვდაობთ, ამაოდ ვირჯებით. ერთმანეთს იოლად რწმენას ვერ შევაცვლევინებთ, საერთო ენას ვერ გამოვნახავთ!

— რატომ, რა გვაქს სადავო? განა ერთი ერის შვილები არა ვართ? მოძალადე მტრის ხოძულვილმა მთელი ქართველი ხალხი შეადუღაბა. აბ, შეხედეთ რა მრისხანედ იყურება კავკასიონი? აქ მხოლოდ ერთი ქართული ბატალიონია! იქ კი მთელი საქართველოა, მთელი ქართველი ხალხია. იქ ქუდზე კაცი გამოვიდა საბრძოლველად. მალე ბრძოლის ველზე ერთმანეთის პირისპირ დავდგებით, ხიშტითა და კონდახით დავერევით ერთი-მეორეს. ქართველები ისედაც ცოტანი ვართ და რაღა ეს გვინდა? ამ განსაცდელის ჟამს ყველა მამულიშვილი, რანაირ იდეებისათვისაც არ უნდა იბრძოდეს, თავის ხალხთან უნდა იყოს. და ვინც ამას არ აკეთებს, ის სულმოკლე, მხდალი, მოღალატეა!

— სცდები, არც სულმოკლე ვარ, არც მხდალი, არც მოღალატე! ოღონდ შენზე უფრო ალღოიანი და შორსმჭვრეტელი ვარ! დღეს საქართველოს მხოლოდ ერთი გზა აქვს, ეს გზა ბერლინზე გადის!

— ვნახოთ, ბატონო კაპიტანო, ისტორია იტყვის, ჩვენში ვინ მართალია, ვინ მტყუანი!

— ამას ისტორია არ დასჭირდება... მალე თბილისში ვიქნებით, ყველაფერი გაირკვევა.

ჭიჭინაძე აენთო, სიძულვილი ველარ დაფარა, თვალი თვალში გაუყარა თანამოსაუბრეს, უნდოდა მიეხალა, სირცხვილი შენ, კაპიტანო, რომ მცდარი, აკვიატებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამშობლოს დამარცხება გწადიაო! ამას კი ერის განადგურება, საქართველოს დაღუპვა მოჰყვებაო.

ვაჩნაძემ ეტყობა იგრძნო ჭიჭინაძის აღელვება, მისი წყრომა თავიდან რომ აეცილებია, სიტყვა დაასწრო:

— შევალთ თუ არა საქართველოში, შეიქმნება ქართველთა ლაშქარი, რომლის სათავეში უთუოდ ჩვენ მოვექცევით. რა ვუყოთ, რომ კაპიტნები ვართ? სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს სამხედრო საქმის დიდი ცოდნა, შეგვწევს უნარი ჯარის დარაზმვის, მართვის, ბრძოლის წარმოებისა. უმალ პოლკოვნიკები, ან გენერლები გავხდებით. ჩვენ წინ დიდი ასპარეზი გადაიშლება!

— ბატონო კაპიტანო, ჩინ-მედლებზე სამშობლოს არ გავყიდი!

— კარგად იფიქრე, ჭიჭინაძე, ყველაფერი აწონ-დაწონე. თქვენ ხომ უკვე მეტნაკლებად ცოდვილები ხართ! ჩეკისტები ათას რამეს მოგიძებნიან, ათას რამეს დაგაბრალებენ, უქლებლივ ყველას კედელთან აგაყუდებენ!

— ეგ ყველაფერი გებელსის მოჩმახული ჭორებია, ბატონო კაპიტანო!

წინა ხაზზე მიმავალმა კაპიტანმა ქიქინაძემ მეორე ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ბარამიძეც ინახულა.

ისინი მიწურში ისხდნენ ხმადაბლა საუბრობდნენ. ხანდახან ჩურჩულზე გადადიოდნენ.

ქიქინაძემ თავის ჩამოქვეითების ამბავი რომ გააგებინა, ბარამიძეს შეეკითხა:

— ერთი ეს მითხარი, რას ამბობენ, მოწინავე ხაზზე როდის გადმოგიყვანენ?

— თვითონ ღუმან, მე ხომ ვერ შევეკითხები, ვაითუ, საქმე უფრო წავახდინო!

—რასაკვირველია, ამას ვერ მოითხოვ, ალბათ, ჯერ ჩვენ ასეულს გამოსცდიან. თუ ბრძოლისუნარიანობას, ერთგულებას გამოვიჩენთ, მერე თქვენც მოგენდობიან! ეს რა, მძიმე ვითარება შეიქმნა, ბატალიონში მოქმედებენ გაქნილი ჯაშუშები, მოღალატენი, ისინი გვითვალთვალებენ, გვასმენენ!

— აი, სწორედ ამან შემირყია რწმენა! — გულგატეხით წაილაპარაკა ბარამიძემ.

— სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, ჩემო გრიგოლ, მთები ნისლებს გადაიყრიან, ცა გამოანათებს, მზე გამობრწყინდება!

გარეთ ფეხის ხმა გაისმა.

ვიღაც ფრთხილად მიუახლოვდა მიწურს და კარებთან შეჩერდა.

ქიქინაძემ ხელით ანიშნა თანამოსაუბრეს, ყურს გვიგდებენო, თან თვალი ჩაუკრა და ხმამაღლა თქვა:

— რას იზამ, გინდა, არ გინდა, ბედს უნდა მივენდოთ.

— გეთანხმები! — მტკიცედ მიუგო ბარამიძემ.

— ან სხვა რა გზა გვაქვს, ჰიტლერს უნდა ვუერთგულოთ. გერმანელებმა ათასობით კილომეტრი გამოიარეს. დღეს-ხვალ ფაშისტური სვასტიკიანი დროშა თბილისის თავზეც აფრიალდება, ორ კვირაში კი მთელ საქართველოს ფეხქვეშ ამოვიდებთ!

— იმისი მეშინია, ხალხმა წინააღმდეგობა არ გაგვიწიოს, არ შემოგვებრძოლოს?

— არა მგონია. ქართველი ერი ისტორიულად მონურ უღელს მიჩვეულია. ამასთანავე, ომი ისეთი რამ არის, ბოლოს და ბოლოს, დამარცხებულიც გამარჯვებულს ემხრობა.

კარი გაიღო. მიწურში ზემდეგმა ბუხარელმა შემოდგა ფეხი და ბარამიძეს მიმართა:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო. არაყი მივიღე, რას მიბრძანებ, ვახშამზე გავცე, თუ ხვალისათვის შევინახო?

— ვახშამზე გაეცი! — მიუგო ბარამიძემ და უმალ დასძინა, — ოღონდ ჩემი წილი ახლავე გამომიგზავნე. გერმანელების ფორმა გვაცვია, მაგრამ ქართველობა როდი დაგვიკარავს, ასეთი სასურველი სტუმარი გვეწვია და უპატივცემულოდ ვერ გავისტუმრებთ.

კაპიტანი ქიქინაძე ბუხარელს ზიზღით, სიძულვილით უმზერდა.

ბუხარელი გრძნობდა ამას და განზე იხედებოდა, ქიქინაძეს კი თავს ისე აჩვენებდა, ვითომ, მიწურში ბნელოდა და იმიტომ არ უყურებდა. ზემდეგი მიწურიდან რომ გავიდა, ქიქინაძემ თვალი გააყოლა და წაილაპარაკა:

— არამზადა! რა საცოცხლებელია, ქათამივით უნდა წააგლიჯო თავი!

— ეჰ, ბარემ კარგი იქნებოდა, მაგრამ ვაითუ ამით საქმე წავახდინოთ!

ასეულის ზემდეგად ბარამიძეს სხვა ლეგიონერის დანიშვნა უნდოდა, მაგრამ ბატალიონის შტაბის უფროსმა ლეიტენანტმა შტაინგეიმმა ბუხარელი გამოუგზავნა. შეხედა თუ არა ამ მაღალ წარმოსადეგ ჭაბუკს, გრძელი, შავი ულვაში მოხუცივით დაბლა რომ ჩამოეგრიხა, რაღაც არ მოეწონა, გული არ მიუვიდა. მისი გვარი რომ გაიგო, შეეკითხა, ალბათ თუხარელი ხარო; არა, ბატონო კაპიტანო, ბუხარელი გახლავართო.

ზემდეგი ბუხარელი გრძნობდა, რომ ბარამიძეს თვალში არ მოსდიოდა, მაგრამ ამას როდი იმჩნევდა, ოხუნჯობდა, სულ იმას ცდილობდა რამენაირად ასეულის მეთაურისათვის პატივი ეცა, მისი გული მოეგო.

უსახელო მაღლობზე, ნახევარი გუთნის გაშლის ოდენა მინდორი, ადრე ბუჩქებით რომ იყო დაფარული, ჭურვებსა და ნაღმებს ერთიანად გადაეთხარა.

ეს მთა წითელი არმიის ყველაზე წინ წამოწეული პოზიცია იყო. აქედან მკაფიოდ ჩანდა ბორცვებზე განლაგებული მტრის სანგრები.

მაღლობს ლეიტენანტ მირნოვის ოცეული იცავდა. ისინი, მეთაურიანად, თხუთმეტნი იყვნენ.

გერმანელებს უნდოდათ როგორმე ხელში ჩაეგდოთ ეს მთა, მაგრამ მისი დამცველნი მტერს მამაცურად იგერიებდნენ, ზღუდიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

გენერალმა ლანცმა, ნაბრძანები რომ ჰქონდა უსახელო მაღლობის დაპყრობა, თვითონ შეადგინა შეტევის გეგმა. დაბომბვისა და საარტილერიო მომზადების შემდეგ, იერიშზე გადავიდოდა ოფიცერთა საჯარიმო ასეული, „სიკვდილმისჯილებს“ რომ ეძახდნენ. შეტევაში მონაწილეობას მიიღებდა ქართული ბატალიონის ერთი ოცეული. კავალერიის გენერალი კესტრინგი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველებზე, ფოლხვერივით მოქნილი, შეუპოვარი, გულადები არიანო, ადგილის მელას ადგილის მწევარი უკეთ დაიჭერსო. თანაც ლეგიონერები

თანამოძმეთა სისხლში ხელს რომ გაისვრიან, მერე მათგან შეწყალების იმედი აღარ ექნებათ და უფრო შეუპოვრად იბრძოლებენო.

ქართული ბატალიონის მესამე ასეულის მეორე ოცეული შუაღამისას უსახელო მაღლობის შორიახლოთ გადაიყვანეს.

ლეიტენანტმა მარტემ, მესამე ასეულის მეთაურად რომ დანიშნეს, ლეიტენანტ ცხადაძეს უბრძანა, იერიშისათვის მოემზადეთ, განთიადისას საარტილერიო მომზადების შემდეგ წითელ შუშხუნას გაისვრიან, ეს იქნება დაწყების მაუწყებელიო.

ცხადაძე ლეიტენანტ მარტეს მითითებულ ობიექტებს რუკაზე დააცქერდა, მერე იკითხა, რატომ უნდა მივატოვოთ სანგრები, ვაითუ მოწინააღმდეგემ ბუჩქნარში შეგვნიშნოს და ცეცხლი დაგვიშინოსო.

კაპიტანი ჭიჭინაძე, ვითომ ცხადაძეს განმარტებას აძლევდა, რუკაზე ბუჩქნარებს უჩვენებდა, ხინამდვილეში კი მეთაურებს მიუთითებდა:

— გააფრთხილეთ ყველა, რომ ჰაერში ისროლონ! თანამოძმეთა წვეთი სისხლი არ დაღვარონ.

— რა არის გაუგებარი, რას უმტკიცებ? — შეეკითხა კაპიტან ჭიჭინაძეს ლეიტენანტი მარტე.

ჭიჭინაძემ განუმარტა ასეულის მეთაურს ცხადაძის მოსაზრება.

— მტერთან რაც უფრო ახლო ვიქნებით, მით უფრო სწრაფად განვავითარებთ შეტევას. რაც უფრო სწრაფი იქნება შეტევა, მით უფრო ნაკლები იქნება მსხვერპლი! — ისე ამაყად განაცხადა მარტემ, თითქოს ეს ბრძნული აზრი პირველად მას დაბადებოდეს თავში.

გარიჟრაჟზე უსახელო მაღლობს ცხრა „იუნკერსი" დაესხა თავს. ლეიტენანტ მირონოვის ოცეულის პოზიცია დაბომბეს.

ჯერ ისევ ისმოდა თვითმფრინავების გუგუნი, რომ გერმანელებმა საარტილერიო მომზადება დაიწყეს. ბომბებმა, ჭურვებმა, ნაღმებმა მაღლობი ერთიანად გადათხარეს. ბუჩქებს, მცენარეებს ცეცხლი მოედო. ქვა ქვაზე დაღუღდა, ყველაფერი კვამლსა და კორიანტელში გაეხვია.

დადუმდნენ თუ არა ქვემეხები, ხაჭარიძის ასეული წამოიშალა, მოჯარიმე ოფიცრები, უქუდონი და ხაყელოგაღეღილნი, შექეიფიანებულ მაყრებივით ამაყად, თავმომწონედ მიაბიჯებდნენ.

ლეიტენანტმა ცხადაძემაც ბრძანა:

— ოცეულო, წინ! — და უმალ დაატანა, ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ ნათქვამი: — ოღონდ ისროლეთ ჰაერში!

ცხადაძის ოცეული ოფიცერთა ხაჭარიძის ასეულის მარცხენა ფლანგზე უტევდა.

მაღლობი დუმდა, მაგრამ ომში ხომ დუმილი მოხვეული გველივით სანდო არ არის.

მირონოვის ოცეულის მებრძოლებს ზიგზაგურ სანგარში ეკავათ თავდაცვითი პოზიცია, სანგარი ორი განშტოებით უერთდებოდა ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით, დიდი კლდის ქვეშ გათხრილ თავშესაფარს.

მტერი დაიწყებდა თუ არა დაბომბვას, ან საარტილერიო მომზადებას, ოცეული მღვიმეს აფარებდა თავს. როცა თვითმფრინავები გაფრინდებოდნენ და არტილერია ჩაჩუმდებოდა, ისინი სანგარში ბრუნდებოდნენ და შეტევაზე გადასულ გერმანელ ქვეითებს გრიგალისებური ცეცხლით ეგებებოდნენ.

მებრძოლებმა ხელყუმბარები გაამზადეს, ავტომატები მოიმარჯვეს. მთვრალ ოფიცრებს ეგონათ წითელარმიელები მაღლობიდან უკუიქცნენო, და რიდი აღარაფრისა ჰქონდათ.

ლეგიონერებიც წათამამდნენ, უხაროდათ, რომ თავისიანებთან ბრძოლა არ მოუხდებოდათ.

მთის წვერზე ასვლას ცოტაღა უკლდათ, რომ უსახელო მაღლობის დამცველებმა ცეცხლი გახსნეს.

მოჯარიმეებს ერთი ღრიანცელი შეუდგათ, შედრკნენ, შეშინდნენ, მიწაზე დაეყარნენ, მაგრამ უმალ წამოიშალნენ და სროლითა და ყიჟინით შეუტიეს.

ტყვიის ცელი მოიერიშეებს ბალახივით თიბავდა. ფერდობი ადამიანთა გვამებით მოიფინა.

ლეგიონერებსაც შავი დღე დაადგათ. ცეცხლის გახსნისთანავე შუბლში ტყვია მოხვდა ლეიტენანტ ცხადაძეს და უსულოდ ძირს დაეცა.

მეთაურის სიკვდილმა არევ-დარევა შეიტანა ოცეულში. ლეგიონერები უკუიქცნენ. ზოგი წაკუზული გარბოდა თავქვეში, ზოგი — კუნძივით მოგორავდა. — ოცეულო, ისმინე ჩემი ბრძანება! — შესძახა პირველი ათეულის მეთაურმა მოსიაშვილმა, — ფიჭვნარისაკენ დაიხიეთ, ხის ძირებში ჩასაფრდით და ჰაერში ისროლეთ!

მოჯარიმეებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს და კუდამოძუებულებმა უკან მოკურცხლეს.

ლეინტენანტმა მარტემ ათეულის მეთაური მოსიაშვილი თავის მიწურში გამოიძახა და უყვირა:

— აი, თქვე ლაჩრებო, რატომ ისროდით ჰაერში?

თარჯიმანმა რომ ასეულის მეთაურის სიტყვები უთარგმნა, მოსიაშვილმა მშვიდად მიუგო:

— ბატონო ლეიტენანტო, წითელარმიელები მაღლობის მწვერვალზე არიან ჩასანგრებული, ამიტომ მაღლა ვისროდით!

— შეწყვიტე ლაყბობა! თავს ქართველად ასაღებ, მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, რომ მოღალატე ურია ხარ! ახლავე დაყარე იარაღი!

მოსიაშვილმა სიტყვაშეუბრუნებლად ავტომა-

ტი ძირს დადო, ქამარზე ჩამოკონწიალებული ფინური დანა შეიხსნა.

ლეიტენანტი მარტეს ბრძანებით გერმანელმა ჯარისკაცმა მოსიაშვილი ზონდერფიურერ ზალუპს მიჰგვარა.

ბატალიონის მეთაურმა ვაგნერმა ლეგიონერთა ოცეულის მეთაურის სიკვდილი რომ შეიტყო, ლეიტენანტ მარტეს უბრძანა, ხვალ უფრო დიდი შეტევაა ნავარაუდევი, მესამე ოცეული გააძლიერეთ და მის მეთაურად კაპიტანი ჭიჭინაძე დანიშნეთო.

მარტემ ბატალიონის მეთაურის ბრძანება რომ გადასცა, ჭიჭინაძემ მიუგო: — ბატონო კაპიტანო, არის ჩავიბარო ოცეული, ოღონდ მინდა გირჩიოთ...

— არ მინდა შენი რჩევა-დარიგება! დროს ნუ კარგავ, ჩაიბარე ოცეული, მურადს თან ნუღარ წაიყვან. ორდინარეცად გრძელულვაშა აიყვანე, მთასავით ვაჟკაცია, ძალღონით სავსე!

თანხმობის ნიშნად კაპიტანმა ჭიჭინაძემ თავი დახარა, მიწურიდან გავიდა და ზაქრო სურამელს უბრძანა, უკან გაჰყოლოდა.

ქვემეხები დუმდნენ, არც თოფების ბათქა-ბუთქი ისმოდა.

წითელ დისკოდ ქცეული მზე მთებში იძირებოდა. მისი მილეული სხივი ბილიკის პირად ჩარიგებულ მცენარეთა გაყვითლებულ ფოთლებში ჭიატებდა, ოქროსფერი დაჰკრავდა ტოტებდალეწილ ტყეებს, გადატრუსულ ფერდობებს.

ჰაერი ისეთი ნაზი, ისეთი წყნარი იყო, როცა ადამიანს რაღაც ტკბილი ოცნება სწადია და სულაც არ უნდა უბედურებაზე ფიქრი. ჭიჭინაძესა და სურამელს კი ყოველივე ეს შეუმჩნეველი რჩებოდათ.

შუბლშეჭმუხვნილი კაპიტანი ფიქრით თავს იტეხდა; რასაც ერიდებოდა, რასაც გაურბოდა, თავზე სწორედ ის არ დაატყდა? დღესვე ოცეულით ფრონტს გადალახავდა, მაგრამ ბატალიონი ბედის ამარად როგორ მიატოვოს?

აღარ იცის, რა ილონოს, რა გამოსავალი ნახოს! დროც რომ არ აქვს! დილაზე ხომ უთენია ისევ შეტევა დაიწყება?!

ზაქრო სურამელი ფიქრობდა:

„ეს მამაცი, ამაყი, ქედუხრელი კაცი ღმერთს განსაცდელში ჩავარდნილ ამხანაგებისათვის მარტო ხელმძღვანელად კი არა, მანათობელ შუქურად მოუვლენია. ალბათ გერმანელებმა შეიტყვეს კაპიტანის განზრახვა. ამიტომაც ასეულის მეთაურობიდან გადააყენეს. კაპიტანი ვარამს არ იმჩნევს, მაგრამ ეტყობა, გულზე მძიმე სევდა აწევს.

მდგომარეობა ხომ სულ უფრო მწვავდება, დილაზე წითელი არმიის პირისპირ აღმოჩნდებიან და, ალბათ ერთმანეთს ხიშტითა და კონდახით დაერევიან.

ეჰ, მეტი არა უნდა რა, კაპიტან ჭიჭინაძეს გულში ჩაახედა. ნეტავი რა გზით, რა საშუალებით აპირებს ამ უიმედო მდგომარეობიდან თავის დაღწევას, ბატალიონის სამშვიდობოზე გაყვანას, ასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას!“

ჭიჭინაძე თითქოს მიხვდა სურამელის გულისნადებს, ნაბიჯი შეანელა:

— ბიჭო, რას დაღონებულხარ, რა სახე ჩამოგტირის?

— ამხანაგო კაპიტანო, რა გითხრათ, აბა? მთელი არსებით მოვისწრაფოდით ფრონტისაკენ, გვეგონა ჩვენებთან გავაღწევდით, მაგრამ საქმე ისე აიწეწ-დაიწეწა, გაძალლდა, ლამის მშრალზე დავრჩეთ!

ამ პატიოსანი კაცის ეჭვი ავის მომასწავებელიაო, გაიფიქრა ჭიჭინაძემ, მაგრამ ისეთი მოჩვენებითი გულადობითა და იმედიანად განაცხადა, — ნუ გეშინია, ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდებაო, თითქოს ამაში ღრმად იყო დარწმუნებული. გულში კი გაურბინა ფიქრმა, ვინ იცის, იქნებ მართლაც წავხდეთ, დავკნინდეთ, გავნადგურდეთო.

ერთხანს დუმდნენ, მერე ჭიჭინაძემ თქვა:

— ზაქრო, რა გიბრძანა, რა დაგავალა შეფმა!

— კაპიტან ჭიჭინაძეს გვერდიდან არ მოსცილდე. შეტევის დროს კი ლეგიონერებს უთვალთვალე, თუ ვინმემ, ჰაერში ისროლოს, მომახსენეო.

უსახელო მაღლობიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით, ტყისპირას, ძეძვნარში მესამე ასეულის მესამე ოცეული იყო ჩასანგრებული.

ყოველ ნაბიჯზე ნაყუმბარევი ორმო იყო. ხის ტოტებს, გაცვენილ ფოთლებს, გოროხებს, და თვით ტალახში ამოსვრილ ლეგიონერებს დენთის სუნი ასდიოდათ.

ლეგიონერები ჭიჭინაძეს ცივად, მაგრამ მორჩილად და მოკრძალებით ესალმებოდნენ. თან დანაღვლიანებული თვალებით ისე შეჰყურებდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ: — კაპიტანო, შენ დაგვატეხე თავს უბედურება, გვირჩიე ჩაგვეცვა გერმანული ფორმა, იარაღი აგვესხა, შენ დაგვპირდი, აღგვითქვი, რომ წითელი არმიის მხარეზე გადაგიყვანთო. დაგიჯერეთ, მოგენდეთ. და აი შენი წყალობით რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავზე, გერმანელები ძმების წინააღმდეგ საბრძოლველად მიგვერეკებიანო.

კაპიტან ჭიჭინაძის გამახვილებული ალღოს, გამჭრიახ თვალს არ გამოჰპარვია, თუ რა გულგატეხილობას, უიმედობას დაესადგურებია ოცეულში. და ეს თითქოს მასაც გადაედო, მაგრამ თავი მაინც მხნედ ეჭირა, ლეგიონერებს მხიარულად ესალმებოდა, ხელს მაგრად ართმევდა, რიხიანად ელაპარაკებოდა.

ჭიჭინაძემ ოცეულის მიერ სახელდახელოდ გათხრილი სანგრები შემოიარა, ლეგიონერები

სათითაოდ გააფრთხილა, შეტევის დროს ჰაერში ისროლეთო.

საღამოთი კაპიტან ჰიჰინაძეს ბატალიონის შტაბიდან დაურეკეს, რომ დილით ოთხ საათზე ოცეული სამასიოდე მეტრით წინ, მაღლობის ძირას, ხშირ ბუჩქნარში გადაეყვანა. ექვს საათზე ოცწუთიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევის დაწყების მაუწყებელ შუშხუნას შარაგზის მარცხენა მხრიდან გაისვრიანო.

კაპიტანმა ჰიჰინაძემ გუშაგები გამოჰყო, ოცეულს უბრძანა, დაისვენეთო. თვითონ კი, სურამელის თანხლებით, ხშირ ბუჩქნარისაკენ გაემართა, რათა მომავალ ბრძოლის ველს გასცნობოდა.

ცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილიყო.

აღმოსავლეთით, ორ მაღლობს შორის ამოცურებულ მთვარეს, თეთრი ღრუბლები პირბადედ რომ შემოხვეოდათ, მარაოსავით ატყორცნილი შუქით მთის მწვერვალები გაენათებია. ბორცვებს შორის მოქცეულ ტაშირს კი შავი ნაბადი ეფარა.

მაღლობიდან მაღლობზე ხამუშ-ხამუშ გადასროლილი ცეცხლის ბურთები კუდიან ვარსკვლავებივით ერთმანეთს ჩაუქროლებდნენ ხოლმე.

ალაგ-ალაგ გუზე იდგა და ორივემ ფარაჯა აიკეცა.

ბადრმა მთვარემ ღრუბლების რიდეს თავი დააღწია, მწვერვალების ზემოთ ამოგორდა, ტყით დაფარულ ბორცვებსა და ვიწრო ხეობას სინათლე მოჰფინა.

წინ ხევი შემოხვდათ.

ფრთხილად ჩავიდნენ დაღმართზე და მოწანწკარე რუზე გადახტნენ. ღორღით მოფენილი აღმართი რომ აათავეს, ბილიკი დაეკარგათ და წელში მოხრილნი ხელების ფათურით განაგრძობდნენ სვლას. ბუჩქის ტოტები სახეს უკაწრავდათ, ძეძვი და ნარ-ეკალი ფეხებში ეხლართებოდათ.

— ფუჰ, ჩვენს ძაღლურ სიცოცხლეს! რა მოხელეები ვართ, რის გულისათვის ვწვალობთ? — გაბოროტებით წაილაპარაკა სურამელმა.

— რატომ, ბიჭო! მართალია, ვითარება მძიმეა, მაგრამ გამოუვალი როდია! როგორმე წითელი არმიის ნაწილებთან უნდა დავამყაროთ კავშირი, თორემ უამისოდ ჩვენი ყოველი ცდა ამაო იქნება.

— ამხანაგო კაპიტანო, იქნებ ეს ახეა, მაგრამ, აბა, ერთი ლეგიონერებს მოუსმინეთ, რას ამბობენ: ეტყობა კაპიტანმა ჰიჰინაძემ ჩვენებთან გადასვლა გადაიფიქრა და ახლა იმას ცდილობს, გერმანელებთან თავი გამოიჩინოს, ჯილდოები დაიმსახუროსო.

ჰიჰინაძე არასოდეს ჰკარგავდა წონასწორობას, ბოლომდე ინარჩუნებდა ოფიცრის ღირსებას, მაგრამ ამჯერად თავი ვერ შეიკავა და, შესძახა:

— რაღას არ გაიგონებს კაცი! — მაშ, ამის მთქმელი სულმდაბალი არ არის? რა ოხრად მინდა გერმანელებთან თავის გამოჩენა, იმათი ჩინმენდლები?! — ერთხანს იყუჩა, მერე კი გულის ტკივილით განაგრძო — ეჰ, განა ჩემთვის იოლია, არ ვიტანჯები, მაგრამ ასე უცებ რა ვიღონო. სიტყვითა და ფიცით ჩემს სიმართლეში ვერავის დავარწმუნებ. საქმით, მხოლოდ საქმით უნდა დავამტკიცო, რომ ჩემი ერთადერთი საზრუნავია თავისუფლებას ვაზიარო, ბედნიერება მოვუტანო ლეგიონერებს!

ხშირი ბუჩქნარი უკან მოიტოვეს, უსახელო მაღლობს მარცხნივ შემოუარეს და მის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მოექცნენ.

მაღალი ნეკერჩხლის ძირას შეჩერდნენ.

კაპიტანმა უსახელო მაღლობის ტყის დაფარულ ფერდობს მოავლო თვალი და სურამელს ჰკითხა:

— ზაქრო, მთიული ხარ, უნდა იცოდე, ჩვენს მხრიდან სად შეიძლება იყოს მაღლობზე მიმავალი ბილიკი?!

— ძნელია თქმა! — მიუგო სურამელმა, მცირე ხნის მერე კი დასძინა, — თუმცა შეიძლება ამის გამოცნობა.

— როგორ?

— როგორ და... შარაგზების მსგავსად, მდინარეებს რომ ემიჯნებიან, ფერდობზე შეფენილ ტყეშიც ბილიკები ნაკადულებით ჩახრამულ ღელეებს ეკვრიან.

— მეც ასე ვიცი!

ისინი დიდხანს უმზერდნენ შუქდაფენილ ტყეს.

— აგერ იმ ნაძვს ხედავთ? — თქვა სურამელმა და ხელი მაღლა მთის კალთაზე მდგარ ხისკენ გაიშვირა. — მის მარცხნივ ტყე ოდნავ ჩაღრმავებულია! ჩემი ვარაუდით, სადღაც იქ უნდა გადიოდეს ბილიკი.

ნაძვამდე მანძილი უფრო შორი გამოდგა, ვიდრე ეგონათ.

სურამელმა ბუჩქის ძირები შეათვალიერა:

— ამხანაგო კაპიტანო, აი აქ უნდა იყოს ბილიკი. — ჩაიჩოქა და დაგროვილი ხმელი ფოთლები გახვეტა. კაპიტანმა ჯიბის ფანარი მოიმარჯვა და იმ ადგილს მიანათა, სურამელმა რომ გაასუფთავა.

— დიახ, ბილიკია, ამხანაგო კაპიტანო! იქით მიემართება! — და სურამელმა ხელი კუნელის ძირკვებისაკენ გაიშვირა.

ჰიჰინაძე მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე კი თქვა:

— შეტევის დაწყების წინ ოცეული აქ უნდა გადმოვისროლოთ. როგორც კი საარტილერიო მომზადება დამთავრდება, იმწამსვე მრავალი შუშხუნით გავანათებთ არემარეს. ტყვიამფრქვე-

ვებითა და ავტომატებით ავტეხთ სროლას. მხოლოდ მსხვრევად ტყვიას გამოვიყენებთ, რაც უფრო დიდ ხმაურს გამოიწვევს. მაღლობის დამცველებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებათ, რომ ზურგიდან ოცეული კი არა, მთელი ბატალიონი უტევს. ჩრდილოეთის მხრიდან კი ოფიცერთა საჯარიმო ასეული იმოქმედებს... დაზვერვის ცნობით, მაღლობს სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წითელარმიელი იცავს. ისინი იმის შიშით, ალყაში არ მოვექცეთო, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს დაიხევენ, და, მგონი სისხლას დაუღვრელად დავაგვირგვინებთ ამ ოპერაციას.

კაპიტანი ჭიჭინაძე პოზიციაზე დაბრუნდა თუ არა, ასეულის მეთაური ლეიტენანტი მარტე ინახულა და მაღლობზე შეტევის თავისი გეგმა გააცნო.

— მე არ შემიძლია კაპიტან ვაგნერის ბრძანების შეცვლა! — მიუგო მარტემ, თავისთვის კი გაიფიქრა, ამისას რას გაიგებ, ასე ამბობს, მაგრამ, ვინ იცის, გულში რა უდევსო! რა თავს იტეხს, ვინ რას ეკითხება? დასწყევლოს ღმერთმა, ამათ ვის გადავეყარე! ალბათ არმიის სარდლობა უფრო იოლია, ვიდრე ამ ერთი მუჭა გადამთიელების მეთაურობაო.

— მაშ ნება მომეცით, კაპიტან ვაგნერს მივმართო? — უთხრა ჭიჭინაძემ.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, წადი და ნოახსენე! — და მარტემ ჯიბიდან საათი ამოიღო, — უკვე ღამის ორი საათია. ბატალიონის შტაბში მისვლა-მოსვლა რომ ვერ მოასწრო?

— ბატონო ლეიტენანტო, მოვასწრებ! მოსიაშვილის ბედიც მაწუხებს, ვიღაცას დაუბეზღებია, ებრაელიაო. ის კი ქართველია!

რაღაც ათიოდე წუთის შემდეგ კაპიტანი ჭიჭინაძე და სურამელი ცხენებს ბატალიონის შტაბისაკენ მიაგელვებდნენ.

ბატალიონის შტაბის მორიგე ოფიცერმა კაპიტან ჭიჭინაძის მისვლის მიზეზი რომ გაიგო, განუცხადა, დილამდე მოგიხდება ლოდინი, კაპიტან ვაგნერს ვერ გავაღვიძებო.

— ბატონო ლეიტენანტო, დაუყოვნებლივ უნდა მოვახსენო. შეტევა დილის ექვს საათზეა დანიშნული! — ხმას აუწია კაპიტანმა ჭიჭინაძემ.

— ნუ ყვირი, ხალხს ძილს ნუ უფრთხობ!

კაპიტანი ჭიჭინაძე არ ცხრებოდა:

— ბატონო ლეიტენანტო, რატომ არ გინდათ გაიგოთ, მე ბრძოლის ბედზე გული შემტკივა, მინდა წარმატება მოვიპოვოთ!

მიწურის პატარა ფანჯარაში შუქი აკიაფდა. მიწურის კარი გაიღო და კაპიტანმა ვაგნერმა გამოსძახა:

— ლეიტენანტო, მე არ მძინავს, გამოატარე ჭიჭინაძე.

ოდნავ განათებულ მიწურში ხის ცხაურები ელაგა, კედლებიდან გამონაჟონი წყალი იატაკზე კოჭებამდე იდგა.

— რა გინდა, ამ შუაღამისას რომ მოგაყვანა? — შეეკითხა ჭიჭინაძეს კაპიტანი ვაგნერი, ზმორებითა და თვალების სრესით.

— ბატონო კაპიტანო! — ხმამაღლა, ვიდრე ეს საჭირო იყო და მხნედ დაიწყო ჭიჭინაძემ. — მე უკვე ვინახულე ის ადგილი, საიდანაც უნდა შევუტიოთ მაღლობს! მტრის ცეცხლს თავიც რომ დავაღწიოთ, ძალიან გაგვიძნელდება გაუვალი ეკალ-ბარდსა და ძეძვნარში გზის გაკვლევა. ამასთან, მოწინააღმდეგეს მაღლობის მისადგომები არტილერიით, ნაღმტყორცნებითა და ტყვიაფრქვევებით აქვს გამოთოფილი, მსხვერპლს გავიღებთ, მიზანს კი...

კაპიტანმა ვაგნერმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს, უამისოდ ვერ გაიმარჯვებ!

— მართალს ბრძანებ, ბატონო კაპიტანო, მაგრამ განა არ ემჯობინება წარმატებას ნაკლები მსხვერპლით მივაღწიოთ!

— ჩვენი მიზანიც ესაა!

— ბატონო კაპიტანო, ამიტომაც მოგახსენებთ, — მტკიცედ განაგრძობდა ჭიჭინაძე, — უმჯობესია მაღლობს ჩრდილოეთიდან კი არ შევუტიოთ, აღმოსავლეთიდან მოვუაროთ, იქით მწვერვალისაკენ მიმავალ ბილიკსაც მივაგენი. ქარი დასავლეთიდან უბერავს და ესეც ხელს შეგვიწყობს. ჩასაფრებულ წითელარმიელებს ჩუმად წავეპარებით, მოულოდნელად თავს დავესხმით, თავზარს დავცემთ!

„ნუთუ გულში ავი განზრახვა უდევს? კარგი და, თუ ღალატი სწადია, ხელს ვინ უშლის, ჩემს ნებართვის გარეშეც ხომ შეეძლო წაეყვანა ამ გზით ოცეული?“ — გულში ბჭობდა კაპიტანი ვაგნერი. ჭიჭინაძის წინადადება კი ირწმუნა, მაგრამ თავისას მაინც გაიძახოდა, — ახლა შუაღამეა, გენერალს ვერ გავაღვიძებ, მე კი არ შემიძლია შეტევის გეგმის შეცვლაო.

ჭიჭინაძე დაბეჯითებით მოითხოვდა:

— სცადეთ, ბატონო კაპიტანო! ომში ხომ გენერლები სხვებზე მეტად ფხიზლობენ!

„ეს ვინა ყოფილა, ნამდვილად შარს გადამაკიდებს! ისე კი, რა მოხდა, ვცდი, იქნებ გენერალს მართლა ღვიძავს. თუ ასეა, ხომ კარგი, არა და, მის ადიუტანტს მოვახსენებ, სხვა რომ არაფერი, იმას ხომ გაიგებენ, გვიანობამდე მღვიძავს და ხვალინდელ შეტევაზე ვფიქრობ!“

ვაგნერმა დივიზიის მეთაურთან დარეკა.

გენერალს არ ეძინა, თვითონ აიღო ყურმილი.

ვაგნერმა დივიზიის მეთაურს მოახსენა, ჩემთან გამოცხადდა ჭიჭინაძე, რომელმაც უსახელო მაღლობის იოლი გზით დაპყრობის გეგმა წარმოადგინაო.

გენერალმა ვაგნერს დაწვრილებით მოსთხოვა, რა წინადადებას აყენებდა კაპიტანი ჭიჭინაძე. მერე ერთხანს დუმდა.

კაპიტან ვაგნერს მილში ესმოდა გენერლის ნელი სუნთქვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ღრმად ჩაფიქრდა.

და ბოლოს გენერალმა სხაპასხუპით, ისე როგორც არმიაში მიღებული, ვაგნერს უბრძანა:

— ქიქინაძეს ნებას ვრთავ, იმოქმედოს თავისი გეგმით. ამის შესახებ ჩვენ შევატყობინებთ ოფიცერთა საჯარო ასეულსა და საარტილერიო დივიზიონის მეთაურებს!

კაპიტანმა ვაგნერმა ყურმილი ჩამოკიდა თუ არა, იმათ გახარებულმა, რომ გენერალმა მოიწონა ქიქინაძის წინადადება, ამას კი უკვე თავის დამსახურებადაც თვლიდა, კმაყოფილებით თქვა:

— ქიქინაძე, როგორც პათოსითაც ლაპარაკობ, თუ ასევე იმოქმედე, უთუოდ წარმატებას მიაღწევ. ამით მარტო ჩვენს ნდობას და პატივისცემას კი არა, რკინის ჯვარსაც დაიმსახურებ!

— ბატონო კაპიტანო, შევეცდები საქმით დავამტკიცო ჩემი თავდადება, ოღონდ გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რათა უხვად მოგვამარაგონ შუშხუნებით, მსხვრევადი ვაზნებით, ამით ჩვენ მოწინააღმდეგის ფსიქიკაზე მოვახდენთ დარტყმას, მათ რიგებში არევ-დარევას შევიტანთ!

— ქიქინაძე მხნედ შეუდექი საქმეს, საჭურვლით უზრუნველგყოფთ, არაფერს მოგაკლებთ!

— ბატონო კაპიტანო, ლეგიონერ მოსიაშვილზე მინდა მოგახსენოთ. იგი ქართველია, ვიღაცას კი დაუბეზღებია, ებრაელიაო, გთხოვთ გასცეთ განკარგულება...

— ეს საქმე მე არ მეხება, ზონდერ ფიურერ ზალუპს მოელაპარაკე.

ათიოდე წუთში კაპიტან ქიქინაძე ზონდერფიურერ ზალუპის მიწურში იყო.

— მაშ, თქვენ ირწმუნებით, რომ მოსიაშვილი ქართველია?! — შეეკითხა ქიქინაძეს ზალუპი, თან გაიზმორა, ვითომ ჩემთვის ყველაფერი ნათელია. მაგრამ ვალის მოხდის მიზნით გეკითხებით.

— ბატონო ზონდერფიურერო, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ლეგიონერი მოსიაშვილი ქართველია. ამასთან, სძულს ხამწოთა წყობილება. მიეცით შესაძლებლობა და იგი ამას ბრძოლაში დაამტკიცებს.

— მოსიაშვილმა მხოლოდ თავისი გამქიდველობა დაამტკიცა. იმის მაგივრად, რომ მტერი ამოეღო მიზანში, ჰაერში ისროდა.

— ვერ დავიჯერებ! ვინ იქნება ისეთი ჭკუათმყოფელი, მოწინააღმდეგე არ ზოგავდეს ტყვიას უშენდეს, იმან კი თავი არ დაიცვას, მტერი არ მოიგერიოს, ჰაერში მიმოფანტოს ტყვია?

ზონდერფიურერის ბრძანებით გუშაგმა მოსიაშვილი მოიყვანა.

ზონდერფიურერი ერთხანს მოსიაშვილს დაკვირვებით უმზერდა, მერე კაპიტანს მიუბრუნდა:

— ქიქინაძე, შეცდომაში არ შემიყვანო!

— ბატონო ზონდერფიურერო, ჩემს ყოველ სიტყვაზე პასუხს ვაგებ!

— მოსიაშვილო, კაპიტანს უმადლოდე! — ეს უკვე რუსულად თქვა ზონდერფიურერმა. — იმედია, არ შეარცხვენ, ღირსეულად შეასრულებ ლეგიონერის მოვალეობას. გაჰყევი ქიქინაძეს და უერთგულე, მან სიცოცხლე გაჩუქა!

შუაღამით ქარი ამოვარდა.
მთები შავ ღრუბლებში გაეხვია.
ერთბაშად შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

სანგრები, თავშესაფრები, მიწურები წყლით აივსო.

საწვიმარ ლაბადაში გახვეული ლეგიონები, გაიწუწნენ, დასველდნენ, სიცივე ძვალს და რბილში გაუჯდათ.

როგორც უცებ გაავდარდა, ისე უცებ გადაიღო. წვიმა ბურუსად იქცა. შავი ღრუბლების ფთილებში გაჩხირულმა მთვარემ ძლივს გამოიხედა, არემარეს ერთი კი გადაავლო თვალი და მყისვე მიიმალა. მერე უფრო გაბედულად გამოჰყო თავი და მთები თეთრად ააქათქათა.

ფრონტის ამ მონაკვეთზე დღედაღამ არ წყდებოდა ტყვიამფრქვევების კაკანი, ქვემეხების გრუხუნი. ახლა კი ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა.

თავით ფეხამდე სველი ლეგიონერები გაწუწული წიწილებივით მობუზულიყვნენ. სანგრის კედელზე მიყრდნობილი თვლემდნენ.

თუმცა სურამელს ოცეულის მეთაურას მაწურიდან წყალი გამოეშხიპა, ტახტზე გაფენილ ნოტიო ნამჯის მაგივრად მშრალი ნაძვის ტოტები დაეგო, მაგრამ ქიქინაძეს სველი ტანსაცმელი ეცვა. და დაწოლისთანავე შეამცივნა. თან ხვალინდელ შეტევაზე აკვიატებულ. აბეზარ დარდს ვერ იცილებდა, შამფურივით ტრიალებდა, ძილი გაუტყდა და გარეთ გავიდა.

წვიმით ჩამორეცხილი მთებიდან ცივი ნიავი უბერავდა. უსახელო მაღლობი არემარეს კუშტად გადმოსცქეროდა.

არც ზემოურები ისროდნენ, არც ქვემოურები პასუხობდნენ.

ეჰ, სულ იმას ერიდებოდა, იმას გაურბოდა, თავისიანებს ბრძოლის ველზე არ შებრძოლოდა, მაგრამ წყეულმა ბედმა ამაშიც უმუხლთა.

შუაღამე გადასული იყო, რომ ვარსკვლავთა მტრედისფერ შუქზე ქიქინაძის ოცეული გზას გაუდგა.

ხეობა თანდათან შევიწროვდა. აქეთ-იქით ტყით დაფარული მთები აზიდულიყვნენ.. პირქუშად დაყუდებული კლდეები ლეგიონერებს უსიამოვნო გრძნობას ჰგვრიდა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, მაგრამ ეს არ იყო საიმედო დუმილი. ის თითქოს ბუჩქებში განაბულიყო. წუთი წუთზე მეხივით დაიქუხებდა, ქვეყანას შესძრავდა!

საჭურვლით დამძიმებული ლეგიონერები ხშირ ბუჩქნარს გაჭირვებით მიარღვევენ, გაუვალ ძეძნარს ზედ ევლებიან, ტანსაცმელზე ახუნძლულ ნარ-ეკალს ძლივს იცლიან.

როგორც იყო, ბუჩქნარი გალიეს და ჯაგით დაფარულ ველზე გავიდნენ. პატარა კუნძებს ჩასაფრებული მეომრებივით ამოეყოთ თავი.

ჯაგნარი წელში მოხრილებმა გადაირბინეს. კაპიტანმა ჭიჭინაძემ ხელის აწევით ოცეული შეაჩერა:

— ამხანაგებო, დაწექით, აღმართზე ფრთხილად უნდა ავცოცდეთ!

კაპიტანი ჭიჭინაძე პირქვე წვება და ფერდობზე მიცოცავს. უკან ლეგიონერები ხოხვით მიჰყვებიან.

ერთ მხარეს ციცაბო კლდოვანი ფერდობი კედელივით აღმართულა, მეორე მხარეს უფსკრულს ხახა დაუღია.

ლეგიონერებთან ერთად, ნარეკალით მოფენილ გორაზე, ვიწრო ბილიკით, თითქოს მდუმარება, შიში, გულგატეხილობა აცოცდა.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ ხმადაბლა დაიძახა: პირველი ათეული უკან გამომყვეს, დანარჩენები აქ დამელოდეთო.

ტალახში ამოსვრილი სახომიხდილი ლეგიონერები ნარეკალზე მიეყარნენ, ზოგმა უმალ ხვრინვა ამოუშვა, ზოგმა კიდევ ჩურჩული გააბა:

— ვერაფერი გამიგია, ამ შუაღამისას აქ სად მოგვიყვანეს? — ჰკითხა მოსიაშვილს ლეგიონერმა ირემაძემ, მაგრამ რაკი ამხანაგმა პასუხი შეაგვიანა განაგრძო, — მაღლობზე ჩასაფრებულმა წითელარმიელებმა კიდევაც რომ ვერ შეგვნიშნონ, დილაზე გერმანიის არტილერია მიწასთან გაგვასწორებს.

— ნუ გეშინია, კაპიტანმა ჭიჭინაძემ იცის, რასაც აკეთებს! — მიუგო დაიმედებით მოსიაშვილმა.

— რა არის? ეს ყველაფერი მისი ახირებაა და მეტი არაფერი!

— რა ენა წაიგრძელე! მოკეტე! — შეუტია ირემაძეს სურამელმა.

— იცი რა გითხრა, ჭურში რომ ვზივარ, ყველაფერი ვიცი.

— მაინც რა იცი, სთქვი, ვის ერიდები? — შესძახა სურამელმა უფრო გალცებულმა, ვიდრე გაბრაზებულმა.

— რატომაც არა, გეტყვი! კაპიტან ჭიჭინაძეს და ეტყობა, შენც, ბრძოლაში თავის გამოჩენა გწადიათ!

— რას ბოდიალობ? — სურამელმა მხოლოდ ამის თქმაღა მოასწრო, რადგან ბუჩქებში ხმელი ტოტების მტვრევის ხმა გაისმა, ჭიჭინაძემ ფერდობზე ჩამოირბინა და ლეგიონერებს უბრძანა, გამომყევითო.

ისინი შეუმჩნევლად მიიპარნენ ერთ მაღალ, გადმოწოლილ სალ კლდესთან.

კაპიტანმა ლეგიონერებს უბრძანა აქ გაეთხარათ თხრილები. საარტილერიო მომზადების დამთავრების შემდეგ კი, შუშხუნით ნიშანს მისცემდნენ თუ არა, ასიოდე მეტრზე გაშლილიყვნენ და მსხვრევადი ვაზნებით უსახელო მაღლობის სამხრეთით მოსაზღვრე ბორცვისათვის ცეცხლი დაეშინათ.

ინათა. მოციმციმე ვარსკვლავნი ჩაიფერფლნენ, უსასრულობაში მიიმალნენ, ცაზე ჯანქანდამსკდარი ღრუბლები მიცურავდნენ. გორაკებს ნისლი ეხვია.

დაბურულ, უსიერ ტევრში არ გაისმოდა ტურის ყეფა, მაჩვის ჩხავილი, აფთრის გოდება. არც ბუდიდან ამოფრენილი ფრინველთა ჟივილ-ხივილი არღვევდა სიმშვიდეს.

ლეიტენანტ მირონოვის ოცეულის მებრძოლებს თავშესაფარში ეძინათ. პოზიციაზე ორი გუშაგი მორიგეობდა.

შუაღამე გადასული იყო, რომ ერთ მათგანს რაღაც ხმაური შემოესმა.

გუშაგმა მაშინვე ოცეულის მეთაურს მოახსენა.

ლეიტენანტი და ჯარისკაცი დიდხანს გასცქეროდნენ იმ მხარეს, საიდანაც ხმაური გაისმა, მაგრამ ჩქამი აღარ გაუგონიათ.

ლეიტენანტმა დაასკვნა, გუშაგს ან მოეჩვენა, ან ეს იყო უთვალავ ხეთა კენწეროების ჩუმი ჭრიალი, ხმელი ტოტების ტკრციალი.. მორიგეები მაინც გააფრთხილა, ფხიზლად იყავით, თუ რაიმე საეჭვო შენიშნოთ, მაშინვე შემატყობინეთო, თვითონ კი თავშესაფარში წავიდა.

გუშაგს ხმაური აღარ გაუგონია. ოღონდ წინა ხაზზე გერმანელები საეჭვოდ აფუსფუსდნენ, ახმაურდნენ, აყაყანდნენ.

ყოველივე ამას კი დილის სიწყნარეში დადუმებული მთები ექოდ გამოსცემდნენ. ორში ერთი იყო: ან გერმანელებმა შევსება მიიღეს, ან მტერი ახალი შეტევისათვის ემზადებოდა.

ლეიტენანტმა მირონოვმა ოცეული ფეხზე დააყენა.

სანგრები ჩააღრმავეს, დამატებითი შემაერთებელი თხრილები გასჭრეს, იარაღი გაწმინდეს, გაზეთეს.

ბუჩქებით დაფარული ბორცვები, ნისლში აბთლილი ტყეები ნაწვიმარზე უფრო კოპწია-

ობდნენ. მთებიდან მოვარდნილი წიწვის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი მაღლობზე ჩასაფრებულ მებრძოლებს სახეზე ელამუნებოდა, სულში უძვრებოდა.

— ეჰ, ბიჭებო, რა წყნარი, მშვიდი დილაა! აბა, ერთი გახედეთ, კეკლუც ქალწულივით არ ბზინავს, ხასხასებს არემარე? — წაილაპარაკა ჯარისკაცმა ლებედევმა, მთებსა და ბორცვებს გაბრწყინებული თვალებით რომ გახცქეროდა, — დილით თითქოს ხელახლად ვიბადებით, ვიწყებთ სიცოცხლეს, გრძნობიერება გვემატება, სიყვარული გვწყურია.

— ვასია, ისე გატყობ, ახლა სატრფოსთან სერინობასაც მოისურვებ? — სიტყვა ესროლა ეფრეიტორმა ჯანელიძემ, ამხანაგებს კი მალულად თვალი ჩაუკრა, ვითომ, აი ნახავთ, როგორც სჩვევია ლებედევს, თუ ქალებზე არ ჩამოაგდოს სიტყვაო.

— ეჰ, ჩემო ტკბილო მეგობარო, ცოტა რომ გამათბო, მერე ერთი გემოზე გამაძღო, ქალზე უკეთეს რას ვინატრებდი. ეს ლამაზი მთები, ტყეები, ალბათ ღმერთმა სიყვარულისათვის გააჩინა! — და მცირე ფიქრის შემდეგ ნეტარ ოცნებაში წასულ კაცივით წაილაპარაკა, — დალახვროს ეშმაკმა, სიყვარულისათვის შექმნილი ეს ბორცვები, ეს ტყეები ადამიანმა სასაკლაოდ, გოლგოთას მთად აქცია!

— დახე ამას, თავფეხიანად ფილოსოფიაში არ გადაეშვა!

— ნეტავი ფილოსოფიისა რა გამეგება! ჩემი დღენი ფერმაში გამიტარებია, ცხენებს ვმწყემსავდი. ეს აზრი აქ დამებადა. ეტყობა, ომსაც აქვს თავისი ფილოსოფია!

ის იყო მებრძოლებმა ხმელი პურისა და დაობებული ძეხვის ჭამა დაიწყეს, რომ ანაზდად, თითქოს დამფრთხალი მტრედებიაო, ჭურვებმა თავზე გადაუქროლეს და მაღლობის სამხრეთ კალთაზე ჩაენარცხნენ. აფეთქებათა გრიალი, ქვემეხების გრუხუნი მთებს მიაწყდა, უმალ უკუიქცა, ხევხუვებს მოედო.

ჭექა-ქუხილი, მთების გრგვინვა, ხევებას გუგუნი ოციოდე წუთი გაგრძელდა, ირგვლივ ისეთი კვამლი და მტრის კორიანტელი დატრიალდა, ალარაფერი ჩანდა.

— ადგილებზე! — ბრძანა ლეიტენანტმა მირონოვმა და ავტომატმომარჯვებული თავშესაფარიდან პირველი გაიჭრა, ფეხდაფეხ თორმეტი მებრძოლი გაჰყვა. ორი ჯარისკაცი კი პოზიციაზე მორიგეობდა.

ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეები თხრილებზე ეყარა. ალაგ-ალაგ ჭურვებს სანგრის კედლები ჩაენგრია. უჭირდათ გზის გაკვლევა. ზოგან მუცლით მიხოხავდნენ, წაქცეულ ხის ტოტებში მიძვრებოდნენ.

უვნებლად გადარჩენილი გუშაგები მტრის პოზიციებს უთვალთვალებდნენ.

ოცეულის ზღუდე ნახევარწრის მოყვანილობისა იყო. სამივე მხრიდან მაღლობის ფერდობი პატარა ბუჩქებს დაეფარა. გერმანელთა წინახაზი სამასიოდე მეტრის დაცილებით წიწვოვან ტყის პირას გადიოდა.

მაღლობის სამხრეთით დამრეცი ფერდობი იყო. ამ მხრიდან დაცვა მეზობელ მთაზე გამაგრებულ ოცეულს ევალებოდა. ამიტომ უხახელო მაღლობის დამცველნი აქედან საფრთხეს ნაკლებად ელოდნენ.

ბახუსით სახედარუმბებულ ჰიტლერელ ოფიცრებს, თვალები გიჟივით უელავდათ, ზოგს მუნდირი გაეღეღა, ზოგს ჩაფხუტი გვერდზე მოქცეოდა. ყვიროდნენ, ღრიალებდნენ, ზევით მიიწევდნენ და ავტომატებით ისროდნენ.

მოჯარიმეთა ასეული შეტევაზე გადავიდა თუ არა, უსახელო მაღლობის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცაში ათიოდე შუშხუნა აიჭრა, გაისმა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ჭახაჭუხი.

— მტერი უკნიდან მოგვეპარა, ალყაში მოგვამწყვდიეს! — დაიძახა ერთმა ჯარისკაცმა.

— რაღას ველოდებით, თავს ვუშველოთ! — მხარი აუბა მეორემ.

— ეფრეიტორო ჯანელიძევ, გერმანელები ზურგში შემოჭრას ლამობენ. შენს ათეულიდან რომელიმე ჯარისკაცი წაიყვანე, კლდის თავზე ჩასაფრდი, მტერს გზა გადაუღობე! — ისე დამშვიდებით ბრძანა ლეიტენანტმა მირონოვმა, თითქოს არავითარი საშიშროება არ ელოდათ.

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო! — მხნედ მიუგდო ეფრეიტორმა ჯანელიძემ, ჯარისკაც ნიკიტინს უბრძანა, უკან გამომყევიო, და ორივე მითითებული ადგილისაკენ გაიქცა.

სანგარში ცამეტილა დარჩნენ.

— ისინი უთვალავნი არიან, რას გავხდებით! — წაილაპარაკა რომელიღაც ჯარისკაცმა.

— მთელმა ფაშისტურმა არმიამ, რომ შემოგვიტიოს, მაღლობს არ დავთმობთ! — მიუგო ლეიტენანტმა.

რაკიღა მაღლობი დუმდა, მოჯარიმე ოფიცრები წათამამდნენ. წელში გამართული მოდიოდნენ. თან სროლას მოუხშირეს და, ალბათ, მალე სანგრის დასაუფლებლად ბოლო ნახტომსაც გააკეთებდნენ.

— რაღას ველოდებით, ვესროლოთ, ლამის თავზე წამოგვადგნენ, — ლეიტენანტის გასაგონად თქვა მეორე ჯარისკაცმა.

— მადლობა ღმერთს, რომ გვიახლოვდებიან! რაც უფრო ახლოს მოვუშვებთ, მით უფრო მეტს დავაწვენთ! — მშვიდად მიუგო ლეიტენანტმა და ომახიანი, მოზეიმე ხმით შესძახა:

— ესროლე!

მაღლობიდან მოწყვეტილმა ცეცხლის ზვავმა ზევით ამავალ რუხ ტალღას ხძლია, გადალეკა, ქვევით გაიტაცა.

მოიერიშენი მიწაზე განერთხნენ, დახოცილი ამხანაგების გვამებს საფარად იყენებდნენ, ზედ აფოფხდებოდნენ, ხვლიკებივით კლდის ხვრელებში მიცოცავდნენ.

გერმანელებმა ტყისპირას ორი ქვემეხი გამოაგორეს და პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი დაუშინეს ლეიტენანტ მირონოვის ოცეულის პოზიციას. ერთი ჭურვი ტყვიამფრქვევის შორიახლო დაეცა. ფოლადის ნამსხვრევები, ქვა და ღორღი გაიბნა. მემიზნე ჯარისკაცი უსულოდ დაეცა. მის გვერდით წაქცეული მეორე მებრძოლიც, მძიმედ დაჭრილი იყო, თვალები აცრემლებოდა, პირს მალი-მალ აღებდა, ეტყობა რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ნელნელა კისერი მოელუნა, გაიჭიმა, სული განუტევა!

ლულაგაღუნული ტყვიამფრქვევი ხრჩოლავდა.

ორი ნაღმი ზედიზედ სანგარში გასკდა. მკერდში დაჭრილი ჯარისკაცი სისხლისაგან იცლებოდა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ მის სიტყვებს ჭურვებისა და ნაღმების აფეთქების ხმა ახშობდა.

ათეულის მეთაური მიხოხდა მასთან, მარჯვედ შეუხვია ჭრილობა და, ურჩია შენ აქ ზედმეტი ხარ, კაზემატს შეაფარე თავიო. ჯარისკაცმა იუარა, სანგრიდან ფეხს არ მოვიცვლიო, წვალებით ავტომატს წაეტანა, მაგრამ მუხლმა უმტყუნა, ჩაიკეცა და მიწაზე სული აღარ დაბუვა.

ქვემეხების დადუმებისთანავე ქვეითურები წამოიშალნენ, მაგრამ ზეითურებმა მძლავრი ცეცხლი დაახვედრეს და აიძულეს ისევ ბუჩქებში შემალულიყვნენ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვაზნები გამომელია! — დაიძახა ერთმა ჯარისკაცმა.

— მეც მითავდება! — დაიჩივლა მეორემ.

— ხელყუმბარები დაუშინეთ! — ბრძანა ლეიტენანტმა.

ცეცხლი რომ შენელდა, სამხრეებაყრილი ოფიცრები უფრო გაშმაგდნენ, ზოგი ფეხზეც წამოდგა და მწვერვალისაკენ გაექანა. ავტომატების ცეცხლმა ისინი ბალახივით მოცელა, მათ რიგებში ზედიზედ რამდენიმე ხელყუმბარაც აფეთქდა. მოიერიშენი ტყაპატყუპით ძირს ცვიოდნენ, დაჭრილები ბუჩქებში მიძვრებოდნენ, მკვდრები დაღმართში მიკოტრიალებდნენ, ხრამში იჩეხებოდნენ.

გერმანელებმა უკან დაიხიეს და, თითქოს მიწამ პირი უყოო, გაუჩინარდნენ. მერე მაღლობის მიმართულებით კვლავ წითელი შუშხუნა გაისროლეს. ისევ აწივლდნენ ჭურვები. ნაღმებმაც დაიწყეს ბათქა-ბუთქი.

ქვემეხები და ნაღმტყორცნები ჯერ ისევ გვრგვინავდნენ, რომ გამოჩნდნენ გერმანელთა მოიერიშე თვითმფრინავები, ფრონტზე „კუზიანებს“ რომ ეძახდნენ. პირველი თვითმფრინავი უსახელო მაღლობისაკენ ირაოდ დაეშვა, მას რიგრიგობით სხვები მიჰყვნენ და მირონოვის ოცეულის პოზიციებს ბომბი ჩეჩქავით დააყარეს. მაღლობი საქანელასავით ქანაობდა, კვნესოდა. სანგრები, შემაერთებელი თხრილები მიწით ამოივსო. ფესვებიანად მოგლეჯილ ხეებს ცეცხლი გაუჩნდა, ბუჩქები ბოლავდნენ. დამწვარი ხორცისა და სისხლის სუნი დატრიალდა. ირგვლივ ეყარა ჩაფხუტები, დამსხვრეული თოფები, დაფლეთილი ტანსაცმელი, ადამიანის სხეულის ნაგლეჯები.

ჯარისკაც ლებედევს გმინვა შემოესმა. ეტყობა გონება არ დამიკარგავს, უვნებელი ვარო, და მიწიდან ამოძვრა. იგი იქით გაფოფხდა, საითაც ამხანაგები ეგულებოდა.

სანგარში სიკვდილი მძინვარებდა.

რაღას ელოდება? სანამ მტერი შეტევაზე გადმოვა, თავს უნდა უშველოს!. არა, ეს არ შეიძლება, ამას არავინ მოუწონებს! მისმა ამხანაგებმა ხომ პირნათლად შეასრულეს მოვალეობა: დაიხოცნენ, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაიხიეს. ეჰ, ვაზნები, ხელყუმბარები მაინც ჰქონდეს. ცარიელი ავტომატით რას გახდება, მტერს როგორ გაუმკლავდება?

კვლავ შემოესმა დაჭრილის გოდება.

„ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი ხმაა?!“ — ეგონა ვფქრობო, მაგრამ ამ სიტყვებს ხმადაბლა წარმოსთქვამდა.

სანგარში ჩანგრეული, ჩაშლილი მიწა შეინძრა, ქერა თმამ გაზაფხულზე მოწოლილ ბალახივით ამოყო თავი და ლეიტენანტ მირონოვის გაფერმკრთალებული სახე გამოჩნდა. თვალს ვერ ახელდა, თითქოს მიწით აქვს ამოვსებულიო. ნიკაპის ქვემოდან წყაროსავით მოწანწკარე სისხლი მის იღლიასთან ტბორდებოდა.

ლებედევი ლეიტენანტთან მიხოხდა. მიწა შემოაცალა, მხრებში ხელი ჩაავლო, წამოყენებას შეეცადა.

— ო, ო, ო! — ტკივილი ემწვავა დაჭრილს და ხელი გაასავსავა.

პოზიციაზე უთვალავმა ტყვიამ გაიქროლა. გაისმა ყვირილი, ღრიანცელი.

ლებედევმა მტრის მხარეს გაიხედა. სულ ახლო, ბუჩქებში წაკუზული გერმანელები მოძვრებოდნენ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, იქნებ როგორმე სამშვიდობოზე გაგიყვანოთ! — კი არ უთხრა, შეეხვეწა ლებედევი. თან მხრებსა და ფეხებში ხელი ამოსდო, უნდოდა ბავშვივით აეყვანა, მაგრამ დაჭრილმა შეჰკივლა და შემკრთალმა

თვალი ისე გაახილა, თითქოს შემაძრწუნებელ სიზმარში იყო და უცებ გაეღვიძაო.

— ამხანაგო ლეიტენანტო, გერმანელები!..

— ესროლე, მაგათი დედა! — ლეიტენანტმა სიტყვის დამთავრება არ აცალა ლებედევს.

— აღარც ვაზნები მაქვს, აღარც ხელყუმბარები: უნდა გავერიდოთ, გავეცალოთ აქაურობას!

— არა!, ოცეულს ვერ მივატოვებ! — ძლივს წარმოსთქვა ლეიტენანტმა.

— ოცეული აღარ არსებობს, განადგურდა!

ლეიტენანტმა აღარაფერი უპასუხა, თვალები დახუჭა და ტკივილისაგან, თუ ამ შემზარავი ამბის გაგებით, კვლავ აღმოხდა:

— ო, ო, ო!

ლებედევი სანგრისაკენ გახოხდა, იქნებ მოკლულ ამხანაგებს ფალასკაში ვაზნები შემორჩათო.

ხეს ამოფარებულმა გერმანელმა შენიშნა იგი, ცეცხლი დაუშინა და მოაკვდინა.

ჯანელიძე და ნიკიტინი ჯარისკაცის უტყუარი წინაგრძნობით ხვდებოდნენ, რა დიდი სისხლის ღვრა იყო მოსალოდნელი. რაც უფრო ღრმად ჩახანგრდებოდნენ, მით უფრო მიწა საიმედოდ ჩაიკრავდათ მკერდში, სიკვდილისაგან დაიფარავდა.

ნიადაგი ხრეშიანი იყო, თანაც ქვეითების მოკლეტარიანი ბარებით მუშაობდნენ და უძნელდებოდათ სანგრის გათხრა. მაღლობის კალთებზე სროლა არ წყდებოდა.

ორივე გაოცებული იყო, რა ხდება, მტერი კუს ნაბიჯით გვიახლოვდება, თანაც უმისამართოთ ჰაერში ისვრიანო.

გერმანელებმა საარტილერიო მომზადება რომ დაიწყეს, ისინი წელამდე გათხრილ სანგარში ჩაიმალნენ. ჭურვები ჯერ მაღლობის ჩრდილოეთ ფერდობზე ენარცხებოდა, მერე რამდენიმე სანგრის შორიახლოც დაეცა.

თვითმფრინავების ღმუილმა მთები შესძრა, იქაურობა შეაჯერა. ბომბებმა ისე დაიჭექეს, დაიგრგვინეს, თითქოს ქვეყანა იქცევაო.

ერთი თვითმფრინავი პირდაპირ მათკენ გამოექანა. მის გაბერილ სტომაქს მოსწყდა თუ არა შავი გირები, სანგარში მყოფმა ჯარისკაცებმა თვალით განსაზღვრეს, რომ ისინი მათკენ მოექანებოდნენ.

ნიკიტინი თხრილიდან ამოხტა, თავქვე დაეშვა, მთის წვეროდან დაგორებულ ქვასავით უფსკრულში გადაიჩეხა.

ჯანელიძის შორიახლო ზედიზედ რამდენიმე კვამლის მთა აღიმართა. ძირფესვიანად მოგლეჯილი ბუჩქები, ბელტები ჰაერში გაფრინდნენ, და ხევისაკენ დაქანდნენ.

მთის ფერდობიდან შურდულივით აიჭრნენ შუშხუნები. სროლა განახლდა, მაგრამ სანგრის თავზე ერთ ტყვიასაც არ გადაუქროლია. ოცეულის ზღუდეზე კი სროლა შეწყდა.

ნუთუ უკან დაიხიეს, ან იქნებ ყველა დაიღუპა. ვერა, ამას ვერ დაიჯერებს. მათი ოცეული ომის დაწყების პირველივე დღიდან წინა ხაზზეა, ათასი საფრთხე, მრისხანე ბრძოლები გამოიარა და ასე უცებ როგორ განადგურდებოდა?!

ორმოციოდე ნაბიჯზე გერმანელებს შეასწრო თვალი, კლდეზე რომ მოცოცავდნენ და ჰაერში ისროდნენ.

„რას ნიშნავს ეს? იქნებ იმიტომ არ ესვრიან, რომ მისი ხელში ჩაგდება უნდათ?“ — და ჯანელიძე თავის ფიქრს გაეპასუხა, სანამ სული მიდგას, მტერი ამას ვერ ეღირსებაო.

ოცეულის პოზიციიდან გერმანელთა ყვირილი, ღრიანცელი შემოესმა. ეჭვი არ იყო, მტერმა მაღლობი დაიკავა.

„სანამ დროა, თავს უშველე!“ — ყურში ვიღაცამ ჩასჩურჩულა, თან ფარაჯის საყელოში ხელი ჩაავლო, სანგრიდან ექაჩებოდა.

გერმანელები ეტყობა მიხვდნენ, რომ სანგარში მხოლოდ შაშხანით შეიარაღებული ჯარისკაცი იყო ჩასაფრებული, ამიტომ გამოცდილ მთამსვლელებივით ციცაბო კლდეზე თამამად მიხოხავდნენ.

„დასწყევლოს ღმერთმა, კლდეზე ცოცვა როგორღა ისწავლეს!“—ბუტბუტებდა ბრძოლის აზარტში შესული ჯანელიძე, შეცოტავებულ ვაზნებსაც აღარ ზოგავდა და მტერს გამალებით ესროდა.

მტერი რომ ორმოციოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა, ზედიზედ ორი ხელყუმბარა ესროლა.

მოიერიშენი უკუიქცნენ.

აღარც ვაზნები აქვს, აღარც ხელყუმბარები. ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ მტერს ხიშტით რას დააკლებს? უმჯობესია, ოცეულში გაიქცეს, ამხანაგები გააფრთხილოს, რომ ზურგიდან საფრთხე ელით!

ჯანელიძე სანგრიდან ამოფოფხდა და პოზიციისაკენ დაქანდა.

ჭურვებს, ნაღმებს, ბომბებს მაღლობი მთლად გადაებუგა, სანგრის მიწაყრილთან გერმანელთა გვამების ზედახორა იდგა.

ბომბებისა და ჭურვების აფეთქებათა მძლავრ ტალღას, თითქოს ღრუბლები გაეფანტა. ნისლიც გაბნეულიყო. ადამიანთა მოდგმის ულმობლობის შემსწრე მზე კი ქვეყანას რაღაც ულმობლად გადმოსცქეროდა, ალბათ თავის სამყოფში დატრიალებული საცოდაობის ხილვა უმძიმდა. მაღლობზე გერმანელები მიმოდიოდნენ, სახეზე სიხარული აღბეჭდოდათ. თავაწეულნი, აქეთ-იქით იმზირებოდნენ, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

სანგრის მიწაყრილზე გერმანელი მაიორი

იდგა და ჭოგრიტით ტუაფსეს გასცქეროდა. თეთრად მოქათქათე ქალაქს მზის შუქზე მოლივლივე ზღვა ეკვროდა. პლაჟი უკაცრიელი იყო. ქალაქის სამხრეთით, სანაპიროზე გამოჩეულ ორი დანაზმირებული გემის ჩონჩხი მოჩანდა.

ჯანელიძეს ზურგსუკან ფეხის ხმა მოესმა და სწრაფად ბუჩქებში მიიმალა.

თხუთმეტიოდე გერმანელმა ხვნეშით გვერდით გაურბინეს. მან არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ჯგუფის წინამძღოლი გერმანელი ოფიცერი კი არა, საბჭოთა არმიის ყოფილი კაპიტანი იყო. უკან კი გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქართველი ლეგიონერები მისდევდნენ.

გერმანელმა ოფიცერმა კაპიტან ჭიჭინაძეს შეუბღვირა:

—კაპიტანო, როგორც მომახსენეს, თქვენი ლეგიონერები თურმე კვლავ ჰაერში ისროდნენ!

— ბატონო მაიორო, მეც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თქვენი ასეულის მეომრები ავტომატებს მაღლა ისროდნენ. — მიუგო დამშვიდებით ჭიჭინაძემ და თავის ნათქვამი, უფრო მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, დასძინა, — სამი ლეგიონერი დავკარგეთ, სამი მძიმედ დაიჭრა.

— კაპიტანო, ომში მსხვერპლზე არ ლაპარაკობენ. ხედავ ტუაფსე ხელისგულზე გვიდევს. აქედან გზა გვეხსნება საქართველოსა და ბაქოსაკენ...

გერმანელ ჯარისკაცებში ჩოჩქოლი ატყდა. სანგრის შორიახლო რუს დაჭრილს შემოეხვივნენ. დავობდნენ, რაღაცას მოითხოვდნენ, ბოლოს ორმა გერმანელმა დაჭრილს ფეხებში ხელი ჩაავლეს და მაიორისაკენ გააქანეს.

ჯანელიძეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, თმა აებურძგნა. გულის ფანცქალით, ტუჩების თრთოლვით წაიდუდუნა: „ეს ხომ ლეიტენანტი მირონოვია?!"

გერმანელი მაიორი, გონებადაკარგულ ლეიტენანტს სიძულვილით რომ დააცქერდა, კაპიტან ჭიჭინაძეს მიუბრუნდა:

— კომისარია?

— არა, მწყობრის ოფიცერია!

— იგივე ძაღლია! დახვრიტეთ! — ვითომ უმნიშვნელო, ჩვეულებრივი ამბავი ეთქვას, მშვიდად თქვა მაიორმა და ჭოგრიტი მოიმარჯვა.

ეს შემზარავი სიტყვა, გონდაკარგული ლეიტენანტის ცნობიერებაში შეიჭრა, მთელი მისი არსება შეარყია, თვალები გაახილა და ისე შეხედა გარშემორტყმულ გერმანელებს, თითქოს უნდოდა ეთქვა, მე ისედაც სისხლისაგან ვაცლები, რაღა თქვენი სიცოცხლის მოსწრაფება მინდაო.

კაპიტან ჭიჭინაძეს თავზარი დაეცა და მაიორს შებედა:

— ბატონო მაიორო, ლეიტენანტი დაჭრილია!

მაიორმა ჭიჭინაძეს შეუბღვირა, ვითომ რა ენა წამოიგრძელეო, და მტკიცედ თქვა:

— ჩვენ და რუსები მოსისხლე მტრები ვართ, ამიტომაც ვომობთ. ბრძოლაში კი საჭიროა მტერი მოსპო, გაანადგურო!

— ბატონო მაიორო, ქართველებს ღმობიერი კანონები გვაქვს. წაქცეულს არ ვურტყამთ. ჩვენებურ ჭიდაობაში, მოწინააღმდეგეს მუხლზე წამოაჩოქებ თუ არა, ხელი უნდა გაუშვა.

— ამიტომაც ხართ თქვენი დღენი ხვაიხი ყურმოჭრილი მონები! წაქცეულს თუ არ დაჰკრავ, წამოგიდგება და ცხვირ-პირს ამოგამტვრევს!

ლეიტენანტ მირონოვს დანასლული თვალებიდან ცრემლი სდიოდა, მაგრამ ტკივილებით გატანჯულ სახეზე არცერთი კუნთი არ უკრთოდა. მან არ იცოდა გერმანული ენა, თუმცა განსაცდელში ჩავარდნილ კაცას გუმანით, თუ კაპიტან ჭიჭინაძის სახეზე აღბეჭდილ სისათუთით გრძნობდა, რომ ეს წარმოსადეგი, შავგრემანი ვაჟკაცი ესარჩლებოდა, მის გადარჩენას ლამობდა.

იგი მიხვდა იმასაც, რომ ტანმაღალი, ცხვირაბზეკილი გერმანელი ოფიცერი, თავის ძალაუფლებაში დარწმუნებული კაცის მანერებით რომ ლაპარაკობდა, ზიზღით, სიძულვილით იყო მისადმი გამსჭვალული და არ დაინდობდა, არ შეიცოდებდა.

და რაკი თავისი უძლურებით გამოწვეული სასოწარკვეთილება მძიმე და აუტანელი იყო, თანაც მის მტკიცე სულს სხეულის ტკივილი უფრო ნაკლებ ტანჯვას განცდევინებდა, ვიდრე ის გულისამრევი გრძნობა, რასაც მაიორის ჩხერა იწვევდა, ლეიტენანტმა მირონოვმა თვალი დახუჭა. თითქოს რაღაც შინაგანი სიამე იგრძნო, სახის დაჭიმული ნაკვთები გაეშალა, ტკბილ ბურანში წავიდა და ოდნავ გაიღიმა.

კაპიტანი ჭიჭინაძე მიხვდა, გერმანელი მაიორი მარტო სიბრალულის გრძნობას კი არა, ყოველგვარ ადამიანურ თვისებას მოკლებული არსება იყო. კაცის კვლის წყურვილი ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და, რამდენიც არ უნდა შეხვეწოდა, სიტყვას ვერ გადაათქმევინებდი. ამიტომ სარწმუნოება მოიშველია, იქნებ ამით მაინც მოვულბო გული და მასში ადამიანური გრძნობა გავაღვიოთო:

— ბატონო მაიორო, ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ. განა ღმერთი არ გვიწყენს მძიმედ დაჭრილი, სისხლისაგან დაწრეტილი კაცას კვლას-

მაიორმა ცივად, აგდებით შეხედა ჭიჭინაძეს:

— ერთს ამბობ, მეორე კი გავიწყდება. კომუნისტებმა ხომ უარყვეს რელიგია? განა ღმერთი გაგვინაწყენდება, რომ ურჯულოებსა და ურწმუნოებს მკაცრად მოვეპყრათ? საკმარისია! მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. არავითარი შებრალება! ვინც წინ გველობება, ყველა უნდა მოვსპოთ, გავანადგუროთ! — და უცებ პისტოლეტი იძრო.

მომაკვდავმა ინსტიქტით, თუ ჩვენთვის მიუწვდომელ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი კაცის რაღაც ზეადამიანური ხედვით იგრძნო რასაც უპირებდნენ. შეშფოთებით, გაშმაგებით ჩაისუნთქა, მერე განუზომელი გულისტკივილითა და ბოლმით ამოიგმინა, ვახმეო.

პისტოლეტმა დაიჭექა. სულთმობრძავ ლეიტენანტს ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა.

ნაყუმბარევ ორმოში ჩამალული ჯანელიძე, ხელფეხი რომ უკანკალებდა და გული ეკუმშებოდა, ამ ამაზრზენი სურათის დანახვაზე, გაშმაგდა, გახელდა, აფთრად იქცა და ხიშტგაწვდილი ულმობელ ჯალათისკენ გაექანა.

მაიორმა პირველმა შეასწრო თვალი რუს ჯარისკაცს და ხელი იტაცა ქარქაშში ახლად ჩაგებულ პისტოლეტზე. თან ენის ბორძიკით ხელქვეითებს შეჰყვირა, ესროლეთ, ესროლეთო, მაგრამ ჯანელიძემ დაასწრო და ოფიცერს მუცელში ხიშტი დაამგერა.

მაიორი შეხტა, რაღაც დაიჭყავლა.

ჯანელიძემ ხიშტზე აფართხალებული ოფიცერი ჰაერში აიტაცა და სავარჯიშო ჩუჩელასავით ზურგსუკან გადაისროლა. მერე იქვე გაჩერებულ გერმანელისათვის კონდახი სახეში უნდა ეთხლიშა, მაგრამ მაღალმა ჯარისკაცმა დაასწრო. ზურგში ტყვია დაახალა. ჯანელიძემ წონასწორობა დაჰკარგა და სანგარში ამხანაგების გვამებზე გადავარდა.

გერმანელები უსახელო მაღლობის ხელში ჩაგდებას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, წარმატებას მიაღწიეს თუ არა, დივიზიის მეთაურმა მაშინვე „ტუაფსეს არმიის ჯგუფის“ სარდალს შეატყობინა.

როგორც სჩვევიათ მეთაურებს, მოპოვებულ გამარჯვებაში მთავარ დამსახურებას ყველა საკუთარ თავს მიაწერდა.

გენერალ ლანცს კაპიტან ვაგნერის გამოჩინება სურდა, აქაოდა რა კარგი კანდიდატურა შევარჩიე ბატალიონის მეთაურადო, ამასთან ვაგნერი ხომ ორი წელი გვერდიდან არ მოსცილებია. მისგან ბევრი სიკეთე ახსოვდა და ახლობელ ადამიანად თვლიდა.

საჯარიმო ოფიცერთა ასეულის მეთაური, უშუალოდ ბრძოლის ველს რომ უთვალთვალებდა და აღშფოთებული იყო, ბევრი ლეგიონერი უმისამართოდ ჰაერში ისროდაო, მიწაში იწვა. მკვდრები კი საიმედოდ დუმან.

**უსახელო მაღლობის დაცვა ოფიცერთა საჯარიმო ასეულს დაევალა, ხოლო ჭიჭინაძის ოცეულს მეზობელ ბორცვზე — მოუჩინეს ზღუდე.**

...ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანელებმა იერიში განაახლეს.

წითელ არმიის ნაწილებმა შეტევა მოიგერიეს და მტერს არ მისცეს შესაძლებლობა შავი ზღვის სანაპიროზე გაჭრილიყო.

რაკი წარმატებას ვერ მიაღწიეს, თან გადაუღებელი კოკისპირული წვიმები დაიწყო, გერმანელები თავდაცვაზე გადავიდნენ.

ჭიჭინაძის ოცეული, უსახელო მაღლობისათვის ბრძოლაში ნდობა რომ დაიმსახურა, დივიზიის მეთაურის გენერალ ლანცის ბრძანებით, მეორე ასეული მოწინავე ხაზზე გადაიყვანეს და მესამე ასეულის მარჯვნივ ხუთასი მეტრის სიგანის მონაკვეთზე ჩაასანგრეს.

პირველი ასეული მეორე ასეულის პოზიციაზე გადმოვიდა, მეოთხე ასეული კი ისევ ბატალიონის შტაბთან დატოვეს.

კაპიტანი ჭიჭინაძე ლეიტენანტ მარტეს დუბლიორად დანიშნს. ამასთანავე, უფლება მისცეს საკუთარი სანგარი გაეთხარა. ეს კი საშუალებას აძლევდა ამხანაგებს ფარულად შეხვედროდა, დავალებები მიეცა, საერთო საქმეზე მოლაპარაკებოდა.

ერთ საღამოს ჭიჭინაძე დივიზიის შტაბში გამოიძახეს.

რატომ იბარებენ? ნუთუ კვლავ დაასმინეს?

სურამელმა და ორმა ლეგიონერმა იმ დღით ჭიჭინაძის მიწურისათვის ორმო გათხარეს. მერე ტყეში ხეები მოსჭრეს, გასხიპეს, ზომაზე დახერხეს, ახლა კი მორებს ეზიდებოდნენ და მიწურს ხურავდნენ.

ამიტომ ჭიჭინაძემ სურამელი არ წაიყვანა, მოახტა ცხენს და ბატალიონის შტაბში მარტო წავიდა.

კაპიტანი ვაგნერი მხიარულ გუნებაზე დახვდა. დივიზიის შტაბიდან დაერეკათ, „რკინის ჯვრის“ ორდენზე წაგაყენესო.

რა ტყუილად დაკარგა ორი წელი?! კიდევ კარგი ბატალიონის მეთაურად დანიშნეს, თორემ ასეთ მაღალ ჯილდოს ვინ აღირსებდა?

როგორც კი დაინახა ჭიჭინაძე, მისალმებაც არ აცალა, უთხრა — ენას კბილი დააჭირე, თორემ ინანებო!

ეტყობა, კვლავ რაღაც გაიგო. ან ეგებ მცდის! — გაიფიქრა კაპიტანმა.

— ჭიჭინაძე, ნუთუ თავში ისევ გიტრიალებს სულელური აზრები! რუსეთი წამოჩოქებულია, სულსა ღაფავს! ხომ ხედავ, ისე დღე არ გავა, მრავალი წითელარმიელი ჩვენს მხარეზე არ გადმოვიდეს. მარტო ამ დილით ორმოცამდე კაცი ჩაგვბარდა! თქვენ კი თო-

თონ ფიქრობთ მტრის მხარეზე გადასვლას.

ქიქინაძემ, მოსაჩვენებლად თავს რომ იკატუნებდა, ისეთი დაბეჯითებითა და დამაჯერებლობით თქვა, ვინც არ იცოდა ამ კაცის წადილი, მის გულწრფელობაში მცირედი ეჭვიც არ შეეპარებოდა:

— ბატონო კაპიტანო, ასეთი ზრახვა რომ გვქონდა, უსახელო მაღლობზე შეტევისას წინ რა გვედობებოდა, მოწინააღმდეგეს კი არ შევებრძოლებოდით, ხელებს ავწევდით, ჩავბარდებოდით!

„მართალს ამბობს: თუ გადასვლას მოისურვებდნენ, მტრის ზურგში არ იყვნენ, ადგებოდნენ და რუსებს შეუერთდებოდნენ" — გულში გაივლო ვაგნერმა და ქიქინაძის ნათქვამი დაიჯერა, მაგრამ ამის თქმა საჭიროდ არ ჩათვალა. ოღონდ თუ აქამდე შუბლშეჭმუხნილი ლაპარაკობდა, ეს სიტყვები უკვე რბილად, შინაურულად თქვა:

— ამიტომაც ჩაგაბარეთ წინა ხაზზე პოზიცია, ახლა თქვენ იცით, როგორ მამაცურად იბრძოლებთ, როგორ გაამართლებთ ნდობას? ხაშაერო დაზვერვის ცნობით მოწინააღმდეგე ტუაფსეს რაიონში რეზერვებს უყრის თავს. რუსები ეტყობა შეტევაზე გადმოვლენ!

— ბატონო კაპიტანო, შევასრულებ თქვენ მითითებას, რუსებს მკერდით აღვუდგებით, დავიხოცებით, მაგრამ არცერთ ნაბიჯს უკან არ დავიხევთ! — მიუგო ამაყად ქიქინაძემ.

„დიახ, ეს კაცი ნამდვილად დასაფასებელია! ვინ იცის, იქნებ ცილს იმიტომაც სწამებენ, ვერ იტანენ მისი გერმანელებისადმი თავდადებულობას და უნდათ სახელი გაუტეხონ, ჩვენთან ნდობა დაუკარგონ!" — თავისთვის მსჯელობდა ვაგნერი და, რაკი თავის თავზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს შეეძლო კაცის თვალებში ამოეკითხა მისი გულში ნადები, ქიქინაძეს დამშეული ძალლივით მისჩერებოდა. უცებ გაიფიქრა, მოდი იმას გავიგებ, ქიქინაძე რა აზრისაა, ფრონტის ამ უბანზე წითელი არმია შეტევას დაიწყებს თუ არაო. მისი შეხედულება უდავოდ ანგარიშგასაწევია, უფროსებთან საუბარში გამოვიყენებ და თავს მოვიწონებო. და ქიქინაძეს შეეკითხა:

— რას ფიქრობ, ნუთუ რუსები შეტევაზე გადმოვლენ?!

— ბატონო კაპიტანო, იმათხან რას გაიგებ, ჭკვიანი, მოხერხებული ხალხია, შესაძლებელია მოსაჩვენებლად ჯარებს თავს აქ უყრიან, მთავარი დარტყმა კი სულ სხვა უბანზე განახორციელონ, — მიუგო იმით გახარებულმა ქიქინაძემ, ეს რა კარგი შესაძლებლობა მომეცა, წითელი არმიის ზურგში მზვერავების გაგზავნა რომ მოვითხოვოო, — კაპიტანო, ნემსზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ მთაგორაკები მშვიდობიანობის დროს კარგია დასასვენებლად, სასეირნოდ, თხილამურებით საცურაოდ. ომის დროს კი საშინელი რამ არის მთები. შეუძლებელია ტანკებისა და არტილერიის გამოყენება. ძნელდება დაზვერვა. თვითმფრინავიდანაც ვერაფერს ხედავ, რადგან მოწინააღმდეგე ტყეებსა და ხევებშია დამალული.

კაპიტანი ვაგნერი ქიქინაძეს თვალებში შესცქეროდა. ეს კაცი ღმერთს მეომრად გაუჩენიაო, და ცდილობდა მისი აზრების დამახსოვრებას, ხმამაღლა კი, ვითომ თანამოსაუბრეს მნიშვნელოვანი არაფერი ეთქვას, ამპარტავნულად მიმართა:

— რა თქმა უნდა. მთებში ტექნიკის გამოყენება ძნელია, მაგრამ გერმანიის უძლეველ არმიას მთები კი არა, ქვეყნად ვერაფერი წინ ვერ აღუდგება. დღეს-ხვალ კავკასიონის ქედს გადავლახავთ, შავი ზღვის სანაპიროზე გავალთ. მერე სოხუმი, ქუთაისი, თბილისი, ერევანი, ბაქო...

— ბატონო კაპიტანო, ამაში მეც ღრმად ვარ დარწმუნებული, რამდენადაც ვიცი, გერმანიის სარდლობისათვის ყველაზე ძვირფასი ჯარისკაცია! ვის რად უნდა ისეთი გამარჯვება, თუ დიდ მსხვერპლს გავიღებთ.

ვაგნერმა ყურები ცქვიტა, ისე ვატყობ, ქიქინაძეს კიდევ რაღაც ჭკვიანური აზრი დაებადაო, და შეეკითხა:

— რის თქმა გინდა, გამაგებინე!

— ბატონო კაპიტანო, საჭიროა მოწინააღმდეგის ზურგში მზვერავების გაგზავნა, რათა საფუძვლიანად შევისწავლოთ წითელი არმიის ნაწილების განლაგება, მოწინავე ხაზის დაცვის სისტემა. ამასთან აუცილებელია დაზუსტდეს ბატარეების საცეცხლე პოზიციების ადგილმდებარეობა, გაირკვეს, აქვთ თუ არა რუსებს ტანკები, და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგე კონტრშეტევისათვის უყრის თავს თუ არა სარეზერვო ჯარებს!

კაპიტანმა ვაგნერმა, რაკი ქიქინაძის ნათქვამს იმახსოვრებდა, პასუხი შეაგვიანა, თუმცა თავს ისე აჩვენებდა, ვითომ მისი სიტყვა აწონ-დაწონა. ბოლოს თქვა:

— როგორც ვიცი, გენერალი ლანცი მალიმალ აგზავნის მტრის ზურგში მზვერავებს, მაგრამ ყოველი ცდა მარცხით მთავრდება, რუსების თავდაცვითი ხაზი გაუვალია. ამასთან ეს წყეული მთები, დაბურული ტყეები, ადიდებული მდინარეები დაუძლეველ დაბრკოლებას ჰქმნიან!

— ბატონო კაპიტანო, ჩვენს ბატალიონში არიან ლეგიონერები, მთებში რომ დაიბადნენ და გაიზარდნენ. გვყავნან ალპინისტებიც. იმათ როდი გაუძნელდებათ პიტალო კლდეებზე აცოცება, დაბურულ ტყეებში გზის გაკვლე-

ვა, თოვლით დაფარულ მწვერვალების გადალახვა.

რას ნიშნავს ეს? რატომ მოისურვა წითელი არმიის ზურგში მზვერავების გაგზავნა? ნუთუ ავი რამ განუზრახავს? იქნებ თვითონვე უნდა წასვლა? ხცდები ჰიჰინაძე, შენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია მოვიცვალე.

ჰიჰინაძე თითქოს ჩასწვდა ვაგნერის ფიქრს და იმ ადამიანის კილოთი განაცხადა, ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, მაგრამ არ ერწმუნებიან, ამიტომ ცდილობს რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობა ჩააქსოვოს სიტყვებში:

— ბატონო კაპიტანო, თუ მიბრძანებთ, სამ ლეგიონერს შევარჩევ. ისინი სალ კლდეებზე აცოცდებიან, მიუვალ მწვერვალებს გადაივლიან!

იქნებ ჰიჰინაძეს გულში არავითარი სიბოროტე არ უდევს! მოდი და ყოველივე ამას გენერალს ვაცნობებ. ვნახოთ, რას იტყვის?

და ვაგნერმა ჰიჰინაძეს უბრძანა:

— დღესვე მოვახსენებ გენერალს. მგონი დაგვეთანხმება, ყოველ შემთხვევისათვის, შეარჩიე მამაცი, უშიშარი ლეგიონერები. ინსტრუქტაჟს მე გავუწევ!

— არის, ბატონო კაპიტანო! — მიუგო ხალისიანად ჰიჰინაძემ და, თითქოს უცებ გაახსენდაო, დაუმატა, — ოღონდ მზვერავები წინა ხაზის გადალახვას რომ შეუდგებიან, მოწინააღმდეგის ყურადღების მოსადუნებლად, საარტილერიო ცეცხლი სხვა უბანზე უნდა გავხსნათ.

— რა თქმა უნდა! მტრის თვალისასახვევად რომელიმე ქვეგანაყოფს შეტევაზეც გადავიყვანთ!

„ბარაქალა, კაპიტანო! ეს რა გონივრული აზრები მოგსვლია!" — გაიფიქრა გენერალმა, როცა ვაგნერმა ჰიჰინაძის შეხედულებები თავისად გაასაღა. თქმით კი უთხრა:

— ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მაინც ყოჩაღ, ბრძოლაში ამას თავისით რომ მიხვდი. მტრის ზურგში მზვერავების გაგზავნაზე თანახმა ვარ, ოღონდ, გულდასმით შეარჩიეთ, ერთგული, სანდო ლეგიონერები!

— არის, ბატონო გენერალო!

— იქნებ სჯობდეს, ერთი ჩვენი აგენტიც გავაყოლოთ?

— ბატონო გენერალო, მგონი, ამით საქმეს უფრო ვავნებთ! დაე, მზვერავები ქართველმა ოფიცრებმა დაასახელონ!

— მაშ ჰიჰინაძემ შეარჩიოს, იმან უკეთ იცის, ვინ არის სანდო!

— ბატონო კაპიტანო, მეც ასეთი აზრისა ვარ! ზონდერფიურერი ზალუპი კი მერყეობს, ქართველ კაპიტანს მთლად ნუ ვენდობითო!

— ჰიჰინაძემ ჩვენი ერთგულება არაერთხელ დაამტკიცა. ესეც რომ არა, სტალინგრადი დაეცა, კავკასიაც მალე ქედს მოიხრის, რუსების მხარეს ვინ სულელი გადავა?

ზონდერფიურერ ზალუპს უსახელო მაღლობის ალების ამბავმა ხასიათი წაუხდინა. წარმატებამ ისიც გაახარა, მაგრამ ის ეწყინა, რომ ჰიჰინაძემ და მისმა ოცეულმა ამ ოპერაციაში თავი ისახელეს. ის ხომ ყველას აფროთხილებდა, არწმუნებდა, ჰიჰინაძეს ნუ ენდობით, გვიმუხთლებსო. მისი პროგნოზი არ გამართლდა.

დივიზიის მეთაურმა ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის ჰიჰინაძეს მადლობა გამოუცხადა, მთავრობის ჯილდოზე წააყენა!

გამტყუნდა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა! ალბათ შეფიც, ბატალიონის მეთაურიც და დივიზიის შტაბის ოფიცრებიც მის საქმიანობას ეჭვის თვალით უცქერიან. იქნება ზოგიერთი ზონდერფიურერი ზალუპი მოვალეობას ვერ ასრულებს, ფაქტებს სათანადოდ ვერ აზუსტებს, ერთგულ ოფიცრებს ცილს სწამებსო!

რა ემართება, რა ღმერთი უწყრება? დღემდე ვერ გაიგო, ვინ არის ჰიჰინაძე? აგენტები საშიშ, უნდობელ კაცად ახასიათებენ. ისინი ან სცდებიან, ან იქნებ განზრახ ტყუიან, რომ გააბიაბრუონ, ათას რამეს იგონებენ. ქართველ კაპიტანს ლეგიონერთა წინამძღოლად, დამრაზმვად სახავენ, ნამდვილ ხელმძღვანელებზე კი კრინტს არ სძრავენ, არ ააშკარავებენ. ხარკაძემ აკი მოახსენა, გზაში აგენტი რომ მოკლეს, იმ შეკრებას ჰიჰინაძეც ესწრებოდაო. მერე რა მოხდა? შეიძლება იგი თათბირს დაესწრო, მაგრამ გერმანელების ღალატი სულაც არ ჰქონდა განზრახული. აბა, რით აიხსნას ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ლეგიონერთა ხელმძღვანელი ბირთვი აღარ შეკრებილა. ეტყობა გადასვლა გადაიფიქრეს, გულიდან ამოიღეს? ისინი უკვე საკუთარი თვალით ხედავენ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას! რუსებს არ შესწევთ ძალა წინ აღუდგნენ გერმანიის არმიას! შეტევა ცოტა შენელდა, მაგრამ ეს დროებითია!

ამას წინათ ხომ მოახსენეს ჰიჰინაძეს მხარში ედგა მეორე ასეულის მეთაური ბარამიძეო, მაგრამ იმათ ახლა სხვადასხვა შეხედულებები აქვთ, ვეღარ თანხმდებიანო.

შესაძლოა ლეგიონერთა დამრაზმავი, ხელმძღვანელი ახლა ბარამიძეა?

ჰიჰინაძე კი ღალატს როდილა მოიწადინებს! ჩვენი ნდობა, პატივისცემა დაიმსახურა. დღეს — ხვალ რკინის ჯვრის კავალერი გახდება. ეს ისეთი ოფიცერია, შორს წავა. სულ მალე რამხელა ასპარეზი გადაეშლება.

საქართველო ფარ-ხმალს დაჰყრის და, ვინ იცის, ჰიჰინაძე რას მიაღწევს?

უმჯობესია, მეორე ასეულში გააძლიეროს აგენტურა, თორემ რაიმე რომ გამოეპაროს, ყურს აუწევენ, დასჯიან. მე შენ გეტყვი, შორს არ მოუხდეს წასვლა! ამ დაწყევლილი ოფიცერთა საჭარიმო ასეულს ხომ გვერდიდან ვეღარ იცილებენ, ერთნაირ დავალებებს აძლევენ, ერთნაირად კვებავენ, თითქოს ქართული ბატალიონიც საჭარიმო იყოს!

ამასთანავე, აგენტურა ცოტა უნდა შეაფუცხუნოს, ააწრიალოს! ეს ყველაზე უფრო ხარკაძეს მოუხდება. სწორედ ის აწვდიდა არასწორ, დაუზუსტებელ ინფორმაციას და მისი წყალობით ჩიხში მოექცა.

ხშირად ხარკაძე თავის მომავალზე ფიქრს ეძლეოდა.

რა ელის, რა იქნება შემდეგ? ძნელია ამის განჭვრეტა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული როგორ დამთავრდება ომი! ერთი კი ცხადია, წითელ არმიის რიგებში რომ დარჩენილიყო, მისი ძვლებიც აღარ იქნებოდა.

ვინ არ იცის, რომ სუსტი ძლიერს უნდა გაერიდოს, გაექცეს, თავი არ შეაკლას!

წითელი არმიის სტრატეგია, ტაქტიკა კი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს.

იდექით მედგრად, არცერთი ნაბიჯი უკან არ დაიხიოთ, — ბრძანებას იძლეოდნენ ზურგიდან გენერლები. რის ვაივაგლახით შეაჩერებდნენ ძლიერ მტერს, მაგრამ ამას როდიღა სჯერდებოდნენ, მყისვე აიძულებდნენ კონტრშეტევაზე გადასვლას. ოღონდ მტერი განდევნონ, წარმატებას მიაღწიონ, ჩალის ფასად არ უღირთ კაცის სიცოცხლე.

მოკლედ, თუ დღეს სული უდგას, თუ ქვეყანას უყურებს, გერმანელებს უნდა უმადლოდეს, ეს იმათ აჩუქეს სიცოცხლე!

ბედს როდი უჩიოდა! გერმანელები კმაყოფილი ჰყავდა, ამხანაგებში ავტორიტეტი მოიპოვა. ლეგიონერები სანდო, ერთგულ ამხანაგად თვლიდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

ვინ რას გამოაპარებს, ვინ რას მოატყუებს, მშვენივრად ხვდება, რომ ლეგიონერებმა ზურგი შეაქციეს, გულცივად ეპყრობიან, რაღაცას უმალავენ!

გერმანელებიც რომ აღარაფერს უჯერებენ, მის ინფორმაციას საეჭვოდ თვლიან.

ზონდერფიურერმა ხომ უსაყვედურა, შენი საქმიანობით უკმაყოფილონი ვართ, ეს რა პირლია ყოფილხარო!

ბოლოს უბრძანა, დღემდე თუ ჰიჰინაძეს უთვალთვალებდი, ახლა უფროს ლეიტენანტ ბარამიძეზე გაამახვილე ყურადღებაო. საშიში და არასაიმედო პიროვნებაა! ვნახოთ, იქნებ მეორე ასეულშიც გადაგიყვანოთო.

ლეგიონერები დუმან, აღარაფერს ამბობენ, მაგრამ მშვენივრად იცის, საგრძნობ ნაწილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დაუბრუნდეს წითელ არმიას. ამის მისაღწევად, არაფერს შეუშინდებიან, ყველას, ვინც წინ გადაეღობება, მოსპობენ, გაანადგურებენ, და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც გასწირავენ.

მათი წინამძღოლი და დამრაზმავი კი ისევ ჰიჰინაძეა! ბარამიძე? არც ის არის მამა-აბრამის ბატკანი, ისიც ჰიჰინაძის კუდია!

ჯანდაბას! ჰიჰინაძეს ერწმუნონ, თუგინდ რკინის ჯვარი დაჰკიდონ! ბოლოს ხომ გაირკვევა, რა ვაჟბატონიცაა! დადგნენ მერე და თავი კედელს ახალონ!

ო, ეს წყეული ჰიჰინაძე! საიდან აქვს ამდენი სიეშმაკე, მოხერხება- ეს რა გაქნილი, გაიძვერა ვინმე ყოფილა? ოსტატურად ინიღბება, გერმანელებს ერთგულად აჩვენებს თავს, მიზანსაც აღწევს. ბატალიონის მეთაურს სჯერა მისი, სწორედ იმან დააწინაურა, აი, ნახავ, თუ ისევ ასეულის მეთაურად არ დანიშნონ, ჩუმ-ჩუმა, ეშმაკი და ვერაგია. გუშინ ხომ გააფრთხილა, უსაფუძვლო ლაპარაკი გყვარებია, ენას კბილი დააჭირეო. იქნებ გულისხმაში ჩავარდა, ეჭვი აიღო. ჰიჰინაძე უთუოდ შურს იძიებს, მძინარაშვილივით მასაც დედას უტირებს.

ჰოდა, სანამ დროა, უნდა იმოქმედოს, ამოძრავდეს, თავის სიცოცხლეზე იზრუნოს!

ზონდერფიურერმა ბევრიც რომ უმტკიცოს, ვერ დაარწმუნებს, ვითომ ჰიჰინაძემ განზრახვა შეცვალა და გერმანელებს ერთგულობს.

თუმცა საიდან იცის, ხომ შეიძლება ჰიჰინაძე იმთავითვე გერმანელების აგენტი იყო? რა არის გასაკვირი? განა ვინმემ იცის, რომ თითონ ხარკაძე გერმანელების სამსახურშია? მერე, რა რომ ეჭვი აილეს, ისიც ხომ ეჭვობს ჰიჰინაძეზე, ორში ერთია, ჰიჰინაძე ან გერმანელთა მსახურია, ან თავისი ქვეყნის ერთგული.

ასეა თუ ისე, ჰიჰინაძე საშიში პიროვნებაა! როცა ესაუბრება, თვალს ვერ უსწორებს, სულს ძლივს ითქვამს! პირველი შეხვედრისთანავე მიხვდა, რომ ისინი მტრები იყვნენ. ერთმანეთის ასავალ-დასავალი გაიგეს, დაამხანაგდნენ, მაგრამ მის გამოხედვაში ისევ და ისევ უნდობლობას, ზიზღს კითხულობდა.

თუ სიცოცხლე უნდა, სანამ გვიან არ არის, ჰიჰინაძეს უნდა დაასწროს, გზიდან ჩამოიცილოს... ყოველი საათი შეიძლება საბედისწერო გახდეს. დღეს ჰიჰინაძეს შტაბში მოჰკრა თვალი, მარტო იყო, უორდინარეცოდ. ამაზე უკეთეს დროს, ალბათ ვერც გამონახავს. რა თქმა უნდა, ჰიჰინაძე ამაღამვე წინა ხაზზე გამობრუნდება! გზისპირას, ბუჩქებში ჩაუსაფრდება და შაბის მოსატანად გაისტუმრებს!

გზა დანგრეული და შეუკეთებელი იყო, ცამდე აყუდებული მთები, ფოთოლგაცვენილი ტყე სიჩუმეს მოეცვა.

პატარა მდინარეც, თითქოს ერთ პირ ძილს მისცემიაო, ჩუმად მიჩხრიალებდა.

ალვირმიშვებული ულაყი ფრუტუნით მიჰენაობდა. მისი ფლოქვების თქარუნი უძირო სიწყნარეში ინთქმებოდა.

ასეთ, წყნარ, იდუმალ ღამეში, მშფოთვარე მხედარსაც სიმშვიდე დაეუფლა, ფიქრმა გაიტაცა.

ვაგნერი არც ისეთი მიამიტია, ასე ადვილად გააცუროს, ემანდ გულში სხვა რამე არ ედოს, ან იქნებ იმიტომაც დათანხმდა, ლეგიონერთა ერთგულება ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმოს.

ეს რა კარგი შესაძლებლობა მიეცათ, მზვერავების მეშვეობით წითელი არმიის სარდლობას თავიანთ განზრახვას შეატყობინებენ! ეჰ, მთელი ბატალიონი მაინც იდგეს მოწინავე ხაზზე?!

როგორ უნდა, როგორ ენატრება, რომ ეს დაბეჩავებული, გაწამებული ადამიანები სამშვიდობოს გაიყვანოს! უმძიმს, ძალიან უმძიმს თუნდაც ერთი იმათგანის ბედის ამარად მიტოვება.

უცებ ულაყმა ყური ცქვიტა, თავი შემართა, რაც ჰიჰინაძეს შეუმჩნეველი არ დარჩა ალვირი მოსწია და ცხენს მათრახი გადასცხო. ულაყი ოთხზე გადავიდა.

ჰიჰინაძე, თითქოს გუმანით მიხვდა, რომ საშიშროება მარჯვნივ, ხშირი ტყიდან ელოდა, იქით გაიხედა თუ არა, ტყისპირიდან თოფმა იჭექა, ტყვიამ ყურის ძირში გაუწივლა

ჰიჰინაძემ დაოთხილი ცხენი მარცხნივ შეაბრუნა და მდინარეში შეაგდო. მეორე მხარეს, დამრეც ნაპირზე ბუჩქებისაკენ აილო გეზი — ბუჩქებს შეეძლო მისი გადარჩენა. მდინარის ფსკერი კლდოვანი იყო. მოლიპული. ცხენი ფეხს ვერ იკიდებდა, ბორძიკობდა. შუა მდინარეში წინა კიდურებით წაიფორხილა და გაჭირვებით წამოდგა, მაგრამ მაშინვე უკანა ფეხები დაუსრიალდა. ერთბაშად ცხენსაც და კაცსაც მდინარის ტალღამ თავს გადაუარა.

თავდამსხმელს აღარ უსროლია. ეტყობა, მხედარს ველარ ხედავდა.

ჰიჰინაძეს ლამის სისხლი გაეყინა. იმის შიშით, არ გათოშილიყო, ხელ-ფეხს დიდი სისწრაფით ამოძრავებდა, მჩქეფარე ტალღებს ხან ფეხზე მდგომი მიაპობდა, ხან მკლავურით მიცურავდა.

როგორც იყო, ნაპირს მიაღწია და ფლატეზე ავიდა.

ერთხანს ხმელ ბუჩქებში იწვა, გული გამალებით უძგერდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

ცხენმაც გადაცურა მდინარე, მაგრამ ნაპირზე ფეხი უსხლტებოდა, წყლიდან ველარ ამოდიოდა.

ჰიჰინაძე წამოდგა, ულაყს ალვირში სწვდა და გატანჯული პირუტყვი რის ვაივაგლახით ნაპირზე გამოიყვანა.

ცხენი რამდენჯერმე ღონივრად შეირხა და ბეწვზე ასხმული წყლის წვეთები დაიბერტყა.

ჰიჰინაძემ ფარაჯა გაიხადა, ტანსაცმელი ჩამოიწურა, წაღებში ჩაგუბებული წყალი გადმოაქცია.

მერე ცხენს გვერდზე მოქცეული უნაგირი შეუსწორა, მოახტა და ჰენებით წინა ხაზისაკენ ტყისპირს გაჰყვა.

ჩამობურულ ხეობას რომ მიაღწია, მარჯვნივ გადაუხვია, მდინარეში გავიდა და ვიწრო გზას დაადგა. ის უკვე პირველი ასეულის პოზიციაზე იყო, საშიშროება აღარ ელოდა, სიცივე ძალუმად იგრძნო. სველი შარვლის უნაგირზე ხახუნით ბარძაყები აეწვა, გაულიზიანდა.

ვინ იყო, ვინ ჩაუსაფრდა, სასიკვდილოდ ვინ გაიმეტა? იქნებ წითელი არმიის მზვერავი, ან პარაშუტისტი იყო? არა, ეს შეუძლებელია! მზვერავებს, პარაშუტისტებს სპეციალურ დავალებებს აძლევენ და ასე იოლად თავს არ გაამჟღავნებენ. აქ რაღაც სხვა რამ იმალება? ჩასაფრებულმა უთუოდ იცოდა, ვისაც ესროლა, ეტყობა არც მოღალატეებს სძინავთ! მბდალნი, ლაჩარნი, გამყიდველები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ყველანაირ ხიბინძურეს კისრულობენ, თანამოძმეებს ჰყიდიან... ლოდინი აღარ შეიძლება, სწრაფად უნდა იმოქმედონ, თორემ ყველაფერი დაიღუპება!

ფიქრში გართულმა მხედარმა ვერც შენიშნა, ბოლო წინადადება ხმამაღლა რომ წარმოთქვა, და ნაბიჯით მიმავალ ცხენს ალვირი მოსწია. გააჭენა.

კაპიტანმა ჰიჰინაძემ პოზიციაზე დაბრუნებისთანავე ტანსაცმელი გამოიცვალა და დაწვა. არავისთვის გაუმხელია, რაც შეემთხვა. ზაქრო სურამელსაც დაუმალა, ცხენი გუბეში წამექცა, დავსველდი, ცოტა მამცივნებს, ერთი შენებურად გაახურე ღუმელიო.

სურამელმა ზემდეგს საბრძოლო მასალის ცარიელი ყუთები გამოართვა, წვრილად დაჭრა და ცეცხლი აანთო. გაზეთილი ფიცარი ქვარივით აბრიალდა. ღუმელიდან ცეცხლის ბურჯღლები ცვიოდა. მიწურში სითბო დატრიალდა, მაგრამ ჰიჰინაძე ვერა და ვერ ჩათბა. სახსრები სტეხდა, ფეხებს სჭიმავდა, ღუნავდა, აღარ იცოდა სად წაეღო, მათთვის ადგილი ვერ გამოენახა. იხრავდა, კბილებს აჩრჭიალებდა.

ღუმელთან მოკალათებულ სურამელს კისერი წყდებოდა, თვლემდა. ძილს რომ თავი არ წაერთმია, მალ-მალ მიწურის კარებზე ჩამოფარებულ ლაბადას ასწორებდა. ცეცხლი შენელდებოდა თუ არა, შეშას უმარჯვებდა.

ჭიჭინაძემ ხაზნიდან ხელები ამოყო, ჩაახველა და სურამელს მიმართა:

— ზაქრო, ერთი რამ მინდა გაგანდო. ბატალიონის მეთაური სამი მზვერავის გაგზავნას აპირებს წითელი არმიის ზურგში. კარგი შესაძლებლობა გვეძლევა! მამაცი, ერთგული ბიჭები უნდა გამოვნახოთ და წერილი გავატანოთ ჩვენს პირისპირ მდგომ წითელი არმიის ნაწილის მეთაურთან!

— ამხანაგო კაპიტანო, რა ვუყოთ, რომ თითო-ოროლა მოღალატე გვირევია. სამაგიეროდ, ბატალიონის ძირითადი შემადგენლობა ერთგული, თავდადებული მებრძოლები არიან! ბიჭების შერჩევა არ გაგვიძნელდება!

— მართალი კაცი ხარ! ისინი მე უკვე შევარჩიე: ვახტანგ ბოტკოველი, პართენ ღურჭუმელიძე, ვლადიმერ გოგიძე. რას იტყვი, ხომ ივარგებენ?

სურამელი არც დაფიქრებულა, ისე მიუგო:

— ამხანაგო კაპიტანო, ერთმანეთზე კარგი, სანდო ბიჭები არიან!

ერთხანს ორივე დუმდა, მერე ჭიჭინაძემ თქვა:

— ის მაეჭვებს, გერმანელებს ჩვენი მოტყუება ხომ არ უნდათ. შეიძლება სამივეს ეცნენ, გაჩხრიკონ და წერილი უპოვონ! მაშინ კი დალუპულია ჩვენი საქმე, ალარაფერი გვეშველება! ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონდავწონე და, ეს მოვისაზრე: წერილი წინასწარ წავიღოთ და ისეთ ადგილას დავმალოთ, სადაც მზვერავები გაივლიან.

— ამხანაგო კაპიტანო, ასე ემჯობინება, დაწერეთ წერილი, ამალამვე წავიღებ და საიმედო ადგილს გამოვუნახავ.

ჭიჭინაძე საწოლზე წამოჯდა, საველე ჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო და წერას შეუდგა:

„დივიზიის მეთაურს!

გიგზავნით ამ წერილს ჩემი წარმომადგენლის ხელით, თქვენთვის გადმოსაცემად; მე წითელი არმიის ყოფილი მეთაური ვარ, რომელიც იძულებული იყო ემსახურა გერმანელთა არმიაში. ამხანაგო დივიზიის მეთაურო! (მაპატიეთ, თქვენი ჩინი არ ვიცი) თქვენი დივიზიის განლაგების ფრონტის ხაზზე დისლოცირებულია გერმანელთა ნაწილები, რომლებშიც ქართველთა ასეულებია შერეული. აქ სამი ქართული ასეული დგას, რომლებიც შექმნილია სამხედრო ტყვე წითელარმიელებისაგან...

ჩვენი ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა და ბრძოლა არ გვსურს. სათითაოდ გადმოსვლაც სარისკოა, ამიტომ გადავწყვიტე თქვენთან დამემყარებინა კავშირი და თქვენივე თანხმობით მემოქმედნა. ჩემი დარჩენა აქ დიდ ხანს შეუძლებელია, რადგან მითვალთვალებენ. ფაშისტები ეჭვობენ, რომ მე გადმოსვლას ვამზადებ, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები ჯერჯერობით არ გააჩნიათ.

ჩემს ამხანაგებს გამოატანეთ მოქმედების გეგმა. გთხოვთ გაისროლოთ ერთი წითელი და მეორე მწვანე შუშხუნა იმ პუნქტიდან, რომელსაც ჩემი ხალხი გიჩვენებთ, მაშინ მე დარწმუნებული ვიქნები, რომ თქვენთვის ყველაფერი ნათელია და მოვამზადებ გადმოსვლას...

ოპერაციის წინ ხელმეორედ გამოვგზავნი ვინმეს, მე დრო მჭირდება, რათა შევაგროვო საუკეთესო, უშიშარი ბიჭები.

ჩემი ჩანაფიქრით მოვახერხებ გერმანელთა ფრონტის გახსნას, ფაშისტების დახოცვას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უმნიშვნელო მსხვერპლით დავიკავოთ მტრის პოზიციები.

ამგვარად, იმედი მაქვს, რომ მშობლიურ არმიას სარგებლობას მოვუტანთ. ჩემი გადმოსვლის შემდეგ მე მზად ვარ კვლავ ვიმსახურო წითელი არმიის რიგებში, ასევე არიან განწყობილი ჩვენი ჯარისკაცები.

სალამს გითვლით და იმედი მაქვს ახლო მომავალში შევხვდებით.

ქვედანაყოფის მეთაური.

ჩემს გვარს ჯერჯერობით არ გატყობინებთ, ვინაიდან ეს კონსპირაციისათვის აუცილებელია!"

ჭიჭინაძემ მხოლოდ ბარამიძეს გააცნო თავისი გეგმა და დივიზიის მეთაურთან გასაგზავნი წერილი წაუკითხა, მერე ის ლეგიონერები დაუსახელა, ვისი ხელითაც ბარათი უნდა გაეგზავნა.

ბარამიძეს ჭიჭინაძის განზრახვაც და დივიზიის მეთაურთან გასაგზავნად შერჩეული ბიჭებიც მოეწონა.

რაც შეეხება იმას, რომ წერილი წინასწარ წაეღოთ და სადმე დაემალათ, მიზანშეუწონლად ჩათვალა, ვაი თუ წითელი არმიის მხარეს მიმავალმა მებრძოლებმა ვერ იპოვნონო. მისივე წინადადებით გადაწყდა, ზაქრო სურამელი დაწინაურებულიყო, და სამასიოდე მეტრის დაშორებით, ვახტანგ ბოტკოველსა და მის ამხანაგებს ბუჩქნარებში დალოდებოდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯიბლაძე

# დიდი ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის სახით თანამედროვეობის წინაშე დგას. ის ადამიანი, რომლის დახასიათებასაც ამ ერთი საუკუნის წინათ თვით ილია იძლეოდა, როცა ამბობდა: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა".

ილია ჭავჭავაძე ბუმბერაზივით წამოიმართა გასული საუკუნის 60-იან წლებში და დღესაც ასევე დგას ჩვენს წინაშე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არც ერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ასე მრავალმხრივი არ ყოფილა და ასე ენციკლოპედიური ცოდნით არ გამორჩეულა .მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო გამხდარიყო მთელი ერისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური.

* * *

ილია ჭავჭავაძის ადრეული ლექსები ქმნიან სატრფიალო ლირიკის ციკლს, რომელშიც პოეტის ინტიმური სამყარო მჟღავნდება. ამ ლექსების ლირიკული გმირი. დიდ სინაზესთან ერთად, ვაჟკაცური სულის გამომხატველია; აქ ილია ბარათაშვილის გზას მიჰყვება: ვნების წარმავლობა, სატრფოს ერთგულებაში ბარათაშვილის ლირიკული გმირის ცნობილი დაეჭვება აქაც მთელი ძალით იჩენს თავს. ლექსში „ვიხილე სატრფო", რომელიც მოგვაგონებს ბარათაშვილის უმშვენიერეს ქმნილებას —„სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი", ღრმა ლირიკული გრძნობით არის გადმოცემული სიყვარულის განცდა; უცვლელი, წარუვალი, ბოლომდე ერთგული სიყვარული შეპირისპირებულია ცვალებად. წარმავალ სიყვარულთან. აქ არის პოეზიის იმ ტრადიციული ხაზის გაგრძელება, რომლის სათავესაც რუსთაველის პოემაში ვპოულობთ. ილია ჭავჭავაძისათვის სიყვარული ცხოვრებაში ბრძოლისათვის გამამხნევებელი, ძალის მომცემი, შთამაგონებელი გრძნობაა. პოეტს სიყვარულში დაუნახავს სიკეთის წყარო, ეს იდეა თავიდან ბოლომდე გასდევს ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას, რომლის მშვენიერი ნიმუშია „ხმა გულისა".

ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაში სიყვარულის ობიექტი წარმოგვიდგება არა სტატიკურად. სატრფოს სახე თითქმის ყოველთვის მოძრავია, სიცოცხლის განსახიერებაა. მაშინაც კი, როცა პოეტი აღწერს „მძინარე ქალს", დაჰყურებს მას და ესმის შუქმოფენილი ბროლის მკერდის რხევა, სატრფოს წრფელი გულის ნელი ღელვა, რამდენი სილამაზე, სიცოცხლე და სინაზეა განსახიერებული ამ ქალის არსებაში. ლექსის დასასრულს პოეტის სიტყვები — „შენ თითონ წრფელსა წრფელიც გაქვს ფშვენა, ნეტა მის ბედსა, ვისიც ხარ შენა!.." უნებლიეთ მოგვაგონებს ბარათაშვილის „საყურეს": „ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს."

სიყვარულის ასეთივე ნაზი სიმღერებია სოფიო ჩაიკოვსკაიასადმი მიძღვნილი ორი ლექსი. განსაკუთრებით პირველი, რომელშიაც ჭაბუკური გატაცება დიდი უშუალობითა და ღრმა ლირიზმითაა გადმოცემული.

საერთოდ სულიერი ამაღლების წუთებში

პოეტი გატაცებით იგონებს ხოლმე განვლილ ტრფობას, სიცოცხლის სიხარულს ეძლევა და ღრმა ლირიზმით აღსავსე სიტყვებით მიმართავს სატრფოს:

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!... სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!

შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა“.

. . . . . .

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა.

ამ ლექსით თითქოს იხურება 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის კარები, თითქოს პოეტი შეურიგდა თავის უიმედო სიყვარულს, მაგრამ 70-იანი წლების მიწურულში ეს გრძნობა კვლავ ილვიძებს, კვლავ ახლდებიან სულის ძველი ჭრილობანი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1877 წელს დაწერილი ლექსი — „აღარც ნატვრა და აღარც იმედია!..“, რომელშიაც პოეტი სასოწარკვეთილებამდეა მისული, რაკი ძველი გრძნობები, ერთხანს მიძინებულნი თუ ჩამკვდარნი, ისევ განახლებულან და სულს უშფოთეზენ.

ყველაზე ძლიერი გავლენა ილია ჭავჭავაძეზე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიამ იქონია. პირველად აკაკი წერეთელმა შენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ნათესაობა 1865 წელს დაწერილ კრიტიკულ სტატიაში — „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“.[1]

ილიას მოაქვს ეროვნული, სახალხო შეგნების ამაღლებული იდეები და ყველაფერს სამშობლო ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს უქვემდებარებს. ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ოცი წლის ჭაბუკის მიერ დაწერილი ლექსი „ყვარლის მთებს“, რომელშიაც ყველაფერი უკავშირდება კეთილშობილურ, სპეტაკ პატრიოტულ გრძნობას. პირველად აქ ვხვდებით ილიას პოეზიაში „მომავლის ბედს“, მომავალზე ფიქრს, ოცნებას, რაც შემდეგ მთელი მისი მხატვრული შემოქმედების, საზოგადო მოღვაწეობის ქვაკუთხედად გადაიქცა.

ეს იდეა ამოძრავებს პოეტს 1858 წელს დაწერილ ლექსში „ქართვლის დედას“, რომელშიაც მომავლისადმი სამსახური ორგანულად დაკავშირებულია ისეთი შვილის აღზრდასთან, „რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტებას, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

ასეთი მაღალი, საერთო-სახალხო იდეებით შთაგონებული პოეტი მწვავე სოციალურ პრობლემას ეხება ერთი წლის შემდეგ დაწერილ ლექსში — „გუთნის დედა“. მხოლოდ დიდ ჰუმანისტსა და კაცთმოყვარეს, დიდი ნიჭით დაჯილდოებულ პოეტს შეეძლო ასე განეცადა და ასე ოსტატურად წარმოესახა ბატონყმური ცხოვრების არაადამიანურ პირობებში მყოფი გლეხის უბედურება.

ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდში უკვე ამჟღავნებდა ბრძოლისა და ხალხისადმი სამსახურის დაუცხრომელ სურვილს; საკმარისია დავასახელოთ 1858 წელს დაწერილი ლექსი — „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“, და „დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან“. მაგრამ მისი დიდებული მანიფესტია უკვდავი ლექსი „ქართვლის დედას“, რომელიც ახალთაობის პროგრამად იქცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ამ მიზნისათვის ერის თავდადებული შვილების აღზრდას, ნათლად ჩანს არა მარტო „ქართვლის დედის“, არამედ სხვა ნაწარმოებების მაგალითზეც, კერძოდ, ლექსში „ნანა“. აქაც ქართველი დედა დგას ჩვენს წინაშე, რომელიც აკვანში ჩაკრულ ყრმას ნანას დამღერის და მომავალზე ოცნებობს.

ეროვნული და სოციალური მოტივები ილიას პოეზიაში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პოეტი გვიჩვენებს ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. 1860 წელს იწერება კლასიკური ლექსი „მუშა“, სადაც ქართულ პოეზიაში პირველად ჩნდება ქალაქის ყველაზე დაჩაგრული არსება, დამონებული ადამიანი; უბინაობა, შიმშილი, დაუსრულებელი ტანჯვა, ოჯახის ამოწყვეტა — აი, ქალაქში სოფლიდან მოსული მუშის ბედი.

მძაფრი სოციალური პრობლემატიკა ილია ჭავჭავაძეს იხვევ აწუხებდა, როგორც ეროვნული საკითხი, სამშობლო ქვეყნის იმდროინდელი ყოფა და ვითარება. ერთი მხრივ, დაჩაგრული ადამიანი და, მეორე მხრივ, დაჩაგრული სამშობლო... პარალელები თითქოს ბუნებრივად თანხვდებოდნენ, ერთი იწვევდა მეორის გახსენებას, ხოლო ორივე ერთად ქმნიდა მძიმე სურათს; ილიას მწუხარებაც უაღრესად ღრმა და უნაპირო იყო. ეს მწუხა-

1. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, XI, 1960, გვ. 29-30.

რება, ტკივილი, პოეტმა გამოხატა ლექსში — „ელეგია“, რომელშიაც აპათიურ ძილში მყოფ სამშობლოს პოეტმა მოწოდების ზარები გააგონა:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ახეთი იდეებითა და აზრებით იყო შთაგონებული ილია ჭავჭავაძე 60-იან წლებში; პოეტური მრწამსი არასოდეს მას არ შეუცვლია. იგი ყოველთვის განიცდიდა სხვა ერების ბედსა და უბედობას. ამის ბრწყინვალე მაგალითია 1860 წელს დაწერილი ლექსი — „მესმის, მესმის“, რომელიც იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მშვენიერი საგალობელია. ჭაბუკობაში ილია გატაცებული ყოფილა ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლებით. როცა გარიბალდის რევოლუციური ბრძოლის, კერძოდ, 1860 წლის 5-27 მაისის ამბებმა რუსეთამდე მიაღწიეს, ილია თავისუფლების ნატვრითა და იმედით გამსჭვალული ლექსით შეეგება ამ ცნობას:

მესმის, მესმის სანატრელი,
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა,
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

ეროვნულ-სოციალური განთავისუფლების იდეა ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებისა და აზროვნების უმთავრესი ნერვია, რომელიც არასოდეს არ წყდება და მუდამ ძლიერად ფეთქავს. ამ იდეას ემსახურება პოეტი და ამ იდეის გამარჯვებისათვის ზრდიდა ახალ თაობას.

ეროვნული და სოციალური ძალების დაქსაქსვით გამოწვეული სევდა, ნაღველი ილია ჭავჭავაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე არ განშორებია. ამას ადასტურებს სხვა ნაწარმოებებთან ერთად 1860 წელს დაწერილი ლექსი „როცა წუხილი“... და 1861 წელს გულიდან მომსკდარი საკვირველი გოდება — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. მარტოოდენ ერთადერთი ტანჯვაა პოეტისათვის „სავალალო და სამწუხარო“; მამულის მიწაზე, ამდენ ხალხში ვერავინ უპოვია, რომელსაც ფიქრი ანდოს, თავისი გრძნობა გაუზიაროს. ირგვლივ ყველაფერი აყვავებულია, მდელოც და მთებიც, და ამ სურათს პოეტი მრავლისმეტყველად ამთავრებს:

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

პოეტს გულს უკლავს სამშობლოს სავალალო ყოფა, იგი წერს ლექსს „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“, რომელშიაც დიდ სულიერ დრტვინვასთან ერთად ილიას მთელი არსებაა ჩაქსოვილი: სამშობლოსადმი უანგარო სამსახური, წმინდა, მართალი სიყვარულით ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა, „ქართვლის ბედის“ სიყრმიდანვე განცდა, ცუდის მხილება, ვისიც არ უნდა იყოს, სიძულვილი სიავისადმი, იმის ღრმა რწმენა, რომ კარგი გული უმალ გამოიცნობს, თუ „რაოდენი სიყვარულია“ პოეტის ამ სიძულვილში.

ყველგან და ყოველთვის სამშობლოზე ფიქრს ილია ჭავჭავაძე მჭიდროდ უკავშირებდა კაცობრიობის ბედს, ვინაიდან სწამდა, რომ ერთი ერის უბედურება შეუძლებელია მეორე ერის ბედნიერებად იქცეს. თუ ეს თეზისი მომდევნო ხანის პუბლიცისტურ წერილებში ძალიან მკაფიოდ იჩენს თავს, 60-70-იანი წლების მისი ლექსებიც ამ იდეურ მრწამსს გამოხატავენ, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმის შარავანდედით გაცისკროვნებული, თერგდალეულთა მხოფლმხედველობის ერთი უძლიერესი დამახასიათებელი მხარეა. ილიას პოეზიაში იგი აშკარად ჩანს. 1871 წლის 29 მაისს დაწერილ, პარიზის კომუნისადმი მიძღვნილ ლექსში ილია კომუნას აფასებს, როგორც „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელს“, ხოლო მისი დაცემა ისტორიის შეფერხებად, განახლების ძალთა შეჩერებად მიაჩნია. ასე ორგანულად აქსოვდა პოეტი ერთმანეთს მშობელი ერისა და კაცობრიობის ინტერესებს. თუ რა სიფაქიზით, სინაზით, ერთგული შვილის სიყვარულით ეალერსებოდა ილია თავის სამშობლოს, კარგად გამოხატავს ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“. ეს არის ქართული პატრიოტული ლირიკის ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები, რომელშიაც პოეტის სუნთქვა, აზრი და გრძნობა მთლიანად თავსევლება სამშობლოს, როგორც ფარვანა ანთებულ სანთელს.

უფრო მოგვიანებით, 1883 წელს დაწერილი ლექსი — „ბაზალეთის ტბა“ ერთი მშვენიერი პოეტური ხილვაა, რომელშიაც პატრიოტული სული წინასწარმეტყველების შარავანდედით წარმოგვიდგება.

ამით მთლიანდება ილია ჭავჭავაძის პატრიოტული მხოფლმხედველობის ის ერთი ძირითადი მოტივი, რომელიც „ქართვლის დედაში“ დაიწყო და „ბაზალეთის ტბით“ დამთავრდა. რასაკვირველია, ლაპარაკია პოეზიაზე და არა საერთოდ ილია ჭავჭავაძის მთელ მხატვრულ ან პუბლიცისტურ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე.

არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ მძაფრი პოეტური გრძნობით დაწერილ ლექს-

ზე „კითხვა-პასუხი“. ეს ლექსი ქართულ პოეზიაში ძველთაგანვე ცნობილი გაბაასების, კითხვა-პასუხის, დიალოგის ფორმით არის დაწერილი და მისი ძირითადი თემა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაა.

საერთოდ, სატირას ილიას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თანდაყოლილი ნიჭი იუმორისა და სატირისა მშვენივრად გამოვლინდა ილიას პროზასა და პოეზიაში. ხოლო არანაკლები ძალით — მის პუბლიცისტიკაში. ნიმუშად, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. ილიას ამ ნაწარმოებში მშობელი ერის მთელი ერთსაუკუნოვანი ისტორიაა აღებული, როგორც თემატიკური მასალა. სამარცხვინო ბოძზე გაკრული არიან ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს განსაცდელს არ დაგიდევდნენ, ოღონდ საკუთარი თავი უზრუნველეყოთ. ამ მხრივ ილიას სატირა მოურიდებელი, პირდაპირი და გონებამახვილურია. ფორმად გამოყენებულია დიალოგი, რომელსაც დინამიურობას აძლევს ყოველი ხანის შემდეგ განმეორებული რეფრენი — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“. თვით დიალოგი მეტად ბუნებრივია: შვილიშვილი, რომელიც პაპამისთან საუბრობს, ეკითხება, ხოლო პაპა პასუხს აძლევს. ავტორი არ ზოგავს სატირულ საღებავებს, რომ მწარე მათრახი გადაჰკრას იმ ადამიანებს, რომლებსაც სამშობლოს ბედი არ აღელვებდათ. ეროვნული ნიჰილიზმი ყოველთვის იწვევდა ილიას ღრმა გულისწყრომას.

**1871** წელს დაწერილ ნაწარმოებში — „ბედნიერი ერი“ ყველაფერი ემსახურება ერთ გარკვეულ მიზანს: მოურიდებლად გამომჟღავნოს ერის ცხოვრებაში არსებული ნაკლი, არაფერი დაზოგოს, ხოლო ამით ხელი შეუწყოს თვით ერის გამოფხიზლებას, მისი შეგნების ამაღლებას.

რამდენიმე თვის შემდეგ ილიამ ზედიზედ დაწერა სატირული ლექსები, უკვე არა ზოგად თემებზე, არამედ კონკრეტულ პიროვნებათა წინააღმდეგ. მხედველობაში გვაქვს „გამოცანები“ (სულ 9) და „კიდევ გამოცანები“ (7 გამოცანა). ორივე ნაწარმოებს სწრაფად მიუქცევია მკითხველის ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ „გამოცანები“ ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით და არა დაბეჭდილი ტექსტით (ავტორი აღნიშნული თხზულებების დაბეჭდვას ვერ მოესწრო).

**1894** წელს დაწერილი თორმეტი თავისაგან შემდგარი „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“ (დაიბეჭდა „ივერიის“ საახალწლო ნომრებში — **1-5**) მოკლებულია იმ გამძაფრებულ ტონს, რომელიც „გამოცანებსა“ თუ „კიდევ გამოცანებს“ ან „პასუხის პასუხს“ ჰქონდა. ძველი ბრძოლის ნაღარა აქ აღარ ისმის, თუმცა სატირა-იუმორის მახვილი მაინც ბასრია.

* * *

ახლა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის პოემები.

„აჩრდილი“ დაიწერა 1858-1859 წლებში და დათარიღებულია 1859 წლის 26 იანვრით. ნაწარმოებს ეპიგრაფად უძღვის ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები: „აღსდექ, უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად!..“ საბოლოო ვარიანტში, რომელიც დათარიღებულია 1872 წლით, 32-ის ნაცვლად 27 თავია, მათ შორის არა ჩანს 22-ე და 28-ე თავები. ამგვარად, ჩვენს ხელთ არის 25 თავიანი პოემა. მას აღარ ახლავს პირველი ვარიანტიდან „ძლვნა მეგობრებს“, აღარც ეპილოგი „ქართველთადმი“, მთელი პოემაც საფუძვლიანად არის გადამუშავებული და ეძღვნება ორ ცნობილ მოღვაწეს — ივანე პოლტარაცკისა და ილია წინამძღვრიშვილს. პოემა თავდება იქ, სადაც, მოხუცის ლოცვის შემდეგ, პოეტი ხედავს ცისარტყელას.

როგორც დიდი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძე ხალხის ინტერესებს აყენებდა ყველაზე მაღლა და „აჩრდილშიც“ მას სწორედ ხალხის ჩვენება სურდა. 1872 წელს, როცა „აჩრდილის“ საბოლოო რედაქცია მთავრდებოდა, პოეტი შემდეგ საგულისხმო სიტყვებს სწერდა დავით ერისთავს: „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ნაბიჯი წინ ველარ წავდგი, არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მომეწონება ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არის“.[2]

„აჩრდილი“ დიდი იდეური დრტვინვის, მხატვრულად განზოგადებული ეპოქალური მნიშვნელობის პოეტური სიმფონიაა. მისი ღაღადისი ერთნაირი ძალით სწვდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის ყველაზე მწვავე ტკივილებს. პოემის საბოლოო ვარიანტს ეპიგრაფად აქვს რუსთაველის უკვდავი სიტყვები, რომლებიც პოემის ძირითად შინაარსს სავსებით შეესაბამება. დიდი პოეტის აფორიზმი ნამდვილად გვაწიშნებს „აჩრდილის“ დედააზრს: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ალეგორიულად ეს უკვე პოემის მთავარი იდეური მიმართულების გამჟღავნებაა და, რუსთა-

2 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, X, 1961, გვ. 34

ველთან ერთად. ილიას ღრმად სწამს ცხოვრების ამ დიალექტიკური წესის მარადიულობა. მისთვის სრულიად უეჭველია დაცემული სამშობლოს აღდგენა. მთვლემარე შემოქმედებითი ძალების ფენიქსისებური განახლება.

პოემის ექსპოზიციას წარმოადგენს მყინვარის დიდებული სახე, რომელსაც ავტორი დიდი ექსპრესიულობით გვიხატავს. კავკასიის მთებისა და მყინვარის ამ გრანდიოზულ პანორამას ამაღლებული გრძნობა გასდევს პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე; ამ გრანდიოზულ სურათს პოეტი ორგანულად უკავშირებს „იმ დღის ლამაზ დილას“, როცა ეს საოცარი მშვენიერება იხილა, „ლამაზ დილას“, რომლის სიმშვიდისა და სინარნარის მადლს თვით მყინვარის რისხვა-ზარიც დაემორჩილა. სიბნელე გაქრა, ბუნების ენა გასაგები შეიქმნა, გამოჩნდნენ ნეტარებითა და ლხენით აღსავსე „უცხო ხილვანი“. მათ შორის ყველაზე საოცარი იყო დიდი კაცი, „მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“, იმ დილის მსგავსად „მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული“. მარჯვენა ხელით თვალნი მოეჩრდილნა, შორს გამყურებდა, ირგვლივ მთები ამკობდნენ, ხოლო ქვევით თერგი ღრიალით მიედინებოდა.

თერგი! საკვირველი სილამაზე და სიძლიერე დარიალის საშიში კლდეებისა! მისმა ფაფარაყრილმა დინებამ გააცხოველა პუშკინისა და ლერმონტოვის, გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის მხატვრული ფანტაზია. პოეზიის ეს გოლიათები თითქოს საკუთარ სახეს ხედავდნენ თერგის მრისხანე ხმაურში.

მაგრამ სამშობლოს ვერც მოშრიალე ტყეებმა, ამაყმა მთებმა, ვერც თერგის ღრიალმა და არაგვის ხმაურმა მყინვარზე მდგომი მოხუცის ყურადღება ვერ მიიზიდეს. იგი გასცქეროდა „სრულ საქართველოს“, რომელიც შორით მოჩანდა, როგორც „ქვეყნის მარგალიტი“. და ამ ობოლს, მარტოდ დარჩენილს, მოხუცი დააცქერდა; მას ერთადერთს „სიყვარულითა იგი დამზერდა“. მთელი საქართველოს ბედით გატაცებული მოხუცი პოეტის აღტაცებასა და გაკვირვებას იწვევს. იგი მიმართავს „საკვირველ კაცს“. სურს გაიგოს, საიდან მოვიდა, ვინ წარმოგზავნა, რამ აიძულა მიეტოვებინა საკუთარი ბინა და მყინვარზე შემდგარიყო.

ეს მოხუცი საქართველოს უკვდავი სულია, რომელიც მარად ცოცხლობს, მაგრამ ტანჯულია, რაკი გული გადაბანილი აქვს ქართველთა სისხლით. ის გული, რომელიც დღემდე ინახავს მშობელი ქვეყნის წარსულსაც და აწმყოსაც. მოხუცის სახეში ხორცშესხმულია ქართველთა მთელი ისტორია; ეს სახე ისევე ტანჯულია, როგორც საქართველო; მისი თვალები საქართველოს ცრემლით ბევრჯერ ატირებულა, ბევრჯერ დატყვევებულა ძველი დიდების ნატვრით, ხოლო სული და გული აწმყოს მძიმე ხვედრით დასწყლულებია. მოხუცი გვევლინება, როგორც ერის გონივრული საწყისი, რომელიც მღელვარე სულში განსახიერებულა. იგი წუხს, რომ არავის, არც დიდს, არც პატარას „ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“, მათ დავიწყებიათ, რომ უზენაესი ამქვეყნად მამულია, დედა-სამშობლო; რომ დიდი ცხოვრება მარტოოდენ ის არის, რომელიც „ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასვე შეეწირება“. ეს გოდება გამოხატავს თერგდალეულთა ეროვნულ კრედოს და სამშობლო ქვეყნის სამსახურის შთამაგონებელ იდეას.

მოხუცი გოდებს, რომ ერთ უბედურებასთან ერთვის მეორე. ეს არის სოციალური ჩაგვრა, როცა უზრუნველობით განებივრებული უფალი მიწასთან ისედაც გასწორებულ მონას ატყუებს, ძარცვავს, სულსა ხდის. პოეტის მიერ სოციალური ჩაგვრის სურათები წარმოსახულია დიდი დამაჯერებლობით, უშუალობითა და ღრმა ჰუმანიზმით, თითქოს ცოცხლად ვხედავდეთ ამ ბოროტებას.

მაგრამ პოეტს სწამს, რომ ადამიანის მონობა, ჩაგვრა, ექსპლოატაცია აღარ შეიძლება ასე დაუსჯელად გრძელდებოდეს, მომავალი „შრომის შვილს“ ეკუთვნის, ხოლო შრომა, რომელიც ტყვედპყრობილია, ბორკილებისაგან გათავისუფლდება. „აჩრდილის“ ავტორმა წინასწარმეტყველურად განჭვრიტა მომავალი, როცა თავისი საუკუნის ტვირთად „შრომის ახსნა“ დასახა:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
მაგრამ რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

არც ერთ ქართველ პოეტს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეპოქის საზოგადოებრივი საკითხები ასე ღრმად და ასე მწვავედ არ დაუყენებია. იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე არაჩვეულებრივი ძალით გადმოსცემდა მხატვრულ ფორმებში იმ სოციალურ ტკივილებს, რომელთა განკურნებისათვის პროგრესული აზრი ასე გაბედულად ამხე-

დრდა. მას სწამდა, რომ ქვეყნად ძარცვა დარბევა მოისპობოდა, დამყარდებოდა „შრომის სუფევა“, განმტკიცდებოდა კაცთმოყვარეობა, უქმ სიტყვებად არ დარჩებოდა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. ილია ჭავჭავაძემ სავსებით სწორად განჭვრიტა, რომ ძველმა ქვეყანამ იგრძნო მისივე საფუძვლების რღვევა, ალღო აიღო, რომ ზვიადმა მე-19 საუკუნემ უნდა შვას „შრომის სუფევა“:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

პოეტს სჯერა, რომ ერის შინაგანი ძალები კვლავ აღსდგებიან, მისი ტრადიციული სიმამაცე კვლავ იჩენს თავს. და აჩრდილის პირით ილია ჭავჭავაძე მოგვაგონებს საქართველოს გმირულ წარსულს, ათასწლეულებში გამოვლილ ტანჯვას, რომელმაც მკითხველის გულში, პატრიოტულ გრძნობასთან ერთად, მომავლის იმედიც უნდა გაალვივოს.

უაღრესად დიდია „აჩრდილის“ მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური ღირებულება ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ პოემის მეტი რომ არაფერი დაეწერა, ილიას სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა. „აჩრდილმა“ მაღალ პოეტურ ფორმებში ხაუკეთესოდ განასახიერა ყველა ის ძირითადი იდეა, რასაც თერგდალეულები ემსახურებოდნენ. ეს არის დიდი მასშტაბის პოეტური ნაწარმოები, რომელიც ერთდროულად მთელი სიმწვავით აღძრავს სოციალ-ეროვნულსა და ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას. ეპოქის საცნაურ, უაღრესად მტკივნეულ თემებს იგი ისეთი სიღრმით, გარკვეულობითა და მღელვარებით წარმოსახავს, რომ მხატვრულ გვირგვინად ევლინება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეზიას. მისი საზოგადოებრივი ნერვი ერთნაირად საგრძნობია პოემის როგორც ეპიკურ, ისე ლირიკულ პასაჟებში. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოაზროვნე, მთელი თავისი გრანდიოზულობით, მგონი, ასე მთლიანად არ წარმომდგარა არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებში; „აჩრდილში“ ყველაზე მეტად გამომჟღავნდა მისი ავტორის მძლავრი ნიჭი და ასევე მძლავრი ენერგია, რამაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მთელი შინაგანი არსების ერთ შედევრში გამოვლენას. და „აჩრდილი“ არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, მთელი ქართული პოეზიის მხატვრულ შედევრს წარმოადგენს.

პატრიოტული ხასიათისაა ილია ჭავჭავაძის დრამატული პოემა „ქართვლის დედა“ (სცენა მომავალ ცხოვრებიდან). ეს ნაწარმოები დაიწერა 1860 წელს, პავლოვსკში. პოემის საბოლოო რედაქცია დათარიღებულია 1871 წლის 18 მარტით.

პოემა იწყება დედის მოწოდებით, რომელშიაც სიკვდილის პირას მისული მოხუცი უზენაესს მადლობას უძღვნის: თუმცა მოხუცი სნეულის სიცოცხლე წვალებაა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმ დღეს რომ შემასწარი, როცა ჩემი სამშობლო მიცოცხლდებაო. მოხუცის სიხარულის მიზეზია ხალხის აზვირთება კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ხალხის ერთი ფიქრი — მოიპოვოს მთელი კავკასიის თავისუფლება. ერთადერთი შვილის დედა, რომელსაც სხვა არავინ გააჩნია, მზად არის სამშობლოს მისცეს ეს „საყვარელი და სანატრელი“ ვაჟი, თუმცა მოხუცს მარტოოდენ მისით უდგას „უძლურს ტანში უძლური სული“.

მოხუცის სიტყვებს მცირე ხნის შემდეგ მოჰყვება დიდებული ოდა თავისუფლებისა, რომელსაც პატრიოტი დედა ამბობს, და ყველაზე მეტად სწორედ მას შეჰფერის ქებათაქება უმღეროს თავისუფლების უკვდავ გენიას.

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა
ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა
საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე
ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ
ბუნებისა.

დააკვირდით ამ მშვენიერ სიტყვებს და გაიგონებთ თავისუფლებამოწყურებული კაცის გულიდან ამოხეთქილ ღაღადებას; მას ღრმად შეუგნია, რომ თავისუფლება ადამიანის ყველაზე დიდი ბედნიერებაა ამქვეყნად; იგი ჩაგრულ-ტანჯულის წმინდა საფარი, ადამიანთა ნავთსაყუდარი, ქვეყნის მშვიდობა და სიმართლეა. ჩვენს არსებას მხოლოდ იგი ამაღლებს უზენაესამდე, მაგრამ მტარვალთაგან ოდითვე აკრძალული იყო, თუმცა ყველაფრით სავსე სამოთხეც კი უმისოდ არარაობას წარმოადგენდა. ვით მშვიდობა და სიმართლე, იგი მუდამ ომითა და სისხლით იკაფავდა გზას. ეს ურვაწუხილი პოეტისა დიდ ფილოსოფიურ განზოგადებას ებჯინება, როცა წარმოიმართება თავსამტვრევი პრობლემის სახით: რატომ არის, რომ თავისუფლებას — მშვიდობისა და მადლის მომფენს, ადამიანი მარტოოდენ სისხლისღვრით აღწევს? რატომ არის, რომ მისი ტაძარი უსისხლოდ არ შენდება, თუმცა თავისუფლების ღვთაებას მშვიდობა წარმოადგენს? ამ ტანჯველ ფიქრთა გრეხილის პასუხი არა ჩანს, მისი გაგრძელება ცხოვრების ხინამდვილეში ხდება, როცა მოხუც დედასთან გახარებული შვილი შემოდის, შვილი, რომელმაც სისხლი უნდა დაღვაროს თავისუფლების მო-

საპოვებლად. ქვეყნის გამოღვიძებით აღფრთოვანებული კიაზო სნეულ დედას შეატყობინებს, რომ დიდი ხნის სანატრელი ამბავი მოვიდა, საქართველომ გამოიღვიძა, მთელი კავკასია აღსდგა მტერთან საომრად, ბნელი ღამე გათენდა, მაგრამ „შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამეო“. მე იმას ვწუხვარ, — ეუბნება პატრიოტი დედა თავის პირმშოს, — რომ ერთადერთი შვილი მყავს, მამულის ხსნას ჩემგან შობილი მხოლოდ ერთი შეაკვდებაო. იმასაც ვწუხვარ, რომ ჩემი სიცოცხლის მზე მაშინ ჩადის, როცა სამშობლოს მზე ამოდის. ხალხის განთიადს მე ველარ მოვესწრები, ამას აღარაფერი ეშველება. სათხოვარი მარტო ისა მაქვს, რომ „მკვდარი დედა“ შვილმა ასახელოსო.

სხვა პრობლემას ეხება ილია ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ეს ნაწარმოები ჭაბუკ პოეტს დაუმთავრებია პეტერბურგში, 1860 წლის 11 დეკემბერს. მისი თემატიკური რკალი მთლიანად სოციალურ სფეროშია მოთავსებული და ბატონყმურ საშინელებათა სურათებს გადაგვიშლის.

ილიას დაუმთავრებელი მოთხრობები „კოლა“ და „კაკო“ წარმოადგენენ „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღის“ შეერთებულს რედაქციას“ პოემის ძირითადი აზრია ბატონყმობის, როგორც სოციალური წყობის, საშინელებათა ჩვენებით მკითხველს შთააგონოს ამ ბარბაროსული ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობა.

„კაკო ყაჩაღი“ თავისი შინაარსით მთლიანად ცხოვრების რეალურ ფაქტებს ემყარება, მაგრამ ეს ფაქტები პოემაში მხატვრულად არის განზოგადებული. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ ერთი უმშვენიერესი მხატვრული ნაწარმოებაა XIX საუკუნის დემოკრატიული ლიტერატურისა. მან უდიდესი როლი შეასრულა ერის თვითშეგნების ამაღლებაში. პოეტური ოსტატობით, ჰუმანიზმით, იდეური მიზანდასახულობითა და მხატვრულ კომპონენტთა მთლიანობით იგი ნამდვილად ქართული მწერლობის განძს წარმოადგენს. პოემის დემოკრატიული სული ხიბლავს მკითხველს, აღუძრავს კეთილშობილურ გრძნობებს და მკვეთრად განაწყობს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამაშია მისი დიდი სოციალური შემეცნებითი მნიშვნელობაც.

თემატიკურად სრულიად განსხვავებულია „კაკო ყაჩაღისაგან“ ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. რომელიც დაიწერა 1878 წელს; იგი განეკუთვნება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ისტორიულ-პატრიოტულ რკალს და წარსულის ფაქტებს დიდი მხატვრული სიზუსტით გადმოგვცემს. მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება მარტოოდენ ისტორიული მასალის გააზრებით: მას კარგად ესმის შემოქმედის ამოცანა და ის ძირითადი პრინციპი მხატვრული აზროვნებისა, რომლის შესახებაც გოეთე ასე გარკვევით ლაპარაკობდა, როცა თავის „ეგმონტს“ ახასიათებდა: „...მე რომ ეგმონტი ისეთი წარმომედგინა, როგორც ისტორიულად იყო, მისი თავისუფალი ქცევა ძლიერ უაზროთ მოგვეჩვენებოდა... რაღა საჭიროა პოეტები, თუ ისტორიკოსის მიერ თქმულით შემოვიფარგლებით? პოეტი უფრო შორს უნდა წავიდეს და შეძლებისდაგვარად მოგვცეს უფრო მაღალი, უფრო უკეთესი“... [4] გოეთეს ამ პრინციპს ილია სავსებით იზიარებს, თუმცა იგი არ ახდენს თავისი გმირის ისეთ გარდაქმნას, როგორი მეტამორფოზაც გერმანელი პოეტის ხელში ისტორიულმა ეგმონტმა განიცადა (გაახალგაზრდავება, ფაქტების შეცვლა და სხვ.). ილია ალრმავებს ისტორიის სულს, პოემის გმირის შინაგან არსებას, მოჰყავს გამოგონილი პირები (ბრმა მეფანდურე, მოხუცი თავისი შვილებით) და უმაღლეს წერტილზე აჰყავს ისტორიული ფაქტებიდან მომდინარე პატრიოტული გრძნობა.

„მეფე დიმიტრი თავდადებულს“ ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს აკაკის „თორნიკე ერისთავთან“ ერთად. ილია ჭავჭავაძემ სრულიად ახალი სული შთაბერა ისტორიულ პერსონაჟს, გააცოცხლა ქრონიკის ფერწასული ფრესკა და უაღრესად გამოკვეთილი, თავიდან ბოლომდე დიდი ადამიანური გრძნობებით დაჯილდოებული გმირის სახით წარმოგვიდგინა. ჩვენ გვხიბლავს დიმიტრის არამარტო თავგანწირვა ერისთვის — ეს მისი მოწამებრივი სულის უკვდავი გვირგვინია, რომელიც ხალხის ხსოვნამ დღემდე შემოინახა და მარად პატივისცემით მოიხსენიებს, — არამედ აზრიც, საქმეც, მოქმედებაც. პოეტის მიერ წარმოსახული ისტორიული დიმიტრი აზრითაც და გრძნობითაც ამაღლებული პიროვნებაა და მასში არც ერთი თვისება არ არის, რაც ამაღლებულს არ განეკუთვნებოდეს. დიმიტრი მთლიანი პიროვნებაა, მტკიცე და უშიშარი, ბოლომდე შეგნებით რომ მოქმედებს, მაგრამ რამდენია მასში ადამიანური, კაცური, რამდენი გრძნობა აქვს თანაც ესოდენ ძლიერი და ხპეტაკი.

პოემა დაწერილია ხალხურ კილოზე და მისი ფორმა ყველაზე უკეთესად შეეფერება ნაწარმოების სულს, რაკი მოთხრობილია ხალხური მთქმელის — ბრმა მეფანდურის პირით. ხალხურ პოეზიას ილია არა მარტო კარგად

3. იხ. ი. ჭავჭავაძე, I, 1937, გვ. 699-702. პ. ინგოროყვას კომენტარები.

4. გოეთე, დრამები, თბ., 1956, გვ. 490.

იცნობდა, არამედ მისი უდიდესი დამფასებელიც იყო. ახალგაზრდობიდანვე ფოლკლორით გატაცებული, დუშეთში მუშაობის დროს დაუღალავად აგროვებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. მთელი პოემის არაჩვეულებრივი სიუჟეტური სისადავე, ხალხური ლექსის კილოზე გაწყობა, სინატიფე და ბუნებრიობა სავსებით დამაჯერებლად მოწმობენ, თუ რა კარგად ჰქონდა პოეტს შეთვისებული უმდიდრესი ქართული ფოლკლორული შემოქმედება.

ხალხურ თქმულებას აგრეთვე ემყარება 1882-1883 წლებში დაწერილი პოემა „განდეგილი“. ლეგენდისათვის ილიას იმდენად შეუცვლია სახე, რომ მისთვის, ფილოსოფიურ სიღრმესთან ერთად, ზოგადკაცობრიული პრობლემის ძალაც მიუნიჭებია.

როგორც დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოშიც განდეგილობამ თავი იჩინა ქრისტიანული მოძღვრების შემოტანისთანავე. სრულიად უტყუარი ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ განდეგილობა საქართველოშიც უძველესი დროიდანვე ძალიან გავრცელებული იყო განდეგილები თავს აფარებდნენ უდაბნოებს, გამოქვაბულებს, ტყეებს და ყველა იმ ადგილს, სადაც საზოგადოების ხმა მიუწვდომელი იყო, სადაც ადამიანი არ ცხოვრობდა.

ახეთი თავშესაფარი ქართველ განდეგილთათვის ყოფილა აგრეთვე ყაზბეგთან ახლოს მდებარე ბეთლემის მონასტერი. იგი არ არის პოეტის მიერ შეთხზული. ბეთლემის მონასტერი ნამდვილად არსებობს და იგი მოხსენებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის „ღეოღრაფიულ აღწერაში“. საგულისხმოა, რომ ვახუშტის აღწერილობას ძალიან წააგავს ილიასეულიც (მყინვარის კლდეში მონასტერი, სახელწოდება ბეთლემი, ძნელად ასასვლელი, ქვაბიდან გადმოკიდებული რკინის ჯაჭვი და სხვ.). ლეგენდის გარდა, ვახუშტის აღწერილობა რომ გამოიყენა ილიამ, სრულიად უეჭველია. პოეტს ძალიან ზუსტად მოუცია ბეთლემის როგორც გარეგნული, ისე შინაგანი აღწერილობა.

ბეთლემად წოდებული მონასტრის აღწერას მოსდევს იმის დახასიათება, თუ ვინ იყვნენ მისი მკვიდრნი და რატომ შეეფარნენ „ღვთის ტაძარს“. ეტყობა, ილიამ არაერთი სპეციალური მასალა გადაამუშავა მეუდაბნოეთა ისტორიიდან. რათა სურათი სავსებით უტყუარი გამოსულიყო. უმთავრესი კი ადამიანია, რომელიც არ შეუშინებია სასტიკ სადგომს, გამოქცევია საზოგადოებას, ხალხს, ნათესავებს, ახლობლებს და თავშესაფარი ყინულთა შორის მოქცეულ ტაძარში უპოვია.

თავდაპირველად ილიას არ ჰქონდა აღწერილი განდეგილის გარეგნული სახე, მისი პორტრეტი. შემდეგ, მეგობართა რჩევით, ილიამ იგი გამოკვეთილად, ცოცხლად, პირდაპირ ფერწერული ოსტატობით დაგვიხატა; განდეგილის პორტრეტში, რომელიც ძლიერი შტრიხებითაა შესრულებული, მკაფიოდ იხატება გვემული მწირის მთელი შინაგანი სამყარო.

განდეგილის ეს ხანგრძლივი წამება, ხორცის გვემა, ყინულებში მარტო ყოფნა და დღე და ღამ ლოცვა-ვედრება თითქოს უზენაესმა შეისმინაო, სასწაულით დაგვირგვინდა. მის ბნელ სენაკს, რომელსაც მზის მხრივ სარკმელი ჰქონდა, ეფინებოდა მზის შუქი და მთვარის ნათელი. ყოველ განთიადს, როცა სენაკში მზის სხივი სარკმლიდან სვეტად შეიჭრებოდა, განდეგილი თავის ლოცვანს ამ სვეტს დააყრდნობდა. მზის შუქი წიგნს იჭერდა, ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე და მწირი თავის სიწმინდეს ყოველდღე ამ სასწაულით ამოწმებდა.

განდეგილის ცხოვრება ასე გრძელდებოდა ბოლომდე. უზენაესისადმი ლოცვა-ვედრებაში ამოხდებოდა მას სული, რომ ერთხელ ჩვეულებრივი ყოფა მწირისათვის დარღვეულიყო. ერთ საღამოს უეცრად ატყდა ქარიშხალი, მყინვარიდან ვეშაპივით მძიმედ დაიძრა შავი ღრუბელი და ამოძრავდნენ სტიქიური ძალები.

ამ დროს მწირი სენაკში იყო შესული, ის „ცრემლით ალბობდა ღვთის მშობლის ხატს“, ხელაპყრობილი ევედრებოდა, რომ ქვეყანა წარწყმედისაგან ეხსნა.

სწორედ ამ დროს გაიგონა „კაცის ხმა“ და „ილოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა“. ეცა კარებს, ძირს ჩაიხედა, დაინახა, რომ კარის ჯაჭვს ვიღაც მოსდგომია, „ვითა ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით“ თავშესაფარს ითხოვს. განდეგილი მტკიცე ნებისყოფის ადამიანია, საფრთხეს არ უშინდება — თუნდაც მაცდური იყავ, რაკი ღვთის ნებაა გამომცადოს, მოდი, მიგიღებო.

განდეგილმა, რომელიც ქრისტიანული ასკეტიზმის რელიგიურ რიტუალებს უსასტიკესი ნებისყოფით იცავდა, კარგად იცოდა, რომ ქალი მიჩნეული იყო ბოროტების განსახიერებად, რომელმაც ადამი შეაცდინა და ადამიანის შთამომავლობა ტანჯვა-წამებაში ჩააგდო. ამიტომ განდეგილი, რომელიც დედაკაცში მხოლოდ ცოდვილს, მაცდურს, ეშმაკეულს ხედავს, შეკრთება, როცა მისი სტუმარი აღმოჩნდება ქალი, ისიც ასე ახალგაზრდა. ამ სულიერ ვითარებაში იწყება მწირისა და მწყემსი ქალის ურთიერთობა. ეს უკანასკნელი გაოცებული შეეკითხება თავის მასპინძელს: „განა ქვეყანად შენ არავინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“ მწყემსი ქალისათვის წარმოუდგენელია, ადამიანი სრულიად მოწყვეტილი იყოს მისივე მსგავს ადამიანებს. არავინ მყავდეს ამქვეყნად: მაგრამ მწირი სწორედ ასეთია: ყველა მყავდა, მაგრამ ყველას გამოვეთხოვე, აქ

მოვედი და ღმერთს შევწირე თავიო,—ამბობს განდეგილი. ეს თავის შეწირვა იმდენად ფანატიკურია, რომ მწყემსი ქალის შეკითხვაზე — „ამას აქეთ რამდენი წელიწადიაო", — განდეგილი პასუხსაც ვერ ახერხებს: არ ვიცი, არ ვთვლი წელიწადებს. რაკი წუთისოფელს მოვშორდი, მის ჟამთასვლას „რაღას ვაქნევო". მწყემსი ქალისათვის სრულიად უაზროა, თუ რატომ უნდა სურდეს უზენაესს „ამ ყინულებში ყოფნა კაცისა".

მთის მკაცრ პირობებში ცხოვრება მწყემს ქალს ვერ აიძულებს წუთისოფლის სიტკბო არ განადიდოს, განდეგილის სენაკი სიკვდილად არ მიიჩნიოს, ჭირს არ შეადაროს, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება ათასგვარ განსაცდელთან დაკავშირებული, ლხინად და სიცოცხლედ არ აღიაროს.

როგორ მოხდა ეს საბედისწერო გათიშვა? პირველს არ ესმის, ვერ გაუგია და მეორისაგან პასუხს მოითხოვს. მწირის პასუხი კი ასეთია: „რა გითხრა, შვილო? ყველაზე უფრო სული ტკბილია, იგი ტყვე არის წუთისოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია". ამ ფილოსოფიურ პასუხში კვლავ განდიდებულია არა ცხოვრებისეული, არამედ მეტაფიზიკური, ქრისტიანული დოქტრინით შებოჭილი სული, რომელსაც წუთისოფელი ბორკილად მიაჩნია, და ტყვეობას რომ თავი დააღწიოს — მისგან გარბის, როგორც ბორკილისაგან. თუ ასეა, მაშინ ყველა ადამიანი, ვინც „ქვეყნად არის", წუთისოფლის ტყვეა, წაწყმედილია და თავის სულს ვერაფრით ვერ იხსნის? — ასე აყენებს კითხვას მწყემსი ქალი. განდეგილი უპასუხებს, რომ „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ასეთი მერგო მე... უბედურსა".

მაგრამ ეს პასუხი ხომ იმის გამომჟღავნებაა, რომ მწირს, რომელსაც ხორცი დაუგმია, სული უხსნია და ღვთაებისათვის ყველაფერი შეუწირავს, ბედნიერება მაინც ვერ უპოვია, რაკი თავისი თავი უბედურად მიაჩნია. თვითონაც უნდა გაჰკვირვებოდა ასეთი პასუხი, როგორც უკმაყოფილების გამოხატულება, და განდეგილიც უეცრად მიხვდა, რომ რაღაც „სამილება" ჩაიდინა. ეს შინაგანი ქენჯნა, თვითანალიზი და სულიერი ღელვა განდეგილის არსებაში არყევს ყველაფერს, რაც ცოცხალი შერჩენია. განა შეიძლებოდა თავისი ბედით ოდნავი უკმაყოფილება გამოეთქვა ადამიანს, რომელმაც ბედნიერების დაკარგვად კი არა, უკვდავებად და ცხოვრების ერთადერთ აზრად მიიჩნია ის, რაც გააკეთა — საწუთროების დაძლევა? აქამდე ის ხომ ყოველთვის კმაყოფილი იყო, რომ მოიპოვა სულის სიმშვიდე, ცხოვრებას განუდგა, შეიძლო ხორცის, გულისთქმისა და ვნების დამარხვა. ამით მან „სულს დაუდგა წმინდა საყდარი უკვდავებისა". თუ ასე იყო, საიდან გაჩნდა, როგორ „მოადგა ენაზე" ეს „უბედურსაო"?!

ილია ჭავჭავაძემ დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით, შემოქმედის ტაქტითა და მაღალი ოსტატობით დაგვიხატა განდეგილის შინაგანი ჭიდილი — აზრისა და გრძნობის, სულისა და ხორცის, გონებისა და ვნების ორთა ბრძოლა, მწირის სულიერი განვითარება, მის არსებაში მომხდარი ცვლილება მას შემდეგ, რაც ცხოვრებისაგან გაქცეული ცხოვრებას შეეჯახა. ჩვენ სავსებით ნათლად წარმოგვიდგება აფორიაქებული სული განდეგილისა — ეძებს მტერს, რომელმაც შეაცდინა, მაგრამ ვერ ხედავს, თვალი კი ხარბად ეწაფება ცეცხლის პირას მიძინებულ მშვენებას. მისი აღწერა თითქოს აღარ უნდა ყოფილიყო საჭირო, რაკი ერთხელ, XII და XIII თავებში პოეტმა უკვე გვიჩვენა ცეცხლის პირას მიმჯდარი ახალგაზრდა მწყემსი ქალის გასაოცარი სილამაზე. მაგრამ ეს არ არის უბრალო განმეორება. თავდაპირველად სხვა სიტუაცია იყო, ახლა კი სრულიად სხვაა. სტუმარი მიძინებულია, ხოლო განდეგილი პირველად გრძნობს ცოდვას, რაკი თავის თავს უბედური უწოდა. მისი აფორიაქებული არსება პირისპირ აღმოჩნდება უჩვეულო სილამაზის წინაშე.

ამ სილამაზის ხილვამ განდეგილს აფორიაქებული სული დაუმშვიდა. მისი თვალი კვლავ „ტყვექმნილი" შეიქნა და მწირმა ჯერ კიდევ ვერ შეიცნო, თუ „რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს". ისიც ვერ გაიგო, „ის სახე ატკბობს, თუ ეოცება". სურს მოერიდოს, განშორდეს, მაგრამ თვალი არ ემორჩილება, არ ნებდება. დიდხანს დასცქერის მომჯადოებელ მშვენებას, გრძნობს რაღაც ნელსა და თბილ სხივს, რომელიც „გულს ჩაეფინება". არ იცის კი, რა არის ეს — ძრწოლაა? მაგრამ რად არის ასე საამო და ტკბილი? ან გული რად უცემს უცნაურად? წინათაც ხომ ჰქონდა გულისცემა, მაგრამ ეხლა სულ სხვაა — მისი გული თითქოს ებანს სცემს და გაისმის „ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა". საბრალო მწირმა პირველად განიცადა უცნაური გრძნობა და მისი არსების დამცხრალი შინაგანი ძალები ერთბაშად გაცოცხლდნენ. „როგორ იწამოს და რა დაარქვას ამ ჯერ არცნობილს სიტკბოებასა?" ნუთუ ეს არის ცოდვა? მაგრამ, თუ ნამდვილად ცოდვაა, მაშინ რატომ ჰგავს იგი „სულისთვის აღთქმულს უკვდავებას?" ეს სრულიად აუხსნელი და შეუცნობელია, მწირს არ შეუძლია მისი გაგება. მან ფეხი წინ წადგა, თუმცა არ იცის — რატომ და რისთვის? მძინარე ქალის ღიმილით გაპობილი ბაგე „ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა". ამ ცთუნებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ „ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა". როგორღა შეეძლო გაძლება საბრალო მწირს? და ისიც მოტყუდა, მძინარე ქალისაკენ

საკოცნელად თავი დახარა. მაგრამ... მწირს, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილს, ეჭვი უღრღნის აფორიაქებულ სულს, რაღაც იდუმალი ხმა ჩასძახის, რომ იგი უკვე წაწყმედილია, ვიღაც გახარებული მის მკვდარ გულში გაჰკივის — „დავძლიე თუ არ!..“ განდეგილს რაღაც ხარხარი ესმის, ვიღაც დასცინის, ირგვლივ თითქოს ლხენაა და მან ვერ გაარკვია — მართლა ასეა, თუ ყველაფერი ეს მხოლოდ „ცდომაა ყურთა სმენისა!“ გაოგნებული და შეძრწუნებული მწირი, რომელმაც უკვე განიცადა ძლიერი სულიერი ტრავმა, ეძებს ხსნას, შველას, შიშითა და ზარით ირგვლივ იხედება, მაგრამ კვლავ არავინ არის, გარდა მძინარე ქალისა. „უცებ ძრწოლით, კანკალით პირქვე დაემხო“ ხატის წინ, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ძრწოლა, შიში და ზარი კვლავ გრძელდება, კვლავ დაუსრულებლად ისმის „ნიშნგების წყეულთ ხარხარი“.

პოემის დასასრულს, კვანძის გახსნის დროს, რაც ამთავრებს მწირის ტრაგედიას, ილია მთერიდა გარეგნულ ეფექტებს. ხასიათების თანამიმდევრული ჩვენების ერთგული, ბოლომდე დარჩა ამ შემოქმედებითი პრინციპის დამცველად. XXVII თავში მან მოგვცა სენაკიდან გარეთ გავარდნილი მწირის სახე, რომელიც ხალ კლდეებში დარბის სიკვდილივით გაფითრებული. უცებ იგი მივარდება „ზღუდის პირს“, საიდანაც გასცქერის მთის წვერს, თითქოს იქიდან მოელოდეს „თავის უკანასკნელ ნუგეშს და ბედსა“. განდეგილი ელოდება მზის ამოხვლას, მაგრამ ეჩვენება, რომ „არ ამოდის“, „ოგვიანებს“. მისთვის წინათ ჟამიც კი „არრა იყო“, ხოლო ახლა წუთიც უძნელდება. ბოლოს, „ამოვიდა მზეც“. გახარებული მწირი მსწრაფლ უკუიქცა, სენაკში შევარდა. დაინახა, რომ უზენაესის წყალობა არ დაუკარგავს — მზის სხივი სვეტად კვლავ ხარკმელში ჩამდგარიყო, მაგრამ სხივმა არ დაიჭირა ლოცვანი.

მწირის ასეთი კატასტროფული აღსასრული სავსებით ბუნებრივია. ფანატიკურად გატაცებულ ადამიანს, თუ მასულდგმულებელი იდეა ერთბაშად დაელუპა, უეცრად სიკვდილი არ ასცდება. განდეგილი კი სწორედ ასეთი ფანატიკოსი იყო. დამარცხდა ასკეტური იდეალი, გატყდა განდეგილის ნებისყოფა, გაიმარჯვა ცხოვრებამ, როგორც ერთადერთმა გონივრულმა საწყისმა ადამიანის არსებობისა.

პოემის ფინალში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია განდეგილობის არარაობა, როცა პოეტი შეუდაბნოეთა ხადგურს გვიხატავს, როგორც ნანგრევთა და ნატამალთა გროვას, რომელსაც დაჰპატრონებია მარტოოდენ ჭექა-ქუხილით დამფრთხალი ნადირი.

განდეგილის დამარცხება, მისი სენაკის გავერანება საზოგადოებრივი ცხოვრების გამარჯვებისა და ასკეტიზმის უმწეობის დადასტურებაა. ადამიანი საზოგადოების წევრია და მას საზოგადოების გარეშე არსებობა არ შეუძლია. ილია ჭავჭავაძის პოემაში ისიც ხაზგასმულია, რომ თუ ასკეტური იდეალების დაცვაში ისეთი მტკიცე ნებისყოფის, ფანატიკური ადამიანი დამარცხდა, როგორც განდეგილი იყო, მაშინ სხვა როგორღა შეძლებდა გამარჯვება მოეპოვებინა? ასკეტიზმი, საერთოდ, უგუნურებაა, ცხოვრება ყოველთვის გაიმარჯვებს განდეგილობასთან ბრძოლაში. განდეგილი ეურჩებოდა ბუნებრივ მოთხოვნილებას, უარყოფდა იმას, რასაც ბუნება მოითხოვდა; ამით იგი თვით ბუნებას აუქმებდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მოხდა: განდეგილმა ბუნება ვერ დათრგუნა, ხოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო, ბუნების უარმყოფელი თვით ბუნებამ უარყო, რითაც ერთხელ კიდევ დამარცხდა ასკეტიზმი, როგორც ანტიადამიანური და ანტისაზოგადოებრივი მოვლენა.

* * *

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კლასიკური რეალიზმის ფუძემდებელი და ბრწყინვალე წარმომადგენელია მხატვრულ პროზაში. ქრონოლოგიურად მისი პირველი პროზაული ნაწარმოებია „მგზავრის წერილები“ ანუ „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“. ამ ნაწარმოებში ილია ჩვენს წინაშე დგას, როგორც სამშობლოს სამსახურისათვის მზადმყოფი, ერის სადიდებლად ბრძოლისა და შრომის მძიმე ტვირთის მზიდავი: „ოთხი წელიწადი იყო, — წერს ილია, — რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელის და სინათლის შუა ბედისაგან გადებული“. დარიალის ვიწრო ხეობასთან შესახვენებლად „პოვოსკიდან“ ჩამომხდარი პოეტი ათასგვარ საგანზე ფიქრობს და ყველა ეს ფიქრი სამშობლო ქვეყნის ზრუნვას გამოხატავს. „....ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთ წუთსაც ვერ გავაჩერე —ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს“. მშვენიერი განმარტებაა და იმის მაჩვენებელიც, რომ რევოლუცია უწესრიგობის მტერი, მისი მესაფლავეა. ამიტომ რევოლუცია წესრიგის განსახიერება, მშვიდობის გაღვიძება და წესიერების დამკვიდრებაა. ამის შემდეგ ილ-

იას როდი შეეშინდებოდა, თუ მისი პირველი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდ მითქმა-მოთქმას, შეჯახებას, ჭიდილს, ძველის აფორიაქებას გამოიწვევდა. რომ ეს საკითხები მტანჯველად აწუხებდა პოეტს იმ დროს, სავსებით გასაგებია საკუთარ თავთან ავტორის დიალოგში, სადაც იგი ფარდას ხდის გულისა და გონების შინაგან სამყაროს, გვაცნობს ყველაზე სანუკვარ აზრებს.

ამ აზრთა და საკითხთა შორის ერთ-ერთი პირველია, თუ როგორ მიიღებს მშობელი ქვეყანა თავისი მზრუნველი შვილის სამსახურს: გაიგებს, იგრძნობს, შეითვისებს? ხომ შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მოხდეს? შეიძლებს კი სამშობლოს ტვირთის ზიდვას? ეს ხომ, პირველ ყოვლისა, საქმეს ნიშნავს, პრაქტიკულ საქმეს, და არა მარტო სურვილს. „შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების გრეხილი“.

შესწყვიტა, ვინაიდან უკანასკნელ კითხვაზე რეალური პასუხის გაცემა თვით მომავალ საქმეს შეეძლო და არა სიტყვას, თუნდაც ურყევსა და თვითდაჯერებულს.

ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე შედარებაში გახსნა თავისი ყველაზე სანუკვარი იდეები: „მყინვარი!.. დიდებულია, მუუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთის სიტყვით, მყინვარია. მყინვარი თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი.., არა. მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო რომ მიუკარებლად მაღალია, ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა. მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა... მყინვარი დიდ გოეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“...

არსებითად ეს იყო ქვაკუთხედი მთელი იმ მოქმედების ფილოსოფიისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიმუშავა, როგორც თერგდალეულთა იდეური კონცეფციის ძირითადი საფუძველი. მყინვარისა და თერგის სიმბოლური პარალელი მეტ ძალას იძენდა, შინაარსეულად ძლიერდებოდა დღისა და ღამის ღრმად გააზრებული შედარებით. ღამე უძლურია დღესთან ბრძოლაში, რაკი დღე სიცოცხლის სინონიმია. დღე და ღამე თითქოს სიმბოლურად განასახიერებენ ადამიანური ცხოვრების კეთილსა და ბოროტ საწყისებს, რასაც ილიამ ასე ღრმა საფუძვლები მოუნახა: „დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისი დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარ სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!“

მაგრამ ეს არ იყო მარტოოდენ ნათელი დღის ლაღადისი, სიბნელისა და უმეცრების, ბოროტებისა და უბედურების დათრგუნვის მძაფრი სურვილი; ერთსა და იმავე დროს ეს იყო ადამიანობის, კაცურკაცობის ქებათა-ქება, „გალვიძებული ადამიანის“ განდიდების ჰიმნი, სიმღერა ადამიანისა, რომელიც შრომობს, იბრძვის, ქვეყნის ჭირ-ვარამისათვის გული შესტკივა, საზოგადოებრივს, საერთოს პირადულზე მაღლა აყენებს.

ასეთი ადამიანები ილია ჭავჭავაძემ, პირველ ყოვლისა, ხალხის წიაღში დაინახა, მიაგნო მათ აზრს, წადილს, ჩასწვდა სულის სიღრმეში და ერთი მათგანი — მოხევე ლელთ ღუნია წარმოგვიდგინა, როგორც თვით ხალხის სახე, მისი სანუკვარი იმედების ცოცხალი განსახიერება. სტეფანწმინდიდან ცხენებზე შემსხდარნი ლელთ ღუნია და „მგზავრის წერილების“ ავტორი საუბარს იწყებენ ყაზბეგის მთის, მის გვერდით ობლად მიკრული სამების ეკლესიის მიდამოებში, საქართველოს ერთ ულამაზეს კუთხეში, და მკითხველის წინაშე ერთბაშად ცოცხლდება ბუნების გრანდიოზულ სურათებთან ერთად ხალხის იმდროინდელი განწყობილება. მოხევე ლელთ ღუნია ავტორმა ისე კოლორიტულად დახატა, იმდენი სითბო, უშუალობა, იმდენი სიდარბაისლე, გონებამახვილობა და შინაგანი სიმძლავრე მისცა, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა მარტო ხალხის შვილი, რომელიც ასე განუყოფლად შეზრდია თავის მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, არამედ მთელი ხალხიც. მისი სიტყვები სამების ეკლესიაზე, როგორც „განძთა საფარსა“ და „ერთა საბჭოზე“, წარსულის ჯანსაღ ტრადიციებზე იმდენად ბუნებრივი, იმდენად ხალხური ძირებითაა სავსე, რომ მოხევე ლელთ ღუნია თავისი მშობელი ერის იმდროინდელ ფიქრთა და ზრახვათა ცოცხალ მემატიანედ გვევლინება, მისი სიტყვების დედაძარღვი გამძლე და მტკიცეა — აქ იგი ისევე გაუტეხელია, როგორც გრანიტი და შეუძლებელია ლელთ ღუნია გადააჯერო, რაც წლობით უფიქ-

რია, შეუთვისებია, შეუგნია, რწმენად გაუხდია,—ქვალ-რბილში, სულსა და გონებაში გამჯდარი აქვს; აბა, დააკვირდით მის მსჯელობას, საერთოდ დიალოგს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“, — ამბობს ლელთ ღუნია. „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის განსჯაში არ შევალ, — გვეუბნება ავტორი, — ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“. ავტორი ასე ამბობს, იმასაც დასძენს, რომ ლელთ ღუნიას ბევრი რამ სხვაც უთქვამს, რაც „მგზავრის წერილებში“ არ შესულა „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“. მაგრამ თუ დააკვირდებით თვით ნაწარმოების დასასრულს, სადაც ლირიკული გადახვევებია, მაშინ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. ლელთ ღუნიამ ძალიან კარგად მიახვედრა „მგზავრის წერილების“ ავტორი იმ გულისტკივილს, რომელიც არა მარტო ერთი ადამიანის — ერთი მოხევის აზრს გამოხატავდა, არამედ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ზრუნვის საგნად იყო გადაქცეული. და ავტორიც მიუხვდა თავის გმირს, გაიგო მისი აზრთა დენის ძირითადი მაგისტრალი, რომელსაც შემდეგი გამოსათხოვარი სიტყვები მიუძღვნა: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტრითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“.

ამ პასუხს დიდხანს დააგვიანდა, მთელი ეპოქაც არ ეყო, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისთანავე ილია ჭავჭავაძემ არაჩვეულებრივი ნაყოფიერებითა და შეუპოვრობით დაიწყო ბრძოლა აღთქმული იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ბრძოლის უმთავრესი საგანი მოუწესრიგებელი სოციალური და ეროვნული ცხოვრება იყო, მისი შინაგანი სიცარიელისა და გაუმართლებელი წყობის დაუნდობელი მხილება. არსებითად ეს ბრძოლა უკვე დაწყებული იყო, კერძოდ იმ ნაწარმოებშიაც, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ეწოდება და რომელიც ილიამ 1859 წელს პეტერბურგში დაწერა.

„გლახის ნაამბობის“ შინაარსი არსებითად იწყება მოთხრობის მეორე თავიდან, რომელშიაც აღწერილია ავტორის შეხვედრა ნაწარმოების მთავარ გმირთან, სხვის სოფელს შეკედლებულ გლახასთან, რომელიც არავის უამბობს თავის განვლილ ცხოვრებას, საკუთარ სახელსაც არავის ეუბნება. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველის ინტერესს და ავტორის სიტყვები — „გავიზრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა“, — ფსიქოლოგიურად განაწყობს მოთხრობის მძაფრი სიუჟეტისადმი.

თუ როგორ მოხდა, რომ ამ უბედურმა კაცმა თავისი მიწა-წყალი დაკარგა, გლახას არავისთვის უამბნია. მაგრამ ახლა, როცა მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია, გადაწყვეტს მოჰყვეს თავისი უბედურების ისტორია. მისი ცხოვრება დამთავრებულია და შიშიც არაფრისა აღარა აქვს. და გლახაც დაწვრილებით გვიყვება თავისი ცხოვრების მართლაც შემაძრწუნებელ მოთხრობას. ამ მოთხრობის პირველივე სიტყვა ჩვენთვის ამაზრზენია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, 25-26 წლისა, მაგრამ ღრმად მოხუცებულივით უსასოო და დავრდომილი, გვეუბნება, რომ იგი არის ნაყაჩაღევი, მისი „თავი ერთ დროს წმინდა-გიორგის ჯვრად იყო დაფასებული“. მაგრამ ტყვიას გადაურჩა. ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი ვიყავი, — გვეუბნება გლახა, — „ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ... მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. აქ ახეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავი: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე. მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად“.

გლახა არ გვეუბნება, საქართველოს რომელი კუთხიდანაა მოსული კახეთში. იმერელ ბიჭთან დიალოგში, როცა ახალგაზრდა იყო, უთქვამს, მაგრამ ახლა ისევ მალავს. მხოლოდ ის ვიცით გლახას შესახებ, რომ შვიდი წლის ასაკიდან ოც წლამდე ბატონთან ყმად არის. ბავშვობიდანვე გლახა ემსახურება თავისივე ასაკის ბატონიშვილს დათიკოს. როგორც თვითონვე ამბობს, დათიკო პატარაობისას კარგი ბავშვი ყოფილა. იმდენად ჰყვარებია ყმა-გლეხის შვილი გაბრო, რომ მისა წყენა „ბატონის სახლში არავის შეეძლო“. გაბროსაც შინისკენ გული არ მიუწევდა, „სულთამხუთავი დედინაცვალი“ ჰყავდა, ხოლო დათიკო ანებივრებდა. მათ ხომ ერთმანეთი უყვარდათ. „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, — ამბობს სიკვდილის წინ გლახა, — რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება?“ დიახ, რა იცოდა, ან როგორ შეეძლო სცოდნოდა სოციალური იერარქიის ეს საშინელი ფილოსოფია ყმაგლეხის ბიჭს, რომელსაც პატარა ბატონის

ბავშვური ქცევა ცხოვრების სინამდვილედ ეხატებოდა.

ეს ფილოსოფია მან გაიგო გვიან, როცა ბატონყმური სინამდვილის არტახები ღრმად შემოეჭდო, სუნთქვა შეუგუბა, ხოლო შემდეგ მიწასთან გაასწორა. გაბრო ერთი იმ უბედურ ყმაგლეხთაგანია, ვისაც ბუნებამ ყველა სიკეთე უწყალობა, მაგრამ მახინჯმა სოციალურმა წყობამ წაართვა. ის ჯერ კიდევ ბურანში იყო, როცა თოთხმეტი წელი შეუსრულდა, ბატონმა თავისი შვილი ქალაქში გაგზავნა სასწავლებლად და გაბროც თან გააყოლა.

ქალაქში დათიკო და გაბრო ხუთ წელიწადს იყვნენ. დათიკო სულ დროსტარებაში იყო, არ სწავლობდა. როცა მეექვსე წელს მამა გარდაეცვალა, არა მარტო სწავლას, ქალაქსაც თავი დაანება და მოძღვრის თხოვნაზე — სწავლა არ შეეწყვიტა, კატეგორიული უარი განაცხადა. მარტო ერთი გაბრო წუხდა რომ სწავლას წყდებოდა. „მოძღვარს რომ ეთქვა — ნუ წახვალო, — გვეუბნება გაბრო, — იქნება არც კი წავსულიყავი" სოფლად დათიკოსთან, მაგრამ ბედს ასე სურდა. მოძღვარმა ერთხელ კიდევ დაარიგა თავისი საყვარელი შეგირდი და ცხოვრების კეთილი გზისაკენ მიუთითა: „მშვიდობით ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია". ეს იყო უკანასკნელი მამაშვილური დარიგება მოძღვრისა. ამის შემდეგ გაბროს ცხოვრების გზა სულ სხვაგვარად წარიმართა.

სოფელში ჩასვლისთანავე დათიკომ გაბროს ჩააბარა სახლ-კარისა და მამულის მოვლა, ისე გამოაწყო ახალ ტანსაცმელში, რომ „თავადიშვილში ვერ გამომარჩევდითო", — გვეუბნება გაბრო. ბავშვობიდანვე ძმასავით შეზრდილი ყმაც უდიდესი ერთგულებით უვლის ბატონის ქონებას. ყმის ამ ერთგულებას პირველ ხანებში დათიკოც აფასებდა: „ტოლ-ამხანაგად მინახავდა და ძალიან მადლობელი იყო ჩემით", — ამბობს გაბრო.

თუ როგორი ბატონი შეიქნა დათიკო, თვით გაბრო გვიხასიათებს, როცა მის გარეგნულ შესახედაობასაც აგვიწერს. მოხდენილი კაცი იყო, მაგრამ „ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა".

აი, ახალგაზრდა თავადიშვილის, ბატონის ტიპიური ნიშან-თვისებები. მისი ამორალური საქციელი იმდენად აღმაშფოთებელი შეიქნა გაბროსათვის, რომ მოჰკლავდა, მაგრამ ძველი, ბავშვური სიყვარული დათიკოსადმი აჩერებდა.

„ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა".

მიწასთან გასწორება მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა ძლიერ სულს ასეთივე ძლიერი უხეში ძალა დაეჯახა. ეს ტრაგედია უკავშირდება ამავე სოფელში მცხოვრებ დათიკოს ყმაგლეხს პეპიას და მის „ჯეირანივით გოგოს" — თამროს. პეპია კეთილი კაცი იყო, „ხანში შესული, დროული, გლეხკაცობაში სახელიანი და პატივცემული". ახლად დაქვრივებულ პეპიას თამროს მეტი არავინ ჰყავდა. თამრო იყო „თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი. ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თმასა, ლერწმის ტანსა".

მოჰკრა თუ არა თვალი ამ განხორციელებულ მშვენიერებას, გაბროს ჭაბუკ გულს ერთბაშად მოედო პირველი სიყვარულის ცეცხლი. ერთხელ საყდარში დათიკოს უნახავს თამრო, ძალიან მოსწონებია და თავხედურად უთქვამს პეპიასათვის: შენი გოგო „კაი საპროშტავი ყოფილაო". გაიგონა თუ არა პეპიამ დათიკოს ეს სიტყვები, უმალ მიხვდა „რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწავებდა" მისი ერთადერთი ქალიშვილისათვის. პირველი ღამის უფლება ჯერ კიდევ ძალაში იყო და ბატონები უარს როდი ამბობდნენ ამ პირუტყვული კანონის გამოყენებაზე. დათიკოს განზრახვა გაბრომაც შეიტყო და, როგორც თვითონვე ამბობს, ღმერთს შეჰფიცა: მოვკვდები, მაგრამ თამროს კი „არავის წავაქელვინებო".

რაკი თამროსთან ვერაფერს გახდა, მიზეზი კი გაბრო იყო, დათიკომ გადაწყვიტა სხვა გზას დასდგომოდა. რჩევა მისცა გაბროს: სულელი ყოფილხარ, რომ თამროზე ჯვარს იწერო, „ქალი ყინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზე ასაკიდად". მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი, „ქალი ჩემია და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნებაო". გაბრომ გულმხურვალედ დაუწყო ვედრება თავის ბატონს, ხელი აეღო ბოროტ განზრახვაზე, შეენახა თამროს ნამუსი, მაგრამ არ იქნა და არა, დათიკო დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს: ჯერ ჩემი უნდა იყოსო. რაკი მუდარით ვერაფერი გააწყო, ვერც სინდისის გაღვიძება შეძლო დათიკოს გარყვნილ არსებაში, წარსული მეგობრობის გახსენებითაც ვერ მოაბრუნა ბატონის გული, მოთმინებიდან გამოსულმა ხანჯალი იშიშვლა. ამ დროს სამი დამალული ბიჭი გამოვარდა, გაბრო შეიპყრეს და დიამბეგს მიჰგვარეს. მას წაუყენეს ბრალდება, რომ პეპიასთან შეთანხმებით დღეს დილით ბატონი უნდა მოეკლათ.

მხოლოდ ორი წლის პატიმრობის შემდეგ წაუკითხეს საბრალო გაბროს განაჩენი: „მე სა-

როს სათხრელად დავენიშნეთ და საწყალი პეპია საციმბიროდ გაეხადნათ“, — გვიამბობს გაბრო. ამის შემდეგ კიდევ რვა თვე გავიდა და გაზაფხულზე ისინი საქართველოდან გადაასახლეს. გზაზე ფიქრებში წასულ გაბროს უცებ შემოესმა „ცხენების თქარა-თქური“. ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი თავს დაესხა ტუსაღთა გამცილებლებს, გაჰფანტა ისინი, ხოლო გადასახლებულებს უთხრეს: ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთო. ატეხილ ალიაქოთში გაბრო და პეპიაც გაქრნენ. ერთხანს პეპიამ შეძლო ცხენზე ჯდომა, მაგრამ გზაში ძალიან ავად გახდა. სიკვდილის წინ პეპიამ შემდეგი ანდერძი დაუტოვა გაბრიელს: „ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატიე, მეც მიპატიებია. მაგრამ... თუ თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები, თუ ეგ ცოდვა იყოს, ამილია კისრად“, და გაბრომაც შეჰფიცა.

პეპიას დამარხვის შემდეგ გაბრო მძიმედ განიცდის თავის მდგომარეობას. მაგრამ თვითგანსჯის წუთებში აღიარებს, რომ დათიკოს არ მოჰკლავს, თუ თამრო ნამუსახდილი არ დახვდა. ამ ფიქრებითა და განცდებით გაბრო ბარში ჩამოდის. მაგრამ სოფლისაკენ როდი მიემართება. მას სურს ქალაქში ჩავიდეს, მოძღვარი მოინახულოს, მისგან ლოცვა-კურთხევა მიიღოს და შემდეგ ბედთან შერიგებული დახვდეს მომავალს. მეორე დღეს, საღამოს, იგი უკვე მიაღწევს დილმის ვიწროებს, ერთ დუქანში ჩამოხტება პურის საჭმელად და იქ იხილავს საშინელ სცენას: დუქანს მოადგება დროშკა, რომელშიაც ზის ქალაქელი ბიჭი მეძავ ქალთან ერთად. ეს მეძავი ქალი თამროა.

ბოლოს დადგა მომენტი, როცა ყმა და ბატონი ერთმანეთს პირდაპირ შეხვდნენ. გაბრომ ტყეში დაინახა დათიკო, რომელიც „მინდორ-მინდორ“ მოდიოდა. გაბრომ გზა გადაუჭრა და მარცხენა ძუძუში მტერს უმალ დამბაჩა დაახალა შემდეგი სიტყვებით: „მე ვარ, გაბრო, შენი სულთამხდელი“.

მთელი მოთხრობა კონტრასტებით არის დაწერილი და ეპილოგიც ამ მხატვრულ მეთოდზეა აშენებული.

არანაკლები ძალით დაგმო ბატონყმური სინამდვილე ილიამ ვრცელ სატირულ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“, რომელშიაც გააშიშვლა ამ სოციალური ინსტიტუტის ზნედაცემულობა, გონებრივი სილატაკე, ანტიადამიანური ხასიათი და მებატონეების სრული გადაგვარება.

მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთი უმშვენიერესი ძეგლია. მე-19 საუკუნის კრიტიკული რეალიზმის მამხილებელი მოტივები ორგანულად იყო დაკავშირებული განმანათლებლურ იდეებთან. ეს ყველაზე უკეთესად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირველ ყოვლისა, „კაცია-ადამიანში?!“ ჩანს. შემთხვევითი არ იყო, რომ ილია მიუთითებდა: „ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ... სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა, ამ გონიერის სიტყვების მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაც გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულის-ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“.

ეს სიტყვები სავსებით ნათლად მიუთითებს, რომ მწერალი ლუარსაბ თათქარიძეს ხატავს, როგორც „საზოგადო ჭირს“ და არა როგორც ვინმე „კერძო პირს“. „საზოგადო ჭირი“ კი, როგორიც მძიმე არ უნდა ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძეს, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლს, არ შეეძლო თავის გულისტკივილად, თავისი ერის უბედურებად არ მიეჩნია.

მოთხრობა იწყება ნაწარმოების მთავარი გმირის — ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერით. ავტორი გარეგნულ მხარეს თავისი გმირის ცხოვრებისას იმიტომ გვაცნობს, რომ სურს თავიდანვე გვითხრას: ამ სავალალო, უყურადღებოდ მიტოვებულ-მიგდებული სახლ-კარის პატრონიც ისეთივეა, როგორიც მისი ავლა-დიდება. განა ლუარსაბის სახლ-კარი დაცემულობისა და გადაგვარების ცოცხალი სურათი არ არის? რაც ითქვა ძველი მებატონის კარმიდამოზე, ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც მწერლის მახვილი თვალი ხედავს. მთავარი წინ არის. ლუარსაბის სახლ-კარი სრული მოშლილობისა და ასევე სრული აპათიის ძეგლად ქცეული. კიდევ უარეს მდგომარეობაშია ეზო, ისე უწმინდური, როგორც „ძველი ჩინოვნიკის გული“. ძნელად თუ მიაღწევდით პატრონამდე, რომ „არ გახვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათო“.

მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარია უბედურებისა. თვით ლუარსაბი და მისი კნეინა დარეჯანი სრულ მსგავსებას წარმოადგენენ თავიანთი მოშლილი სახლკარისა. ორმოცი წლის ლუარსაბი და ორმოცდაერთი წლის დარეჯანი (ისინი ოცი წლის შეუღლებულები არიან, მაგრამ შვილი არა ჰყავთ) არა მარტო გონებრივად, ფიზიკურადაც გადაგვარებული არიან. აბა, გაიცანით ლუარსაბ თათქარიძე: იგი „...გახლავთ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი... როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელი კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაშა ლოყები, სამკეცად ჩამოსული ტრფიალების ალმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებული, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად განიერად გადმოგდებული, დიაღ პატივცემული ღიპი. კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თვითეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა ჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მისი ბრწყინვალების ქონშია“.

ფიზიონომია, როგორც ვხედავთ, გარეგნული სახითაც კარგად გვაცნობს თავის თავს და წინასწარ გვაგრძნობინებს, თუ რა სული შეიძლებოდა მოთავსებულიყო მარტოოდენ ამ ხორცად ქცეულ გვამში. აქ შეგვეძლო პარალელთა სართულები აგვეშენებინა: ლუარსაბის კარმიდამო გარეგნულად ისევე მოშლილი და მოუწესრიგებელია, როგორც შინაგანად მისივე სახლი; ეს საერთო უწესრიგობა სახლ-კარისა ლუარსაბის ფიზიონომიის პარალელია გარეგნულადაც და შინაგანადაც; ლუარსაბის სახლკარისა და ფიზიონომიის თითქმის იდენტური პარალელია კნეინა დარეჯანი თავისი ფიზიკური და სულიერი თვისებებით.

ლუარსაბი სრულიად უცოდინარი კაცია, წერა-კითხვაც არ შეუსწავლია, მაგრამ ეს ნაკლად კი არ მიაჩნია, პირიქით, ამაყობს კიდეც. სწავლას იგი უყურებს, როგორც „ეხლანდელ ჭირს“, რაკი ძვალ-რბილში გამჯდარა აქვს ის უხეში, პირუტყვული აზრი, რომ „კაცი ძირგავარდნილი ქვევრია“, რომელსაც „დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი დ ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო“. ხსენებულ „თეორიულ“ რწმენას ლუარსაბი თვითონვე შესანიშნავად ახორციელებს პრაქტიკაში და „თავის თავზედაც“ ჩინებულად ხედავს, რომ „ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს“, მით უფრო, თუ „ჯოგის და ყმის პატრონია, ყმისა — რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“.

ლუარსაბის ამ ახირებულ აზრებს ავტორი თვითონვე აკრიტიკებს, მაგრამ, ზოგჯერ მას აღარ ესაჭიროება რეპლიკები; ეს იმდენად მიუღებელი, თან სასაცილო აზრებია, რომ მკითხველსაც ადვილად შეუძლია უკუაგდოს. თავისი კრიტიკული შენიშვნების მახვილი ავტორს გადააქვს ლუარსაბის აზრების იმ ნაწილზე, რომელიც ძველ დროს შეეხება. და აქაც სატირული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ტონს ილია ყველგან ინარჩუნებს. „ეჰ, ჩემო ლუარსაბ! — ეუბნება ავტორი თავის გმირს, — ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი. მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს“.

ამ სიტყვებით ავტორმა მწვავე მათრახი გადაჰკრა თავის თანამედროვე საზოგადოების ინდიფერენტიზმს, პატრიოტული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, სამარცხვინო ბოძზე გააკრა უმოქმედობა და კონტრასტს წარსულსა და აწმყოს შორის ღრმა აზრი მისცა.

რაც შეეხება დარეჯანს, ის „არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი“. ამაში არ ჰგავდნენ ისინი ერთმანეთს და ავტორი ირონიით შენიშნავს, რომ ამ „ორ გვრიტს“, მართალია, „ერთი ფერი ჰქონდათ“, მაგრამ „ზნე კი არა“. დარეჯანი უფრო ენერგიული, უფრო გონებაგახსნილი ადამიანი ჩანს, ვიდრე მისი საყვარელი მეუღლე, თუმცა არც ერთი არ გამოირჩევა არც ენერგიითა და არც ჭკუით.

უკვე ხანდაზმულობის მიუხედვად, არც ლუარსაბი, არც დარეჯანი იმედს არ ჰკარგავენ, რომ შვილი შეეძინებათ.

დრო გავიდა, მაგრამ შვილი მათ არ შეეძინათ. იმედი მაინც არ დაუკარგავთ. დარეჯანმა ვიღაც დედაკაცთან აქიმობა დაიწყო. მთელი ორი კვირა სვა მისგან მიღებული წამალი, მესამე კვირას კი სული განუტევა. დაქვრივებულმა ლუარსაბმა „წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა“. მისი ბედნიერება დარეჯანთან ერთად დაიმარხაო, — გვეუბნება ავტორი, — მაგრამ ნაწილი სიამოვნებისა მაინც დარჩა — დაუცხრომელი მადა, რასაც კვლავინდებურად იკმაყოფილებდა, აგრეთვე ძილი, ისიც ისეთ ნებიერობაში, როგორიც იყო ლამაზისეულის მიერ „ღეხის გულებზედ და კანჭებზედ“ ხელის გა-

დასმა, ვიდრე ბატონი არ დაიძინებდა. ფერისცვალობის დღეს ნათლიმამამ ლუარსაბს გამოუგზავნა ნახევარი ლიტრი კალმახი, რასაც ბატონი ისე მიაძლა, რომ კუჭის ანთება დაემართა და დარეჯანის გზას გაუდგა.

ასე გარდაიცვალა ბრწყინვალე თავადი ლუარსაბ თათქარიძე, ერთი იმათთაგანი, რომელნიც „არც თავის სიცოცხლით უმატებენ რამეს ქვეყანას და არც თავის სიკვდილით აკლებენ".

მოთხრობის ფინალში ავტორისეული რემარკები ფართოდ გადმოგვცემენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას, მიზანს, რაც საფუძვლად დაედო „კაცია-ადამიანს?!", როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. ავტორი მიმართავს მკითხველს: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ენახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ. თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა და შიგ ლაქებიანიცა? რაც მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავლონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი; რომ შენ ის არა ყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელდაკრეფილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა — ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არ ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდის იქნებოდა..."[5]

ილია ღრმად იჭრებოდა ცხოვრების ძირში, არ აშინებდა მარგალიტებთან ერთად ლექი და ლაფიც გამოეფინა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო თხზულებაა „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები", რომელიც 1865 წელს დაიწერა. ეს ნაწარმოები ჟანრობრივად დრამას წარმოადგენს.

გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენებს (დაახლოებით 1865 წლის პირველი ნახევარი უნდა ვივარაუდოთ) ავტორი ღრმა ისტორიული სიმართლით გადმოგვცემს. ილია ამ დროს თვითონ იყო მომრიგებელი შუამავალი დუშეთში და ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — მიროვოი პოსრედნიკი — თვითონ ავტორია, რომელსაც საკუთარი მუშაობის გამოცდილება თხზულების მასალად გამოუყენებია.

ნაწარმოებში აღწერილია სცენა მომრიგებელი შუამავლის ოთახში, სადაც რამდენიმე გლეხკაცი ფეხზე დგას, ხოლო ორი მებატონე სკამზე ზის. შუამავალი მაგიდასთან ზის და საქმეებს არჩევს. მომრიგებელი შუამავალი პირველად იწვევს ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხს — გლახა ჭრიაშვილს და სთხოვს უთხრას, თუ რა საქმეზეა მოსული,

გლახა ჭრიაშვილი მეტად კოლორიტული სახეა მძიმე უღლისაგან თავდახსნილი იმდროინდელი გლეხისა. ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ბატონის სამსახურს შეალია, ისევე, როგორც მისმა მამა-პაპამ, ვერ ახერხებს თავისი სათხოვარი გამოთქვას; ბატონყმობას მისთვის გამართული მეტყველების უნარიც წაურთმევია; გრძლად, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს, ბოდიშებითა და მოკრძალებით, მაგრამ მის სიტყვებს არც თავი აქვს, არც ბოლო. იწყებს და აზრს ველარ ამთავრებს. რამდენი არ ილაპარაკა, შუამავალს თავიც მოაბეზრა, მაგრამ სათხოვარი მაინც ვერ გააგებინა. გლახა ჭრიაშვილი იმდენად კოლორიტული სახეა, რომ მას შემდეგ, რაც ილიამ ლიტერატურაში შემოიყვანა, ცხოვრებაშიც დამკვიდრდა. ილიას ჰქონდა დიდი უნარი ისე დაეხატა ტიპები, რომ მათთვის სიცოცხლე მიეცა ლიტერატურაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამიტომაა, რომ დღესაც თათქარიძეს ვეძახით, თუ ვინმეს ლუარსაბის რაიმე თვისება შევამჩნიეთ, დარეჯანს ვადარებთ, თუ კნეინას ნიშნები გვაგრძნობინა, ოთარაანთ ქვრივს, თუ მტკიცე ნებისყოფის, მწარე ენის, მაგრამ გულმართალ ქალს შევხვდებით. გლახა ჭრიაშვილი ერთი ასეთი, უაღრესად დამახასიათებელი, ცოცხალი სახეა, რომელმაც გარკვეული დროის კოლორიტიც შეინარჩუნა. ცხოვრებით განაწამებ ამ კაცს, თავის სიტყვებში ბევრა მწარეც შეურევია, მაგრამ ისე დაბნეულა, რომ აზრები ბოლომდე ვერ მიუყვანია. ცალკეული ჭეშმარიტებანი კი, ცხოვრების გამოცდილება, მას კარგად შეუთვისებია. რაკი ვერავის ვერაფერი გააგებინა, შუამავალმა ურჩია გლახა ჭრიაშვილს შეესვენა, უკეთ მოეფიქრებინა რისი თხოვნაც სურდა, ამასობაში სხვების საქმეს გაარჩევდა. ჭრიაშვილი დაეთანხმა, მაგრამ რეტირადებით სავსე გრძელი სიტყვა მოანდომა ამ თანხმობის გამოცხადებას.

ყველაზე მძაფრად, მკაცრად და მოურიდებლად ილია ჭავჭავაძე თუ ვინმეს თავს ესხმის, სასაცილოდ იგდებს, აკრიტიკებს ან გადაგვარებულ ადამიანად გამოჰყავს თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ეს არის მებატონე, მძარცველი, ექსპლოატატორი, სხვისი შრომის მიმთვისებელი, სოციალური პარაზიტი. ასევე არიან გამოყვანილი მებატონეები „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში". აზნაურიშვილის ქვრივი და მისი მაზლი სწო-

[5] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, II, 1950, გვ. 223.

რედ ასეთი მებატონეები არიან. მათ არაფერი წმინდა არ შერჩენიათ. ერთმანეთს გარეგნულად თითქოს პატივისცემით ექცევიან, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცემათ, უწმინდურ სიტყვებს არ იშურებენ გასაბახებლად. წავიდა თუ არა მაზლი, ქვრივმა არ დააყოვნა დაებეზღებინა შუამავალთან: „საშინელი ცრუ რამ არის ეგ წყეულ-შეჩვენებული“ ბებრუხანა და ბაიყუში, „მაგისაგან გლეხკაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი, ერთი ბუნტი კაცია, ავის პირის პატრონი...“ ასეთია მებატონის მორალი, ოღონდ თავისკენ მიითალოს და ყოველგვარ სიხაძაგლეს ჩაიდენს.

თუ რა აუტანელია აზნაურის ქვრივი, როგორ აუწიოკებია თავისი ყმები, რა მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია ისინი—კარგად ჩანს „სცენების“ ბოლო დიალოგებში. იგი ყოველნაირად ავიწროებს და სულსა ხდის გლეხებს, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს და მიწასთან ასწორებს მათ. იგი გლეხებს ასეთი სალანძღავი სიტყვებით უმასპინძლდება: „პირუტყვი“. „წუწკის შვილები“, „ძაღლები“, „გველ-ხოკერები“, „მგლები“ „ორფეხა მუტრუკები“, „ვირები“. თან „შეევედრება“ შუამავალს — უბრძანე, ჩემს ნაყმევს „ორმოც-სამოციოდე რუსის წკეპლა“ დაჰკრან, თუგინდ „ოთხმოცი იყოს“, მაგრამ მეტი კი არა, რაკი „ჩემი გაზრდილია, მაინც მებრალება“. ეს „სიბრალული“ ქალბატონმა იმითაც გამოხატა, რომ მოითხოვა — წკეპლები რუსმა დაჰკრას, თორემ ქართველი „მაგისთანებში ქალაჩუნა არისო“.

ილია ჭავჭავაძემ „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებშიც“ ბატონყმობა სამარცხვინო ბოძზე გააკრა, გვიჩვენა ბატონებზს უარყოფითი სახეები და დაგმო ეს სოციალური ინსტიტუტი, როგორც უგუნური და ბარბაროსული მოვლენა. ამიტომ მიეცა ამ ნაწარმოებს თავის დროზე ასე დიდი მნიშვნელობა და ნიკო ნიკოლაძემაც ამიტომ თარგმნა რუსულ ენაზე, რომ ფართო მკითხველისათვის გაეცნო დიდი მწერლის ეს ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო მხატვრული თხზულება.

მოისპო თუ არა ბატონყმობის გაუქმებით სოციალური ბოროტება? არა, სოციალური ბოროტება ისევ ძალაში დარჩა, მაშვრალი და ტვირთმძიმე ისევ მონურ უღელში შებმული. ამ სოციალური ბოროტების ერთ-ერთი მხარე გვიჩვენა ილიამ თავის პატარა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, რომელიც 1879 წელს დაიწერა და იმავე წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ნაწარმოებს მიწერილი აქვს, რომ ეს არის „პატარა ამბავი“, მაგრამ მასში უაღრესად დიდი სოციალური ტკივილი იხატება.

პრობლემა, რომელსაც ეს პატარა მოთხრობა ეხება, თითქოს მორალის სფეროში ტრიალებს, მაგრამ შემდეგ მკითხველის თვალწინ გადაიშლება სოციალური ყოფის საშინელი სურათი.

ბიბლიოთეკა

მოთხრობა იწყება შუა ზაფხულში; თბილისთან ახლოს, ლოჭინის ხევის პირად, საშინელ პაპანაქებაში, „კონკილაზედ აყენებულ ურემ-ქვეშ“ სიცხისაგან ქანცგაწყვეტილი მეურმეები ისვენებენ. როცა შუადღე გადავიდა, აგრილებისთანავე მეურმეები აიშალნენ და ღვინის ურმებით თბილისისაკენ გაემართნენ. ისინი ხევს არ იყვნენ გაცილებულნი, რომ ორი ყმაწვილი კაცი თავს წამოადგათ. კეთილმა მოხუცმა პეტრემ მშიერ ყმაწვილებს მისცა შოთი პურები, „ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა“, თან დაატანა: „ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩებიილოკოსო“. ეს დაპირება პეტრემ მართლაც შეასრულა, ქალაქის მისადგომებთან ურმები გამოუშვეს, ცეცხლი დაანთეს და მწვადები შეწვეს. ვახშმობის შემდეგ მოხუცმა პეტრემ ყმაწვილებს ნაბადი დაუგო — „თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზე გდებას ვერ აიტანთო“.

ასეთი მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა მეურმე გლეხმა უცნობი ყმაწვილებისადმი, მაგრამ დილით, როცა გაიღვიძა, მოხუცმა პეტრემ ველარ ნახა ვერც ყმაწვილები და ვერც თავისი ფული — სამი მანეთი და ათი შაური. იგრძნო, რომ იგი მოატყუეს და გაძარცვეს. ისიც ბავშვებმა, თითქმის „ძუძუმწოვრებმა“, როგორც თვითონ ამბობს.

გავიდა დრო. ოთხი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ ვხედავთ კეთილ მოხუცს ქალაქში, სადაც მან უცნაურ ამბავს მოჰკრა ყური: „ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთ კაცს ჩამოახრჩობენო“. მას არასოდეს არ ენახა კაცის ჩამოხრჩობა და იფიქრა: ათას ვაიუბედურებასთან ერთად, მოდი, ერთი ამასაც ვნახავო. იგი გაემართა მახათის მიმართულებით, დაინახა, რომ ხალხი ბუზივით ირევა, ერთ ადგილას სახრჩობელაც აღმართულია, გარშემო ჯარი დგას. გულუბრყვილო პეტრემ, იმ ყმაწვილებთან ხიფათის შემდეგ ყოველთვის დაეჭვებულმა, აქაც ეჭვის თვალით შეხედა ყველაფერს — „თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო“. არა, „ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო“, — აჯერებს თავის თავს კეთილი მოხუცი, თუმცა ცდილობს ახლოს მივიდეს სახრჩობელასთან, რომ ყველაფერი კარგად დაინახოს.

და დაინახა კიდეც: სულ ახლოს ჩამოატარეს ის საცოდავი „ოცისა თუ ოცდა-ერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. წვერ-ულვაში ახლად გამოშვებული ჰქონდა და ლეკურად დაყენებული. სახეზედ ზაფრანის ფერი ედო“. დაინახა

თუ არა, პეტრეს ეს სახე ეცნო, მაგრამ ვერ მოიგონა, საიდან შეიძლებოდა მას ამ ყმაწვილის ნაცნობობა ჰქონოდა. ალბათ, ქალაქში სადმე მინახავსო, — გაიფიქრა მოხუცმა, და ახლა სხვა რამ გაუკვირდა: „არა, რა-რიგად გაფითრებულა, მითამ და მართლა არჩობენ. ჯამბაზი თითონ ეს იქნება სწორედ. არა, შვილოსა, ვერ მომატყუებთ!“ — დაჟინებით იმეორებს მოხუცი პეტრე თავის გულში, თუმცა ირგვლივ დედაკაცების მოთქმა-გოდება ესმის. მაგრამ მიზეზს მაინც პოულობს: დედაკაცები „თმაგრძელი და ჭკუამოკლე“ არიან, მალე მოტყუვდნენ, თვალთმაქცობამ და კუდიანობამაც ვერ უშველა, პეტრე კი არ მოტყუვდება, თუმცა „ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი რა მალე“ შეატყობენ ხოლმე სოფლელ კაცს, თითქო „შუბლზედ ეწეროს“.

პეტრე ხედავს, რომ ის ყმაწვილი კაცი უკვე დააყენეს სახრჩობელას ქვეშ. „ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული... უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფართხალი. დიდხანს იქნივა საწყალმა ფეხები“. მაგრამ პეტრეს მაინც არ სჯერა, რომ კაცს ახრჩობენ.

უკან დაბრუნებისას მოხუც პეტრეს ვიღაც ნაბდიანმა კაცმა წერილი გადასცა. წერილიდან მოხუცმა შეიტყო; რომ დღეს მართლა ჩამოუხრჩიათ ის ერთ-ერთი ყმაწვილი, რომელიც მას ოთხი წლის წინათ გზაზე შეხვდა. წერილის ავტორი — უმცროსი ძმა ბრალს სდებდა მთელ ქვეყანას, მათ შორის პეტრეს, თქვენა ხართ მიზეზი დღევანდელი უბედურებისო:

როცა ეს მოისმინა, პეტრეს ცივმა ოფლმა დაასხა, „მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?!“ გვიყენებს ამ თავსამტვრევ კითხვას ავტორი და მოთხრობასაც ისე ამთავრებს, რომ პასუხს აღარ გვეუბნება — თქვენ გაარკვიეთო.

პეტრე უშუალო მონაწილე არ არის იმ დანაშაულისა, რომელშიაც მას ბრალი ედება, მაგრამ როგორც წევრი საზოგადოებისა, სადაც ეს დანაშაული ხდება, იგი მორალურად პასუხისმგებელია. ასეთ აზრებს აღუძრავდა ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ იმდროინდელ მკითხველებს და თავისი პატარა მოთხრობის სოციალურ დანიშნულებასაც ავტორი მხოლოდ ამაში ხედავდა. მოთხრობა სოციალური უსამართლობის მამხილებელი ნაწარმოებია, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველ საზოგადოებას ბოროტებათა წინაშე თვალი აუხილოს, მის გაბზარულ სარკეში ჩაახედოს და სიმართლის გზა უჩვენოს. ეს იქნება სამშობლოს ისეთივე სამსახური, როგორიც პატრიოტული თავდადებაა.

ერთი ასეთი მაგალითი პატრიოტული თავდადებისა ილიამ წარსულის ფონზე გვიჩვენა საახალწლო მოთხრობაში, რომელსაც „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი ეწოდება. ეს არის მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება. ილიამ მხატვრული ოსტატობით გააცოცხლა საქართველოს გმირული წარსულის ერთი მშვენიერი ფურცელი, კერძოდ, მეფე გიორგი მეთერთმეტის დროინდელი სურათი. ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი 1636 წლიდან ოსმალეთმა სპარსეთის „უცილობელი გავლენის სფეროდ სცნო“, ხოლო დასავლეთი ნაწილი „სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო“, რაც ორმა ონავარმა სახელმწიფომ „სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად“ მოახდინეს.[6] ვახტანგ მეხუთის შვილი და არჩილ მეფის ძმა, ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც ტახტზე ორჯერ ავიდა, ცდილობდა უკან-უკან მიმავალი ეროვნული საქმეები იმით მაინც გამოესწორებინა, რომ დაეცვა ქართული ენის სიწმინდე. იგი დიდად „ნიჭიერი სამხედრო პიროვნება“ ყოფილა, მაგრამ მის მოქმედებას ერის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ბორკავდა შექმნილი მძიმე მდგომარეობა.

ნაწარმოების მიზანია მკითხველში გააძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარული, წარსულის ერთი გმირული შტრიხის მხატვრული წარმოსახვით უჩვენოს ვაჟკაცობის სიდიადე, სულგრძელობა, მაღალი სული, აღზარდოს გამბედაობა ქართველ კაცში და შთააგონოს მამულისათვის თავგანწირვის იდეა.

ანალოგიური მიზნითაა შთაგონებული პროზაული მინიატურები — „ამბავად გაგონილნი“, რომელიც ილიას 1887 წელს დაუწერია. მასში ოთხი ეპიზოდია აღწერილი: პირველი ორი ერეკლეს, ხოლო დანარჩენები გიორგი XII მეფობას შეეხება. მაგრამ ამ მოთხრობაში ვაჟკაცობა, გმირობა კი არ არის აღწერილი, ერის ერთ-ერთი მთავარი თვისებათაგანი — გონებამახვილობა, მოსწრებული სიტყვა, მოხერხებულობაა წარმოსახული. ამ თვისებას ილია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რაც ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს მისი პოეზიის განხილვის დროს.

სულ სხვა თემატიკური რკალია ვრცელ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“. ნაწარმოების სიუჟეტი მოიცავს საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდს, უნდა ვიგულისხმოთ, 80-იან წლებს. მოთხრობაში ოცდაორი თავია, თითო-

---

6 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. V 1953 წ., გვ. 59.

ეულ მათგანს ცალკე ქვესათაური აქვს, რაც ილიას სხვა მოთხრობებს არ ახასიათებს. ეს ქვესათაურები ისე ოსტატურადაა შერჩეული, რომ მკითხველს უადვილებენ თითოეული თავის ძირითადი შინაარსის გაგებას.

სოფელ წაბლიანში მცხოვრები, ორმოცდაოთხი წლის ასაკში შესული ოთარაანთ ქვრივი მტკიცე ნებისყოფისა და გაუტეხელი ხასიათის ადამიანია. მას ყველა იცნობს, ყველას მისი მორიდება აქვს. სოფლის გზირსაც კი ასე უთქვამს თურმე: „ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეუძლია გავლა ქვრივის უნებურადო". სოფელმა კარგად იცოდა, რომ ამ უცნაური ქალის თქმა და ქმნა ერთი იყო". ამიტომ აქებდნენ კიდეც. დათია ბადიაშვილი ამბობდა: „...ბარაქალა დედაკაცია — არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ნახე... მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში, იმისი ხელი და ფეხი დილიდან სალამომდე არ დადგებაო". თვითონ გამრჯე და მშრომელი სხვისაგანაც ამას მოითხოვდა. ზარმაცებსა და უსაქმურებს ვერ იტანდა. თუ ვინმეს უმოქმედოდ დაინახავდა, „ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოთხრიდა" თავისი მწარე ენით. რაც არ მოეწონებოდა, მოურიდებლად ამხელდა, ტკბილ სიტყვას კი არავის ეტყოდა.

ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა. დარჩა ერთი წლის ვაჟიშვილის ამარა, მაგრამ ქმრის ყველა თხოვნა პირდაპირ სპარტანული ამტანობით შეასრულა. „ოჯახი შეინახა, უფრო გააძლიერა. მკვდარსაც უურვებდა", შვილიც შეურცხვენლად გაზარდა, შავები აღარ მოუშორებია.

დრო მიდიოდა, ვაჟიშვილის კაცურკაცობით ქვრივი ბედნიერად თვლიდა თავის თავს, მაგრამ ოცდაერთი წლის ვაჟკაცი არ ფიქრობდა ცოლის შერთვას და ეს იყო ერთი დიდი „ჭავრი დედისა". ქვრივის ამ დარდსა და ნატვრას ერთი უცნაური ნაღველიც დაემატა, რამაც კიდევ უფრო შეაშფოთა მისი გული. დედამ იგრძნო, რომ ბოლო ხანებში „შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა".

რამდენჯერ არ სცადა საბრალო დედამ იმ ორი წლის განმავლობაში, რაც გიორგის ეს ახირება დასჩემდა, შვილის გამოწვევა გულახდილი საუბრისათვის, მაგრამ არ იქნა და არა. ყოველთვის სხვა პასუხი მიიღო. რაკი სხვა გამოსავალი ვერ ნახა, ამაყმა, შეუპოვარმა, გულგაუტეხელმა ქალმა პირველად თავის სიცოცხლეში გაულებელი მსხვერპლი გაიღო — შვილს თავი შეაბრალა. მხოლოდ ცრემლს, დედის ცრემლს შეეძლო გიორგი გაეტეხა და აკი უმალ გატყდა კიდეც: „მოჯამაგირედ მინდა დავდგე, გული შინ აღარ მიდგებაო". როცა დედამ ჰკითხა — „მერე ვისთან აპირებ დგომასო", გიორგის აღარ დაუყოვნებია — თავად არჩილთანო, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა თავის გასათხოვარ, ლამაზ დასთან ერთად.

გაიგონა თუ არა ეს, „ოთარაანთ ქვრივმა... თითზე იკბინა, თითქო რაღაც ენიშნაო, რაღაცას მიაგნოვო".

არჩილი ახლად დაბრუნებულია რუსეთიდან, სადაც უმაღლესი განათლება შეუძენია. დედ-მამა ცოცხლები აღარ დახვდნენ, ერთადერთი დის — კესოს ამარა დარჩენილა და მასთან ერთად ცხოვრობს მშობლების დანატოვარ მამულში. ისინი არა ჰგვანან ჩვეულებრივ უკულტურო მებატონეებს. სოფელიც მადლიერი ჰყავთ, როგორც ავტორი გვეუბნება და „კაი ხალხის" სახელითაც სარგებლობენ.

არჩილსა და კესოს გაუკვირდათ, როცა მათთან გიორგი მივიდა — მოჯამაგირედ დაგიდგებითო. და-ძმა უკეთეს მოჯამაგირეს სად იშოვიდა, გაეხარდათ კიდეც, მაგრამ კესომ შემთხვევით არ იკითხა: „მერე დედაშენი?" განა ის თანახმა არისო? არჩილიც იმავე აზრისაა: დედაშენის დიდი თავაზი და ხათრი გვაქვს, ვერ ვაწყენინებთო. და ისინი მართალნი იყვნენ, უცნაური ამბავი ხდებოდა, რომ ისეთი ოჯახისშვილი, როგორიც გიორგია, სხვა გლეხებთან შედარებით საკმაოდ წელგამართული, მოჯამაგირედ დგებოდა. ეს მართლაც „უცნაური ნახკვი" იყო.

ორი დღის შემდეგ თვით ოთარაანთ ქვრივი ეახლა და-ძმას.

გადაწყდა გიორგის საქმე და ყმაწვილი კაცი ისე გამხიარულდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა, როგორც იქნა ერთხელ მაინც იხილა თავისი შვილის შუბლგახსნილობა, „მზიან-ჩრდილიანი" სიამოვნება. გიორგიმ აიკიდა დედის მიერ გამზადებული ბარგი და არჩილისაკენ გაემართა.

ეს გამგზავრება ილიამ დიდი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით აღწერა.

გიორგიმ ისე ერთგულად დაიწყო მუშაობა, რომ ყველა გაკვირვებული შესცქეროდა მის საქციელს. თუ კესომ გიორგის არსებაში „ახირებული გული" დაინახა, არჩილმა „ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას".

დადგა შემოდგომა... გიორგის მოჯამაგირეობის მეცხრე თვეს მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რამაც მთელი სოფელი აალაპარაკა. მოხუცი პეტრე არჩილის თივას დგამდა, უკვე „შუასარი სათივისა ორ ადლზე-ღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად". იქვე იყვნენ არჩილი და კესო მომუშავე გლეხებთან ერთად. ის იყო გიორგი დაბრუნდა, ახედა თივის ზვინს და პეტრეს ასძახა:

„გადახრილია თავი სათივისა, გვერდულად აგუავს, არ ივარგებს, გაასწორეთ“. მოხუცმა პეტრემ სთხოვა მოჯამაგირეს — ძალიან დაღლილი ვარ, ვერ შევძლებ. იქნებ დამეხმარო და გამასწორებინოო. გიორგი უმალ ავიდა თივის ზვინზე. გაასწორა, დამსწრეთა ქებაც დაიმსახურა, მაგრამ ძირს ჩამოსვლის დროს წნელი გადაუწყდა, იქვე მდგომ „ურმისჭალს ზედ დაეგო ზურგითა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია“... როცა არჩილი და კესო მისცვივდნენ უბედურს, საშინელი სურათი დაინახეს: გიორგი ცოცხალ-მკვდარი ეგდო „დედამიწაზედ პირქვედამხობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა“. მუხლებზე დაცემულმა არჩილმა და გლეხებმა გიორგის წყლული შეუხვიეს, სისხლის დენა შეუნელეს. „ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში“.

გიორგი დააწვინეს არჩილის ოთახში, არჩილისავე ლოგინში. მკურნალი მოიხმეს მახლობელი ქალაქიდან. შინაური ექიმებიც მოიწვიეს, მათ შორის სახელგანთქმული დემეტრეც, მაგრამ ამ უკანასკნელმა, გულდასმით გასინჯვის შემდეგ, დაასკვნა, რომ გიორგი ამ ქვეყნის უკვე აღარ იყო.

უსაზღვრო იყო და-ძმის წუხილი, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმის ფიქრით, თუ რა სურათი დატრიალდებოდა, როცა ოთარაანთ ქვრივი მომაკვდავ შვილთან მოვიდოდა.

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარ შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

როგორც საკუთარი ოჯახის შვილი, სახლიკაცი, ისე დაკრძალა არჩილმა თავისი მოჯამაგირე. „კაცი მოიდნეს“ და ახლა კარგი დამარხვით, მასზე ტირილით „ქვეყანას... უბმენ თვალსაო“, — სოფელში ასე ლაპარაკობდნენ და-ძმაზე.

განსაკუთრებით გულნატკენი დარჩა კესო, უკვირდა, რატომ გვწამებენ, რომ ჩვენ გიორგი სოფლის თვალის ასაბმელად დავკრძალეთ ასე დიდი ამბითო. არჩილი კი სულ სხვა აზრისაა სოფლის მითქმა-მოთქმაზე. „ისინი თავის მხრივ მართალნი არიან. ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი“.

ასე ფიქრობს არჩილი და მისი აზრი კესომ ისე გაიგო, თითქოს მადლი — მადლად, კეთილი — კეთილად აღარ უნდა გავიდეს.

არჩილში გაღვიძებული სინდისი ძალას იკრებდა, რომ საუკუნეობრივი დანაშაულისათვის ფარდა ბოლომდე აეხადა. მიზეზი იმისა, რომ კესო ვერ მიუხვდა გიორგის სიყვარულს, ვერც შეიყვარა, მხოლოდ გიორგის გლეხკაცობაში მდგომარეობდა, თუმცა თვით კესო უარყოფდა ამ ბრალდებას.

არჩილისათვის გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგაღმა დაწერილი. „გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობსო“, ნათქვამია და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს. ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერც ვიცანით, თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება სულისა“.

არჩილი ღრმად იხედება სინამდვილეში, ცდილობს მის გაგებას, თუმცა ზოგჯერ გაურბის საგნების პირდაპირ დახასიათებას, არსად არ ხმარობს ცნებას — „კერძო საკუთრება“, თითქოს მისი წარმოთქმის ეშინოდეს, და არ იცოდეს, რომ კერძო საკუთრების გაჩენა იყო მიზეზი იმ ხიდჩატეხილობისა, რაც მის გონებას ასე აწვალებდა. კერძო საკუთრება ედო საფუძვლად „ხიდ-გაღმა დაწერილი წიგნის“ ტრაგედიასაც, ის წიგნი სწორედ ამის გამო იყო დაბეჭდილი სხვა ასოებით და ამიტომ ვერ შეძლეს მისი წაკითხვა ვერც კესომ, ვერც არჩილმა. თუ რატომ ვერ იგრძნო თავადიშვილის ქალმა მშვენიერი, სულით მაღალი გლეხკაცი უმაწვილის სიყვარული, ერთი შეხედვით, თითქო ადვილი ასახსნელია. „სიყვარული ბრძანებით არ მოდისო“, — უპასუხა კესომ ძმას, მაგრამ ბოლოს ტირილი დაიწყო... კესოს ცრემლი უკვე მიმხვდარი ჭეშმარიტების წინაშე უძლურებისა და თვითგანსჯის შედეგი იყო.

ამის გამო გაეხარდა არჩილს მისი დანახვა. კესომ გაიგო ის, რაც არ იცოდა — უკან ხიდია ჩატეხილი, ხიდი, რომელსაც მისი ძმა ახე მისტირის და გლოვობს. უკან ბნელა, ღამეა, როგორც არჩილი ამბობს, მაგრამ რა იქნება წინ, რას უქადის მომავალი — ეს ახლა ყველაზე მეტად აინტერესებს კესოს და ძმისაგან პასუხს ელოდება.

არჩილს სჯერა, რომ „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰხნავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლია-

ნი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, შუქია წინასი და შუქი ხომ... „დასაწყისია განთიადისა“, უკვე თვითონ კესოც მიუხვდა ძმის სიტყვებს.

სასიხარულო იყო ეს მიხვედრა, რომ წინ — ხიდის გამთელებაა, ხოლო რაკი ორივე ნაპირი შეერთდება, ადგილიც აღარ ექნება იმ ტრაგედიას, რაც გიორგისა და კესოს შორის მოხდა, ადგილი აღარ ექნება იმ ტანჯვას, რომელიც ცალკე ოთარაანთ ქვრივს სულს უმღვრევდა, ცალკე არჩილის გონებას აფორიაქებდა. ეს იყო უდიდესი ოპტიმიზმი, რომელსაც მოთხრობა მკითხველში ნერგავდა, და ეს იყო მისი მთავარი იდეაც.

თუ როგორ მოხდებოდა ეს ხიდის გამთელება — მქონებელთა და არამქონებელთა შერიგებით, გალმაპირელებისა და გამოღმაპირელების ურთიერთთანხმობით, თუ მათ შორის ბრძოლით, არჩილი არ გვეუბნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მისი სიტყვების ალეგორიულ აზრს, მაშინ უსაფუძვლო არ იქნება „ნამის გაბევრება“, „მდინარე წყლად“ გადაქცევა და „მთელი ტივის“ მიტანა ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად მივიჩნიოთ, როგორც სოციალური ძვრებისა და გარდატეხის გამომხატველი მეტაფორა. გავიხსენოთ ისიც, რომ არჩილს თავისიანების, ესე იგი, გამოღმაპირელების საქმე წასულად მიაჩნია, რომ მისი რწმენით, თუ ისინი იმავე სახით დარჩებიან, როგორც არიან, მაშინ ხიდის გამთელება შეუძლებელი იქნება. გამოღმაპირელები, როგორც სოციალური ძალა, უნდა მოისპოს, რათა აღარ განმეორდეს ის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ხიდის ჩატეხვა გამოიწვია. არჩილი არსად არ ახსენებს სოციალურ კლასებს, მაგრამ მისი სიტყვები, ალეგორიულად, სოციალურ წინააღმდეგობებს გულისხმობს, მაშასადამე, არჩილს არმქონებელთა, შრომის შვილთა მხარე უკავია და ეს არის ის მთავარი დემოკრატიული იდეა, რომელიც „ოთარაანთ ქვრივში“ არის გატარებული.

რწმენა ხიდის გამთელებისა სიხარულით ავსებს და-ძმის გულს. მაგრამ ჯერ კიდევ რა დიდი მანძილის გავლა, რა დიდი დროა საჭირო, რომ ის საბედისწერო ჩატეხილი ხიდი გამთელდეს...

„ეძახის!“ — ასე ეწოდება მოთხრობის ურთ-ერთ თავს, რომელშიაც ტრაგედია ისევ გრძელდება. შემოდგომის მიმწუხრია, ზამთარი იწყება, თურმე ეს ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლის მწუხრიც ყოფილა.

ჩვენ უკვე მივადექით „წყევლა-კრულვიან საკითხავს“, რითაც მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ მთავრდება. შობის ღამეს ავადმყოფი დედა შვილის საფლავისაკენ გაემართა. ჯერ კარგად გათენებული არ იყო, როცა ორ მეცხვარე თუშს, სასაფლაოს ბოლოსთან, ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე თოხლი სოფელში გასაყიდად მიჰყავდა. მათ გაიგონეს ძაღლის ყმუილი. ერთი იქითკენ გაემართა, საიდანაც ხმა ისმოდა. მეცხვარემ „ძაღლს ზურგთუკან მკვდარი დაინახა; საფლავზე გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელით იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო“. ეს მკვდარი ოთარაანთ ქვრივი იყო, რომელსაც გიორგის საფლავამდე მიეღწია და ზედ დაჰკვდომოდა. სოფელი შეიკრიბა, ნანობდა, „რომ გატყდა ეს რკინის დედაკაცი“, „ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცა“. დამტირებელი არავინ დარჩენია, თუმცა ბევრი წუხდა, ბევრს ეცოდებოდა.

ძნელია მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ პროზაში დასახელება მეორე ნაწარმოებისა, რომელშიც იმდენი ღრმა აზრი, ხალხური სიბრძნე იყოს ჩაქსოვილი, როგორც „ოთარაანთ ქვრივშია“.

მართლა „წყევლა-კრულვიანი“ საკითხები აღძრა ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობაში, აღძრა და ისეთი მხატვრული ძალით გაშალა, როგორც მხოლოდ დიდ მწერალს შეუძლია. კომპოზიციური მთლიანობა, ფაბულის ერთიანობა, მტკიცედ შეკრული სიუჟეტი, რომელსაც არც ერთი ზედმეტი ნაწილი არ გააჩნია, ხასიათებისა და ტიპების სკულპტურული გამოკვეთილობა (ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, არჩილი, კესო, სოსია მეწისქვილე), ხალხური ლექსიკით გამდიდრებული ძარღვიანი ქართული ენა, ფსიქოლოგიური პასაჟების სიღრმე, სინამდვილის მკაფიო დეტალები, ცოცხალი, ბუნებრივი, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნით დაწერილი დიალოგები არაჩვეულებრივი ძალით იზიდავენ მკითხველს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მასზე.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა განსაკუთრებით ძლიერია ხასიათების, მოქმედების, მსჯელობისა და განწყობილების ნიუანსების გადმოცემისას. მისი თვალი სრულიად ორიგინალურად ჰვრეტს საგნებსა და მოვლენებს, გონება ყოველთვის ღრმად იჭრება არსებულში, გრძნობა კი საოცრად მძაფრი აქვს. ყველა თავისი ღირსება მწერლისა, ხელოვანისა, მოაზროვნისა, ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოიყენა „ოთარაანთ ქვრივში“, თითქოს გრძნობდა, რომ ეს ნაწარმოები მისი გედის სიმღერა იქნებოდა მხატვრულ პროზაში.

* * *

პერიოდი, როცა გაიშალა ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა, სავსეა თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენებით. XIX საუკუნის 60-იანი წლები რუსეთში აღინიშნა რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალთა მძლავრი ამო-

ძრავებით, რამაც თავზარი დასცა თვითმპყრობელობას. ამ პერიოდში ხელოვნების თეორიას უნდა გაეწმინდა გზა რეალისტური შემოქმედებისათვის, უკუეგდო ყოველივე ის, რაც მისთვის მიუღებელი იყო.

რაზნოჩინელების უტილიტარულმა შეხედულებებმა ხელოვნებაზე კვალი დააჩინეს 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის — თერგდალეულების ლიტერატურულ-ესთეტიკურ იდეალებსაც. ამ ინტელიგენციის ყველაზე ნიჭიერი და ტიპიური წარმომადგენელი იყო ილია ჭავჭავაძე. მისი პირველი კრიტიკული სტატია, რომელშიც განხილულია კოზლოვიდან ქართულად თარგმნილი პოემა „შეშლილი“, დაწერილია ბელინსკისა და საერთოდ რაზნოჩინელების იდეური გავლენით. ეს იყო პირველი კრიტიკული წერილი, რომელმაც 60-იანი წლების დასაწყისში გაბედულად დაიცვა რეალისტური მწერლობის პრინციპები. ილიამ მკაცრად გააკრიტიკა არა მარტო „შეშლილის“ ქართულად მთარგმნელი რევაზ ერისთავი, არამედ პოეტი კოზლოვიც. ეს კრიტიკა თერგდალეულების ბელადმა ბრწყინვალედ გამოიყენა ხელოვნების რეალისტური თეორიის დასაცავად.

ილია განყენებული საკითხებით არ იწყებს თავის კრიტიკულ სტატიას. ის მიმოხილვას უკეთებს კოზლოვის პოეზიას და კარამზინის ლიტერატურულ სკოლას — სენტიმენტალიზმს. ეს უკანასკნელი მისთვის მიუღებელი და გაუმართლებელი ლიტერატურული მიმდინარეობაა. ილიას აზრით, საჭირო არ იყო კოზლოვის „შეშლილის“ თარგმნა, ვინაიდან სენტიმენტალიზმი მას მიაჩნია ისტორიულად განვლილ საფეხურად ლიტერატურის ისტორიაში. ის მოხარულია, რომ ქართულმა სიტყვიერებამ თავის განვითარებაში არ განვლო სენტიმენტალიზმის სტადია. ამიტომ ზედმეტია დაბრუნება იმ საფეხურთან, რომელიც უკვე განვლილია სხვა ერის ლიტერატურაში და რომელსაც არავითარი დადებითი როლი არ უთამაშია. მისთვის მიუღებელი და ყალბია კოზლოვის წყალწყალა, მტირალა სენტიმენტალისტური ლექსები. კარამზინის „უბედურ ლიზასაც“ უარყოფითად აფასებს ილია. მართალია, ერთ დროს კარამზინსა და მის მიმდევარ კოზლოვსაც ჰყავდა მკითხველი, მაგრამ ეს იყო სულ სხვა პერიოდი, რომელიც აღარ განმეორდება და მით უმეტეს ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ წარსული დროის ცთომილება, მაშინ ისტორიას თავისი დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება. ისტორიის მნიშვნელობა და ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ „გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ“. ეს მოსაზრება თერგდალეულების იდეური პლატფორმა იყო. უტილიტარული შეხედულებების დროშა პირველად მათ აფრიალეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ხომალდზე.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბელინსკის ესთეტიკა ჰეგელიანური ფილოსოფიიდან გადაიხარა ხელოვნების უტილიტარული თეორიისაკენ. ეს საფუძვლად დაედო რაზნოჩინელების შეხედულებებს ხელოვნებაზე. ბელინსკის ესთეტიკური იდეალები განავითარეს ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა, ხოლო პისარევმა უკიდურესობამდე მიიყვანა უტილიტარიზმი ხელოვნების თეორიაში. ამ დიდი იდეური დაძაბულობისა და ბრძოლის ეპოქაში გამოიწვრთნენ თერგდალეულები. ილია ჭავჭავაძემ, როგორც ნიჭიერმა და ღრმა მოაზროვნემ, ყოველივე თავის სუბიექტურ სამყაროში გადაიტანა, იქ მოახდინა საკუთარი იდეებისა და გარემოს ურთიერთობის განსჯა, ყოველივეს კრიტიკული თვალით შეხედვა, მიიღო ის, რაც მისთვის ახალი აზრის როლს შეასრულებდა.

ბელინსკიმ რუსული ფსევდოკლასიციზმის — ხერასკოვისა და სუმაროკოვის შემოქმედების დახასიათება დაიწყო ფრანგული ფსევდოკლასიციზმის — კორნელისა და რასინის კრიტიკით. გენიალური რუსი კრიტიკოსი უარყოფითად აფასებდა სუმაროკოვის შემოქმედებას, ილიაც ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც რუსული ფსევდოკლასიციზმის, ისე რუსული სენტიმენტალიზმის წარმომადგენლის — კარამზინის მიმართ. ის სარკასტული ტონი, რომლითაც ბელინსკი აფასებდა რუსეთის ფსევდოკლასიკოსების შემოქმედებას, მეორდება ილიას კრიტიკულ წერილშიც.

ბელინსკიც ასევე მწარედ დასცინის ხერასკოვისა და სუმაროკოვის პოეზიას.

ხელოვნების სპეციფიკისა და ფუნქციის განსაზღვრაში ილია მტკიცედ მიჰყვება რეალისტურ თეორიას. ილია აყენებს ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულების მატერიალისტურ-რეალისტურ პრინციპს: „მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამის შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებას“. თუ იდეა, რომელსაც აყენებს მეცნიერება და ხელოვნება, გაუგებარია ცხოვრებისათვის, ხალხისათვის, ის კარგავს ღირებულებას. იდეა მაშინაა ღირებულების შემცველი, როცა ის გასაგებია ხალხისათვის და „სცვლის ცხოვრებას“, ემსახურება მის გაუმჯობესებას.

ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა აზრი რომ „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის

იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალას ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან“. ილია ჭავჭავაძეს ამავე დროს ღრმად სწამდა რომ პოეზია არის „განსახეობა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა“. პოეზია „საგრძნობელია. იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა და ლხინთა“. როგორ უდგება ხელოვნება სინამდვილის ასახვას? „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მაგრამ პოეზია არ არის მარტოოდენ სინამდვილის ასახვა. იგი ცხოვრების გარდაქმნას და გაუმჯობესებას ემსახურება. „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“. „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“.

ასეთი რეალისტური თვალსაზრისით მიუდგა ილია ჭავჭავაძე დრამატული ხელოვნების ანალიზსაც.

ასე ღრმად ჩასწვდა თერგდალეულთა ჯგუფის მხატვრული შემოქმედების რთულ საკითხებს და ასე ნათლად გადმოსცა მისი მთელი რიგი ძირითადი ნიშნები. ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებში მწყობრად არის გადმოცემული ხელოვნების რეალისტური თეორიის პრინციპები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ილია ჭავჭავაძის ხელოვნების თეორია ერთი ნაწილია იმ დიდი ლიტერატურულ-კრიტიკული და მეცნიერულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობისა, რომელიც ამ დიდმა ადამიანმა დაგვიტოვა.

საქართველოს ისტორიის, ეკონომიური ცხოვრების, ენის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები ილია ჭავჭავაძის კვლევის საგანი იყო. როგორც მწერალი და მოაზროვნე, იგი პირველ ყოვლისა, დიდი ჰუმანისტია.

ისე, როგორც მსოფლიო ლიტერატურის დიდმა კლასიკოსებმა გაარღვიეს თავიანთი კლასობრივი შეზღუდულობა, ილია ჭავჭავაძემ მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველად აღიარა თავი, უმღერა ხალხთა ბედნიერებას, მშრომელის კეთილდღეობას, ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას, ბატონყმობას, აგრესიას და ექსპლოატაციას. მან გადაიტანა „მამათა და შვილთა“ ორი ბრძოლა და ორივე შემთხვევაში — 60-იან წლებშიც 70-იან წლებშიც — პროგრესულ თვალსაზრისზე იდგა. მთელი 50 წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე იბრძოდა როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და მეთაური, „ერის წინამძღოლი“, რომელსაც ერთი ძირითადი აზრი ასულდგმულებდა — უზრუნველეყო „ერის მთლიანობა“, არ დაეშვა ძალების გათიშვა.

როგორც მეთვრამეტე საუკუნის ევროპელი განმანათლებლები, როგორც მეცხრამეტე საუკუნის 40-60-იანი წლების რუსი განმანათლებლები მხურვალედ ებრძვიან ბატონყმობას მისი გამოვლინების ყველა ფორმაში, ილია ჭავჭავაძეც იმდროინდელი საქართველოს პირობებში საუკეთესოდ გამოხატავდა განმანათლებელთა ამ საუკეთესო თვისებას. მისთვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, ცხოვრების ევროპული ფორმისა და ევროპეიზაციისა საერთოდ.

„ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სავსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა ის-იყო თავისუფლდებოდნენ, განმანათლებლების ეპოქაში) ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისათვის ხელის შეწყობისა“,7 ეს გულწრფელი სურვილი ხალხის მასების საყოველთაო კეთილდღეობისა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და მეცნიერულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მკაფიოდ ჩანს.

ადამიანი და მისი კეთილდღეობა საზოგადოებაში, თვით საზოგადოებისა და ერის კეთილდღეობა — ილიას ყოველდღიური ზრუნვის საგანი იყო. თავის წერილებში იგი ხშირად ეხებოდა ამ საკითხებს, როგორც, მაგალითად, ვრცელ პუბლიცისტურ წერილში — „ცხოვრება და კანონი“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შემოღებული ეგრეთწოდებული „მეოთხედების“ უკანონობის დამტკიცება და მისი ახალი სახით გააზრება.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც მოაზროვნემ და მხატვარმა, ცხოვრების დიალექტიკურ წინსვლაში დაინახა ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ცვლილება და განახლება არსებულის მუდმივი თანამგზავრია, რომ წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, ის, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის. ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რო-

7 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, II, თბ., 1948 გვ. 626-627.

მელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა".[8]

თუ რა ღრმა მოაზროვნე იყო ილია ჭავჭავაძე, მარტო იქიდანაც ჩანს, რომ მან ჯერ კიდევ ადრე, ცხრაასიან წლებში შენიშნა ნოე ჟორდანიას თეორიული მოღვაწეობის სუსტი მხარეები და უყოყმანოდ იწინასწარმეტყველა: „ბ-ნი ჟორდანია მარქსისტი კი არა — პამპულაა მარქსისა, ჟღარუნებით მორთულ კაბაში", „ანბანი პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგებული და შიგჩახედული მარქსისტია". ასე სწორად გამოიცნო ილია ჭავჭავაძემ ქართული მენშევიზმის მომავალი მეთაურის სრული დაშორება მარქსიზმისაგან. უშეცდომო აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: ჟორდანიასო, — წერდა ილია, — „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა თქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას კი ნუ დამწამებთო. ასე იყარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისი სიგრძესიგანითა".

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისეთ დიდ გონებას, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა, შეუმჩნეველი არ დარჩა თავის დროის თითქმის არც ერთი საკითხი. მის ნაწერებში ჩვენ ხშირად გვხვდება გამოჩენილი რუსი და ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებანი, ჩანს, ავტორი ღრმად იცნობს თვითეული მათგანის მოძღვრებას, იძლევა მათი სისტემების კრიტიკულ გარჩევას. მარქსის გენიას რომ ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა, ეს უდაოა. ამიტომ არის, რომ მის ნაწერებში ზოგჯერ პირდაპირ არის განმეორებული კარლ მარქსის სიტყვები, და ცალკეული გამოთქმები.

სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულმა, ღრმა პატრიოტულმა გრძნობამ ილია ჭავჭავაძის მთელ მემკვიდრეობას ისეთი ძალა მისცა, რომ ერთბაშად აპოვნინა ფართო მკითხველის სავსებით დამსახურებული სიყვარული. სწორედ პატრიოტიზმმა გააშლევინა ფრთა მის დიდ გონებას, დაკვირვებით ჩაახედა ცხოვრების მდინარებაში, ამოაცნობინა მრავალი დამარხული ჭეშმარიტება და კი[illegible] შეზღუდა, ყოველმხრივ განუვითარა აზროვნების სისტემა. სწორედ პატრიოტის მოვალეობამ შექიდა ეს ბუმბერაზი ადამიანი თავისი დროის პრობლემებს და იმავე პატრიოტიზმმა უკარნახა ეთქვა ის, რაც მას სწამდა, სჯეროდა, ეთქვა გულწრფელად, მოურიდებლად, ძალღონის დაუზოგავად. სწორედ პატრიოტიზმის სულმა შთაბერა მას სიმართლისათვის სამსახურის იდეა, რომ ყოველივე შეეცნო მეცნიერული თვალთახედვით, ანგარიში არ გაეწია დრომოჭმული ცდომილების მღაღადებელთათვის.

აზროვნების დიალექტიკურმა წესმა ილია ჭავჭავაძეს სავსებით სწორად გადააწყვეტინა საკითხი, რომ ყოველგვარი უარმყოფელობა, ყოველგვარი „არა" ერთი და იგივე როდია, მათ შორის ხშირად გაუვალი უფსკრულია.[9]

სქოლასტიკა გონების თავისუფლად მსჯელობის უარყოფა იყო. რენესანსი, რასაც ილია „განახლების ეპოქას" უწოდებს, სქოლასტიკის უარმყოფელად მოგვევლინა, მაგრამ ეს ორი უარმყოფელობა დიამეტრალურად გამორიცხავენ ერთმანეთს, თუმცა ორივეს თავისი „ჰო" —„არა" ჰქონდა და სხვის „ჰოს" უარყოფდნენ. მაგრამ სქოლასტიკას უფსკრული თიშავს რენესანსისაგან და იგი სახახელოდ მისაჩნევი როდია, მაშინ როცა რენესანსის მიერ სქოლასტიკის უარმყოფელობა სასახელოდ არის აღბეჭდილი კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მეტაფიზიკა ჭეშმარიტი გონების მტერია, ცალმხრივობა გამორიცხავს ჭეშმარიტ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ჩვენ ზოგჯერ ვპოულობთ მეტაფიზიკური და იდეალისტური შეხედულებების რეციდივებს, სამართლიანობა მოითხოვს აღიარებულ იქნას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთელ ქართულ ლიტერატურაში იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ უველაზე დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძე იყო. მის მემკვიდრეობაში ჩაქსოვილია სოციალიზმის ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოწინავე კლასების განათლებას და თვითშეგნების ამაღლებას. ზოგადად თუ ვიტყვით, მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ილია ჭავჭავაძეზე უფრო დიდი, უფრო მრავალმხრივი მოღვაწე არა ჰყოლია. უველა დარგს, რომელსაც დიდმა ილიამ ხელი შეახო, წარუშლელი კვალი დააჩნია როგორც შემოქმედმა, მოაზროვნემ და მოღვაწემ.

---

8 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, VI, 1956, გვ. 258.

9 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 301.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჯოგოშური

# ილია ჭავჭავაძე და მთის ხალხური სიტყვიერება

ილია ჭავჭავაძემ მოღვაწეობის დაწყების პირველსავე წლებში თავისი თაობის სახელით საქვეყნოდ განაცხადა, რომ „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გაწყობილება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო.“ ამ დიადი მიზნისათვისზრუნვას მოახმარეს მთელი თავისი ენერგია ილიამ და მისმა თანამოკალმეებმა. ამ თაობამ, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ლოზუნგით: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხსო“, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი სფერო განაახლა, მისი ხელი ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს მისწვდა და სასარგებლო კვალი დაამჩნია. ისინი გახდნენ ღირსეული მეპატრონენი და მემკვიდრენი ყოველივე დიადისა, რაც კი ქართულ კულტურას ებადა. ილიამ და მისმა თაობამ მიაქცია პირველად ჯეროვანი ყურადღება ქართველი მშრომელი ხალხის გულისა და გონების ნამოქმედარს, მათ გასწმინდეს დროთა ქარტეხილისაგან მტვერწაყრილი ხალხური ხელოვნებაც და თავისი ფასი დასდვეს მას.

ილიამ და აკაკიმ ყველაზე ადრე შეაფასეს ის უდიდესი ეროვნული განძი, რასაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ და ინახავდნენ ნიჭიერი თაობანი — ზეპირსიტყვიერების სახით.

ილია ჭავჭავაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ხალხურ სიტყვიერებას. ძირამდე ჩასწვდა ქართული ხალხური სიბრძნის იდეურსა და მხატვრულ ფასეულობას, დიდი შემეცნებითი და ისტორიული ღირებულების მქონე მასალას, როგორც ადამიანისათვის ჭკუის მასწავლებელსა და ზნეობის გამწვრთნელს: „იგავი, არაკი, ზღაპარი—წერდა ილია, — იმისთანა საზეა, კანია აზრისა, რომელიც საუკუნო და საზ- ნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით ღვიძალავს სორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს განიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“.

ხალხური სიტყვიერების ასეთივე მაღალ შეფასებას გვაძლევს მწერალი „კაცია ადამიანის“ შესავალში, რომლესაც იგი ანდაზის რაობაზე მსჯელობს. მოაქვს რა ეპიგრაფად ხალხური ანდაზა „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, წერს: „სადა ხარ ებლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო. ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“. გარდა ამისა, ილია უხვად იყენებს ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებს მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში. მისი პოლემიკური წერილები სავსეა მოხდენილად გამოყენებული ანდაზებით. მხატვრულ შემოქმედებაში საკმაოდ ფართოდ აქვს გამოყენებული ხალხური ეპიკური ნაწარმოებთა სიუჟეტები, ლექსების ნაწყვეტები, ანდაზები, ხალხური თქმები და სხვა.

ყველა ეს მასალა ილიას მიერ შემთხვევით ყურმოკრული როდია, მრავალი ცნობა და დოკუმენტი მოიპოვება იმის საილუსტრაციოდ, თუ პოეტი რაოდენ ფხიზლად ადევნებდა თვალს და ყურს ზეპირსიტყვიერებასა და მის შემქმნელ-შემსრულებლებს. იგი თვითონ მიდიოდა ხალხთან, ეცნობოდა მათს ყოფა-ცხოვრებას და თავისთან იწვევდა არა მარტო მაღალი ფენის წარმომადგენლებს, არამედ — გლეხობასაც. ე. გაბაშვილი გადმოგვცემს, რომ ილიაობა-დღეს „ილია თანხლებით ინტელინგენციისა და რჩეული სტუმრებით დადიოდა მოქეიფე გლეხობის გარშემო, ალაგ-ალაგ ჩაჯდებოდა მათ შუა,

ელაპარაკებოდა, მათ სადღეგრძელოს სვამდა". გ. ლასხიშვილი თავის წიგნში აღნიშნავს: „სადილის დასრულებისთანავე ილია ჩავიდოდა ეზოში გლეხებთან, იქ დალევდა მათთან და ამღერებდა ხალხურ ლექსებს". ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან სხვა პირებიც. ყველა ამ ცნობაში ხაზგასმულია, რომ ი. ჭავჭავაძე დიდი სიამოვნებით უსმენდა ქართული ხალხური ლექსებისა და სიმღერების შემსრულებლებს.

ხალხურ ნაწარმოებთა ჩაწერის კარგი საშუალება ჰქონია ილიას 70-ან წლებში, როცა ის დუშეთს ემსახურებოდა, როგორც მომრიგებელი მოსამართლე. დუშეთის რაიონში შემავალი მთის კუთხეები (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი) ამჟამადაც ინახავს ხალხური სიტყვიერების მდიდარ საგანძურს. შეიძლება ითქვას, რომ ილიამ პირველმა შეაღო ამ საგანძურის კარები და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მთელ საქართველოს მოფინა ჩვენი წარსულის ამსახველი საუცხოო ნაწარმოებნი.

1872-73 წლებში ჟურნალ „კრებულში" ხშირად იბეჭდებოდა ილიას მიერ შეკრებილი ლექსები „ხალხური სიმღერების" სახელწოდებით. მაგრამ ეს ილიას მიერ შეკრებილი მასალების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო. ილია კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: „გიგზავნი ხალხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. სხვა ლექსებს ვეღარ ვიგზავნი „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისათ". ეს „სხვა ლექსები", რომლებსაც ილია აქ იხსენიებს, არ დაკარგულა, ისინი თუ ამჟამად „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა" ვერ გამოაქვეყნა, შემდეგ გამოქვეყნდნენ. მარტო პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში" ილიას მიერ მიწოდებული სამოცამდე პოეტური ტექსტი აღირიცხება. პოეტის მიერ ჩაწერილ მასალებში დიდი რაოდენობით მოიპოვება მთის ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ამ ტექსტების ენობრივი მხარე, თემატიკა და შინაარსი გვარწმუნებს, რომ ავტორს ისინი თვითონ მთიელებისაგან უნდა ჰქონდეს ჩაწერილი. აღნიშნული მასალები შეიცავს მთის კილოების — ფშაურის, ხევსურულის, მთიულურის, გუდამაყრულისა და მოხევურისათვის დამახასიათებელ ფორმებს. ილიას მიერ ჩაწერილი ისტორიული ლექსების თემატიკა და შინაარსი უმეტესად ადგილობრივი ხასიათისაა, მთის კუთხეების წარსულს ასახავს (მაგალითად ლექსები „დუშეთს იყრების ლაშქარი", „ზურაბის მოკვლა", „შენმც დაგლევს სისხლის წყალით" და სხვა). მაგრამ მათში ნათლად არის ასახული მთელი ხალხის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ამ ლექს-სიმღერებში ასახული მთიელთა იდეური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი ეხმაურებიან სამოციანელთა იდეებს.

გველის მჭამელ მინდიაზე არსებული ზეპირსიტყვიერი მასალები, რომლებზეც ვაჟამ პოემა „გველის მჭამელი" ააგო, ილიას 1871 წელს ჩაუწერია და მისი ერთი სტროფი — „[illegible], ბერო მინდიავ" შემდეგ „ქართვლის დედას" ეპიგრაფად გამოუყენებია.

ილიამ და მისმა თაობამ საბრძოლო პროგრამად გაიხადეს ერისადმი სამსახური და მისთვის წინ გაძღოლა „მყობადის" შესაქმნელად. უფრო მეტიც, ილია თავის „პოეტში" გვეუბნება: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა".

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი და ხალხთა თავისუფლების მქადაგებელი იყო. თავის მდიდარ შემოქმედებაში სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალი გმირის სახე დაგვიხატა, ამიტომ გასაგებია მისი ყურადღება, ისეთი ხალხური ნაწარმოების მიმართ, სადაც ასახულია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ზვიადი ფეოდალი, ზურაბ ერისთავი, ენერგიულად მაგრამ ამაოდ ცდილობდა ფშავ — ხევსურეთის დამორჩილებასა და იქ თავისი უფლებების გავრცელებას. მთის ხალხურმა პოეზიამ მრავლად შემოინახა ზურაბ ერისთავის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები. ეს ლექსები ამშვენებენ ჩვენს საგმირო-საისტორიო სიტყვიერებას. ამ ლექსების ბევრი ვარიანტია შემდგომ ჩაწერილი და გამოქვეყნებული, მაგრამ მათი პირველი ჩამწერი ილია ყოფილა.

ლექსი „დუშეთს იყრების ლაშქარი" ილიას 1871 წელს ჩაუწერია. იქ გადმოცემულია ზურაბ ერისთავის მიერ დიდძალი ლაშქრის შეკრება ფშავ — ხევსურეთის დაპყრობის მიზნით. ზურაბს მთელი ფშავი გაუვლია, შუა ხევსურეთამდე შეუღწევია, მაგრამ თავისუფლების მოყვარე მთიელი ხალხის დამორჩილება ვერ მოუხერხებია, სასტიკად დამარცხებულა და უკუქცეულა. ხალხური მელექსე დიდი მხატვრული ოსტატობით გვიხატავს ზურაბ ერისთავის უღლის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა სახეებს.

ილიას იმავე წელს ჩაუწერია ზურაბ ერისთავზე შექმნილი მეორე ლექსიც „შენმც დაგლევს სისხლის წყალით", ეს ლექსი ზურაბ ერისთავისადმი მიმართული წყევლაა. ლექსში გადმოცემულია ერისთავის მუხანათური საქციელი. მთიელებთან პირისპირ ბრძოლაში დამარცხებულ ფეოდალს ვერაგობისათვის მიუმართავს. მათთან ზავი დაუდვია, [illegible] ვაჟკაცები თავისთან მიუწვევია, მათი საშუალებით თრუსო და დვალეთი აუღია, ხოლო შემდეგ კი როგორც ხალხური ლექსი ამბობს, მათთვის „დანდობით დაუჭრია თავები". ლექსის პირველი სტრიქონები ლაკონიურად გადმოგვცემს [illegible]:

შენმც დაგლევს, ერისთვიშვილო
ზურაბო სისხლის წყალით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრუსოს ჩაყარენ ხევსურნი,
ხელით არჩიენ ჸმანიო,
გაატეხიე დვალეთი,
თეთრი მაღლალე ცხვარიო,
თრუსოს მაახსენ მაშვრალნი,
დანდობით დასჭერ თავიო.

ილიას მესამე ხალხური ლექსიც ჩაუწერია ზურაბ ერისთავზე, რითაც თითქმის მთელი ძირითადი შინაარსია გადმოცემული იმ სისხლიანი ისტორიისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერისთავსა და მთიელებს შორის. ამ ლექსებში („ზურაბის მოკვლა“) ხალხური მელექსე თითქმის აჯამებს ზურაბის ცხოვრებას:

ზურაბ თან გახლდეს მსახურნი,
ერთხან რა დაიბადეო,
ისპაანამდე გაითქვი,
ყაენთან გაიზარდეო.

მომდევნო სტრიქონებში მოგვითხრობს ზურაბის არცთუ ისეთ სასახელო საქმიანობაზე. იქ გადმოცემულია ის ამბავი, თუ ბოლოს როგორ მიიწვია იგი სიმამრმა — კახთა მეფე თეიმურაზ პირველმა და მოაკვლევინა ღალატით.

გაზეთმა „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძე დაახასიათა როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოპულარული მოღვაწე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილიამ მიზნად დაისახა, რომ ერის წყლული საკუთარ წყლულად სჩნეოდა და მისი ბედითა და უბედობით გული დასდაგოდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ილია პირნათლად იხდიდა ამ მოვალეობას და ყოველივე ეროვნულს დედაბოძად ედგა. ამიტომაც, ბუნებრივია მისი ესოდენი ყურადღება ეროვნული იდეების მატარებელი ხალხური პოეზიისადმი. ილიას იქვე დუშეთში ჩაუწერია მთაში სახატო სიმღერად გადაქცეული ხევსურული ლექსი „ვერ გაიგეთა ქართველნო“. ეს ლექსი, რომელიც მეფე ერეკლეს გარდაცვალების მომდევნო წლებში უნდა იყოს შექმნილი, ერეკლეს გარდაცვალებას საქართველოსთვის რკინის კარის შეხსნას ადარებს:

ვერ გაიგითა ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია,
დაჩუმდა ბაირაღები,
აღარ ჭეხს ზარბაზანია,

აღარ გყავთ მეფე ერეკლე,
არც მაგის საომარია,
ღმერთ შასტირიან თავადნი,
„რად შაგვიკერე ბრალია,

დედუფალ იმას ტიროდა,
იმერელთ მეფის ქალია:
„შვილებს დაუდგა ბექთანი,
სისხლში ნამწვლარი ხმალია,

მანამდის იყვა, ცხენს იჯდა,
მიძრნა და მოძრნა ზღვანია,
ეხლად იმასა გვცხვენოდეს,
ვის გერტყათ იმის ხმალია,

თუ რაოდენ დიდ შეფასებას აძლევდა პოეტი ამ ლექსს, ჩანს იქიდანაც, რომ ერეკლეს გარდაცვალებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით დაწერილ წერილში იგი მწიგნობრულ ლექსზე მაღლა დააყენა და ერის გულიდან ამოფეთქებული თოფის წამალი უწოდა. ილია წერდა: „ვერ გაიგეთა, ქართველნო შაგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარიაო“. ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და თუ არ დიდ-ბუნოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას.

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანობისა. ეს რკინის კარობა პატარა კახისა ოთხ კედელშუა მოგონილი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვაა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდანვე ამოფეთქებული. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანებში მეტისმეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი, და არა მგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკრას მახლობელთა სანუგეშოდ“.

ამ ხალხური ლექსისათვის ილიას კიდევ სხვა დროსაც მიუმართავს, როცა იგი ეხებოდა საქართველოს, რუსეთთან შეერთების გარდუვალობას: „დასუსტებულ საქართველოს, — წერდა ილია, — რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარლია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტერს“.

როგორც დამსწრენი გადმოგვცემენ, პოეტი „ილიაობაზე“ მოწვეულ ხევსურებს უეჭველად „ვერ გაიგეთა ქართველნო“-ს ამღერებდა და დიდი ყურადღებითაც უსმენდა.

1871 წელსაა ჩაწერილი ლექსი „ავარდა ბატონიშვილი“. ლექსი გადმოგვცემს ცნობილი ასპინძის ომის სურათს, გენერალ ტოტლებენის ღალატსა და მცირერიცხოვანი ქართველი მხედრობის გმირულ ბრძოლას მეფე ერეკლეს ხელმძღვანელობით. ლექსში ისტორიული სიზუსტით არის აღწერილი ბრძოლის მსვლელობა. პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა ამ ლექსის ვარიანტების მიხედვით დაადგინა ასპინძის ომის მონაწილე, ისტორიაში „შვიდი ხევსურის“ სახელით ცნობილ მთიელთა გვარები და სახელები. ამას გარდა, 1870 წელს ილიას ჩაუწერია ლექსი „ქალაქში ფშავლის შვილები“, სადაც გადმოცემულია თბილისიდან დაბრუნებული ფშავლების შეტაკება მოთარეშე ლეკებ-

თან და მათი მეთაური მოღალატე ქართველის მოკვლა ფშაველ მანგია გულოშვილის მიერ, რისთვისაც ეს უკანასკნელი მეფე ერეკლეს ხალათით დაუჯილდოვებია.

ილიას მიერ ჩაწერილი მთის ხალხური სიტყვიერების ნიმუშები მარტო ზემოთ განხილული ნაწარმოებებით არ ამოიწურება. მათი რაოდენობა, როგორც ვთქვით, გაცილებით მეტია. ფართო არის მათი თემატიკა და მრავალფეროვანია იდეა. ისინი მოგვითხრობენ გმირობასა და ვაჟკაცობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ოჯახსა და საყოფაცხოვრებო ამბებზე და სხვა. ამ მასალებში გვხვდება ხალხური აფორიზმები, ანდაზები და თვით ხალხური სასულიერო სიტყვიერების ისეთი ნიმუშებიც კი, როგორიცაა ხევსურული „სულის ხუცობა“.

რა პირობებში ან ვისგან იწერდა ილია ამ მდიდარ მასალებს? დუშეთი, სადაც ილია რამდენიმე წელს მუშაობდა, მაზრის ეკონომიურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო და ამიტომ ბუნებრივია, ილიას ყოველდღე შეეძლო შეხვედროდა დუშეთში ჩამოსულ მთიელებს. გარდა ამისა, სარწმუნო უნდა იყოს „ილიაობის“ მონაწილე ერთ-ერთი მოხუცი ხევსურის ცნობა იმის შესახებ, რომ უკვე ხანდაზმულ ილიას მისთვის უთქვამს: „დუშეთში რომ ვმუშაობდი, იმ დროს ორჯერ ვიყავი ფშავ-ხევსურეთში, მაშინ კარგი ლუდის დაყენება და სიმღერები იცოდნენო“. მთის პოეზიისადმი ილიას ყურადღებას გვიდასტურებს საგურამოელი გლეხიც, რომელიც აღნიშნავს, რომ „ილიაობას ყველა მხრიდან იყრიდა ხალხი თავს... ას კაცზე მეტი მარტო ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე ილიაობას... ხევსურებთანაც ყოფნა ძალიან უყვარდა, სუფრაზე ხევსურების სიმღერაო“.

ილიას მომსწრე მოხუცი ხევსური გადმოგვცემს; „ერთხან ილიასთან ვიყვენით საგურამოში, დიდი სტუმრობა ჰქონდა, გვითხრა: —აბა, ერთი „ვერ გაიგეთა ქართველნო“ იმღერეთ „თასურადაო“, — ჩვენაც შაუსრულეთ, მაგრამ კნიაზებმა დაგვახათრეს და უკენობის სიტყვები აღარ ვიმღერეთ. ილიამ მხარზე ხელი დაგვადო და გვითხრა: „რაც ჩვენთვის ძველებს უსწავლებია, თუ ყველაფერს ასე ბოლო წავაგლიჯეთ, ის დაგვემართება, რომ შვილიშვილს პაპის სახელი აღარ ეცოდინებაო. ძველებმა რაც გვასწავლეს, ის საფლავ-სამარემდე არ უნდა დავივიწყოთ—გვითხრა ეს ილიამ და თავად შემოგვმღერა, ის რაც ჩვენ დაგვაკლდა —„ახლა გვცხვენოდესთ იმათა, ვისაც გრტყავთ იმის ხმალია“. სხვებ სიმღერებიც მასწონდის ილიას“. მოტანილი ცნობა გარდა იმისა, რომ ხალხური სიტყვიერებისადმი ილიას სიყვარულს ადასტურებს, საინტერესოა იმ მხრივაც, თუ როგორ იცავდა პოეტი ხალხურ ტექსტს წარყვნისა და დამახინჯებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

# ილია და მისი გაზეთი „ივერია“

„ივერიამ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის გათვითცნობიერების საქმეში. ყოველ მის ნომერს ნათლად აჩნია რედაქტორის გულმოდგინე მუშაობის ბეჭედი“, წერდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე. და მართლაც. მეცხრამეტე საუკუნეში არც ერთ ქართულ ჟურნალსა და გაზეთს ჩვენში არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი და პოპულარობა, როგორიც ილია ჭავჭავაძის ბედვითს ორგანოს — ჯერ ჟურნალ „ივერიას“ და შემდეგ კი გაზეთ „ივერიას“ ჰქონდა. „ივერიის“ ეს ავტორიტეტი და პოპულარობა განაპირობა ილია ჭავჭავაძის უმწიკვლო და თავდადებულმა მოღვაწეობამ; ქართველი ხალხის ასეთი საყვარელი და პოპულარული გაზეთის შესახებ დღემდე ცოტა რამ დაწერილა, არ მოგვეპოვება მეცნიერული გამოკვლევები და მიმოხილვები ამ გაზეთის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ეპიზოდური ხასიათის წერილს და ქართული პერიოდიკის თაობაზე სხვადასხვა კრებულში დაბეჭდილ მოკლე ცნობებს. ამას გარდა, არსებობს „ივერიის“ თანამშრომლების სოფრომ მგალობლიშვილის, თედო სახოკიას, გიორგი ლასხიშვილის, იაკობ მანსვეტაშვილის, არტურ ლაისტის და სხვების საინტერესო მოგონებები „ივერიისა“ და მისი რედაქტორის უდიდეს ღვაწლზე.

ჩვენი წერილი სრულიადაც არ ისახავს მიზნად შეავსოს ეს დიდი ხარვეზი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში; ჩვენ მხოლოდ გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა იმ დიდი სარედაქციო-საჟურნალო მუშაობის თაობაზე, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში ოცდაათი წლის განმავლობაში გასწია მისმა რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ და შექმნა სარედაქციო-საჟურნალო მუშაობის ბრწყინვალე ტრადიცია.

„ივერიამ“ ოცდაათი წელიწადი იარსება, — 1877 წლიდან 1906 წლამდე, დაიხურა იგი 27 აგვისტოს. ერთი წლით ადრე ილიას ტრაგიკულ სიკვდილამდე. მეფის მეტისმეტად მძიმე ცენზურის პირობებში ასე დიდხანს გაზეთის არსებობა მოწმობს, რომ „ივერია“ იყო მთელი ქართველი ხალხის ეროვნული ორგანო და ისეთივე პოპულარული ქართველ ხალხში, როგორც მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება.

„ივერიის“ შესახებ წერა — ნიშნავს სწერო მთელი XIX საუკუნის პერიოდიკაზე, მთელ XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებზე, XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, პოლიტიკურ ეკონომიაზე. ფილოსოფიაზე, საქართველოს ისტორიაზე.

გაზეთი „ივერია“ ალნუსხავდა და შეისწავლიდა არა მარტო XIX საუკუნის ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის ეკონომიკურ, მატერიალურ კულტურულ და ლიტერატურულ ვითარებას, არამედ ქართველი ხალხის შორეულ ისტორიას და მის ადგილს მსოფლიო ხალხთა შორის. ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად ილია ჭავჭავაძეს უხდებოდა მეტად მწვავე ბრძოლა არა მარტო „ივერიის“ ფურცლებიდან, არამედ სხვა ჟურნალ-გაზეთების საშუალებითაც.

„ივერია“ თავისი შინაარსით პირველი ევროპული გაზეთი იყო, რომელიც მოიცავდა მსოფლიოში მომხდარი დიდი პოლიტიკური და ლიტერატურული ამბების ღრმა და კრიტიკულ ანალიზსა და მიმოხილვას. „ივერიის“ გამოსვლამდე ქართულ პრესას, ჟურნალებსა და გაზეთებს არ ჰქონია ისეთი განყოფილება, სადაც დაბეჭდილი ყოფილიყო პროფესიული ავტორების მიერ დაწერილი, როგორც დღეს ვეძახით, საერთაშორისო მიმოხილვა.

„ილია მუდამ წიგნების კითხვაში იყო, — წერს სოფრომ მგალობლიშვილი თავის „მოგონებაში“, — გამოვიდოდა თუ არა რაიმე შესანიშნავი წიგნი — პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, გინდა ისტორიული, პირველი ის იყიდდა, გადაიკითხავდა, „გამოშიგნავდა“ (მისი საყვარელი სიტყვაა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვასა“ დიახ, ილია ჭავჭავაძე მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ხალხისათვის მიეწოდებინა ახალი ცნობები, რათა იგი ყოფილიყო კურსში, თუ რა ხდებოდა მსოფლიოს შორეულ ქვეყნებში, როგორ იბრძოდნენ ბურები ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რა ხდებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ესპანეთსა და პორტუგალიაში, კუბასა და ამერიკაში, აფრიკასა და ახალ ზელანდიაში. „ივერიაში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და ეკონომიკური მიმოხილვები ღრმა ცოდნით დაწერილი მეცნიერული გამოკვლევებია.

როცა ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ დაარსება გადაწყვიტა, მან ასეთი წერილი დაუგზავნა გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომლებს:

„მოწყალეო ხელმწიფევ! გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდან 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი მძიმე საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ-ჰყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზე“ უფრო მომეტებულის ზომისა, თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამა გაზეთისა.

თქვენის თანამშრომლობის მოიმედე, თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე. 1885 წ“[1]

ეს წერილი ილია ჭავჭავაძის ხელისმოწერით გაეგზავნათ ალექსანდრე ყაზბეგს, სოფრომ მგალობლიშვილს, ნიკო ლომოურს, ეგნატე იოსელიანს, დავით კარიჭაშვილს და სხვებს. აკაკი წერეთელს კი ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული სიყვარულით აღსავსე წერილი პირადად გაუგზავნა:

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს დავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა; თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულ ზარმაცობას მიაწერ. ნურც რომელსამე ავბუნებიან მოძრაობას ჩემი გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალწლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდეც.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი. ეგ ჩემთვის თუმცა დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიდე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალს გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველს ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი; გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმათ აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გაუძნელო და არასიც-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ უმატებ, რო უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება, ეხლა შენ იცი, მაინც და მაინც გთხოვთ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი, თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადლიერებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენის კეთილის მსურველი ილია ჭავჭავაძე.

1. ილია ჭავჭავაძე, ტომი X, „მიმოწერა“ გვ. 112.

ილია ჭავჭავაძემ იონა მეუნარგიას ასეთი წერილი მისწერა:

„დაგვანებე, ჩემო იონავ. თავი და დაგვათობლე ამისთანა გაჭირვების დღეს, ვსტირით და ვღრიალებთ უშენობის გამო, მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ, 1-ს იანვრისათვის ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალს. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებებს ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზე... მოუთმენლად ველი შენს სტატიას“.3

1886 წელს ჟურნალ „ივერიის“ გადაკეთება ყოველდღიურ გაზეთად იყო უაღრესად დიდი მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში; „ივერიამ“ მხოლოდ გარეგნული სახე იცვალა, უფრო ოპერატიული გახდა, ხოლო მისი მიზანი, მისი დედააზრი იგივე იყო. ქართველ ხალხს ამ გაზეთმა მისცა სულიერი და იდეური საზრდო, აამოძრავა და აალაპარაკა მთელი მოწინავე ინტელიგენცია. ცხოვრებას თითქოს მეტი შინაარსი და გაქანება მიეცა.

„ახალი წლის წინა ღამეს, — წერს არტურ ლაისტი, — ილიას ბინაზე დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, ახალი წლისა და ახალი გაზეთის შესაგებებლად.

დიახ, ამ ახალი და დიდი გაზეთის გამოსვლა მნიშვნელოვანი ამბავი იყო ქართველთა ცხოვრებაში: მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას ისინიც ვინც მანამდე გულგრილად უყურებდა ქართულ გაზეთს. ილიას დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და, რასაკვირველია, ახალი „ივერიიდან“ ბევრსაც მოელოდნენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოლოდინი გამართლდა, რადგან დიდი ფორმატის ახალმა გაზეთმა, საუკეთესო ქართველ მწერალთა თანამშრომლობის მეოხებით ერთბაშად წასწია წინ ქართული ლიტერატურა და სიცოცხლე შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.3

ილია ჭავჭავაძემ, ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის“ გამოცემით გახარებულმა, ასეთი შინაარსის ბარათი გაუგზავნა რაფიელ ერისთავს: „ეთხოვეთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, ხაშმაბათს, ერთად მივეგებოთ ახალს წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“.4

ილიასათვის ეს დიდი სიხარული იყო, და მას ჭაბუკობიდანვე სიხარულითა და სიამაყით ავსებდა ახალი ჟურნალისა თუ გაზეთის გამოსვლა. ჯერ კიდევ 26 წლის ჭაბუკი, 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ დაარსების გამო, თავის მომავალ მეუღლეს ოლღა გურამიშვილს აღფრთოვანებულ წერილს სწერს: „იქნება ჩემი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა, და იმედია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჭეშმარიტება. შენი უკუნითი უკუნისამდე ილიკო ჭავჭავაძე“.

ილია ჭავჭავაძემ გაზეთს დიდი მისია და მოვალეობა დააკისრა: „როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს იმ უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება; როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი, ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თავისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს“, ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1877 წელს ყოველკვირეული „ივერიის“ პირველი ნომრის მოწინავე წერილში. განა ეს წერილი არ გვაგონებს ჩვენს ეპოქაში, ჩვენს დროში საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებისათვის დაკისრებულ მოვალეობას! ილიას ეს წერილი ახი წლის წინათაა დაწერილი — 1877 წელს, მაგრამ მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა, როგორც თვით ილიას მხატვრულ ნაწარმოებებს — მოთხრობებსა და ლექსებს.

გაზეთმა ხელი უნდა შეუწყოს და აღზარდოს მაღალი მორალის მქონე ადამიანი, ერის ჭეშმარიტი მსახური და მოღვაწე, არავითარ შემთხვევაში გაზეთმა მოქალაქეს ჩირქი არ უნდა მოსცხოს და არ გააბიაბუროს საზოგადოების წინაშე. ეს აზრი ილია ჭავჭავაძემ თავის ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას“ კანონად, საფუძვლად დაუდო: 1888 წლის ყოველდღიურ „ივერიის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ მოწინავე წერილში ილია წერდა.

„ჟურნალ-გაზეთობა ერთგვარი ნაწილია ლიტერატურისა, ამის გამო თავის საკუთარის კუთვნილების გარდა უნდა [illegible] ეს ზოგადი კუთვნილებაც ლიტერატურ[illegible] ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა და არა

1 ილია ჭავჭავაძე, „მიმოწერა“, ტომი X, გვ. 144—115.

2 იქვე, გვ. 109

3 არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“ გვ. 16-17.

4 ილია ჭავჭავაძე, „მიმოწერა“, ტომი X, გვ. 86.

იმ ცრუპენტელობისა, რომელიც ჩვენში ლიტერატურული სახით დაიარება... ჭეშმარიტი ლიტერატურა ყველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა. უზრდელობა, უმართებულობა, გაუპატიურება ადამიანისა, უწვრთნელობის, გონებაგაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია...[1]

მეორე ადგილას ილია წერდა: „რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისი ან სხვისი ხელით“, ეს იყო პასუხი „მოგზაურში“ დაბეჭდილ წერილზე.

აი ერთი უბრალო მაგალითი იმისა, თუ როგორ სცემდა პატივს გაზეთი „ივერია“ თითოეულ ადამიანს. 1895 წელს გაზეთ „ივერიას“ რაიონიდან მიუღია ერთი წერილი, სადაც მხილებული თუ გალანძღული ყოფილა რომელიღაც მოქალაქე. ამ წერილის თაობაზე „ივერიის“ ფოსტა (№ 40) იტყობინებოდა: „თქვენი წერილი არ დაიბეჭდება: 1. იმისათვის, რომ თქვენგან მოწერილი ამბავი დასაჯერებელი არ არის და 2. თუ სიმართლე თქვენსკენ იყო — მაშინ თქვენს ნამდვილ ვინაობასაც გვაცნობებდით და ნიღაბს არ ჩამოიფარებდით“. აი, კონკრეტული და დამაჯერებელი პასუხი რედაქციისა წერილის ავტორისადმი. ასე იცავდა „ივერია“ ადამიანს ცილისწამებისაგან და უკანონო განქიქება-თავდასხმისაგან. ასეთი პასუხები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“, თითოეული მათგანის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ისე კი ვფიქრობთ დღევანდელი ჩვენი პრესის მუშაკებსაც ბევრ რამეში გამოადგებათ „ივერიის“ ეს სათუთი დამოკიდებულება და მოპყრობა ადამიანებისადმი.

ჟურნალსა და გაზეთში დაბეჭდილ წერილებს, მხატვრული ნაწარმოები იქნებოდა ეს, თუ კორესპონდენცია, ილია დიდ მოთხოვნას უყენებდა. აი, რას სწერს ილია რედაქციის მდივანს გ. ყიფშიძეს: „ბატონო გიგავ! მოთხრობა წავიკითხე და არ ვარგა. მეტის-მეტი უჯერო ეპიზოდებია და უაზრო ერთობ, არ დაიბეჭდება“.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას. ამიტომ გაზეთი თავის ფურცლებზე სალიტერატურო ენის ნორმების დასაცავად ხშირად ბეჭდავდა გამოჩენილ მწერლებისა და ენათმეცნიერების თეორიულ ხასიათის წერილებსა და გამოკვლევებს: „ენა ისეთი საგანია, — წერდა 1887 წელს „ივერიაში“ ერთი ავტორი ა. ნა-ლი-ს ინიციალით (ალექსანდრე ნანეიშვილი), — რომ თუ ენა გაუგებარი, მძიმე და უმართლოა, მაშინ თვით მწერლობაც ცოტად თუ ბევრად უქმია, რადგანაც იგი მიუწვდომელია მკითხველთა უმრავლესობისათვის. აი, სწორედ ამიტომაც თვითეული დაწინაურებული მწერლობა მოწადინებულია დაადგინოს, გამართოს, ადვილად გასაგები გახადოს ცოცხალი ენა და არ უმტყუნოს გრამატიკის კანონებსა“.

და განა დღეს ქართველი საბჭოთა ენათმეცნიერები, მწერლები იმისათვის არ იბრძვიან, რისთვისაც „ივერია“ ამ ასი წლის წინათ იღწვოდა?! და განა ის დიდი მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც ჩვენს ეპოქაში შექმნეს ქართველმა ენათმეცნიერებმა, იმას არ ამტკიცებს, რომ საჭიროა დავიცვათ ჩვენი ენის სიწმინდე, გავამდიდროთ მისი ლექსიკა და ხალხისათვის გასაგები გავხადოთ?! როცა „ივერიიდან“ გადმოვიწერე ალექსანდრე ნანეიშვილის ფელეტონები სალიტერატურო ენის შესახებ და ვაჩვენე თანამედროვეობის დიდ მეცნიერს აკაკი შანიძეს, მან მითხრა: ეს ფელეტონები დღესაც თამამად შეიძლება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდოსო.

იმ მიზნით, რომ გაემდიდრებინა ქართული ენის ლექსიკა, „ივერია“ თავის ფურცლებზე ბეჭდავდა ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, იგავ-არაკებს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნახმარ სიტყვებსა და გამონათქვამებს.

„ენის კულტურის დარგში, — წერდა გერონტი ქიქოძე, — „ივერიას“ იმ როლის შესრულება მოუხდა, რომელსაც სხვაგან, უფრო დიდი მასშტაბით, ჩვეულებრივ აკადემიები და ინსტიტუტები ასრულებდნენ. „ივერია“ ცდილობდა ქართული ენა გაეწმინდა დაძველებული და უმართებულოდ ნასესხები გამოთქმებისა და ფორმებისაგან, ხოლო ამასთანავე გაემდიდრებინა ახალი ცნებების გამომხატველი ტერმინებით. მრავალი ტერმინი, რომლებიც დღეს სრულიად აუცილებლად ითვლება როგორც ყოველდღიურ საუბარში ისე მწერლობაში, პირველად „ივერიის“ მიერაა შემოღებული“.[1]

ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ აღზარდა მრავალი ბრწყინვალე ქართველი მწერალი და ჟურნალისტი. „ივერიის“ რედაქციაში იმართებოდა მეგობრული დავა და კამათი მშობლიურ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ენათმეცნიერებაზე, ენის სიწმინდეზე და მრავალ საინტერესო საკითხზე. აი, რას წერს „ივერიის“ თანამშრომელი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი:

„საღამოობით შევიყრებოდით და შემდეგის დღეების მასალას ვკითხულობდით ილიას თავმჯდომარეობით. სწორედ განკითხვის დღეს განვიცდიდით ჩვენი ნაწერების კითხვის დროს ილიას წინაშე. ზოგჯერ ისე გაასწორებდა ვის-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, „ივერიის წინასიტყვაობა“, ტომი 3, გვ. 262-263.

[1] გერონტი ქიქოძე, „რჩეული თხზულებანი“, ტომი III, გვ. 247.

მე ნაწერს, რომ ნატამალიც აღარ დარჩებოდა ხოლმე. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ხოლმე ილია ნაწერს და ენის მხრივ სულ ბდღვირს ადენდა ისა და გიგო ყიფშიძე. მე და ი. მანსვეტაშვილი შეჩვეული ვიყავით და აგრე რიგად ბდღვირს ველარ გვადენდენ“.[1]

ასევე საინტერესოა მეორე გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას მოგონება: „ამ ათის წლის წინათ, სანამ გაზეთი „ივერია“ გვქონდა, ჩვენი ენა ისეთს საფრთხეში არ ყოფილა. ნეტარხსენებულის ილია ჭავჭავაძის ორგანო ჩვენში, სხვათაშორის, ქართული ენის სკოლაც გახლდათ. სხვაგან დევნილი ქართული ენა „ივერიაში“ ჰპოვებდა საფარველს და მფარველთ. „ივერია“ იყო „განსაწმენდელი“, „საბაჟო“ ქართულის ენისა. ყოველს წერილს, თვით უბრალო ორ სტრიქონიან ახალ ამბავსაც კი სასტამბავიდან ისე არ გამოუშვებდნენ, სანამ რამდენიმე საგანგებოდ ამისათვის მიჩენილი კაცი არ გადახედავდა, მეტს ხორცს არ შემოაცლიდა. შალაშინს არ გადაჰკრავდა, არ გაამშვენიერებდა, არ „გააქართულებდა“, ენის მხრივ სულ უბრალო შეცდომაც რომ აღმოეჩინათ გაზეთის უკვე დაბეჭდილ ნომერში, მთელი ალიაქოთი შედგებოდა ხოლმე რედაქციაში.[2]

თუ რა გულდასმით ამუშავებდა „ივერია“ გაზეთში დასაბეჭდად განზრახულ წერილებს, ამის ნათელსაყოფად მრავალ მაგალითიდან მხოლოდ ერთს მოვიყვანთ: 1908 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა თარგმანი კ. ბოროზდინის მოთხრობისა „იმერეთის დედოფალი მარიამი“. ამ საინტერესო მოთხრობას „ივერიამ“ ასეთი შენიშვნები გაუკეთა: „ეს მოთხრობა, რომელიც ბოროზდინისათვის, როგორც თვითონ აცხადებს წერილის ბოლოში, უამბია უფ. თ. გრიგოლ ლევ. დადიანს, დაბეჭდილი იყო რუსულ „ნივას“ 1893 წლის კრებულში. ამ მოთხრობის ზოგიერთი ცნობა ჩვენი ისტორიისათვის გამოსადეგი იქნება და ამისათვის საჭიროდ ვიჩნიეთ მისი თარგმნა, მხოლოდ აქა-იქ სადაც საჭიროდ დავინახეთ, რამდენიმე შენიშვნა წავუმძღვარეთ“. და მართლაც „ივერიამ“ ზოგიერთი ფაქტები დაწვრილებით განუმარტა მკითხველს და მოთხრობის ბევრ ბუნდოვან ადგილს, ან ფრაზებს, სადაც ავტორი ისტორიის თარილებში სცდებოდა, ნათელი მოჰფინა. „ივერიის“ ეს მეცნიერული შენიშვნები ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა დიდი ცოდნა და სიყვარულია საჭირო სარედაქციო მუშაობის დროს. ჩვენ მიერ აქ მოყვანილი „ივერიის“ სარედაქციო შენიშვნების გარეშე ბოროზდინის მოთხრობა „იმერეთის დედოფალს“ არ ექნებოდა ქართველი მკითხველისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც შენიშვნების შემდეგ მიეცა.

გაზეთი საქართველოს არც ერთ კუთხეს არ ტოვებდა უყურადღებოდ, ეს იქნებოდა აფხაზეთი, აჭარა, სამურზაყანო, მესხეთი თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე. და აი მას შემდეგ, რაც „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა (1886 — 1905), სისტემატურად ბეჭდავდა ისტორიულ წერილებს, მოგზაურთა ჩანაწერებსა და კორესპონდენციებს აფხაზეთის შესახებ. 1886 წლიდან ილიამ „ივერიაში“ მსოფლიო კლასიკოსთა და ქართველი მწერლების აფორიზმების ბეჭდვა დაიწყო: („დამაკვირდი“). ორი წლის შემდეგ კი, 1888 წელს გაზეთში იბეჭდებოდა აფხაზური ანდაზები და ბრძნული ხალხური თქმები. „ივერიაში“ აფხაზური ანდაზების დაბეჭდვის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ისევე, როგორც „ნაკვესების“ და „დამაკვირდისა“, ილია ჭავჭავაძე იყო.

თავისი დიდი ნიჭისა და ერუდიციის წყალობით. ილია ბრწყინვალედ ამართლებდა ჭაბუკობის დროს 1859 წელს მის მიერ დაწერილ სტრიქონებს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

„ივერიაში“ დაბეჭდილი აფხაზური ანდაზების შემკრები და შესავალი წერილის ავტორი უნდა იყოს აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე, მწერალი და მთარგმნელი პეტრე ჭარაია. მაშინ პ. ჭარაია გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი იყო და პეტრე გიორგაძის ფსევდონიმით ბეჭდავდა საინტერესო წერილებს აფხაზეთის შესახებ. მის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ნაშრომი „აფხაზეთი და აფხაზნი“.

* * *

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული თეატრის განვითარებისა და წინსვლის საკითხებს. იგი წერდა პრინციპული ხასიათის თეატრალურ რეცენზიებსა და თეორიულ წერილებს, ხოტბას ასხამდა იმ მსახიობებს, რომლებიც სცენიდან ჭეშმარიტად განასახიერებდნენ ცხოვრებას და საზოგადოებას უჩვენებდნენ ცხოვრების მანკიერ და დრომოჭმულ მხარეს.

რას მოითხოვდა ილია ჭავჭავაძე ქართული თეატრისაგან? ვის და რას უნდა ემსახურებოდეს თეატრი და საერთოდ სასცენო ხელოვნება? აი ამ საკითხს არა ერთხელ სვამს მწერალი მის მიერ თეატრის შესახებ დაწერილ წერილებსა და რეცენზიებში. და თვითონვე იძლევა ამ საკითხზე შესანიშნავ და ამომწურავ პასუხს.

„სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოვე-

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 131.

[2] თედო სახოკია, „ქართული ენა“, სახალხო გაზეთი, 1911 წელი.

ლის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას. იგი ამ თავისი თვისებით კაცის გონებაზე უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს. და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას აშლევინებს; უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს გასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არ ვიცით რა სცენის გარდა".[1]

ქართული ენის დაცვა, ეს იყო ქართული ენის საუკუნოვანი ისტორიის, მისი კულტურის, მისი მიწა-წყლის დაცვა, — ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა არა მარტო თეატრალურ წერილებსა და მიმოხილვებში, არამედ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, მაგრამ თეატრი ილიას მიაჩნდა ისეთ მასობრივ-პოპულარულ დაწესებულებად, სადაც ქართული ენა უნდა აღსდგეს მთელი თავისი მშვენებით და სინატიფით. ამიტომ მწერალი წერდა:

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ... ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის მშვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული, ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისთვის.[2]

ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიიდან" იწყება ჭეშმარიტი თეატრალურ-მეცნიერული და პრინციპული კრიტიკა. „ივერიაში" დაბეჭდილი ილიას თეატრალური წერილი ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თეატრალური კრიტიკა და როგორ უნდა ვაანალიზებდეთ ნაწარმოებს, დრამატული პიესა იქნება ეს, კომედია თუ ვოდევილი. ილიას ენით რომ ვთქვათ, „რაც არ ვარგა, არ ვარგა" და ამიტომ ცუდზე პირდაპირ და მოურიდებლად უნდა ვთქვათ, რომ იგი ცუდია, ფრანგული ენიდან გადმოკეთებულ კომედიას „გერ, მინას და კამპანიას" — ილიამ ასეთი სტრიქონები უძღვნა:

„თვითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლულოვანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რათ დაწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დაწერა, გადამკეთებელმა რაღა გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორნივ შეცდნენ, თეატრში მაინც რათ წარმოადგინეს?"

„ივერიაში" მარტო ილია როდი წერდა თეატრის შესახებ პრინციპულ კრიტიკულ წერილებს და მიმოხილვებს, არამედ მის მიერ აღზრდილი ხელოვნებისმცოდნეები ღებულობდნენ მონაწილეობას და გაზეთში ბეჭდავდნენ მეტად მძაფრ კრიტიკულ-თეორიულ წერილებს.

1895 წელს გაზეთ „ივერიამ" (№ 28) „თეატრის მოყვარულის" ფსევდონიმით მოათავსა წერილი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს „გაურკვეველი გარემოება". ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ ამ წერილს:

„ძალიან ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვივაგლახე. მაგრამ არ იქნა ვერ გავიგე შემდეგი გარემოება: როგორც ქართველი კაცი, მოყვარული ქართული ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სცენისა, მე თითქმის ყოველ ქართულს წარმოდგენას ვესწრები, აუკვირდები და ვაფასებ... ყოველი წარმოდგენა მოახდენს ხოლმე ჩემზე როგორსამე შთაბეჭდილებას და მასაც ვხედავ, რომ ამგვარისავე შთაბეჭდილებით გადის სათეატრო დარბაზიდან უმრავლესობა; მეორე, თუ მესამე დღეს — კი ვხედავ გაზეთები სწორედ იმ პიესას არჩევენ. რომელიც მე ვნახე, იმ პირთა თამაშს აფასებენ, რომელთაც მე ვუყურებდი; იმ გარემოებაზე ლაპარაკობენ, რომელმაც ჩემზედ მოახდინა დაახლოებით უტყუარი შთაბეჭდილება, — და იქ — კი სულ სხვას ვკითხულობ. უფრო ხშირად ვკითხულობ მსახიობთა ქება-დიდებას, ალტაცებას, რომლითაც მათ საზოგადოება შეგებებია (?!) და სხვ... ვკითხულობ და მიკვირს: სად ვიყავი? როგორ მოხდა ეს? ნუ თუ მე სხვა წარმოდგენას დავესწარ? ნუ თუ მეძინა? სხვებს რაღა დაემართათ? და სხვ...

გამიგონია, რომ რეცენზია რომელიც ამა თუ იმ პიესას არჩევს, ამა თუ იმ მსახიობის ნიჭსა და თამაშს აფასებს. უნდა იყოს უტყუარი, გულწრფელი და მოურიდებელი, რომ მხოლოდ ასეთს რეცენზიას აქვს აღმზრდელი მნიშვნელობა. მხოლოდ ამგვარი რეცენზია, ვით ნამდვილი კრიტიკა, უნდა ჰპოულობდეს ადგილს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და არა ისეთი, როგორც დღეს არის... დიპლომატიურად, პირფერობით დაწერილი რეცენზია არა თუ ხელოვნებას ვერ მოუტანს რაიმე სარგებლობას და ვერ გაუწევს სამსახურს მას, არამედ თვით მსახიობი ზიანისა გარდა, სხვას ვერას შესძენს.

რა უშლის ხელს, რა აბრკოლებს ნამდვილს რეცენზიას — ჩემთვის სრულიად გაუგება-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ტომი 5, გვ. 40.

[2] ილია ჭავჭავაძე, ტომი 5, გვ. 39.

რია!... შეიძლება რედაქცია არ აძლევს ნებას ბ. ბ. რეცენზენტებს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი და ყოველს მსახიობს შესაფერად დასდონ ფასი; მით უმეტესად საფიქრებელია ეს, რომ როგორც გავიგეთ, უკანასკნელის ქართულის წარმოდგენის გამო (მამულ-დედული, ზუდერმანისა) სამი რეცენზია წარუდგენიათ ერთის რედაქციისათვის და ვერც ერთმა ადგილი ვერ ჩოიპოვა თურმე გაზეთის ფურცლებზე!...

მე დარწმუნებული ვარ, თუ რედაქციები რეცენზენტებს თავისუფლად აზრის გამოთქმის ნებას მისცემენ, გამოჩნდებიან ისეთი დამფასებელნი ხელოვნებისა, რომელთაც ამ მოვალეობის აღსრულებაც კარგად შეეძლებათ და ჭეშმარიტების გზასაც არ გარდუხვევენ...

დარწმუნებული ვარ რედაქცია ამა ყოვლის შესახებ დამეთანხმება, მაგრამ, არ იქნება ურიგო, ამ გარემოებას ცოტაოდენი სხივი და ნათელი თვით მსახიობთა მოჰფინონ...

შეიძლება ეს ამბავი იმის შედეგი იყოს, რომ პროვინციელ ქალაქებში ყველა ერთი მეორეს ვიცნობთ, ვმეგობრობთ და პატივსა ვცემთ, რომ მართლის თქმა უსიამოვნო დამოკიდებულებას გამოიწვევს და სხვ... მაგრამ ჩემის აზრით — ადამიანი, რომელიც ჰკისრულობს მოვალეობას მსაჯულისას და რომელსაც შეგნებული აქვს ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა კრიტიკისა, ამ მოსაზრებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს და სიმართლეს გვერდს არ უნდა უხვევდეს“...

ამ წერილს „ივერიამ“, ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „რედაქცია მთლიანად იზიარებს წერილში გამოთქმულ აზრს და სიამოვნებით უთმობს ადგილს თავის გაზეთში“.

1905 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ პირველ გვერდზე „სცენისმოყვარეს“ ხელმოწერით დაბეჭდილია წერილი „სცენა და მაყურებელი“, წერილი იმდენად საინტერესოა თავისი შინაარსით და პრობლემატურობით, რომ დღესაც არ დაუკარგავს თავისი თეორიული ძალა და მნიშვნელობა; ავტორი საინტერესოდ და სწორად აანალიზებს მაყურებლისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულებას და, წერს: „წარმოდგენებზე დამსწრე საზოგადოება, ვინც კი მას ფხიზლად დაჰკვირებია, რაღაც ჯადოსნური, მიმზიდველი და განსაკუთრებული რამ არის. ეს საზოგადოება, კერძოდ, არც მე მგავს, არც თქვენ და არც სხვა ჩვენისთანას. ეს ჯგუფი, რა თქმა უნდა, კერძო პირებისაგან შედგება, მაგრამ იმავე დროს რაღაც დამოუკიდებელი, თვითმყოფელი არსია, რომელიც თავისებურად მოქმედებს, რომელსაც თავისი აზრი, თუ სურვილი აცხოველებს, რომელიც თავის თავს თვითონვე აღმზნებიარებს და მოდებულ ალს საკვირველის სისწრაფით გარშემო ყველა უკიდებს“.

და ავტორი დაასკვნის: „სცენასა და მაყურებელს შორის მუდამ იყო, არის და იქნება ის ურთიერთობა და მჭიდრო დამოკიდებულება, რომელიც ორთავეს თითქმის ერთ სხეულად ხდის“.

ავტორი იქვე თავის წერილში მტკიცე რწმენით ამბობს, რომ თეატრის მაყურებელი უნდა იყოს განათლებული და დრამატული ხელოვნებისა და ეპოქის სულიერი განწყობილების მცოდნე, რომ თეატრმა, რეჟისორმა და მსახიობმა ანგარიში უნდა გაუწიონ მის აზრსა და მნიშვნელობას. და აი, მაშინ უფრო მტკიცე კავშირი დამყარდება სცენასა და მაყურებელს შორის, მაგრამ გარდა ცოდნა-მომზადებისა „საჭიროა მხატვრული ალღო, ესთეტიკური განვითარება და ამიტომ, — წერს ავტორი, — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დრამატული და სასცენო ხელოვნება სრულებით განკერძოებული ქვეყანაა, რომელშიც უცხო და განუვითარებელ ელემენტებს არ შეუძლიათ აქტიური მონაწილე გახდნენ... მაგრამ თუ თეატრი და სცენა თავის მაღალს დანიშნულებას პირნათლად ასრულებს, ე. ი., როცა სცენაზე ყველაფერი წესიერი და ნამდვილი ნიჭისა და შრომა-მეცადინეობის ძალითაა გაჩაღებული, მაშინ მაყურებელიც მის ნაყოფიერ და განმავითარებელ გავლენაში ექცევა და ხალხიც თეატრს დიდი ინტერესით ეტანება.

ყოველი განვითარებული მაყურებელი პატივით უნდა ეპყრობოდეს სცენას და არამც და არამც არ გადალახოს ის საზღვარი, რომელიც სცენასა და მაყურებელს შორის მიჯნას შეადგენს: რამპა, ანუ სცენის კიდე, გადაუვალი ღობეა სცენასა და ხალხს შორის. დამოკიდებულება ურთიერთ შორის, მეტადრე ახლანდელ დროში, ფაქიზი და ზრდილობიანი უნდა იყოს და ისიც აუცილებლად ერთმანეთის პატივისცემაზე აღმოცენებული. ხალხის გულის მოგება არა ხელოვნურის სახსრებით, პირმოთნეობით, ლაქუცით, უმართებულო საქციელით არ ეკადრება სცენას. სერიოზულ სცენას ერთად ერთი მიმზიდველი ძალა აქვს, — ნიჭისა და გონიერების შეგნებული და შეერთებული შრომა!“..

ჩვენ მიერ აქ ვრცლად მოყვანილი სტრიქონები დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, მას ხელს აწერს „სცენისმოყვარე“. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ „სცენისმოყვარეს“ ფსევდონიმს შეფარებული ავტორი გვევლინება როგორც სცენის, თეატრალური ხელოვნების

ღრმა მცოდნე და თეორეტიკოსი.[1] ის საკითხები, რომლებიც ავტორმა თავის წერილში ამ 70-80-იან წლებში დასვა, დღესაც აქტუალურია თეატრალურ-კრიტიკულ აზროვნებაში. ესაა სცენისა და მაყურებლის ურთიერთობა, სასცენო ხელოვნება, დრამატული მწერლობა, როგორც უმაღლესი ფორმა ხელოვნებისა და მრავალი სხვა.

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილმა თეატრალურმა წერილებმა, მიმოხილვებმა და რეცენზიებმა დიდად შეუწყეს ხელი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას და წინსვლას. ქართული თეატრის ქურუმებმა — ვასო აბაშიძემ, ლადო მესხიშვილმა, ვალერიან გუნიამ, კოტე მესხმა, ალექსანდრე იმედაშვილმა, მაკო საფაროვ-აბაშიძემ ჩვენს ხალხს შეაყვარეს თეატრალური ხელოვნება და კულტურა. ხალხი ყოველ მათგანს გულში იხუტებდა და აღმერთებდა, ქუჩაში მათი გამოსვლა ეს იყო ქართული თეატრის დღესასწაული. ყოველივე ამაში გაზეთ „ივერიას“ და მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

• • •

ათვალიერებთ ასი წლის წინათ დაბეჭდილ „ივერიას“ და გიკვირთ, რა მრავალფეროვანია თემატიკა და რაოდენ უხვია ინფორმაცია, რა დიდი პატივისცემა, მორიდება და სიყვარული იგრძნობა გაზეთის თითოეული მკითხველისათვის. გაზეთ „ივერიაში“ ნახავთ საინტერესო ინფორმაციებს ყოველგვარ საკითხზე. გაზეთში განხილულია ქალაქის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ამქართა ცხოვრება, სოფლის ცხოვრების ქრონიკები, შემთხვევები, მსოფლიოში მომხდარი დიდი თუ პატარა ამბები.

„ივერიის“ ყოველ ნომერს ჩვენ ისე ველოდით, როგორც მზის ამოსვლასაო“, იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი. ვფიქრობ გაზეთის შესახებ ამაზე უფრო პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი სტრიქონები არც კი შეიძლება დაიწეროს.

ილიას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. მას მოკრძალებით ეპყრობოდნენ ყველგან, სადაც კი ფეხს შესდგამდა. ჩემი ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს მკითხველისათვის, აქ მოვიყვანთ ამონაწერებს ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებიდან:

„ჩვეულებრივ, როდესაც ქართველებს და მათ შორის საზოგადო მოღვაწეებს რაიმე საქმე ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან და მოხელეებთან, ილია უნდა წაემძღვარებინათ ხოლმე, უიმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ან, თუ მიიღებდნენ, მათ სათხოვარს ყურადღებას არ მიაქცევდნენ, ილიას, ბუნებრივია, დიდად ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა წაყოლაზე, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ აგზავნიდნენ ისეთი საკითხის გამო, რომელსაც იგი ნაკლებ იცნობდა. მაგრამ, რაკი სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის მას აკისრებდნენ ყველა საქმეს“.[1] ექვთიმე თაყაიშვილი განაგრძობს:

„საზოგადოდ, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედულად იყო და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა; მაგალითად; მთავარმართებელი გოლიცინი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი „სოლდაფონი“. ვინც უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უკმეხად ელაპარაკებოდა; ისე წავიდა გოლიცინი თბილისიდან, რომ ილიას არ გაუცნია იგი და არც რაიმე საქმეზე მისულა, თუმცა თვით გოლიცინს ეწადა მისი გაცნობა და არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის, საშიკო ორბელიანისათვის, „გამაცანით ილიაო!“. (იქვე).

ილია ჭავჭავაძე და მისი გაზეთი „ივერია“ დაუღალავად იბრძოდნენ ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ერთიანობისათვის და კონსოლიდაციისათვის.

„ივერია“ იყო მთელი ქართველი ხალხის ორგანო, რომელიც განადიდებდა და ემსახურებოდა შრომას, სინდისს, პატიოსნებას, გმირობას, სიმამაცეს და იცავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ლიტერატურასა და ხელოვნებას.

„ივერიის“ დროშაზე ეწერა დიდი ილიას უკვდავი სტრიქონები:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილი ამ საუკუნის.

---

[1] „სცენისმოყვარე“ ვალერიან გუნიას ფსევდონიმია, „თეატრის მოყვარე“ კი ვერ დავადგინეთ ვისი ფსევდონიმია, მაგრამ ვფიქრობთ, მისივე უნდა იყოს, ვინაიდან იმ წლებში ვ. გუნია აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“, როგორც თეატრალური მიმომხილველი.

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები“, გვ. 50.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუიზა გოჩკოვა

# ქართული პოეზიის არქივიდან

ვინც მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იანი წლების ქართულ პრესას გადაათვალიერებს, განსაკუთრებით „ცისკარს“, შეამჩნევს, რომ დიმიტრი ბერიაშვილი ამ პერიოდის მეტად ნაყოფიერი პოეტი იყო.

ყოველ დროს აქვს თავისი გულითადი ფიქრები, მძიმეც და სასიხარულოც. აქვს საკუთარი საჭიროებანი და საკუთარი ინტერესები, საკუთარი პოეზიაც. ყოველი ეპოქის პოეზიის სიცოცხლის უნარიანობა დამოკიდებულია ეპოქის ისტორიული ცხოვრებით გამოხატული იდეის სიღრმეზე. და თუ დიმიტრი ბერიაშვილის ლექსებმა დიდხანს ვერ იცოცხლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტმა მთელი სისრულით, მთელი ძალით ვერ გადმოსცა, რაც ეპოქისათვის ყველაზე ჭეშმარიტი, არსებითი და დამახასიათებელი იყო.

რაც უფრო მაღალია მოვლენა, მით ცხოველმყოფელია ის. რაც ცხოველმყოფელია მოვლენა, მით უფრო დამოკიდებულია იგი ცხოვრების მოძრაობასა და განვითარებაზე. საუკეთესო, რაც შეიძლება ითქვას დ. ბერიაშვილის სასარგებლოდ ისაა, რომ როგორც კი გამოჩნდა პოეტურ სარბიელზე, წილად ხვდა ხოტბაც და მკაცრი კრიტიკაც.

დიმიტრი იოსების ძე ბერიაშვილი დაიბადა 1818 წელს; მამამისი, აზნაური იოსებ ბერიაშვილი, როგორც „ცისკარში“[1] დაბეჭდილი ერთი მასალიდან ირკვევა, ყოფილა წმინდა ნინოს ტაძრის მედავითნე.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება დიმიტრი ბერიაშვილის სამი ლექსთა კრებული — ავტოგრაფები: ერთი უთარიღოა, რომელშიც მოთავსებულია პოემა „შრომით მოსული“ და ლექსები: „დაფიქრებული“, „ყოველ წამს გხედავ, შენ, დიდებულო“, „დაბერდა, იწვა მდუმარედ“.

მეორე კრებული დათარიღებულია 1855 წ., შეიცავს 15 ლექსს.

მესამე, 1870 წ. კრებული, 126 ლექსისაგან შედგება. (მასში ჩართულია აგრეთვე ნაწყვეტი „ომანიანიდან“, სტატისტიკური ცნობები სხვადასხვა სახელმწიფოების მცხოვრებთა რაოდენობაზე ქართულსა და რუსულ ენებზე).

კრებულში მხოლოდ რამდენიმე ლექსია განმეორებული.

დიმიტრი ბერიაშვილი 1858 წლიდან სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს ჟურნალ „ცისკარში“. იგი, შეიძლება ითქვას, იყო „ცისკრის“ დაარსების მონაწილეთა შორის, ეხმარებოდა „ცისკრის“ რედაქტორს მატერიალურადაც და ჟურნალის გავრცელებაშიც. (სხვათა შორის, მოუნათლავს „ცისკრის“ რედაქტორის პირველი შვილი იზა[2]).

1862 წ. რედაქცია საგანგებოდ აუწყებდა მკითხველებს, მომავალი წლიდან ჩვენს ჟურნალში დ. ბერიაშვილი ითანამშრომლებსო. 1862 წ. № 10 დიდი საპროგრამო განცხადება იწყება რედაქციის შემადგენლობით, ჩამოთვლის აგრეთვე თანამშრომლებს: გ. ბარათოვი, დ. ბერიევი, ლ. არდაზიანი, გრ. ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ალ. იოსელიანი, ან. ფურცელაძე, დიმ. ყიფიანი, ა. წერეთელი, ბ. ჭორჭაძე და სხვა“.

1861 წლის შემდეგ, როცა თერგდალეულები გამოვიდნენ ასპარეზზე, დიმ. ბერიაშვილი შეეცადა, გაეფართოებინა თავისი შემოქმედების თემატიკა. წერდა მათი მიბაძვით სოციალურ, პატრიოტულ თემებზე. მისი ლექსები იმ დროისათვის ანგარიშგასაწევი იყო.

დიმ. ბერიაშვილის ლექსებში სჭარბობს

---

[1] „ცისკარი“, 1863 წ., 12.

[2] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, 17471—6.

ტორიკა; ილია ჭავჭავაძე თავის პირველ წერილში ამბობდა მის შესახებ: „უფ. ბერიევი, თუმცა პოეზიაზედ უკაცრავად ბრძანდება, მაგრამ ენა მაინც უვარგაო.“[3]

60-იანი წლების დასაწყისში დიმიტრი ბერიაშვილთან გულთბილი ურთიერთობა ჰქონია ახალგაზრდა აკაკი წერეთელს, როცა ისინი ერთად თანამშრომლობდნენ „ცისკარში“.

ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე ცნობის მიხედვით, აკაკის თუმცა დიდი წარმოდგენა არ ჰქონია დიმ. ბერიაშვილის პოეტურ ნიჭზე, მაგრამ, მაინც ღირსეულად აფასებდა მის დამსახურებას, მიაჩნდა საიმედო მამულიშვილად და სასარგებლოდ თვლიდა მის მოღვაწეობას.

აკაკიმ დიმ. ბერიაშვილი გაიცნო 1862 წ., როცა პოეტი რუსეთიდან ახლადდაბრუნებული იყო: „ივ. კერესელიძემ უხმო ბიჭს. — მაშ, ახლა გასწი შვილო, ჩამოუარე ჩვენებს, ყველას, დიმიტრის (ბერიევს), ალექსანდრეს (ორბელიანს), ლავრენტის (არდაზიანს)... ორი სტუმარი შემოვიდა ერთი იყო დიმიტრი ბერიევი, მოლექსე და მეორე თ-დი ალექსანდრე ორბელიანი“...[4]

აკაკი შემდეგშიც არაერთხელ მოიხსენიებს დიმ. ბერიაშვილს, როგორც ღვაწლმოსილ ლიტერატორს. „ორი შეხვედრის“ დასასრულს იგი გულისტკივილით ათქმევინებს „ცისკრის“ ყოფილ რედაქტორს: „ჩვენიანები, ვისაც იცნობდი, წავიდნენ, აღარ არიან... ლავრენტი, დანიელი, დიმიტრი, ალექსანდრე და სხვანი“.[5]

აკაკი მხურვალედ ექომაგებოდა „ცისკრის“ იმ ლიტერატორ თანამშრომლებს, რომლებსაც ახალთაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ათვალისწუნებით უყურებდა. მ. ბეთანელი წერილში „პოეტური გაკენწვლა“, მეტისმეტი სიმკაცრით აღნიშნავდა: „ჩვენ არ ვკისრულობთ ბარბარე ჯორჯაძის თხზულებების გარჩევას, ამიტომ რომ მისი თხზულებები სწორე კრიტიკას ვერ გაუმაგრდებიან, ისე, როგორც კრიტიკის ღირსნი არიან დიმ. ბერიევის ლექსები და გრ. რჩეულოვის რომანები“.[6]

აკაკიმ, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე არაჩვეულებრივ სითბოსა და მზრუნველობას იჩენდა ლიტერატურის რიგითი მოღვაწეების მიმართ, მკაცრი პასუხი გასცა მ. ბეთანელს. „ცისკრის“ 1868 წ. მაისის ნომერში მან გამოაქვეყნა პოლემიკური წერილი „პირველი და უკანასკნელი სიტყვა“ „დროებისადმი“, სადაც ღრმად აანალიზებს იმდროინდელ ქართული მწერლობის მდგომარეობას და კერძოდ, ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით მაღალ შეფასებას აძლევს დ. ბერიაშვილის ლიტერატურულ ღვაწლს. „ისეთი დაცემულია ჩვენი საზოგადოება, — წერდა აკაკი, — რომ მთელს საქართველოში ათასში ერთ ქალს ვერ მიჩვენებთ, რომ არ ჰკიცხავდეს ყოლიფერს და არ ეთაკილებოდეს ქართული ენა, რომელიც რომ ქართულად რამეს ჰკითხულობდეს და რომ თვითონაც სწერდეს, დღეს ვერავის ვხედავთ გარდა კნ. ბ. ჯორჯაძისა. ახლავე თქვენვე განსაჯეთ ამ შემთხვევაში საქებია ბ. ჯორჯაძის ქცევა, თუ არა?... ვინ უფრო საქებია თქვენის აზრით: ის ქალები, რომელიც უსაქმურად ატარებენ დროს და თითქმის ჰკიცხავენ ყოველივე ქართულს, თუ ის, რომელიც არა თუ ჰკიცხავენ, თანაცუგრძნობს და მაგალითსაც აძლევს სხვებს: შეძლებისდაგვარად სწერს და კითხულობს? თქვენ ეს როგორც გეტყობათ არაფრად მიგაჩნიათ, რომ ყოველივე დროსა და ადგილის მიხედვით ფასდება?... თქვენ უცხო ქვეყნის სათვალეებით დაჰყურებთ ჩვენს საზოგადოებას“... თუმცა თქვენ მოინდომებთ მას დამტკიცებას, რომ მისი (ბ. ჯორჯაძის) თხზულებებს, აგრეთვე ბერიევისა და რჩეულოვისა არ იყონ კრიტიკის ღირსი, მაშინ დიახაც გამოგიჩნდებიან მოპასუხენი და დაგიმტკიცებენ, რომ მათ თხზულებას დროებითი მნიშვნელობაცა ჰქონიათ და სარგებლობაც მოუტანიათ“.

დ. ბერიაშვილის ლექსებში გვესმის ტანჯული გულის კვნესა, თანავუგრძნობთ ამ უნუგეშო მწუხარებას, სევდას, ტანჯვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვერ ვხედავთ ცოცხალ სახეს, ვერ ვისმენთ ცოცხალ ხმას. ქვემოთ მოყვანილ ლექსში ვხვდებით, როგორც სიყვარულის საგანს, ისე იდეალსაც:

პირველ ოდეს ოცნებაში
მე ვიხილე შენი სახე,
მაშინ რაღაც საკვირველი
მზისა მსგავსი დავინახე.
(„პირველ ოდეს“)

დიმ, ბერიაშვილის შემოქმედებაში ქეშმარიტი, შთაგონებული პოეტური სახეები დროგამოშვებით, კერძო მომენტებში გაიელვებენ ხოლმე.

---

3 „ცისკარი“, 1861 წ., № 4, გვ. 576, ი. ჭავჭავაძე, „ორიოდე სიტყვა თ. რ. ერისთავის კოზლოვის მიერ შეშლილის თარგმანზედა“.

4 „კვალი“, 1893 წ., ა. წერეთელი, „ორი შეხვედრა“, გვ. 36.

5 „კვალი“ 1893 წ., № 2, ა. წერეთელი, „ორი შეხვედრა“, გვ. 37.

6 „დროება“, 1868 წ., № 12, გვ. 34.

7 „ცისკარი“, 1368 წ., მაის..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერის მხატვრული პროზა

ჩვენს ახალგაზრდობას და არა მარტო მას, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველის წიგნები, განსაკუთრებით მისი მხატვრული პროზა სწორ აზრებსაც შთაუნერგავს და კარგ ლიტერატურულ ქართულსაც შეაჩვევს.

დიდი ხანია მინდოდა ნიკო კეცხოველის მხატვრულ პროზაზე ჩემი აზრი გამომეთქვა; ჩვენს გაზეთებში ამას წინათ მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილები რომ წავიკითხე, მეც ხელახლა გადავათვალიერე ნიკო კეცხოველის „მორბის არაგვი არაგვიანი", „ცხრა თვალა მზის ქვეშ", „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია", და „მეცხრე მთაც გადავიარეთ". ამ წიგნების სრული განხილვის პრეტენზია მე არა მაქვს. ეს მეტ დროსაც მოითხოვს, და რაც მთავარია, საკვლევო, ალსაწერ თემის კარგ, საფუძვლიან ცოდნას.

მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ეს მეცნიერის მიერ დაწერილი წიგნებია და არა ჟანრობრივ წმინდა მხატვრული ბელეტრისტიკა. მხატვრულ სიმართლეს აქ მხარში მეცნიერული ჭეშმარიტებაც უდგას. სხვა მხრივ, ნ. კეცხოველის ეს წიგნები იმ კალაპოტშია მოქცეული, სადაც ვითარდება თანამედროვე ჩვენებური, საბჭოური თუ სხვა ქვეყნების კაზმული სიტყვიერება.

შესაძლებელია, ჩვენ დაგვერღვეს წიგნების გამოსვლის ქრონოლოგია და პირველ რიგში 1976 წელს გამოსული „მეცხრე მთაც გადავიარეთ" მოვიხსენიოთ; თვითონ ავტორი შენიშნავს, „მეცხრე მთაც გადავიარეთ" მომდევნო წიგნია „ჩვენი სამშობლოს" სერიიდანო.

წიგნის გმირებმა გავლეს ახალციხე, ადიგენი და გოდერძის ზეკარით ჩავიდნენ აჭარის წყლის ხეობაშიო. აი მათი მარშრუტის სქემა ზეკარიდან: გოდერძი, ხულო, შუა ხევი, გონიო, ბათუმი, ქობულეთი, ლანჩხუთი, მახარაძე, ჩოხატაური, ვანი, მაიაკოვსკი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, გომი, რუკას თუ დახედავთ, დაინახავთ, (რუკა კი წიგნის ფორზაცზეა მოთავსებული — ვ. მ.) რომ აჭარ-იმერეთის ქედს ირგვლივ შემოუარეს და შემდეგ კორტოხით (ლიხის ქედი) გადმოვიდნენ ქართლში.

საერთო დიდი გზიდან მათ აჭარა-იმერეთის ქედი ორგან გადაკვეთეს: ბახმაროდან გადავიდნენ აჭარის წყლის ხეობაში და მაიაკოვსკიდან აბასთუმანში, სადაც ყანობილის მთაზე დაათვალიერეს ობსერვატორია. ღამეს ცის ქვეშ ათევდნენ; თუ წვიმის საშიშროება იყო, კარვებს დგამდნენ.

გზადაგზა ბევრი რამ გადახდათ, დაიღალნენ კიდეც, მაგრამ ძალიან ბევრი ნახეს, ბევრი გაიგეს, უფრო ბევრი ისწავლეს და შინ ბედნიერნი დაბრუნდნენ. თხრობა ყოველთვის გზას არ მიჰყვება, ზოგჯერ საკითხის განხილვა მგზავრებს უკანაც აბრუნებსო, შენიშნავს ავტორი.

ნიკო კეცხოველის ამ შენიშვნიდან, და საერთოდ მის ამ სერიის წიგნების განხილვიდან რაოდენ აშკარა ხდება, თუ როგორ ამდიდრებს ადამიანს მშობლიური მხარის არა მხოლოდ წიგნებიდან, არამედ საკუთარი თვალით მიმოხილული შთაბეჭდილებებიდან მიღებული ცოდნა.

რასაკვირველია, ვინც ნიკო კეცხოველის ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებს ყურადღებით გადაიკითხავს, ცოტას როდი გაიგებს სამშობლოს ავკარგზე, მაგრამ ერთია წაკითხულით აღქმა მშობლიური მხარისა და მეორეა მისი უშუალო განცდა. მინდა ერთს, თითქოს სულ პატარა გარემოებაზე მკითხველის ყურადღება შევაჩერო: რასაკვირველია, ოთხივე წიგნი მხატვრული პროზაა, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროზა, შესრულებულია მეცნიერმხატვრის ხელით. ეს შენიშვნა შეეხება არა მარტო წიგნს „მეცხრე მთაც გადავიარეთ", არამედ ოთხივე ტომს, რომელთა სრულ, ამომწურავს დახასიათებას, როგორც ზემოთ ვთქვი, მკითხველი ნუ მოთხოვს ამ სტრიქონების ავტორს. ეს მაღალმხატვრული პროზაა, შესანიშნავი, უებარი ქართული ენით შესრულებული. ჩინებულ ქართულს მკითხველი აქ ეწაფება, როგორც მთის გამაცოცხლებელი წყაროს. ჩვენ გვინდოდა ამ აზრის განსამტკიცებლად ორიოდე ციტატის მოყვანა, მაგრამ ეს შეუძლებელი საქმე აღმოჩნდა — მაშინ ჩვენ სარეცენზიო ოთხივე ტომი უნდა გადმოგვეწერა.

რასაკვირველია, ამ ოთხ ტომში წარმოდგენილი პროზა მეცნიერის ხელით არის დაწერილი. ამასთან დაკავშირებით ერთი ზოგადი მოსაზრებაც მინდა აქ გამოვთქვა: წერის ასეთი მანერა, თუ სტილი ახლა ძალუმად შემოიჭრა მსოფლიო ბელეტრისტიკაში. თვითონ ეს სიტყვა „ბელეტრისტიკა", ხომ ლამაზის, მშვენიერის აღმნიშ-

ნელი ცნებაა. ახალი პროზა სილამაზეს, სიტურფეს ახალ, თავისებურ მხატვრულ სტრუქტურაშიც პოულობს.

ზემოთ აღნიშნული ოთხივე ტომი მეცნიერის კალამს ეკუთვნის, ჭეშმარიტ ბოტანიკოსს, რომელიც ბუნებას მხატვრული ხილვის უნარითაც დაუჯილდოვებია.

„ცხრა თვალა მზის ქვეშ“ 1968 წელს არის გამოსული, ათი წლის წინ; მიუხედავად ამისა, დღევანდელი არომატი, თვალთახედვა თან სდევს. ბატონი ნიკო ახლა ოთხმოცი წლისაა, შეხედულებით ნიკო კეცხოველი უბერებელი ადამიანია; ახლა ის ისევე გამოიყურება, როგორც ჩვენ გვახსოვს მისი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობისას, თუ უნივერსიტეტის რექტორობის დროს, თუმცა მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო.

ამ წიგნშიც მშვენიერი ქართულით, ამ გარემოებას კვლავ ხაზს ვუსვამთ, აღწერილია საქართველოს ველები და ნახევარუდაბნოები. მოგზაური მათ იშვიათად ეწვევა ხოლმე, შენიშნავს ავტორი, მაგრამ თავისი სილამაზით ნახევარუდაბნოები არაფრით ჩამოუვარდებიან ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებს. ამავე დროს მრავალფეროვანი, შინაარსიანი და ღრმა წარსული აქვთ. ჩვენმა მოგზაურებმაო, — წერს ნ. კეცხოველი — გაიარეს აღმოსავლეთ საქართველოში: სამგორი, გარეჯი, შირაქი, ელდარი, პანტიშარა, ვაშლოვანი, კასრის წყალი, გული შირაქი, ალაზნის ველი, მოსაბრუნი, ხორანთა, მილარი, უფრო დასავლეთით და სამხრეთით, მცხეთა, ქვათახევი, მანგლისი, ფარცხისი, ფიტარეთი, ტანძია, დმანისი, გომარეთი, კლდეკარი, რკონი, კასპი.

გააყოლეთ ფანქარი ამ პუნქტებს რუკაზე, ნახავთ, რომ მანძილი დიდიცაა და საინტერესოც.

„მორბის არაგვი, არაგვიანი“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს წიგნისა „ცხრათვალა მზის ქვეშ“.

ჩვენმა მოგზაურებმა ბევრი იარეს და ბევრიც ნახესო, — წერს ნ. კეცხოველი — მცხეთიდან დაიწყო მათი მგზავრობა, მოიარეს მუხრანის ველი, სარკინეთი, შიო-მღვიმე, ახალგორი, ლაკვისი, ყელის ტბა, ლიახვების სათავეები, გადაკვეთეს ალევის ქედი და ჩავიდნენ არაგვის ხეობაში. მლეთიდან ჯერ თერგის ხეობას ეწვივნენ, სადაც ბევრი რამ საინტერესო იხილეს. თერგის ხეობიდან იბრუნეს პირი და არაგვს ჩამოჰყვნენ, ჰოპორტში კვლავ ძია პავლეს შეხვდნენ და, მასთან ერთად, ივრის ხეობის ნაწილიც მოინახულეს. გზადაგზა გაეცვნენ მხარის გეოლოგიურ წარსულს, მცენარეულ საფარს, ფაუნას, ისტორიულ ძეგლებს. ჩვენმა მოგზაურებმა ძველი გამოცდილება გამოიყენეს და თან ისტორიული წიგნებიც წაიღეს, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაც“ და ბევრ სხვა ძეგლებს ადგილობრივ ამოწმებდნენ.

ასეთსავე ყურადღებას იქცევს სამი მოზრდილი მოთხრობის მომცველი კრებული „არსიანოდან მოვდივარ მომიხარია“. პირველი თავია — „ნაფუზარი“, მეორე — „ჩვენებურები“, მესამე — „მთა და ბარი ვის გაუყვია“. ეს კრებული, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი ნაწარმოები, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, 1974 წელს გამოიცა. იგი აგვიწერს ქართლის მიდამოებს. შემთხვევით როდია თავკანზე მოთავსებული გ. ლეონიძის ოთხი სტრიქონი:

> ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი
> შეფრქვეული მინანქარით,
> იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
> სურნელების დაქრის ქარი,

მართლაცდა ბუნებას ხინებულად შეუერთებია ერთ ადამიანში ამდენი ერისათვის, ხალხისათვის საჭირო ნიჭი და გამჭრიახობა. ბატონი ნიკო ათეული წლების მანძილზე მეთაურობს ჩვენ ბოტანიკოსებს, მათი მეცნიერული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელია. ნიკო კეცხოველმა უდიდესი ღვაწლი და ამაგი დასდო საქართველოში უმაღლესი განათლების განმტკიცებასა და განვითარებას. ის ხომ მრავალი წლის მანძილზე ქართული კულტურის ფუძის, ჩვენი, უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ჩვენ რამდენიმე წლის მანძილზე მოგვიხდა ბატონ ნიკოსთან მუშაობა საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ხელმძღვანელობაში. ბევრი აქვს გაკეთებული ნიკო კეცხოველს ქართული კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი დაწესებულების, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის მიზანსწრაფული მუშაობისათვის.

გამოჩენილი ბოტანიკოსის, მეცნიერის, აკადემიკოსის ნიკო კეცხოველის მხატვრული პროზა უეჭველად მკითხველთა ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებს.

ვლადიმერ მაჟავარიანი.

# მონოგრაფია დიდ მომღერალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გასულ წელს გამოსცა იოსებ ბეგიაშვილის მონოგრაფია, მიძღვნილი დიდი მომღერლის, რუსეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო არტისტის — ვერა დავიდოვას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

იოსებ ბეგიაშვილმა რომ საშური და გადაუდებელი საქმე გააკეთა, ეს იმ უბრალო ფაქტიდანაც ჩანს, რომ როგორც კი წიგნის გამოსვლის ცნობამ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ გაალწია, მას ათასობით „დაუგეგმავი“ მკითხველი გამოუჩნდა. მონოგრაფიის ტირაჟი (5.000), რათქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს მისი შეძენის მსურველთ: ვერა დავიდოვა ხომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნამდვილი კერპი იყო საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის.

წიგნს წინ უძღვის ცნობილი მუსიკათმცოდნის, პროფესორ იგორ ბელზას შესავალი წერილი. ამ მოკლე წინასიტყვაში იგორ ბელზა ახერხებს შექმნას ვერა დავიდოვას შემოქმედებითი პორტრეტი და დაგვანახოს ის დიდი წვლილი, რომელიც ვ. დავიდოვამ შეიტანა რუსული და საერთოდ საბჭოთა ვოკალური ხელოვნების განვითარებაში.

ვ. დავიდოვა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთა შემოქმედება ძველი და ახალი კულტურების გზაგასაყართან იდებს სათავეს, ვინც თავიანთ მოღვაწეობაში ფართოდ გამოიყენეს ადრინდელი მუსიკალური ტრადიციები და ისინი ახალ მწვერვალებს აზიარეს.

ი. ბეგიაშვილი საინტერესო მთხრობელია. უფრო სწორედ, საინტერესო მასალა, რომელიც მას ხელთ ჰქონია, მშვენიერ მოთხრობად უქცევია, მოთხრობად, რომელშიაც მრავლადაა დრამატული ხასიათები და მოვლენები.

არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რა დიდი ძვრების ხანა იყო რუსეთისათვის და რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი. ეს იყო ძველის ნგრევის ბობოქარი პერიოდი, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციით დაგვირგვინდა. მრავალი პოლიტიკური და ისტორიული მასალით, მრავალი მხატვრული ნაწარმოების წყალობით ეს ხანა ჩვენთვის ცოცხალია და ახლობელი. ამიტომ ორმაგად საინტერესოა იმ ადამიანის, იმ ხელოვანის ცხოვრება, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი, ძალა და გამოცდილება საყვარელ ქვეყნის წინსვლას და განვითარებას შეალია.

საქართველო ვერა დავიდოვასთვის მეორე სამშობლოა. და, ფიგურალურად რომ ვთქვათ, თუმცა ვოლგა არც ისე შორსაა საქართველოს მთავარი მდინარის — მტკვრისაგან, ვ. დავიდოვამ ამ გზის გავლას რამდენიმე ათეული წელი მოანდომა. ნიჟნი-ნოვგოროდის შემდეგ მომავალი დიდი მომღერლის ცხოვრების გზაზე ციმბირი იდო. მკაცრი იყო ციმბირის მიწა, სადაც პატრიარქალური ჩამორჩენილობა მშვიდობიანად თანაარსებობდა ცივილიზაციის მცირე ოაზისებთან ერთად. და მიუხედავად იმისა, რომ ვ. დავიდოვას მშობლები ცდას არ აკლებდნენ, რათა მათი ქალიშვილი ამ ოაზისების ჩრდილში გაზრდილიყო და დაქალებულიყო, ცხოვრება, მისი მკაცრი კანონები თავის წილს მოითხოვდნენ. ნიკოლაევსკში, — ქალაქში სადაც ვ. დავიდოვა და მისი მშობლები ცხოვრობდნენ, თუმცა კი მოაღწია ოქტომბრის რევოლუციის გამოძახილმა, მაგრამ მისი ცხოვრება ვერ შეცვალა.

იმდროინდელი შორეული აღმოსავლეთი თავშესაფრად იქცა კონტრრევოლუციონერებისათვის და ანარქისტებისათვის, იაპონელი მილიტარისტებისათვის და ჩინელი ბედისმაძიებლებისათვის.

მაშინდელი ამურის ოლქის ცენტრი — ქალაქი ბლაგოვეშჩენსკი არის ვერა დავიდოვას, როგორც ვოკალისტის პირველი ნათლობის ადგილი. ამ ქალაქში ვ. დავიდოვა ჯერ კათედრალური ტაძრის მომღერალთა გუნდში გამოდიოდა, შემდეგ კი იქაურ საოპერო მომღერალთა ამხანაგობაში ჩაირიცხა. პირველი როლი, რომლითაც ვ. დავიდოვა დიდ ხელოვნებას ეზიარა, იყო ძიძის პარტია „ევგენი ონეგინიდან“. ამ დადგმაში საინტერესო და მხიარული საქმე ის იყო, რომ ძიძას — ვ. დავიდოვას, რომელიც სინამდვილეში თურმე თხუთმეტი წლის ქალიშვილი იყო, ყველა „ძიძის“ და შუახანს გადაცილებული „ტატიანას“ გვერდიგვერდ ყოფნა. ვერავითარმა გრიმმა და სცენურმა საშუალებამ ვერ მოსპო ასაკობრივი განსხვავება ამ ორი პარტიის შემსრულებელთა შორის.

სულ მალე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ახალგაზრდა მომღერლისათვის საჭირო იყო ნამდვილი პედაგოგის ხელი, ნამდვილი მუსიკალური და ვოკალური განათლების მიღება. ამიტომ ვ. დავიდოვა მშობლებმა ლენინგრადში გაამგზავრეს. როდესაც მას იმ დროისათვის კარგად ცნობილმა პროფესორმა, პედაგოგმა ელენა დე-ვოს სობოლევამ მოუსმინა, გაკვირვებულმა აღნიშნა მისი ხმის განსაკუთრებული სიძლიერე. დე-ვოსს აუხსნეს, რომ ვ. დავიდოვას ხმის სიძლიერე „დედა ვოლგასი და მამა ამურის“ მადლი იყო. მალე ვერა დავიდო-

ვა ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა, კონსერვატორიისა, რომლის დირექტორიც გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე გლაზუნოვი იყო და აქ მომუშავე პედაგოგთა მაღალი პროფესიული დონე არავითარ კომპლიმენტს არ საჭიროებდა. უშუალო ხელმძღვანელი ახალგაზრდა მომღერლისა დე-ვოს სობოლევა, თავისი ფართო მუსიკალური ერუდიციით და პედაგოგის მტკიცე ხელით, ცნობილი იყო იმდროინდელ მუსიკალურ სამყაროში.

კონსერვატორიაშიც და საოპერო სტუდიაშიც ვ. დავიდოვას გვერდით სწავლობდნენ მომავალში გამოჩენილი მუსიკოსები და მომღერლები — დირიჟორები ა. მელიქ-ფაშაევი, ევგენი მიქელაძე, ე. მრავინსკი, ნ. რაბინოვიჩი, კომპოზიტორები — დიმიტრი შოსტაკოვიჩი, ანდრო ბალანჩივაძე, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია და სხვ.

აქვე გაეცნო ვერა დავიდოვა გამოჩენილ ქართველ მომღერალს დიმიტრი მჭედლიძეს — თავის მომავალ მეუღლეს.

ვ. დავიდოვას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ლენინგრადში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებთან. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელსაც იგი ნიკო მართან დაკავშირებით იხსენებს: ლენინგრადში ნიკო მარისთვის გაუმართავთ სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. და აი, იუბილეს დამთავრების შემდეგ გამართულ ბანკეტზე, ერთ-ერთი დამსწრეთაგანის კითხვაზე — რამდენი ენა იცითო, — ნიკო მარს უთქვამს: — მე ორმოცზე მეტი ენის ცოდნას მომაწერენ, მაგრამ ეს სისულელეა, მე მხოლოდ ერთი ენა ვიცი — ქართული, და ისიც არცთუ კარგადო.

ლენინგრადის საოპერო თეატრის სცენაზე ვ. დავიდოვას მიერ შესრულებულ მრავალ პარტიათაგან გამოსარჩევია: ამნერისი („აიდა"), კარმენი („კარმენი") და მართა („ხოვანშჩინა"): თუმცა ინგლისელ დირიჟორს ალბერტ კოუტსს მიაჩნდა, რომ ვერა დავიდოვა ვაგნერის ოპერებისათვის იყო დაბადებული.

დიდ ხანს არ მოუწია ვ. დავიდოვას ლენინგრადის საოპერო თეატრში ყოფნამ. ისე სწრაფად მიაღწია მან აღიარებას და ისე დიდი იყო მისი, როგორც მომღერლის ავტორიტეტი, რომ სულ მალე დიდი თეატრის დასში პირველ მეცცო-სოპრანოდ ჩარიცხეს.

საოპერო სეზონის დაწყებისთანავე ვ. დავიდოვა აქტიურად ებმება თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. იგი მღერის „აიდაში", „კარმენში" „მეფის საპატარძლოში" „ევგენი ონეგინში", ხშირად მონაწილეობს საკონცერტო საღამოებში, ხოლო სვეტებიან დარბაზში გამოსვლა ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ფურცელია როგორც მომღერლისათვის, ასევე მისი ტალანტის დამფასებლებისათვის.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს ესწრებოდნენ სტალინი, კალინინი, მიქოიანი, ორჯონიკიძე... პოლიტბიუროს სხვა წევრები. მას რადიოთი მთელი საბჭოთა კავშირი უსმენდა. ვ. დავიდოვამ იმღერა სოლო პარტია ვ. შებალინის დრამატულ სიმფონიაში „ლენინი" — და როგორც შემდეგ გამოირკვა, ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. თუმცა.., ვ. დავიდოვას არ ახსოვს როგორ შეასრულა ეს ახალი, რთული ნაწარმოები. ალბათ კარგად რადგანაც მას დიდხანს და ხმამაღლა უკრავდნენ ტაშს.

მაყურებელს თავს რომ უკრავდა, მან კიდევ ერთხელ გაიხედა მთავრობის ლოჟისაკენ და გული ბედნიერებით აღევსო, — მას იქიდან ღიმილით შემოჰყურებდნენ. საღამოს დასრულების შემდეგ კონცერტში მონაწილე მთელ კოლექტივს აბელ ენუქიძემ მადლობა გადაუხადა. — თქვენ მშვენივრად მღერით, — მიუბრუნდა იგი ვერა დავიდოვას — ამას წინათ „მეფის საპატარძლოში" მოგისმინეთ და ძალიან მომეწონეთ. ჩამთვალეთ თქვენი ტალანტის თაყვანისმცემლად! ისეთი მომხიბლავი იყო თურმე ვერა დავიდოვა — „მეფის საპატარძლოში", ისეთი კოლორიტული და შთამბეჭდავი იყო მისი ლუბაშა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვას სერიოზულად შეუთავაზებია მისთვის დრამატული თეატრის მსახიობის ადგილი სამხატვრო თეატრში. აქვე, მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ვ. დავიდოვას წილად ხვდა ბედნიერება ემღერა „რუსი ორფეოსის" — ლეონიდ სობინოვის გვერდით, „ევგენი ონეგინში". დავიდოვა ასრულებდა ოლგას როლს. სობინოვი კი ლენსკის პარტიას მღეროდა.

თავისებური დღესასწაული იყო მოსკოველი მუსიკისმოყვარულთათვის ვ. დავიდოვას „კარმენი". ამ როლზე იგი ჯერ კიდევ ლენინგრადში მუშაობდა და აი, დიდ თეატრში მას უთხრეს, რომ იქ სულ სხვანაირ კარმენს აჟყვნენ მიჩვეულნი — ურჩევდნენ შეენელებია ემოციური მხარე მის მიერ შექმნილი სახისა.

მაგრამ მომღერალს არ ეთმობოდა მისთვის უკვე შეთვისებული სცენური სახე. მერიმეს გმირი ქალი დავიდოვას ყოველთვის ესახებოდა ველურ, მამაც და თავისუფლებისმოყვარე ადამიანად. კარმენი მისთვის ხალხის შვილი იყო, ვნებიანი და უშუალო ბუნების პიროვნება, რომელსაც მტკიცედ სჯერა ბედისწერის ფატალურობისა. კარმენის სახის ვ. დავიდოვასეულმა გაგებამ გაიმარჯვა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მრავალი წლის განმავლობაში მის მიერ განსახიერებული ბოშა ქალი ეტალონი იყო მრავალ საოპერო სცენაზე. ი. ბეგიაშვილი წერს: „მკითხაობის სცენაში" განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა ვ. დავიდოვას უნარი — ვოკალური სახის დრამატულ საბესთან

შერწყმისა... ამ სცენის ემოციური ზემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთხელ საქმე კურიოზულ შემთხვევამდე მივიდა: სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში გასტროლების დროს ვ. დავიდოვასთან სასტუმროში მივიდა ვილაც უცნობი ქალი. — თქვენ ხართ დავიდოვა? — ჰკითხა მან. — დიახ!

— ეს თქვენ მკითხაობდით გუშინ კარტზე თეატრში?!

— დიახ!

— გემუდარებით ძვირფასო, მე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ... მიმკითხავეთ...!"

ვ. დავიდოვას კარმენთან დაკავშირებით კიდევ მრავალი ასეთი „კურიოზის" გახსენება შეიძლება. მასზე მრავალი აღტაცებული რეცენზია დაიწერა. მონოგრაფიის ავტორი შენიშნავს: ქების რეცენზიებს შეეძლოთ მთელი წიგნი შეედგინათო და ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს დიდი და თავისებური მუსიკოსის, დირიჟორ ს. სტოლერმანის სიტყვები: „მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ კომპლიმენტები ვუთხრა მომღერალ ქალს, ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მას არ სჭირდება კომპლიმენტები და მეორეც, მე არ მეხერხება ისინი. მაგრამ სიმართლისათვის კი მინდოდა მეთქვა, კი არ მეთქვა, მეყვირა: ძვირფასო ამხანაგებო, ახალგაზრდა მომღერლებო, ისწავლეთ დავიდოვასაგან, როგორ უნდა სწორად სიმღერა, როგორ და რით მიიღწევა იგი. დაუფიქრდით კარგად და დაინახეთ — დავიდოვა ხომ ძლიერადაც თამაშობს, ყველაფერს ემოციურად განიცდის, კონტრასტულ მომენტებში ცელქობს და ცეკვავს... მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად როგორ უფრთხილდება მუსიკას, შესრულების ვოკალურ-მუსიკალურ მხარეს".

აი ნაწყვეტი სტატიიდან, რომელიც ბუდაპეშტის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ვ. დავიდოვას გასტროლების დროს: ბუდაპეშტის ოპერას მრავალი სახელიანი გასტროლიორისათვის მოუსმენია, რომელთა შორის ცოტა როდი იყო კარმენის როლის შემსრულებელი. მაგრამ ისეთი, როგორიც ვერა დავიდოვაა, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენ ჯერ არ გვინახავს... არა გვგონია, ევროპაში იყოს მეორე ასეთი კარმენი".

ვ. დავიდოვას „კარმენის" მნახველს გაოცება და აღტაცება ერთად ეუფლებოდა: — როგორ შეუძლია მომღერალს ერთდროულად იქროლოს სცენაზე, იცეკვოს, გააკეთოს უამრავი რთული მოძრაობა, დახარჯოს ამდენი ფიზიკური ძალა და მის ხმას ამით ჩრდილი არ მიადგეს, ბზარი არ შეეპაროს.

დიდი წარმატებით ჩაიარა მომღერლის გასტროლებმა სკანდინავიის ქვეყნებში — ოცდაათიანი წლების ბოლოს. მაშინ ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებს საშუალება ეძლეოდათ გამოსულიყვნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში. შემდეგ ვ. დავიდოვა ეწვია ბალტიისპირეთს.

სამამულო ომის მოულოდნელმა დაწყებამ, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, ვ. დავიდოვას შემოქმედებით საქმიანობაში და მომავლის გეგმებში მკაცრი კორექტივები შეიტანა. დიდი თეატრის მსახიობების ნაწილი ევაკუირებულ იქნა სამხრეთის ქალაქებში. ვ. დავიდოვა თავის ოჯახთან ერთად თბილისში გამოემგზავრა.

ჯერ კიდევ შალიაპინის დროს ყოფილა გავრცელებული ოპერის მომღერლებში ასეთი გამოთქმა: — თუ თბილისში გაგიმართლებს, შემდეგ ყველგან გექნება წარმატებაო. ბრწყინვალე იყო ვ. დავიდოვას დებიუტი თბილისის საოპერო თეატრში, სადაც შემდეგ რეგულარულად იწყო გამოსვლა „კარმენში", „აიდაში", „მეფის საპატარძლოში", „ვერტერში", „თავად იგორში". არა ერთი კონცერტი გამართა ვ. დავიდოვამ თბილისში და ყოველი ჰონორარი, რომელიც კი მას ეკუთვნოდა, ფრონტს შესწირა. და ეს არ იყო გამონაკლისი. შემდეგშიც მომღერალი ყველა სოლო-კონცერტის შემოსავალს თავდაცვის ფონდში რიცხავდა.

1948 წლამდე, როდესაც დიდი თეატრის კოლექტივი კუიბიშევიდან კვლავ მოსკოვში დაბრუნდა, ვერა დავიდოვამ, ვიდრე თვითონაც და მისი მეუღლე დიმიტრი მჭედლიძეც მშობლიურ კოლექტივს შეუერთდებოდნენ, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა გასწია თბილისში.

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას მომღერლებთან ჟრთად გასტროლებზე იყო ირანში, იქიდან დაბრუნებულმა კი მონაწილეობა მიიღო ერევნის საოპერო თეატრის რამდენიმე დადგმაში.

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას მომღერალმა კონცერტმეისტერ ა. ეროხინთან ერთად ჩაიფიქრა მოემზადებინა მთელი ციკლი კონცერტებისა — „რუსული რომანსი", რომელიც ასახავდა რუსული რომანსის განვითარების მთელ გზას. ეს იყო დიდი და გაბედული ჩანაფიქრი და ვერა დავიდოვამ მის განხორციელებას რამდენიმე წელი მოანდომა.

1945 წელს ვ. დავიდოვა პოლონეთში მიემგზავრება.

დასამახსოვრებელი იყო მომღერლისათვის 1945 წლის პირველი მაისი. ჩვენი ჯარები უკვე ბერლინს უტევდნენ. წითელ მოედანზე, როგორც ყოველთვის, დიდი სამხედრო პარადი გაიმართა. მეორე დღეს კი მოეწყო საზეიმო კონცერტი საპირველმაისო პარადის მონაწილეთათვის. დარბაზი სავსე იყო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული მეომრებით. ეს საზეიმო კონცერტი მართლაც რომ დღესასწაული იყო და წინ უძღვოდა საზეიმო კონცერტების მთელ სერიას. მთავარი კონცერტი

კი იყო ის, რომელიც ისტორიული გამარჯვების პარადის მონაწილეთათვის გაიმართა. ვ. დავიდოვამ შეასრულა რამდენიმე ნაწარმოები ციკლიდან „სამშობლო“. დარბაზში, მისგან სულ ახლოს ისხდნენ გამოჩენილი მხედართ-უფროსები — ჟუკოვი, როკოსოვსკი, კონევი, მალინოვსკი... მას უსმენდა გენერალისიმუსი სტალინი. ბანკეტი თბილ, გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა. აგერ, ი. კოზლოვსკიმ ვორონცოვის თხოვნით რუსული რომანსები დაამღერა გიტარაზე, აგერ სხვამ კალინინის მოთხოვნით იმღერა... ვერა დავიდოვას ა. მიქოანმა მიმართა:

— იქნება ამხანაგ დავიდოვას ემღერა რაიმე ქართული სიმღერა, ჩვენს შორის იმყოფება ამ ენის მცოდნე, — ღიმილით დაუმატა მან.

ვ. დავიდოვამ შეასრულა მიქოიანის თხოვნა და შთაგონებით იმღერა „ციცინათელა“. როდესაც მომღერალი ესტრადიდან ჩამოდიოდა, მასთან სტალინი მივიდა და ხელისჩამორთმევით უთხრა:

— მე ვიცი, რომ ამ სიმღერით თქვენ ჩემთვის გინდოდათ გესიამოვნებინათ, მაგრამ როგორც ხედავთ, „ციცინათელა“ ყველას მოეწონა. დიდ მადლობას მოგახსენებთ.

1946 წლის საოპერო სეზონის დამთავრების შემდეგ მომღერალი სკანდინავიის ქვეყნებში გაემგზავრა საგასტროლოდ. იმის სათქმელად თუ როგორ ჩაიარა ამ გასტროლებმა და როგორი შეფასება ხვდა წილად საბჭოთა მომღერალს, ერთ-ერთი იქაური გაზეთის — „ნიუ დაგის“ მუსიკალური რეცენზიის სათაური მოვიყვანოთ: „მოვიდა, იმღერა, გაიმარჯვა“ — ეს იყო არა უბრალო პერიფრაზი იულიოს კეისრის სიტყვებისა, არამედ ნამდვილი ვითარების შეფასება. ვ. დავიდოვამ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ბუდაპეშტის ქალთა კონგრესის მუშაობაში.

ვ. დავიდოვა ჭეშმარიტი მომღერლის სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. მის მიერ განვლილი გზა — მაგალითია საყვარელი საქმისადმი თავშეწირული ხელოვანისა.

საბჭოთა ხალხმა, მთავრობამ დიდად დააფასა მომღერლის ღვაწლი. 1946, 1950, 1951 წლებში მას მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, ორგზის იყო რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არის რუსეთის და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო არტისტი.

ყველასათვის მოულოდნელად, 1956 წელს ვ. დავიდოვამ მიატოვა საოპერო თეატრში მოღვაწეობა; ესეც თავისებური გმირობა იყო — მიატოვო სცენა შემოქმედებითი აღმავლობის დროს, როდესაც ჯერ კიდევ გრძნობ ძალას დაიპყრო მაყურებლის გული. მაგრამ ეს მსხვერპლიც ვერა დავიდოვამ თავის საყვარელ ხელოვნებას შესწირა.

დიდ თეატრთან განშორების შემდეგ ვერა დავიდოვა თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ახლა იგი მხოლოდ სოლო კონცერტებით გამოდიოდა.

დიდი ამაგი დასდო ვ. დავიდოვამ თბილისის კონსერვატორიას, სადაც ახლაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა და თავის გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა თაობას.

ხ. ხიტაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ